

80
184/2





1984
1984-01-01
0134-0848

ପ୍ରଗତି

1

ISSN 0134 — 0848





მორი კორნლის ეხერი. დრამონი

სურსათი



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

1

საქართველოს მწარმოებელთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
აღმსახური

(58)

იანვარი
თებერვალი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეჯია

1984

შინაარსი

კოლეჯია და პროზა

თომას ხელმწიფი. აგაპი მთელი პრეტორის ზომებისა. რომანი. დახასრული. ინგლისურიდან თარგმნა ელგუჩა მალაძემ	8
სტივენ კრინი. ლექსები. თარგმნა ვაჟა ხორნაულმა	149
ლათინური ამერიკის პოეზია. თარგმნა მურმან ჭვუბურიამ	180
ჯეიმზ ჯოისი. ულისი. რომანი. ინგლისურიდან თარგმნა ნიკო ყიასაშვილმა	171
ნოვალისი. სუბიულია და ვარდგოგორის ზღაპარი. თარგმნა მზია ებრაელიძემ	208
ანდრეს ბკინი. აკადემიკოსის მოკლე მოგზაურობა. ფან- ტაზიკური მოთხრობა. ესტონურიდან თარგმნა ამირან კალაძემ	211
ჯონ მთისფილდი. დასავლეთის ძარი. ლექსი. ინგლისურიდან თარგმნა თამარ ცოფურაშვილმა	218
ფირდოუსი. შიი-შაუსი. გაგრძელება. სპარსულიდან თარგმნა ბელა შალვაშვილმა	218
რინო ლარდერი. ერთი დღე კონკრეტ ბრინთან. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ნუგზარ რუხაძემ	238
ალექსანდრე ჯარნიკი. ლექსები. თარგმნა დავით კვიციანიძემ	247
ირინა ვილდე. იუდაიკის და. მოთხრობა. თარგმნა მამუკა ციციანიძემ	250

წერილები

პირმა ვესე. ჩემი ცხოვრების მოკლე აღწერა. გერმანიულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა	272
ვირჯინია ვულფი. ერთი ოთახი საკუთრად. ინგლისურიდან თარგმნა ინგა პაპავამ	282
ლია თაქვაკელია. საინტერესო ნაშრომი კოიტური თარგმანის შესახებ	298
დალი ჯღარკაძე. კოლ ვალების დრამატურგია და ფიქრები თეატრზე	301
ლევან ბრეგვაძე. „მარტის მკვლელობის“ ქართული თარგმანი	307
ნანა გაფრინდაშვილი. მარია იძელი. ლიტერატურულ ურთიერთობათა თეორიის ზოგიერთი საკითხი	312
ჯ. ლ. ლორერი. ეშვრის საფარო. ინგლისურიდან თარგმნა ირმა ქავთაშვილმა	319

მთავარი რედაქტორი:
მურმან მათავერიანი

პ. მგ. მდივანი:

ნანა ღარჩია

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი

ჯამალ აჯიაშვილი

გიორგი ბაქანიძე

მზია ბაჭრაძე

ბატანა გრეგუაძე

მურაზ გოგიაშვილი

მაგალი თოღუა

ნოდარ ქაბაბაძე

ზურაბ კიკნაძე

ვახუშტი კოტეხიშვილი

რომან მიმინოშვილი

გიორგი ნიშინიანი

ოთარ ნოდია

დალი ფანჯიკია

რუსუდან შავულაძე

იორაზ ქენეკბელიძე

ნიკო ურასაშვილი

გივი ქნელაძე

დავით წერეთელი

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წიგწივაძე

რეზო მათავერიანი

«САУНДЖЕ»

ДВУХМЕСЯЧНЫЙ

АЛЬМАНАХ

ВСЕМИРНОЙ

ЛИТЕРАТУРЫ

НА

ГРУЗИНСКОМ

ЯЗЫКЕ

№ 1

1984

СОЮЗ

ПИСАТЕЛЕЙ

ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ

РЕДАКЦИОННАЯ

КОЛЛЕГИЯ ПО

ХУДОЖЕСТВЕННОМУ

ПЕРЕВОДУ

И

ЛИТЕРАТУРНЫМ

ВЗАИМОСВЯЗЯМ

გარეკანზე: მორიხ კორნელის ეზოში. „შემოქმედი ხალხი“

მხატვრული რედაქტორი ან. თოდრაძე. მხატვარი ა. ვართაგვი. ტექნიკური რ. იმნაიშვილი.
გამომშვენი ნანა ხართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დარბაზის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გოდ. წარმ. 28. X. 83 წ., ხელმოწ. დისამბეჭდად 25. I. 84 წ., ჯალალდის ზომა 70 X 108¹/₃₂
სააღრ. თ. 23,13. სესტ. თ. 28. საღებავის გიტ. 29. ტირ. 10.000. შეკვ. № 2496.
ფასი 1 მან. სი კაპ.

საქ. კა ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

თოგან პელორი

ამგავნი მეთე ართურის ზეოგისა



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ელგუჯა მალრაძემ

თავი მეთხუთე

როგორ გახალა სერ ლანსელოტმა სერ ლა გოტი პენდრაგონის ციხის მკაბრინოდ და როგორ აკურთხის მირა სერ ლა გოტი კონკია მრგვალი მაგიდის რაინდად

სერ კე-სენეშალი და სერ ბრანდელი პლენორიუსის გამაგრებულ ხიდ-სიმაგრეს ესტუმრნენ. მეფე ართურის რაინდებმა იქ ათი დღე დაჰყვეს და შემდეგ ციხიდან წაგინდნენ.

როცა სერ ლანსელოტმა პენდრაგონის ციხეს ჩაუარა, სერ ბრიან-კუნძულელი თავისი საბრძანებლიდან განდევნა, რადგან სერ ბრიანმა მეფე ართურის სამსახური არ ისურვა. სერ ლანსელოტმა პენდრაგონის ციხე და მისი შემოგარენი სერ ლა გოტი შეილტეილს უბოძა. შემდეგ სერ ლანსელოტმა კაცი გაუგზავნა და თავისთან იხმო სერ ნეროვენსი, რომელიც ოდესღაც თვითონ აკურთხა რაინდად და სერ ლა გოტის ციხისა და მიწების მოურაგად დანიშნა. ყველაფერი რომ მიაწყ-მოაწყვეს, გეზი მეფე ართურის სასახლისაკენ აიღეს.

ორმოცდაათთა მორიგ დღესასწაულზე პლენორიუსიც აკურთხეს მრგვალი მაგიდის რაინდად. მაშინ კი სერ ლა გოტი შეილ ტეილ კონკიამაც დაიბრუნა თავისი ნამდვილი სახელი, სერ ბრიუნ შავი, და ისინი მრგვალი მაგიდის რაინდებად ეკურთხნენ.

მეფე ართურმა ორივეს ვრცელი მიწები უბოძა.

სერ ბრიუნ შავმა შეირთო ქალწული მალდიზანტა, რომელსაც იმ დროისათვის უკვე ერქვა ქალბატონი ბოვივანტა ზნეკეთილი. მაგრამ ბრიუნ შავს შემდეგაც ხშირად ეძახოდნენ ლა გოტი შეილ ტეილ კონკიას, მან ხომ ამ სახელით განითქვა სახელი, როგორც ძღვევამოსილმა რაინდმა, და ბევრი სახელოვანი საგმირო საქმე ჩაიდინა. სერ პლენორიუსმაც კეთილ რაინდად გამოიჩინა თავი, მამაცი რაინდის სახელი დაიგდო და დიდი დიდება მოიხვეჭა.

ისინი მთელ სიცოცხლეში თან ახლდნენ სერ ლანსელოტს და მას ემსახურებოდნენ. სერ პლენორიუსის ძმებიც ართურ მეფის რაინდები გახდნენ. ფრანგულ წიგნში არც ისაა დავიწყებული, რომ სერ ლა გოტმა მამის სისხლი აზღვევინა მესისხლეთ.

* ვაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ №№ 4, 5, 6. 1983 წ.

ქ. შათაბაძის სახ. საპ. სსრ
თავისებურ რესპუბლიკა



რეზორ გაუზავნა შუგინიერმა იზოლდამ თავისი მოახლის ბრანგვეინის ხალხით
წინაღობის სარ ტრისტრამს, აგრეთვე სარ ტრისტრამის სხვადასხვა მომხრეების აგზავნა
განსჯილნიყნა

ახლა ჩვენ დავტოვებთ სერ ლანსელოტ ტბელს და სერ ბრიუნს. ზედწოდებით
ლა გოტ მეილ ტეილს და დავუბრუნდებით სერ ტრისტრამ ლითონებს,
რომელიც ბრეტანში ცხოვრობდა და რომელსაც თეთრხელებიან იზოლდასთან
ქორწინების გამო მშვენიერმა იზოლდამ თავისი პირისფარეშის ბრანგვეინის
ხელით ისეთი სიბრალულის მომგვრელი წერილი გაუგზავნა, როგორც კი შე-
იძლება კაცმა წარმოიდგინოს და დაწეროს. ბოლოს იმასაც კი წერდა: თუ სერ
ტრისტრამი მოინებებს, შეუძლია, სასახლეში შესტუმროს და თან თეთრხელები-
ანი იზოლდაც იასლოს. არაფერს გავუჭირვებ და ჩემზე კარგად ვაცხოვრებო.

მაშინ სერ ტრისტრამმა თავისთან დაიბარა სერ კეიპიდინი და ჰკითხა, ხარ
თუ არა თანახმა, რომ საიდუმლოდ კორნუელის სასახლეში გამყვეო. ამაზე თეთ-
რხელებიანი იზოლდას ძმამ უპასუხა, მზად ვარ გამოგყვე, როცა მეტყვიო. მა-
შინ უბრძანა, ერთი პატარა გემი გაამზადეო ფარულად; ამ გემში ჩასხდნენ სერ
ტრისტრამი, სერ კეიპიდინი, ბრანგვეინი და გოვერნალი, ტრისტრამის საჭურ-
ველთმტვირთველი.

ღია ზღვაში რომ გავიდნენ, პირქარმა დაუქროლა და გემი ჩრდილოეთ
უელსის ნაპირებისაკენ მიაგდო, იქ კი დაღუპული ტყის მახლობლად, ნაპირ-
ზე გარიყა. მაშინ სერ ტრისტრამმა თქვა:

აქ დამელოდეთ ათი დღე და ჩემი საჭურველთმტვირთველი გოვერ-
ნალიც თქვენთან დარჩეს. თუ ამ ხანში ვერ დავბუნდი, უმოკლესი გზით გას-
წიეთ კორნუელისაკენ. ჩემი აქ დარჩენის მიზეზი უბრალო და მარტივია. გამი-
გონია, ამ ტყეში მრავალი სასწაულის ხილვა შეიძლება და მრავალ განსაცდელ-
საც გამოივლასო კაცი. ზოგი მათგანი პირადად მინდა ვიხილო და გამოვცადო.
როცა შევძლებ, მეც უკან გამოგყვებით.

ამის შემდეგ სერ ტრისტრამი და სერ კეიპიდინი ცხენებზე შესხდნენ და თა-
ნამგზავრები მიატოვეს. აი, გაიარეს ერთი მილი, გაიარეს მეორე და ხედავენ:
ზის ნაკადულის პირას უცხო რაინდი, ჩინებული აბჯარი ასხია, გვერდით კი მუ-
ხაზე მიხმული მისი საომარი ცხენი დგას. შორიახლოს ვილაც მხედარი იმ რა-
ინდს ელოდება და თან დასადავებელი, შუბებით დატვირთული ცხენი ჰყავს.
დაბლა მჭდომი რაინდი დაღვრემილი და ჩაფიქრებულია. სერ ტრისტრამი მი-
უახლოვდა და ეუბნება:

— კეთილო რაინდო! რისთვის მოგიწყენიათ ასე? ჩავშანსა და სამოსზე
გეტყობათ, მოხეტიალე რაინდი უნდა იყოთ. ამიტომ წამოდექით და ერთ-ერთ
ჩვენგანს შეეებით, ან, თუ გნებავთ, ორივეს.

რაინდმა ხმა არ ამოიღო, მხოლოდ წამოდვა, ფარი მკერდზე დაიკიდა, ცხენ-
თან მივიდა, უცებ შეჯდა, საჭურველთმტვირთველს შუბი გამოართვა და საბრ-
ძოლველად საჭირო მანძილზე გაინაწარდა. მაშინ კეიპიდინმა ტრისტრამს სთხო-
ვა, პირველად ბრძოლაში მე გამიშვიო.

— სერ, გამოიჩინეთ თავი! — დაეთანხმა სერ ტრისტრამი.
პირველსავე შეჯახებაზე სერ კეიპიდინმა უნაფირზე თავი ვერ შეიმაგრა,

გადმოვარდა, თან მძიმედ დაიჭრა მკერდში, ძუძუს ზემოთ. მაშინ სერ ტრისტრამმა თქვა:

— აბა, რაინდო, ეს უნაკლოდ გააქეთეთ! ახლა კი ჩემთან სცადეთ ჩვენი ჩელოვნება!

— სერ, მე მზად ვარ, — მიუგო რაინდმა.

უფრო მძიმე შუბი აიღო და სერ ტრისტრამს შემოუტია. ბუნდურად შექმნილი ვევისა და თავისი უდიდესი ძალის წყალობით მან სერ ტრისტრამიც ცხენიდან გადმოაგდო და მიწაზე დასცა. შერცხვა ტრისტრამს, სირცხვილით დაიწვა, სასწრაფოდ გაითავისუფლა ფეხები, ფარი აღმართა და ხელი ხმალს იჭრა. რაინდული ღირსებით მოსთხოვა სერ ტრისტრამმა იმ რაინდსაც, ქვედათა შეშვენი.

— სიამოვნებით, — მიუგო რაინდმა.

იგი დაქვეითდა, ცხენი განზე გაიყვანა, ფარი იფარა, მახვილი იშიშველა და დაიწყო ხელჩართული ბრძოლა, რაც კარგა ორი საათი გაგრძელდა. ბოლოს სერ ტრისტრამმა ჰკითხა:

— ძვირფასო რაინდო, წუთით შეაჩერე შენი მახვილი და გამაგებინე, საიდან ხარ, რა გქვია სახელად.

— ჩემი სახელი ჩემი ნებაა: მინდა ვიტყვი, მინდა გავჩუმდები. მაგრამ თუ თქვენს სახელს მეტყვით, იქნებ ჩემიც გითხრათ.

თავი მეთერთმეტი

როგორ შეხვდა სერ ტრისტრამი სერ ლამორაკს უელსელს, როგორ შეიბნენ, შემდეგ კი მოილაპარაკეს, ალარასოდეს ვეზროდნოდით ერთმანეთს

— რატომაც არა, ძვირფასო რაინდო, — მიუგო, — ჩემი სახელია სერ ტრისტრამ ლიონელი.

— სერ, ჩემი კი სერ ლამორაკ უელსელი.

— აჰ, სერ ლამორაკი! — შესძახა სერ ტრისტრამმა, — კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა! აბა გაიხსენე, როგორ გამოგზავნე მეფე მარკის სასახლეში ჯადოსნური ყანწი, რათა ჩემთვის ლახვარი ჩაგეცა ზურგში და შეგერცხვინა ჩემი დედოფალი მშვენიერი იზოლდა. ამიტომ იცოდე, — განაგრძო სერ ტრისტრამმა, — ვიდრე გავიყრებოდეთ, ერთი ჩვენგანი მოკვდება.

— სერ, — თქვა ლამორაკმა, — მაგრამ, კუნძულ სერვაფზე რომ ერთად ვიყავით და მეგობრობას დამპირდით?

მაგრამ სერ ტრისტრამს არც მოუსმენია მოწინააღმდეგის სიტყვები, მან გაშმაგებით შეუტია ამოღებული მახვილით სერ ლამორაკს, და მათ ხმლებს მანამ გაჰქონდა ჟღერიალი, ვიდრე ორივეს ძალა გამოეღოდათ. მაშინ სერ ტრისტრამმა უთხრა ლამორაკს:

— ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს რაინდი, რომ ასე მძლავრად, ასე დიდხანს იბრძოდეს და სუნთქვა არ შეეკრას. ამიტომ დასანანი იქნებოდა, აქ ერთი ჩვენგანი დაცემულიყო.

— სერ, — მიუგო სერ ლამორაკმა, — თქვენი დიდება ისე შორსაა გავარდნილი, მზად ვარ თავი დამარცხებულად ვცნო და დაგნებდეთ, — ამ სიტყვებზე ხმალი ვადით სერ ტრისტრამს გაუწოდა.

— არა, — უთხრა ტრისტრამმა. — ეს არ მოხდება, მე ხომ ვიცი, რომ

ხმალს მბარებთ არა ჩემდამი კრძალვისა და შიშის, არამედ თქვენი რაინდული თავაზის გამო.

ამასთან სერ ტრისტრამმა თავისი ხმალი გაუწოდა და უთხრა:

— სერ ლამორაკ, თქვენთან ორთაბრძოლაში დამარცხებული, ვაბარებთ ჩემს ხმალს, უკეთილშობილესსა და უმამაცესს იმ ადამიანთან შორის, რომელთაც შევხვედრივარ.

— არა, — შორს დაიჭირა ტრისტრამის ნათქვანი ლამორაკმა, — ვიჩენ დიდსულოვნებას: მოდიო, ფიცი დავდოთ, რომ ერთმანეთს აღარ შევებრძოლებით.

ასეთი ფიცით შეიკრა ეს ორი სახელოვანი რაინდი.

თ ა ვ ი მ ა თ ო რ ა მ ა ტ ი

როგორ მისდევდა სერ პალომიდი მკრძღვინავ მხაცს და ერთი უშუბით როგორ დასცა მიწაზე სერ ტრისტრამი და სერ ლამორაკი

ამ დროს წინ ჩაუქროლათ სერ პალომიდმა, დიდმა რაინდმა, იგი კვალში ედგა მბრდღვინავ მხეცს, რომელსაც ერთი შეხედვით, თითქოს გველის თავი ჰქონდა, ჭიქის ტანი, ლომის ნაკუთალები, ირმის წვივები. დაღებული პირიდან ამოსდიოდა სმენად საშიში ღრენა-ბრდღვინვა, გვეგონებოდათ, გვამში ორმოცი ქოფაკი ჰყავსო გამომწყვდეული. ეს ხმა იყო მუდმივი თანამგზავრი ამ მხეცისა. მთელი თავისი სიცოცხლე დასდევდა ამ ნადირს სერ პალომიდი, რადგან ეს იყო მისი რაინდული დანიშნულება. ასე მოსდევდა მხეცს პალომიდი ახლაც. მხეცმა ტრისტრამს ჩაუქროლა და მალე პალომიდიც გამოჩნდა. მოკლედ რომ მოვუკრათ, პალომიდმა ერთი შუბით მიწაზე დასცა ტრისტრამიცა და ლამორაკიც, შემდეგ კი ისევ გააქროლა ცხენი იმ მხეცის კვალზე, რომელსაც ერქვა ბუტ გლატისანტი; ორივე რაინდი კაბრაზით გადარეული დარჩა: როგორ თუ სერ პალომიდი ქვეითად არ შეგვებრძოლაო. პატიოსანმა ადამიანებმა კი უნდა იცოდნენ, რომ ქვეყანაზე არ გაჩენილა ისეთი ადამიანი, რომელიც ყოველთვის იმარჯვებს, ერთხელაც იქნება ბედი უმუხბოლებს; ისეც ხდება ხოლმე, რომ რომელიმე სუსტი რაინდი იმარჯვებს ბრძოლაში იმაზე, ვინც მასზე ძლიერია.

ამის შემდეგ სერ ტრისტრამმა და სერ ლამორაკმა ფარზე დააწვივნეს სერ კეიპიდინი, ასწიეს და მეტყვევის ქოხში მიიყვანეს, მის ზრუნვას მიანდეს და თვითონაც იქ დაჰყვეს სამი დღე.

ბოლოს შესხდნენ ცხენებზე და გზაჯვარედინზე ერთიმეორეს დაემშვიდობნენ. სერ ტრისტრამმა სერ ლამორაკს უთხრა:

— თუ სერ პალომიდთან შეყრა მოგიხდეთ, გთხოვთ გადასცეთ, რომ მიპოვის იმავე წყაროსთან, სადაც უკანასკნელად შევხვდით, და მაშინ მე, სერ ტრისტრამი ვაჩვენებ, რომელი ჩვენგანია უკეთესი რაინდი.

ასე დაშორდნენ და თავთავიანთი გზებით გაჰქუსლეს. სერ ტრისტრამი უკან გაბრუნდა სერ კეიპიდინთან, ხოლო სერ ლამორაკი დიდხანს მიაქროლებდა ცხენს, ვიდრე სამლოცველოსთან არ მივიდა. აქ კი ცხენი საბალახოდ გაუშვა.

უცებ იმავე ველზე გამოჩნდა სერ მელიგანსი, მეფე ბაგდემაგუსის შვილი, ამანაც მიუშვა ცხენი საძოვარზე, ისე რომ, სერ ლამორაკი არც შეუმჩნევია. რაინდმა სერ მელიგანსმა ხმამაღლა დაიწყო გოდება და ჩივილი თავის სავალალო სიყვარულზე და ეს ჩივილი ძალზე გულსაკლავი იყო. თურმე დედოფა-

ლი გვინივერა ჰყვარებოდა. სერ ლამორაკმა ყველაფერი მოისმინა. დილით ადრე ცხენს მოახტა და თავისი გზით გასწია. უსიერ ტყეში ორი ამხედრებული რაინდი დალანდა.

— ძვირფასო რაინდებო! — მიმართა მათ სერ ლამორაკმა, — რა მიზეზია, აქ რომ დგახართ და იცდით? იქნებ მოხეტიალე რაინდები ხართ და შევითხვევას ელით, რომ ვინმეს შეებრძოლოთ? თუ ასეა, იცოდეთ, მზად ვარ გეგმსახუროთ.

— არა, სერ რაინდო, — უბასუხეს, — აქ იმისათვის კი არ დავიმაღეთ, რომ თქვენ შეგებათ, ჩვენ ველოდებით ერთ რაინდს, რომელმაც ძმა მოგვიკლა.

— რომელია ის რაინდი, ვისაც ელოდებით?

— სერ, — უბასუხეს, — ესაა სერ ლანსელოტი, რომელსაც მოგვკლავთ, აქ თუ გაივლის.

თ ა ვ ი მ ი ც ა მ ი ტ ა მ ი თ ო თ ხ მ ი ტ ი

როგორ უნდა სერ ლამორაკი სერ მელიგანსს და როგორ ებრძოდნენ ერთმანეთს ისინი დასამტკიცებლად, ძალბატონი გვინივერა უფრო ლაგაზია იმ მორგაუზა ორკნელი

ასეთ საუბარში იყვნენ, როცა ლამორაკმა შეამჩნია, რომ სერ ლანსელოტი პირდაპირ მათკენ მოაგელვებდა ბედაურს. იგი სერ ლანსელოტის შესახვედრად გაეშურა, მიესალმა, იმანაც სალამი უთხრა, შემდეგ კი ლამორაკმა ჰკითხა, ამ მხარეში ჩემი სამსახური ხომ არ გესაჭიროებათ.

— არა, გმადლობთ, — მიუგო სერ ლანსელოტმა, — ჯერჯერობით გასაჭირი არ მადგას.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს. სერ ლამორაკმა იქით მხარეს გააბრუნა ცხენი, სადაც ის ორი რაინდი იყო ჩასაფრებული, და აშკარად შეამჩნია, რომ ისინი ბუჩქებს უკან ცდილობდნენ მიმალულიყვნენ.

— სირცხვილი თქვენი! — თქვა სერ ლამორაკმა, — ლაჩრებო და მუხანათებო! სირცხვილი და საცოდაობაა, რომ თქვენნაირმა მხდლებმა მაღალი რაინდული ორდენის კურთხევა მიიღეთ! — მერე ცხენი გააჭროლა და მალე ისევ გადაეყარა სერ მელიგანსს. სერ ლამორაკმა ჰკითხა, ასე რისთვის გიყვარსო დედოფალი გვინივერა.

— ამას იმიტომ გეკითხებით, რომ სამლოცველოსთან თქვენ ახლოს აღმოვიჩნდი და მოვისმინე თქვენი სატრფიალო ურვის ამბავი.

— აჰა? — შესძახა სერ მელიგანსმა, — ჩემს სიტყვებზე უარს არ ვიტყვი. არ გადავფიცავ, მე მიყვარს დედოფალი გვინივერა!

— მერედა, რა აზრი აქვს თქვენს სიყვარულს?

— ამ სიყვარულის გულისათვის მე მზადა ვარ, ვისაც გნებავთ, იმას შეგება და დავამტკიცო, რომ ქვეყნად ყველა ქალთაგან ულამაზესი დედოფალი გვინივერაა.

— რაკი საქმე საქმეზე მიდგა, — მიუგო ლამორაკმა, — არ გეთანხმებილ, რადგან ის კი არა, დედოფალი მორგაუზა ორკნელი, სერ გავეინის დედაა ქვეყნად ყველა ქალზე მშვენიერი.

— ეგ არაა მართალი, — მიუგო სერ მელიგანსმა, — ამას იარაღით დავიმტკიცებთ.

— ხედავთ? — გაიოცა ლამორაკმა, — ჩემთვის კიდევ უფრო უბრალო მიზეზიც კმარა, რომ შეგებათ.

ბრაზით აჭარხლებულნი განშორდნენ ერთმანეთს და საბოლოოდ გაემზადნენ. მერმე შორით გამოქანებულნი ეტაკენ ერთმანეთს, ერთმანეთს მენმა იქუხაო, ისეთი ჯახანი გაისმა. ორივე ცხენმა ჩაიჩოქა და ცხენებზე ჩაჯდა. მხედრებმა მაშინვე დაიხსნეს თავი უზანგებიდან, ხმალდახმალ შეიბნენ, დიდხანს ელავდა მათი ხმლები, დიდხანს იყო ხმალთა კვესების ზმა. გამძვინვარებული ტახები გეგონებოდათ. სერ მელიგანსი ძლიერი რაინდი იყო და განუზომელი ძალა ჰქონდა, მაგრამ სერ ლამორაკი მაინც ავიწროვებდა და ნაბიჯ-ნაბიჯ ახვეინებდა უკან. მძიმედ დაჭრალი კი იყო ორივე.

ვიდრე ისინი ამ ყოფაში იყვნენ. იქ ისევ გამოიარეს სერ ლანსელოტმა და სერ ბლეობერისმა. სერ ლანსელოტმა მებრძოლნი შეაჩერა, ცხენით ჩაუდგათ შუაში და, რამ წაგაჩხუბათო, ჰკითხათ, რადგან ორივე ართურის კარის რაინდებად შეიცნო.

— სერ, — წმოიწყო სერ მელიგანსმა, — მე მოგახსენებთ ჩვენი დავიდარების მიზეზს. ჩემს დედოფალს ვაჭებდი, გვინივერას ის კი არ დამეთანხმა და თქვა, რომ ქვეყნად ულამაზესი დედოფალი გვინივერა კი არა, დედოფალი მორგაუზა ორკნეელია, რომელიც მშვენებით დადად აღემატება დედოფალ გვინივერასო.

— აჰა! — თქვა სერ ლანსელოტმა, — რატომ სჩადი უსამართლობას, სერ ლამორაკ? რაინდს არ შეშვენის თავისი გულის მურაზის ქება-დიდება იმ არსებასთან შედარებისას, ვის წინაშეც მას მოვალეობის გრძნობა აკისრია. დედოფალ გვინივერას ჩვენ ყველანი საქმით უნდა ვემსახუროთ. — აქ სერ ლანსელოტი დაქვეითდა და განაგრძო, — რაკი მაინც არ იშლი, გადმოხე ცხენიდან და მე დაგიმტკიცებ, რომ ქვეყნად ყველა ქალზე ლამაზი დედოფალი გვინივერაა და იგი თავისი სიკეთითაც ყველა ქალს აღემატება.

— სერ, — მიუგო ლამორაკმა, — ასეთა დავის გულისათვის თქვენთან შებმა არც სულს ეცხება და არც გულს. ყველა ხომ იმ ქალს აღიღებს, რომელიც მას უყვარს, მეც ჩემსას ვაჭებ და ამან არ უნდა გამოიწვიოს თქვენი რისხვა. ჩვენი დედოფალი გვინივერა თქვენს თვალში ულამაზესია, მაგრამ იცოდეთ, რომ ჩემს თვალში ულამაზესია დედოფალი მორგაუზა ორკნეელი. ასევე ყველა რაინდს თავისი სატრფო მიაჩნია ულამაზესად. იცოდეთ, ქვეყნად მთარულ ყველა რაინდს შორის ყველაზე ნაკლებად ვისურვებდი ბრძოლას თქვენთან, ასევე არ მიველტვი სერ ტრისტრამთან შებმას. მაგრამ თუ ძალიან გსურთ ჩემთან შეტაკება, მზად ვარ გემსახუროთ, რამდენადაც შევიძლებ.

აქ სერ ბლეობერისი ჩაერია და თქვა:

— ჩემო ლორდო სერ ლანსელოტ, არასოდეს მინახავს, რომ თქვენ ასე არავინივრულად იქცეოდეთ, როგორც ახლა იქცევით. სერ ლამორაკი რასაც ამბობს, მართალია, და ამბობს გაბედულად და რაინდულად. აი, მეცა მყავს ჩემი გულის რჩეული და ქვეყნად ყველაზე ლამაზად ის მიმაჩნია. განა ამისათვის ჩემზე ნაწყენი უნდა იყოთ? თქვენ იცით, სერ ლამორაკი უკეთილშობილესი რაინდია და ის მუდამ თქვენი პატივისმცემელი მეგობარი იყო. ამიტომ გთხოვო, უარხეთ მეგობრებად!

მაშინ სერ ლანსელოტმა თქვა:

— სერ, მაპატიეთ უსამართლო სიტყვები და წყენა. რაკი უგუნურად მოვიქეცი, მზად ვარ პატიება გთხოვოთ.

— სერ, — მიუგო ლამორაკმა, — მე მუდამ მზად ვარ თქვენდა სამსახურად.

ამის შემდეგ სერ ლანსელოტმა და სერ ბლეობერისმა ცხენები გააქროლეს, ხოლო სერ ლამორაკი და სერ მელიგანსი ბრძოლას მოეშვენენ და სხვადასხვა მხარეს წავიდ-წამოვიდნენ.

მოკლე ხანში მოხდა ისე, რომ სერ ლამორაკი გზად შეხვდა მეფე ართურს, მოუხდათ შეტაკება და მეფე ართურმა სერ ლამორაკი ცხენიდან ჩამოაგდო, ამასთან მძიმედაც დაჭრა შუბით, შემდეგ კი, თითქოს აქ არაფერი იყო, თავისი გზით გააქროლა მერანის, ხოლო სერ ლამორაკი ძლიერ განაწყენებული დარჩა, რომ ართურმა მასთან ქვეითად ბრძოლა აღარ ისურვა, რადგან რაინდმა მეფე ვერ იცნო.

თ ა ვ ი მ ე თ ხ უ თ მ მ მ

როგორ შეხვდა სერ ანი სერ ბრისტრამს და როგორ შეიზნან ისინი

აქ ეს ამბავი დროებით წყდება და ისევ გადავა სერ ტრისტრამზე, რომელიც ამხედრებული მიდიოდა და გზად სერ კეი-სენეშალს შეეყარა. სერ კეიმ ჰკითხა ტრისტრამს, საიდან ხარო, და სერ ტრისტრამმა მიუგო, წარმოშობით კორნუელელი ვაზლავარო.

— ჰო, რა თქმა უნდა, ასე იქნება, — მიუგო სერ კეიმ, — სიმართლე გითხრა, არასოდეს მსმენია, რომ კორნუელელი რაინდები კარგი მეომრები ყოფილიყვნენ.

— ჩინებული ნათქვამია, — უთხრა სერ ტრისტრამმა, — მაგრამ გთხოვთ, იუკეთილს ინებებთ, თქვენი სახელი მაჩუქოთ.

— სერ, იცოდეთ, ჩემი სახელია სერ კეი-სენეშალი.

— აჰ, სერ, აი, ვინა ყოფილხართ! — თქვა სერ ტრისტრამმა, — მაშ იცოდეთ, რომ ამჟამად ცოცხალ რაინდთა შორის ყველაზე უფრო უღირსის სახელი გაქვთ მოპოვებული. მართალია, ყველამ იცის, რომ გულოვანი მებრძოლი ხართ, შეუპოვარი და ხერხიანი. მაგრამ საერთოდ, მაინც მარცხიან მეომრად გთვლიან და ყიამყრალი ბრძანდებით.

ასეთ საუბარში მიდიოდნენ, გვერდიგვერდ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს და ერთ ხიდზე უნდა გაეგლოთ. ხიდის წინ მდგარმა ვრამა რაინდმა გზა არ მისცათ, ვიდრე ერთი თქვენგანი არ შემებრძოლებო, არ გაგატარებთო, უთხრა.

საბრძოლველად გავიდა სერ კეი და იმ რაინდმა ცხენიდან გადმოაგდო. მისი სახელი იყო სერ ტორი, იგი სერ ლამორაკის ძმა გამოდგა.

მერმე ხიდი გადაიარეს და ცხენები გააქროლეს. იარეს, ვიდრე შემოალამდებოდათ, მაშინ კი ლამის სათვევი მონახეს. ფუნდუკში მივიდნენ, იქ უკვე დახვდათ სერ ბლანდელი, მერმე სერ ტორიც შეუერთდათ. როცა ოთხივენი ვახშვად ისხდნენ, იმ სამმა ერთხმად დაიწყო კორნუელელი რაინდების ძაგება, ამბობდნენ ყველაფერ სისაძაგლეს, რისი მოფიქრებაც კი შესაძლებელია. სერ ტრისტრამმა ეს ყველაფერი მოისმინა, მაგრამ ცოტას ლაპარაკობდა, თუმცა ბევრს ფიქრობდა. ჯერ კიდევ არ უნდოდა ყველასათვის გაემჟღავნებინა თავისი ვინაობა. დილით კი იგი აღრე ადგა, ცხენს მოახტა, გავიდა და გზაზე გაუღარაჯ-

და. სერ ბრანდელმა სერ ტრისტრამი ორთაბრძოლაში გამოიწვია. შუბებით შეიბნენ და ტრისტრამმა ის მაშინვე ცხენიდან ჩამოაგდო. სერ ბრანდელთან ერთად დაეცა მისი ცხენიც.

სერ ტრისტრამს იმწამსვე შეება სერ ტორ-მეჯოვის შვილი, და სერ ტრისტრამმა ისიც დასცა. ამის შემდეგ ტრისტრამი თავის გზას დაადგა. სერ კეიმ გაყოლა მოიწადინა, მაგრამ ტრისტრამმა აღარ ისურვა მასთან მგზავრობა. მაშინ სერ კეისთან სერ ბრანდელი მივიდა და ჰკითხა:

— ძალიან მინდა ვიცოდე, ვინ არის ეს რაინდი?

— გამომყვეს ერთი თქვენგანი, — მიუგო სერ კეიმ, — დავეწვივად და ვკითხავთ, ვინ არის და რომელი კუთხის შვილია.

ცხენები გააქროლეს და მალე იპოვეს. წყაროსთან იჯდა, მუზარადი მოეხადა და იქიდან წყლის დაღევას აპარებდა. მაგრამ როცა მოახლოებული რაინდები დაინახა, ისევ დაიხურა, ღვედები შეიკრა, ცხენს მოახტა და ორთაბრძოლისთვის გამზადებული შეეგება.

— არა, — უთხრა სერ ბრანდელმა, — ჩვენ ეს-ეს არის შეგებრძოლეთ და ვერაფერი მოვიგეთ. ამისთვის არ დაგდევნებდით, რაინდის ღირსებას გაფიცებთ და გთხოვთ, გვითხარით თქვენი სახელი.

— ძვირფასო ლორდებო, რაკი ასეთია თქვენი სურვილი, თქვენს ცნობას მოყვარეობას დავაკმაყოფილებ და გეტყვით: სერ ტრისტრამ ლიონელი ვარ, მეფე მარკ კორნუელელის დისწული.

— ბედზე შემოგხვდით, — უთხრა სერ ბრანდელმა, — თქვენთან შეყრისა და თქვენი გაცნობის დიდი სურვილი გქონდა. ჩვენი მეგობრებიც ხალისით მიგიღებდნენ თავის წრეში, რადგან მრგვალი მაგიდის რაინდები ვართ და ქვეყნად ყველაზე მეტად ჩვენს წრეში თქვენი ყოფნა გვსურს.

— ო, — თქვა სერ კეიმ, — თუ თქვენ მართლა სერ ტრისტრამი ხართ, თქვენ ხომ ქვეყნად ყველაზე უფრო სახელთვან რაინდად ითვლებით, ოღონდ სერ ლანსელოტის შემდეგ, რადგან ცისქვეშეთში არ არის მეორე რაინდი, არც ქრისტიანი, არც წარმართი, სიქველეთ მისი ფარდი და ჯუფთი. მისი სადარი არც სახელ-დიდებით, არც მკლავთა ძლიერებით, არც პატიოსნებით არაინაა, რადგან ჯერ კიდევ ვერაფერ შეძლო მისი სახელის შებღალვა და ორთაბრძოლაში თავისი სახელის უკეთესობის დამტკიცება.

თ ა ვ ი მ ე თ ე მ ვ ს მ ე ბ ა

როგორ აღმოჩნდა მეფე ართურის უბედურ ტყვეში და როგორ იხსნა მისი სიცოცხლე სერ ტრისტრამმა

ახლა მოვისმენთ, რა მიზეზით მოხვდა მეფე ართური უბედურ ტყვეში, ჩრდილოეთ უელსში რომაა. ამისი მიზეზი იყო ქალი. იმ ქალის სახელი გახლდათ ანაურა. ართურ მეფეს იგი კარდიფში შეხვდა და სამიჯნურო დაპირებითა თუ მაცდური ხიმანკლობით უბედურ ტყვეში შეიტყუა. ეს ქალი დიდი ჯადოქარი გახლდათ, მეფე ართურისადმი იყო შენამსჯელები და მასთან სარეცელის გაყოფის მიზნით მივიდა იმ მხარეში.

ჰოდა, მეფე იმ ჯადოქარს გაჰყვა. უკან კი მათ მრავალი რაინდი აედევნათ: სერ ლანსელოტი, სერ ბრანდელი და ბევრი სხვაც.

ქალმა მეფე თავის კოშკში შეიყვანა, მრავალი ქალური ხერხი იხმარა და ცდილობდა გვირგვინოსანი თავის საწოლში ჩაეწვირა, მაგრამ ართურმა თავისი მანდილოსანი გაიხსენა და ვერავითარმა ჯადოქრობამ ვერ აიძულა, რომ ცთუნებას ატყუოდა. რაკი ვერ აცთუნა, ქალმა განიზრახა მისი გაგზავნა რაინდების თანხლებით იმ შავბედით ტყეში, რათა მეფე იქ დაღუპულიყო. დამცირებულს და შეურაცხყოფილ ანაურას, რაკი საწადელს ვერ მიაღწია, ახლა გადაწყვეტილი ჰქონდა უსათუოდ განსაცდელში ჩაეგდო მეფე და მზაკვრობით მოესპო მისთვის სიცოცხლე.

ტბის მფლობელმა ქალმა, რომელიც მუდამ ერთგული იყო მეფე ართურისა, თილისმის მეოხებით შეიტყო, რომ ართურს საფრთხე მოელოდა. ეს ქალი, სახელად ნინევა, იმ შავბედით ტყეში მივიდა, რათა სერ ლანსელოტ ტბელი ან სერ ტრისტრამი ებოვა და ეხსნათ მეფე ართური, რადგან იცოდა, რომ, თუ რომელიმე მათგანი არ მიეშველებოდა, ამ დღეს მეფე უსათუოდ უნდა დაღუპულიყო.

აი, მიჰყვება ნინევა გორაკებს და ხედავს, ცხენს მოაქვნიებს სერ ტრისტრამი. ქალმა მაშინვე იცნო და ეუბნება:

— აჰ, სერ ტრისტრამ, რა კარგია, რომ შემხვდით, დაე, იყოს დალოცვილი ჩვენი შეხვედრის ეს დღე და წუთი, რამეთუ ჩვენ თუ არა ვილონეთ რა, ორი საათის შემდეგ ამ უბედურ ტყეში მოხდება ყოველად სავალდლო და სამარცხვინო საჭმე, როგორც ამ ქვეყანაზე ოდესმე მომხდარა.

— კეთილო ქალწულო, — უთხრა სერ ტრისტრამმა, — ხომ არ შემიძლავს რითიმე დაგეხმაროთ?

— სწორედ რომ შეგიძლიათ, ამიტომ მომყევით და, რაც შეიძლება, იჩქარეთ. ქვეყნიერებას ყველაზე უფრო სახელოვანი რაინდი მძიმე განსაცდელშია და ჩვენ უნდა ვიხსნათ.

სერ ტრისტრამმა მიუგო:

— აი, მზად ვარ დაგეხმაროთ, თუ ის მართლა ისეთი სახელოვანი რაინდია. როგორც თქვენ ამბობთ.

— სერ, ის რაინდი მეფე ართური გახლავთ.

— ღმერთმა დაგვიფაროს! — შესძახა ტრისტრამმა, — ართური განსაცდელშია?

მაშინვე აფრინეს ბედაურები და სულ მალე ციხას გვერდით ნაგებ კოშკს მიაოგნენ. ციხის კედლის ძირას კი ერთი ქვეითად მყოფი რაინდი თავს იცავდა ორი ცხენოსანი რაინდის შემოტევისაგან. შეჩერდა სერ ტრისტრამი და კარგა ხანს შესცქეროდა, რით დამთავრდებოდა ეს უთანასწორო ბრძოლა. ბოლოს და ბოლოს იმ რაინდებმა ძირს დასცვეს კენტად მებრძოლი, მუზარადის ღველა გაუხსნეს, ლედი ანაურამ ხმალი ასწია, რომ მისთვის თავი მოეკვეთა. ეს იყო ართურის ხმალი. ახლა კი მთელი ძალით გაექანა მათკენ სერ ტრისტრამი და და შეუძახა.

— შორს ამ რაინდისაგან, მუხანათებო!

ამ სიტყვებზე ერთ რაინდს მახვილი მკერდში აძგერა და იქვე მოათავა. შემდეგ მეორეს მიუბრუნდა და ზურგი ორად გაუბო. ამასობაში ტბის მეპატრონე ქალმა ართურს მიაძახა:

— არ გაუშვათ ეს ვერაგი მოლალატე!

მაშინ ტრისტრამის მაგიერ იმ ჯადოქარს ართური დაედევნა, დაეწია და

თავი მოჰკვეთა. ტბის მეპატრონე ქალმა კი მოკვეთილი თავი ხშირად ასწია და უნაგირის ტახტას მიაბა.

ამის შემდეგ ტრისტრამმა ართურს ცხენი მოჰგვარა, ზედ შესვა და გზას ერთად გაუდგნენ. ტრისტრამმა ტბის მფლობელს სთხოვა, ჩემს ვინაობას მეფის ჩერჯერობით ნუ გაუმხელო. ამხედრებულმა მეფემ მადლობა გადაუხადა ტრისტრამს და სახელიც ჰკითხა. ტრისტრამმა მხოლოდ ეს უთხრა: ერთი ღარიბი მოხეტიალე რაინდი ვარო. ასე მიჰყვებოდა იგი ართურს, ვიდრე მრგვალი მაგიდის რაინდები არ შემოვგებნენ.

პირველი შეეგებათ სერ ექტორ მენაპირე, მან ვერც ართური იცნო და ვერც ტრისტრამი. ერთ-ერთ მათგანთან ბრძოლაც კი ისურვა. გამოვიდა სერ ექტორის წინააღმდეგ სერ ტრისტრამი, თავს დაესხა და უნაგირიდან ჩამოაგდო. ამ საქმეს რომ მოარჩა, ართურთან გამობრუნდა და უთხრა:

— ჩემო ლორდო, აგერ იქ თქვენი კარის ერთი რაინდია, იგი შეგიძლიათ იახლოთ. ჩვენ კი, იმედი მაქვს, როცა მეორედ მოგვიხდება შეხვედრა, მიცნობთ და გაიხსენებთ, რაც თქვენთვის მოვიმოქმედე, მე კი ჩემის მხრივ მუდამ მზად ვარ თქვენდა სამსახურად.

— ვაგლახ! — თქვა მეფე ართურმა, — გეთქვათ მაინც თვენი სახელი.

— სხვა დროს, — მიუგო სერ ტრისტრამმა.

ასე წავიდა სერ ტრისტრამი და მეფესთან სერ ექტორი დატოვა.

თ ა ვ ი მ ი ჩ ვ ი დ მ ე ბ ე

როგორ დაბრუნდა სერ ტრისტრამი ზომიერი იზოლდასთან, როგორ შეუხვდა სერ კეიპიდინს ზომიერი იზოლდა და რა წერილი წახა ტრისტრამმა

დანიშნულ დღეს სერ ტრისტრამი და სერ ლამორაკი ერთმანეთს წყაროსთან დათქმულ ადგილზე შეხვდნენ. მერმე შეუარეს სერ კეიპიდინს, რომელიც მეტყვევის ქოხში ელოდათ და მასთან ერთად გააქროლეს ცხენები ზღვის ნაპირისაკენ, სადაც მათი გემი იდგა და სადაც დატოვეს ქალი ბრანგვეინი და გოვერნალი. ყველანი ჩასხდნენ გემში და კორნუელისაკენ გაცურეს.

ბრანგვეინმა თავისი ნაცადი თვალითა და ყურით ყველაფერი შეიტყო და, როცა ნაპირზე გადავიდნენ, რაინდებს ურჩია, ჯერ დინას-სენეშალს, ტრისტრამის ერთგულ მეგობარს ხლებოდნენ, შემდეგ სერ დინასი და ქალბატონი ბრანგვეინი მეფე მარკის სასახლეში მივიდნენ და მშვენიერ იზოლდას მოახსენეს, სერ ტრისტრამი ამ მხარეშია, შენს მახლობლადო. გულწრფელი სიხარულისაგან იზოლდას გული წაუვიდა, ხოლო როცა ისევ დაუბრუნდა მეტყველების უნარი, ასე თქვა:

— ძვირფასო სენეშალ, დამეხმარეთ, რომ შევხვდე და დაველაპარაკო, თორემ სადაცაა გული გამისკდება და ეგაა.

მაშინ სერ დინასმა და ქალმა ბრანგვეინმა ტრისტრამი ფარულად მიიყვანეს სასახლეში და შეიყვანეს იქ, სადაც იზოლდამ დაუთქვა. სერ ტრისტრამისა და მშვენიერი იზოლდას მაშინდელ სიხარულს ვერც წიგნი გადმოგვცემს, ვერც წარმოვიდგენთ, ვერც კალმით ავწერთ და ვერც სიტყვით გამოვხატავთ. მაგრამ, როგორც ფრანგული წიგნი მოგვითხრობს, სერ კეიპიდინს პირველსავე შეხვედრაზე ისე შეუყვარდა დედოფალი იზოლდა, რომ მისი სახე ხსოვნიდან

ველარასოდეს მოიშორა. ბოლოს და ბოლოს, როგორც ამ წიგნის დასასრულამდე შეიტყობთ, სერ კეიპიდინმა იზოლდას სიყვარულისათვის სიკვდილი მოიმკო.

სერ კეიპიდინმა იზოლდასადმი ფარულად იწყო სასიყვარულო ურთიერთობა შეთხზული წერილების წერა და უზომოდ გამიჯნურებული, ყოვლად სრულყოფილ ბალადებს ქმნიდა. სიმართლე თუ გინდათ, ის ბალადები არაფრით არ ჩამოუვარდებოდა იმ პოეტურ ქმნილებებს, რაც მაშინ იწერებოდა. მშვენიერმა იზოლდამ მისი სამიჯნურო ჩივილი წაიკითხა, შეიცოდა და დაუფიქრებლად მისწერა ნუგეშის წიგნი.

სერ ტრისტრამი კი მთელი ამ ხნის განმავლობაში ფარულად იმყოფებოდა კომპიში და იზოლდაც, როგორც კი დროს იშოვიდა ხოლმე, მასთან გარბოდა.

ერთხელ მეფე მარკი იმ სამყოფელის ქვემოთ, პირდაპირ ქვეშ იმ ფანჯრებისა, სადაც იმ დროს იდგნენ სერ ტრისტრამი და სერ კეიპიდინი, ჭადრაკს თამაშობდა. საუბედუროდ მოხდა ისე, რომ სერ ტრისტრამმა ხელთ იგდო წერილები, რომელთაც კეიპიდინი სწერდა იზოლდას, აგრეთვე — იზოლდას პასუხიც. ამ დროს თვით იზოლდაც იმ სამყოფელში შევიდა მაშინ ტრისტრამი იზოლდას მიუახლოვდა და უთხრა:

ქალბატონო, აი წერილები, რომელნიც თქვენ მოგწერეს და აგერ თქვენი პასუხიც მის მიმართ, ვინც სასიყვარულო წიგნი მოგწერათ. ვაგლახ! ქალბატონო! მე ასე გულწრფელად მიყვარდით და თქვენი გულისათვის გამიწირავს მრავალი მამული, აურაცხელი სიმდიდრე! თქვენ კი მიმუხთლეთ და ამან დიდი ტკივილი მომაყენა. თქვენ კი, სერ კეიპიდინ, მე კეთილი გულით მოგიყვანეთ ამ მხარეში. მამათქვენის პოუელის გულისათვის ორთაბრძოლაში გავსულვარ, მიხსნია თქვენი სამეფო ბრეტანი, მე ჯვარი დავიწერე თქვენ დაზე, თეთრხელებიან იზოლდაზე, მაგრამ მაინც ჩემი მანდილოსნის ერთგული დავრჩი და თქვენი და ჩემგან ხელმოუკარებელი ისევ უცოდველი ქალწულია. იცოდეთ, სერ კეიპიდინ, თქვენი ვერაგობისა და ღალატისათვის სამაგიეროს გადაგიხდით!

ამ სიტყვებზე მანვილი იშიშვლა და შესძახა:

— სერ კეიპიდინ, თავი დაიცავით!

მშვენიერი იზოლდა ერთი შეტორტმანდა და გულწასული დაეცა.

ხედავს სერ კეიპიდინი, ტრისტრამი აღარ ხუმრობს, შიშველი მახვილით მოიწევს მისკენ და ხსნა აღარსაითაა. დაჰკრა ფეხი, ფანჯრიდან ისკუბა და დაბლა მეფე მარკს თავზე დაახტა. მეფე მარკს გაუკვირდა და იკითხა:

— ყმაწვილო, ვინა ხარ და რა მიზეზი გაქვს. ფანჯრიდან რომ ხტები?

— ბატონო მეფე, — მიუგო კეიპიდინმა, — შემთხვევით ჩამეძინა ზემო ფანჯარაზე, ავი სიზმარი ვნახე, ავბორჯდი და დაბლა გადმოვვარდა.

თ ა ვ ი მ ა თ ვ რ ა მ ე ტ ე

როგორ მიატოვა სერ ტრისტრამმა ტინტაჯილი, როგორ მოიცილა კაიშანა და ისე დიდხანს დაჰყო ბუფი, რომ შეიშალა

ასე იმართლა თავი კეიპიდინმა. ტრისტრამი კი შიშმა აიტანა, ვაითუ მეფე მარკმა ჩემი აქ ყოფნა შეიტყოსო. ამიტომ მაგარი ციხის გალავანში გადავიდა

და აბჯარში ჩაჯდა, რათა მზად დახვედროდა ყველას, ვინც მის წინააღმდეგ წამოვიდოდა.

როცა ნახა, მასთან შერკინებას არავინ აპირებდა, გოვერნალი/მოიხმო, ცხენი მოითხოვა, შეჯდა და აშკარად, რაინდულად გავიდა. *სიმკრძქვან, რომლის სახელიც იყო ტინტაჯილი.*

ზედ ჭიშკართან შემოეყარა სერ გინგალინი, სერ გავეინის შვილი. გინგალინიმა მაშინვე შუბი მოიმარჯვა და ტრისტრამს თავს დაესხა. მაგრამ შუბი იმწამსვე ნამსხვრევებად ექცა ხელში. ტრისტრამს კი ხელთ მხოლოდ მახვილი ჰქონდა. მან ისე ძლიერად დაჰკრა ხმალი მუზარადიან გინგალინს, რომ იგი ცხენიდან გადმოვარდა. ხელიდან ხმალი დაუცურდა და იმ ხმალია ცხენსაც კისერი გადაუჭრა. სერ ტრისტრამმა კი გზა განაგრძო და ტყეს შეერია.

ყველაფერი ეს თავისი თვალით ნახა მეფე მარკმა, მან მაშინვე პაუი გაგზავნა მიწაზე გართხმულთან და თავისთან დაიბარა. როცა გინგალინი გამოცხადდა, მეფემ იცნო იგი, მიესალმა, ახალი ცხენი უბოძა და შემდეგ ჰკითხა, ვინ იყო ის რაინდი, კარებში რომ შეგხვდაო.

— სერ, — მიუგო სერ გინგალინიმა, — მე არ ვიცი, ვინ არის ის რაინდი, მაგრამ ვიცი, რომ ცხენს მიაჭენებს და ღრმად დამწუხრებული გოდებს და ოხრავს.

ტყეში სერ ტრისტრამი მალე სერ ფერგუსს გადაეყარა და, როგორც კი თავისი წრის კაცი ნახა, მწარე ოხვრა-გოდებას მოჰყვა, მერმე ცხენიდან გადავარდა, გრძნობა დაკარგა და ასეთ ყოფაში სამ დღე და ღამეს იყო. როს გონს მოვიდა, ფერგუსი გაგზავნა სასახლეში, რათა იქაური ამბები გაეგო. წინ სერ ფერგუსს შემოხვდა ვიღაც ახალგაზრდა ქალი, რომლისათვისაც სერ პალომიდს დაევალებინა ტრისტრამის ადგილსამყოფელის დადგენა და იმისი შეტყობა, როგორ ცხოვრობსო. სერ ფერგუსმა იმ ქალს წვრილად ჩაუკენჭა ყოველივე და ისიც კი უთხრა, მწუხარებისაგან ცნობა დაკარგაო.

— ვაგლახ! — შესძახა ქალმა, — სად შემიძლია მისი ნახვა?

— ეგერ, ტყეში, — მიუგო ფერგუსმა.

თავის მხრივ სერ ფერგუსმა შეიტყო, რომ მოურევნელი სევდის და მწუხარებისაგან დედოფალი იზოლდა ლოგინად ჩავარდნილიყო და ისეთი სატანჯველით იდაგვოდა, რომლის მსგავსი იშვიათად თუ სწვევია ქვეყნად რომელიმე მანდილოსანს.

პალომიდისაგან წარმოგზავნილმა ქალმა კი თვითონ ნახა სერ ტრისტრამი, ვერაფრით ვერ შეუმსუბუქა მწუხარება და უსასოქმნილი თვითონაც ტყეებატირილს მოჰყვა. რაც უფრო მზრუნველად უვლიდა, ტრისტრამი მით უფრო მწარდებოდა. ბოლოს სერ ტრისტრამი ცხენს მოახტა და სადღაც გაეცალა. სამი დღის შემდეგ, როცა ქალმა მოძებნა და სასმელ-საჭმელი მიუტანა, აღმოჩნდა, რომ ტრისტრამს არც ერთი ახსოვდა და არც მეორე.

მეორედაც გაექცა იმ ახალგაზრდა ქალს ტრისტრამი და იმ კოშკის გვერდით გავლა მოუხდა, სადაც ოდესღაც ისა და სერ პალომიდი შეიბნენ და მათი ბრძოლა მშვენიერმა იზოლდამ შეაჩერა. საბედნიეროდ, სწორედ იმ ადგილას დაეწია ქალი და ნახა, როგორ ტიროდა და ვიშვიშებდა გამწარებული ტრისტრამი. ახალგაზრდა ქალწული კოშკის პატრონ ქალთან მივიდა და ყოველივე უამბო, რაც სერ ტრისტრამს გადახდა.

— ვაგლახ! — თქვა კოშკის პატრონმა, — სადღა ჩემი ბატონი ტრისტრამი?

— აქვე, თქვენი ციხის კედლებთან. — უპასუხა ქალწულმა.

— კიდევ კარგი, რომ აქვია, — თქვა ქალმა, — ჩემს სიახლოვეს რჩეული საჭმელი და სასმელი არ მოაკლდება. თანაც ჩემთანაა მისი ქნარები, რომლებიც დაკვრას ჰასწავლიდა ხოლმე. ტრისტრამი ხომ დახელოვნებული და დაკვრელია ქნარზე და ეს მთელმა ქვეყანამ იცის.

ორივე ქალი დატრიალდა, ნუგბარი საჭმელ-სასმელი მიუტანეს, მაგრამ ტრისტრამს ბევრი არაფერი უგემნია. იმავე ღამეს ცხენიც გაუშვა ნებაზე, აბჯარიც დააგდო და უღრან ტყეში უიარალოდ დაიარებოდა. ბუჩქებსა და ხის ტოტებს ამტვრევდა, ქნარს აკვნესებდა, დიდხანს იჯდა ხოლმე მარტო, უკრავდა და ტიროდა. ხშირად ტრისტრამი დიდი ხნით იკარგებოდა ტევრში და ქალებმა არ იცოდნენ, სად იყო. მაშინ კოშკის პატრონი თვით უკრავდა ქნარს და ქნარის ხმაზე ტრისტრამი გამოჩნდებოდა, უხმოდ უსმენდა ან თვითონ იწყებდა დაკვრას.

ასე გავიდა სამიოდე თვე, შემდეგ უსიერი ტევრიდანაც გაიქცა. კოშკის პატრონმა ქალმა დიდხანს ეძება მისი კვალნი და ასავალ-დასავალი. ის კი დაეხეტებოდა ნახევრად შიშველი, გასაცოდავებული და გამხდარ-გალეული. მწყემსებსა და მენახირეებს მიეკედლა, ლუკმას უყოფდნენ, მაგრამ, როცა მისი საქციელი მოუთმენელი იყო, კომბლებით სცემდნენ. თმა დუქარდით მოკრიჭეს და მასხარას დაემსგავსა.

თ ა ვ ი მ მ ც ხ რ ა მ ე ტ ი

როგორ აბანავა ნაპაღში ტრისტრამა დაბონები, როგორ გაგზავნა კალომიდი და როგორ ზამთარს კალი და როგორ ზამთარს კალომიდი მფვა მარტს

ერთ ელ კორნუელში მეფე ართურის მასხარა დაგონეტი ჩავიდა. იგი ორი პაჟის თანხლებით მივიდა იმ წმინდა წყაროსთან, სადაც ბოლო ხანებში სერ ტრისტრამი ატარებდა დღეებს. ცხელი დღე იყო, დაქვეითდნენ მოწყურებულნი და წყაროს წყალს დაეწაფნენ. ცხენები კი იქვე მიაბეს. ვიდრე წყალს სვამდნენ, ცხენებმა თავი გაითავისუფლეს და ბალახის წიწქას მოკყვნენ. სწორედ ამ დროს მგზავრებთან მივიდა სერ ტრისტრამი, უცებ სტაცა ხელი და ჯერ დაგონეტი გადაუშვა წყალში, შემდეგ კი ორივე პაჟი ზედ მიაყოლა. იქვე მწყემსები იდგნენ და სეირს უყურებდნენ. შემდეგ მასხარისა და პაჟების ცხენები დაიჭირა, აიძულა დასველებულები შემსხდარიყვნენ უნაგირგზე და ისე გასკლოდნენ. ტანსაცმელ-შემოხეულმა, დაბრენძილმა და ფეხშიშველამ გაატარა ნახევარი წელი ტყეში და ურთხელაც არ ჩასულა ქალაქში.

ამასობაში უკან დაბრუნდა ქალი, რომელსაც სერ პალომიდმა ტრისტრამის ძებნა დაავალა და რაინდს მოახსენა, რა შავ დღეშიც იყო ტრისტრამი.

— ვაგლახ! — შესძახა სერ პალომიდმა, — ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი კეთილშობილი რაინდი ქალის სიყვარულმა ასერიგად დატანჯა და მოაქცია. წავალ, ვიპოვი და ნუგემს ვცემ, რამდენადაც შემიძლია.

მშვენიერმა იზოლდამ სერ კეიპიგინს უბრძანა, კორნუელი მიატოვეთ. სერ კეიპიგინი გზას გაუდგა, გულმოკლული და მოვაგლახე. მოხდა ისე, რომ გზაში კეიპიგინი სერ პალომიდს შეხვდა და ერთად განაგრძეს გზა. ისინი ერთმა-

ნეთს შესწიოდნენ იმ უიღბლო სიყვარულის ამბავს, რითაც ორივე იტანჯებოდა იმ დღიდან, რაც მშვენიერი იზოლდა იხილეს.

— მოდიტ, წაეიდეთ სერ ტრისტრამის საძებნელად, — უთხრა სერ პალომიდმა. — მასაც ხომ ჩვენსავით უყვარს იზოლდა! ვეცადოთ, იქნებ განვაურნოთ და მოვარჩინოთ.

ტყვეს მიაშურეს, სამი დღე და ღამე ცხენებიდან არ გადმომხდარან, ისე გულმოდგინედ დაეძებდნენ სერ ტრისტრამს. შემთხვევით მათ მეფე მარკი გადაეყარათ. იგი მხლებლებს ჩამორჩენოდა და მარტო იყო. სერ პალომიდმა მაშინვე იცნო, სერ კეიპიდინს კი უცნობი ეგონა.

— აჰ, ვერაგო რაინდო! — მიაძახა სერ პალომიდმა, — სამწუხაროა, რომ შენ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ, რადგან შენ დაღუპე მრავალი სახელოვანი რაინდი. შენი შურისმაძიებლობით მიიყვანე დაღუპვამდე უბრწყინვალესი რაინდი სერ ტრისტრამ ლიონელი. თუ ძალგიძს, თავი დაიცავი, ახლა შენ უნდა მოკვდე!

— ეს სამარცხვინო საქციელი იქნება, — მიუგო მეფე მარკმა, — რადგან თქვენ ორივე შეიარაღებული ხართ, მე კი უიარალო გახლავართ.

— თუ მეტი არაფერია, ამას ვშველებ, — უბასუხა სერ პალომიდმა, — აგერ ჩემი მეგობრის აბჯარი აისხი.

— არა, — თქვა მარკმა, — თქვენთან ორთაბრძოლას არ გავმართავ, რადგან არა გაქვთ საამისო საფუძველი. მთელი უბედურება მოჰყვა იმ წერილებს, რომელიც სერ ტრისტრამმა შემთხვევით იპოვა. რაც შემეხება მე, მისთვის არავითარი ვნება არ მიმიყენებია და ღმერთია მოწმე, ძალიან ვწუხვარ მის სნეულებასა და უბედურებაზე.

ასე იმართლებდა თავს მეფე რაინდების წინაშე, და ასეთი მობოდიშების შემდეგ კიდევ დამეგობრდნენ. მარკმა ორივე თავის ციხესიმაგრეში დაპატიყცა ტინტაჯილში. მაგრამ სერ პალომიდი არ გაჰყვა, იგი ლოგრთა მიწისაკენ გაემართა. კეიპიდინმა კი თქვა, აუცილებელი საქმეების გამო ბრეტანში უნდა დავბრუნდეთ.

თ ა ვ ი ბ ე ო ც ა

როგორ დაჰვარდა ხმა, სერ ტრისტრამი მოკვდავ, და როგორ უნდოდა მშვენიერ იზოლდას თამის მოკვლა

ტრისტრამის ახლო ნათესავმა და უბოროტესმა მტერმა სერ ანდრეტმა თავის საყვარელს დაავალა: ხმა დააგდე, ვითომ სერ ტრისტრამთან იყავი და ის შენს ხელებზე მიიცივალაო. ამ მონაჭორით გამოცხადდა ეს დიაცი მეფე მარკის კარზე და ჰყვებოდა: სერ ტრისტრამი ჩემი ხელით მივაბარეო მიწას; სიკვდილის წინ კი მთხოვა, იქნებ ჩემი ანდერძი მეფე მარკს მიაწვდინო, რათა ჩემი ლიონის მიწები ჩემს ნათესავს სერ ანდრეტს მისცესო. ყველაფერი ეს სერ ანდრეტმა ჩააგონა თავის საყვარელს, რომ ტრისტრამის მამული ხელთ ეგდო.

როცა მეფე მარკმა ეს ამბავი მოისმინა, შეწუხდა და ტირილსა და ვაგლიხს მოჰყვა. დედოფალმა იზოლდამ ხომ კინალამ მწუხარებისაგან ჭკუა დაკარგა. ბოლოს კი გადაწყვიტა, ამა ქვეყანას გასცლოდა, რაკილა სერ ტრისტრამის გარეშე სიცოცხლე აღარ უნდოდა. აი, ერთხელ იზოლდამ ხმალი აიღო, ბაღში გაიტანა, ბებერი ქლიავის ტანში ისე გაუყარა, რომ მახვილი მეორე

— აი, იმ ტყეში, — მიუგო დინანტმა, — წმინდა წყაროსთან, სადაც ხშირად იყრიან თავს მოხეტიალე რაინდები. იქ ვნახე ის შეშლილი.

— აბა სამზადისს შევუდგეთ, — თქვა მარკმა, — მეც მინდა ეს შეშლილი ვნახო.

მეფემ თავის რაინდებსა და მონადირეებს უბრძანა, გაემზადებინათ, ორი დღის შემდეგ კი განაცხადა, ხვალ დილით სანადიროდ მივდივართ.

წყაროსთან რომ მივიდა, მეფემ დაინახა მძინარე, ტანად და პირად მშვენიერი შიშველი კაცი, გვერდით ხმალი ედო. მეფე მარკმა სანადირო ბუკი ააბმიანა, მონადირეები და რაინდები მოიხმო და უბრძანა, ეს ტიტველი კაცი აიყვანეთ და სასახლეში წამოიყვანეთ, ოღონდ რიდითა და თავაზით მოექცეთო. რაინდებმა იმ უცნობს თავიანთი მოსასხამები მოასხეს, ფრთხილად აიყვანეს და ზრუნვით ჩაიყვანეს ტინტაჯილში. იქ აბანოში დაბანეს, გაასუფთავეს, ჩააცვეს. ცხელი კერძი აჭამეს და ამასობაში, როგორც იქნა, მეხსიერებაც დაუბრუნდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ერთს არ უხსენებია სერ ტრისტრამი და წარმოდგენაც არ ჰქონდათ, ვინ იყო ის უცნობი.

რამდენიმე დღის შემდეგ დედოფლის ყურამდეც მიაღწია ტიტველი კაცის ამბავმა, რომელიც ტყეში ეპოვათ და მეფის ბრძანებით სასახლეში მოეყვანათ. მშვენიერმა იზოლდამ ბრანგვეინი დაიბარა და უბრძანა:

— ერთი მივიდეთ, დავხედოთ შეშლილს, რომლის მოყვანა ამ დღეებში ჩემს მეუღლეს მეფეს უბრძანებია ტყიდან.

ასე გამოვიდნენ სამყოფიდან, მოიკითხეს და ერთმა პაჟმა უთხრა, შეშლილი კაცი ახლა ბაღში წევს, მზეზე თბებაო.

როგორც კი დედოფალმა ტრისტრამს შეხედა, მაშინვე იცნო, მაგრამ ბრანგვეინს ასე უთხრა:

— რატომღაც მეჩვენება, რომ ეს კაცი უკვე რამდენჯერმე მინახავს.

სერ ტრისტრამმაც მაშინვე იცნო დედოფალი, სახე მიიბრუნა და ატირდა.

დედოფალს მუდამ თან ახლდა ფინია, რომელიც ტრისტრამმა კორნუელში ჩამოსვლისას აჩუქა. ეს ძალღიწველი არ სცილდებოდა ხოლმე მშვენიერ იზოლდას, მხოლოდ მაშინ თუ დატოვებდა, როცა მასთან ტრისტრამი იმყოფებოდა.

ეს ის ძალღიწველი იყო, რომელიც ოდესღაც საფრანგეთის მეფის ასულმა ტრისტრამს გამოუგზავნა, ნიშნად თავისი უდიდესი სიყვარულისა.

უცებ იმ პატარა ფინიამ სერ ტრისტრამის სუნი იკრა. მაშინვე ზედ შეახტა, დაიწყო წკმუტუნის, ლოკვა და სუნვა ყველგან, სადაც კი პირი მიუწვდებოდა, სახეზე, ხელებზე, ფეხებზე, ხელისგულებზე.

— ჩემო ქალბატონო! — შესძახა პირისფარეშმა ბრანგვეინმა, — ვხედავ, ეს ჩემი ბატონი სერ ტრისტრამია.

მაშინ იზოლდა გულწასული დაეცა და კარგა ხანს იწვა ასე, ხოლო როცა ღონე დაუბრუნდა, თქვა:

— ბატონო ჩემო ტრისტრამ! დაილოცოს უფალი, თქვენ რომ კვლავ ცოცხალს გხედავთ! მაგრამ ვუწყვი, ეს ძალღიწველი, რადგან ახლა არაფრისთვის არ მოგშორდებათ. ვიცი ისიც, რომ თუ მეფე მარკი თქვენს ვინაობას შეიტყობს, კორნუელის საზღვრებიდან თქვენს განდევნას ბრძანებს, ან სულაც სასიკვდილოდ გაგწირავთ. ამიტომ ღმერთს გაფიცებთ, ჩემო საყვარელო ბატონო, დაუთმეთ მეფე მარკს, გაეცალეთ და წადით ართურის სასახლეში, რად-

გან იქ თქვენ უყვარხართ, მე კი ყოველთვის მოგაწვდნით ამბავს და როცა ინებებთ, მინახულვით ხოლმე. თქვენი სურვილის მიხედვით მზად ვარ ვაგლო მსხვერპლი და ვიცხოვრო ისე ღარიბულად, როგორც არასოდეს არც ერთ დედოფალს და კეთილშობილ ქალს არ უცხოვრია.

— ქალბატონო! — მიუგო სერ ტრისტრამმა, — ზომშორღით, რადგან თქვენი სიყვარულისათვის გადამხდა მრავალი უბედურება და მწუხარება.

თავი ოცდამეორე

როგორ განდგნა მთა მარკვა კარისკაცების რხევითა და დასმენით სერ ტრისტრამი კორნუელიდან 10 წლის ვადით

დედოფალი წავიდა, მაგრამ ფინია დარჩა და როცა ტრისტრამთან მეფე და კარისკაცები შევიდნენ, ძირს გაწოლილმა ყველას ყეფა დაუწყო. მაშინ სერ ანდრეტმა თქვა:

— სერ, ეს კაცი სერ ტრისტრამია, ძაღლის საქციელიდან ჩანს.

— აბა, რას ამბობთ, — მიუბრუნდა მეფე, — აღისი დაჯერება შეუძლებელია, — შეშლილს მაინც ჰკითხა, — პატიოსნებას გაფიცებ, შენი სახელი მიტხარი!

— ღმერთი იყოს ჩემი შემწე, ჩემი სახელია სერ ტრისტრამ ლიონელი. შეგიძლიათ მომეჩქეთ ისე, როგორც ინებებთ.

— აჰა, — თქვა მეფე მარკმა, — ძლიერ ვწუხვარ, რომ მეხსიერება დაგიბრუნდათ.

მაშინ ბრძანა, ბარონები შეეკრიბათ, რათა ტრისტრამისათვის სიკვდილი მიესაჯათ. მაგრამ ბევრი ბარონი ასეთ გადაწყვეტილებას წინ აღუდგა, ყველაზე მეტად კი დინას სენეშალი და სერ ფერგუსი. ბოლოს სერ ტრისტრამს ათი წლით კორნუელიდან განდევნა მიუსაჯეს. ტრისტრამი მეფისა და ყველა ბარონის წინაშე წმინდა წიგნზე დააფიცეს, რომ ათ წელიწადს კორნუელისაკენ აღარ მოიხედავდა.

მალე დადგა კორნუელის დატოვების წუთიც. მრავალმა ბარონმა გააცილა იგი გემამდე, მათ შორის იყვნენ მეგობრებიცა და მტრებიც.

სწორედ ამ დროისათვის იქ გამოცხადდა ართურ მეფის რაინდი, სახელად დინადანი. იგი საგანგებოდ წამოსულიყო სერ ტრისტრამის საქებნელად. მოიკითხა და უჩვენეს მაშინ, როცა აბჯარასხმული გემში ჯდებოდა.

— ძვირფასო რაინდო, — უთხრა სერ დინადანმა, — ვიდრე იქაურობას მიატოვებდეთ, ხომ არ ინებებდით ჩემთან შებმას?

— სიამოვნებით, — მიუგო ტრისტრამმა, — თუ ეს ხალხი უფლებას მომცემს.

ბარონებმა თანხმობა განაცხადეს და სერ ტრისტრამმა იმავე წუთს ცხენიდან გადააგდო სერ დინადანი. მაშინ დინადანმა შეწყალება სთხოვა ტრისტრამს და აღუთქვა, შენი ამხანაგი ვიქნებიო.

— მოხარული ვიქნები, — უთხრა ტრისტრამმა.

სერ ტრისტრამი და სერ დინადანი თავ-თავიანთ ცხენებზე შესხდნენ და თავიანთი გემებისაკენ გასწიეს, ხოლო როცა ზღვაში გავიდნენ, სერ ტრისტრამმა ნაპირზე დარჩენილებს გადმოსძახა:

— გადაეცით ჩემი სალაპი მეფე მარკსა და ჩემს ყველა მტერ-მოყვარეს!

უთხარით, რომ მე ისევ დავბრუნდები, როცა კი ეს შესაძლებელი იქნება. გადაეცით მეფე მარკს, მან უხვად დამასაჩუქრა იმისათვის, რომ სერ მარპალტს შევებრძოლე და ქვეყანა ხარკისაგან ვიხსენი. უხვად ვარ დასაჩუქრებული ყველა ჯაფისა და ზრუნვისათვის, რაც მის წინაშე მიხმობის, როცა ირლანდიდან დედოფალი იზოლდა ჩამოვუყვანე და ყველა ზიზღისათვის, რაც ამ გზაზე შემემთხვა. უკან დაბრუნებულმა კიდევ ჩავიგდე თავი სიკვდილის საფრთხეში, როცა მისი საცოლუ გამოვიხსენი გოდების კოშკიდან! დასაჩუქრებული ვარ შებრძოლებისთვისაც სერ ბლეობერისთან, როცა სერ სეგვარდის ცოლი დავიხსენი. გასამრჯელო მივიღე იმისათვისაც, რომ შევებრძოლე სერ ბლანშურ განელს მეფე ანგვისანსის მაგიერ, რომელიც მშვენიერ იზოლდას მამაა. არც იმისათვის დამკლებია წყალობა, რომ მეფე მარკის თხოვნით დავამარცხე სახელოვანი რაინდი სერ ლამორაკ უელსელი. დასაჩუქრებული ვარ იმისათვისაც, რომ დავამარცხე ასი რაინდის მეფე და ჩრდილოეთ უელსის მეფე, რომელთაც მისი სამეფოს დაპყრობა ჰქონდათ განზრახული. დასაჩუქრებული ვარ იმისათვისაც, რომ მოვკალი ტაულასი, მძლეთამძლე ბუმბერაზი. სხვაც ბევრი საგმირო საქმე მომიხდენია მისი გულისათვის, და აი, ახლა მივიღე გასამრჯელო ყველაფრისათვის! გადაეცით მეფე მარკს, რომ ჩემი ხათრითა და პატივისცემით მრგვალი მაგიდის მრავალ რაინდს შეუბრალეებია კორნუელის რაინდები და ბარონები. უთხარით ისიც, რომ ჯერ არ მიმიღია ჯეროვანი გასამრჯელო იმისათვის, რომ შევებრძოლე სახელოვანი რაინდს სერ პალომიდს და გამოვტაცე მისი ცოლი დედოფალი იზოლდა. მაშინ კი ყველა ბარონის წინაშე აღმითქვა დიდი გასამრჯელო.

ამ სიტყვებით იგი ღია ზღვაში გავიდა.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ე ს ა მ ე

როგორც ამოგდა ერთი ქალწული სერ ლანსელოტის მშველელს, როგორც აბრძოდა ლანსელოტი ოცდაათ რაინდს და როგორ ჩაება მათთან ბრძოლაში სერ ტრისტრამი

როგორც კი პირველად ხმელეთს მიადგნენ, ზედ წყალთან შეეგებნენ სერ ტრისტრამსა და სერ დინადანს სერ ექტორ მენაპირე და სერ ბორს გახელი. სერ ექტორმა ორთაბრძოლაში გამოიწვია სერ დინადანი და ცხენიანად წაიქცია. მაშინ სერ ტრისტრამმა დააპირა სერ ბორსთან შებრძოლება, მაგრამ ბორსმა ამაზე უარი განაცხადა და თქვა: კორნუელელ რაინდს არ შევებრძოლები, რადგან მათი რაინდებად შერაცხვაც კი სათაკილოაო.

ამ დროს იქ მოვიდნენ სერ ბლეობერისი და სერ დრიანტი. სერ ბლეობერისმა ორთაბრძოლაში გამოიწვია სერ ტრისტრამი, რომელმაც ის ძირს დასცა. მაშინ სერ ბორს განელმა თქვა:

— ჯერაც არ შემხვედრია კორნუელელი რაინდი, რომელიც ისეთი ძლევამოსილი და სახელოვანი იქნებოდა, როგორიც ის რაინდია, ვის მართულობასაც ოქროს გვირგვინებიანი ასალი ამშვენებს.

სერ ტრისტრამი და სერ დინადანი რაინდებს დაემშვიდობნენ და ისევ ტყეში შევიდნენ. იქ შემოხვდათ ერთი ახალგაზრდა ქალი, ვინც სერ ლანსელოტის სიყვარულს აღეძრა მეფე ართურის კეთილშობილი რაინდების საძებნელად. რათა განსაცდელში ჩავარდნილი ლანსელოტი სიკვდილისაგან დაეხსნა. მოლაღატე ფეა მორგანს ხიმანკლობით საქმე ისე მოეწყო, რომ სერ ლან-

სელოტს უეჭველი დაღუბვა ელოდა. ჯადოქრის გაგზავნილი ოცდაათი რაინდი გადარაჯებული ელოდა რაინდს საფარში.

ამ ქალმა იცოდა ფეა მორგანის ვერაგობის ამბავი და ეჭვობდა კეთილშობილ რაინდებს, რომლებიც სერ ლანსელოტს გაჭიჭევდნენ უნდა დახმარებოდნენ. იმ ღამეს ან მეორე დღეს სწორედ ამ ადგილას, სადაც ჩასაფრებული ოცდაათი რაინდი გადარაჯებულიყო, უნდა გაეგლო სერ ლანსელოტს და ოცდაათი რაინდი მოულოდნელად თავს დასხმოდა.

გზაში ქალი გადაეყარა სერ ბორსს, სერ დრიანტს, სერ ექტორს და სამივეს მოუთხრო მოსალოდნელი საფრთხის ამბავი, რაც ფეა მორგანმა სერ ლანსელოტს გაუშადა. სამივემ აღუთქვა, იქვე მახლობლად ვიქნებით, როცა სერ ლანსელოტი იმ ოცდაათ რაინდს შეებმება და მივეშველებითო.

— თუ მოხდა ისე, რომ სძლიეს და შეაფროვეს, დავეხმარებით, როგორც კი შევიძლებთო.

ასე დაშორდა მათ ქალი, რომელიც ბედზე მალე სერ ტრისტრამსა და სერ დინადანს შეხვდა. იმათაც უამბო, რა მუხანათურ მახეს უგებდნენ სერ ლანსელოტს.

— აბა, მშვენიერო ქალიშვილო, — უთხრა სერ ტრისტრამმა, — ერთი იმ ადგილზე მიგვიყვანეთ, სადაც სერ ლანსელოტს დახვედრას უპირებენ.

სერ დინადანმა თქვა:

— ჩვენ ორ კაცს არ გვარგია ოცდაათთან ომი. იცოდეთ, მე მხარს ვერ აგობამთ. ერთზე ერთის მისვლა ან თუნდაც, ორზე, სამზე — კიდევ, მესმის, თუ რა თქმა უნდა, ეს რაინდები მოკვდავნი არიან, მაგრამ ერთის გასვლა თხუთმეტის წინააღმდეგ — ღმერთმა დამიფაროს!

— სირცხვილი და თავის მოჭრა! — თქვა სერ ტრისტრამმა, — შეასრულეთ თქვენი ვალი!

— ვერა, ბატონო, — მიუგო სერ დინადანმა, — მხოლოდ მაშინ დაგეთანხმებით, თუ თქვენს ფარს მომცემთ: თქვენ ხომ კორნუელის ფარს ატარებთ და კორნუელის რაინდებს, მათი სიმხდალის გამო, არაფინ ერჩის.

— არა, — შესძახა სერ ტრისტრამმა, — მე ვერ დავითმობ ჩემს საომარ ფარს, რადგან, ვინც იგი მაჩუქა, იმის ხსოვნისათვის განუყრელად თან ვატარებ. მაგრამ ერთს კი გეტყვით, გეფიცებით, სერ დინადან, თუ ბრძოლაში არ გამომყვებით, აქვე მოგკლავთ. თქვენ გევალებათ მხოლოდ ერთ რაინდთან ბრძოლა და თუ ამისი გამბედაობაც არ შეგწევთ, დადექით და მიყურეთ მაინც.

— სერ, — მიუგო სერ დინადანმა, — სიტყვას გაძლევთ, შორიდან თვალს ვადევნებ, როგორ წარიმართება ბრძოლა და ყველაფერს გაგაკეთებ იმისათვის, რომ ჩემი საკუთარი სიცოცხლე ვიხსნა. მაგრამ ვნანობ, რომ საერთოდ თქვენ შეგეყარეთ.

ამასობაში ფეა მორგანის ოცდაათი რაინდი გზად შეხვდა სერ ბორსს, სერ ექტორს, სერ დრიანტს და სერ ბლეობერისს. ორივე მხარემ იცნო ერთიმეორე, მაგრამ ოცდაათმა რაინდმა ეს ოთხი უვნებლად გაატარა, რომ სერ ლანსელოტთან ბრძოლის წინ მტერი არ გაემრავლებინათ. არც ამ ოთხმა გამოიღო ხელი და ოცდაათი რაინდი მშვიდობიანად გაუშვა, რადგან ერთი სული ჰქონდათ ენახათ, რანაირად დაესხმოდნენ თავს სერ ლანსელოტს.

აი, მიავლევებენ ცხენებს რაინდები და გზად ხვდებიან სერ ტრისტრამს, რომელსაც სერ დინადანი ახლავს. სერ ტრისტრამმა ხმამაღლა შეუძახა:

— ჰეი, თქვენ! იცოდეთ, რომ აქ ვარ ის რაინდი, რომელიც მზადაა შეგებათ სერ ლანსელოტისათვის. — ამ სიტყვებზე უეცრად მოხსლიტა ცხენი, თავს დაესხა მათ, ორს შუბით მოუღო ბოლო, ათი კი მახვილის ლუქმა გახადა. ამასობაში სერ დინადანიც მიეშველა და, უნდა ითქვას, რაღაც ურთულად არ იბრძოდა. ოცდაათიდან ცოცხალი დარჩა მხოლოდ ათი და ამჟამად ისევ კვატკევით უშველეს.

ამ ბრძოლას თვალს ადევნებდნენ სერ ბორსი და მისი სამი ამხანაგი, რომელთაც შეიცნეს ის რაინდი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ მათ შეება. მერმე ცხენები ააჩქარეს, ტრისტრამს თავი დაუკრეს, მადლობაც უთხრეს და ქება-დიდებაც არ დააკლეს ეგზომ სახელოვანი საგმირო საქმეებისათვის. მიიპატიჟეს კიდევ, ღამე ჩვენთან გაათიეო, მაგრამ ტრისტრამმა უთხრა, ჯერ დასვენებას არ ვაპირებო. მაშინ სთხოვეს, სახელი მაინც გვითხარიო შენი.

— ძვირფასო ლორდებო, — მიუგო სერ ტრისტრამმა, — ჯერ არა მაქვს განზრახული, რომ ჩემი სახელი გავაცხადო.

თ ა ვ ი ო ც დ ა ა ე ო თ ხ ა

რაიგორ იპოვეს სერ ტრისტრამმა და სერ ლანსელოტმა თავშესაფარი, მაგრამ ორ რაინდთან მოუხდათ შეგება

ისევ გააქროლეს ცხენები თავიანთი გზით სერ ტრისტრამმა და სერ დინადანმა. გზად მწყემსები და მორბენი შეხვდნენ. სადმე მახლობლად ღამის გასათევი ხომ არ გეგულებათო, ჰკითხეს რაინდებმა.

— სერ, — უპასუხეს მწყემსებმა, — არის აქვე მახლობლად ერთი კარგი ფუნდუკი, თუმცა ფუნდუკი კი არა, მთელი ციხე-კოშკია, მაგრამ იმ ციხეში ერთი ჩვეულება აქვთ, ვერც ერთი რაინდი ვერ მიიღებს იქ თავშესაფარს, ვიდრე ორ რაინდს არ შეებრძოლება. მოხეტიალე, თუნდაც მარტოხელა რაინდი იყოს, სულერთია, ორის წინააღმდეგ უნდა გამოვიდეს. თქვენ ორს კი თითო მოწინააღმდეგე შეგხვდებათ.

— რა ჭირად გვინდა ასეთი თავშესაფარი! — თქვა სერ დინადანმა, — თქვენ როგორც გენებოთ და მე იქ ღამის გამთევი არა ვარ.

— სირცხვილი თქვენი! — თქვა ტრისტრამმა, — განა თქვენ მრგვალი მაგიდის რაინდი არა ხართ? და თუ ხართ, რაინდის ღირსება ნებას არ გაძლევთ, რომ ასეთ თავშესაფარზე უარი თქვათ.

— აბა, ეს როგორ გირჩიოთ? — თქვეს მწყემსებმა, — თუ მოგერევიან და დაგამარცხებენ, არც ღამეს გაგათევიანებთ, მაგრამ თუ მოერევიოთ, სანაქებო სტუმართმოყვარეობას ნახავთ.

— არა, — თქვა სერ დინადანმა, — ის ორი რაინდი, რა თქმა უნდა, რჩეულთა რჩეულნი იქნებიან, — და სერ დინადანი არანაირად არ თანხმდებოდა იქ ღამისთევაზე, ვიდრე ტრისტრამმა ისევ რაინდული ღირსება არ შეახსენა, მაშინ ორივე იქით გაემართა. მოკლედ რომ ვთქვათ, ციხის წინ მათ ძირს დასცეს ორი მოქიშპე რაინდი და მართლაც ფუნდუკში ისეთი უხვი მასპინძლობა იხილეს, როგორც კი შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს.

მაგრამ ის იყო მოიხსნეს თორნი, იარაღი და სურდათ დასვენების სიამოთაც ეხარათ, რომ ჭიშკარს მოადგნენ სერ პალომიდი და სერ გაპერისი. მათაც ღამის გასათევი ითხოვეს.

— ახლა ამით ჩვენ უნდა შევებათ, — თქვა სერ ტრისტრამმა.

— ეს კიდევ რა ჩვეულება ჰქონიათ? — თქვა სერ დინადანმა, — მე დასვენება მინდა.

— შეუძლებელია, — მიუგო სერ ტრისტრამმა, — რაკი ამ ციხე-სიმაღლეთი და წესი ასეთია, და ჩვენ ციხე-კოშკის პატრონები დავამარცხეთ, — ახლა ბრძოლა არ აგვეცდება.

— ეშმაკმა მაცთუნა, — თქვა სერ დინადანმა, — რას აგყევით, აგეტორლიაღეთ და დაგემგზავრეთ.

სერ ტრისტრამმა სერ გაპერისს შეუტია და ცხენიდან გადააგდო. სერ დინადანი კი სერ პალომიდს შეებრძოლა და მალე ცხენიდან ძირს ჩამოვარდა. სერ დინადანს ბრძოლა ქვეითად უნდა გაეგრძელებინა, როგორც წესია, მაგრამ იგი ბრძოლაში აღარ გავიდა, რადგან ცხენიდან გადმოვარდნისას ძლიერ დაშავდა. მაშინ სერ ტრისტრამმა დაახურა მუზარადი, ღვედი შეუკრა და დახმარება სთხოვა.

— ვერა, — თქვა სერ დინადანმა, — მე ისედაც ძლიერ დავშავდი იმ ოცდაათ რაინდთან ბრძოლაში, თქვენ კი იქცევით ისე, როგორც შეშლილი, რომელიც თავის დაღუპვას ცდილობს. წყეული იყოს საათი, როცა თქვენ გადაგეყარეთ, რადგან ქვეყნად არ მეგულება ორი სხვა ისეთი შეშლილი, როგორებიცა ხართ თქვენ: სერ ლანსელოტი და სერ ტრისტრამი!

მაშინ სერ ტრისტრამმა თქვა:

— რა გაეწყობა, მარტო შევებრძოლები.

შემდეგ მოწინააღმდეგეებს შეუძახა, შესაბამელად მოემზადეთო. სერ პალომიდი და სერ გაპერისი მოემზადნენ და ორივე ერთად დაესხა თავს. მაშინ სერ დინადანმა სერ გაპერისს ორჯერ-სამჯერ მაინც დაჰკრა მახვილი, მაგრამ შემდეგ უკან დაიხია.

— ეს არ მოხდება — შესძახა სერ პალომიდმა, — ერთს რომ ორი შევეებათ, სამარცხვინო იქნება!

ამიტომ სერ გაპერისს სთხოვა:

— განზე გადექით და იმ რაინდთან გაჩერდით, რომელსაც ბრძოლა არ ეხალისება.

ამის შემდეგ სერ ტრისტრამი და სერ პალომიდი ერთმანეთს ეკვეთნენ, დიდხანს იბრძოდნენ, მაგრამ ბოლოს სერ ტრისტრამმა ძალა მოიკრიბა, და სერ პალომიდს სამი ნაბიჯით უკან დაახევინა. მაშინ სერ დინადანი და სერ გაპერისი შეთანხმდნენ, მივიდნენ, მებრძოლთა შორის ჩადგნენ და გააშველეს.

მერმე სერ ტრისტრამთან შეთანხმებით გადაწყვიტეს, ყველას ერთად გაეთია ღამე, მაგრამ სერ დინადანმა განაცხადა, ამ კოშკში ღამეს არ გავათევო დაწყველა საათი, როცა ამ ხალხს გადაეყარა, აიღო თავისი იარაღი და გზას გაუდგა.

სერ ტრისტრამმა ციხის გამგებელს სთხოვა, ვინმე გააყოლე და ღამის გასათევი სხვაგან გამოანახვინეო. სერ დინადანი მაინც არ მიატოვეს, ორიოდ მიღზე გააცილეს და იქ ერთ კეთილ განდევგელთან დააბინავეს. თვითონაც იქ გაათიეს ის ღამე.

ხოლო სერ ბორსმა, სერ ბლეობერისმა, სერ ექტორმა და სერ დრიანტმა იქ გამოიძახეს, სადაც სერ ტრისტრამი ოცდაათ რაინდს ებრძოდა. იქ დაელოდნენ სერ ლანსელოტს და ურჩიეს, ამაღამდელი ღამე სერ კოლგრევანსთან გაეთიოთო.

როგორ მბრძოდა სერ ტრისტრამი სერ კეის და სერ საგრამურ სასურველს, და როგორ მოაშორა სერ ბავინინა სერ ტრისტრამი ფეა მოგბანს

ერქვენი

სერ ლონსელოტმა შეიტყო თუ არა, რომ მის მტრებს კორნუელელის და-რაკით ებრძოდა ვილაც რაინდი, მაშინვე მიხვდა, რომ იგი სერ ტრისტრამი იქნებოდა. სერ ლონსელოტი სერ ტრისტრამის ქებას ველარ აუდიოდა და მას ქვეყნიერებაზე უკეთილშობილესი და ყოველად ღირსეული ვაჟაკი უწოდა.

იმ სავანეში უკვე იმყოფებოდა ერთი რაინდი, სახელად სერ პელინორი, რომელსაც უნდოდა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, გავგო, ვინ იყო სერ ტრისტრამი, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა. დილით სერ ტრისტრამმა იქაურობა პაიპარად მიატოვა, ხოლო სერ დინადანი განდევილთან დარჩა, რადგან ძლიერ დაღლილსა და დაბეგვილის ცხენზე ჯდომა აღარა შეეძლო, და მაშინ სერ პელინორმა უთხრა სერ დინადანს:

— რაკი არ მიმხელთ იმ რაინდის სახელს, ახლავე გავეშურები, დავეწევი და გაიძულებ სახელი მითხრას, არადა, მოკვდება.

— ოღონდ ფრთხილად, სერ რაინდო, — მიუგო სერ დინადანმა, — ვინძლო არ ინანოთ, რომ მას დაედევნეთ.

პელინორი მაინც გაეშურა ტრისტრამის კვალზე, დაეწია და ორთაბრძოლაში გამოიწვია. სერ ტრისტრამმა იგი უნაგირიდან ჩამოაგდო, შუბით ბეჭეშიც დაჭრა და თავისი გზით წავიდა.

მეორე დღეს ტრისტრამი გზაში შეხვდა მაცნეთ, რომელთაც აუწყეს: შოტლანდიის მეფე კარადოსის და ჩრდილოეთ უელსის მეფეთა სურვილითა და მოწადინებით, ქალწულის ციხე-კოშკის კედლებთან დიდი ტურნირი გაიმართებაო. შიკრიკები და მალემსრბოლნი ქვეყნის ყველა მხარეში არიან დაგზავნილნი, რათა ტურნირზე უკეთესთა შორის უკეთეს რაინდებს მოუყარონ თავი. ყველაზე მეტად მეფე კარადოსი დაეძებს სერ ლონსელოტს, ხოლო ჩრდილოეთ უელსის მეფე კი სერ ტრისტრამს. მაშინ სერ ტრისტრამმა გადაწყვიტა იმ ტურნირზე წასვლა.

მალე კი მოხდა ისე, რომ გზად შემოხვდნენ სერ კეი სენეშალი და სერ საგრამურ სასურველი. სერ კეიმ სერ ტრისტრამი ისევ გაიწვია ორთაბრძოლაში. მაგრამ სერ ტრისტრამმა ბძოლაში გასვლაზე უარი თქვა, რადგან იმ დილით ტურნირის წინ, რაც ქალწულის ციხე-კოშკის წინ უნდა გამართულიყო, დაჭრილსა და დაშავებულს არ უნდოდა ეასპარეზა; დასვენება და ძალების მოკრება იყო საჭირო. სერ კეი კი არ ეშვებოდა, უკან მისძახოდა:

— კორნუელელო რაინდო! ან გამოდი ბრძოლაში, ან დამნებდა, ჩემი ტყვე იქნები!

ასეთი სატყვეები რომ გაიგონა ტრისტრამმა, ველარ მოითმინა შეურაცხყოფა და ცხენი შემოაბრუნა. ახლა სერ კეიმ აღარ ისურვა შებმა და ზურგი უჩვენა. სერ ტრისტრამმა შესძახა:

— მოვდივარ შენზე, გინდ დაიცავი თავი, გინდ არა!

სერ კეი უნებურად მობრუნდა. სერ ტრისტრამმა უმაღლად გამოაგდო ცხენიდან და გზა განაგრძო.

ახლა სერ საგრამური დაედევნა ტრისტრამს და ბრძოლაში გამოითხოვა.

სერ ტრისტრამმა ისიც მსწრაფლ ჩამოაგდო ცხენიდან და ტაიჭი გააქროლა.

იმავე დღეს ტრისტრამი გადაეყარა ახალგაზრდა ქალს, რომელმაც უთხრა. სახელოვანი გამარჯვება მოგელის ბრძოლში ერთ მოხეტიალე რაინდთან, რომელმაც მთელი ეს მხარე ააწიოკა და დაარბიაო. ტრისტრამმა უთხრა, რომ ვეღარ ვაიგონა, გაუხარდა, რომ ასეთი შემთხვევა მიეცა სახელის მოსახვეჭად და ხალისით მიჰყვა ქალს. ასე გაიარეს ექვსიოდე მილი.

შემდეგ კი მათ შემოხვდათ სერ გავეინი. სერ გავეინმა იმ ქალში მაშინვე შეიცნო ფეა მორგანის მოახლე. იგი იმწამსვე მიხვდა, რომ თვალთმაქც არსებან რაინდი დასაღუპავად მიჰყავდა და ტრისტრამს ჰკითხა:

— ძვირფასო რაინდო, საით მიჰყვებით ამ ქალს?

— სერ, — მიუგო ტრისტრამმა, — მე არ ვიცი, საით მივდივარ, გზას ეს ქალი მიჩვენებს.

— სერ, — უთხრა გავეინმა, — ნუ მიყვებით ამ ქალს, რადგან მისგან და მისი ქალბატონისაგან სიკეთე არავის ახსოვს, ეგენი მხოლოდ სიავით არიან სახელგანთქმულნი.

სერ გავეინმა ხმალი იშიშვლა და თქვა:

— ქალიშვილო, თუ არ მეტყვი, საით მიგყავს ეს რაინდი, აქვე ხმლის ლუკმა შეიქმნები, რადგან კარგად ვიცი შენი და შენი ქალბატონის ყველა მზაკვრობა.

— შემბრალებთ, სერ გავეინ, — თქვა ქალმა, — თუ ცოცხალს დამტოვებთ, ყველაფერს გეტყვით.

— თუ სიცოცხლე რაზედ გიღირს, ახლავე მითხარი.

— სერ, — მიუგო ქალმა, — ჩემმა მბრძანებელმა ფეა მორგანმა ოცდაათი ქალიშვილი დააგზავნა ყველა მხარეს, რომ სერ ლანსელოტი ანდა სერ ტრისტრამი იპოვონ. ჩემი დედოფლის რომელი მოახლეც უფრო ადრე იპოვის იმ ორი რაინდიდან ერთ-ერთს, ნაბრძანები აქვთ მიიტყუონ ფეა მორგანის სასახლეში, თითქოს იქ დიდი საგმირო საქმე იყოს მოსახდენი. იქ კი მათ ელოდებათ ჩასაფრებული ოცდაათი რაინდი.

— სირცხვილი და თავის მოჭრა! — შესძახა სერ გავეინმა, — რა ვერაგულ ხრიკებს აწყობენ დედოფალი, დედოფლის და და მეფის ასული. სერ, დარჩით ჩემთან და თქვენ დარწმუნდებით იმ რაინდთა სიმდაბლეში.

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ი მ ვ ს ე

როგორ გავიღწინ ოცდაათ რაინდთან საბრძოლველად სერ ტრისტრამი და სერ გავეინი, იმ რაინდებმა კი მებმა ვერ გაბედეს

— სერ, — მიუგო სერ ტრისტრამმა, — მივუხდეთ იმ ოცდაათ რაინდს, თუ გნებავთ, და მე, არ გიღალატებთ. სულ ახლახან ერთ რაინდთან ერთად უკვე შევებრძოლე იმ მეფე-დედოფლის ოცდაათ რაინდს და, ღვთის შეწევნით, ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვედი.

სერ ტრისტრამი და სერ გავეინი იმ ციხისაკენ წავიდნენ, სადაც ფეა მორგანი ცხოვრობდა. სერ გავეინი მიხვდა, რომ მისი თანამგზავრი სერ ტრისტრამ ლითნელი იყო, რადგან გავიანილი ჰქონდა, როგორ შეეებ ორი რაინდი ფეა მორგანის ოცდაათ რაინდს და როგორ გაიმარჯვეს. როცა უკვე ციხის კედლებს გაუსწორდნენ, სერ გავეინმა შესძახა:

— დედოფალო მორგან! მოუშვით ჩვეზე ის ოცდაათი რაინდი, რომელნიც სერ ლანსელოტის და სერ ტრისტრამის დასაღუბავად მოამზადეთ. მე უკვე დავრწმუნდი თქვენს ვერაგობაში! — ხმამაღლა გაჰყვიროდა სერ გავეინი. — საითაც კი გავემგზავრები და სადაც ყოფნა მომიხდება, თქვენს ვერაგობის ამბავს მთელ ქვეყანას მოვფენ. ახლა კი ძალიან მაინტერესებს, სადაღუბავს თუ არა კოშკიდან გამოსვლას თქვენი ოცდაათი ლაჩარი რაინდი?

დედოფალმა მორგანმა და ოცდაათმა რაინდმა ერთხმად გასცეს პასუხი:

— სერ გავეინ, შენ ხომ მაინც იცი, რასაც ამბობ. ჩვენ ხომ მოხარულს გიცნობთ! თუ ახლა ასე მრისხანე და გოროზი ხარ, მხოლოდ იმის წყალობით, რომ ეგ ქველი რაინდი გიდგას გვერდით. ბევრმა ჩვენგანმა იგემა მისი მარჯვენის ძალა. ამიტომ იცოდე, სერ გავეინ, რომ თუ ჩვენ ციხიდან არ გამოვალთ შენი კი არა, იმ რაინდის რიდით, ხელში რომ კორნუელის ფარი უჭირავს. ვიცით რისი ძალიც შესწევს და ძალას ვუთმობთ.

სერ გავეინმა და სერ ტრისტრამმა ცხენებს დეზი ჰკრეს და ორი დღე ერთად მგზავრობდნენ. გზად სერ კეი და სერ საგრამურ სასურველი შემოხვდნენ. რაინდებმა სერ გავეინის ნახვით გაიხარეს და იმასაც ძალიან იამა სერ კეისა და სერ საგრამურის ხილვა. კორნუელელის ფარბანი რაინდი ვერ შეიცნეს და მხოლოდ გუმანით ხვდებოდნენ, ვინც იყო.

გზა ოთხივემ ერთად განაგრძო, იარეს ერთი თუ ორი დღე და უცებ ხვდავენ, სერ ბრიუს უმოწყალო ერთ ქალს მოსაკლავად მისდევს. მანამდე კი მისი სატრფო გაუსტუმრებია იმქვეყნად.

— ცოტა მოიცადეთ აქ, — ეუბნება სერ გავეინი თანამგზავრებს, — არ გამოჩნდეთ და მე ვასწავლი ამ უღირს რაინდს, როგორ უნდა ქალის მოკვლა, ოღონდ წყნარად იყავით, თუ დაგინახავთ, გაიქცევა და ვერ დავეწვეით, რადგან ცხენი კარგი უჩანს.

ამ სიტყვებთან სერ გავეინი წინ გავიდა, ქალსა და რაინდს შუა ჩადგა და შესძახა:

— უღირსო რაინდო, ქალს თავი ანებე და მე შემეხი.

სერ ბრიუსმა დაინახა, მის წინ სერ გავეინი იდგა, შუბი მოიმარჯვა. რაინდები ერთმანეთისაკენ დაიძრნენ. სერ ბრიუსმა სერ გავეინი ძირს დასცა, შემდეგ კი ოცჯერ მაინც გადაუარა ცხენით.

სერ ტრისტრამმაც ააჩქარა ცხენი. სერ ბრიუსი მიხვდა, უცნობი რაინდი რომ სერ ტრისტრამი იქნებოდა. მაშინ კი იკადრა და მოკურცხლა. ტრისტრამი დაედევნა, მაგრამ ბრიუსს ისეთი ცხენი ჰყავდა, ვინ დაეწეოდა! დიდხანს მისდევდა სერ ტრისტრამი, შურისძიება სწყუროდა, მაგრამ ვერ დაეწია.

ამ დევნაში ტრისტრამმა ანკარა წყაროს მოჰკრა თვალი, ცხენი ხეზე მიაბა და წყაროსთან მივიდა, რომ სული მოეთქვა. ზუჩი მოიხადა, ხელ-პირი დიბანა, წამოწვა და ჩაეძინა.

თ ა ვ ი ო ც და მ ი უ ვ ი დ ე

როგორ იპოვა წყაროსთან მძინარი ტრისტრამი ქალმა ბრანგვეინმა და როგორ გადასცა ვას მშვენიერ იჯოლდას წერილები

სწორედ იმ დროს წყაროსთან გამოიარა ქალმა, ვინც დიდი ხანია მთელს იმ მხარეში სერ ტრისტრამს დაეძებდა. იგი წყაროსთან მივიდა და შეხედა.

მაგრამ რაინდს ვერც კი იცნობდა, თუ არა მისი ცხენი, სახელად ბასე-ბრიული, რომელიც ქალმა მაშინვე შეიცნო, ეს ცხენი უკვე მრავალი წლის მანძილზე ემსახურებოდა ტრისტრამს, ხოლო გახლებული რაინდის ტყეში გაჭრის უამს ბედაურს სერ ფერგუსი ინახავდა. ბრანგვეინი მოკრძალებულად იქცა, წყაროსთან ჩამოჯდა და რაინდის გაღვიძებას ელოდებოდა. ბრანგვეინს ტრისტრამმა თვალი გაახილა, ქალი მიესალმა, ვალში არც ტრისტრამი დარჩენია. ორივემ გაიხარა, რადგან ძველისძველი ნაცნობები იყვნენ. მერმე ქალმა უთხრა, ქვეყანა შენს ძებნაში შევაჯერე, მშვენიერ იზოლდას წერილები მაქვსო შენთვის გადმოსაცემი.

სერ ტრისტრამმა უსტართა წყება იქვე წაიკითხა და, რაღა თქმა უნდა, გაუხარდა, რადგან წერილებში მრავალი გულისმომწყველელი სამიჯნურო ჩივილი ამოიკითხა. მერმე ქალს უთხრა:

— ძვირფასო ლედი, კეთილო ბრანგვეინ, თქვენ გამოწყვებით და ჩემს გვერდით იქნებით, ვიდრე ქალწულის ციხის კედლებთან დანიშნული შეჯიბრი არ დასრულდება. შემდეგ კი წაიღებთ ჩემს წერილებსა და ამბავს.

ტრისტრამი ცხენზე შეჯდა და ლამის გასათევის ძებნას შეუდგა. გზად ერთი ძველი ქველი რაინდი შემოხვდა და ლამის გასათევი იმასა სთხოვა. სადიუო და სად არა, გოვერნალიც შემოუერთდათ და ტრისტრამის ერთგულმა კაცმა ძლიერ გაიხარა, რომ ლედი ბრანგვეინი კვლავ იხილა. ქველ რაინდს ერქვა სერ პელონი. მან ტრისტრამს ქალწულის ციხესთან გათვალისწინებული ტურნირის ამბავიც დაწვრილებით მოუთხრო:

— იმ ტურნირისათვის სერ ლანსელოტმა და მისი სისხლის მოზიარე სხვა ოცმა რაინდმა დარაკები კორნუელის გერბის გამოსახულებით შეუკვეთესო.

ამასობაში სერ პელონთან ვიღაც მოვიდა და გამოუცხადა, სერ პერსიდ ბლოიზელი შინ დაბრუნდაო. ჰარმაგმა რაინდმა ხელები ცისაკენ ალაპკრო და ღმერთს მადლობა შესწირა ღვიძლი შვილის შინ მშვიდობით დაბრუნებისათვის, სერ ტრისტრამს კი უთხრა, ორი წელიწადია ჩემი შვილის სერ პერსიდის არაფერი მსმენიაო.

— სერ, — უთხრა სერ ტრისტრამმა, — მე გაგონილი მაქვს თქვენი შვილის სახელი, კეთილი და ქველი რაინდიაო, ამბობენ.

მოხდა ისე, რომ სერ ტრისტრამი და სერ პერსიდი სერ პელონის სახლში ერთდროულად მივიდნენ. იარაღი აიხსნეს, აბჯარი გვერდზე მიაწყვეს და ყველამ ის ჩაიცვა, რაც ჰქონდა. შემდეგ ორივე რაინდი ერთმანეთს მიესალმა, ხოლო როცა სერ პერსიდმა გაიგო, რომ სერ ტრისტრამი კორნუელიდანაა, თქვა, მე ვყოფილვარ ერთხელ კორნუელშიო.

— იქ გამოვედი ტურნირზე მეფე მარკის წინაშე და ბედმა გამიღიმა: ერთ დღეში ათი რაინდი დავამარცხე. შემდეგ ჩემს წინააღმდეგ გამოვიდა სერ ტრისტრამ ლიონელი, ცხენიდან გადმომაგდო, ქალი წამართვა და ეს გველის ნაკბენივით მანამდე არ დამავიწყდება, ვიდრე შემთხვევა არ მომეცემა და სამაგიეროს არ მივუზღავ.

— დახე, — თქვა ტრისტრამმა, — მაშ როგორც მესმის, თქვენ გძულთ სერ ტრისტრამი? მაგრამ როგორა გგონიათ, სერ ტრისტრამს ღონე არ ეყოფა რომ გაგისწორდეთ?

— ეს მართალია, — თქვა სერ პერსიდმა, — მე ჩინებულად ვიცი, რომ

სერ ტრისტრამი ბრწყინვალე რაინდია და ღონეც ჩემზე მეტი აქვს. მაგრამ წყენას არ შევარჩენ.

ვიდრე ზედა სართულის სარკმელთან იდგნენ და ასე საუბრობდნენ, მათ თვალწინ ტურნირზე მიმავალმა მრავალმა რაინდმა ჩაიარა. უცებ სერ ტრისტრამმა თვალი მოჰკრა ახოვან რაინდს, რომელიც მძლავრ მხეც ცხენზე იჯდა და შავში გახვეული ფარი ეჭირა.

— ვინ არის ეს რაინდი? — იკითხა სერ ტრისტრამმა, — შავი ფარი რომ აქვს და შავ ცხენზე ზის.

— მე მაშინვე ვიცანი, — მიუგო სერ პერსიდმა, — მთელს ციქვეშეთში ერთი უპირველესი რაინდია.

— მაშ სერ ლანსელოტი ყოფილა, — თქვა ტრისტრამმა.

— არა, — მიუგო სერ პერსიდმა, — პალომიდია, ჯერ კიდევ მოუნათლავი რაინდი.

თავი ოცდამეხუთე

როგორ გადმოაგდო ცხენიდან სერ პალომიდმა სერ ტრისტრამი და როგორ სძლია სერ ლანსელოტმა ორს

მალე ნახეს და მოისმინეს, რა ხმამაღალი შეძახილებით შეხვდა და მიესალმა ურიცხვი ხალხი სერ პალომიდს:

— ქრისტე იყოს შენი მფარველი, კეთილშობილო რაინდო სერ პალომიდ!

მალე ციხეში ცხენით მაცნე პაეი მოვიდა და თავის ბატონს სერ პელონს მოახსენა, რომ შავფარიანმა რაინდმა უკვე დათრგუნა ცამეტი რაინდი.

— აი, რა, საყვარელო ძმაო, — უთხრა სერ ტრისტრამმა სერ პერსიდს, — წამოვიხუროთ მოსასხამები და იმ თამაშას საცქერლად გავეშუროთ. ყმე-ბივით კი არა, ქველი რინდებივით უნდა გამოვცხადდეთ იქ აბჯარასხმულნი, როგორც საომრად მზადყოფ ვაუკაცებს შეჰფერით.

ისევ აისხეს საჭურველი, ცხენებზე შესდნენ, მძიმე შუბებით აღიჭურვნენ და წავიდნენ იქით, სადაც რაინდები ტურნირის დაწყების წინ ერთიმეორეს ძალასა და ღონეში სცდიდნენ. სერ პალომიდმა სერ პერსიდი დაინახა, თავისი საჭურველმტვირთველი მოიხმო და უთხრა:

— მიდი იმ რაინდთან, რომელსაც უჭირავს მწუანე ფარი ლომის გამოსახულებით და უთხარი, რომ ბრძოლაში ვიწვევ და ჩემი სახელია სერ პალომიდი.

სერ პალომიდის გამოწვევა რომ მოისმინა, სერ პერსიდი შესახვეოლად გაეშურა, მაგრამ პალომიდმა მაშინვე ცხენიდან გადმოაგდო.

მაშინ საომარი სამზადისი სერ ტრისტრამმა იწყო, რათა სერ პერსიდისათვის შური ეძია. ეს რომ სერ პალომიდმა ნახა, მიეჭრა და უნაგირიდან გადააგდო, ისე რომ, ტრისტრამმა მომზადება და იერიშზე გადასვლაც ვერ მოასწრო.

წამოვარდა მიწაზე დაცემული სერ ტრისტრამი, მაშინვე ისევ უნაგირს მოეწყო, ძალზე შერცხვენილი იყო მიწაზე დაცემის გამო და გამძვინვარებული. სერ პალომიდი უკვე შორს გაქრილიყო, ამიტომ ტრისტრამმა გოვერნალს მიუგზავნა და მოითხოვა, ჩემი გამოწვევით კვლავ შემეებასო.

— არა, — მიუგო სერ პალომიდმა, — მეტად ახლა იმ რაინდს აღარ შე-

ვებრძოლები, რადგან უკეთ ვიცნობ, ვიდრე მას ჰგონია. თუ ჩემზე გულმოსულია. შეუძლია ხვალ გადამიხადოს ქალწულის ციხის კედელთან, სადაც გვნახავს მეც და მრავალ სხვა რაინდსაც.

მაგრამ სერ ტრისტრამი ბრაზით ანთებული იყო. ამ დროს მისთან შეჰქიდა სერ დინადანი და, გაბრაზებული რომ ნახა, უთხრა:

— ხომ ხედავთ, სერ ტრისტრამ, ქვეყნად არ არის არც ერთი სახელოვანი რაინდი, რომელიც არასდროს არ დამარცხებულა, არც ბრძენია ისეთი ქვეყნად, ერთხელ მაინც რომ არაფერი შეშლოდა.

სერ ტრისტრამის რისხვა ამით არ დამცხრალა. სერ პერსიდსა და სერ დინადანს უთხრა:

— მე სამაგიეროს მივუზღავ!

ნაწყენებსა და ლაპარაკში გართულთ გვერდით ჩაუქროლა ერთმა შავფარიანმა წარმოსადგემა რაინდმა.

— ეს ვინლა? — ჰკითხა სერ ტრისტრამმა სერ პერსიდს.

— მაგას ძალზე კარგად ვიცნობ. — მიუგო პერსიდმა, — სერ ბრიანტი ჩრდილოეთ უელსიდან.

რაინდმა გზა განაგრძო და ჩრდილოეთ უელსელ რაინდებს შეუერთდა. შემდეგ ჩაიარა სერ ლანსელოტ ტბელმა, რომელსაც კორნუელისგერბიანი თარი ჰქონდა. მან მაშინვე მიუგზავნა კაცი სერ ბრიანტს და ბრძოლაში გამოიწვია.

— რა გაეწყობა, — თქვა სერ ბრიანტმა, — რაკი მიწვევს, შევეცდები, როგორც შევიძლებ.

შეიბნენ და სერ ლანსელოტმა სერ ბრიანტი უნაგირიდან გადმოაგდო. სერ ტრისტრამი კი უყურებდა და უკვირდა, ნეტავ ვინ არის ეს მძლე რაინდი, კორნუელის ფარს რომ ატარებსო?

— სერ, — მიუგო სერ დინადანმა, — სანაძლეოს ჩამოვალ, თუ იგი შეფე ბანის მოდგმის არ აღმოჩნდება. მათი ჯილაგის ყველა რაინდი პატიოსან ბრძოლაში დიდი სიმამაცით გამოირჩევა.

შემდეგ გამოჩნდა ისევ ორი რაინდი ჩრდილოეთ გალიდან. ერთს ერქვა სერ ჰიუ დე ლა მონტანი, მეორეს კი სერ მადოკ დე ლა მონტანი, მათ ორთაბრძოლაში გამოიწვიეს სერ ლანსელოტი. სერ ლანსელოტს უარი არ უთქვამს, ერთი მძლავრი მოქნევით ორივე მონტანი უნაგირიდან გადახვეტა და თავისი გზით წავიდა.

— მოწყალე ღმერთს ვფიცავ, — თქვა სერ ტრისტრამმა, — კორნუელის ფარს ალჭურვილი ეს რაინდი უბრწყინვალესი მებრძოლია, და უფრო მედგანად უნაგირზე, ვიდრე რომელიმე სხვა ჩემგან ხილული რაინდი.

ამასობაში ჩრდილოეთ უელსის მეფე მიოვიდა სერ პალომიდთან და დაბეჭითებით სთხოვდა გასულიყო ორთაბრძოლაში იმ რაინდთან, რომელმაც ჩრდილოეთ უელსის ყველა რაინდი გაანაწყენა.

— სერ, — მიუგო სერ პალომიდმა, — იმ რაინდთან ბრძოლა არაფრად ეპიტნაეება იმ მიზეზით, რომ ხვალ უდიდესი ტურნირია მოსალოდნელი. მინდა ძალ-ღონე დავზოგო.

— არა, — უთხრა ჩრდილოეთ უელსის მეფემ, — ძალიან გთხოვთ, ის რაინდი ორთაბრძოლაში გამოიწვიოთ.

— ა, — მიუგო სერ პალომიდმა, — თქვენი თხოვნით მე შევებრძო-

ლები იმ უცნობს, ახლავე გამოვიწვევ, თუმცა ხშირად მინახავს რაინდი, რომელიც თვითონ იწვევს სხვას დ თვითონვე აღმოჩნდება ხალხმე ძირს დაცემული.

თავი ოცდამეცხრამე

სიგლიქითვე

როგორ ებრძოდა სერ ლანსელოტი სერ პალომიდს, როგორ დაჯაბნა და მირა როგორ დამსა თავს თორმეტი რაინდი

სერ პალომიდმა სერ ლანსელოტს თავისი საქურველთმტვირთველი მიუგზავნა და შეუთვალა, ბრძოლაში გიწვევო.

— მეგობარო, — უთხრა სერ ლანსელოტმა, — მითხარი შენი ბატონის სახელი.

— სერ, ჩემი ბატონის სახელია სერ პალომიდი, სახელოვანი რაინდი გახლავთ.

— ძლივს! — თქვა სერ ლანსელოტმა, — უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში არ შემხვედრია რაინდი, რომელთან ბრძოლაც ასე მდომებოდა, როგორც მასთან მკლავის გამოცდის სურვილი მახელებს.

ორივე რაინდი საომრად გაემზადა, მძიმე შუბები მოიმარჯვეს.

— აი, ნახავთ, — თქვა სერ დინადანმა, — სერ პალომიდი მოერევა და სამაგიეროს გადაუხდის.

— შესაძლოა ასედაც მოხდეს, — მიუგო სერ ტრისტრამმა, — მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ის მეორე, კორნუელისფარიანი, ძირს დაამზობს.

— ვერ დავიჯერებ, — თქვა სერ დინადანმა.

ამასობაში სერ პალომიდმა და სერ ლანსელოტმა ცხენებს დეზები ჰკრეს, გააქროლეს და შუბები ერთიმეორეს უსისწვრივეს.

სერ პალომიდმა შუბი სერ ლანსელოტის აბჯარს შეაღწია და ძვრაც ვერ უყო, სერ ლანსელოტმა კი ისეთი ძალით აძგერა შუბი, რომ უნაგირიდან გადახვეტა სარკინოზი ცხენიდან. იმავე ძგერებით გაუხვრიტა ფარი და აბჯარი. ძირს რომ არ გადავარდნილიყო, სიკვდილს თავს ვერ დააღწევდა.

— აბა რას იტყვით? — იკითხა სერ ტრისტრამმა, — ცხენჯომარლობაზე შევატყვე, რომ სერ პალომიდი ამ რაინდს ვერ გაუძლებდა.

გამარჯვებულმა სერ ლანსელოტმა ცხენი გააქროლა, წყაროსთან შეაჩერა, შეისვენა, რომ წყურვილი მოეკლა და სული მოეთქვა. მაგრამ ჩრდილოეთ უელსელი რაინდები თვალს ადევნებდნენ. ნახეს საითაც წავიდა, თორმეტი რაინდი მიჰყვა კვალდაკვალ, რომ მოულოდნელად დასხმოდნენ თავს, ყველაფერი ეს კი მოფიქრებული იყო მხოლოდ იმ მიზნით, რომ დილით ტურნირზე ვერ გამოსულიყო და გამარჯვება ვერ მოეპოვებინა.

და აი, უცაბედად, თორმეტი რაინდი მიესია. სერ ლანსელოტმა მუზარადის დახურვა და ცხენზე რიგიანად შეჯდომა ვერც კი მოასწრო, რომ ისინი ვერაგულად მიუხტნენ და ხელჩართული ომი გაუმართეს. მან შუბს დასტაცხელი და პირდაპირ რაზმის შუაგულში შეიჭრა, ერთი რაინდი იქვე მოკლა, მაგრამ სხეულში შუბი შეატეხა. მაშინ მახვილ იშიშვლა ქარქაშიდან და მარჯვნივ და მარცხნივ ჩეხვას მიჰყო ხელი. რამდენიმე წამში კიდევ სამი რაინდი აკუწა, დანარჩენები მძიმედ დაჭრა. ყველანი დაასახიჩრა, ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, ასე იხსნა თავი სერ ლანსელოტმა ჩრდილოეთ უელსელი რაინდებისაგან.

სერ ლანსელოტმა თავისი გზით გასწია და ერთი მეგობრის სახლში მივიდა. დაღლილ-დაქანცულმა ის ღამე იქ გაათია, რადგან არ უნდოდა ტურნირზე პირველ დღეს გამოსულიყო. იგი მეტიმეტად დაღლილი გახლდა. იმ პირველ დღეს იგი ართურ მეფის გვერდით იჯდა მაღალ ფიცარნაგზე და თავის შესაფერის მოწინააღმდეგეებს თვალთ დაეძებდა. ასე გაატარა ის დღე ართურთან ერთად და ბრძოლა არ გადაუხდია.

თავი ოცდამათე

როგორ მიაღწია პირველ დღეს დიდ წარმატებას სერ ტრისტრამმა და როგორ მოიპოვა პირველობა

ახლა მივუბრუნდეთ ისევ სერ ტრისტრამ ლიონელს, რომელმაც თავის მსახურს გოვერნალს უბრძანა, შავი ფარი მომიშადეო, სრულიად უნიშნო. ასე დაშორდნენ სერ ტრისტრამი და სერ პერსიდი სერ პელონს. ისინი წინასწარ მივიდნენ საასპარეზო მოედანზე და შოტლანდიის მეფის კარადოსის მხარეზე დადგნენ.

მაღე მოედანი რაინდებით აივსო. ცალ მხარეს იყვნენ ჩრდილოეთ უელსის მეფის, მეორე მხარეს კი მეფე კარადოსის რაინდები. დიდი ბრძოლები გაჩაღდა. ერთნი უტევდნენ, მეორენი თავს იცავდნენ და ყველანი მოედნის ოთხსავე მხარეს აწყდებოდნენ ერთიმეორეს. სერ პერსიდი და სერ ტრისტრამი ერთად იბრძოდნენ, და ისე გამოიჩინეს იმ დღეს თავი, რომ ჩრდილოეთ უელსის მეფე შევიწროებული აღმოჩნდა.

მაგრამ მაშინ ბრძოლის ველზე გამოვიდნენ სერ ბლეობერისი და სერ გაპერისი, რომელნიც ჩრდილოეთ უელსის მეფის მხარეზე იბრძოდნენ. მათ მიწაზე დასცეს სერ პერსიდი. იგი სასწაულით გადარჩა გაქელვას, რადგან ორმოცზე მეტმა მხედარმა ზედ გადაუქროლა. სერ ბლეობერისმა ბევრი მეომრული გმირობა ჩაიდინა და მას არც სერ გაპერისი ჩამორჩენია.

როცა სერ ტრისტრამმა მათი შემართება ნახა, გაოცდა: ვინ არიანო? თან იმას სწუხდა, სერ პერსიდის დამარცხება ჩემი სირცხვილიაო. ხელში მძიმე შუბი აიღო, სერ გაპერსს შეუტია და ცხენიდან გადმოაგდო.

მაშინ გაშმაგდა სერ ბლეობერისი, შუბი აიტაცა და სერ ტრისტრამს შეუტია განრისხებულმა. მაგრამ სერ ტრისტრამმა ისიც ჩამოაგდო უნაგირიდან. მაშინ განრისხდა ასი რაინდის მეფედ წოდებული რაინდი, ისევ შესვა ცხენებზე სერ ბლეობერის და სერ გაპერისი და ისევ გაჩაღდა ფიცხელი ომი. ამ ბრძოლაშიც წინ მიიწეგდა სერ ტრისტრამი და სერ ბლეობერისს ბევრი საზრუნავი გაუჩინა.

შემდეგ სერ ტრისტრამს სერ დინადანი შეება, მაგრამ სერ ტრისტრამმა ისეთი ძალით დაჰკრა მახვილი, რომ დინადანს გული შეუწუხდა უმაღლ, ვიდრე ცხენიდან გადმოვარდებოდა. როცა გონს მოვიდა, სერ ტრისტრამთან მივიდა და უთხრა:

— სერ, მე გიცნობ უკეთ, ვიდრე გგონია და აი, აქ გაძლევ ფიცს, რომ აღარასოდეს გამოვალ შენს წინააღმდეგ. რადგან, ღმერთმანი, არ ვისურვებ, რომ შენი ხმალი ისევ დამეცეს თავზე.

ამ დროს მოვარდა სერ ბლეობერისი. სერ ტრისტრამმა იმასაც ისეთი ძა-

ლით დაჰკრა ხმალი, რომ რაინდმა თავი საცოდავად ჩამოაგდო. მაშინ ტრისტრამმა მუზარადში ხელი ჩაავლო და თავის ფეხებთან გადმოიჭრა ცხენიდან. მაგრამ ამ დროს ართურ მეფემ ბუკს ჩაჰბერა და ყველა რაინდს დაზავების ნიშანი მისცა.

სერ ტრისტრამი თავის კარვისაკენ წავიდა. მან თან გაიყარა სერ დინადანი და სერ პერსიდი. მეფე ართური და ორივე მხარის მეფენი კი განცვიფრებულნი იყვნენ: ვინ არისო ეს შავფარიანი რაინდი? ბევრი სხვა რაინდიც მარჩიელობდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სერ ტრისტრამი მუზარადშიაც იცნეს და ისინი დუმდნენ. მეფე ართურმა, სხვა მეფეებმა და ლორდებმა, რომელნიც იმ დღეს მსაჯულობდნენ, გამარჯვებულად ერთხმად აღიარეს სერ ტრისტრამი, თუმცა სახელი არ იცოდნენ და შავფარიანი რაინდი უწოდეს.

თ ა ვ ი ო ს ლ ა მ ა თ ე რ თ მ ა ზ ე

თომას ზელორის სერ ტრისტრამმა მეფე ართურის მხარეს მიხრძოდა წინააღმდეგ გამოსვლა ბრძოლაში, რადგან ნახა, რომ სერ პალომიდს მათი მხარე უჭირავს

დილით სერ პალომიდმა მიატოვა ჩრდილოეთ უელსის მეფე და მეფე ართურის მხარეზე გადავიდა. იმავე მხარეს იყო მეფე კარადოსი, აგრეთვე ირლანდიის მეფე, სერ ლანსელოტის მთელი გვარი და სერ გავეინის მთელი გვარგუჯაბიც. სერ პალომიდმა სერ ტრისტრამს მიუგზავნა იგივე ქალი, რომელიც ოდესღაც დაეძებდა სერ ტრისტრამს, როცა იგი ტყეში გონდაკარგული ცხოვრობდა. ქალი ტრისტრამის ვინაობით დაინტერესდა და გამოჰკითხა, ვინა ხარ და რა გქვიაო.

— რაც შეეხება ჩემს ვინაობას, გადაეცით სერ პალომიდს, რომ ამას ვერ შეიტყობს, ჯერ ორი შუბი უნდა შევატეხო. ეს კი იცოდეს, მე ვარ ის რაინდი, რომელიც ტურნირის კვირახალზე მან უნაგირიდან გადმოაგდო, და რომელ მხარესაც ის არ უნდა დადგეს, მე მეორე მხარეს გადავალ და მის წინააღმდეგ იბრძოლებ.

— სერ, — მიუგო ქალმა, — მაშ, იცოდეთ, სერ პალომიდი იქნება მეფე ართურის მხარეზე, სადაც დგანან მსოფლიოს გამორჩეული რაინდები.

— ღვთის გულისათვის, — მიუგო ტრისტრამმა, — მაშინ მე იძულებული ვარ, ჩრდილოეთ უელსის მეფის მხარეზე ვიყო, რაკი სერ პალომიდი მეფე ართურის გვერდით დგას. ის რომ არა, მეც ჰეშმარითად მეფე ართურის მხარეს ვიქნებოდი.

მეფე ართური გამოჩნდა თუ არა, ბუკებს ჩაჰბერეს ბრძოლის ველზე შეყრის ნიშნად და კვლავ დაიწყო რაინდთა შორის დიდი და შეუპოვარი ბრძოლა. სერ კარადოსი ასი რაინდის მეფის წინააღმდეგ იბრძოდა და ძირს დასცეს. რაინდები უტევდნენ, თავს იცავდნენ, დავდაუზოგავად დააჭენებდნენ ცხენებს მთელს მოედანზე, მაგრამ საასპარეზო მოედანზე გამოჩნდნენ თუ არა ართურის რაინდები, ჩრდილოეთ უელსის რაინდები გააქციეს.

გამოვიდა თუ არა ბრძოლის ველზე სერ ტრისტრამი, იგი ისე შმაგად, ისე შეუპოვრად და ილათიანად იბრძოდა, რომ ვერც ერთი რაინდი წინ ვერ დაუდგა. დიდხანს იბრძოდა ასე, მაგრამ ბოლოს მეფე ბანის რაინდთა კრებულის აღმოჩნდა გარემოცული. გარს ეხვეოდნენ სერ ბორსი, სერ ექტორ მონაპირე, სერ ბლამურ განელი და კიდევ მრავალი სხვა.

ტრისტრამი დაუნდობლად იქნედა მახვილს მარჯვნივ და მარცხნივ, ასე რომ, ყველა ლორდი და ბანოვანი მის საბრძოლო დიდებაზე ამეტყველდა, დასასრულ მაინც სძლევდა ამდენი რაინდი სერ ტრისტრამს, ასე რაინდის მეფე რომ არ მიშველებოდა. თავისი რაზმით გამოჩნდა იგი ბრძოლის ველზე და დაიფრინა რაინდები, რომელთაც კორნუელის ფარები ეჭირათ.

შემდეგ სერ ტრისტრამმა დაინახა რაინდთა ცალკე რაზმი. იქ ორმოცამდე მეომარი იქნებოდა, რომელთაც სერ კეი სენეშალი წინამძღოლობდა. სერ ტრისტრამი პირდაპირ ამ გუნდის შუაგულში შეიჭრა და სერ კეი მაშინვე გადმოაგდო ცხენიდან, ხოლო მის რაინდებს ისე მოექცა, როგორც მონადირე ძაღლი ექცევა კურდღლებს.

სერ ლანსელოტი ბრძოლის ველზე გადაეყარა რაინდს, რომელიც თავში იყო მძიმედ დაჭრილი.

— სერ, — ჰკითხა, — ასე სასტიკად ვინ მოგექცათ?

— სერ, — მიუგო დაჭრილმა, — ასე უღმობლად მომექცა შავფარიანი რაინდი და ვწყევლი იმ საათს, როცა მას შევეყარე, რადგან იგი ქაჯია და არა ადამიანი.

სერ ლანსელოტმა დაჭრილი მიატოვა და სერ ტრისტრამთან შებმა მოიწადინა. იგი თავდაუზოგავად მიაჭენებდა ბედაურს და მარჯვენაში შიშველი მახვილი ეჭირა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იყო, დაინახა ბრძოლის ქარცეცხლში გართული ტრისტრამი, ყოველ მხარეს რომ ჩეხავდა მოწინააღმდეგეთ და თითქოს ყოველ მოქნევაზე თითო რაინდს ანარცხებდა დედამიწაზე.

— ოჰო! — შესძახა სერ ლანსელოტმა, — იესო იყოს ჩემი მფარველი! მას შემდეგ, რაც რკინის პერანგს ვატარებ. ჯერ არ შემხვედრია რაინდი, მარტოდმარტო რომ ასეთ საკვირველ საგმირო საქმეებს ახდენდენს. თუ ახლა ამ დაღლილ-დაქანცულ რაინდს შევეტაკები დასვენებული კაცი, — გაიფიქრა თავისთვის, — ჩემთვის სამარცხვინო საქციელი იქნება, — და ამოღებული ხმალი ქარქაშში ჩააგო.

ამ დროს ასე რაინდის მეფის რაზმი და აგრეთვე ჩრდილოეთ უელსის ასე რაინდი ლანსელოტის გვარის ოც რაინდს დაესხა თავს, მაგრამ ის ოცნი გარეული ტახებივით იბრძოდნენ და ასეთ შემოტევაზე არც არავინ შემდრკალა. სერ ტრისტრამმა მათი გმირობა და კეთილშობილური საქმეები რომ თავისი თვალით იხილა, მაშინვე მიხვდა, რომ ისინი ბრძოლის ველს არ დატმობდნენ და უმალ დაიხოცებოდნენ, ვიდრე მოპირდაპირეს ზურგს უჩვენებდნენ.

— იესო! — შესძახა სერ ტრისტრამმა, — რაღა თქმა უნდა, ქველია და მამაცი ის, ვისაც თავის გვარში ასეთი რჩეული მეომრები ჰყავს. უკეთილშობილეს ბარონად უნდა ჩაითვალოს ის, ვინც მათი ბელადი და მოთავეა.

ასე დაახასიათა მან სერ ლანსელოტ ტბელი.

დიდხანს არ უყურებია სეირისათვის ტრისტრამს, სამარცხვინოაო ჩემთვის, გაიფიქრა, ასე გულგრილად ცქერა, თუ როგორ ებრძვის ოც კაცს ორასი კაცი. მაშინ მივიდა ასე რაინდის მეფესთან და უთხრა:

— სერ, შეწყვიტეთ ბრძოლა ოც რაინდთან, რადგან ეს თქვენ პატივს არ დაგდებთ. თქვენ ხომ ასე ბევრნი ხართ, ისინი კი ცოტანი არიან. იცოდეთ, ისინი ბრძოლის ველს არ დატოვებენ, ეს მე მათ კოჭებში შევატყვე, ხოლო თქვენთვის მხოლოდ სირცხვილი იქნება, თუ დახოცავთ. ამიტომ შეწყვიტეთ

ეს უთანასწორო ბრძოლა, თორემ პატივის მოპოვების განზრახვით მეც მათ შევეუერთდები და ვიბრძოლებ, ვიდრე ძალა და შეძლება მეყრდნე.

— არა, — მიუგო ასი რაინდის მეფემ, — თქვენ ამას არ იზამთ, მე ვხედავ თქვენს რაინდულ შემართებასა და კეთილშობილებას, ~~თქვენს~~ ჯულისათვის ჩემს რაინდებს უკან გამოვიწვევ, რადგან წესია, ნამდვილად ~~რაინდს~~ სხვა რაინდს უნდა ექომაგებოდეს და ტოლი ტოლს დაეძებდეს.

ასი რაინდის მეფემ თავისი რაინდები ბრძოლის ველიდან გაიხმო.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ი თ ო რ მ ა მ ა

როგორ იპოვა სერ ტრისტრამმა სერ კალოგრიდი წყაროსთან და თავისთან მოიხვანა ლამის გასათევად

სერ ლანსელოტი კი მთელი ეს ხანი და ასევე მანამდეც თვალს ადევნებდა სერ ტრისტრამს, მოსწონდა და ფიქრობდა, ამხანაგად და მეგობრად გავიხდიო. მაგრამ სერ ტრისტრამმა სრულიად მოულოდნელად სერ დინადანისა და თავის მსახურ გოვერნალის თანხლებით ტყეს მისცა თავი. ეს ისე უეცრად მოხდა, რომ მათი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო.

ართურ მეფემ შესვენების ნიშნად ბუკები დააკრეფინა. ტურნირზე გამარჯვებულად ჩრდილოეთ უელსის მეფე აღიარეს, რაკილა სერ ტრისტრამი მათ მხარეს იბრძოდა. სერ ლანსელოტი კი, როგორც გაშმაგებული ლომი, ჩან აქეთ მიაგელვებდა ბედაურს, ხან იქით. იგი ნამდვილად მიაგავდა გამძვინვარებულ ლომს, რომელსაც ნადავლი ხელიდან გაუსხლტა. მან ხომ თვითონ სერ ტრისტრამი დაკარგა. ბოლოს იმედი გადაუწყდა და მეფე ართურთან შემობრუნდა. ახლა კი მისწვდა მის ყურთასმენას ყიყინა, რომელიც ქარს მოჰქონდა. ეს გახლდათ ლორდებისა და ბანოვანთა ძახილი, ორი მილის მანძილზე რომ ისმოდა:

— ტურნირზე გამარჯვებული შავფარიანი რაინდია!

— აფსუს! — თქვა ართურ მეფემ, — სად გაქრა ის რაინდი? ტურნირის ყველა მონაწილისათვის დიდი სირცხვილია, რომ ასე თვალსა და ხელს შუა გაგებარათ უპირველესი რაინდი, ხომ შეიძლებოდა, კრძალვითა და თავაზით მისი მოყვანა ჩვენთან, ქალწულის ციხეში.

შემდეგ ართური თავის რაინდებს მიუბრუნდა და უბხრა:

— კეთილო მეგობრებო, ნუ დალონდებით, რომ დღეს გამარჯვება თქვენ არ გერგოთ.

ბევრი მათგანი დაჭრილი და დაღუწილ-დამსხვრეული იყო, ბევრიც უვნებლად გადარჩენილი. მეფე ართურმა მათ უთხრა:

— ჩემო მეგობრებო, გამხნევდით, სულით არ დაეცეთ, რადგან ხვალ მეც თქვენთან ერთად ვიქნები მოედანზე და ჩვენს მოწინააღმდეგეებს სამაგიეროს გადავუხდით.

ღამეც ჩამოწვა და ართურ მეფე თავის რაინდებთან ერთად მოსასვენებლად წავიდა.

მშვენიერ იზოლდას გაგზავნილი ქალი კი მთელი ტურნირის განმავლობაში დედოფალ გვინივერას არ მოსცილებია. დედოფალი სულ იმას ეკითხებოდა, რა მიზნით ხარო ამ მხარეში ჩამოსული.

— ქალბატონო, — უხსნიდა იზოლდას პირის ფარეში ბრანგვეინი, — დე-

დოფალმა იზოლდამ გამომგზავნა მხოლოდ იმ დავალებით, რომ გავიგო, როგორა ბრძანდებით თქვენ, როგორ არის თქვენი ძვირფასი ჯანმრთელობა. სხვა არაფერი.

შემდეგ ეს ქალი დედოფალ გვინივერას დაემშვიდობა და სერ ტრისტრამის საძებნელად წავიდა.

მიდის ტყეში ცხენით ბრანგვეინი და ესმის ხმამაღალი ყვირილი. ქალმა თავის პაეს უბრძანა, შედი ღრმა ტყეში და გაიგე რა ხმაურია, რა ხდებოა. პაეი ნაკადულთან მივიდა და ხედავს, ვილაც რაინდი ნაკადულის პირას ხეზეა მიბმული და გიჟივით გაჰყვირის. მისი ცხენიც იქვე მიბმულივით დგას და საჭურველიც აქეთ-იქითაა მიმოხვეული. დაინახა თუ არა პაეი, რაინდმა ერთი ლონივრად გაიწია, თოკი გაწყვიტა, ხმალს ხელი წამოაწყო, პაეს მიექრა და მოკვლა დაუპირა. პაემა ცხენს დეზი ჰკრა, ბრანგვეინთან გაბრუნდა და უამბო, რაც ნახა. ქალი სერ ტრისტრამის კარავში მივიდა და რაც ტყეში შეემთხვათ, დაწვრილებით მოუთხრო.

— აფსუს! — თქვა ტრისტრამმა, — ვხედავ, კარგი ადამიანი ხიფათს გადაჰყრია.

სერ ტრისტრამმა აიღო მახვილი, შეჯდა ცხენზე და ტყეს შეერია. ხედავს, ის რაინდი ისევ ისე გმინავს და ბედს დასტირის:

— ო, მე უბედური სერ პალომიდი! ეს რა უბედურება დამატყდა თავს! ესღა მაკლდა! ახლა საქვეყნოდ თავი მაქვს მოჭრილი, როგორც გამყიდველსა და მოლაღატეს და სულ სერ ბორსისა და სერ ექტორის მიზეზით! აფსუს! რატომ აქამდე არ ჩავძაღლდი!

მან მალე ხმალს წამოაწყო ხელი და ქვიშაზე უცნაური ნიშნებისა და ფიგურების ხატვა დაიწყო. მერ კი გამძვინვარებულმა თავისი მახვილი წყალში ისროლა. შემდეგ კენესასა და ხელების მტვრევას მოჰყვა. ბოლოს კი დარდმა ისე დარია ხელი, სულაც დაკარგა ცნობა და თვითონ დააპირა წყალში გადახტომა, რომ თავისი ხმალი ეპოვა. მაგრამ ტრისტრამმა ეს დროზე შეამჩნია, მივარდა, ხელები მოჰხვია და შეაჩერა.

— ვინა ხარ? — ჰკითხა სერ პალომიდმა, — რად ჩავივლია ხელი და ირ მიშვებ?

— მე ამ ტყის მკვიდრი ვარ და შენთვის ცუდი არ მინდა.

— აფსუს! — თქვა სერ პალომიდმა, — მე პატივს ვერა ვპოვებ იქ, სადაც სერ ტრისტრამია, სადაც კი მე და ის ერთად მოვხვდებით, პატივდიდება ყველგან და ყოველთვის მას ერგო. როცა ის არაა, გამარჯვებული უმთავრესად მე გამოვდივარ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ იქ არ არიან სერ ლანსელოტი და სერ ლამორაკი. ერთხელ ირლანდიაში, — ცოტა მოგვიანებით დასძინა სერ პალომიდმა, — სერ ტრისტრამმა ორთაბრძოლაში დამამარცხა. მეორედ კორნუელში მომიგო ბრძოლა და კიდევ ამ ქვეყნის სხვა მხარეებში.

— რას იზამდით, — ჰკითხა სერ ტრისტრამმა, — ახლა რომ სერ ტრისტრამი აქ ყოფილიყო?

— ორთაბრძოლაში გამოვიწვევდი, — მიუგო სერ პალომიდმა, — გულს მოვიოხებდი და დავიცხრობდი, და მაინც მართალი უნდა გითხრათ, სერ ტრისტრამი უკეთილშობილესი რაინდია ამყამად მოარულ ცოცხალ რაინდთა შორის.

— სერ, რას აპირებთ ახლა? — ჰკითხა სერ ტრისტრამმა, ხომ არ წამოხვიდოდით ჩემს ერთ-ერთ კარავში ღამის გასათევად?

— არა, თქვენთან არა, მაგრამ ასი რაინდის მეფესთან კი მივიდოდი, რადგან იმან მიხსნა სერ ბორს განელისა და სერ ექტორის მუხანათურად მომკლავდნენ.

მაგრამ სერ ტრისტრამმა დაუყვავა და თავის კარავში წაიყვანა. გოვერნალი კი წინ წავიდა და ქალი ბრანგვეინი სხვაგან გაგზავნა, რომ რაინდებისათვის ხელი არ შეეშალა. სერ პერსიდიც დამოძღვრა, ახლად მოსულს ჩხუბი არ აუტეხო.

ცხენები გვერდიგვერდ მიჰყავდათ და ტრისტრამის კარავს მიაღწენ, სერ ტრისტრამმა სერ პალომიდს მეტად კარგა უმასპინძლა და ყველა პატივი მიაგო, რაც კი ღამეულ მგზავრს ესაჭიროება. მაგრამ, ვინ იყო მისი მასპინძელი. ეს სერ პალომიდმა კიდევ არ იცოდა, ვახშმის შემდეგ საწოლებს მიაშურეს და ტრისტრამმა ამდენი ჯაფის შემდეგ დილა მდე უშფოთველად იძინა. სერ პალომიდს კი რული არ მიჰკარებია, ისე დარბოდა. როგორც კი ირიჭოდა, ფეხზე წამოვარდა, ტანთ ჩაიცვა და სერ გაპერისსა და სერ საგრამურ სასურველს მიაშურა, რადგან ტურნირის წინ შეიკრა ამ სამთა კავშირი.

გათენდა და ართურ მეფემ ტურნირის მესამე დღის დადგომა ხალხს ბუკების დაკვრით აუწყა.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ი ც ა მ ი ტ ა

როგორ დაჯაბნა სერ ტრისტრამმა სერ პალომიდი, როგორ ებრძოდა ართურ მეფეს და მისი სხვა საგმირო საქმიანი

მაშინვე დაიწყო ბრძოლა. ჩრდილოეთ უელსის მეფე და ასი რაინდის მეფე, ეს ორი ხელმწიფე, მეფე კარადოსსა და ირლანდიის მეფეს დაეტაკა. ასი რაინდის მეფემ დამარცხება აგემა მეფე კარადოსს, ჩრდილოეთ უელსის მეფემ კი ირლანდიის მეფე დაჯაბნა. მაშინ ველზე გავიდა სერ პალომიდი და დიდი არევ-დარევაც მოჰყვა ამას, რადგან დასერილი ფარით იგი ბევრმა შეიცნო. შემდეგ გამოვიდა მეფე ართური. ამ ორმა დიდი საგმირო საქმეები მოახდინა. მათ გააქციეს ჩრდილოეთ უელსის მეფე და ასი რაინდის მეფეს კუდით ქვა ასროლინეს.

უეცრად ბრძოლაში გადაეშვა შავფარიანი ტრისტრამი. სერ პალომიდს შეება, თავისი უჩვეულო ღონის წყალობით ცხენის გავაზე გადააყირავა და მიწაზე ჩამოაგდო.

მაშინ შესძახა ართურ მეფემ:

— ჰეი, შავფარიანო რაინდო! წერამ აგიტანა თუ რაა? ჩემთან შესაბამელად მოემზადე! — მაგრამ სერ ტრისტრამმა მეფე ართურიც ჩამოაგდო ცხენიდან. ართურის რაინდებმა მეფე და პალომიდი ისევ შესვეს ცხენებზე, აენტო, აგიზგიზდა ართურის გული, მძიმე შუბი ასწია, გვერდიდან დაესხა თავს და სერ ტრისტრამი ძირს დააგდო.

მაშინვე გაფიცებულნი სერ პალომიდი დაესხა თავს და ცხენით ზედ შედგომა დაუპირა. მაგრამ სერ ტრისტრამი დროზე მიუხვდა, განზე გახტომა მო-

ასწრო, მრისხანებით მოცულმა ხელი დაუჭირა, ცხენიდან გადმოათრია და მიწაზე დაანარცხა.

სერ პალომიდი სწრაფად წამოიჭრა და გაიმართა სასტიკი ხელჩართული ბრძოლა. ისეთი ძალით ურტყამდნენ ერთმანეთს მახვილებს, რომ შეფეები, ლორდები და ბანოვანები ზეზე წამოიჭრნენ, რათა ორთაბრძოლა უკეთ დაენახათ. ბოლოს და ბოლოს, სერ ტრისტრამმა იმარჯვა, სამჯერ ისე მძლავრად დაჰკრა მახვილი მუზარადში, რომ გონი დააკარგვინა, თანაც დაჰკრავდა ხოლმე და ეტყოდა:

— მიიღეთ სერ ტრისტრამის სახელით!

სერ პალომიდმა ველარ გაუძლო მძლე მოწინააღმდეგეს და პირქვე დაეცა მტვერში.

მოვარდა ასი რაინდის მეფე და სერ ტრისტრამს ცხენი მოჰგვარა. ამასობაში სერ პალომიდიც წამოდგა, ცხენს მოახტა და ცოფმორეულმა შუბის მძლავრად ძვერებით მოინდომა ტრისტრამის ცხენიდან ჩამოგდება. მან უნაგირის ტახტას დააბჯინა პოროლი, ტრისტრამს აძვერა იგი და დამატებით თავისი მძიმე მახვილი დაჰკრა. სერ ტრისტრამი განზე გაუხტა და შესძლო შუბის აცილება, მერმე ყელში სწვდა, ცხენიდან აიყვანა, ათიოდე შუბის სატყორცნ მანძილზე ათრია და იქ გაუშვა ხელი.

ამ დროს სერ ტრისტრამმა შეამჩნია, რომ მისკენ მახვილშემართლული თვით მეფე ართური მოაგელვებდა ცხენს. სერ ტრისტრამმა შუბი შემართა და ართურის შესახვედრად დაიძრა. მეფე ართური არ შემდრკალა, აუღელვებლად მოუქნია მახვილი და შუბი გადაუკვეთა. სერ ტრისტრამი დაიბნა, ართურმა მოასწრო მახვილის მძლავრად ოთხჯერ დაკვრა, ვიდრე ტრისტრამი თავის მახვილს იშიშვლებდა. ბოლოს მაინც ამოიღო მახვილი ქარქაშიდან და დაიწყო სასტიკი ხელჩართული ბრძოლა, რომელიც ძალზე დიდხანს გაგრძელდა.

თავი ოცდამეთერთხმეტი

როგორ დაჰკრა სერ ლანსელოტმა სერ ტრისტრამი და როგორ დათრგუნა ამის შემდეგ სერ ტრისტრამმა სერ პალომიდი

შავფარიანი რაინდის დიდების ამბავი სერ ლანსელოტსაც შეესმა. მან მძიმე შუბი აიღო და იქით გაეშურა, საიდანაც ხალხის კვირილი მოდიოდა. მივიდა და შესძახა:

— შავფარიანო რაინდო, ემზადე ჩემთან საომრად!

სერ ტრისტრამმა გაიგონა მისი ძახილი, შუბს ხელი მაგრად მოუჭირა და ორივე თავდახრილი გაეშურა შესაბამელად. ისინი ისე დაეტაკნენ ერთმანეთს, თითქოს მეხმა იქუხაო და სერ ტრისტრამის შუბი ნამსხვრევებად იქცა. სერ ლანსელოტმა საუბედუროდ მოახერხა მისი დაჰკრა გვერდში და თანაც კინაღამ სასიკვდილოდ განგმირა. სერ ტრისტრამი რაღაც სასწაულით მაინც უნაგირზე დარჩა, ლანსელოტს კი შუბი გადაუტყდა. მძიმედ დაჭრილმა ტრისტრამმა ხმალი მაინც იშიშვლა, სერ ლანსელოტს მივარდა და მუზარადზე სამჯერ ისე ძლიერად დაჰკრა მახვილი, რომ ნაპერწკლები დააყრევინა, და სერ ლანსელოტს თავი უნაგირის ტახტამდე დაუვარდა. მაშინ სერ ტრისტრამმა მოედანი მიატოვა, რადგან ისეთი ღრმა ჭრილობა ჰქონდა, რომ გულმა უგრძნო, აქ მოკვდებო. ამას მხოლოდ სერ დინადანი მიუხვდა და ტყეში გაჰყვა.

სერ ლანსელოტი გონს მოვიდა, მოედანზე დარჩა და კიდევ ბრავოთი საგმირო საქმე მოახდინა.

სერ ტრისტრამი ტყის პირას დაქვეითდა, აბჯარი მოიხსნა, ჭრილობა მოიბანა, სერ დინადანს კი ეგონა, კვდებოდა, და მწარედ ატირდა.

— გეყოფათ, ნუ ტირით, სერ დინადან, — უთხრა ტრისტრამმა, — ნუ გეშინიათ, არაფერი მიჭირს. ეს ჭრილობა ღვთის შეწევნით, მალე შემიხორცდება.

უცებ სერ დინადანმა შეამჩნია, რომ პირდაპირ მათკენ მოჰქროდა პალომიდი. სერ ტრისტრამმა შეამჩნია სარკინოში და მიხვდა, აქეთ იმისათვის მოაქროლებს ბედაურს, რომ ბოლო მომიღოსო. სერ დინადანმა გააფრთხილა:

— სერ ტრისტრამ, ჩემო ბატონო, თქვენ ისე მძიმედ ხართ დაჭრილი, რომ ორთაბრძოლაში ვერ გახვალთ. ამიტომ, მოდით, მე შევებრძოლები და, რასაც შევიძლებ, იმას გავაკეთებ, ხოლო თუ მომკლავს, ჩემი სულისათვის ილოცეთ. ამასობაში თქვენ შეგიძლიათ, სადმე ციხეს შეაფაროთ თავი ან ტყეს შეერიოთ და დაიმალეთ.

პასუხის ნაცვლად სერ ტრისტრამმა გაიღიმა და თქვა:

— მადლობა მომიხსენებია, სერ დინადან, ასეთი ზრუნვისათვის, მაგრამ მგონი, თვითონაც შევძლებ მასთან შებრძოლებას.

სერ პალომიდმა დაინახა ტრისტრამი, ცხენიდან ჩამოვიდა და ყასიდად ცხენის მოსართავის სწორებას მოჰყვა. შეყოვნების მიზეზი ის იყო, რომ სერ გაპერისს ელოდა, უკან რომ მოჰყვებოდა. როგორც კი გაპერისი მოვიდა, პალომიდმა ცხენი ტრისტრამის შესახვედრად დაძრა. სერ ტრისტრამმა თავს მოხვეული გამოწვევა მიიღო და თავის მხრივ შესთავაზა პირობა, რომ თუ თვითონ დასცემს ძირს სერ პალომიდს, ბრძოლა ამით დამთავრდება, ხოლო თუ სერ ტრისტრამი დაეცემა, პალომიდს შეუძლია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართოს, თუ მოისურვებს. ასე შეთანხმდნენ და შუბებით ბრძოლაც დაიწყეს.

სერ ტრისტრამმა სერ პალომიდი ცხენიდან გადააგდო. სარკინოში ძირს მკვდარივით გაშხლართა და უძრავად დარჩა. სერ ტრისტრამი კი სერ გაპერისს მიუბრუნდა, ძალად მოახვია თავს ბრძოლა, რასაც იგი გაურბოდა, მოკლე ხანში ცხენის გავაზე გადასვა, გადააყირავა და ისიც უგრძნობლად დააგდო ძირს. მერმე სერ ტრისტრამმა კარავთან დატოვა სერ პერსიდი და თავისი საჭურველთმტვირთველი, თვითონ კი სერ დინადანი იახლა და ლამის გასათევად სხვაგან წავიდა. მათ შეიარეს ერთი მოხუცი რაინდის სახლში, რომელიც ღმერთს ტურნირზე წასული ხუთი შვილის მშვიდობით დაბრუნებას ევედრებოდა. მართლაც, მალე, როგორც ფრანგულ წიგნში წერია, ხუთივე დაუბრუნდა შინ, ოღონდ მძიმედ დასახიჩრებულნი.

სერ ლანსელოტი კი ტრისტრამის ტყეში გაუჩინარების შემდეგაც განაგრძობდა გაშმაგებულ ბრძოლას, როგორც გაცი, რომელსაც სიცოცხლე არაფრად უღირს. ებრძოდა კი ბევრი სახელოვანი რაინდი. როცა მეფე ართურმა ნახა, რა საოცარ საგმირო საქმეთ სჩადიოდა სერ ლანსელოტი, თვითონაც აისხა იარაღი, ფარი აიღო და ბრძოლის ველზე გაეშურა, რომ ლანსელოტისათვის მხარი მიეცა. მრავალი ქველი რაინდი მიჰყვა მეფეს.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ბოლოს და ბოლოს ჩრდილოეთ უელსისა და ასი რაინდის მეფეები დამარცხდნენ. სერ ლანსელოტს კი, რომელსაც ბრძოლია

ველი ბოლომდე არ მიუტოვებია და ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია, ამ დღეს პირველობა მიენიჭა. მაგრამ მეფე-დედოფლისა და სხვა რაინდების რჩევის მიუხედავად, სერ ლანსელოტი ეს პატივი არ მიიღო, ხოლო, როცა ბრძოლის ველზე გაისმა შეძახილები: „დღეს გამარჯვებულია სერ ლანსელოტი! — სერ ლანსელოტი სხვა თქვა:

— გამარჯვებულია სერ ტრისტრამი, რომელმაც ყველაზე ადრე დაიწყო და ყველაზე გვიან დაასრულა ბრძოლა. ასე იყო პირველ, მეორე და მესამე დღესაც!

თავი მცდარეთხუთმეტი

როგორ მიენიჭა პრიზი მესამე დღისათვის სერ ლანსელოტს და როგორ გადასცა ის პრიზი სერ ლანსელოტმა სერ ტრისტრამს

და მაშინ წარჩინებულნი და ყველა წოდება ერთხმად ამეტყველდა იმ დიდ კეთილშობილებაზე, რაც სერ ლანსელოტი გამოიჩინა სერ ტრისტრამის მიმართ. იმ პატიოსანი საქციელისა გამო, მისი დიდება ისე გაიზარდა, თითქოს მას ერთს დამატებით დაემარცხებინოს ხუთასი რაინდი. მაშინ ერთხმად შესძახა ყველა წოდებამ, მათთან ერთად კი უბრალო ხალხმაც:

— ვინც რა უნდა თქვას, გამარჯვებულია სერ ლანსელოტი! სერ ლანსელოტი ნაწყენი და შერცხვენილი დარჩა და მაშინვე ცხენი მეფე ართურისაკენ გააქროლა.

— ვაგლახ! — თქვა მეფემ, — ყველა დაგვადონა სერ ტრისტრამმა, ასე ადრე რომ მიგვატოვა. ღმერთს გეფიცებით, — დასძინა ართურმა, — ის კაცი ერთ-ერთი უბრწყინვალესი რაინდთაგანია მათ შორის, ვისაც ხელთ შუბი ან ხმალი სჭერია და ვისი მკლავის ძალაც გამომიციდია, თანაც ყველაზე უფრო თავაზიანი და ზრდილი. ყველაზე მეტად მაშინ მისჭირდა საქმე, როცა სერ პალომიდს სამჯერ მძლავრად დაჰკრა მუჭარადზე, ზუჩი ლამის ნამსხვრევებად უქცია და სამჯერ ასე შესძახა: „მიიღე სერ ტრისტრამის სახელით!“ დიახ, აგრე თქვა სამჯერ.

ამის შემდეგ მეფე ართური, სერ ლანსელოტი და სერ დოდინას მძვინვარე ცხენებზე შესხდნენ და სერ ტრისტრამის საძებნელად წავიდნენ. სერ პერსიდის შემწეობით ართურმა გაიგო, სადაც იყო გაშლილი ტრისტრამის კარავი. როცა იქ მივიდნენ, სერ ტრისტრამი და სერ დინადანი აღარ დაუხვდათ. დღონდნენ ართურ მეფე და სერ ლანსელოტი, ჭალწულის ციხეში უკან გაბრუნდნენ, პირნი დაედრიჯათ და ლამის ტიროდნენ ტრისტრამის ჭრილობისა და ადრე წასვლის გამო.

— ღმერთია მოწმე, — თქვა ართურმა, — მისი უნახავობა უფრო მადონებს, ვიდრე ყველა ის ჭრილობა, რაც ჩემმა რაინდებმა ამ ასპარეზობაზე იწვნის.

ამ დროს მათთან მივიდა სერ გაპერისი და უამბო, როგორ დასცა ძირს სერ ტრისტრამმა სერ პალომიდი, რომელიც დაჭრილს მოსაკლავად დაედევნა.

— ვაგლახ! — თქვა მეფე ართურმა, — ეს ხომ სირცხვილი და უპატიოსნებია, სერ პალომიდი რომ მძიმედ დაჭრილს დაედევნა, ჩვენ ყველამ უნდა ვადიაროთ — მეფეებმა, რაინდებმა, კეთილმა ადამიანებმა, რომ სერ ტრისტ-

რამი ჭეშმარიტი რაინდია, თანაც უკეთესთა შორის უკეთესი, რომელნიც კი ჩემს ცხოვრებაში თვალთ დამინახავს.

— სერ, რაც შემეხება მე, — თქვა სერ ლანსელოტმა, მთელს ჩემს მამისეულ მიწა-წყალს უფრო იოლად დავთმობდი, ვიდრე ვნებავს მევაყენებდი სერ ტრისტრამს, მაგრამ მე ხომ არ ვიცოდი, ვის ვებრძოდნენ მისე ფარი არ დამინახავს. მისი შავი ფარი რომ დამენახა, არ შევებრძოლებოდი და საამისოდ ბევრი მიზეზიცა მაქვს: მან ხომ სულ ახლახან გადადო ჩემთვის თავი ყველამ იცის, როგორ დაამარცხა ჩემდა სამტროდ გამზადებული ოცდაათი რაინდი, თან კი მხოლოდ სერ დინადანი ახლდა. ერთი რამ შემიძლია დავიფიცო, — განაგრძო სერ ლანსელოტმა, — სერ პალომიდი მწარედ ინანებს თავის ვერაგულ საქციელს, ტყეში რომ აედევნა და შეეება კეთილშობილ რაინდს, რომელიც ჩემგან მძიმედ დაჭრილი იყო.

აქ სერ ლანსელოტმა სერ ტრისტრამის სადიდებლად წარმოთქვა ყველა საქები სიტყვა, რისი შეთხზვაც კი შეიძლება.

ამის შემდეგ ართურ მეფემ ყველასათვის გამართა ნადიმი. ამ ნადიმზე დავტოვოთ დროებით ართურ მეფე და გადავიდეთ სერ პალომიდის ამბავზე.

სერ ტრისტრამმა რომ ისევ დაამარცხა სერ პალომიდი, ისე გაბრაზდა, რომ გონი და ცნობა ლამის ისევ დაკარგა და შეშლილივით აედევნა დაჭრილს. იგი მდინარეს მიადგა, ზედ გადახტომა მოინდომა, მაგრამ ცხენმა ვერ იმარჯვა, მდინარეში ჩავარდა და სერ პალომიდს გული გადაუტრიალდა, ვაითუ დავიხრჩოთ.

თავი ოცდახუთეხუთე

როგორ მივიდა პალომიდი ციხეში, სადაც სერ ტრისტრამი იმყოფებოდა, და როგორ ჯავიდა სერ ლანსელოტი ათი რაინდის თანხლებით ტრისტრამის სახეხნოლად

სერ პალომიდმა უზანგებიდან ფეხები გაითავისუფლა და ნაპირისაკენ გაცურა. საცოდავი პირუტყვი კი ბედის ანაბარა დატოვა — ან გაცუროს ან ჯანდაბამდე გზა ჰქონია, დაიხრჩოსო. ნაპირზე გასულმა აბჯარი გაიხადა, ქვაზე დაჯდა და ისეთი მოთქმა-გოდება დაიწყო, შეშლილი გეგონებოდათ.

სერ პალომიდმა უცებ მისკენ მიმავალ ახალგაზრდა ქალს მოჰკრა თვალი. ქალწული სერ გავეინისაგან ძმასთან სერ მორდრედთან დავალებით ვაგზავნილი აღმოჩნდა. სერ მორდრედი ხომ ავადმყოფი იწვა იმავე ციხე-სამაგრეში, სადაც ახლა სერ ტრისტრამიც იშუშებდა ჭრილობას. ეს იყო მოხუცი რაინდის ციხე. ფრანგულ წიგნში მოთხრობილია, რომ ათი დღის უკან სერ პერსიდმა ძალზე მძიმედ დაჭრა სერ მორდრედი. იგი კიდევაც მოკლავდა სერ მორდრედს ორთაბრძოლაში, რომ სერ პერსიდს სერ გავეინის და მისი ძმების პატივისცემა არა ჰქონოდა.

ჰოდა, ის ქალწული იმ ადგილს გაუსწორდა, სადაც სერ პალომიდი იჯდა. მათ ერთხანს იმასლაათეს, მაგრამ დიდი ნუგეში საუბარში ვერა პოვეს და ერთმანეთს ჰაიჰარად დაშორდნენ. ქალმა ცხენი გააქროლა, მოხუცი რაინდის სახლში მივიდა და თქვა, გზაში ერთი შეშლილი ვნახე, ჩემს ცხოვრებაში ასეთი გიჟი მეორე არ შემხვედრიაო.

— რა ეხატა იმის ფარზე? — ჰკითხა სერ ტრისტრამმა.

— სერ, ფარზე შავი და თეთრი კბილები აქვს მოხატული, — მიუგო ქალმა.

— არა! — თქვა სერ ტრისტრამმა, — ეს პალომიდია, ქველი რაინდი. კარგად ვიცნობ, ამ მხარის ერთ-ერთი საუკეთესო რაინდთაგანია.

მაშინ მოხუცმა რაინდმა თავისი ტანმორჩილი ფაშატი შეკანა და პალომიდი თავის სახლში მოიყვანა. სერ ტრისტრამმა ის მაშინვე იცნო, მაგრამ გაყუჩდა. სერ პალომიდი კი ყოველ შეხვედრაზე ფიქრობდა, ეს კაცი სადღაც მინახავსო, ცნობით კი ვერა სცნობდა. ტრისტრამს ჭრილობა თანდათან უშუშდებოდა.

სერ პალომიდი სერ დინადანს სულ ასე ეუბნებოდა:

— სერ ტრისტრამის ჯავრით აღარა ვარ. ოღონდ სადმე შევხვდე, ველარ გადამირჩება.

— გასაკვირია სწორედ, — პასუხობდა სერ დინადანი, — ამდენს რომ ბაქიბუქობთ სერ ტრისტრამის ზურგს უკან! სულ ახლახან შეგეძლოთ მასთან ანგარიშის გასწორება. იგი ხომ თქვენს ხელთ იყო. რატომ გაუშვით? მე ხომ თვითონ ვნახე, ორჯერ თუ სამჯერ მასთან შეხვედრით რომ ვერაფერი სახელი მოიხვეჭეთ.

ამის გაგონებაზე სერ პალომიდს შერცხვა. აქ დროებით შევწყვიტოთ თხრობა, ისინი სერ დარასის კოშკში მოვასვენოთ და დავუბრუნდეთ ისევ მეფე ართურს, რომელმაც სერ ლანსელოტს უთხრა:

— თქვენ რომ არა, სერ ტრისტრამა არ დაგვეკარგებოდა, რადგან თქვენთან შეხვედრამდე აქედან არსად წასულა, რა ეშმაკად გადაეყარეთ ერთმანეთს.

— ჩემო ბატონო ართურ, — მიუგო სერ ლანსელოტმა, — მომისმინეთ! თქვენ მე მამბრალეობთ სერ ტრისტრამის წასვლას, მაგრამ ღმერთია მოწმე, ეს ჩემი სურვილის წინააღმდეგ მოხდა. ამ ბრძოლაში გაფიცებული კაცი კი ხშირად მტერსა და მოყვარეს ველარ არჩევს. ესეც იცოდეთ, ჩემო მეუფე, ქვეყნად ყველაზე უფრო სერ ტრისტრამის განაწყენებას ვერიდები, რადგან ჩემთვის ბევრად მეტი გააკეთა იმაზე, რაც დღემდე მისთვის გამიკეთებია.

სერ ლანსელოტმა ოთხთავის მოტანა ბრძანა და შემდეგ თქვა:

— ჩვენ, ათი რაინდი, ამ წიგნზე ვფიცავთ, თუნდაც მთელ წელიწადს მოგვიხდეს აღმა-დაღმა ყიალი, ორ ღამეს ერთ ადგილზე არ გავათევთ, ვიდრე სერ ტრისტრამს არ ვიპოვით. რაც შემეხება პირადად მე, ამ წიგნზე ვიფიცავ, სადაც არ უნდა შევხვდე სერ ტრისტრამს, რამენაირად აქ მოვიყვან, ანდა დავიღუბები.

ტრისტრამის საძებნელად წასულ რაინდთა სახელებია: სერ ლანსელოტი, სერ ექტორ მენაპირე, სერ ბორს განელი, სერ ბლეობერისი, სერ ბლამურ განელი, სერ ლუკას-მოურავი, სერ ივეინი, სერ გალიპუდი, სერ ლიონელი და სერ გალიოდინი.

ამ ათმა რაინდმა ართურის სასახლე მიატოვა და ფათერაკების საძებნელად ერთად გაემგზავრა. მალე მივიდნენ გზაჯვარედინთან, სადაც გზა ოთხად იყოფოდა. იქ მათი რაზმი ოთხად გაიყო და ტრისტრამის საძებნელად წავიდნენ.

სერ ლანსელოტს წინ შემოხვდა ქალი ბრანგვეინი, იგი იმ მხარეში სერ ტრისტრამის საძებნელად ყოფილიყო ჩასული. ქალს ჭენებით მოჰყავდა თავისი რჩეული ცხენი. სერ ლანსელოტი შეეგება და ჰკითხა, საით გეჩქარებო?

— აჰ, ქველო რაინდო! — მიუგო ბრანგვეინმა, — როგორ არ უნდა ვიქარო, როს უკან სერ ბრიუს უწყალო მომდევს მოსაკლავად!

— აჰ გაჩერდით, — უთხრა სერ ლანსელოტმა. მალე სერ ბრიუს უწყალოც გამოჩნდა. სერ ლანსელოტმა მიაძახა:

— უღირსო რაინდო, ქალთა და ქალწულთა დამღუბველო, შენი აღსასრულის დღე დადგა!

სერ ბრიუსმა სერ ლანსელოტის ფარი იცნო, რადგან ამ ლაშქრობაში თავისი ფარი ჰქონდა და არა კორნუელისა. მაშინვე გაბრუნდა და მოჰკურცხლა. ლანსელოტი დაედევნა, მაგრამ სერ ბრიუსს ქარივით მალი ცხენი ჰყავდა და მსუბუქად მიაქროლებდა პატრონს, ამიტომ მდევარი უკან გამობრუნდა.

თავი ოცდამეხვიდმეტი

როგორ შეიპყრეს სერ ტრისტრამი, სერ კალოგრიდი, სერ დინადანი და როგორ ჩაუპარეს დილეგანი

ახლა ვთქვათ სერ ლუკას-მოურავის ამბავი. შემთხვევის წყალობით ეს რაინდი მოხვდა სწორედ იმ მხარეს, სადაც სერ ტრისტრამი იმყოფებოდა. ალყაფის კარს მიადგა მხოლოდ იმ მიზნით, რომ ღამის გასათევი ეთხოვა. მეკარემ სახელი ჰკითხა.

— სერ, გადაეცით თქვენს ბატონს, რომ ჩემი სახელია სერ ლუკას-მოურავი, მრგვალი მაგიდის რაინდი ვარ! —

მეკარე მოხუც დარასთან წავიდა და უამბო, ვინც მოადგა მის კარებს, ვინც ღამის გათევილება ითხოვა.

— არა, — წამოვარდა სერ დანამი, სერ დარასის ძმისწული, — უთხარით, რომ ის აჰ ღამეს ვერ გაატევეს. განუცხადეთ, რომ მე, სერ დანამი, მას ორთაბრძოლაში ვიწვევ. მოემზადოს!

მართლაც, მალე ალყაფს იქით გავიდა, ცხენს მოახტა და მოწინააღმდეგენი შუბებით ეკვეთნენ ერთიმეორეს. სერ ლუკასმა სერ დანამი საკუთარი ცხენის გავაზე გადააყირავა და დაბლა ჩამოაგდო. დანამი წამოვარდა, გაიქცა და ციხეში დაიშალა. სერ ლუკასი უკან დაედევნა, უყიოდა, ბრძოლაში იწვევდა და ჰიშკართან გადარაჯებული ელოდა.

მაშინ სერ დინადანმა სერ ტრისტრამს უთხრა:

— ჩემი აზრით, ასე გულხელდაკრეფილი რომ ვუყუროთ, როგორ ამცირებენ ჩვენი მასპინძლის ძმისწულს, სამარცხვინოა.

— მოთმინება იქონიეთ, — მიუგო სერ ტრისტრამმა, — და საქმეს გამოვასწორებ.

სერ დინადანი თვითონ ამხედრდა ბედაურზე, სერ ლუკასს მიუხტა, მაგრამ ბრძოლისათვის გამზადებულმა რაინდმა შუბით გვერდი გაუხვრიტა და ცხენი გააქროლა. სერ ტრისტრამი სერ დინადანის დაჭრამ გააჯავრა და ლუკასს სამაგიეროს გადასახდელად ცხენით დაედევნა. მალე დაეწია კიდევ და შეუძახა, ლუკასიც მობრუნდა და ორი რაინდი ერთმანეთისაკენ შუბებმომარჯვებული დაიძრა. სერ ტრისტრამმა მძიმედ დაჭრა ლუკასი და ცხენიდან ჩამოაგდო.

ამ დროს ამ ადგილზე მოვიდა სერ ივეინი, ძალზე თავაზიანი რაინდი, სერ ლუკასის ჭრილობა ნახა და სერ ტრისტრამი ორთაბრძოლაში გამოიწვია.

— ძვირფასო რაინდო, — უთხრა სერ ტრისტრამმა, — გთხოვთ, ჳერ თქვენი სახელი მითხარიო.

— სერ რაინდო, მაშ იცოდეთ, ჩემი სახელია სერ ივეინი, მეფე ტრიგნის ვაჟიშვილი ვარ.

— აჰა, — თქვა სერ ტრისტრამმა, — ჩემი ნება რომ იყოს, თქვენთან შეტაკებას არასოდეს არ ვისურვებდი.

— მაგრამ, სერ, თქვენი ნება არ არის, — მიუგო სერ ივეინმა, — ბრძოლაში მე გიწვევთ.

ხედავს სერ ტრისტრამი, სხვა გზა აღარ დარჩა, შუბმომარჯვებულმა ბედაური გააქანა, მოწინააღმდეგეს ლახვარი მძლავრად აძგერა, სერ ივეინი ცხენიდან გადააგდო და მძიმელად დაქრა. შემდეგ უკან გაბრუნდა დარასის სახლში.

როცა სერ დანამმა გაიგო, რომ სერ ტრისტრამმა სერ ლუკასი მხოლოდ დაქრა, წასვლა დააპირა: უნდა მოვკლაო. მაგრამ სერ ტრისტრამმა ნება არ მიცა. სერ ივეინმა კი ცხენის საზიდრის გაწყობა ბრძანა და ლუკასი განის მონასტერში წაიყვანეს. იქვე მახლობლად იყო ციხე, რომელსაც განის ციხე ერქვა. ამ ციხის მფლობელი კი სერ ბლუტბერისი გახლდათ. სერ ლანსელოტმა თავიდანვე დაუთქვა ყველა რაინდს თავშეყრის ადგილად განის ციხე.

სერ ტრისტრამი დარასთან დაბრუნდა, სწორედ ამ დროს მივიდა იქ ერთი ახალგაზრდა ქალი და მოხუც რაინდს დარასს აუწყა, შენი სამი შვილი ტურნირზე მოკლეს, ორიც მძიმედ დაჭრილია და ცხენზე ველარასოდეს დაგდებიანო. ყველაფერი ეს კი მოიმოქმედა თურმე სერ ტრისტრამმა, ე. ი. შავფარიანმა რაინდმა, რომელსაც გამარჯვება არგუნესო.

შემდეგ ვილაც სხვაც მოვიდა და სერ დარასს უთხრა: ის შავფარიანი რაინდი ახლა შენს ჳერქვეშ იმყოფებაო. მაშინ სერ დარასი სერ ტრისტრამთან შევიდა, მისი ფარი აიღო, ქალს აჩვენა და ქალმაც შესძახა:

— აჰ, სერ, სწორედ ამ რაინდმა მოგიკლაო სამი შვილი.

სერ დარასმა დაუყოვნებლივ შეიპყრო სერ ტრისტრამი, სერ პალომიდი და სერ დინადანი, სამივე ბნელ დილეგში ჩააგდო და იქ სერ ტრისტრამი მძიმე სნეულებისაგან კინალამ დაიღუპა.

სერ პალომიდს ძველი მტრობა ახსოვდა და სერ ტრისტრამის მისამართით წყევლა-კრულვას არ იშურებდა, სერ ტრისტრამი კი მუდამ თავაზიანად პასუხობდა, მოკლედ მოუჭრიდა ხოლმე სიტყვას. მაგრამ როცა სერ პალომიდმა ნახა, რომ სერ ტრისტრამი ძლიერ დასუსტდა, თანაგრძნობით განიმსჯვალა მის მიმართ და, როგორც შეეძლო, ანუგეშებდა.

შემდეგ, როგორც ფრანგულ წიგნში წერია, დარასთან სტუმრად მოვიდა ორმოცი რაინდი, ყველანი სერ დარასის ნათესავეები იყვნენ და განიზრახეს ტრისტრამისა და მისი ამხანაგების დახოცვა, მაგრამ დარასმა ამისი ნება არ მისცა, ოღონდ პყრობილნი დილეგში დატოვა და საჭმელ-სასმელიც მოაკლო.

ასე ითმენდა სერ ტრისტრამი აუწერელ სატანჯველს. პატიმარყოფილს მძიმე სენი მოერია, ეს კი უდიდესი უბედურება გახლავთ, რაც შეიძლება პყრობილს თავს დაატყდეს, რადგან, ვიდრე ტყვე ჳანს მაინც ინარჩუნებს, ღვთის შეწევნით ტყვეობასაც უძლებს და თავის გამოხსნის იმედიც აქვს, მაგრამ როცა სენი ხელს დარევს, ხელსაც ჩაიქნევს და იტყვის, ბედმა საბოლო-

ოდ მაქციაო ზურგი, ნუგეშად მხოლოდ კენესა და ტირილი დამტრენიაო. ასე მოუვიდა სერ ტრისტრამსაც, როცა დილეგში ავად გახდა. იგი ისეთმა მძიმე კაეშანმა მოიცვა, რომ სასოწარკვეთილმა კინალამ თავი მოიკლა.

თავი ოცდამეთვრამეტე

როგორ აცოფებდა სერ ტრისტრამის დიდი სახელი მეფე მარკს. ართურის რაინდების ბრძოლა კორნუელის რაინდებთან

ახლა სერ ტრისტამს, სერ პალომიდსა და სერ დინადანს საპყრობილეში დაეტოვებთ და სხვა რაინდების ამბავს ვიტყვით, სერ ტრისტრამის საძებნელად რომ ქვეყნის სხვადასხვა მხარეში წავიდნენ.

ზოგი მათგანი კორნუელშიც კი ჩავიდა და მოხდა ისე, რომ სერ გაპერისი, ართურის სისხლით ნათესავი, მეფე მარკთან მივიდა. იქ პატივით მიიღეს, სამეფო სუფრაზე მიიწვიეს, ნუგბარი კერძები შესთავაზეს, მერმე მეფე მარკმა ჰკითხა, ლოგრთა ქვეყანაში რა ამბებიო.

— სერ, — მიუგო სერ გაპერისმა, — მეფე ქვეყანას განაგებს, როგორც კეთილშობილი რაინდი, და ახლახან ჩვენში გაიმართა დიდი ტურნირი, რომლის მსგავსიც არასოდეს მინახავს, ყოველი მხრიდან მოზღვავდნენ გამოჩენილი რაინდები. მთელ ამ რაინდობაში ერთი მაინც სამივე დღეს გამოირჩეოდა. შავი ფარი ჰქონდა და, ვისაც შეეძა, ყველა ძლია. ვერ გაუმაგრდა ვერავინ და ყველას აღემატა.

— ეს ალბათ სერ ლანსელოტი იქნებოდა, — თქვა მარკმა, — ან სერ პალომიდი, წარმართი.

— არა, სერ — მიუგო გაპერისმა, — ორივე მათგანი სხვა მხარეს იყო და ორივე შავფარიანს ებრძოდა.

— ჰო, მაშინ სერ ტრისტრამ ლიონელი ყოფილა, — თქვა მეფემ.

ეს თქვა და თავი ჩაჰკიდო, გულის სიღრმეში შეეშინდა, რომ ლოგრთა ქვეყანაში ტრისტრამმა ასეთი სახელი მოიხვეჭა და მასზე ძლიერი გახდა.

ასე გულლიად მიიღეს სერ გაპერისი მეფე მარკისა და დედოფლის სასახლეში. მშვენიერი იზოლდა გულში ხარობდა, რადგან მაშინვე მიხვდა, რომ უცხო რაინდი სერ ტრისტრამზე ლაპარაკობდა.

მალე მეფემ დიდებული ზეიმი მოაწყო. იმ ზეიმზე მოვიდა სერ ივეინი, მეფე ურიენსის ძე (ზოგიერთები მას ეძახდნენ სერ ივეინ თეთრხელეებიანს). როგორც კი მოვიდა, სერ ივეინმა განაცხადა, კორნუელის ყველა რაინდს ორთაბრძოლაში ვიწვევო. მეფე საშინლად გაბრაზდა, რადგან მის სამეფოში ერთი რაინდიც არ აცოჩნდა ისეთი, ივეინს რომ შეებოდა.

მოულოდნელიად წინ გამოიჭრა სერ ანდრეტი, მეფე მარკის ძმისწული და თქვა:

— მე შეგებრძოლები სერ ივეინს!
სერ ანდრეტი წავიდა, აბჯარი აისხა და საუკეთესო ცხენი შეარჩია. შეიბნენ სერ ივეინი და სერ ანდრეტი. ცხენიდან გადმოვლებული სერ ანდრეტი ისე მძიმედ გაიწო ლართა ძირს, რომ ცნობა დაკარგა. გაცაწყრა და გაშმაგდა მეფე მარკი, მთელ ქვეყანაში არ აღმოჩნდა კაცი, რომ მისი ძმისწულის დამარცხების გამო შური ეძია. სერ დინას-სენეშალი დაი არა მეფემ და სთხოვა, ჩემი გულისაგვის შეეებით სერ ივეინს.

— სერ, — მიუგო სერ დინასმა, — არ მეხალისება მრგვალი მაგიდის რაინდებთან ბრძოლა.

— ვიცი, მაგრამ მაინც ჩემი გულისათვის აიღე შუბი.

მოემზადა სერ დინასი საბრძოლველად, აძგერეს ერთმანეთს შუბლები, სერ დინასიც ძირს დასცა ივეინმა, მასთან დავარდა მისი ცხენიც. მძიმედაც დაშავდა სენეშალი. მაშინ უნდა გენახათ მეფე მარკის გაცეცხლება.

— აფსუს! — შესძახა, — ნუთუ ერთი რაინდიც არა მყავს, რომ იმ რაინდს ომი გაუსწოროს?

— სერ, — მიუგო სერ გაპერისმა მეფე მარკს, — თქვენი სახელით მზად ვარ შევება.

შეიარაღდა და საბრძოლველად გავიდა. სერ ივეინმა სერ გაპერისის ფარს მოჰკრა თუ არა თვალი, მიუხელოვდა და უთხრა:

— სერ, თქვენ არ იქცევით ისე, როგორც მრგვალი მაგიდის რაინდს შეჰფერის. როცა ძმობის ორდენში გიღებდნენ, თქვენ ფიცი დადეთ, რომ არ შეებრძოლებოდით არც ერთ ამხანაგს, თუკი შეიცნობდით. ღმერთს გეფიცებით, სერ გაპერის, თქვენ უსათუოდ მიცნობდით ჩემი ფარით, ისევე როგორც მე გიცანით. თქვენ შეგიძლიათ ფიციც დაარღვიოთ, მე კი ჩემს ფიცს არ ვავტებ. ვერც ერთი აქ დამსწრე ვერ დამწამებს სიმხდალეს, და მე არ მეშინია თქვენთან შებმისა, მაგრამ ჩვენ ხომ ღვიძლი დების შეილება ვართ!

აქ სერ გაპერისს შერცხვა და რაინდები მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. სერ ივეინმა იქაურობა დატოვა.

მაშინ მეფე მარკმა ჩაიცვა აბჯარი, ამხედრდა და საჭურველთმტვირთველი მოიხმო, მძიმე შუბი გამოართვა და სერ ივეინს დაედევნა. ვიწრო ხევში დაეწია, მოულოდნელად დაესხა თავს, ჰკრა შუბი და მკერდი თითქმის გამჭოლ გაუხვრიტა, შემდეგ მობრუნდა და თავისი გზით წამოვიდა.

მალე იქ სერ კეიმ გამოიარა, სერ ივეინი ნახა და მძიმედ დაჭრილს გამოჰკითხა, რა მოხდაო.

— არ ვიცი, — მიუგო სერ ივეინმა, — ვინ დამჭრა და რისთვის. ნამდვილად მუხანათობაა. მოვარდა ვიღაც რაინდი და შუბი მკრა უმაღლ, ვიდრე გონს მოვიდოდი.

ამ დროს მოვარდა სერ ანდრეტი, რომელიც მეფე მარკს დაეძებდა.

— ვერაგო რაინდო! — შესძახა სერ კეიმ, — ერთი გამაგებინა, ვინ დაჭრა სერ ივეინი ასე ვერაგულად, ცოცხალი ვერ წამივიდოდა! იქნებ შენ დაჭერი?

— სერ, — უთხრა სერ ანდრეტმა, — არც მიფიქრა ამ რაინდისათვის ვნების მიყენება, თვითონაც დამიმოწმებს.

— სირცხვილი თქვენა, კორნუელის უღირსო რაინდებო! — შესძახა სერ კეიმ, — თქვენი ფასი გროშია!

სერ კეიმ იზრუნა, რომ დაჭრილი შავი ჯვრის სააბატოში გადაეყვანათ, და თავზე ედგა სერ ივეინს, ვიდრე გამოჯანსაღდებოდა.

ამასობაში სერ გაპერისი მოემზადა, რომ მეფე მარკის სასახლიდან წასულიყო. დამშვიდობების წინ კი თავის მასპინძელს ასე უთხრა:

— მეფეო, თქვენ სამარცხვინო საქმე ჩაიდინეთ, რომ სერ ტრისტრამი თქვენი ქვეყნიდან განდევნეთ; ის რომ ახლა აქ ყოფილიყო, რაინდი არ იქნებოდა ქვედნად თქვენთვის საშიში.

ამის შემდეგ მეფეს და დედოფალს თავი მდაბლად დაუქრა და გამოემ-
შვიდობა.



თავი ოცდამეცხრამეტი

მეფე მარკის მკაცრობა. როგორ დასცა მიწაზე იგი სერ ბაჰირისმა და მეფე მარკის
ძმისწულის სერ ანდრეტის ცხენიდან ჩამოგდების ამბავი

მობდა ისე, რომ შეფე მარკის სასახლეში მივიდა სერ კეი-სენეშალი. ერთი
შეხედვით, იგი ძლიერ გულლიად მიიღეს.

— აბა, ძვირფასო ლორდებო, — მიმართა კარისკაცებს მეფე მარკმა, —
ხომ არა გნებავთ ბუდი სცადოთ, ძალზე მძიმე საგმირო საქმე ითავოთ და მო-
რის ტყეში წახვიდეთ ისეთი სათავგადასავლო ფათურაკიანი ამბავი, რაც
შეიძლება თავს გადახდეს კაცს, იქ რომ მეგულება, მეორე არ შეიძლება იყოს.

— სერ, მე მზადა ვარ, — მიუგო სერ კეიმ.

სერ გაჰერისმა კი თქვა, ჯერ მოვიფიქრებო, რადგან მეფე მარკი ყოველ-
თვის გამოირჩეოდა მზაკვრობით. ამის შემდეგ სერ გაჰერისი ცხენს მოახტა და
თავის გზას გაუდგა. იგი იმავე გზით წავიდა, რომლითაც სერ კეის უნდა ევ-
ლო. გზად ცხენიდან ჩამოხტა, ცოტა შეისვენა და საჭურველმტვირთველი გა-
აფრთხილა, თვალი ფხიზლად გეჭიროს, გამვლელ-გამომვლელი არავინ გამო-
გეპაროსო.

— თუ სერ კეი გამოჩნდეს, შემატყობინეთ, — გააფრთხილა იგი.

მართლაც, მალე გამოჩნდა გზაზე მათკენ მომავალი სერ კეი. სერ გაჰერი-
სი ცხენს მოახტა და წინ დაუხვდა.

— სერ კეი, — უთხრა. — უგუნურებას სჩადით, რომ ისეთ საქმეზე მი-
დიხართ, რაც მეფე მარკის მზაკვრულმა გონებამ მოიფიქრა, ხომ იცით, რასაც
ის წამოიწყებს, ჯველაფერი მუხანათობაა!

სერ კეიმ მიუგო:

— რაინდულად გიწვევთ, რომ ერთად შევხვდეთ საფრთხეს.

— რა გაეწყობა, ჩემი იმედი იქონიეთ.

ამასობაში თავის ტინტაჯილის კოშკიდან მეფე მარკმა დაითხოვა ყველა
თავისი ბარონი, ასევე სხვა დიდებულნი, დაიტოვა მხოლოდ უახლოესი სან-
დო პირები. მერე თავის ძმისწულ სერ ანდრეტს დაუძახა და უთხრა: და-
უყოვნებლივ აბჯარი აისხი, ცხენი გაამზადე და სალაშქროდ აღკაზმული გამ-
ოდიო. უკვე შუალამე ახლოვდებოდა. თვითონ მარკიც საომარი საჭურველით
აღიჭურვა თავით ფეხამდე, შავად შეიმოსა, ცხენის აკაზმულობაც კი შავი იყო.
მერმე ისა და ანდრეტი ამხედრებულნი გავიდნენ მსახურთა თანხლებით საი-
ღუმლო გასასვლელიდან და დიდხანს მიაქროლებდნენ ცხენებს, ვიდრე ტბის
ნაპირთან არ მივიდნენ.

პირველად ისინი სერ კეიმ შეამჩნია, შუბი შემართა, შეეგება და ორთა-
ბრძოლა შესთავაზა. სერ კეის შესახვედრად წინ გამოიჭრა მეფე მარკი. ორი-
ვენი შუბმომარჯვებულნი დაიძრნენ და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაეტაკნენ
ერთმანეთს. მთვარე ქათქათებდა და ტყეს დღესავით ანათებდა. სერ კეის ცხე-
ნი დაეცა, რადგან მეფის ცხენივით ძლიერი არ იყო. მხედარიც ძლიერ და-
შავდა.

სერ გაპერისი აღაშფოთა სერ კეის დაცემამ და შესძახა:

— რაინდო, მაგრად იჯექი უნაგირზე, ჩემი ამხანაგის დაშავებისათვის ახლავე სამაგიეროს გადაგიხდი.

მეფე მარკს სერ გაპერისისა შეეშინდა, მაგრამ იძულებული იყო, ცხენი დაეძრა. სერ გაპერისმა ისე მაგრად ჰკრა შუბი, რომ მეფე ცხენიდან წყრეს გადავარდა. სერ გაპერისი მაშინვე მიუბრუნდა სერ ანდრეტს, შუბი აძგერა და ისიც ძირს დაანარცხა. სერ ანდრეტი მიწას თავდაყირა დაასკდა, მუზარადის წვეტი მიწაში ჩაერჭო და კინალამ კისერი მოიტეხა. აქ სერ გაპერისი დაუყოვნებლივ დაქვეითდა. სერ კეი წამოაყენა და ასე ორნი დაიძრნენ საბრძოლველად, თანაც ძირს დაყრილ მოწინააღმდეგეებს თავიანთი სახელები უთხრეს და დანებება მოითხოვეს. თუ ამას არ ისურვებთ, სიკვდილი არ აგცდებათო, შეუვალად განაცხადეს. ტკივილით მწარედ დატანჯულმა სერ ანდრეტმა პირველმა ამოიღო ხმა:

— ეს კორნეულის მეფეა, ასე რომ, გაფრთხილდით და წესიერად მოექვეცით. მე კიდევ სერ ანდრეტი ვარ, მისი ძმისწული.

— სირცხვილი თქვენი, — უთხრა სერ გაპერისმა, — რადგან ორივენი მუხანათები ხართ და მოჩვენებითი იყო თქვენი გულკეთილობა, რითაც გვისტუმრეთ. სამწუხაროა, რომ თქვენა და თქვენნაირები ქვეყანაზე ცოცხლებში სწერიხართ.

— გვაჩუქეთ სიცოცხლე, — თქვა მეფე მარკმა, — ჩემს დანაშაულს გამოვისყიდო. ესეც იცოდეთ, მირონცხებული მეფე გახლავართ.

— მით უფრო სამარცხვინო იქნება ჩვენთვის შენი ცოცხლად დატოვება! — შესძახა სერ გაპერისმა, — წმინდა მირონცხებული მეფე ყველა კეთილშობილი რაინდის მეგობარი უნდა იყოს! შენ კი სიკვდილის ღირსი ხარ— ამ სიტყვებზე მახვილი მოუქნია, მარკმა ფარი იფარა და როგორც შეეძლო თავს იცავდა. სერ კეი კი ხმლით უტევედა სერ ანდრეტს. ბოლოს მეფე მარკი სერ გაპერისს დანებდა, დაუჩოქა და თავის ხმალზე დაიფიცა, არასოდეს მოხეტიალე რაინდებს ზიანს აღარ მივაყენებო. შეჭფიცა ისიც, რომ სერ ტრისტრამს უერთგულებდა, თუ ის ოდესმე კორნეულში ჩავიდოდა. ამასობაში სერ ანდრეტიც მიწაზე დაემხო, სერ კეისმა მისი მოკვლა დააპირა.

— გაუშვით, იცოცხლოს, — უთხრა სერ გაპერისმა, — ნუ მოკლავთ, მაგღვთის გლახას.

— სერ, მიჰიროს ამ ვერაგის ცოცხლად დატოვება. — თქვა სერ კეიმ, — ის ხომ სერ ტრისტრამის ახლო ნათესავია და თავისი დღენი მის ღალატში აქვს გალეული, მისი მუხანათობით განდევნეს სერ ტრისტრამი კორნეულიდან, ამიტომ ჯობს მოკვდეს.

— ნუ იზამთ ამას, — უთხრა სერ გაპერისმა, — რაკი მეფეს ცოცხალს ვტოვებ, ბარემ ისიც შეიწყალეთ.

მაშინ სერ კეიმ ანდრეტი გაუშვა.

შენდეგ გამარჯვებულმა რაინდებმა თავიანთი გზით გასწიეს და სერ დინას სენეშალთან მივიდნენ. გაგონილი ჰქონდათ, სერ ტრისტრამის მეგობარი იმასთან შეისვენეს, შემდეგ კი ლოგრთა სამეფოში დაბრუნდნენ.

ისინი მალე სერ ლანსელოტს გადაეყარნენ, რომელიც მანდილოსან ბრანგვეინს ახლდა თან. სერ ლანსელოტმა იკითხა, რა ამბები მოგაქვთ კორნეულიდან, სერ ტრისტრამისა ხომ არაფერი შეიტყვეთო. სერ კეიმ და სერ გაპერისმა

უპასუხეს: სერ ტრისტრამის ვერაფერი გავიგეთო, მაგრამ სიტყუასიტყვით უამბებს ყველაფერი, რაც თავს გადახდათ. სერ ლანსელოტმა გაიღიმა და უთხრა:

— ძალზე ძნელია ხორციდან გამოწერო ის, რაც უკვე შეგაღწია გამჭდარი. ამაზე ყველამ გაიციანა.

თ ა ვ ი მ თ რ ა მ ო ტ ე

როგორ გაათავისუფლეს დიდი ხნის ტყვეობიდან სერ ტრისტრამი, სერ პალომიდი და სერ დინადანი

ახლა ამ ამბავს დროებით თავი ვანებოთ და გადავინაცვლოთ სერ დინასთან, რომელსაც თავის საკუთარ ციხეში ჰყავდა სატრფო გამომწყვდეული და ამ სატრფოს სხვა უფრო უყვარდა, ვიდრე თვითონ დინასი. ჰოდა, ერთხელ, როცა დინასი სანადიროდ იყო წასული, ფანჯრიდან პირსახოცი გადმოვიდა, ზედ ჩაჰყვა, დაბლა ჩავიდა, ორი მწვევარი წაიყვანა და წავიდა იმ რაინდთან, რომელიც უყვარდა.

როდესაც სერ დინასი შინ დაბრუნდა, მაშინვე ქალი მოიკითხა. არც ქალი დაუხვდა, აღარც მწვევრები. სერ დინასს მწვევრებზე უფრო დასწყდა გული, ვიდრე ქალზე. იგი იმ რაინდთან გავარდა, რომელსაც მისი სატრფო შეეხიზნა და ორთაბრძოლაში გამოიწვია. მართლაც ისეთი შემართებით მიუხტა და ისეთი ძალით შეუტია, რომ რაინდი უმალ ძირს დასცა. დაცემის დროს რაინდმა ფეხი და ხელი მოიტეხა. მაშინ მისმა საყვარელმა შესძახა:

— შეიბრალებ, სერ დინას! — ამასთან დაჰპირდა, უწინდელზე მეტად შეყვარებო.

— არა, — მიუგო დინასმა, — აღარასოდეს ვენდობი მას, ვინც ერთხელ უკვე მიმუხტლა. როგორც დაგიწყიათ თქვენი საქმე, ისევე დაასრულეთ, თქვენისთანა მოღალატე ქალისა შეხედვაც აღარ მსურს.

ასე თქვა, თავისი ორი ძალღი წაიყვანა და საკუთარ კოშკში დაბრუნდა.

ახლა კი ისევ სერ ლანსელოტის ამბებს მივუბრუნდეთ. იგი ხომ ღრმად დამწუხრებული დავტოვეთ იმის გამო, რომ სერ ტრისტრამის ასავალ-დასავალი ვერ გაიგო. ანკი რა უნდა გაეგო, როცა რაინდი მთელი ამ ხნის განმავლობაში ციხეში იჯდა სერ პალომიდთან და სერ დინადანთან ერთად! ბოლოს სერ ლანსელოტს ქალი ბრანგვეინიც დაემშვიდობა და კორნუელში გაბრუნდა. სერ ლანსელოტი, სერ კეი და სერ გაპერისი ტრისტრამის საძებნელად სურლუზის ქვეყანაში წავიდნენ.

ახლა კი სერ ტრისტრამისა და მისი ორი ამხანაგის ამბავს მივყევით.

სერ პალომიდი დღეს არ გაუშვებდა, რომ სერ ტრისტრამი ავადა და შავად არ მოეხსენებინა და არ ელანძლა. ბოლოს სერ დინადანმა უთხრა:

— შენი საქმე მაკვირვებს, სერ პალომიდ, ვფიქრობ, სერ ტრისტრამი რომ აქ ყოფილიყო, ცუდს არაფერს შეჰკადრებდი. მგელი და ცხვარი რომ ერთ გალიაში მოხვდებიან, მგელი ცხვარს არას ავნებს ხოლმე. მაშ იცოდე, სწორედ ეს არის სერ ტრისტრამი, დაძიჯერე, ახლა კი შეგიძლია შენი ძალა გამოიჩინო. აბა, ვნახავ, რა გულოვანი ვინმეცა ხარ!

სერ პალომიდს შერცხვა და გაჩუმდა. მაშინ სერ ტრისტრამმა თქვა:

— ბევრი მსმენია თქვენი მტრობისა ჩემდამი, მაგრამ ახლა არ ვისურვებდი თქვენთან ბრძოლას ამ ციხის პატრონის შიშით, რომლის ხელთაც ჩვენა ვართ. შენზე მეტად რომ მისი არ შეშინოდეს, ახლავე გაგისწორდებოდით.

ასე ჩამოაგდეს ზავი. მაშინ ერთი ქალი გამოცხადდა და უთხრა: — რაინდებო, გამხიარულდით, რადგან თქვენს სიცოცხლეს აღარაფერს ემუქრება, ასე თქვა თვითონ ბატონმა დარასმა.

ამ ცნობით მართლაც გაიხარეს, რადგან ყოველდღე სიკვდილს ელოდნენ, მაგრამ მალე სერ ტრისტრამი ისე ავად გახდა, რომ გაიფიქრა, ახლა კი დადგაო ჩემი აღსასრული. ატირდა სერ დინადანი, მასთან სერ პალომიდიც. ორივე ხმამაღლა ქვითინებდა. ამ ხმაურზე ისევ შევიდა ახალგაზრდა ქალი და ნახა მოტირალნი. მაშინ მივიდა სერ დარასთან და უთხრა: შავფარიანი რაინდი სიკვდილის პირას არისო მისული.

— ეს არ მოხდება, — თქვა სერ დარასმა, — ღმერთმა დამიფაროს, რომ ასე იხოცებოდნენ ჩემთან რაინდები, რომელნიც თავშესაფარს ჩემს ჭერქვეშ ეძებენ, წადით და აქ მომიყვანეთ სწული რაინდი და მისი ამხანაგები.

როცა სერ დარასმა სერ ტრისტრამი დაინახა, უთხრა:

— სერ რაინდო, ვწუხვარ, რომ ავად ყოფილხართ. ამბობენ, უკეთილშობილესი რაინდი ხართ და თავადაც ვხედავ, ასეთი უნდა იყოთ. იცოდეთ, ვერაფრის ვათქმევინებ, სერ დარასი დილეგში სულს ჰხდის ისეთ კეთილშობილ რაინდებს, როგორც თქვენა ხართ, თუმცა სამი შვილი მომიკალით და უზომოდ გამწყრალიც ვიყავი. ახლა კი თავისუფალი ხართ თქვენცა და თქვენი ამხანაგებიც. აიღეთ თქვენი აბჯარი, შეკაზმეთ ცხენები და, საითაც გენებოთ, იქით წადით, ყველაფერი სუფთად და უკლებლივსაა შენახული. ოღონდ ერთი პირობით: მეგობრობა გაუწიეთ ჩემს ორ შვილს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები არიან და თქვენი სახელი მითხარით.

— სერ, — წამოიწყო ტრისტრამმა, — ჩემი სახელია სერ ტრისტრამ ლინელი, კორნუელში დავიბადე და მეფე მარკი ჩემი ბიძაა. თქვენი შვილებისა კი უნდა მოგახსენოთ, რომ მათ სიკვდილში ბრალი არ მიმიძღვის. ჩემი ახლო ნათესავებიც რომ ყოფილიყვნენ, სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი. მაგრამ ისინი რომ მომეკლა არა პატიოსან ბრძოლაში, ვერაგულად და ღალატით, მაშინ ჭეშმარიტად სიკვდილის ღირსი ვიქნებოდი.

— შესმის, — მიუგო სერ დარასმა, — ეს ყველაფერი რაინდის მოვალეობამ ჩავადენინათ, ამიტომაც არ მოგკალით, და, რაკი თქვენ სერ ტრისტრამი ყოფილხართ, სახელოვანი რაინდი, გთხოვთ იყოთ ჩემი და ჩემი შვილების მეგობარი.

— სერ, — მიუგო ტრისტრამმა, — სულსა და ხორცს გეფიცებით, ვიდრე ცოცხალი ვარ, ერთგული სამსახური შემიძლია გაგიწიოთ, რადგან ისე მოგვექცით, როგორც ჭეშმარიტ რაინდს შეჰფეროდა.

ამის შემდეგ სერ ტრისტრამი კიდევ დარჩა სერ დარასთან, ვიდრე სრულიად გამოჯანსაღდებოდა. შემდეგ კი ცხენები შეკაზმეს, აბჯარი აისხეს და გზაჯვარედინამდე ერთად იმგზავრეს.

— აბა, მეგობრებო, — თქვა სერ ტრისტრამმა, — აქ კი ერთმანეთს უნდა გავეყაროთ.

პირველი ფათერაკი მათ შორის სერ დინადანს შეხვდა, ამიტომ ჩვენს ამბავსაც იმისაგან დავიწყებთ.

თავი ორმოცდახუთი



როგორ იხსნა სერ დინადანმა ჯალი სერ ბრიუს უმოწყალოსაგან და როგორ მიიღო სერ ტრისტრამმა ფარი ფეა მორბანისაგან

ჭენებით მიმავალმა სერ დინადანმა წყაროსთან მოთქმით მტირალი ქალი დაინახა.

— რა მოგივიდათ? — ჰკითხა რაინდმა.

— სერ რაინდო, — მიუგო ქალმა, — ჩემზე უბედო ქალი ამქვეყნად მეორე არ დადის. ეს ხუთი დღეა, რაც ამ მხარეში რაინდი სერ ბრიუს უმოწყალო გამოჩნდა. მან იმსხვერპლა ჩემი ღვიძლი ძმა, დამეუფლა. ყველაზე მეტად ის კაცი მძაგს და სარეცლის მასთან გაყოფა მიზღება. ამიტომ შეგთხოვთ, თქვენი რაინდული ღირსების გულისათვის, მიშველეთ, მიხსენით, რადგან ბრიუსი სადაცაა გამოჩნდება.

— გამოჩნდეს! — თქვა სერ დინადანმა, — ყველა ქალის ღირსებას დაეცავ და ჩემს რაინდულ ვალს პირნათლად მოვიხდი.

სერ ბრიუსი მართლაც მოულოდნელად წამოადგათ თავს. თავისი ქალის გვერდით უცხო კაცი რომ იხილა, აღშფოთებულმა შესძახა:

— ჰეი, სერ რაინდო, თავი დაიცავით!

შეიბნენ, თითქოს მეხმა იქუხაო, მათი შუბების ძვერამ ისეთი ხმა გამოსცა. მათ მძიმედ დაჭრეს ერთმანეთი. მაგრამ სერ დინადანმა სერ ბრიუს უმოწყალოს ბეჭი თითქმის გამჟოლ გაუხვრიტა და მიბრუნებაც ვერ მოასწრო, რომ ბრიუსმა თავს გაქცევთ უშველა.

მაშინ ქალმა დინადანს სთხოვა, აქედან ოთხ მილზე ერთი ციხეა და იქ მიმიყვანეო. დინადანმა ეს თხოვნაც აუსრულა. იმ ციხეში ქალი დიდი სიხარულით მიიღეს, რადგან ციხის პატრონი თურმე ბიძად ხვდებოდა. ახალი თავგადასავლის მაძიებელი სერ დინადანი ისევ გზას გაუდგა.

ახლ აქი ისევ სერ ტრისტრამზე მოგიტბრობთ. ამ რაინდს ლამის გათევა მოუხდა იმ ციხეში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა დედოფალი ფეა მორბანი. სერ ტრისტრამი ციხეში შეუშვეს და დიდი პატივით მიიღეს. დილით კი, ვიდრე გზას გაუდგებოდა, დედოფალმა უთხრა:

— იცოდეთ, აქედან ასე იოლად ვერ გახვალთ, რადგან თქვენ ტყვე ხართ.

— ღმერთმა დამიფაროს! — მიუგო სერ ტრისტრამმა, — მე ხომ სულ ახლახან ვიყავი დატყვევებული და ძლივს გავთავისუფლდი.

— აი, რა, ძვირფასო რაინდო, — თქვა დედოფალმა, — თქვენ აქ მანამდე დარჩებით, ვიდრე არ გავიგებ, ვინა ხართ, ვისი გორისა ხართ და საიდან მოხვედით.

დედოფალმა გვერდით მოისვა სერ ტრისტრამი, მეორე მხარეს თავისი საყვარელი ეჭდა, თვითონ კი სერ ტრისტრამს ვნებით აღვისილ მზერას არ აცილებდა. დედოფლისაგან შეტკობილი რაინდი ეჭვიანობამ ისე მოიცვა, რომ მზად იყო იქვე სცემოდა მეტოქეს, მაგრამ სირცხვილის გრძნობა აკავებდა. დედოფალმა კი სერ ტრისტრამს უთხრა:

— მითხარით თქვენი სახელი და გაგიშვებთ, როცა ისურვებთ.

— ასეთი პირობით გეტყვით, ქალბატონო, მე ვარ სერ ტრისტრამ ლიონელი.

— აჰა, — თქვა დედოფალმა მორგანმა, — ეს რომ მცოდნოდა, ჩემი ბაგე ასეთ აღთქმას არ წარმოთქვამდა და თქვენ ასე მალე ვერ მიმატოვებდით. რაკი დაგპირდით, გაგიშვებთ, თუ მიიღებთ ფარს, რასაც მოგცემთ და იმით გახვალთ ბრძოლაში ტინის კლდის ციხესთან, სადაც ართურ მეფემ დიდი ტურნირის გამართვა ბრძანა. იქ მინდა იყოთ გამორჩეული და ჩემს სახელს მოახდინოთ საგმირო საქმეები, რადგან ქალწულის ციხესთან, როგორც ვაგრგე, გაუგონარი გმირობით, გამოგიჩენიათ თავი.

— ქალბატონო, — უთხრა სერ ტრისტრამმა, — მიჩვენეთ ვეშაკი, რომელიც ტინის კლდის ციხესთან უნდა ვიფარო.

ფარი შოიტანეს. მზრთ განათებულ ველზე გამოხატული იყვნენ ფეხზე მდგარი მეფე და დედოფალი, ზედ მათ თავებზე კიდევ ზეზე მდგარი რაინდი იყო მოხატული.

— ქალბატონო, — უთხრა სერ ტრისტრამმა, — ეს კარგი და მაგარი ფარია, მაგრამ რას მოასწავებს ეს სურათი, მეფე-დედოფალი და მათ თავზე მდგარი რაინდი?

— გიპასუხებთ, — მიუგო ფეა მორგანმა, — ეს ართურ მეფე და დედოფალი გვინიგერა გახლავთ, ამ რაინდს ემორჩილებიან.

— ქალბატონო, შერე ვინ არის ეს რაინდი?

— სერ, ამისი ცოდნა ჯერ ნაადრევია. — მიუგო ფეა მორგანმა.

ფრანგულ წიგნში ნათქვამია, რომ ქვეყნად ყველაზე მეტად ფეა მორგანს სერ ლანსელოტის სიყვარული ჰკლავდა და ყოველნაირად ცდილობდა რაინდისათვის თავი შეეყვარებინა. ლანსელოტი ქალის მხურვალე გრძობას არად აგდებდა და მის ნებას არ ასრულებდა. ამიტომაც მოუყარა თავი ფეა მორგანმა თავის გარშემო მრავალ რაინდს, რომ ლანსელოტი როგორმე ძალით ჩაეგდო ხელში. ფეა მორგანი ეჭვობდა, რომ ლანსელოტს უყვარდა დედოფალი გვინიგერა, ამიტომაც გააკეთებინა ოსტატს ასეთი ფარი. მას გულით ეწადა ართურ მეფე დაემცირებინა და შეურაცხეყო. სწორედ ამ მიზნით და სერ ლანსელოტის გასაშაველად შეუკვეთა ოსტატს ის ფარი. მას უნდოდა ართურს შეეტყო ლანსელოტისა და დედოფლის სიყვარულის ამბავი.

სერ ტრისტრამმა ფეა მორგანის საწადელისა არა იცოდა რა, ფარი აიღო და თანაც შეჰფიცა ფეა მორგანს, სწორედ ამ ფარით დავიცავო თავს ტინის კლდის ციხესთან ბრძოლის დროს. მან არ უწყოდა, რომ ეს იყო სერ ლანსელოტის შეურაცხეობა, თუმცა მოგვიანებით ყველაფერი დაწვრილებით შეიტყო. ახლა კი დაემშვიდობა დედოფალს და თავისი გზით წავიდა.

თავი ოცდამეორე

როგორ აიღო სერ ტრისტრამმა ფარი და როგორ მოხდა ფეა მორგანის საყვარელი

სერ ტრისტრამს კვალდაკვალ გაჰყვა ის რაინდი, რომელსაც ფეა მორგანი უყვარდა. ეს რაინდი კი სერ ჰემისონი გახლდათ.

— აი, რა, ძვირფასო, — უთხრა ფეა მორგანმა სერ ჰემისონს, — ნუ აედევნებთ და კვალში ნუ ჩაუდგებით ფარით დაჯილდოებულ რაინდებს. ამ საქმიდან თქვენთვის კარგს ნურას გამოელით, აქედან პატივს ვერ ეღირსებით.

— მე მძაგს ის ლაჩარი რაინდი! — მიუგო სერ ჰემისონმა, — კორნუე-

ლში ერთი რაინდიც არ მეგულება ღირსეული, მხოლოდ სერ ტრისტრამ ლინელია, ვისი სახელიც ბრწყინავს.

— სერ, მერე ეს ხომ ტრისტრამია!

— არა, — მიუგო რაინდმა. — ტრისტრამი მშვენიერ იზოლდასთანაა, ეს ვილაც მასხარა უნდა იყოს.

— შემცდარი ხართ, მეგობარო, და თუ მას ორთაბრძოლაში გამოიწვევთ, ამაში თქვენც დარწმუნდებით, მე ტრისტრამს თქვენზე კარგად ვიცნობ.

— ქალბატონო, თქვენდა სასახელოდ, მე მას მოვკლავ.

— აჰ, საყვარელო მეგობარო! — უთხრა დედოფალმა, — ვწუხვარ და მეცოდებით, იმ რაინდის მდევრად რომ გიშვებთ, რადგან ტანში მზარავს იმაზე ფიქრიც კი, როგორი იქნება თქვენი უკან დაბრუნება.

არ დაიშალა თავისი სერ ჰემისონმა, ჯავრით გადარეული დაედევნა სერ ტრისტრამს, ისე მიაქროლებდა ცხენს, თითქოს მას ედგა კვალში მდევარი.

სერ ტრისტრამის ყურსაც მისწვდა მდევრის ცხენის ფლოქვთა თქარათქური. შემობრუნდა და დაინახა, რომ პირდაპირ მასზე დაგეზებული მოაჭენებს ცხენს ვილაც რაინდი. უცნობი მხედარი ოდნავ რომ მიუახლოვდა, ხმამაღლა შეუძახა სერ ტრისტრამს:

— სერ რაინდო, დაიცავი თავი!

სერ ჰემისონმა სერ ტრისტრამს შუბი შეატეხა, მაგრამ სერ ტრისტრამმა უფრო მძლავრად აძგერა შუბი, ჰემისონს მკერდი გაუხვრიტა და ცხენიდან გადააგდო. შემდეგ ტრისტრამმა ისევ მოაბრუნა ცხენი და ქვეითად ბრძოლისათვის მოემზადა, მაგრამ ნახა, რომ მოწინააღმდეგე სისხლისაგან იცლებოდა და მისი აღსასრულის წუთი იყო დამდგარი. მან სადავე მიუშვა ცხენს, გააქროლა და ღამის გასათევად ერთ მოხუც რაინდთან გაჩერდა.

თ ა ვ ი ო რ მ ო ც და მ ე ს ა მ ე

როგორ დაგარბა ზმა მოკვანდა თავისი საყვარელი და როგორ აღიღებდა სერ ტრისტრამი სერ ლანსლოტსა და მის მოდგმას

დროებით ტრისტრამს დავტოვებთ და მივუბრუნდებით იმ რაინდს, რომელიც მან გზაში სასიკვდილოდ დაჭრილი დატოვა. სერ ჰემისონის საჭურველ-იმტვირთველი დაქვეითდა, მუზარადი მოხადა თავის ბატონს და ჰკითხა, ცოცხალი ხართ თუ არაო.

— ჯერ ცოცხალი ვარ, — მიუმო დაჭრილმა, — მაგრამ დიდი დღე აღარ მიწერია. ამიტომ ამწიე, ცხენზე როგორმე შემსვი, თვითონ უკან შემომიჭექი და დედოფალ მორგანთან წამიყვანე. სიკვდილის ცივი აჩრდილი მიახლოვდება, აღსასრულამდე მინდა ჩემი გულის მურაზი ვიხილო და რამდენიმე სიტყვა ვუთხრა.

საჭურველთმტვირთველმა დაჭრილი სერ ჰემისონი დიდის ვაი-ვაგლახით მიიყვანა სასახლემდე. იქ კი გულადი რაინდი მკვდარი დაეცა. დედოფალმა შეიცხადა მისი სიკვდილი, მწარედ გამოიგლოვა იგი, შემდეგ კი ბრძანა ტანზე გაეხადათ, თეთრი პერანგით შეემოსათ, დაესვენებინათ ძველთაძველ ძვალთშესალაგში და საფლავის ქვაზე ასეთი წაიწერა გაეკეთებინათ:

„აქ განისვენებს სერ ტრისტრამ ლიონელის ხელით განგმირულ სერ ჰენრი მისონი“.

ახლა კი ისევ დაუბრუნდეთ სერ ტრისტრამს, რომელიც მოხუც რაინდს ეკითხებოდა, ხომ არსად გადაპყრიხარო ამ ბოლო ხანებში ლიონელს.

— სერ, — მიუგო მოხუცმა რაინდმა, — წინა დამეს აქ იყო სერ ექტორ მენაპირე, თან ერთი ახალგაზრდა ქალი ახლდა და იმ ქალმა მითხრა, ქვეყნად ერთ-ერთი საუკეთესო რაინდიაო.

— ეს არაა მართალი, — უთხრა სერ ტრისტრამმა, — რადგან მარტო მისი გვარიდან ვიცი ოთხი რაინდი, რომლებიც სერ ექტორს აღემატებიან. მათგან პირველია სერ ლანსელოტ ტბელი, რაინდთა შორის სწორუბოვარი, მერე სერ ბორს განელი, სერ ბლეოზერის განელი და სერ ბლამურ განელი. სერ გაპერისიც იმ მოდგმისაა.

— სერ, რატომ არ ახსენებთ სერ ტრისტრამს? — ეკითხება მასპინძელი, — თუ მე მკითხავთ, სერ ტრისტრამი არც ერთ მათგანს არ ჩამოუვარდება.

— მე არ ვიცნობ სერ ტრისტრამს, — მიუგო სტუმარმა.

ასე ისაუბრეს და იხუმრეს, შემდეგ კი მოსასვენებლად დაწვნენ.

ღილით სერ ტრისტრამი რაინდს გამოემშვიდობა და ისევ გზას გაუდგა. იგი ტინის კლდის ციხისაკენ მიეშურებოდა და გზაში მეტი აღარაფერი ზიფათი შეხვედრია. სერ ტრისტრამს ცხენი არსად შეუსვენებია, ვიდრე ციხეს არ მიაღწია, იქ კი უკვე ხუთასამდე კარავი იდგა.

თ ა ვ ი ო რ ა მ ო ს დ ა ა მ ო თ ა ა

როგორ გამოვიდა ტრისტრამი სერ ტრისტრამი ფა მოკვანის მიცემული ფარით

სკოტების მეფე და ირლანდიის სამეფოს მირონცხებული ეკორგინოსანი, აი, ვინ იყვნენ ართურ მეფის რაინდების წინააღმდეგ მებრძოლი, დაიწყოდნენ ასპარეზობა.

მოედანზე გამოვიდა ტრისტრამი და დიდი სავირო საქმეები მოახდინა. მრავალი რაინდი დასცა და ისეთი ხელოვნებით იბრძოდა, რომ ყველას თვალი მისკენ იყო მიპყრობილი. მეფე ართურიც თვალს არ აცილებდა მის ახალ ფარს. უკვირდა მეფეს, რისთვის და ვისთვის არისო გამიზნულ-გაკეთებული ასეთი ფარი. დედოფალი გვინივერა კი მყისვე მიხვდა მის დანიშნულებას და გული დაუმიძიდა.

მეფე ართურის ბანაკში იყო ფეა მორგანის დაგეშილი და შეგზავნილი ერთი ახალგაზრდა ქალი, და როცა მეფემ იმ ფარზე ჩამოაგდო ლაბარაკი, ყველას გასაგონად თქვა:

— მეფეო, იცოდეთ, ეს ფარი თქვენთვისაა გაკეთებული, რათა ფრთხილად იყოთ და აიცილოთ სირცხვილი, რაც თქვენს სამეფოში გემუჭრებათ.

თქვა ესა და შეუმჩნევლად გაქრა ისე, რომ კაცმა მისი ასავალ-დასავალი ვერ გაიგო. მეფე კი დალონდა და განრისხდა კიდევ, დაიწყო გამოკითხვა, საიდან იყო ის ქალი მოსული, მაგრამ იქ არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც იმ ქალის ალი-კვალი იცოდა.

დედოფალმა გვინივერამ მენაპირე მოიხმო და შესჩივლა:

— ვიცი, ეს ფარი ფეა მორგანის ბრძანებითაა დამზადებული. იგი ბორ-

ოტს იზრახავს ჩემი და ლანსელოტის დასაღუპავად, მეშინია, მართლა არ და-
მღუპოს.

მეფე კი ისევ ტრისტრამს შესცქეროდა და ფიქრობდა, ვინ უნდა იყოსო. იცოდა მხოლოდ ის, რომ ეს ღირსეული მებრძოლი ლანსელოტი არ იყო. სერ ტრისტრამზე კი უთხრეს, ირლანდიაშია თეთრხელებიან — იზოლდასთანო, და მართლაც ის რომ ლოგრთა ქვეყანაში ან სადმე სხვაგან ყოფილიყო, მის საძებ-
ნელად წასული სერ ლანსელოტი და მისი ამხანაგები იპოვნინდნენო, ფიქ-
რობდა.

ამაოდ მარჩიელობდა მეფე, ვინ არისო ეს რაინდი, მისი მზერა მუდამ იმ ფარზე იყო მიჯაჭვული, დედოფალი ამას ხედავდა და შიშით გული ეკუმშე-
ბოდა.

სერ ტრისტრამი კი განაგრძობდა რაინდების ცელვას და საკვირველება ის იყო, მარჯვნივ თუ მარცხნივ, პირწმინდად კაფავდა ყველას. მის შებმას და მახვილს ვერავინ გაუმაგრდა. სხვა რა გზა იყო, იწყეს უკან დახევა სკოტთა და ირლანდიელთა რაინდებმა. როცა ართურმა ეს ნახა, გაიფიქრა, ალბათ დაიმა-
ლებათ ეს რაინდი და ეს არ უნდა მოხდესო. სერ ივეინ თეთრხელებიანი მოი-
ხმო, აბჯარი აისხი და საომრად გაემზადეო, უბრძანა.

ართურ მეფე და სერ ივეინი ტრისტრამს გადაუდგნენ და მოსთხოვეს: გვი-
თხარი, ეს ფარი საიდანა გაქვსო.

— სერ, — მიუგო რაინდმა, — ეს ფარი მომცა ფეა მორგანმა, ართურ მეფის დამ.

აქ კი თავდება ეს წიგნი, რადგან ესაა პირველი წიგნი სერ ტრისტრამ ლი-
ონელზე. მეორე წიგნი იწყება იმით, რომ სერ ტრისტრამმა ძირს დასცა მეფე ართური და სერ ივეინი, რადგან არ ისურვა იმისი ახსნა, თუ რა მიზნით იყო დამზადებული ეს ფარი, სიმართლე რომ ითქვას, არც შეეძლო ამისი ახსნა, რადგან არსი ამ საქმის არც თვითონ იცოდა.

თავი პირველი

როგორ ებრძოდა სერ ტრისტრამი ართურ მეფეს...

— ...მაგრამ, როცა არ შეგიძლიათ ახსნათ, რა გაქვთ ფარზე გამოხატული, ხართ თუ არა ღირსი, ასეთი ფარი ატაროთ?

— რაც შეეხება ემბლემას. რაც ფარზე მაქვს გამოხატული, — მიუგო სერ ტრისტრამმა, — პასუხს გაგცემთ. ეს ფარი მომცა დედოფალმა ფეა მორ-
განმა, თუმცა ფარი მე მისთვის არ მითხოვია. სურათის მნიშვნელობას კი ვერ ავხსნი, რადგან ასეთი რამ არ დაუვალელებიათ, მაგრამ ღმერთია მოწამე, რომ ფარს ღირსეულად ვატარებ.

— ჰეშმარიტად, — მიუგო ართურმა, — არ უნდა ატაროთ ნიშანი, როცა არ იცით მისი შინაარსი, სახელი მაინც გვითხარით თქვენნი?

— რისთვის? — ჰკითხა სერ ტრისტრამმა.

— მინდა ვიცოდე, — მიუგო მეფე ართურმა.

— სერ, ამჯერად ამას ჩემგან ვერ გაიგებთ.

— მაშინ მე და თქვენ ერთაბრძოლა უნდა გავმართოთ!

— რატომ ითხოვთ ჩემგან ბრძოლაში გამოსვლას, მხოლოდ იმისათვის, რომ არ მინდა გითხრათ ჩემი სახელი? — ჰკითხა სერ ტრისტრამმა. — ეს ხომ უაზრო ასპარეზობა იქნება. თუ კეთილშობილი რაინდი ბრძანდებით, არ უნდა შემებრძოლოთ, რადგან თავად ნახეთ, რა მძიმე ჯაფაც დამადგა ბრძოლის ველზე. თქვენი განზრახვა რაინდული საქციელი ვერაა, რადგან ამდენი ომით დამაშვრალს ორთაბრძოლაში მიწვევთ. თუმცა რა გაეწყობა, რაც უნდა იყოს, მზად ვარ გემსახუროთ. თქვენი არ მეშინია! თქვენი აზრით, თქვენს მხარეს დიდი უპირატესობაა, მაგრამ მე მაინც მზად ვარ შეგებათ.

ართურ მეფემ ფარი და შუბი მოიმარჯვა, სერ ტრისტრამმა უკან დაიხია, შუბის სატყორცნად მოემზადა და ერთმანეთს შეებნენ. ართურ მეფის შუბი ტრისტრამის ფარზე დაიმსხვრა. სერ ტრისტრამმა კი ისე აძგერა შუბი, რომ მეფე ცხენიდან დაღმა გადმოეშვა და პირუტყვიც მასთან ერთად მიწას განერთხა. მეფე ართური მარცხენა გვერდში ღრმად და სახიფათოდ დაიჭრა.

როცა სერ ივეინმა ნახა, რომ მისი ხელმწიფე მძიმედ დაჭრილი გდია, გული ვარამით აევსო, შუბი და ფარი მოიმარჯვა და ხმამაღლა შესძახა:

— რაინდო, თავი დაიცავი!

მაშინვე მთელი ძალით ეკვეთნენ ერთმანეთს. ტრისტრამის ფარზე დაიმსხვრა სერ ივეინის შუბიც. სერ ტრისტრამმა ის უფრო მძიმედ დაკოდა. შემდეგ კი ცხენი გააბრუნა და ორივეს შიამხა:

— ძვირფასო რაინდებო, ჯერჯერობით ამით მოვამთავროთ ჩვენი შერკინება!

ამ ამბის შემდეგ სერ ტრისტრამი იქაურობას გაეცალა და ყველგან, სადაც კი მივიდა, სერ ლანსელოტის ამბავი იკითხა, მაგრამ მისი ასავალ-დასავალი ვერსად გაიგო, რამაც ძლიერ დაალონა.

ერთხელ ტრისტრამი ტყეში მიდიოდა და ნახა, ჭაობს გადასცქერის ერთი მაღალი კოშკი, მეორე მხარეს კი მწვანე მინდორია, იმ მინდორზე ათი რაინდი იქნევდა მახვილს. ტრისტრამი რომ უფრო ახლოს მივიდა, ნახა, ერთი რაინდი ცხრას ებრძოდა, თანაც ისე უებროდ, რომ ტრისტრამი გაკვირვებული დარჩა, როგორ შეიძლება ერთმა რაინდმა ასეთი სასწაული მოახდინოსო. მოკლე ხანში მარტო მებრძოლმა რაინდმა იმ ცხრიდან ნახევარს ცხენები დაუხოცა, დანარჩენები უნაგირებიდან ჩამოყარა.

სერ ტრისტრამი გულში იმ ეულ რაინდს თანაუგრძნობდა და ფიქრობდა, ეს სერ პალომიდი უნდა იყოსო. მერმე ცხენი გააქროლა, შიგ მებრძოლთა შუაგულში შეიჭრა და შესძახა, შეწყვიტეთ ეს სამარცხვინო ბრძოლა, რა სამართალია, ერთს რომ ცხრანი დასევიხართო. პასუხი იმ რაინდთა წინამძღოლმა სერ ბრიუს უმოწყალომ გასცა, იგი იმ დროს რაინდთა შორის ყველაზე უფრო ბოროტი და ღვარძლიანი იყო.

— სერ რაინდო, რა თქვენი საქმეა ჩვენი ჭკუის დარიგება? თუ ჭკუა გიჭრით, აქედანაც ისევე გაემგზავრეთ, როგორც აქამდე მოსულხართ, თორემ ეს რაინდი ცოცხალი ვერ გადაგვირჩება!

— ძალიან დასანანი კი იქნებოდა, — მიუგო სერ ტრისტრამმა, — რომ ასეთი კეთილშობილი რაინდი ასე მუხანათურად მოგეკლათ. ამიტომაც გიცხადებთ, რომ ეულ რაინდს დავიცავ, რამდენადაც დახსნის ძალი შემწევს!

როგორ იხსნა სერ ტრისტრამმა სერ პალომიდი და როგორ მოიღვაწა რაიმე მისი ავირის
 შემდეგ მიხედვით

სერ ტრისტრამი დაქვეითდა, რადგან ყველანი ქვეითად ხარბოდნენ, და არც ის უნდოდა, მისთვის ცხენი მოეკლათ. შემდეგ დარაკი იფარა, ხმალი იწიშვლა და ბრძოლა ისეთი გაშმაგებით დაიწყო, რომ თითქმის ყოველ მოქნევაზე ვინმეს მუსრავდა. ამის დანახვაზე, ვინც გადარჩა, თავს გაქცევით უშველა. თვით სერ ბრიუსი და მისი რაზმის ნარჩენები კოშკისაკენ გაიქცნენ. სერ ტრისტრამი მახვილით ხელში დაედევნა, მაგრამ იმათ ციხეში თავის შეფარება მოასწრეს, სერ ტრისტრამი კი დაგმანული კარის წინ აღმოჩნდა.

მაშინ სერ ტრისტრამმა ხმალი ჩააგო და გამობრუნდა სერ პალომიდთან, რომელიც მძიმედ დაჭრილი ხის ქვეშ იჯდა.

— ჰეი, კეთილო რაინდო, მოხარული ვარ, რომ შეგხვდით, — უთხრა სერ ტრისტრამმა.

— გრამერსი, — მიუგო პალომიდმა. — თქვენი გულკეთილობისათვის დიდი მადლობა! თქვენ მიხსენით უეჭველი სიკვდილისაგან.

— სახელი თქვენი? — ჰკითხა ტრისტრამმა.

— სერ, ჩემი სახელია სერ პალომიდი.

— მაცხოვარო! — შესძახა ტრისტრამმა, — ახლა კი მართლა ბედმა გაგიღიმათ, რომ დაგიხსენით! თქვენ ხართ ის კაცი, ვინც ქვეყანაზე ყველაზე მეტიდ მძულს! ახლავე გაემზადე, მინდა შეგებრძოლო.

— თქვენ ვინდა ხართ? — ჰკითხა პალომიდმა.

— სერ ტრისტრამი, თქვენი მოსისხლე მტერი!

— შეიძლება, მაგრამ დღეს თქვენ მეტისმეტად გაისარჯეთ ჩემთვის, თქვენგან სამუდამოდა ვარ დავალებული. თქვენზე ხელის აღმართვას ვერ შევძლებ, და მერე თვითონ ახლა არ მიხსენით? თან კიდევ, რა პატივი იქნება ახლა ჩემთან გამარჯვება, როცა ასე მძიმედა ვარ დაჭრილი, თქვენ კი დასვენებული და საღ-საღამათი ბრძანდებით, დამინიშნეთ დღე, თუ ჩემთან ბრძოლა უცილობლად მიგაჩნიათ და მეც რაინდულ სიტყვას გაძლევთ, დანიშნულ ადგილზე გვახლებით.

ცხენებზე შესხდნენ და ტყის ბილიკს გაუყვნენ. მოჩუხჩუხე, ანკარა წყაროს რაკრაკმა მიიქცია მათი ყურადღება.

— ძვირფასო სერ, — თქვა ტრისტრამმა, — ისე მწყურია, დიდი სურვილი მაქვს, ეს სუფთა წყალი დავლიო.

დაქვეითდნენ, უცებ ხეზე მიბმული მოჭიხვინე ცხენი დაინახეს, ირგვლივ მიმოატარეს თვალნი და რას ხედავენ, ხის ქვეშ წევს მძიმედ აღჭურვილი რაინდი; მას მხოლოდ მუზარადი ჰქონდა მოხდილი, თავქვეშ ამოდებული და ღრმა ძილით ეძინა.

— მოწყალე ღმერთს ვფიცავ, — ამბობს ტრისტრამი, — იქ ერთი ქებული რაინდი წევს, როგორ მოვიქცეთ?

— გავადვიძოთ.

ტრისტრამმა შუბის ტარი შეახო, რაინდი ვლვის სისწრაფით წამოვარდა, დაიხურა მუზარადი, უსიტყვოდ ეცა ტრისტრამს, ჰკრა შუბი, ცხენიდან ჩამოა-

ვღო და მარცხენა გვერდში დაჭრა. წევს სერ ტრისტრამი ცივ მიწაზე, ვერ დაძრულა და სიკვდილს ელის.

იმ რაინდმა კიდევ გააქროლა ცხენი, შემობრუნდა და სერ პალომიდს შემოუტია, მკერდი გამჭოლ გაუხვრიტა და ცხენიდან გადააგდო. უცნობმა რაინდმა ორივე დაჭრილი და შერცხვენილი მიატოვა და ტყეს შეეჭრა.

სერ ტრისტრამმა და სერ პალომიდმა ძლივს წამოიწიეს, ცხენებთან მივიდნენ და დაიწყეს სჯა, როგორ მოვიქცეთო.

— თავს ვფიცავ, — ამბობს სერ ტრისტრამი, — მე ჩავუდგები კვალში იმ რაინდს, რომელმაც ასე შეგვარცხვინა.

— მე კი დავრჩები ამ მიდამოებში, ერთ მეგობართან მივალ და სულს მოვითქვამ, — თქვა პალომიდმა.

— ოღონდ გახსოვდეთ, დანიშნულ დღეს აუცილებლად უნდა შევხვდეთ. ვფიქრობ, ვერ მომერევიტ, რადგან ჯანი და ღონე თქვენზე გაცილებით მეტი გამაჩნია.

— ეს ჯერ კიდევ საკითხავია და ვნახოთ ვინ ვის? — მიუგო სერ პალომიდმა.

ამის შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ და თავთაფიანთი გზით წავიდნენ.

თ ა ვ ი მ ე ს ა ვ ე

არსებობს ამბავი ტრისტრამი იმ უცნობ რაინდს, რომელმაც ის ცხენიდან ჩამოაგდო, აბრეშვი მრავალი მარცხის სახე რაინდებს

ტრისტრამი დიდხანს მიაქროლებდა ცხენს უცნობი რაინდის კვალზე. ერთ მინდორზე მკვდარი რაინდი იხილა, მის გვამზე კი გარდბარდმო დამბობილი ქალი იწვა.

— ძვირფასო ლედი, — მიმართა სერ ტრისტრამმა, — ვინ მოკლა თქვენი მეუღლე?

— სერ, — მიუგო ქალმა, — მე და ჩემმა ქმარმა აქ შევისვენეთ, უეცრად ჩამოიქროლა უცნობმა რაინდმა, გვკითხა, საიდან ხართო. ჩემმა ქმარმა უბასუხა, ართურ მეფის სასახლიდან ვართო. „აჰ, ასე? — შესძახა უცნობმა რაინდმა, — მაშ გამოდი და შემებრძოლე, რადგან მე მძულს ყველა, ვინც მეფე ართურს ემსახურება!“ ჩემი ქმარი, რომელიც აქ მკვდარი წევს, შესაბრძოლებლად ამხედრდა, იმ რაინდმა კი უმაღლესი მკერდი გაუხვრიტა, მომიკლა მეუღლე და ამ უბედურებაში ჩამაგდო.

— გისმენთ და გული მიკვდება, — მიუგო ტრისტრამმა, — რომ ასეთ მძიმე დღეში ხართ, მაგრამ ხომ ვერ მეტყვით თქვენი განსვენებული მეუღლის სახელს?

— სერ, მისი სახელია სერ გალარდონი, თავსაც გამოიჩენდა, რომ დასცლოდა.

სერ ტრისტრამი მოტირალ ქალს დაემშვიდობა და თავისი გზით წავიდა. ორი ღამე ღია ცის ქვეშ ათია. მესამე ღამეს კი ტყის საგუშაგოში ის შეხვდა სერ გავეინსა და სერ ბლეობერისს, ორივე რაინდი მძიმედ იყო დაჭრილი. ჰკითხათ, დაფარულ ფარს რომ რაინდი დაატარებს, ხომ არ შეგხვედრიათო.

— ძვირფასო რაინდო, — უბასუხეს დაჭრილებმა, — ჩვენდა საუბედუროდ

სწორედ დაფარულფარიანი რაინდი შემოგვეყარა. ჯერ სერ ბლეობერისი დას-
ცა ძირს, — ამბობდა გავეინი, — დაჭრილმა ბლეობერისმა მითხრა, არ შეემათ,
შენთვის ეს რაინდი მეტისმეტად ძლიერიაო. უცნობმა რაინდმა ეს სიტყვები
თავის შეურაცხყოფად მიიღო, დაცინვით მითხარითო. ამას შემდეგ სირცხ-
ვილმა არ მომცა ნება, რომ უომრად გამეშვა. ცხენიდან ძირს დამცა და კინა-
დამ მომკლა კიდევ. შეჯდა ცხენზე და მიგვატოვა. უბედურ ვარსკვლავზე შე-
ვეყარეთ.

— საყვარელო რაინდებო, — უთხრა სერ ტრისტრამმა, — მეც შემხვდა
ის რაინდი, მეცა და სერ პალომიდსაც. შუბით ორივენი ცხენებიდან ძირს ჩა-
მოგვეყარა და მძიმედაც დაგვეჭრა.

— სარწმუნოებას ვფიცავ, — თქვა სერ გავეინმა, — ჯობს თავისი ვზით
იაროს, არ გირჩევთ მის დევნას, რადგან, სანაძლეოს დავდებ, მრგვალი მაგი-
დის მორიგ დღესასწაულზე მოუსვლელი არ დადგება.

— ღმერთს ვფიცავ, ვერ მოვისვენებ, ვიდრე არ ვიპოვი, — თქვა სერ
ტრისტრამმა.

სერ გავეინმა სახელი ჰკითხა:

— ჩემი სახელია სერ ტრისტრამი, — მიუგო რაინდმა.

ერთმანეთს თავთავიანთი სახელები გაანდეს და მერე დაშორდნენ.

სერ ტრისტრამმა კი დიდხანს იარა ტყეში, ბოლოს ერთ ველზე გავიდა,
სადაც ბერთა სავანე იდგა. იქ ერთ კეთილ ადამიანთან მთელი ექვსი დღე იშუ-
შებდა ჭრილობებს, ძალას იკრებდა და ისვენებდა.

თ ა ვ ი მ ა ო თ ხ ა

როგორ დასცა სერ ტრისტრამმა სერ საგრამურ სასურველი და სერ დოდინას
მძვინვარე

მალე სერ ტრისტრამმა თავისი საჭურველმტვირთველი გოვერნალი ახა-
ლი აბჯარ-აღჭურვილობის საშოვნელად ქალაქს გააგზავნა, რადგან ჯაჭვის
თორანი ალაგ-ალაგ დაჭრილ-დასერილი იყო და შემოაცვდა კიდევ. გოვერ-
ნალმა რომ საჭურველი ჩამოუტანა, იგი ქვრივს დაემშვიდობა და დილაადრიან
გზას გაუდგა.

სრულიად მოულოდნელად გზაზე გადაეყარნენ სერ საგრამურ სასურვე-
ლი და სერ დოდინას მძვინვარე. შეხვდნენ და ჰკითხეს, ჩვენთან შეჭიდებას
ხომ არ მოიწადინებდიო.

— ძვირფასო რაინდებო, — მიუგო ტრისტრამმა, — დიდი ხალისით შე-
გებრძობლებოდით, მაგრამ ალთქმა მაქვს მიცემული, ერთ რაინდს უნდა შევე-
ბა, იმ ორთაბრძოლის წინ თქვენთან საასპარეზოდ გამოსვლა კი სასურველად
არ მიმაჩნია. ერთიც ვნახოთ, უბედობამ დამრიოს ხელი და დავიჭრა, სიტყვა
გამიტყდება და არ ივარგებს.

— ეს რა მიზეზია! — შესძახა სერ საგრამურმა, — გინდათ თუ არ გინ-
დათ, სულერთია უნდა შეგვებათ, ისე არ გავგშვებთ.

— რა გაეწყობა, — თქვა ტრისტრამმა, — რაკი მაიძულებთ, შევეცდები
შეძლებისამებრ დაგიხვდეთ.

ფარები იფარეს და უდიდესი თავგამეტებით შუბებით ეკვეთნენ ერთ-
მანეთს. სერ ტრისტრამმა თავისი უჩვეულო დიდი ძალის შემწეობით სერ სა-

გრამური უნაგირიდან ჩამოაგდო, შემდეგ კი ცხენი მიაბრუნა და სერ დოდინასს მიაძახა:

— რაინდო მოემზადე!

შუბის მძლავრი კვეთებით სერ ტრისტრამმა სერ დოდინასიცა და მისი ცხენიც მიწას განართხო, მიწაზე გაშხლართული რაინდების ხელფეხს ხელმოკვება მოჰგვარა, მერმე ჰკრა ცხენს დეზები და თავის მსახურ გლეხურად ერთად გზა განაგრძო.

როგორც კი ტრისტრამი თვალს მიეფარა, სერ საგრამური და სერ დოდინასი ფეხზე წამოდგნენ, ცხენები დაიჭირეს, სწრაფად ამხედრდნენ და სერ ტრისტრამს დაედევნენ. სერ ტრისტრამმა ნახა, როგორ მოაგელგებდნენ ცხენებს მდევრები, შეჩერდა, მობრუნდა და ჰკითხა, რა გნებავთო.

— თუ არა ვცდები, შუბის კვეთებით სულ ახლანან ჩამოგყარეთ ცხენებიდან. თქვენთან ბრძოლა კი ჩემი თაოსნობით არ მომხდარა, საასპარეზოდ გამოსვლა თვითონვე მომთხოვეთ. მშვიდობიანად მინდოდა გვერდი ამეკლო თქვენთვის, არ გამიშვით, ახლა ისე შეჩვენება, ისევ ვინდათ შემებათ.

— ეს მართალია, — უთხრეს, — ჩვენ გვინდა სამაგიერო გადავიხადოთ შეურაცხყოფისათვის.

— ძვირფასო რაინდებო, — უთხრათ სერ ტრისტრამმა, — არაფერი აუცილებლობით არ არის გამოწვეული ჩვენი ორთაბრძოლის გამართვა. ჩემი სურვილი ხომ არ იყო ბრძოლა, თქვენ მომანვიეთ თავზე. ამიტომ რაინდული პატიოსნებით მოვითხოვ თქვენგან, ნუღარ ამედევნებით, ალბათ თქვენთან ბრძოლიდან უვნებლად ვერ გამოვალ და, როგორც ხედავთ, არც თქვენ დარჩებით იოლად მოგებულნი. არ მინდა თქვენთან ომი, რადგან სამი დღის შემდეგ ერთ-ერთ უძლიერეს და სახელგანთქმულთა შორის უპირველეს რაინდს უნდა შევებრძოლო. თუ დავიჭერი, რალა თქმა უნდა იმ რაინდს ველარ შევებრძოლები.

— ვინ რაინდია ასეთი? — ჰკითხა სერ საგრამურმა, — ვის უნდა შეებათ?

— სერ, ის გახლავთ ქველი რაინდი სერ პალომიდი.

— თავს გეფიცებით, — თქვეს სერ საგრამურმა და სერ დოდინასმა, — თქვენი სიფრთხილე საფუძველს მოკლებული არაა. სერ პალომიდი მართლაც სახელგანთქმული და ბრძოლაში უაღრესად დახელოვნებული რაინდია. რაკი მასთან შეებრძოლება მოგიწევთ, ამჯერად მოგეშვებით, თორემ ასე იოლად ვერ შეგელეოდით. ბარემ თქვენი სახელიც გვითხარით.

— სერ, ჩემი სახელია სერ ტრისტრამი.

— აჰა! — შესძახეს სერ საგრამურმა და სერ დოდინასმა. — ბედმა გაარიგა ჩვენი შეყრა, რადგან ბევრი რამ გვსმენია თქვენს დიდებაზე.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს და სხვადასხვა გზით წავიდნენ..

თ ა ვ ი მ ა ხ უ თ ა

როგორ ვიხვდა ძვასთან სერ ტრისტრამი სერ ლანსელოტს და როგორ იბრძოდნენ ისა, რომ ერთმანეთი ვერ იცნოს

სერ ტრისტრამი პირდაპირ კამელოტისაკენ მიიჩქაროდა, იმ საფლავის ქვასთან უნდოდა მისულიყო, ოდესღაც მერლინმა რომ აღმართა. იმ ქვასთან ჰპო-

ვა სიკვდილი სერ ლანსეორმა, ირლანდიის მეფის ძემ, სერ ბაუენის ხელით. იქვე დაიღუპა მომხიბლავი ქალი კოლომბა, სერ ლანსეორის საყვარელი, რომელმაც რაინდის გვამთან მისივე მახვილით გაიპო მკვრივი გზინეულმა მერლინმა თავისი ჯადოსნური ხელოვნებით ისე მოაწყო საჭმელს — მიჯნურები ერთი ქვის ქვეშ დამარხეს. სწორედ მაშინ იწინასწარმეტყველეს მერლინმა, ამ ადგილზე გაიმართებოდა ორთაბრძოლა ართურ მეფის დროის ორ უდიდეს რაინდსა და ურჩეულეს მიჯნურთა შორის.

ამ საფლავის ქვასთან მისულმა ტრისტრამმა სერ პალომიდის მოლოდინში აქეთ-იქით დაიწყო ცქერა. უცებ შენიშნა, რომ ვიღაც ახოვანი, წარმოსადეგი, თეთრწამოსასხამიანი, დაფარული დარაკით დაცული რაინდი ფეხმალ მერანს პირდაპირ მისკენ მოაქროლებდა.

— კეთილი იყოს ღმერთი მოსვლა, სერ რაინდო, — უთხრა, როცა სერ ტრისტრამს გაუსწორდა, — თქვენ ზუსტად და პირნათლად შეასრულეთ სიტყვა.

შუბები და ფარები მოიმარჯვეს და მთელი სისწრაფით ერთმანეთისაკენ დაიძრნენ. ისეთი ძალით ეკვეთნენ ერთმანეთს, რომ დარტყმის ძალამ ისინი ცხენებიანად მიწაზე განართხო. ფეხები მაშინვე გამოიხსნეს უზანგებიდან, ფარები იფარეს და ბუმბერაზებივით ეკვეთნენ ერთმანეთს, მოვლვარე მახვილები დაუშინეს ერთერთს და ისე დაჩეხეს ერთიმეორე, რომ ბალახი სისხლით შეიღებდა. მთელი ოთხი საათი იბრძოდნენ ისე, რომ ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ. აღტურვილობა დაისერა, ჯაჭვისპერანგები ნაგლეჯებად ეკიდათ.

— აჰ, იესო უფალო! — შესძახა გოვერნალმა, — მათცებს ჩემი ბატონის დარტყმების სიძლიერე, ან როგორ უძლებს თქვენი ბატონი!

— ვფიცავ ჩემს თავს, — მიუგო სერ ლანსელოტის მსახურმა, — თქვენმა ბატონმა მეტი დარტყმა იგება.

— მაცხოვარო! — თქვა ისევ გოვერნალმა, — ვინ გაუძლებდა ამას, სერ ლანსელოტის ან სერ პალომიდის გზოდა? განა სავალალო არ არის, რომ ასეთი რაინდები ტყუილუბრალოდ ღვრიან ერთმანეთის სისხლს?

ასე იდგა ორი მსახური, ორივენი ზღუქუნებდნენ და ხმამაღლა ჩიოდნენ, როცა ხედავდნენ რაინდთა სისხლიან ხმლებს, რაინდები კი უჩუმრად ავრძელებდნენ ბრძოლას.

ბოლოს სერ ლანსელოტი ამეტყველდა და თქვა:

— რაინდო, თქვენ ისე იბრძვით, რომ სასწაულს საკუთარი თვალით ვუყურებ. ასეთი მეორე ჩემს ცხოვრებაში არ შემხვედრია. ამიტომ იქნებ შესაძლებლად მიიჩნიოთ და თქვენი სახელი მითხრათ.

— სერ, — მიუგო ტრისტრამმა, — დუმილს გამკობინებდი.

— ჩემთვის რომ ეკითხათ, არასოდეს არ დავფარავდი სახელს.

— მომწონს ეგ თქვენი სიტყვა, — უთხრა სერ ტრისტრამმა, — მაშინ მე გთხოვთ, მითხარით თქვენი სახელი.

— ქველო რაინდო, ჩემი სახელია სერ ლანსელოტ ტბელი.

— ვაგლახ! — თქვა სერ ტრისტრამმა, — ეს რა ჩავიდინე! თქვენ ხომ ის ადამიანი ხართ, რომელიც ქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს!

— ახლა, მაშ, კეთილო რაინდო, თქვენი სახელიც მაუწყეთ.

— ჩემი სახელი სერ ტრისტრამ ლიონელი ვახლავთ.

— უფალო! — შესძახა სერ ლანსელოტმა, — ეს რა ამბავი შემემთხვა!

სერ ლანსელოტმა ჩაიმუხლა და თავისი ხმალი სერ ტრისტრამს ვადით გაუწოდა. სერ ტრისტრამმაც ჩაიჩოქა, ხმლის მახვილი პირი თავისკენ უყოს და სერ ლანსელოტს გაუწოდა იგი. ასე უთმობდნენ ერთმანეთს გამარჯვების პატივს. შემდეგ მერლინის ქვასთან მივიდნენ, ზედ ჩამოსხდნენ, მოიხადეს მუზარადები, ცხელი შუბლი ნიავს მიუშვირეს და ერთიმეორეს ახვედრეს.

მერმე შეისვენეს, ცხენებს მოახტნენ და კამელოტისაკენ დაიძრნენ. ვზად შეხვდნენ სერ გავეინი და სერ გაპერისი, რომელთაც ართურ მეფის წინაშე ფიცი ჰქონდათ დადებული: ვიდრე ტრისტრამს არ ვიპოვნით, უკან არ დავბრუნდებით.

თავი მეთხუთსედი

როგორ მიიხვანა სერ ლანსელოტმა სერ ტრისტრამი სასახლეში, როგორ განხარის მუმი და სხვაგვარ ტრისტრამის ჩამოსვლით

— გააბრუნეთ ცხენები უკან, — უთხრა სერ ლანსელოტმა რაინდებს, — თქვენი ნაკისრი საგმირო საქმე აღსრულებულია. მე ვნახე სერ ტრისტრამი, აგერ, შეხედეთ!

სერ გავეინს ძალზე გაუხარდა ტრისტრამის ნახვა და უთხრა:

— კეთილი იყოს თქვენი ნახვა, თქვენ მე მძიმე ჯაფისაგან მიხსენით, რა ქარმა გადმოგაგდოთ ამ ჩვენს მხარეში?

— საყვარელო სერ, — მიუგო ტრისტრამმა, — აქ მოვედი სერ პალომიდის გამო, რადგან დღეისათვის დავთქვით ორთაბრძოლა აქ, მერლინის ქვასთან და ძალიან მიკვირს, რომ იგი ვერა ვნახე. მის ნაცვლად კი ერთმანეთს ვეკვეთეთ ჩემი ბატონი სერ ლანსელოტი და მე.

ამ დროს გამოჩნდა თვითონ მეფე ართურიც და როს შეიტყო, სერ ტრისტრამიც მოუყვანიათო, მივიდა, ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— სერ ტრისტრამ, კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ჩვენს სასახლეში!

როცა შეიტყო, ტრისტრამსა და ლანსელოტს ერთმანეთში უკეჭნავიათ და მძიმედაც დაჭრილანო, ძალიან დალონდა. სერ ტრისტრამმა აუხსნა, ამ მხარეში სერ პალომიდთან შებრძოლების მიზნით ჩამოვედიო. მერმე ისიც უთხრა, როგორ დაიცვა პალომიდი ცხრა რაინდის თავდასხმისაგან, რომელთაც სერ ბრიუს უმოწყალო მეთაურობდა, მერმე მოუთხრო, როგორ ნახა წყაროსთან მძინარე რაინდი. „იმ რაინდმა ძირს დაგვცა მეცა და პალომიდიც, მის ფარზე მჭიდროდ იყო დახვეული ტილო. ყველგან, სადაც წავედი, მისი ხელით მოკლული ან დასახიჩრებული ადამიანები მხვდებოდნენ“.

— თავს გეფიცები, — უთხრა სერ გავეინმა, — ფარზე ტილოშემოჭერილმა რაინდმა დაგვაბნია მე და სერ ბლეობერისიც, ჩამოგვყაა ცხენებიდან და მძიმედაც დაგვჭრა.

— აჰა! — შესძახა სერ კეიმ, — იმავე რაინდმა მძლია მეც და მძიმედაც დამჭრა.

— მაცხოვარო! — შესძახა ართურმა, — ვინ უნდა ყოფილიყო ეს ტილოთი დაფარულ ფარიანი რაინდი?

— ჩვენ არ ვიცით, — თქვა სერ ტრისტრამმა და სხვებმაც დაუდასტურეს.

— არ იცით? — ჩაეკითხა მეფე ართური, — სამაგიეროდ მე ვიცი: ესაა სერ ლანსელოტი!

ყველამ სერ ლანსელოტს გადახედა და მერე თქვეს:

— სერ, თქვენ ყველანი მოგვატყუეთ ტილოთი და დარღვენი ფართით.

— პირველად როდღე ახვევს ტილოს თავის ფარს, — თქვენს პირველად.

— ჩემო მბრძანებელო, — უთხრა სერ ლანსელოტმა, — მისი მბრძანდი მართლაც მე ვიყავი, რადგან არ მინდოდა თქვენი სასახლის რაინდად ვინმეს ვეცნე. თქვენს სახელსაც განზრახ აუგად ვახსენებდი.

— ეს მართალია, — თქვა სერ გავეინმა, იგივე დაადასტურეს კეიმ და ბლეობერისმა.

მეფე ართურმა სერ ტრისტრამს ხელი მოჰკიდა და მრგვალ მაგიდასთან მიიყვანა. გამობრძანდა დედოფალი გვინივერაც. დედოფალს მრავალი ბანოვანი ახლდა თან და ყველამ ერთხმად თქვა:

— კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, სერ ტრისტრამ!

— კეთილი იყოს! — თქვეს ქალიშვილებმაც.

— კეთილი იყოს! — თქვა მეფე ართურმა, — ხელისით ვხვდებით ბრწყინვალე და თავაზიან რაინდს, უკეთილშობილეს კაცს, ნადირობის ყველა სახეობაში პირველობა თქვენია. სანადირო ბუკ-ნალარის დაკვრაშიც ყოველნაირ ყაიდაზე პირველი იყავით. ნადირის გამორეკვასა და ბაზით ნადირობაშიც ტოლი არ გყოლიათ, ხოლო საკრავების დაკვრაში ხომ ყველას აღემატებით! ამიტომ, კეთილშობილო რაინდო, — განაგრძო მეფე ართურმა, — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს კარზე. გარდა ამისა, ერთი თხოვნა უნდა შეგვისრულო.

— სერ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც გვიბრძანებთ!

— კეთილი, — თქვა ართურმა, — მე მსურს, ჩემს სასახლეში დარჩეთ.

— სერ, შეუძლებელია. ბევრი საქმე მაქვს სხვადასხვა ქვეყანაში.

— არა, — მიუგო ართურმამ, — რაკი დამპირდით, ნათქვამ სიტყვას ველარ გადახვალთ.

— სერ, მე ავისრულებთ სურვილს.

მაშინ ართურ მეფემ შემოუარა მრგვალ მაგიდას და გასინჯა ყველა თავისუფალი სკამი. უცებ თვალი მოჰკრა წარწერას სერ მარკაუსის სკამზე: „ესაა ადგილი კეთილშობილი რაინდის სერ ტრისტრამისა“.

მეფე ართურმა სერ ტრისტრამი მრგვალი მაგიდის რაინდად აკურთხა და ეს მოხდა ყველა წესის დაცვით. ამის შემდეგ გაიმართა დიდი ნადიმი.

ამით ვამთავრებთ ტრისტრამის მორიგ ამბავს და მეფე მარკის სასახლეში ვბრუნდებით.

თავი მეთხუთმე

როგორ ჩავიდა სერ ტრისტრამის სიძულვილით აღვსილი მეფე მარკი ინგლისში ორი რაინდის თანხლებით და როგორ მოკლა ერთი მათგანი

მეფე მარკს ძილსა და მოსვენებას უკარგავდა ტრისტრამის მორჭმული რაინდის სახელი. მართალია, ტრისტრამი მისი ღვიძლი დისწული იყო, მაგრამ ეჭვიანობამ შეაძულა იგი. კორნუელის დედოფალ მშვენიერ იზოლდას და სერ ტრისტრამის ყოვლისმძლევემა სიყვარულმა გაასავათა მეფე. ამისთვის იყო, რომ მარკმა ტრისტრამი კორნუელიდან ინგლისს განდევნა. გარნა რაინდის დი-

დების ამბავი კიდევ უფრო გახშირდა, უფრო შორს გავარდა მისი სახელი. ახალმა საგმირო საქმეებმა, რაც სერ ტრისტრამმა მოახდინა ინგლისში, მეფის ყურამდე მიაღწიეს და პირდაპირ გააცოფეს იგი.

ბოლოს მეფემ ინგლისში თავისი კაცები გაგზავნა და დაავალა, ტრისტრამის საქმეებს თვალი ადევნეთ. დედოფალმა, ტრისტრამისადმი მოულოდნელად ურძობას გულით რომ დაატარებდა, თავის მხრივ, მეთვალყურეები გააგზავნა, რომ ტრისტრამის ამბავი იდუმალ გაეგოთ და მისთვის ეცნობებინათ. როცა გაგზავნილები უკან დაბრუნდნენ, მეფეს ყველაფერი, რაც გაიგეს, წვრილად მოუთხრეს: სერ ტრისტრამი ყველა რაინდს აღემატათ სერ ლანსელოტის გარდა. მძიმედ დალონდა ამ ცნობის გამგონე მეფე მარკი, მშვენიერმა იზოლდამ კი გულით გაიხარა. მეფე მარკის არსება სრულიად მოიცვა ბოლმამ. ბოლოს აღვა, მოხეტიალე რაინდის ტანსაცმელი გადაიცვა, ორი რაინდი და ორი საჭურველთმტვირთველი იახლა და ინგლისს გაემგზავრა, რომ ხელსაყრელი შემთხვევა გამოენახა და სერ ტრისტრამი მოეკლა. მისი თანამგზავრებიდან ერთს ერქვა სერ ბერსულესი, მეორეს — ამანტი. გზად ერთი რაინდი შეხვდათ და მარკმა იმას ჰკითხა, სად შეიძლებაო ართურ მეფის ნახვა.

— კამელოტში, სერ, — მიუგო რაინდმა.

მერმე მარკმა სერ ტრისტრამის ამბავიც გამოიკითხა: თუ გაგიგონიათ ასეთი რაინდის სახელი ართურ მეფის კარზე?

— დაე, უწყოდეთ, რომ, როგორც კი შეიძლება ამ ქვეყნად რაინდმა პატივი და დიდება მოიპოვოს, ტრისტრამს ყოველივე მოხვეჭილი აქვს. მან ხომ დიდ ტურნირზე ქალწულის ციხესთან, რაც ტინის კლდესთან დგას, პირველობა დაისაკუთრა. მერმე მან ერთმა სძლია ოცდაათი ქებული რაინდი. უკანასკნელად შეებრძოლა სერ ლანსელოტს და ეს იყო მართლაც საკვირველი, სასწაულებრივი ბრძოლა. სერ ლანსელოტმა სერ ტრისტრამი სასახლეში მიიყვანა, მაგრამ ძალით კი არა, დაყვავებითა და ალერსით. ართურ მეფემ დიდად გაიხარა. სერ ტრისტრამი მრგვალი მაგიდის რაინდად აკურთხა. სერ ტრისტრამს ერგოს სკამი, რომელზედაც უწინ იჯდა სერ მარჰაუსი, სახელოვანი რაინდი.

მეფე მარკს ემცხეთა სერ ტრისტრამის დიდების ამბავი, ამიტომ იმ რაინდთან დამშვიდობება იჩქარა და თავის მხლებელ რაინდებს უთხრა:

— ახლა გაგიმხელთ ჩემს საიდუმლო განზრახვას, რადგან თქვენ ორს ქვეყნად ყველაზე მეტად გენდობით. იცოდეთ, მე აქ იმ მიზნით ჩამოვედი, რომ სერ ტრისტრამი დავღუპო. რა მზაკრობა და მუხანათობაც არ უნდა იყოს სამისოდ საჭირო, ყველაფრისათვის მზად უნდა ვიყოთ. თუ ხელიდან დაგვისხლტება, ძალზე ცუდ დღეში ჩავცვივდებით.

— ვაგლახ! — თქვა სერ ბერსულესმა, — ბატონო ჩემო, ეს რა გვითხარით? თუ ასეთი რამ მართლა განიზრახეთ, სამარცხვინოა, რადგან სერ ტრისტრამი უკეთილშობილესი რაინდია, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. ამიტომაც გაფრთხილებთ, მე არ მოგიმართავთ ხელს მის დაღუპვაში, და თუ გაჭირდა, თქვენ მიგატოვებთ, რათა მის მხარეზე გადავიდეთ.

ასეთი სიტყვები რომ მოისმინა მეფე მარკმა, უეცრად მახვილი იშიშვლა და შესძახა: „აჰა, მოლაღატევ!“ — ამ სიტყვებზე მახვილი სერ ბერსულესს თავში დაჰკრა და კბილებამდე გაკვეთა. მეფე მარკის თანმხლებმა მეორე რაინდმა და საჭურველთმტვირთველებმა ეს რომ დაინახეს, თქვეს:

— თქვენ სულმდაბლურად და მუხანათურად მოიქეცით და ამიტომ ჩვენ

თქვენი მსახურები აღარ ვართ. იცოდეთ, ვერაგობისათვის ბრალს დაგდებთ ართურ მეფის სასახლეში წარდგომისას.

მეფე სულ გაცოფდა. უნდოდა სერ ამანტიც მოეკლა, მაგრამ იმან ორივე საჭურველმტვირთველი მოიშველია და მეფე მარკმა ველანტისგან გააწყო. როცა ნახა, რომ ვერაფერს გახდება, მარკმა ამანტს უთხრა:

— იცოდე, თუ ღალატში ბრალს დამდებ, თავს როგორმე გავიმართლებ ართურ მეფის წინაშე. ერთს მაინც დაბეჯითებით მოვითხოვ, ჩემი სახელი არ გაამხილო, არ მიწოდო მეფე მარკი, როგორც არ უნდა შეტრიალდეს საქმე.

— რაც შეეხება სახელის გამხელას, — თქვა სერ ამანტმა, — თქვენს სახელს არ გავამხელთ.

ერთმანეთს დაშორდნენ. სერ ამანტმა და მისმა ამხანაგებმა სერ ბერსულესის გვამი მიწას მიაბარეს.

თ ა ვ ი მ ა რ ვ ი

როგორ მივიდა მარკი წყაროსთან და როგორ შეხვდა იმ სერ ლამორაკს, რომელიც მეფე ლოტის ცოლის სიყვარულის გამო დრტვინავდა

მეფე მარკმა გზა განაგრძო და ერთ მოჩუქურთმებულ წყაროს მიადგა. იქ საგონებელში ჩავარდნილმა შეისვენა. მძიმე განსაცდელგამოვლილი ყოყმანობდა, განეგრძო გზა ართურის სასახლისაკენ თუ შინ დაბრუნებულიყო.

ვიდრე მეფე მარკი ამ ფიქრებში იყო, წყაროსთან კარგად აღჭურვილი რაინდი მოვიდა, დაქვეითდა, ცხენი ხეზე მიაბა, თვითონ კი წყაროსთან დაჯდა და ხმამაღლა ოხვრა-ჩივილს მოჰყვა. ეს იყო მწარე სამიჯნურო ვალი და შეყვარებული რაინდი ვერ ამჩნევდა, რომ მის გვერდით მეფე მარკი იჯდა. რაინდი ტიროდა, გოდებდა და ასე ჩიოდა:

— ო, მშვენიერო ორკნეის დედოფალო, მეფე ლოტის მეუღლე, სერ გავეინის, სერ გაპერისის და სხვათა დედავ, შენი სიყვარულით ცეცხლმოდებული ვიწვი, ვიტანჯები და საშველი არა მაქვს.

მეფე მარკი წამოდგა. სიყვარულით ვნებულ რაინდთან მივიდა და უთხრა: — ძვირფასო რაინდო, თქვემა საცოდაობამ გული მომიკლა!

— სინამდვილეში ასჯერ უფრო გულსაკლავ გრძნობას დავატარებ გულით, რომლის გადმოცემაც სიტყვებით არ შემძლია.

— გამანდეთ თქვენი სახელი, — შესთხოვა მეფემ. — სერ, რაც შეეხება ჩემს ვინაობას, არავისთან არ დავფარავ, ვისაც კი რაინდის ფარი უბჟურია ხელთ, — მიუგო რაინდმა და ამაყად წარმოთქვა, — ჩემი სახელისა სერ ლამორაკ უელსელი.

თვითონ ლამორაკმა კი, გაიგონა თუ არა მარკის ლაპარაკის კილო, მიხვდა, რომ მის წინ კორნუელელი რაინდი იდგა.

— სერ რაინდო, — უთხრა ლამორაკმა, — თქვენმა ლაპარაკმა მიმახვედრა, რომ კორნუელიდან უნდა იყოთ, კორნუელიდან, სადაც ცხოვრობს ჩვენი დროის ყველაზე უფრო შერცხვენილი მეფე, ყველა ღირსეული რაინდის დაუძინებელი მტერი. მან თავის სახელს სამუდამოდ მოსცხო ჩირქი იმით, რომ კორნუელიდან განდევნა ამაყად ქვეყნად მცხოვრებ რაინდთა შორის უწარჩინებულესი სერ ტრისტრამი, ვის სახელს ყველა რაინდი მოკრძალებით ახსენებს. სწორედ დასაზანია, რომ ასეთი უღირსი, საძაგელი და ლაჩარი მეფე

მეუღლეა ისეთი კეთილშობილი და სათნო ქალისა, როგორცაა მშვენიერი იზოლდა. მეფე მარკზე მხოლოდ აუგს ამბობენ, იზოლდაზე კი ლამორაკობენ უდიდესი პატივისცემით, როგორც კი ოდესმე დედოფალს ღირსებია.

— მე ამ ამბებთან არაფერი მესაქმება, — მიუგო მარკმა, — მაგრამ იქნებ რამე ახალი ამბები იცით, სერ?

— შემძლია ვითხრათ, რომ უახლოეს ხანში კამელოტის ველზე, გენტის ცხესთან, მოეწყობა დიდი ტურნირი, — თქვა ლამორაკმა. — იმ ტურნირზე, როგორც გავიგე, ასი რაინდის მეფე ირლანდიის მეფეს შეებრძოლება.

ამ დროს წყაროსთან მოვიდა სერ დინადანი და ორივეს მიესალმა. როცა გაიგო, რომ მეფე მარკი — კორნუელელი რაინდი იყო, იმან ათასჯერ უფრო მაგრად ლანძღა და აგინა კორნუელის მეფე, ვიდრე ლამორაკმა. შემდეგ მეფე მარკს წინადადება მისცა, ერთ-ერთ ჩვენგანს შეგვებრძოლეო. მეფე მარკს სიკვდილივით არ უნდოდა მათთან ბრძოლა, მაგრამ სერ დინადანმა სასაცილოდ აიგდო, რის გამო გამწარებულმა მეფემ შუბი მოიმარჯვა და სერ ლამორაკთან საბრძოლველად გავიდა. სერ ლამორაკმა შუბით ისეთი დარტყმა აგემა მეფე მარკს, რომ ჯერ ცხენის გავაზე გადასვა და მერმე იქიდანაც გადააგდო.

მეფე მარკი აღგა, ამხედრდა და სერ ლამორაკის დადევნება დააპირა. სერ დინადანს კი არც უცდია ლამორაკთან ბრძოლა, მარკს უთხრა, რომ ჩემი მოწინააღმდეგე სერ კეი სენეშალი იქნებაო.

— ეს არაა მართალი, — თქვა მარკმა, — ის ბევრად უფრო მაღალი და ღონიერია სერ კეიზე.

შემდეგ დაედევნა, დაუძახა და ისიც შეჩერდა.

— რა გნებავთ? — ჰკითხა სერ ლამორაკმა.

— სერ, — მიუგო მეფე მარკმა, — მინდა ხმალშიც მოვსინჯო ჩემი ძალა, რაკი შუბით მძლიეთ.

ხმლები იშიშვლეს და ერთმანეთს მიეტივნენ. ლამორაკი პირველ ხანებში თითქოს ინდობდა მეფე მარკს, მთელი ძალით არ იბრძოდა, შემდეგ შეატყო, რომ მარკი არ ხუმრობს, დაუნდობლად ურტყამს და თავგამეტებით ებრძვის. მაშინ განრისხდა სერ ლამორაკი და დარტყმის ძალა გააორკვეცა. ის ხომ ქვეყნიერების ერთ-ერთი საუკეთესო რაინდი იყო! ერთი ისეთი მოუქნია და დაჰკრა მუზარადში, რომ მეფე მარკს თავი უნაგირის ტახტამდე დაუვარდა. ამის შემხედვარე სერ ლამორაკმა იკითხა:

— როგორაა საქმე, რაინდო? მგონი, გეყოფათ. ამაზე მეტად თქვენი დასახიჩრება აღარ ღირს, თქვენ ხომ დახელოვნებული რაინდი არა ხართ, გიშვებთ და, საითაც გნებავთ, იქით მხარეს წადით.

— გრამერსი, — მიუგო მეფემ, — მართლაც არა ვარ თქვენთვის საკადრისი მოწინააღმდეგე.

სერ დინადანმა სასაცილოდ აიგდო:

— თქვენ არც ერთი ქველი რაინდის საკადრისი მოწინააღმდეგე არა ხართ.

— არც ასეა საქმე, — მიუგო მეფე მარკმა, — თქვენც ხომ უარი თქვით ჩემ შემდეგ მასთან შებრძოლებაზე?

— თქვენ ფიქრობთ, ეს სამარცხვინო საქციელია? — თქვა სერ დინადანმა, — არა, სერ, რაინდს ღირსება არ ელახება, თუ შეუძლია უარი თქვას იმაზე, რისი ძალაც არ შესწევს. ამიტომ თქვენ პატივს მოგიტანდათ უარის თქმა მასთან შებრძოლებაზე, რომელიც ბარე ხუთ ჩვენისთანას გაუსწორდება. თქვენ,

კორნუელელი რაინდები, სხვა რაინდებივით სახელოვანი მემორები ვერა ხართ და, რაკი თვითონ საბრძოლო დიდების პატივი ვერ მოგიხვეჭიათ, გძულთ ყველა, ვინც პატივი და დიდება დაიმსახურა. თქვენს ქვეყანაში არ შობილა მეორე ისეთი რაინდი, როგორც სერ ტრისტრამია.

თ ა შ ი მ ე ც ხ რ ე

როგორ მივიღწინ ციხეში მღვდელ ნარკი, სერ ლამორაკი და სერ დინადანი და როგორ იცნოს იმ მღვდელ ნარკი

გზა ყველამ ერთად განაგრძო. მეფე მარკი ლამორაკსა და სერ დინადანს გაჰყვა. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ერთ ხიდს მიაღწენენ. ხიდის თავზე მაგარი ციხე აღემაართათ. ციხის მისადგომთან ერთი კარგად აღჭურვილი მხედარი იდგა. შუბს აქნევდა და რაინდებს ორთაბრძოლაში იწვევდა.

— აი რა, — უთხრა სერ დინადანმა მეფე მარკს, — აქ ორი ძმა ცხოვრობს. ერთს ჰქვია ალინი, მეორეს ტრიანი. ეს ძმები ისე არაფის გაატარებენ ხიდზე, თუ მათ ორთაბრძოლაში არ შეეება. გადიოთ და შესთავაზეთ ბრძოლა, თორემ ყოველთვის დამარცხებული გამოდიხართ.

მეფე მარკს შერცხვა, შუბი აღმართა და სერ ტრიანს შეუტია. ერთიმეორეს ჩაუჭროლეს და შუბები ზედ შეაღწეს ერთურთს. მაშინ ტრიანმა მეფეს ახალი შუბი გამოუგზავნა, მაგრამ მარკმა არაფრით იღარ ისურვა ბრძოლის გაგრძელება. მერმე სამივე მივიდა კოშკთან და მასპინძელს სთხოვა, ღამე გაგვათევენეთო.

— გთხოვთ, მობრძანდეთ, — უპასუხეს კოშკიდან, — გეპატიუებით ამ ციხის პატრონის სერ ტორის სახელით.

ისინი ფართო სუფთა ეზოში შევიდნენ, სადაც უხვად გაუმასპინძლდნენ და დიდი პატივით ექცეოდნენ, ვიდრე ამ ციხის რაზმის მეთაურმა სერ ბერლიუსმა მათ შორის მეფე მარკი შეიცნო.

მაშინ კი სერ ბერლიუსმა თქვა:

— სერ რაინდო, მე გიცანით და გიცნობთ უკეთ, ვიდრე გგონიათ. თქვენ ბრძანდებით მეფე მარკი, რომელმაც მამა თვალწინ მომიკლა. მეც იგივე ბედი მელოდა, მაგრამ გავიქეცი და ტყეში დავიმალე. ახლა ამ ციხის მფლობელისა და ჩემი ბატონის სერ ტორის პატივისცემის გამო ზიანს არ გიზამთ. ჯერჯერობით თქვენც დამშვიდებული იყავით და თქვენი თანამგზავრებიც, მაგრამ უწყოდეთ, როგორც კი ამ ციხის მიდამოებს გაცდებით, შეგებრძოლებით და არ დაგზოგავთ, თუ ძალა შეკოფა, რადგან მამაჩემი მოკალით, როგორც ლაჩარმა და მოლალატიმ. ჯერჯერობით კი ჩემი ბატონის ტორისა და აქ ღამის გასათევად მოსურს. ლამორაკის რიდით სტუმართმოყვარეობას არ დაგაკლებთ. სამწუხაროა, რომ ამ კეთილშობილ რაინდებს შორის გიხილეთ. თქვენ ხომ უსაძაგლესი ხართ მეფეთა და რაინდთა შორის, სახელოვანი რაინდების დამლუპველი და, რასაც კი აკეთებთ, ყველაფერი მუხანათობაა.

თავი მათე

როგორ ეპროდა სერ ბერლიუსი მისი მარკა და როგორ დაიჭირა მისი მხარე
სერ დინადანმა

ქართული

მეფე მარკს შერცხვა და სერ ბერლიუსს ვერაფერი უპასუხა. მარკს სერ ლამორაკმა და სერ დინადანმა როცა გაიგეს, რომ ის თურმე მეფე მარკი იყო, ინანეს, რომ მას დაემგზავრნენ.

ნავახშმევს ყველანი დასაძინებლად მოასვენეს. დილაუთენია მეფე მარკი და სერ დინადანი გზას ერთად გაუდგნენ.

სამი მილიც არ ექნებოდათ გავლილი, რომ წინ სამი რაინდი შემოეგებათ, მათ შორის იყო სერ ბერლიუსი, ორნი კი მისი ნათესავები იყვნენ.

მეფე მარკის დანახვაზე სერ ბერლიუსმა ხმამაღლა შესძახა:

— მუხანათო, თავი დაიცავი, სერ ბერლიუსი ვარ.

— სერ რაინდო, — უთხრა მას სერ დინადანმა, — ჩემი რჩევაა, მეფე მარკს ამჯერად წინ ნუ გადაელობებით, გაუშვით თავის გზაზე, ის ხომ ართურ მეფესთან მიდის და რამდენადაც სიტყვა მივეცი, რომ მეფე ართურთან მივიყვანდი, ძალაუნებურად, მეც მის მხარეს უნდა დავდგე, თუმცა არც თვითონ და არც მისი ზნე გულზე არ მახატია და სიამოვნებით მივატოვებდი.

— რა გაეწყობა, სერ დინადან, — უთხრა სერ ბერლიუსმა, — ვწუხვარ, რომ მისი მხარე გიჭირავთ, მაგრამ თავს ზევით ძალა არაა, დამიხვდით, თუ რაინდები გქვიათ!

შუბმომარჯვებულმა სერ ბერლიუსმა ცხენი მეფე მარკთან მიაგდო, ისე მაგრად აძგერა შუბი, რომ ცხენიდან გადააყირავა და მეფე მარკი მიწაზე გაიშხლართა. ეს რომ სერ დინადანმა დაინახა, შუბი მტკიცედ მიაბჯინა უნაგირს, სერ ბერლიუსის ნათესავ რაინდს დაესხა თავს და ცხენიდან გადმოაგდო, შემდეგ ცხენი მიაბრუნა და მეორე რაინდიც ძირს დასცა, რადგან სერ დინადანი, როცა ამხედრებული იყო, ქებული რაინდი გახლდათ.

დაიწყო ცხარე ქვეითი ბრძოლა. სერ ბერლიუსი და მისი თანამგზავრები მტკიცედ იდგნენ, რადგან მხარი მხარს მისცეს. მაგრამ სერ დინადანის წყალობით ბოლოს სერ ბერლიუსიც ძირს დაეცა, მისი ამხანაგები კი გაიქცნენ. სერ დინადანი რომ არა, მეფე მარკი ძირს დაცემულ სერ ბერლიუსს მოკლავდა, რადგან ეს მეფე სულმდაბალი და ნამდვილი მკვლეელი იყო.

მეფე მარკი და სერ დინადანი ისევ შესხდნენ ცხენებზე და გზა განაგრძეს, მძიმედ დაჭრილი სერ ბერლიუსი კი იქვე მიატოვეს.

ასე გაიარეს მეფე მარკმა და სერ დინადანმა კიდევ ოთხი ინგლისური ლიგი*, ვიდრე წინ ხიდი შემოხვდებოდათ. ხიდისთავთან თავით ფეხამდე აღჭურვილი საომრად გამზადებული მხედარი იდგა.

— შეხედეთ, — უთხრა სერ დინადანმა, — ხიდისთავთან დგას რაინდი. თუ მას არ შევებმით, ამ ხიდზე ისე არ გავვატარებენ.

— კეთილი, — მიუგო მარკმა, — ახლა თქვენი ჯერია, მოემზადეთ და შეებით.

სერ დინადანმა იცოდა, რომ ხიდის დამცველი გამოჩენილი რაინდი იყო და არავითარი ხალისი არ ჰქონდა მასთან შებმისა. მას ერჩია, ხიდის მცველს მე-

* ლიგი — მილის სტილისტური სინონიმია ინგლისურ ენაში (მთარგ. შენ.)

ფე მარკი შებმოდა. რაკი მეფე მარკმა უარი თქვა, სერ დინადანი იძულებული იყო, ხიდის მცველს შებრძოლებოდა. მან შუბი და ფარი მოიხარჯა და ხიდის მცველი რაინდისაკენ დაიძრა. მეტოქემ სერ დინადანს ისე ძლიერად აძგერა შუბი, რომ იგი ცხენიდან გადაყირავდა და მიწაზე დაეცა. უწყალო მარკვედ წამოდგა, ამხედრდა და მოითხოვა, ახლა ხმლებით წაბრძოლიყო მაგრამ იმ რაინდმა უთხრა:

— ძვირფასო რაინდო, ამჯერად ველარ შეგებრძოლებით, რადგან აქაური წესი ასეთია.

სერ დინადანი სიფიცხისაგან ჭკუაზე აღარ იყო, რაკილა მოწინააღმდეგეს სამაგიეროს ვერ მიუზღავდა, მაგრამ სხვა გზა აღარა ჰქონდა და ასე დაშორდნენ ერთმანეთს. რაინდმა თავისი სახელი არ გაუმხილა, მაგრამ სერ დინადანმა ფარით იცნო, ეს უნდა ყოფილიყო სერ ტორი.

თ ა ვ ი მ ა თ ი რ თ მ ა მ ი

როგორ დასცინოდა მეფე მარკი სერ დინადანს და როგორ უიხვდათ მრავალი მაგიდის ეჭვისი რაინდი

გზა ჭენებით განაგრძეს, მაგრამ სერ დინადანს მეფე მარკმა გზაში დაცინვა დაუწყო.

— მე კი მეგონა, რომ თქვენ, მრავალი მაგიდის რაინდებს, ვერავინ მოგეჩეოდათ.

— ასედაც არის! — მიუგო სერ დინადანმა, — თქვენ კი კორნუელში, ვფიცავ ჩემს სულს, კარგი რაინდები არა გყავთ! მაგრამ, რაკი დამცინით და ჩემს დამცირებას ცდილობთ, გიწვევთ ორთაბრძოლაში, რომ ჩემი ძალა საკუთარ თავზე გამოსცადოთ.

— არა, — მიუგო მეფე მარკმა, — ვერაფრით დამითანხმებთ თქვენთან ბრძოლაზე, ისე კი გთხოვთ, მეფე ართურის კარზე ჩემი სახელი არ გაამხილოთ, რადგანაც იქ ყველას სასტიკად ვძულვარ.

— სირცხვილი თქვენი, — თქვა სერ დინადანმა, — რომ ასე ყველაფერს კადრულობთ. კაცი მაშინვე მიხვდება, რომ ლაჩარი ხართ, ამასთან ერთად მკვლელიც. ეს კი უდიდესი სირცხვილია კეთილშობილი რაინდისათვის, რადგან მკვლელი რაინდი არავითარი რაინდული პატივის ღირსი არაა. მე რომ არა, თქვენ მოკლავდით ცხენიდან ვადმოვარდნილ სერ ბერლიუსს, ის კი თქვენი ტოლი და ფარდი როდია. თქვენ ვერც სიქველით და ვერც ბრძოლის ხელოვნებით ვერასოდეს მას ვერ შეედრებით.

ასე ლაპარაკით ერთ მაღალ ციხესთან მივიდნენ. ციხე-კოშკის პატრონმა რაინდმა ღამის გასათევად შინ შეიპატიჟა. იმ რაინდის მიწვევით იქ დარჩნენ და ზრუნვა არ დაკლებიათ, რადგან მათი მასპინძელი ყველა მოხეტიალე რაინდს ხალისით ხვდებოდა, მით უმეტეს ართურ მეფის რაინდებს. სერ დინადანმა ამ რაინდს ჰკითხა იმისი სახელი, ვინც ხიდს იცავდა.

- რისთვის მეკითხებით? — მიუგო მასპინძელმა.
- აგერ, სულ ცოტა ხნის წინ ცხენიდან ჩამომაგდო.
- ო, ძვირფასო რაინდო, ეს არ უნდა გიკვირდეთ, ის ბრწყინვალე რაინდია, მისი სახელია სერ ტორი, არიუს-მენახირის შვილია.

— აჰა! — თქვა სერ დინადანმა, — მაშ ეს იყო სერ ტორი? მართალი რომ გითხრათ, მეც ასე ვფიქრობდი.

ვიდრე ამ ლაპარაკში იყვნენ, მეფე ართურის ექვსი რაინდიც გამოჩნდა, ველზე მოაგელვებდნენ ცხენებს და სერ დინადანმა ფარებით იცნო ყველანი. პირველი იყო ქველი რაინდი სერ ივეინი, მეფე ურიენსის შვილი, მერჯე — კეთილშობილი რაინდი სერ ბრანდელი, მესამე — ოზანა გულმაგარი, მეოთხე — სერ ივეინ თავზეხელაღებული, მეხუთე იყო სერ აგრავეინი, მეექვსე კი — სერ მორდრედი, სერ გავეინის ორი ძმა.

იმ ექვსეულის დანახვაზე სერ დინადანმა იფიქრა, როგორმე უნდა ვაიძულო მეფე მარკი, რომ ერთ-ერთ მათგანს შეეხასო. მეფე მარკი და სერ დინადანი ცხენებზე შესხდნენ და რაინდებს მიჰყვნენ. ასე იჭროლეს სამიოდე მილი. მეფე მარკი და სერ დინადანი რომ იმ ექვსეულს წამოეწივნენ, ისინი უკვე წყაროსთან ისხდნენ. ჭამდნენ, სვამდნენ და ილხენდნენ. ცხენები იქვე ბალახობდნენ, ზოგი მათგანი დაბორკილი იყო. რაინდებს ფარებიც იქვე დაეკიდებინათ.

— შეხეთ, — თქვა სერ დინადანმა, — მოხეტიალე რაინდები არიან, მათთან აუცილებლად შეტაკება მოგველის.

— ღმერთმა დაგვიფაროს, — თქვა მეფე მარკმა, — ისინი ხომ ექვსნი არიან, ჩვენ კი მხოლოდ ორნი ვართ.

— მერე რა, — მიუგო სერ დინადანმა, — სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გავუმართავთ. მე იმ წინას შევეტაკები. — თქვა და საომრად გაემზადა. როცა მეფე მარკმა დაინახა, რა სწრაფად მოემზადა და გაექანა სერ დინადანი საომრად, თვითონაც, თავისი მსახურების თანხლებით, იმავე სისწრაფით მოუსვა, ოღონდაც სრულიად საწინააღმდეგო მხარეს გაიქცა.

როს სერ დინადანმა ნახა, რომ მეფე მარკი გაიქცა, შუბი დაუშვა, ფარი მხარილლივ გადაიკიდა და თავის მეგობრებთან — მრგვალი მაგიდის რაინდებთან — მივიდა. სერ ივეინმა მაშინვე იცნო სერ დინადანი, ასევე — მისმა თანამებრძოლებმა.

თავი მეთორმეტი

როგორ გაგზავნის იმ რაინდებმა სერ დინადანს სერ დინადანს მარკთან შესაგმილად და როგორ თქვა უარი მასთან შეგაჟი მეფე მარკმა

რაინდებმა სერ დინადანს გამოკითხვა დაუწყეს, რა თავგადასავალი გადაგხდა, სერ ტრისტრამი ან სერ ლანსელოტი ხომ არ გადაგყრიანო სადმე.

— ღმერთი იყოს ჩემი მფარველი, მე ისინი არ მენახოს მას შემდეგ, რაც კამელოტიდან წამოვედი.

— ის რაინდი ვინლა იყო, ასე რომ იჩქარა და უკან მოჰკურცხლა?

— სერ, ეს კორნუელელი რაინდია და უსაშინლესი ლაჩარი იმათ შორის, ვინც ოდესმე ცხენზე მჯდარა.

— რა ჰქვია?

— არ ვიცი.

ილაპარაკეს, დაისვენეს, გზა განაგრძეს და ერთ ციხეს მიადგნენ, რომლის პატრონი, მოხუცი რაინდი, ყველა მოხეტიალე რაინდს პატივით იღებდა თავის საბრძანებელში.

მოხუცი რაინდის ციხეშიც ვულთბილად ბაასობდნენ. მრულოდნელად ციხეს ესტუმრა სერ გრიფლეტი, მეტსახელად ღვთის შვილი. რათა თქმა უნდა, საკადრისი პატივით შეხვდნენ და მერმე ჰკითხეს, სერ ლანსელოტი ან სერ ტრისტრამი ხომ არ შეგხვედრიათ.

— არც ერთი არ მინახავს მას შემდეგ, რაც კამელოტიდან წავიდნენ.

სერ დინადანმა ციხის შემოვლა გადაწყვიტა. ციხის ერთ შორეულ კუნძულში მეფე მარკი ნახა. მაშინვე ლანძღვა დაუწყეთ და ჰკითხა, რატომ მიმატოვე და გაიქეციო?

— სერ, მე არ შემეძლო გამოყოლა, იქით მთელი რაზმი იდგა. მაგრამ თქვენ როგორ გადარჩით?

— სერ, აღმოჩნდა, რომ ჩემი კეთილი მეგობრები ყოფილან.

— ვინაა მათი წინამძღოლი? — ჰკითხა მეფემ.

სერ დინადანმა გაიფიქრა, დავაშინებო, და თქვა: სერ ლანსელოტით.

— ოჰ, მაცხოვარო, — თქვა მეფე მარკმა, — შეიძლება თუ არა ფარით სერ ლანსელოტის ცნობა?

— რა თქმა უნდა, ის ხომ შავზოლებიან ვერცხლისფერ ფარს ატარებს. ყველაფერს ამას დინადანი მეფე მარკის დასაშინებლად იგონებდა, თორემ სერ ლანსელოტი ხომ იქ არ იყო.

— მაშინ, გთხოვთ, ამ უცხო ქვეყანაში არ მიმატოვოთ და მუდამ თან მახლდეთ.

— რაში უნდა მეპიტნავებოდეს და მეხალისებოდეს თქვენი თანხლება, — მიუგო სერ დინადანმა, — თქვენ ხომ განსაცდელში მიმატოვეთ! — ეს უთხრა და თავის მეგობრებისაქენ წავიდა.

მერმე ყველანი ცხენებზე შესხდნენ და მთელი გზა კორნუელელ რაინდზე ლაპარაკობდნენ, რადგან სერ დინადანმა უთხრა, ისიც მოხუცი რაინდის ციხეში ათევდაო ლამეს.

— აი, ეს კარგია, — თქვა სერ გრიფლეტმა, — ჩემთან ერთად მოგზაურებას სერ დაგონეტი, მეფე ართურის ხუმარა, ჩინებული ყმაწვილი და სწორუპოვარი გამრთობი.

— იცით რა? — თქვა სერ დინადანმა, — მეც ვიხუმრე, მე ვუთხარი კორნუელელ რაინდს, რომ აქ ჩვენთან არის სერ ლანსელოტი. რანაირი ფარი აქვსო, მკითხა, და მე სერ მორდრედის ფარი ავუწერე.

— კარგია, — თქვა სერ მორდრედმა, — მე ხომ დაჭრილი ვარ და ძლივს ვერევი ფარ-ხმალს. მოდიოთ, ასე მოვიქცეთ: ჩავაცვათ სერ დაგონეტს ჩემი აბჯარი, მივცეთ ჩემი ფარი და კორნუელელ რაინდს შევებას.

— შევებმები და ვძლევ კიდევ, — თქვა სერ დაგონეტმა, — ვფიცავ!

მეფის ხუმარა დაგონეტს სერ მორდრედის აბჯარი ჩააცვეს, გადაჰკიდეს მისი ვერცხლის ფარი, მისცეს ხელში მძიმე შუბი და ფეხმარდ ცხენზე შეასკუპეს.

— აბა, — თქვა ხუმარამ, — მომიყვანეთ აქ თქვენი რაინდი და, ცხენიდან როგორ გადავაყირავებ, ნახავთ.

ყველა ტყის პირას მოგროვდა, ყველა გულის ფანცქალით ელოდა, როდის გამოჩნდებოდა მეფე მარკი და რით დასრულდებოდა საოხუნჯო სერი. როგორც კი მეფე მარკს თვალი მოჰკრეს, სერ დაგონეტი მიუშვეს. ხუმარამ ცხენი

გააჭენა და პირდაპირ მარკ მეფეზე მიაგდო, თან, ვითომ ძლიერ განრისხებულ-
ლი, იქაძნებოდა და გაიძახოდა:

— თავი დაიცავით, კორნუელელო რაინდებო, ახლავე ბოლო უნდა მო-
გილოთ!

მარკმა მისი ფარი შეათვალიერა და თქვა:

— სერ ლანსელოტი აღმდგარა ჩემზე, დაღუპული ვარ!

მეფე მარკმა ცხენი მოაბრუნდა და მოჰკურცხლა. იგი შამბში და ქარის ნა-
მუსრევ ტყე-ღრეში შეერია. სერ დაგონეტი დაყოფილივით მისდევდა უკან
და მისი ლანძღვა და წყევლა მთელ უსიერ ტყეს ძრავდა.

სერ ივეინი და სერ ბრანდელი უყურებდნენ, როგორ მისდევდა ხუმარა
მარკ მეფეს, და სიცილისაგან იჭაჭებოდნენ. შემდეგ შესხდნენ ცხენებზე და
უკან დაედევნენ, აბა, რა წარმატებას მიაღწევსო დაგონეტი, თანაც იმისი ში-
შიც ჰქონდათ, ხუმარა არ დაზარალებულიყო, მეფე ართურს ხომ ის ძალიან
უყვარდა და თავისი ხელით აკურთხა რაინდად: ყოველი ტურნირის დასაწყის-
ში გულიანად აცინებდა ხოლმე ართურ მეფეს. ამიტომ ახლა საგულდაგულოდ
დაეძებდნენ დაგონეტს ტყის სიღრმეში. ხან აქეთ ეცნენ, ხან იქით და მათი
ძახილი და გნიასი მთელ ტყეში გაისმოდა.

თავი მეთხუთე

როგორ უხვდა, უმითხვევის წყალობით, სერ კალოზიდი ლტოლვილ მღვთა მარკს,
როგორ დასცა ძირს დაბრინები და სხვა რაინდები

შიშისაგან დაფეთებული მეფე მარკი მოულოდნელად წყაროსთან გამოვი-
და და შენიშნა: ბილიკზე იდგა მოხეტიალე რაინდი, ამხედრებული და საომ-
რად აღჭურვილი, ხელში მძიმე შუბი ეჭირა. მოხეტიალე რაინდმა დაინახა რომ
მეფე მარკი საფრთხეს გაურბოდა, და უთხრა:

— რაინდო, გრცხვენოდეს! მოაბრუნე ცხენი და გვერდით დამიდექი, და-
გიცავ.

— კეთილო რაინდო, — მიუგო მეფე მარკმა, — გასაქცევად გამატარეთ,
თორემ ცისქვეშეთის უმამაცესი რაინდი მიდგას კვალში, შავი ქსოვილით აკრუ-
ლი ფარის პატრონი.

— გრცხვენოდეს! ის სულაც არაა ცისქვეშეთის საუკეთესო რაინდებში
ჩასათვლელი. მაგრამ თუნდაც სერ ლანსელოტი, ან სერ ტრისტრამი იყოს, მა-
თვან უძლიერესისაც არ შემეშინდება!

ეს რომ გაიგონა, მეფე მარკმა ცხენი მოაბრუნა და მოხეტიალე რაინდს
გვერდით დაუდგა.

უცნობი რაინდი კი დაგონეტს შეხვდა, შუბის დარტყმით ცხენიდან ისე
გადაისროლა, რომ საბრალო მასხარამ კინაღამ კისერი მოიტეხა. უცებ ტყიდან
სერ ბრანდელი გამოიჭრა და დაცემული დაგონეტი რომ ნახა, ძალზე გულმო-
სულმა შესძახა

— აბა, გამაგრდი, რაინდო!

ასე მთელი ძალით დაეტაკნენ ერთმანეთს. უცნობი რაინდმა ისე ძალუ-

მად აძგერა შუბი, რომ ბრანდელი ცხენიანად გადავარდა უკან. ამასობაში სერ ივეინიც მოვარდა და ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ხეილა.

— მაგხოვარო! — შესძახა, — რა ძლიერი რაინდია!

შუბები მოიმარჯვეს, ეძგერნენ ერთმანეთს და უცნობმა სერ ივეინიც ძირს დასცა. ახლა მოვარდა სერ ოზანა გულმაგარი და იმასაც ეს ბედი ეწია.

— აი, რა, — თქვა მაშინ სერ გრიფლეტმა, — ვფიქრობ, ამ რაინდს უნდა მივუგზავნოთ ვინმე და გავიგოთ, ართურის კარის რაინდი ხომ არ არის, რადგან, ჩემი აზრით, იგი სერ ლამორაკ უელსელი უნდა იყოს.

კაცი მიუგზავნეს ამ უძლეველ უცნობ რაინდს და ჰკითხეს, ვინა ხარ, საიდანა ხარ, ართურის კარის რაინდი ხომ არა ხარო.

— რაც შეეხება ჩემს სახელს, — შეუთვალა უცნობმა, — გადაეცი იმ რაინდებს, რომ მეც მოხეტიალე რაინდი ვარ, მათი მსგავსი და ჩემს სახელს ჯერ ვერ გაიგონებენ. ოღონდ იცოდნენ, რომ მე არა ვარ ართურის კარის რაინდი.

პაეი გაბრუნდა და ნათქვამი რაინდებს გადასცა.

— თავს ვფიცავ, — თქვა სერ აგრავეინმა, — ეს ერთ-ერთი უწარჩინებულესი რაინდია, როგორც კი ქვეყნად მინახავს, რადგან სამი შესანიშნავი რაინდი ზედიზედ ჩვენ თვალწინ დაამხო. სირცხვილი და თავის მოჭრა არ აგვცდება, თუ არ შევებით.

აგრავეინმა ამ სიტყვებთან ერთად შუბი მოიმარჯვა. უცნობი ელოდა და ისიც იოლად გადაადგო ცხენის გავაზე. ასევე მოექცა სერ ივეინ თაგზებულადღებულს, შეუპოვარ მეომარს და სერ გრიფლეტიც ჩამოადგო ცხენიდან. ასე გაუსწორდა ყველა რაინდს, გარდა სერ დინადანისა, რომელიც გორაკიდან არ ჩამოსულა, და სერ მორდრედისა, რომლის აბჯარიც დაგონეტს ეცვა.

როცა ეს ამბავი ასე მოამთავრა, უცნობმა მხედარმა ცხენი მიაბრუნა და აჩქარებით გაუდგა გზას. მეფე მარკიც უკან მიჰყვებოდა და ყოველნაირად ადიდებდა. ხოლო იმას კრინტიც არ დაუძრავს, მხოლოდ ოხრავდა თავჩაჩინდრული და მარჯ მეფეს არც უსმენდა. ასე გაიარეს თითქმის სამი ინგლისური მილი. იქ რაინდმა ერთ პაეს მოუხმო და უთხრა:

— გააქროლე ცხენი იმ მშვენიერ ციხესთან, გადაეცი ჩემი სალამი მისი და ამ მიწა-წყლის მფლობელ მანდილოსანს, სთხოვე, გამომიგზავნოს რიგიანი სასმელ-საჭმელი, რომ დავნაყრდე. თუ გკითხოს, ვინ არისო, უთხარი, ეს ის რაინდია, რომელიც მბრდღვინავ ნადირსაა აღევნებული-თქო. (ინგლისურად ეს იქნება მყეფარი ნადირი, რადგან საითაც არ უნდა წავიდეს, გულ-მუცლიდან ამოადის ღრენის, ყეფის ხმა, თითქოს სტომაქში სანადირო ძაღლების მთელი ხროვა ჰყავდეს).

პაეი ციხეს მიადგა, სალამი გადასცა მის პატრონ ქალს და უამბო, ვისი ბრძანებითაც იყო მისული. როცა ქალმა გაიგო, რომ მისულია რაინდი, რომელიც მბრდღვინავ ნადირს დასდევს, შესძახა:

— მოწყალეო ღმერთო იესო! როდისღა მეღირსება იმ ღირსეული რაინდის ნახვა — ჩემი საყვარელი შვილის, სერ პალომიდისა! ვაგლახ ჩემს თავს! ნუთუ ჩემთან არ გაჩერდება?

მაშინვე ძირს დაეცა, ტიროდა და მწარედ ქვითინებდა, მაგრამ როცა გონს მოეგო, პაეს შრავალნაირი ნუგბარი საჭმელი გაატანა. საგზლით დატვირთული პაეი როგორც კი დაბრუნდა, მეფე მარკს გაუმხილა, თქვენი გადამრჩენი

უცნობი რაინდი სერ პალომიდი ყოფილაო. მიღე ყველანი დაქვეითდნენ, პუ-
რობას მიჰყვეს ხელი და ამოიქაქანეს კიდევ. ამასობაში მეფე მარკს ჩაეძინა.
სერ პალომიდმა ნახა, რომ გულიანად სძინავს, ცხენს მოახტა, გააქროლა და
თანაც ასე თქვა:

— მძინარე რაინდი ჩემი ამხანაგი არაა.
ცხენს დეზი ჰკრა და გაუჩინარდა.

მარკს ჩაეძინა
სერ პალომიდმა

თ ა ვ ი ვ ი თ ო თ ხ მ ე ბ ა

როგორ მოიხდინეს მღვწე მარკმა და სერ დინადანმა სერ პალომიდის ჩივილი და
გოდება მშვენიერი იზოლდას სიხვარულიანთვის

ახლა მივუბრუნდეთ სერ დინადანს, რომელმაც თავისი შვიდი მეგობარი
ღრმად დაღვრემილი ნახა, მოისმინა მათი სატკივარი და თვითონაც მწარედ
დაღონდა.

— სერ ივეინ, — თქვა სერ დინადანმა, — თავს სასწოროზე დავდებ, რომ
ეს რაინდი სერ ლამორაკ უელსელი იყო. აღჭითქვამთ, რომ ვიპოვი, თუ ამ მხა-
რეში შესაძლებელია მისი პოვნა.

თქვა და მართლაც გაემგზავრა ლამორაკის საძებნელად მეფე მარკთან
ერთად, რომელსაც გამოღვიძებოდა თუ არა, თავისი მფარველი რაინდის ძე-
ბნას შესდგომოდა ტყეში. სერ პალომიდის შაძებარმა მეფე მარკმა უცებ ვილა-
ცის მწარე ჩივილი და დრტვინვა გაიგონა. მიუახლოვდა, რამდენადაც შიში
ამის ნებას აძლევდა, და იხილა რაინდი, რომელიც დაქვეითებულიყო, მუზა-
რადი მოეხადა, კვნესოდა და თავის სამიჯნურო უბედობას უჩიოდა.

აქ შევწყვიტოთ საუბარი სერ პალომიდსა და მეფე მარკზე და მივყვეთ
სერ დინადანს, რომელიც აგრეთვე სერ პალომიდის საძებნელად წავიდა, ტყეს
შეერიდა და მონადირე რაინდი შემოეყარა.

— სერ, — ეკითხება სერ დინადანი, — ხომ არ შეგხვედრიათ რაინდი,
რომელსაც ლომის თავებით დამშვენებული ვერცხლის ფარი უჭირავს?

— კი, კეთილო რაინდო, სულ ახლახან შემხვდა ასეთი რაინდი და გზა აი-
იქით ეჭირა.

— გრამერსი, — უთხრა სერ დინადანმა, — თუ მისი ცხენის ნაკვალევს
ვიპოვი, მაშინ რაინდსაც ვნახავ.

სერ დინადანი ნაჩვენები მიმართულებით წავიდა. უკვე ღამდებოდა. უც-
ებ საცოდავი ზღუქუნნი და ტირილი შემოესმა. სერ დინადანი ამ ხმას მიჰყვა,
თან ჩამოქვეითდა და ფეხით განაგრძო გზა. საკმაოდ ბნელოდა, მაგრამ კარგად
გაარჩია, ხის ძირში რაინდი იდგა, ცხენიც იქვე ხეზე მიემა, მუზარადი ხელში
ეჭირა და ისე გულსაკლავად კვნესოდა, შეგეცოდებოდათ. იგი მშვენიერ იზო-
ლდას ახსენებდა, კორნუელის დედოფალსა და თავისთვის ბუტბუტებდა:

— ოჰ, მშვენიერო ქალბატონო, რატომ მიყვარხარ ასე? შენ ხომ ყველის
აღმატები სილამაზით, მე კი არ მაღირსე არც სიყვარული, არცა წყალობა.
ვაი და ვუი ჩემს მოსწრებას! მაინც უნდა მიყვარდე. ბრალს კი ვერაფერში და-
გდებ, მშვენიერო, რადგან ყველაფერში ჩემი თვალები არიან დამნაშავე. სუ-

ლელი ვარ, რომ მიყვარხარ, რადგან შენ უყვარხარ ქვეყნიერებაზე ურჩეულეს რაინდს და თვითონაც ის გიყვარს, ესაა სერ ტრისტრამ ლიონელი. შენი მეუღლე კი რაინდთა შორის ყველაზე უფრო უღირსი და მწუხრება შორის ყველაზე უფრო საძაგელი ვინმეა. უკანასკნელი ლაჩარი და მუხანათის მუხრ ბატონი მეცე მარკი აფსუსს რატომ ერგო ქალთა შორის უმშვენიერესი რაინდთა შორის ყველაზე უფრო უბადრუკს!

მთელი ეს გოდება ესმოდა მეფე მარკს. ყველაფერი გაიგონა, რაც მის სახობოდ და შესამკობად სერ პალომიდმა თქვა. ამიტომ, როგორც კი სერ დინადანი დაინახა, ელდა ეცა: ვაითუ სერ პალომიდთან გამამხილოს, რომ მეფე მარკი ვარო! რაც შეეძლო სწრაფად და შეუმჩნეველად გაეცალა იქაურობას და თავის მხლებლებს მიაშურა, იქვე რომ ელოდნენ. მერმეც აღარსად დაბანებულა, ჩქარობდა, რომ კამელოტში დროზე ჩასულიყო.

კამელოტში ნახა სერ ამანტი, რაინდი, რომელმაც ართურ მეფის ლალატში დასდო ბრალი. მეფემაც არ დააყოვნა და იქვე დანიშნა მათი ორთაბრძოლა. მოხდა დაუჯერებელი რამ და მეფე მარკმა მკერდი გაუხვრიტა სერ ამანტს. სინამდვილეში კი სერ ამანტი იმ დავაში მართალი იყო. გამარჯვებულმა მეფე მარკმა ცხენი შეაბრუნა და სასახლეს გაშორდა, რადგან ეშინოდა, რომ სერ დინადანი სერ პალომიდსა და სერ ტრისტრამს მის ვინაობას გაუმხელდა.

თავი მეთხუთმეტი

როგორ უღვთოდ მოკლა მეფე მარკმა ართურის შინ ავანტი და როგორ წააყენა მეფე ართურის შინაში მეფე მარკი სერ ლანსალოტმა

ართურ მეფის კარზე იმყოფებოდნენ მშვენიერი იზოლდას მიერ სერ ტრისტრამთან გაგზავნილი ახალგაზრდა ქალები. ეს ქალები კარგად იცნობდნენ სერ ამანტს. ართურ მეფის ნებართვით ეს ქალიშვილები სერ ამანტთან მივიდნენ და გამოელაპარაკნენ. მკერდში შუბგაყრილ მომაკვდავ რაინდს ჯერ კიდევ შეეძლო მეტყველება.

— ძვირფასო ქალიშვილებო! — თქვა დაჭრილმა, — გადაეცით ჩემი სალაში მშვენიერ იზოლდას და უთხარით, რომ ვკვდები მისი და სერ ტრისტრამის გულისათვის.

შემდეგ ქალიშვილებს უამბო. როგორ მუხანათურად დალუბა მეფე მარკმა ის და მისი მეგობარი სერ ბერსულესი.

— დალატისათვის მარკს ბრალი დავდე მეფე ართურის წინაშე და, აი, მუხანათი მეფე მარკის ხელით ვკვდები, თუმცა სიმართლე ჩემს მხარეზეა. ეს ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ მე და სერ ბერსულესმა უარი ვთქვით — ვერაგულად მოგვეკლა სერ ტრისტრამი.

ქალიშვილები ისე ხმამაღლა ატირდნენ, რომ მთელმა სასახლემ გაიგონა მათი მოთქმა.

— ო, მოწყალეო იესო, მხილველო ყოვლის დაფარულისა! რად აძლევ ნებას ეგზომ ვერაგ მოდალატეს, რომ სძლიოს და მოკლას ერთგული და სიმართლისათვის თავდადებული რაინდი?

ასე გაიგეს მეფე ართურმა, დედოფალმა და ყველა ბარონმა, რომ სერ

ამანტის მკვლელი მეფე მარკი იყო. გამოაშკარავდა ისიც, რომ მანვე მოკლა სერ ბერსულესი. ამანტმა კი ბრალი დასდო მკვლელობაში. უზომოდ განრისხდა ართურ მეფე. იღმფოთდა ყველა კარისკაცი. ატირდა ტრიხტრამის აცრემლებული ტრიხტრამის ხილვაზე ლანსელოტი საჩქაროდ მივიდა მეფე ართურთან და უთხრა:

— სერ, ნება მომეცით უკან დავაბრუნო ის უღირსი რაინდო!

— გთხოვთ, — მიუგო მეფე ართურმა, — აქ მომგვაროთ მეფე მარკი, მაგრამ დაიცავით ჩემი პატიოსანი სახელი, შეასრულეთ ჩემი ნება, იქვე არ მოუღოთ ბოლო.

სერ ლანსელოტი მძიმედ აღიჭურვა, მოახტა მძლავრ ცხენს და გააქროლა. სამიოდე ინგლისურ მილზე დაეწია მეფეს და უბრძანა, ცხენი მოაბრუნეო.

— დაბრუნდი, მხდალო რაინდო და მეფევ! გინდა თუ არა, ახლა ჩემთან ერთად მოგიხდება ართურ მეფის სასახლეში დაბრუნება.

მეფე მარკი მობრუნდა, სერ ლანსელოტი დაინახა და ჰკითხა:

— ძვირფასო სერ, მითხარით თქვენი სახელი.

— ინებე, ჩემი სახელია სერ ლანსელოტი, ამიტომ თავი დაიცავი! როგორც კი ნახა, რომ მისკენ მთელი სისწრაფით მოჰქრის სერ ლანსელოტი, მეფე მარკმა ხმამაღლა შესძახა:

— მე გნებდებით, სერ ლანსელოტ, კეთილშობილო რაინდო!

მაგრამ სერ ლანსელოტს არაფრის მოსმენა არ სურდა, ისევ განაგრძობდა სრბოლას. როს მოახლოვდა, მეფე მარკი თვითონ პირდაპირ საფე ტომარასავით გადმოგორდა ცხენიდან, ძირს გაიშხლართა და ჰყვივლი მორთო:

— შემობრალე, სერ ლანსელოტ!

— აღექი და თავი დაიცავი, ლაჩარო რაინდო და მეფევ!

— სერ, მე არ მინდა ბრძოლა, — მიუგო მეფე მარკმა, — მაგრამ მსურს უკან გამოგყვეთ, საითაც მიბრძანებთ!

— ვაგლახ! — შესძახა სერ ლანსელოტმა, — ვნანობ, რომ ერთი დარტყმაც კი არ შემიძლია ვაგემო სერ ტრიხტრამისათვის, დედოფალ იზოლდასათვის, იმ ორი რაინდისათვის, ვერაგულად რომ მოკალი!

ცხენზე შესვა და ართურს მიჰგვარა. როგორც კი ჰიშკარი გაიარეს, მეფე მარკმა ნაბიჯიც აღარ გადადგა, დაქვეითდა, დედამიწაზე გაიშხლართა ართურის ფერხთით, მუზარდმოხდილი, ხმალიც იქით მიაგდო და თავი ართურის მოწყალე კალთას შეაგედრა.

— ღმერთი იყოს ჩემი შეშწე! — თქვა ართურ მეფემ, — გვიხარია და არც გვიხარია, ჩვენს სასახლეში რომ გხედავთ. გვიხარია, რომ გიხილეთ, თუმცა არა თქვენი ნებით.

— ეს მართალია, — მიუგო მეფე მარკმა, — ჩემი ნება რომ ყოფილიყო, აქ არ ვიქნებოდი, რადგან ჩემმა ბატონმა სერ ლანსელოტმა ძალით მომიყვანა.

— რა გაეწყობა, — თქვა მეფე ართურმა, — მოვალე ხართ შემსახუროთ, მიერთგულოთ და შემორჩილებოდეთ, არც ერთი თქვენი მოვალეობა არ შეგისრულებიათ. ყველაფერში წინააღმდეგი იყავით ჩემი და ღუბავდით ჩემს რაინდებს. რითი იმართლებთ თავს?

— სერ, — მიუგო მარკმა, — რასაც თქვენი უდიდებულესობა მიბრძანებს, და რამდენადაც შევძლებ, მზად ვარ, ყველაფერი აგინაზღაუროთ.

მარკ მეფეს დათაფლული სიტყვების ფრქვევა ეხერხებოდა, თუმცა სიტ-

ყვის კაცი არ იყო. მაგრამ ახლა მეფე ართურმა, სერ ტრისტრამის სასიხარულოდ, მეფე მარკს კამელოტში დარჩენა უბრძანა, ვიდრე შათ შორის თანხმობა არ მოხდებოდა და არ შერიგდებოდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი მ ე თ ე მ ვ ს მ ე ბ ე

როგორ მოუთხრო სერ დინადანმა სერ პალომიდს სერ ლანსელოტისა და სერ ტრისტრამის ორთაბრძოლის ამბავი

ახლა ისევ სერ პალომიდს მივუბრუნდეთ და ვთქვათ, როგორ ანუგეშებდა სერ დინადანი უზომოდ დამწუხრებულს.

— ვინა ხართ? — ეკითხება სერ პალომიდი.

— სერ, მეც თქვენსავით მოხეტიალე რაინდი ვარ და დიდი ხანია თქვენს ძებნაში ვალამებ და ვათენებ. თქვენი ვერცხლის ფარის, ლომების გამოსახულებით რომაა დამშვენებული, მეოხებით დაგეძებთ.

— აგერ ჩემი ფარი, — მიუგო სერ პალომიდმა, — მაგრამ თუ მისი ხელში ჩაგდება გინდათ, დავიცავ.

— მე თქვენთან ბრძოლა კი არა, მეგობრობა მაქვს განზრახული.

— კეთილი, მაგრამ თუ ორთაბრძოლა გსურთ, ბევრს არ გახვეწინებთ.

— სერ, — შეაწყვეტინა დინადანმა, — საით გაგიწევიათ?

— თავი მომიკვდეს, თუ ვიცოდე, — მიუგო სერ პალომიდმა, — მივდივარ იქით, საითაც მიხმობს ბედი ჩემი.

— ხომ არ შეგხვედრიათ სერ ტრისტრამი, ან თუ გსმენიათ მისი ამბავი?

— ღმერთია ჩემი მფარველი, სერ ტრისტრამის ამბავიც მსმენია, თვითონაც მინახავს და, თუმცა გულში ერთმანეთი გვძულს, ერთხელ სიკვდილსაც გადამარჩინა. მერმე ორთაბრძოლის დღეც დავთქვით, ადგილიც დავნიშნეთ იმ ქვასთან, რაც კამელოტთან ოღუხლაც მერლინმა აღმართა. იქ უნდა გვებრძოლა. მაგრამ მოხდა ისე, რომ მე ხელი შემეშალეს და ვერ მივედი, რაც ძლიერ მალონებს. მიზეზი კი მაქვს, რადგან იმ დროს მე და სხვა რაინდები ტყვეობაში მოგხვდით, და სერ ტრისტრამი გამიგებს, რომ სიმხდალე არ ყოფილა სიტყვის გატეხვის მიზეზი.

— ღმერთია მოწამე, — თქვა სერ დინადანმა, — იმ დღეს იმ ქვასთან სერ ტრისტრამსა და სერ ლანსელოტს შორის დიდი ორთაბრძოლა გაიმართა. ეს იყო, ალბათ ყველაზე უფრო კეთილშობილური ორთაბრძოლა, როგორც კი ორ რაინდს შორის ამ ქვეყანაში მომხდარა. ხუთი საათი იბრძოდნენ და სისხლისაგან იცლებოდნენ. ყველა გოაცეხული იყო მათი გამძლეობით. შემდეგ ორივე მხარის თანხმობით სამუდამო ძმობა შეჰფიცეს ერთმანეთს. ძებორციელი ვერ იტყოდა, რომელი დარჩა გამარჯვებული. ახლა კი სერ ტრისტრამი მრგვალი ღაგიდის რაინდადაა კურთხეული და უჭირავს ის სკამი, რაც ოდესღაც მისი მახვილით განგმირულ სერ მარჰაუსს ეკავა.

— თავს ვფიცავ, — თქვა პალომიდმა, — სერ ტრისტრამი ბევრად უფრო ძლიერია სერ ლანსელოტზე და უფრო გამბედავიც.

— სერ, განა თქვენ გიცდიათ მკლავის ღონე ორივესთან? — ჰკითხა სერ დინადანმა.

— მე გამოვცადე სერ ტრისტრამის ძალა, — თქვა პალომიდმა, — მაგრამ

სერ ლანსელოტთან არ მიბრძოლია, ან იქნებ ვერ ვიცანი. ერთხელ წყაროსთან მიხინარეს წავადექი. მაშინ ერთი შუბით ძირს დაგვამხო მე და ტრისტრამი. იმ დროს ერთმანეთს ჯერ არ იცნობდნენ.

— მაგრამ, საყვარელო რაინდო, — უთხრა სერ დინადანმა, — სერ ლანსელოტსა და სერ ტრისტრამს ნუ შევეხებით, იმ ორთაგან უფროსს სუსტსაც კი, არა მგონია, ამჟამად ცოცხალმა რომელიმე რაინდმა ომი გაუსწოროს.

— ღმერთია მოწმე, ეს ასეა, — დაუმოწმა სერ პალომიდმა, — მაგრამ თუ მაწყენინებს, ორივე მათგანსაც ისევე შევებრძოლები, როგორც თქვენ.

— სერ, მითხარით თქვენი სახელი და მთელ გზაზე კამელოტამდე თქვენი ერთგული თანამგზავრი ვიქნები. იქ რომ მიხვალთ, შეგიძლიათ თავი გამოიჩინოთ დიდ ტურნირზე, სადაც იქნებიან დედოფლები გვინივერა და ტრისტრამის სატრფო იზოლდა კორნუელელი.

— იცოდეთ, სერ რაინდო, კამელოტში იმისათვის მივდივარ, რომ ვიხილო მშვენიერი იზოლდა, ისე თქვენი ვერაგინ მნახავდა. მაგრამ ართურ მეფის ტურნირზე მე არ გამოვალ.

— სერ, — არ იშლიდა სერ დინადანი, — მეც თქვენთან ვიქნები და მზად ვარ გემსახუროთ, რღონდ მითხარით თქვენი სახელი.

— სერ, იცოდეთ, რომ ჩემი სახელია პალომიდი, სერ საფირის ძმა ვარ, ქებული რაინდისა და სერ სეგვარიდიც ჩემი ძმაა. სამივე დაბადებით სარკინოზები ვართ.

— გმადლობთ, სერ, მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. ვფიცავ, ჩემი გაცნობა თქვენ ზიანს არ მოგიტანთ, მხოლოდ სარგებელს თუ ნახავთ ჩემი ახლობლობით. მეფე ართურის კარზე გულთბილი შეხვედრა გელით და შეგიძლიათ სახელი მოიხვეჭოთ.

შემდეგ მუზარადების ღვედები შეიკრეს, ცხენებზე შესხდნენ, ფარები მხარზე გადაიკიდეს და კამელოტის გზას გაუდგნენ. გზაზე დიდებული, მდიდრული კოშკი იხილეს. კოშკი ისეთი გალავნით იყო გამაგრებული, რომ ამ მხარეში ასეთი რამ იშვიათობა გახლდათ. სერ პალომიდმა სერ დინადანს უთხრა:

თავი მარცხედი

იმპერატორი

როგორც იხსენიებოდა სერ ლანსელოტი სხვადასხვა მიმართება რაინდებს ფეა მოგვანის

სახელი

— აი, ციხე, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობ, რადგან აქ მეფე ართურის და დედოფალი ფეა მორგანი ცხოვრობს. ართურმა თვითონ აჩუქა ეს ციხე, რაც მერმე სანანებელი გაუხდა. იმ დღიდან აღარ შეწყვეტილა დაძმას შორის შუღლი და მტრობა. მეფე ართურმა ვერც ძალით, ვერც დაყვავებით და ვერც მოხერხებით ველარ წაართვა ციხე თავის დას. ქალი ყოველგვარ საბაბს ეძებს, რომ ძმას უსიამოვნება აუტეხოს. თავის ციხეში იგი თავს უყრის თავზე ხელადებულ რაინდებს და ღუპავს იმ რაინდებს, რომლებიც ართურს უყვარს. ასე რომ, აქ ისე ვერაგინ გაიჭაჭანებს, თუ მის რაინდს ან ორს და სამსაც არ შევებრძოლება. თუ მეფის რაინდი დამარცხდა, კარგავს ცხენსაც, საჭურველსაც, ქონებასაც და იქნებ ტყვეობასაც ვერ ასცდეს.

— ღმერთმა დამიფაროს, — თქვა სერ პალომიდმა, — ეს ხომ სამარცხ-
ვინო რამაა, მერედა, როგორ კადრულობს ამას დედოფალი, როგორ ეომება
ღვიძლ ძმასა და ხელმწიფეს, რომელიც მთელი საქრისტიანობა და წარმართუ-
ლი რაინდობის გვირგვინად ითვლება. სულითა და გულთა ცხსურეებდი, რომ
ეს ჩვეულება მომესპო. ყველამ იცოდეს, რომ იმ ქალს მე არ ვემსახურები, ხო-
ლო, თუ თავის რაინდებს დამასევს, და ალბათ ასეც მოიქცევა, იცოდეს, ჩემ-
გან დიდი ჯაფა დაადგება.

— მეც თქვენთან ვიქნები, ღმერთს გეფიცებით, რამდენადაც შევიძლებ,
თავს არ დავიზოგავ, — მიუგო სერ დინადანმა.

ვიდრე ციხის წინ იდგნენ და ლაპარაკობდნენ, უცებ ერთი წითელფარიან-
ნი რაინდი მოვარდა, უკან ორი საქურველთმტვირთველი მოჰყვა. რაინდი პი-
რდაპირ სერ პალომიდთან მივიდა და უთხრა:

— ძვირფასო მოხეტიალე რაინდო, — ასე დაიწყო მოსულმა, — იმ ერთ-
გულეების გამო, რასაც რაინდული ორდენის წევრობა გავალებთ, გთხოვთ ნუ
შეებრძოლებით ამ ციხის ნურც ერთ რაინდს. ეს ჩემი საქმეა, ამისათვის მოვ-
სულვარ აქ. გთხოვთ, რაინდო, ნუ იბრძოლებთ, ხოლო თუ მე დამარცხდი,
მაშინ შური იძიეთ ჩემი დამარცხების გამო.

— ღვთის გულისათვის, — მიუგო სერ პალომიდმა, — დაიწყეთ, ჩვენ
სიამოვნებით ვადევნებთ თვალს თქვენს ბრძოლას, ვნახოთ, როგორ გამოიჩენთ
თავს.

ამასობაში ციხიდან გამოვიდა რაინდი და წითელფარიანი რაინდს მიაშურა.
მიუახლოვდა თუ არა, წითელფარიანმა ერთი დარტყმით უნაგირიდან დაბლა
ჩამოაგდო, ასევე მძლავრი დარტყმით გადააყირავა მეორეც. მოვარდა მესამე
და წითელფარიანმა ისიც ძირს დასცა. მაშინ მივიდა სერ პალომიდი, სთხოვა,
ნება მომეცი, მეც შევებაო.

— არა, სერ, — მიუგო, — ამჯერად მე დამანებეთ, რადგან ოცი რაინდიც
რომ გამოვიდეს, არ შევუშინდები.

ციხის კედლებზე გადმოდგარი ქალები და კავალრები კი გაიძახოდნენ:
— მედგრად იბრძვი, წითელფარიანო რაინდო!

საქურველთმტვირთველები იქვე იდგნენ და დამარცხებული რაინდის
ცხენს იჭერდნენ, უნაგირს ხდიდნენ, ლაგამ-ავშარას წაჰყრიდნენ ხოლმე, ცხე-
ნებს ტყეში უწვებდნენ, რაინდებს კი აკავენდნენ, ვიდრე ბრძოლა დასრულ-
დებოდა.

ციხიდან მეოთხე რაინდი გამოვიდა და დასვენებულმა ნაომარი რაინდი
ბრძოლაში გაიწვია. ლამორაკი საომრად მზად იყო და ისეთი დარტყმა აგემა
თავის მოპირდაპირეს, რომ ცხენიცა და მხედარიც მიწას განართხო. დაცემი-
სას მხედარმა ზურგიც დაიზიანა და კისერი და კინჩხიც თან მიაყოლა.

— აჰ, იესო! — შესძახა სერ პალომიდმა, — ეს სწორუბოვარი რაინდია
და შუბით ბრძოლის ისეთი ოსტატი, რომლის სადარიც არ შემხვედრია.

— თავს გეფიცებით, ვინც უნდა იყოს, ეს რაინდი ძალითა და ბრძო-
ლის ოსტატობით არც სერ ლანსელოტს ჩამოუვარდება და არც სერ ტრისტ-
რამს, — თქვა სერ დინადანმა.

თავი მეთვრამეტე

როგორ მოინდომა სერ პალომიდი სერ ლამორაკთან ერთად გამოსვლა ციხის
რეინდების წინააღმდეგ



ამ დროს ციხიდან გამოვიდა კიდევ ერთი რაინდი, ხელთ შავითა და თე-
თრი ქსოვილით, თუ ტყავით აკრული ფარი ეჭირა. დაეტაკა წითელფარიანი
რაინდი და ისე აძვერა შუბი, რომ ფარიც გაუხვრიტა, მკერდიც და ცხენის
ზურგიც.

— ძვირფასო რაინდო, — მიუბრუნდა პალომიდი, — მეტისმეტად მძიმე სა-
ბრძოლო ჯაფა დაგადგათ, ნება მომეცით, მეც ვიბრძოლო, თქვენ კი შეისვენ-
ეთ.

— სერ, განა ასე სუსტი და დაღლილი გეჩვენებით? — მიუგო რაინდმა.
— არა, სერ, თქვენი დახმარება ჩემთვის სამარცხვინო და შეურაცხმყოფელია,
როდესაც გამარჯვება ჩემს მხარეზეა. გეუბნებით იმას, რაც თავიდან ვითხა-
რით: ოციც რომ გამოვიდეს, მოვერევი! თუ დამჭრეს ან მომკლეს, მაშინ იძიეთ
შური. ხოლო თუ გგონიათ, რომ დავიღალე და გინდათ შემებრძოლოთ, მე მო-
გცემთ თავის შექცევის საშუალებას!

— სერ, — მიუგო პალომიდმა, — სულაც არ მითქვამს იმისათვის, რომ
თქვენთან ბრძოლა მსურს. ბევრი ჯაფა დაგადგათ და მინდა შეგეშველოთ.

— რაკი აგრეა, გთხოვთ, ნუღარ შემაწუხებთ დამამცირებელი წინადადე-
ბებით. მე თქვენ ორთაბრძოლაში გიწვევთ და დარწმუნდებით, რომ დაღლი-
ლი არა ვარ.

— რაკი მიწვევთ, გამიმავრდით, — მიუგო სერ პალომიდმა, — მაშ, დამ-
ხვდით.

ორი რაინდი ერთმანეთს ეკვეთა. წითელფარიანმა ისე მაგრად აძვერა შუ-
ბი პალომიდის ფარს, რომ შუბმა რკინა გახვრიტა და სერ პალომიდს გვერდში
ღრმა, სახიფათო კრილობა მიაყენა. სერ პალომიდი ცხენიდან გადავარდა. გა-
მარჯვებული ახლა სერ დინადანს მიუბრუნდა, მაგრამ იმან დაინახა თუ არა, მი-
ახლოვდებო, ხმამალლა შეხდახა:

— სერ, მე არა მაქვს თქვენთან ბრძოლის სურვილი.

უცნობმა რაინდმა სერ დინადანის ნალაპარაკევი ცალ ყურში შეუშვა და
პირდაპირ მისკენ დაიძრა. სერ დინადანმა ძალაუნებურად მოიმარჯვა შუბი,
მაგრამ ლამორაკმა ცხენიდან გადააგდო.

ამის შემდეგ სერ ლამორაკი ისევ ციხის რაინდებს მიუბრუნდა, კიდევ
შვიდს შეებრძოლა და ვერავინ გაუმაგრდა. თორმეტი რაინდიდან პატიოსან
ბრძოლაში მოკლა ოთხი, დანარჩენებს კი ხმალზე დააფიცა, რომ საზიზღარ
ჩვეულებაზე ხელს აიღებდნენ. ასეთი ფიცის შემდეგ ყველას თავისუფალი
გზა მისცა.

მთელი ამ ბრძოლის დროს აივნებსა და სარკმელებს არ შორდებოდნენ ქა-
ლები და თაყვანისმცემლები. იდგნენ და გაჰყვიროდნენ:

— წითელფარიანო რაინდო, თქვენ ისე გამოიჩინეთ თავი, როგორც ჩვენ-
გან ხილულ არც ერთ რაინდს არ გამოუჩენია!

ბოლოს კოშკიდან გამოვიდა უიარაღო რაინდი და წითელფარიანს მიმართა:

— წითელფარიანო რაინდო! შენ ამ ერთ დღეში ბევრი ცოდვა დაატრია-

ლე! ამიტომ წადი იმ გზაზე, საიდანაც მოსულხარ, აქ აღარავინაა ისეთი, რომ შეგებას, ჩვენ კი მწარედ ვნანობთ, რომ აქ მოხვედრი, რადგან შენი მიზეზით დაიღუბა ამ რეისის ძველი წეს-ჩვეულება.

ამ სიტყვებით გაბრუნდა უკან ის რაინდი და ციხის ქარები ჩარაზა. წითელფარიანმა რაინდმა კი თავის საჭურველთმცვირთველები მოიხმარა და ცხენები ჭენებით გააქროლეს. როცა ის წავიდა, სერ პალომიდი სერ დინადანს მიუახლოვდა და უთხრა:

— არასოდეს არც ერთი რაინდისაგან ასეთი სირცხვილი არ მიჭამია. ამიტომ უნდა დავედევნო და სამაგიერო ხმლით ბრძოლაში გადავუხადო, რადგან შუბით მე მას ვერ მოვერევი.

— სერ პალომიდ, — თქვა სერ დინადანმა, — ჩემი რჩევა იქნება, მოეშვათ მასთან ბრძოლას, აქედან არაფერი გამოგივით, ხომ ხედავთ, რამდენი იომა და როგორ სძლია ყველას.

— ყოვლის შემძლე იესოს ვფიცავ, არ მოვისვენებ, ვიდრე იმას არ შევებრძოლები.

— სერ, მე კი თქვენი მაყურებელი ვიქნები.

— რა გაეწყობა, — უთხრა პალომიდმა, — მაშინ ნახავთ, როგორ ვიბრძოლებთ-ახალი ძალებით.

საჭურველთმცვირთველებს თავიანთი ცხენები გამოართვეს და წითელფარიან რაინდს დაედევნენ. დაეწივნენ ველზე, წყაროსთან, სადაც ის დასასვენებლად დაქვეითებულიყო და მუხარადი მოეხადა, რომ წყურვილი მოეკლა.

თავი მეცხრამე

როგორ ებრძოდა სერ ლამორაკი სერ პალომიდს და რა სასტიკად დაჭრა სარკინოვი

სერ პალომიდმა ცხენი ზედმიაგდო და შესძახა:

— რაინდო, გახსოვთ თუ არა, ახლახან, ციხესთან, დიდი სირცხვილი რომ მაჭამეთ? მაშ მოემზადეთ საბრძოლველად, რადგან მსურს შეგებათ.

— ძვირფასო რაინდო, — მიუგო სერ ლამორაკმა, — ჩემთან ბრძოლა პატივს არ მოგიხვევთ. თვითონვე ნახეთ, რამდენი ჯაფა დამადგა დღეს.

— დაღლა-არდაღლა, — თქვა სერ პალომიდმა, — ჩემთვის სულერთია, მინდა, სამაგიერო გადაგიხადოთ.

— რა გაეწყობა, ვნახოთ, — თქვა სერ ლამორაკმა, — ვინ იცის, იქნებ გაგიძლოთ.

ამ სიტყვებზე ისევ ამხედრდა, მძიმე შუბი აიღო და მოემზადა.

— ჰე, ასე არა, — თქვა სერ პალომიდმა, — შუბით ბრძოლას არ ვაპირებ, ვიცი, ცხენდაცხენ ბრძოლაში ვერ მოგერევი.

— ჰო, მაგრამ, ძვირფასო რაინდო, ხომ იცით, რაინდს შეშვენის მხედრობა და ხელში შუბით ბრძოლა.

— ამას ახლა ვნახავთ, — მიუგო პალომიდმა.

ესა თქვა, დაქვეითდა, ხმალი იშიშვლა და დარაკი იფარა. მაშინ წითელფარიანი რაინდიც დაქვეითდა, ვეშაკი იფარა და ხმალი იძრო. ორივე აუჩქარებლად დაიძრა, უმოწყალოდ დაუშინეს ერთმანეთს, პირდაპირ სულის მოთქმას არ აცლიდნენ ერთმანეთს. მთელი საათი იბრძოლეს, უტევდნენ, განზე

იწვევდნენ, შმაგდებოდნენ და სიკვდილით იმუქრებოდნენ. ფარები დაესერათ, მუზარადები დაეგლიჯათ, აბჯარი შემოაცვდათ, ასე რომ, ბევრგან შიშველი ტინი გამოუჩნდათ.

ხედავს პალომიდი, მისი მოპირდაპირის ხმალი სულ სისხლითაა შეღებილი, ბრძოლა კი მაინც არ ნელდება. ხან ჩხვლეტდნენ, ხან ემსხვერუდებოდნენ ერთმანეთს გიჟებით, ბოლოს და ბოლოს სერ პალომიდს წამოეჭრა კრილობისაგან დასუსტდა, ციხესთან შუბის კვეთებით რომ აგემა მოწინააღმდეგემ. ის ჭრილობა აუტანელ ტკივილს განაცდევინებდა.

— აბა, ძვირფასო რაინდო, — უთხრა სერ პალომიდმა, — ვფიქრობ, საცმოდ გავისარჯეთ და გვეყოფა. ახლა კი, გთხოვთ, თუ თქვენი სურვილიც იქნება, როგორც ამას რაინდული პატიოსნება მოითხოვს, თქვენი სახელი მიიხრათ.

— სერ, — მიუგო მოწინააღმდეგემ, — გული მეთანადრება იმაზე, რომ სახელი გაგიმხილოთ. თქვენ ხომ უარყავით სინდისის ხმა და არც რაინდული პატივით მომეჭეცით, როცა ორთაბრძოლაში გამიწვიეთ დაღლილი და ნაომარი, მაგრამ თუ თქვენს სახელს მეტყვით, მაშინ მეც ჩემსას არ დაგიმაღავთ.

— მე სერ პალომიდი ვარ!

— მე კი სერ ლამორაკ უელსელი ვახლავართ, ქველი რაინდისა და მეფის სერ ბელინორის შვილი და მემკვიდრე; სერ ტორიც ქველი რაინდი, ჩემი ღვიძლი ძმია.

ეს რომ გაიგონა, სერ პალომიდი მუხლებზე დაემხო და დაუწყო ვედრება:

— მომიტევეთ, მე არ მოგეჭეცით რაინდულად, თუმცა ვიცოდი თქვენი დიდი უწინდელი საგმირო საქმეების ამბავი, გავბედე და ორთაბრძოლაში გამოგიწვიეთ.

— სერ პალომიდ, — მიუგო სერ ლამორაკმა, — თქვენ უკვე მეტისმეტად ბევრი თქვით და მოიმოქმედეთ.

ამის შემდეგ სერ ლამორაკმა ორივე ხელი ჩასკიდა, ფეხზე წამოაყენა და უთხრა:

— სერ პალომიდ, ღირსეულო რაინდო, მთელს ამ მხარეში არაა თქვენებრ დახელოვნებული და ქველი რაინდი. ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენ ორთაბრძოლა მოგვიხდა.

თავი მეთხუთმე

როპირ გაიგო სერ ლამორაკმა, რომ დაგონები მღვთა მარკს დაიღებნა და ვიღაც სხვა რაინდმა ძირს დასცა, სხვა მამს რაინდთან ერთად.

ახლა ისევ მეფე ართურის სასახლეში გადავინაცვლოთ. სერ ივეინი და სერ ბრანდელისი ამხანაგების თანხლებით სასახლეში დაბრუნდნენ. მათ სერ ლანსელოტს, სერ ტრისტრამს და სხვებს უამბეს, თუ როგორ მისდევდა სერ დაგონეტი, მეფის ხუმარა, ტყის ორწონებში გაქცეულ მეფე მარკს და ვიღაც უცნობმა რაინდმა დაგონეტთან ერთად როგორ დასცა შუბით შვილი რაინდი. სასახლეში ბევრი იტინეს და იმასხრეს მეფე მარკისა და დაგონეტის ამბავზე, მაგრამ არც ერთ რაინდს არ შეეძლო ვარაუდიც კი იმისა, თუ ვინ იყო ის გა-

მოჩენილი რაინდი, შვიდივე რომ ცხენიდან ძირს გადმოყარა და მეფე მარკს გამოეჭომაგა. ბოლოს თვითონ მეფე მარკს ჰკითხეს და იმან თქვა:

— დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ერთი კი შემიძლია ვთხრა, მან თავის თავს უწოდა რაინდი, რომელიც მბრძოლველად დასდევს. ამ სახელით გაგზავნა თავის დედასთან ჩემი ერთ-ერთი მსახურისა და დედამისმა კი ამ სახელის გაგონებაზე გულსაკლავი ქვითინი დაიწყო და მსახურს შვილის სახელიც გაანდო: „აჰ, ჩემო საყვარელო შვილო სერ პალომიდო, რატომ არ ისურვე ჩემი ნახვა?“ ამის გამო ვფიქრობ, რომ ეს იყო სერ პალომიდო, კეთილშობილი რაინდი, — დაასრულა მეფე მარკმა, და შვიდივე რაინდს ძლიერ ესიამოვნა ამ ამბის გაგება.

ახლა კი სერ ლამორაკისა და სერ პალომიდის ამბავს მივუბრუნდეთ, რომელთაც თან სერ დინადანი ახლავს. დილით ისინი ცხენებზე შესხდნენ, თან იახლეს პაყები, საჭურველმტვირთველები და გზას ქენებით გაუდგნენ. ერთგან მთაზე მშვენიერი ციხესიმაგრე იხილეს, რომელსაც გარშემო საიმედო გალავანი ჰქონდა შემორტყმული. იქით შეუხვიეს და ნახეს იმ ციხის მფლობელი რაინდი, სახელად სერ გალაპალტი. იგი სტუმრებს სიხარულით შეეგება და უხვად გაუმასპინძლდა.

— სერ დინადან, — იკითხა სერ ლამორაკმა, — რას აპირებთ?

— სერ, ზვალ დილით ართურის სასახლეში გავემგზავრები.

— მე კი, თავს გეფიცებით, უახლოეს სამ დღეს უნაგირზე ვერ დავჯდები, რადგან მძიმედა ვარ დაჭრილი, სისხლისაგან დავიცალე და აქვე დავრჩები.

— სწორი ბრძანებაა, — უთხრა სერ ლამორაკმა სერ პალომიდს, — მეც აქ დავრჩები. როცა თქვენ გაუდგებით გზას, მეც მაშინ წავალ, თუ აქ დიდხანს არ მამყოფებთ, მანამდე კი პირობას გაძლევთ, ცხენზე არ დავჯდები. სერ დინადან! თქვენც აქ დარჩით, ბარემ ერთად წავიდეთ.

— პატიოსნებას გეფიცებით, არ შემიძლია, — მიუგო სერ დინადანმა, — სერ ტრისტრამი ისე მომენატრა, რომ მისი ნახვის სურვილი მკლავს, ეტყობა, დიდი ხნით მისგან დაშორებით ყოფნა არ შემიძლია.

დილით სერ დინადანი მართლა გაემგზავრა ართურის სასახლეში და იმავე დღეს კამელოტში დაბრუნდა; გულმხურვალედ მიესალმა მეფე-დედოფალს, სერ ლანსელოტსა და სერ ტრისტრამს. მთელს სასახლეს გაუხარდა სერ დინადანის დაბრუნება, რადგან გონიერი, თავაზიანი რაინდი და ქველი მეომარი იყო; სერ ტრისტრამსაც ყველა რაინდზე მეტად უყვარდა.

მეფემ გამოკითხვა დაუწყო, რა და რა ფათერაკები შეგხვდაო.

— სერ, — მიუგო სერ დინადანმა, — ბევრი ხიფათი შემხვდა, ზოგი უკვე იცის მეფე მარკმა, თღონდ ყველა მაინც არა.

მეფემ ყურადღებით მოისმინა სერ ლამორაკის თავგადასავალი, თუ როგორ იხილეს დინადანმა და სერ პალომიდმა ფეა მორგანის ციხესთან სერ ლამორაკის გმირობა, როგორ დასცა ძირს თორმეტი რაინდი ლამორაკმა, რომელთაგან ოთხი მოკლა კიდევ, შემდეგ კი ცხენიდან ჩამოყარა სერ პალომიდი და თვითონ სერ დინადანი.

— ამას ვერ დავიჯერებ, — თქვა მეფემ, — სერ პალომიდი ხომ უებრო რაინდია!

— კეშმარიტსა ბრძანებთ, — მიუგო სერ დინადანმა, — და მაინც ჩემი

თვალთ ვნახე, როგორ დაამარცხა პატიოსან ორთაბრძოლაში სერ ლამორაკმა სერ პალომიდი.

დინადანმა უამბო მეფეს ბრძოლის ყოველი წვრილმანი და ბოლოს დას-
ძინა, პალომიდი უფრო სუსტი აღმოჩნდა ლამორაკთან შედარებით, შიშვედაც
დაიჭრა, სისხლისაგან ლამის დაიცალა და ლამორაკზე ცუდად შეიქნა.

— ეჭვიც არ მეპარება, — თქვა სერ დინადანმა, — ორთაბრძოლაში რომ
ცოტა კიდევ გავრძელებულიყო, სერ პალომიდს სიკვდილი არ ასცდებოდა.

— მაცხოვარო! — შესძახა ართურ მეფემ, — ნამდვილად გასაოცარია!

— სერ, — ჩიერია საობარში სერ ტრისტრამი, — ამ ამბავმა არ უნდა
გაგაკვირდეთ, რადგან ამჟამად სერ ლამორაკზე მძლე რაინდი ქვეყნად არ მე-
გულება. თვითონ გამოვცადე მისი ძალი და კარგად ვიცი, რასაც ვამბობ. იმა-
საც მოგახსენებთ, რომ არც ერთ რაინდთან არ გამჭირვებია ბრძოლა ისე, რო-
გორც სერ ლამორაკთან და კიდევ ჩემს ბატონ სერ ლანსელოტთან. მთელ
ღუნიანზე არ არის რაინდი, სერ ლანსელოტის გამოკლებით, რომ სერ ლამო-
რაკს თმი გაუსწოროს.

— ღმერთი იყოს ჩემი შემწე, — თქვა ართურმა, — მე ვისურვებდი, რომ
ეს სერ ლამორაკი ჩვენს სასახლეში მოსულიყო.

— სერ, — მიუგო სერ დინადანმა, — მოკლე ხანში აქ იქნება და მასთან
სერ პალომიდიც. მხოლოდ ის მაფიქრებს, რომ დაჭრილი პალომიდი ამ ტურ-
ნირში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

თავი ოცდამეერთე

როგორ ბრძანა ართურ მეფემ დიდი ტურნირის გამოცხადება, როგორ გამოცხადდა იმ
სერ ლამორაკი და დაამარცხა სერ გავინი და სხვანი

სამი დღის შემდეგ კი მეფის ბრძანებით მეზობელი მონასტრის კედლე-
ბთან დიდი ტურნირი მოეწყო. მრგვალი მაგიდის მრავალი რაინდი გაემზადა
სასპარეზოდ. მოემზადნენ სერ გავინი და მისი ძმებიც. სერ ლანსელოტმა,
სერ ტრისტრამმა და სერ დინადანმა უარი თქვეს იმ ტურნირში მონაწილეო-
ბაზე, რითაც გამოხატეს მეფე ართურის სიყვარული. მათ პირველობის მოპო-
ვების პატივი დაუტოვეს სერ გავინსა და მის ძმებს, თუ საამისოდ ძალი და
ღონე ეყოფოდათ.

აღრე დღით სერ გავინი და მისი ძმები იარაღში ჩასხდნენ და ბევრი სა-
გმირო საჭმე მოახდინეს. ყველაზე მეტად თავი გამოიჩინა სერ ექტორ მენაპი-
რემ. მაგრამ სერ გავინმა მართლაც ყველა დაჩრდილა, მეფემ და რაინდებმა
პირველად გამარჯვება მას მიაკუთვნეს.

ანაზღად ართურ მეფემ დაინახა, რომ ტყიდან გამოვიდა ვიღაც რაინდი,
ორი სატურფელმტვიროველი ახლდა და ფარზე ტყავი ჰქონდა გადაკრული.
იგი შეუჩინებლად გაერია ბრძოლაში, მარჯვნივ და მარცხნივ აკაფა მეომრები
და მრგვალი მაგიდის ორი რაინდი შუბით ძირს დასცა. შეტაკებებში უცნობმა
რაინდმა ფარზე გადაკრული ტყავი დაკარგა და მეფემ და კარისკაცებმა დაი-
ნახეს, რომ ხელთ წითელი ფარი ეჭირა.

— ოჰ, მაცხოვარო! — შესძახა ართურმა, — ერთი შეხედვით იმ რაინდს,
წითელი ფარი რომ უჭირავს.

მაშინ ყოველი მხრიდან გაისმა ძახილი:

— უფრთხილდით წითელფარიან რაინდს!

იმან კი მოკლე ხანში ძირს დაანარცხა სერ გავეინის სამი ძმა.

— ისემც ღმერთი შემეწევა, — თქვა ართურმა, — თუ ჩემს ცხოვრებაში ასეთი შუბოსანი მენახოს.

წითელფარიანმა რაინდმა მერმე სერ გავეინი ამოხსნა მიწიდან, კიდევ შეეტაკა და ისეთი ძალით აძგერა შუბი, რომ უნაგირიანად ცხენიდან გადა-
აგდო.

— ეს როგორ? — ჰკითხა მეფემ სერ გავეინს, — ნუთუ მართლა მიწაზე დაგაგდეს? კარგი იქნებოდა გაგვეგო, ვინ არის ეს წითელფარიანი რაინდი.

— მე ვიცი, ვინც არის, — თქვა სერ დინადანმა, — მაგრამ თავის დრომდე ვერ გეტყვით.

— თავს გეფიცებით, — თქვა სერ ტრისტრამმა, — შუბს სერ პალომიდზე უკეთ ხმარობს და, თუ გსურთ იცოდეთ, იგი სერ ლამორაკ უელსელი გახლავთ.

ამ საუბარში რომ იყვნენ, უცებ დაინახეს, რომ ის რაინდი და სერ გავეინი კვლავ შეეტაკნენ ერთმანეთს. რაინდმა ისევ ჩამოაგდო სერ გავეინი ცხენიდან და მძიმედაც დაჭრა. ართურ მეფის თვალწინ მან კიდევ ოცი სხვა რაინდი დაამარცხა და, რაღა თქმა უნდა, პირველობაც მას მიენიჭა, როგორც რაინდს. რომელსაც იმ ტურნირზე ტოლი არ მოეძებნა. სერ ლამორაკი შეუმჩნევლად განშორდა რაინდთა მთელ ლაშქარს და ტყეში გაუჩინარდა.

მეფემ მაშინვე იახლა სერ ლანსელოტი, სერ ტრისტრამი, სერ დინადანი, და უცნობის საძებნელად ტყეს მიაშურა. მალე იპოვნეს კიდევ ქველი რაინდი სერ ლამორაკ უელსელი.

მაშინ ართურ მეფემ თქვა:

— რაინდო, კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა!

მეფე რომ დაინახა, უცნობმა მუხარადი მოიშვლია და გვირგვინოსანს თავი მდაბლად დაუკრა. როცა სერ ტრისტრამიც იხილა, ცხენიდან ჩამოხტა, ფიცხლად მიიბრინა, დაინარა და უნდოდა მუხლები დაეკოცნა. სერ ტრისტრამმა ამისი ნება არ მისცა, თვითონაც დაქვეითდა, ერთმანეთს გადაეხვივნენ და ერთმანეთის ხილვით უზომოდ გაიხარეს.

მეფეც ხარობდა და მრგვალი მაგიდის რაინდებიც, მხოლოდ სერ გავეინი და მისი ძმები იყვნენ პირგამეხებულნი. როცა გაიგეს, ეს იყო სერ ლამორაკი, გულში სიძულვილი ჩაიხვიეს, რადგან იმ დღეს მან ერთმი ავემა ძმებს დამარცხების მწარე სირცხვილი, სერ გავეინმა ყველა ძმა იდუმალ იხმო და დაეთათბირა. გავეინმა თქვა:

— ძვირფასო ძმებო, თვითონ განსაჯეთ: ვისაც ჩვენ შევიძულეთ, იმას ართურ მეფე შეიყვარებს ხოლმე, და ვისაც შევიყვარებთ, იმას თითქოს განზრახ იძულებს. სერ ლამორაკი არასოდეს არ გახდება ჩვენი მეგობარი, რადგან ჩვენ მოვუკალით მამა, მეფე პელინორი. ჩვენ ხომ ეჭვი გვქონდა, რომ ლოტორკნელი, ჩვენი ღვიძლი მამა, მეფე პელინორმა მოგვიკლა. მეფე პელინორის მოკვლისათვის სერ ლამორაკმა დედა შეგვირცხვინა. აი, ამიტომ მინდა შური ვიძიოთ მასზე.

— სერ, — უბასუხეს ძმებმა, — მოდი, დავფიქრდეთ, კარგად ავწონდავწონოთ საქმე, და ნახავთ, რომ შურისძიების რა ხერხიც არ უნდა გამოიხატოს, ჩვენ მხარს დაგიჭერთ.

— კეთილი, — თქვა სერ გავეინმა, — საიდუმლო შეინახეთ და ხელსა-
ყრელი დროც დადგება.



ქართული
ნაწილობრივი

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ თ რ ა

როგორ აიძულა ართურ მთხიამ ბარკი, რომ სირ ტრისტრამს შიკრიგაბოდა, მერა ორივე
ერთად გაუზვა კორნუელში

განვაგრძობთ ამბავს, სერ გავეინს დავტოვებთ და გადავინაცვლებთ სასა-
ხლეში ართურ მეფესთან, რომელმაც ერთხელ მეფე მარკს უთხრა:

— სერ, ერთი თხოვნა შემისრულეთ.

— სერ, — მიუგო მარკმა, — რაც უნდა მთხოვდეთ, დავასრულებ.

— სერ, გრამერსი, აი, რა უნდა მეთხოვა: იყავით განგებიანი, მოწყალე
თვალთ შეხედეთ სერ ტრისტრამს, რადგან ის მამაკაცთა შორის უწარჩინებუ-
ლესი რაინდია, წაიყვანეთ ისევე კორნუელში, ნახოს იქ მეგობრები, მოექცეთ
ალერსით და პატივი ეცით თქვენი ჩემდამი სიყვარულის გულისათვის.

— სერ, — უთხრა მეფე მარკმა, — ჩემს რწმენასა და ერთგულებას ვფი-
ცავ, რითაც დავალებული ვარ უფლისა და თქვენს წინაშე, პატივით მოვექცე-
ვი, თქვენი სურვილისამებრ, რამდენადაც შეძლება შექნება.

— სერ, — უთხრა ართურმა, — გაპატიებთ ყველა სიავეს, რაც ჩავიდე-
ნიათ, თუ წმინდა წიგნზე დაიფიცებთ, რომ ყოველივეს ნათქვამისამებრ აღა-
სრულებთ.

— დიდი სიამოვნებით, — მიუგო მარკმა.

მეფე მარკმა აიღო წმინდა წიგნი და ართურისა და ყველა რაინდის წინა-
შე დაიფიცა. შემდეგ მარკმა და ტრისტრამმა ერთმანეთს ხელი გაუწოდეს. ყო-
ველივე ამის მიუხედავად, მეფე მარკი გულში მზაკვრულ ზრახვებს ფარავ-
და, რადგან შემდეგ დილეგში ჩააგდო სერ ტრისტრამი და მოკვლა დაუპირა.

სულ მალე მეფე მარკი ართურს გამოემშვიდობა და კორნუელში წავიდა.
სერ ტრისტრამიც მასთან ერთად გაემზადა სამგზავროდ. მრგვალი მაგიდის
რაინდებს გული დასწყდათ და ეწყინათ სერ ტრისტრამის წასვლა. ყველაზე
მეტად მისი წასვლა აფიცებდათ და სწყინდათ სერ ლანსელოტს, სერ ლამო-
რაკს და სერ დინადანს. მხოლოდ ისინი გრძნობდნენ, რომ მეფე მარკი რაინდს
ავსა და შავს საქმეს უპირებდა.

— აფსუს! — თქვა სერ დინადანმა, — ნუთუ მართლა უნდა წავიდეს აქ-
ედან ჩემი ბატონი სერ ტრისტრამი?

სერ ტრისტრამს მათი ასეთი დარდი და განწყობილება მხოლოდ აკვირ-
ვებდა.

— ვაგლახ! — უთხრა ართურს სერ ლანსელოტმა, — ეს რა ჩაიდინეთ?
თქვენ ხომ ყველაზე უფრო სახელოვან რაინდს დაკარგავთ მისი გამგზავრე-
ბით.

— სერ, ასეთი იყო მისი სურვილი, — მიუგო ართურმა, — მე უძლური
ვიყავი, თუმცა ყველაფერი ვიღონე. ბოლოს იძულებული გავხდი, შემერიგე-
ბინა.

— შერიგება? — შესძახა სერ ლანსელოტმა, — ჩალის ფასი აქვს ასეთ
შერიგებას! მალე შეიტყობთ, რომ მეფე მარკი ან მოკლავს სერ ტრისტრამს,

ანდა თავს დილეგში უკრავს. ის ხომ ქვეყნიერების მეფეთა და რაინდთა შორის ყველაზე უფრო ვერაგი და ლაჩარია!

შემდეგ სერ ლანსელოტი მეფე მარკთან მივიდა და უთხრა:

— სერ მეფეო, იცოდე, კეთილშობილი რაინდი სერ ტრისტრამი შენთან ერთად მოემგზავრება. გაფრთხილებ, ვერაგობისაგან თავი შეიკავებ, თორემ, თუ ამ რაინდს შენი მზაკვრობით რაიმე ზიანს მიაყენებ ან მოატყუებ, ვფიცავ უფლის რწმენას და რაინდთა ორდენისადმი ერთგულებას, საკუთარი ხელით მოგიღებ ბოლოს.

— სერ ლანსელოტ, უქმია ეგ მუქარა, რადგან მეფე ართურისა და რაინდების წინაშე წმინდა წიგნზე დავიფიცე, არას დავუშავებ-მეთქი, და, ფიცი რომ გავტეხო, თავი მომეჭრება.

— კარგად კი ლაპარაკობთ, — მიუგო სერ ლანსელოტმა, — მაგრამ ისეთი უსინდისო და მუხანათი მეფის სახელი გაქვთ გავარდნილი, რომ თქვენი სიტყვის დაჯერება შეუძლებელია. ღმერთსა ვფიცავარ, ჩემთვის ცნობილია, რა მიზნითაც ჩამოხვედით ამ ქვეყანაში. ჩამოხვედით იმისათვის, სერ ტრისტრამი მოგეკლათ!

ამრიგად ყველას საწყენად მოხდა ისე, რომ სერ ტრისტრამი და მეფე მარკი გზას ერთად გაუდგნენ, რადგან ასეთი იყო ტრისტრამის სურვილი: მან მშვენიერი იზოლდას ნახვა ეწადა და უიმისოდ ყოფნის ღონე აღარა ჰქონდა.

თავი ოცდამესამე

როგორ იქნა რაინდად ხელდასხმული ართურ მეფის ხელით სერ ჰერსივალი, როგორ ამატხველდა მონაქი და მიიხვანა ის მრავალ მაგიდასთან

ახლა ისევ მივუბრუნდებით სერ ლამორაკს და მისი ძმების ამბავს გიამბობთ: სერ ტორი მეფე პელინორის პირველი შვილი იყო, მენახირე არიესის ცოლისაგან რომ ჰყავდა, ამიტომაც უკანონო შვილად ითვლებოდა. სერ აგლოვალი კი იყო პირველი შვილი კანონიერი ცოლისაგან, ასევე კანონიერი შვილები იყვნენ სერ ლამორაკი, დარნარი და პერსივალი.

ჰოდა, მაშინ, როცა მეფე მარკი და სერ ტრისტრამი კამელოტიდან წავიდნენ, როგორც მოგახსენეთ, ყველა დაღონდა. რვა დღე ისე გავიდა, მეფემ და მისმა კარისკაცებმა შუბლი არ გაიხსნეს და არავითარი გასართობი არ ინდომეს.

რვა დღემ რომ განვლო, სასახლეში ერთი რაინდი გამოცხადდა, თან ახალგაზრდა პაჟი ახლდა. როცა ამ რაინდმა აბჯარი გაიხადა, მეფე ართურს ეახლა და სთხოვა, ჩემი პაჟი რაინდად აკურთხეთო.

— რა ჩამომავლობისაა? — ჰკითხა ართურმა.

— სერ, — მიუგო რაინდმა, — მეფე პელინორის ძე გახლავთ, ოდესღაც რომ კეთილ სამსახურს გიწვევდათ, და მისი ძმაა სერ ლამორაკი.

— კეთილი, — მიუგო მეფემ, — თქვენ რაღა მიზეზი გაქვთ, რომ მისი გულისათვის ირჯებით და მის რაინდად კურთხევას მთხოვთ?

— მოგახსენებთ, მეფეო, მეც ძმად მხვდებოდა, ჩემი სახელია აგლოვალი.

— სერ აგლოვალ, — თქვა ართურმა, — სერ ლამორაკისა და მამამისის

პატივისცემით ხვალ მას რაინდად ვაკურთხებ. ახლა მისი სახელიც მითხარით.

— სერ, მისი სახელია პერსი ვალ უელსელი.

მართლაც, მეორე დღეს, კაშვლოტში ართურმა პერსივალს რაინდის ღირსება მიანიჭა. მაგრამ მეფე და ყველა რაინდი ფიქრობდა, რომ მეფის წყალი ჩაივლიდა, ვიდრე ის ახალგაზრდა საქმით დაამტკიცებდა, რომ რაინდის წოდების ღირსი იყო. სადილად მეფე და რაინდები, ყველა თავისი ღირსების მიხედვით დასხდნენ. ართურმა პერსივალს უბრალო რაინდებს შორის მიუჩინა ადგილი. ისიც იქ დაჯდა, სადაც მეფემ უბრძანა.

დედოფლის მახლობელთა შორის სადილზე იყო ერთი ბანოვანი, წარჩინებული ჩამომავლობისა, მაგრამ მუნჯი. მთელ სიცოცხლეში მისგან ერთი სიტყვა არავის სმენოდა. ახლა ეს ქალი პირდაპირ სასახლის დარბაზში შევიდა, სერ პერსივალთან მივიდა, ბელი მოჰკიდა და ხმამაღლა, მეფისა და რაინდების გასაგონად თქვა:

— ადექი, სერ პერსივალ, კეთილშობილო რაინდო, ღვთის რაინდო, და გამომყევი.

რაინდი ადგა და ხმის ამოუღებლად მიჰყვა. ბანოვანი დამლუპველი სკამის მარჯვენა მხარეს მიადგა და ასე თქვა:

— ძვირფასო რაინდო, დაიკავე ეს ადგილი, რადგან იგი შენ გეკუთვნის და სხვას არავის.

ამის შემდეგ ქალი პერსივალს განშორდა, ცუდად შეიქნა, მღვდელი მოუყვანეს, ბანოვანმა აღსარება თქვა, ხუცესმა ცოდვები მოუტევა, ზიარება მიანებინა და ქალი იქვე გარდაიცვალა. მეფეს და მთელ სასახლეს პერსივალის სახელი ეკერა პირზე.

თავი ოცდამეოთხე

როგორ დაწვა სერ ლამორაკი მეფის ლობის ცოლთან და როგორ მოკლა სერ ზაჰერისმა, ის ქალი, თავისი ღვიძლი ღედა

ახლა მივუბრუნდეთ სერ ლამორაკს, რომელიც მეფის კარზე დიდი პატივით სარგებლობდა. ძალიან მალე სერ გავეინმა და მისმა ძმებმა, ავი განზრახვით თავიანთ დედას მეფის კარზე ჩამოსვლა სთხოვეს. ქალი ჩავიდა და კამელოტის მახლობლად ერთ კოშკში დაბინავდა. ეს კი ძმებმა იმ მიზნით გააკეთეს, რომ სერ ლამორაკი დედოფლის მეოხებით ციხე-კოშკში მიეტყუებინათ და დაეღუპათ.

ორკნის დედოფალს იმ კოშკში მარტობა დიდხანს არ მოუხდა. სერ ლამორაკმა მისი იქ ყოფნა შეიტყო და სიყვარულით ვნებულმა რაინდმა დედოფალს კაცი მიუგზავნა. დაინიშნა ლამე, როცა ლამორაკი ქალთან უნდა მისულიყო. მაგრამ ეს ამბავი სერ გაჰერისმა შეიტყო, ამხედრდა და კოშკთან დაუდარაჯდა. მალე მძიმედ აღჭურვილი სერ ლამორაკიც გამოჩნდა. რაინდმა კოშკთან ცხენი დაფარულ ადგილას მიაბა და კოშკში შევიდა. მერმე შიგნით ტალახები გაიარა, მუზარადი და აბჯარი მოიხსნა და ძირს დააღაგა. შეხვედრის წუთიც დადგა. სერ ლამორაკი დედოფლის ლოგინში ჩაწვა და უზომო იყო ორივეს სიხარული, რადგან ერთმანეთი ცეცხლოვანი მწველი გრძნობით უყვარდათ.

სერ გაჰერისმა შესაფერისი დრო შეარჩია, შეყვარებულთა განცხრომის სარეცელთან მიიპარა, ხმალი იშიშვლა, საკუთარ დედას თმაში ხელი სტაცა,

მოზიდა და თავი წააცალა. სერ ლამორაკს თბილმა სისხლმა სახე წითლად შეუღებდა. იგი დარწმუნდა, რომ ეს იმისი სისხლი იყო, ვინც ასე ძლიერ უყვარდა და, რაღა თქმა უნდა, მძიმედ შეურევბული და გაოგნებული შესცქეროდა ამ საშინელ სანახაობას. იგი პერანგის ამარა წამოვარდა სარეცლიდან და მომხდარი საქმით შეძრწუნებულმა შესძახა:

— ოჰ, სერ გაპერის, მრგვალი მაგიდის რაინდო! თქვენ ჩაიღინეთ შავი და ბოროტი საქმე, სირცხვილი და თავის მოჭრა ეს თქვენი! ვაგლახი რომ მოპკალით დედათქვენი, რომელმაც გშვათ! უმაღ მე უნდა მოგეკალით!

— შენ მოგვაყენე ასეთი შეურაცხყოფა, — მიუგო სერ გაპერისმა, — მაშაკაცი იმისათვის ჩნდება ქვეყნად, რომ აღამიანებს სარგებლობა მოუტანოს და არა ზიანი. მაგრამ დაუსჯელი ვერ გადაგვირჩები. შენ შეგვარცხვინე მე და ჩემი ძმები, მამაშენმა კი მოკლა მამაჩემი. შენ ჩვენს დედასთან გაიყავი სარეცელი, ეს აუტანელი სირცხვილია ჩვენი, ასეთ შეურაცხყოფას არ მოვიტმენთ. რაც შეეხება მამათქვენს, სერ პელინორს, ის მე (და ჩემმა ძმამ სერ გავეინმა) მოგეკალით.

— ამით თქვენ უარესი უკანონობა ჩაიღინეთ, — მიუგო სერ ლამორაკმა, — მამაჩემს ხომ არ მოუკლავს მამათქვენი, იგი ბაღინ მძვინვარემ მოკლა, მამაჩემის სისხლი კი დღესაც აუღებელია და თქვენი ცოდვა ცის შეპლადიდებს.

— ხმა ჩაიკმინდე! — თქვა სერ გაპერისმა, — იაუ შეურაცხყოფელი სიტყვების როშვას კვლავ გააგრძელებ, აქვე მოგკლავ! ერთია მხოლოდ, რომ ჩემთვის უიარაღო კაცის მოკვლა სირცხვილი იქნება, მაგრამ იცოდე, სადაც არ უნდა შემხვდე, აგჩეხავ. დედაჩემი კი შენგან მეტიად აღარ დამდაბლდება და თავის შეილებს ვეღარ შეარცხვენს. იჩქარე-მეთქი, შენი საჭურველი წამოხიკე და გამშორდი, რომ აღარ გხედავდე!

სერ ლამორაკს სხვა გზა აღარა ჰქონდა, ციხე უნდა მიეტოვებინა, ამიტომ იკადრა ჩაცმა, ცხენს მოახტა და ღრმად დამწუხრებულმა იქით გააქროლა, საიდანაც მოვიდა. მაგრამ დარდისა და სირცხვილის მიზეზით მეფე ართურის სასახლეში ვეღარ დაბრუნდა. მალე გზიდან გადაუხვია და სხვა მხარეს წავიდა.

როცა ცნობილი გახდა, რომ სერ გაპერისმა თავისი მშობელი დედა მოკლა, მეფე განრისხდა და გაპერისს უბრძანა, სასახლე მიეტოვეო. სერ გავეინი კი იმაზე გაუბრაზდა ძმას, რომ მოკლა დეიძლი დედა, ხოლო სერ ლამორაკი ცოცხალი გაუშვა. დიდი იყო მეფის რისხვა და მრავალი რაინდიც თანაუგრძნობდა აღშფოთებულ მეფეს.

— სერ, — უთხრა ართურ მეფეს სერ ლანსელოტმა, — ჩადენილია დიდი ბოროტმოქმედება, მუხანათურად მოკლეს თქვენი და, ორკენის დედოფალი. გეუბნებით, ესაა დალატი. იმასაც გეტყვით, რომ დავკარგავთ ქველ რაინდს სერ ლამორაკს. დაბეჭითებით ვიცი, სერ ტრისტრამი რომ ამას გაიგებს, არასოდეს თქვენს სასახლეში აღარ დაბრუნდება.

— ღმერთმა ნუ ქნას! — შესძახა ართურმა, — რომ სერ ლამორაკი დავკარგო!

— დავკარგავთ, — უთხრა სერ ლანსელოტმა, — რადგან სერ გავეინი და მისი ძმები რამენაირად მოახერხებენ და მაინც მოკლავენ.

— ამის ნებას არ მივცემ, — თქვა ართურმა.

თავი ოცდამეხუთე

როგორ უმხმდნენ სერ აგრავინი და სერ მორდრედი ლტოლვილ რაინდს, როგორ დაშარცხდა მასთან ბრძოლაში ორივე რაინდი და სერ დინადანის ამბავი

ახლა მივატოვოთ სერ ლამორაკი და ვთქვათ სერ გავეინის და მისი ძმების ამბავი, სერ აგრავინისა და სერ მორდრედისა.

ისინი ფათერაკების საძებნელად მიდიოდნენ და გზად შეხვდათ მძიმედ დაჭრილი რაინდი, რომელიც მთელი ძალით მიაჭენებდა ცხენს. ჰკითხეს, რა ამბავი მოგაქვს, რა შეგემთხვაო.

— ძვირფასო რაინდებო, — მიუგო ლტოლვილმა რაინდმა, — რაინდი მომდევს მოსაკლავად, დამეწევა და ცოცხალს არ გა მიშვებს!

ამ დროს, შემთხვევით, იქვე ჩამოიჭროლა სერ დინადანმა, მაგრამ ის არ დაჰპირებია ლტოლვილს, დაგიცავო. მხოლოდ სერ აგრავინმა და სერ მორდრედმა აღუთქვეს, მფარველობას გაგიწევთო.

ამასობაში გამოჩნდა მისი მდევარიც, პირდაპირ მოაგდო უცნობ რაინდებზე ცხენი და საბრძოლველად გაემზადა. ეს რომ სერ მორდრედმა დაინახა, შუბი ატაკა, მაგრამ იმან მორდრედი ცხენიდან ჩამოაგდო. მაშინ იმ რაინდს სერ აგრავინმა შეუტია, მაგრამ სერ აგრავინსაც მორდრედის ბედი ეწია. უცნობმა რაინდმა თქვა:

— ორივეს გასაგონად ვამბობ: ჩემი სახელია სერ ბრიუს უმოწყალო, შეგძლიეთ ორივე. — და მან დაცემულ აგრავინს ექვსჯერ გადაუარა ზედა.

ამის მხილველმა სერ დინადანმა გაიფიქრა: თუ არ შევებრძოლე, თავი მომეჭრებაო. აი, შეიყარნენ და სერ დინადანმა მძლავრი დარტყმით იმ რაინდს ცხენის გავა გადაატარა და ძირს ისე ჩამოაგდო, დამარცხებული წამოვარდა და მოჰქუსლა. ასე სამარცხვინოდ წააგო ორთაბრძოლა სერ დინადანთან, ართურის დროის გამოჩენილმა რაინდმა და რჩეულ რაინდთა უმოწყალო დამღუპველმა.

სერ დინადანი სერ მორდრედთან და სერ აგრავინთან მივიდა.

— სერ რაინდო, — უთხრეს ძმებმა, — თქვენ სასახელოდ იბრძოდით და სანაქებოდ აზღვევინეთ ჩვენი ჯავრი, ამიტომ, გთხოვთ, გვითხრათ თქვენი სახელი.

— ძვირფასო რაინდებო, ჩემი სახელი თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს: — სერ დინადანი.

როცა სერ ბრიუს უმოწყალოსაგან დამარცხებულმა ძმებმა გაიგონეს, რომ მათ წინაშე სერ დინადანი იდგა, კიდევ უფრო განრისხდნენ, რადგან სერ ლამორაკის გამო ისიც სძაგდათ. სერ დინადანს კი ერთი ჩვეულება ჰქონდა: უყვარდა ყველა ქველი რაინდი, ვინც ვაჟკაცობით იყო ცნობილი, და სძულდა ყველა ღირსეული რაინდის დამღუპველი. სერ დინადანი სძულდათ მხოლოდ იმათ, ვინც მოყივნებული იყო რაინდთა შორის, როგორც სულ მდაბალი მკვლელები.

აქ ამეტყველდა ის რაინდი, რომელსაც სერ ბრიუს უმოწყალო მოსდევდა, მისი სახელი იყო დალანი. მან თქვა:

— თუ შენ სერ დინადანი ხარ, მაშინ შენა ხარ ჩემი მამის მკვლელები.

— შესაძლოა, ასედაც იყოს, — მიუგო სერ დინადანმა, — მაგრამ თუ ეს მართლა ჩავიდინე, მხოლოდ თავდაცვის გამო, ბრძოლაში მან გამომიწვია.

— თავს ვფიცავ, ამისათვის შენ მოკვდები!

ესა თქვა და ფარი იფარა, შუბი მოიმარჯვა და საბრძოლველად მოემზადა. მოკლედ რომ მოვკრათ, სერ დინადანმა ისიც გადააგდო ცხენიდან და თანაც ისე, რომ ლამის კისერი მოატეხინა. ასევე მოექცა სერ მორტონიც და სერ აგრავეინს, მაგრამ შემდეგ, წმინ და გრაალის თასის ძებნის კერძო ღონისძიებად მოკლეს სერ დინადანი, რითაც ბოროტი საქმე ჩაიდინეს, რადგან ეს იყო ქველი რაინდი, ოხუნჯი, კეთილი და სათნო ადამიანი.

სერ დინადანი მიადგა ერთ ციხეს, რომელსაც ერქვა წითელი ბარი. იქ ნახა სერ პალომიდი. იგი ჯერ კიდევ არ იყო მორჩენილი სერ ლამორაკთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობებისაგან. სერ დინადანმა პალომიდს ყველაფერი უამბო, რაც სერ ტრისტრამზე იცოდა. უამბო, თუ როგორ წავიდა მეფე მარკთან ერთად სერ ტრისტრამი კორნუელში თავისივე სურვილით. ამ ამბავმა სერ პალომიდი გააცოფა, რადგან უზომოდ უყვარდა მშვენიერი იზოლდა. დინადანის ცნობამ გულს ლახვარი სცა, იგი მიხვდა, რომ იზოლდას სიახლოვეთ სერ ტრისტრამი დატყბქბოდა.

თავი ოცდამეექვსე

როგორ მიიღეს მთავარი არ თუკმა, დედოფალმა და სერ ლანსელოტმა წერილები კორნუელიდან და რა უკანასკნის

ახლა დავტოვებთ სერ პალომიდსა და სერ დინადანს წითელი ბარის ციხე-კოშკში და ისევ მეფე ართურს დავუბრუნდებით. კურნუელიდან მასთან ჩამოვიდა რაინდი, სახელად სერ ფერგუსი. იგი მრგვალი მაგიდის ერთ-ერთი რაინდი იყო და მეფეს და სერ ლანსელოტს კარგი ამბები ჩამოუტანა, სერ ტრისტრამის წერილებიც გადასცა და უთხრა, თვითონ ტრისტრამი ახლა ტინტაჯილის ციხეში დავტოვეო.

მალე კორნუელიდან ერთი ახალგაზრდა ქალიც ჩამოვიდა, მეფე ართურსა და სერ ლანსელოტს თავაზიანი წერილები ჩამოუტანა. მეფემ, დედოფალმა და ლანსელოტმა დიდი სიხარულით მიიღეს ქალიცა და წერილებიც. მათაც ასეთივე თავაზიანი წერილები დაწერეს და გააგზავნეს პასუხად. მაგრამ სერ ლანსელოტი მარცხ აფრთხილებდა ტრისტრამს, ერთდრო მეფე მარკს, უწოდებდა მას მეფე-ქელას, რომელიც მუდამ გამცემლობასა და სიავეს იზრახავს. ამისათვის სერ ტრისტრამმა სერ ლანსელოტს გულში დიდად დაუმაღლა.

ქალი მერამე მშვენიერ იზოლდასთან დაბრუნდა, ამბავი და წერილები გადასცა, რამაც დედოფალი უზომოდ გაახარა.

— ძვირფასო ქალიშვილო, — უთხრა იზოლდამ, — როგორ ბრძანდებიან ჩემი ბატონი ართური, დედოფალი გვინივერა და სერ ლანსელოტი?

ქალმა, მოკლედ რომ ვთქვათ, ასე მიუგო:

— უხარიათ თქვენი და სერ ტრისტრამის დღეკეთილობა.

— ღმერთო იყოს მათი მფარველი, რადგან სერ ტრისტრამი უზომოდ ეწამა ჩემთვის, მე კი მისთვის.

შენკდეგ ქალმა იზოლდა დატოვა და მეფე მარკს მიაართვა წერილები. მარკ მეფემ ყურადღებით წაიკითხა წერილები და განრისხდა. სერ ტრისტრამის

მფარველთა წერილებმა გული ბოლომთ აუვსო მწვალებელს. ართურ მეფის და სერ ლანსელოტის წერილებში მან მუქარა ამოიკითხა და სერ ტრისტრამს ღალატი დასწამა.

— ქალიშვილო, — მიმართა შიკრიკს, — ხომ ვერ წახვალთ უკან და გადასცემთ ჩემს პასუხს სერ ართურს?

— სერ, — მიუგო ქალმა, — მე მზად ვარ თქვენდა სამსახურად, როცა მიბრძანებთ, მაშინ წავალ.

— კარგი ნათქვამია, — თქვა მეფემ, — ხვალ მოდით და წერილები წაიღეთ.

ქალიშვილი ფარულად ეახლა მშვენიერ იზოლდას და სერ ტრისტრამს, უთხრა, მეფე მარკი წერილებს მატანსო მეფე ართურთან.

— მაშინ ჩვენც გთხოვთ, ჯერ გამოართვით წერილები და მერე მოდით ჩვენთან, რომ გავიგოთ, რას სწერს მეფეს, — უთხრეს იზოლდამ და ტრისტრამმა.

— ასედაც ვიზამ, ქალბატონო, — მიუგო ქალმა, — თქვენი და სერ ტრისტრამის გულისათვის ყველაფერს გავაკეთებ, მე ხომ ტრისტრამს ასე დიდხანს ვემსახურე.

დილით ქალი მეფე მარკთან მივიდა, რომ მისგან წერილები მიეღო და გზას გასდგომოდა.

— ქალიშვილო, — უთხრა მარკმა, — მე გადავიფიქრე და ამჟამად ართურ მეფეს წერილს აღარ გავუგზავნი.

სინამდვილეში კი ფარულად გაუგზავნა წერილები ართურსა და დედოფალ გვინივერას, წერილი აახლა აგრეთვე სერ ლანსელოტს. წერილები წაიღო მეფის მსახურმა. მეფე და დედოფალი მეფე მარკის შიკრიკმა უელსში წახა, კარლიონში ორივენი წირვაზე იყვნენ, როცა მეფე მარკის შიკრიკმა წერილები მიართვა. ლოცვას რომ მორჩნენ, საიდუმლოდ გახსნეს და წაიკითხეს. წერილი საოცრად მოკლე იყო. მეფე მარკი ართურს ურჩევდა, შენს თავსა და შენს რაინდებს მიხედე, მე კი ჩემს საქმეს თვითონ მივხედავო.

თავი ოცდამეხუთე

როგორ განრისხდა სერ ლანსელოტი, როცა მეფე მარკის წერილი წაიკითხა, და სერ დინადანის ამბავი, თუ როგორ შეთხზა სიგლერა მეფე მარკზე

ართურ მეფე წერილმა ბევრ რამეზე ჩააფიქრა. თავისი დის ფეა მორგანის სიტყვებიც გაახენდა: შენს ცოლს გვინივერასა და სერ ლანსელოტს ერთმანეთი იღუმალ უყვართო. დიდხანს იჯდა მეფე, ამისი დარდით მოცული. მაგრამ მოაგონდა ისიც, რომ მისი ღვიძლი და მისივე დაუძინებელი მტერი იყო და სასტიკად სძულდა დედოფალიცა და სერ ლანსელოტიც. ამიტომ ყველა ეს მაენე აზრი გონებიდან განდევნა.

შემდეგ ართურმა ქვემოთაც ჩაიკითხა წერილი და ბოლოში ეწერა: სერ ტრისტრამი ჩემს მოსისხლე მტრად მიმაჩნია და ეჭვი არ შეგეპაროს, შურსაც ვიძიებო. ამისათვის ართურ მეფე ძლიერ განრისხდა მეფე მარკზე.

ხოლო როცა დედოფალმა გვინივერამ თავისი კუთვნილი წერილი გახსნა და წაიკითხა, მის რისხვას საზღვარი არა ჰქონდა, რადგან წერილი პირდაპირ მისი პიროვნებისა და სერ ლანსელოტის შეურაცხყოფას შეიცავდა. წერი-

ლი დედოფალმა ფარულად სერ ლანსელოტს გაუგზავნა. რაინდი ამ წერილში ისე აღაშფოთა, რომ სხვა ვერაფერი მოხერხა, თავის ლოჯინზე დაჯდომდა და მკვდარივით დაიძინა. ეს ამბავი სერ დინადანმა შეიტყო, რადგან ასეთი ჩვეულება ჰქონდა, რომ ყოველი კეთილი რაინდის მეგობარი დამატებული იყო. ვიდრე სერ ლანსელოტს ეძინა, ფრთხილად ხელიდან გამთაცვალა მწერალი და ბოლომდე წაიკითხა. ისე ეწყინა მისი გალანძღვა, რომ ხმამაღლა დაიწყო ამაზე ჩივილი. ამ დროს სერ ლანსელოტს გამოეღვიძა, ფანჯარასთან მივიდა, წერილი ისევ წაიკითხა და კიდევ უფრო განრისხდა.

— სერ, — მიმართა დინადანმა, — რა გაწუხებთ? გთხოვთ, გადამიშალოთ გული, რადგან, ღმერთია მოწმე, მხოლოდ სიკეთე მსურს თქვენი. თავადაც უწყით, ღარიბი რაინდი ვარ, მაგრამ ყველა სახელოვანი რაინდის მეგობარი გახლავართ! მართალია, თვითონ დიდად გამოჩენილი ვერა ვარ, მაგრამ მიყვარს ყველა გამოჩენილი და ღირსებით აღსავსე რაინდი.

— ეს მართალია, — თქვა სერ ლანსელოტმა, — თქვენ ხართ რაინდი, ღირსი ნდობისა, და ჩემს საიდუმლოს გაგანდობთ კიდევ.

სერ დინადანმა მოუსმინა და უთხრა:

— სერ, აი, ჩემი რჩევა: ნუ მიიტანთ გულთან წყენას და დაივიწყეთ ყველა მუქარა, რადგან მეფე მარკი ისე სულმდაბალი და მზაკვარია, პირდაპირი გზით ვერაფერს მიაღწევთ. მე მასზე სიმღერას შეგთხზავ, როცა სიმღერა მზად იქნება, მომღერალს მივუგზავნი, ქნარზე დაამღერებს და მოასმენინებს.

მართლაც წავიდა და შეთხზა სიმღერა, რაც ჯერ მენესტრელ ელიოტს შეასწავლა, შემდეგ იმან სხვა მენესტრელებს გადააღებინა, შემდეგ, მეფე ართურისა და სერ ლანსელოტის ნებართვით, ეს მენესტრელები უელსში და კორნუელში ჩავიდნენ და ყველგან მღეროდნენ იმ სიმღერას, რაც სერ დინადანმა შეთხზა მეფე მარკზე. ეს ყველაზე უფრო გამკილავი, გამათრეველი სიმღერა იყო, როგორც კი ოდესმე შეთხზულა და ქნარზე, ან სხვა საკრავზე შესრულებულა.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ე რ ა ვ ი

როგორ დაიჭრა სერ ტრისტრამი, აბრეთვე ამბავი ომისა, რასაც მეფე მარკი აწარმოებდა, და როგორ აღმოჩნდა სერ ტრისტრამმა მეფეს, გადარჩენილი

ჩვენ კი ახლა ისევ მივუბრუნდეთ სერ ტრისტრამსა და მეფე მარკს. მოხდა ისე, რომ სამეფო ტურნირზე სერ ტრისტრამი მძიმედ დაიჭრა. შუბისა და მახვილის სიბასრე მის სხეულზეც გამოიცადა, თუმცა პირველობა მაინც მას დარჩა. ტურნირის შემდეგ სერ ტრისტრამი ჭრილობების მოსაშუშებლად ერთი კორნუელელი ქველი რაინდის, სახელად სერ დინას სენეშალის ციხეში გაემგზავრა.

საუბედუროდ, სწორედ ამ დროს საქსონიიდან ჩამოვიდა ურიცხვი მეომარი. ეს ჯარი ტინტაჯილის მახლობლად გადასხდა. მათი წინამძღოლი იყო სერ ელიასი, გამოცდილი და დახელოვნებული მეომარი.

როცა მეფე მარკმა გაიგო, რომ მის მიწა-წყალზე მტერი თარეშობდა, დიდად შეწუხდა, სერ ტრისტრამი იმდენად სძულდა, რომ მასთან კაცის მიგზავნა არანაირად არ უნდოდა. მაგრამ საბჭო რომ შეიყარა, ყველამ ერთხმად თქვა,

რა საშინელ განსაცდელსაც უმზადებდა ქვეყანას მტრის ეს მრისხანე ძალა. ერთმანეთთან შეთანხმებულმა ბარონებმა მეფეს მოახსენეს:

— სერ, იცოდეთ, სერ ტრისტრამს უნდა სთხოვოთ დახმარება, სახელოვან რაინდს უნდა შეეხვეწოთ, მწედ გვექმნას. უიმისოდ მტერს ვერ დაამარცხებთ, რადგან მასთან ბრძოლა მხოლოდ სერ ტრისტრამს შეუძლია. ჩვენ დანარჩენებს კი დინების წინააღმდეგ ნიჩბების მოსმა ვერაფერს გვიშველის.

— კარგით, — მიუგო მეფე მარკმა, — მოვიქცევი ისე, როგორც მირჩევთ.

სერ ტრისტრამს კაცი აახლეს, რომ დაუყოვნებლივ მოსულიყო მეფე მარკის სასახლეში. რაკი იხმობდნენ, სერ ტრისტრამიც გაემზადა, თუმცა გაჭირვებით შეჯდა თვინიერ ცხენზე და სასახლეს მიაშურა. როცა ეახლა, მეფემ ასე უთხრა:

— ძვირფასო დისწულო სერ ტრისტრამ, საქმე ასეა: ჩვენს მიწა-წყალზე შემოიჭრა მტრის ლაშქარი საქსონიიდან. აქვე არიან, ორ ნაბიჯზე, და, თუ არ შევაჩერეთ, ჩვენს ქვეყანას დაპყრობით ემუქრებიან.

— მეფეო, — მიუგო ტრისტრამმა, — იცით, რომ მთელი ჩემი ძალ-ღონით თქვენს სამსახურში ვარ, მაგრამ უახლოეს რვა დღეს იარაღის ტარება არ შემიძლია, არც მეტი და არც ნაკლები. როგორც კი მოვრჩები, ყველაფერს მოვიმოქმედებ, რაც შემეძლება.

— კარგი ნათქვამია, — თქვა მეფე მარკმა, — დაბრუნდით უკან, მორჩით, დაისვენეთ და ძალა მოიკრიბეთ, ამასობაში კი საქსონიელებს მთელი ჩემი ჯარით შევხვდები.

შემდეგ მეფე ტინტაჯილში დაბრუნდა, ხოლო სერ ტრისტრამმა სამკურნალოდ ისევ დინასის კოშკს მიაშურა.

მეფემ დიდ ლაშქარს მოუყარა თავი და სამ ნაწილად დაყო. პირველს წინამძღოლობდა სერ დინას სენეშალი, მეორეს სათავეში ჩაუდგა სერ ანდრეტი, მესამის უფროსი იყო სერ არგუსი, მეფე მარკის ახლო ნათესავი.

საქსონიელებსაც სამ მთავარ ნაწილად ჰყავდათ დაყოფილი ჯარი და მრავალი ნაცადი მეომარი იდგა მათი დროშების ქვეშ. მეფე მარკი, რაინდების რჩევით, ტინტაჯილიდან გავიდა და მტრის ლაშქარს თავს დაესხა. წინ მიდიოდა ჰველი რაინდი სერ დინასი და პირადად ორი რაინდი მოკლა. მაშინ დაიწყო დიდი ბრძოლა. ბევრი შუბი დაილეწა, ბევრი ხმალი გადატყდა, ბევრი რაინდიც დაეცა გულგანგმირული. ყველაზე მეტად კი მარკის ჯარში სერ დინას სენეშალი გამოირჩეოდა.

დიდხანს გრძელდებოდა ეს ბრძოლა და დიდძალი ხალხი ჩაწვა მიწაში. მეფე მარკი და დინას სენეშალი, მათდა სამარცხვინოდ, აძულეებული გაბდნენ, თავი სიმაგრისათვის შეეფარებინათ, რადგან მათი წყობა ძალზე შეთხელდა. საქსონიელები ფეხდაფეხ მისდევდნენ. მდევართაგან ათმა კაცმა ციხეშიც კი მოასწრო შესვლა, რომელთაგან ოთხი დასაშვებმა კარმა გასრისა.

მაშინ მეფე მარკმა ისევ გაგზავნა კაცი ტრისტრამთან. შიკრიკმა ბრძოლის ამბავი დაწვრილებით უამბო ტრისტრამს, მან კი უკანვე გააგზავნა შიკრიკი და ასე დააბარა:

— გადაეცი მეფე მარკს, რომ მოვალ მხოლოდ მაშინ, როცა ჭრილობები მომიჩრება. ამაზე აღრე ჩემგან სარგებლობას ვერ ნახავს.

ასეთი პასუხი მიიღო მეფე მარკმა.

ამასობაში ციხესთან მოვიდა სერ ელიასი და მეფეს მოსთხოვა, ციხესიმაგრე ჩაგვაბარეო.

— თქვენ ხომ არ შეგიძლიათ მისი დაცვა! — შეუძლებელია!

— სერ ელიას, — მიუგო მარკმა, — თუ მაშველი მარკმა მართლაც მომიხდება სიმაგრის ჩაბარება.

მესამედ გაუგზავნა კაცი მარკმა ტრისტრამს, მომეშველეო.

ამ დროისათვის ტრისტრამი თითქმის უკვე მოტრეწილი იყო. მან ართურ მეფის მრგვალი მაგიდის ათიოდე რაინდი იახლა თან და ტინტაჯილისაკენ გასწია. იგი საქსონიელთა ურიცხვი ლაშქრის ხილვამ გააოცა. სერ ტრისტრამმა ტყის ბილიკებით იარა, ხნარცვებსა და ვიწროებს შორის და ასე შეუმჩნევლად მიადგა ციხის ალაყაფს. ზედ ალაყაფის კართან მიეჭრა ერთი რაინდი, როცა ნახა, რომ იგი ციხეში შეღწევას ლაშობდა. სერ ტრისტრამმა ცხენი მოაბრუნა და იქვე სასიკვდილოდ განგმირა მომხდური. ასე მოექცა დანარჩენ სამსაც, ხოლო მისმა მხლებლებმაც თითო რაინდი მოკლეს. ასე შევიდა სერ ტრისტრამი ტინტაჯილის სიმაგრეში.

მარკმა რომ სერ ტრისტრამი დაინახა, ძლიერ გაიხარა. მისი მოსვლა ყველას იამა.

თ ა ვ ი ო ც ლ ა ვ ი ც ხ რ ე

როგორ მოვიგო ბრძოლა სერ ტრისტრამსა და როგორ გამოიწვია ორთაბრძოლაში მსურველები სერ ელიასსა

დილით სერ ელიასი გამოვიდა და მეფე მარკს ციხეში შესძახა

— გამოდით და ბრძოლაში ჩაებით. სახელოვანი სერ ტრისტრამი ხომ თქვენთანაა და თავს ისევ ციხის კედლებს აფარებთ? სირცხვილია!

მეფე მარკი ამ სიტყვამ ალაშტოთა, მაგრამ სიტყვაც არ უთქვამს, სერ ტრისტრამთან მივიდა და რჩევა ჰკითხა.

— სერ, — მიუგო ტრისტრამმა, — თუ თქვენი ნებაც იქნება, მე გავცემ პასუხს.

— დიახ, ასეთია ჩემი ნება, — მიუგო მეფემ.

მაშინ სერ ტრისტრამმა შუაქაცებს გადასძახა:

— გადაეცით თქვენს ბატონს ჩემი და მეფის სახელით: ხვალ დილით ველზე გამოვალთ და ბრძოლას გავუმართავთ.

— სერ, თქვენი სახელი? — ჰკითხეს მომხდურებმა.

— ჩემი სახელი სერ ტრისტრამ ლიონელი გახლავთ.

შუამავლები წავიდნენ და თავიანთ წინამძღოლს ელიასს ყველაფერი გადასცეს.

— სერ, — მიმართა შემდეგ ტრისტრამმა მეფეს, — მომეცით ხვალ თქვენი ლაშქარი.

— სერ, გთხოვთ მოწყალება მოიღოთ და ჩემს ჯარს ხვალ თქვენ უხელმძღვანელოთ, — მიუგო მარკ მეფემ.

მაშინ ტრისტრამმა ლაშქრის საომრად მზადებას მიჰყო ხელი. მთელი ჯარი ექვს ნაწილად დაყო და მეწინავეთა წინამძღოლად სერ დინას სენეშალი დანიშნა. სხვა რაინდებს კი დანარჩენი ნაწილები მიანდო. იმავე ღამეს ტრისტრამს

ტრამმა საქსონიელთა ყველა გემი ცეცხლს მისცა. როგორც კი ეს ვაიგო სერ ელიასმა, მაშინვე ისა თქვა, ეგ ამბავი სერ ტრისტრამის ნამოქმედარიაო.

— ამით მან მოგვიჭრა სამშობლოში დასაბრუნებელი გზა, რომ არც ერთი ცოცხალი არ გაგვიშვას. ამიტომ ხვალ თავგამოდებით იბრძოლებო, ნუ შეუდრკებით იმ ერთ რაინდს, ნუ შეგაკრთობთ — მისთვის შეგებელი, თუნდაც ქვეყნიერების უპირველესი რაინდი იყოს. სულ ერთია, ყველას ხომ ვერ მოგვერევა.

საქსონიელებმა ჯარი ოთხად დაანაწილეს. მათი საოცრად ძვირფასი სამოსი და მოციმციმე აკაზმულობა თვალს ჭრიდა.

გამოვიდნენ თუ არა ციხის ჭიშკრებიდან მეფე მარკის მეომრები, საქსონიელთა მოალყე რაზმები გაშმაგებით ეკვეთნენ. გაჩაღდა ბრძოლა, რომელშიაც თავი გამოიჩინა სერ დინას სუნეშალმა. მაგრამ, მისი და მთელი ჯარის სიმამაცის მიუხედავად, მეფე მარკის ჯარი თანდათან შეავიწროვეს.

მაშინ გამოვიდა სიმაგრეიდან სერ ტრისტრამი და ერთი შუბით ორი რაინდი განგმირა. ასე დაიწყო სიკვდილის თესვა მარჯვნივ და მარცხნივ. ხალხი გაოცებული იყო მისი საგმირო საქმით. აშკარა გახდა, რომ ბრძოლამ ციხიდან ისრის გასროლის მანძილზე გადაინაცვლა, მერე მომხდურებმა ისევ ციხის კედლებთან მიჩიხეს მეფე მარკის მეომრები, ისევ უკან დაახევინეს საქსონიელებს. მაშინ ბრძოლის ქარცეცხლში ჩაება ელიას მხედართმთავარი, გაშმაგებით დატრიალდა, ხან აქეთ ეკვეთა, ხან იქით, თვითონ მეფე მარკს ისე მძლავრად დაჰკრა სმალი მუზარადზე, რომ დაარეტიანა და ცხენიდან გადმოაგდო.

სერ დინასმა იმარჯვა და მეფე მარკი ისევ შესვა ცხენზე. უეცრად იმ ადგილზე ველური ლომივით მოვარდა სერ ტრისტრამი და ისე დაჰკრა თავში სერ ელიასს, რომ ცხენიდან თავდაყირა ჩამოაგდო. ბრძოლა დაღამებამდე გაგრძელდა. მრავალი დაიხოცა ორსავე მხარეს, მრავალიც დაჭრილი წაიყვანეს და ორივე მხარე თავთავის მიჯნაზე დაბრუნდა.

როცა მეფე მარკი თავისი სიმაგრის ტინტაჯილის კედლებს შორის აღმოჩნდა, დათვალეს და ასი რაინდი დააკლდათ, ხოლო მტერს ორასი რაინდი მოუკლეს. ორივე მხარე დაჭრილებს უვლიდა. შემდეგ სათათბიროდ შეიკრიბნენ. ბრძოლის განახლება არც ერთ მხარეს არ უნდოდა, რადგან თავთავიანთ პატიოსან სახელს უფრთხილდებოდნენ. ორივეს უნდოდა, ამ ომიდან დაუმარცხებელი გამოსულიყო.

როცა სერ ელიასმა შეიტყო თავისი ჯარის დანაკლისი, უზომო წუხილს მიეცა. როცა ისიც უთხრეს, რომ მის ხალხს ბრძოლა აღარ სურდა, მის რისხვას საზღვარი არა ჰქონდა. მაშინ სარდალმა დესპანი მიუგზავნა მარკს და ქედმაღლურად მოსთხოვა. შეარჩიე რაინდი, რომ ჩემთან ორთაბრძოლაში გამოვიდესო. თუ მოგვლავ, კორნუელი ყოველწლიურად ხარკს მომცემს, ხოლო თუ მომკლა, სამუდამოდ აიღებენ ხელს საქსონიელები თავიანთ მოთხოვნებზეო.

აი, მივიდა დესპანი და მეფე მარკს აუწყა, ჩემი ბატონი ელიასი მოითხოვს შენს რაინდთან ბრძოლას და მოპირდაპირეს ელოდებო. მარკმა მოისმინა და დაცდა უბრძანა. თვითონ კი მთელი ჯარი შეყარა და ყველას ჰკითხა, როგორ მოვიქცეო. ყველამ ერთხმად უთხრა:

— ჩვენ აღარ გვეჩაღისება ბრძოლა. გუშინაც სერ ტრისტრამის ვაჟობა რომ არა, ცოცხალი ერთიც ვერ გადავრჩებოდით. ამიტომ ჩვენი

რჩევას გამოიძებნოს რაინდი, რომელსაც სერ ელიასი იწვევს და მათი ორ-
თაბრძოლით გადაწყდეს ომის ბედი.



თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ე ა თ ი

ე რ ი მ ე ნ ე ლ ი
გ ი მ ლ ი მ ი თ ე ა

როგორ მზარდა სერ ელიასი სერ ტრისტრამს ხარკისათვის და როგორ მოკლა
ტრისტრამმა ბრძოლის ველზე სერ მლიასი

თქმით კი ამბობდნენ, მაგრამ ძალიან გაჭირდა ისეთი რაინდის გამოძებნა,
რომელიც სერ ელიასს ომს გაუსწორებდა.

— ხელმწიფე, — განუცხადეს ბოლოს, — არ არის ისეთი რაინდი, რომ
სერ ელიასთან ბრძოლა გაბედოს.

— ვაგლახ! — თქვა მეფე მარკმა, — მაშინ თავლაფდასხმული და დაღუ-
პული ვარ, თუ ჩემი დისწული სერ ტრისტრამი არ იკისრებს ამ საქმეს.

— სერ, იცოდეთ, — უთხრა ყველამ, — გუშინ ტრისტრამი ყველა მეო-
მარზე მეტად გაისარჯა, დაშვრა, დაიჭრა და თანაც სასტიკად.

— სად არის თვითონ? — იკითხა მარკმა.

— სერ, წევს და ჭრილობებს იშუშებს; — მიუგო ერთმა.

— ვაგლახ! — თქვა მეფე მარკმა, — თუ ისევ ჩემი დისწული სერ ტრის-
ტრამი არ მომეშველა, სამუდამოდ ვიღუპები და ეგაა.

მაშინ ერთი იმ მსახურთაგანი ისევ წავიდა სერ ტრისტრამთან, რომელიც
წინა დღით ბრძოლით დაღლილი და დაუძლურებული იწვა. მაშინვე წამო-
ვარდა. გრძელი სამოსი ჩაიცვა და მეფეს ეახლა. მძიმედ დაღვრემილები რომ
ნახა, კვითხა, ახალი რა იცითო.

— უარესი აღარ შეიძლება, — მიუგო მეფემ, და ყველაფერი უამბო.

— რაც შეგეხებათ თქვენ, — განაგრძო მარკ მეფემ, — თქვენგან მეტს
ველარაფერს მოვითხოვთ, რადგან თქვენი სიმამაცით გუშინდელი ბრძოლა მოგ-
ვაგებინეთ და ყველანი სიკვდილისაგან დაგვიხსენით.

— სერ, — მიუგო სერ ტრისტრამმა, — ვიცი, რომ ჩემგან დახმარებას
ელით. მეც ხომ მესმის, რომ ყველაფერი უნდა ვიღონო, რაც შემიძლია, რათა
ვიხსნა ჩემი პატიოსნება და სიცოცხლე, თუმცა დასერილიცა ვარ და დაღუწი-
ლიც. მაგრამ რაკი სერ ელიასი ასე ქედმაღლურად გვექადნება, რა გაეწყობა,
მის გამოწვევას მე მივიღებ! ან ბრძოლის ველზე დავიღუპები, ან კორნუელს
სამარცხვინო ხარკისაგან ვიხსნი. ამიტომ ახლავე უხმეთ მის დესპანს, პასუხს
მე გავცემ. ჩემი ჭრილობებიდან ჯერ კიდევ მოეონავს სისხლი, ჩემს განკურ-
ნებას შვიდი დღე მაინც დასჭირდება, ხოლო ნაჭრილობევი ადგილები სულ
ყოფრო მეტად ამტკივდება და ამტკივდება, ამიტომ ხვალვე მინდა შეგება.

ელიასის კაცი მეფე მარკის წინაშე წააყენეს.

— მომისმინე, მეგობარო, — უთხრა ტრისტრამმა, — შენს მბრძანებელ-
თან გაეშურე და უთხარი, მძევალი მოგვცეს, ისევე როგორც მეფე მარკი
მისცემს მძევალს. კიდევ გადაეცი, რომ სერ ტრისტრამი, ართურის მრგვალი მა-
გილის რაინდი, ხვალ მას შეებრძოლება ჯერ ცხენდაცხენ, ვიდრე ცხენი გაუძ-
ლებს, მერე კი ქვეითად, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

დესპანმა თავით ფეხამდე შეათვალიერა სერ ტრისტრამი და მერე წავიდა. თავის ბატონს ეახლა და სერ ტრისტრამის დანაბარები გადასცა.

დილით ორივე მხარემ მძევლები გაცვალა და ორივე მხრივ შემოწმდა რწმუნებანი. სრულიად ცხადად დაადგინეს, რომელ მხარესაც გამარჯვება დარჩება, საბოლოო იქნებაო. ორივე მხარის მოლაშქრენი მოზღვედნენ ტინტაჯილის სიმაგრესთან, იარაღი კი ელიასის და სერ ტრისტრამის გარდა ყველას აყრილი ჰქონდა. მომზადების შემდეგ ორივე მებრძოლი მთელი ძალით გაექანა წინ და ისეთი ძალით ატაკეს შუბები ერთმანეთს, რომ ორივე ძირს გაიშხლართა. მაშინვე ზეზე წამოიჭრნენ, ფარები იფარეს და ისეთი გაშმაგებით იწყეს გაშიშვლებულ მახვილთა ტრიალი, თითქოს ცეცხლის ალი თავზე დასტრიალებთო. სცემდნენ და ატაკებდნენ, ხან ზეზე, ხან ჩამუხლისთავებულნი, უსერავდნენ სხეულს ერთიმეორეს, ისე რომ მათი თბილი სისხლი მიწას ერთვოდა.

ასე იბრძოდნენ მთელი საათი, ბოლოს ტრისტრამს ნელ-ნელა შეუსუსტდა დარტყმის ძალა, სისხლი ღვარად სდიოდა და უკან-უკან დაიხია. ეს რომ შეამჩნია, ელიასი მიეჭრა და კიდევ უფრო გაშმაგებით დაუწყო ხმლის ცემა. მან ბევრი ახალი კრილობა მიაყენა სერ ტრისტრამს, რომელიც უკვე თავს არიდებდა პირდაპირ დარტყმებს, განზე უხევდა, უკანასკნელ ღონეს იკრებდა და თავს ფარით იცავდა. ყველა ამბობდა, სერ ტრისტრამის საქმე მოთავებულიაო, რადგან ერთ დარტყმაზე ელიასი ოცით აძლევდა პასუხს.

საქსონიელთა ბანაკში სიცილი ატყდა, მეფე მარკის მხარეს — დრტვინვა-გოდება.

— ვაგლახ! — შესძახა მეფე მარკმა, — საქვეყნოდ და სამუდამოდ მოგვეჭრა თავი.

ასე მოხდა, რადგან წიგნში წერია, რომ სერ ტრისტრამს არც ერთ ორთაბრძოლაში არასოდეს ასეთი გასაჭირი არ დასდგომია, — ალბათ მხოლოდ სერ ლანსელოტთან ბრძოლაში თუ გაუძნელდა ომის გასწორება მოწინააღმდეგესთან. მებრძოლი რაინდები შეჩერდნენ, მიმოიხედეს, რას ხედავენ, ერთი ლაშქრის მხარე ტირის, მეორე იცინის. მაშინ მოაგონდა სერ ტრისტრამს თავისი სატრფო მშვენიერი იზოლდა, ახლაც მას რომ უყურებდა, და თავში საშინელმა ფიქრმა გაუელვა: ჩანს, ვეღარასოდეს შევხვდებიო. მაშინ ისევ აღმართა ფარი, რაც უკვე მიწას ეხებოდა, და გაშმაგებით გაექანა სერ ელიასის დასათრგუნავად, მხნედ შეუტია ერთის მაგიერ ოცჯერ დაჰკრა ხმალი, ფარიც გაუევეთა და ჯავშანიც. ასე რომ საქსონიელთა ბელადის ძარღვებიდან სისხლი ღვარად გადმოსკდა.

აქ კი მეფე მარკმა და კორნუელელმა რაინდებმა გაიციინეს, ახლა მეორე მხარის ტირილის ჯერი დადგა. სერ ტრისტრამმა სერ ელიასს შეუძახა:

— დამნებდი!

წაბარბაცდა სერ ელიასი, წაიბორძიკა და სერ ტრისტრამმა უთხრა.

— სერ ელიას, სულითა და გულით მენანები, რადგან შენ ურჩეულესი ხარ იმ რაინდთა შორის, რომელთანაც კი ოდესმე მიბრძოლია, სერ ლანსელოტის გამოკლებით.

გაიგონა ეს სერ ელიასმა, დედამიწაზე გაიშხლართა და იქვე სული დალია.

ყველა დაიშალა. მეფე მარკმა მრავალი ტყვე დაიტოვა ზარალისა და დანაკლისის ასანაზღაურებლად, დანარჩენები ხარკის და გამოსასყიდის მოსაგროვებლად შინ გაუშვა. სერ ტრისტრამს კი კრილობები ჩამობანეს და მოურჩინეს.

უჩინებელი

მეფე მარკს არ შეუცვლია თავისი გადაწყვეტილება, რომ სერ ტრისტრამი მოეკლა. სერ ტრისტრამი ხედავდა და ესმოდა კიდევ მეფე მარკის ვერაგობის ამბავი, მაგრამ არც გაუბოღდა და არც ემალეობოდა, სადაც მისი ჭულის მურაზი მშვენიერი იზოლდა იყო, თვითონაც განუშორებლივ თან ახლდა.

თავი ოცდამეთერთმეტი

როგორ მიიწვია მეფე მარკმა მინისტრალი, რომელმაც სერ დინადანის უმთხუღლი სიმღერა უმღერა

ახლა ვთქვათ ამბავი იმ მომღერლებისა, რომელნიც კორნუელში სერ ლანსელოტმა და სერ დინადანმა გაგზავნეს. იმ დიდ ნადიმზე, რაც მეფე მარკმა ქვეყნიდან საქსონიელების განდევნის აღსანიშნავად გამართა, მენესტრელი ელიოტიც გამოჩნდა და იმღერა სერ დინადანის შეთხზული სიმღერა. მანამდე იგი ფარულად მივიდა სერ ტრისტრამთან და გააცნო ლექსი, რაც მეფე მარკის გასათრეველად შეთხზა სერ დინადანმა. სერ ტრისტრამმა მოუსმინა და უთხრა:

— უფალო ღმერთო! პირდაპირ გასაკვირია, როგორ შეუძლია სერ დინადანს სიკეთე და სიკეთე თანაბრად თესოს. ამჯერად მას ავი საქმე მოუხდენია.

— სერ, — ეკითხება სერ ელიოტი, — ნება მომეცით, ეს სიმღერა მეფე მარკის წინაშე შევასრულო.

— დიახ, მაცხოვარს ვფიცავ, შეგიძლიათ, — მიუგო სერ ტრისტრამმა, — თუ ვინმემ გაწყენინა, მე ვიქნები თქვენი მფარველი.

ნადიმი უკვე გაჩაღებული იყო, რომ დარბაზში სხვა მენესტრელებთან ერთად ელიოტიც შევიდა და სიმღერა დაიწყო. ელიოტი განთქმული მომღერალი იყო და ყველა სმენად იქცა. იგი მღეროდა დინადანის შეთხზულ სიმღერას მეფე მარკის ვერაგობაზე, ჰყვებოდა მისი მზაკერობისა და ლალატის ამბავს, რომლის მსგავსი მანამდე არავის სმენია. ბოლომდე რომ მივიდა, განრისხებულმა მეფე მარკმა შეჰყვირა:

— მენესტრელო, როგორ ბედავ ჩემ წინაშე ასეთი სიმღერით წარმოდგომას?

— სერ, — მიუგო მომღერალმა, — კარგად იცით, რომ მენესტრელი გახლავართ და მევალება აღვასრულო ნება ჩემი ბატონებისა, ვისი სამოსიც მაცვია და ვისი კუთვნილების ნიშნებიც სამოსზე მაქვს. მინდა გაუწყოთ, რომ ჩემი სიმღერა შეთხზა სერ დინადანმა და მიბრძანა თქვენთვის შემღერა.

— მართალი ხარ, — უთხრა მარკმა, — რაკი მენესტრელი ხარ, აქედან უვნებლად გახვალ, მაგრამ გაფრთხილებ, ახლავე გაქრი და ჩემმა თვალებმა არ დაგიინახონ!

მომღერალი სერ ტრისტრამს ესტუმრა და აუწყა, რაც მოხდა. მაშინ სერ ტრისტრამმა თავაზიანი წერილები მისწერა სერ ლანსელოტსა და სერ დინადანს.

დანს, მომღერალს გადასცა და მსახურებს უბრძანა, კორნუელის საზღვრებამდე გააცილეთო.

სათქმელი ისღა დაგვრჩა, რომ მეფე მარკის მრისხანებას საზღვარი არა ჰქონდა. მეფეს ექვმა გაჰკრა გულში, სიმღერა სერ ტრისტრამის, მთავრებისათა შეთხზულიო, და სერ ტრისტრამისა და ყველა მისი კეთილის მსურველის ერთად დაღუპვა განიზრახა.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ე თ ე რ თ ე ბ ე

როგორ ვერაბულად მოკლა მუჲჲ მარკმა თავისი ძმა ბოდუინი, მაღლოვის მაგიერ იმ სამსახურისათვის, რაც მან გაუწია

ახლა იმ ამბავს მოგიტხრობთ, რაც მოხდა მეფე მარკსა და მის ძმას, კეთილ პრინც ბოდუინს შორის, რომელიც ხალხს მზურვალედ უყვარდა.

ერთხელ, საქსონიელების განდევნის შემდეგ, მოხდა ისე, რომ ურჯულო სარკინოზები კორნუელის სანაპიროზე გადმოსხდნენ. კეთილმა პრინცმა ბოდუინმა პირველმა შეიტყო ეს ამბავი. მან ყველასაგან მაღულად ლაშქარი შეყარა და სანაპიროზე გაჩნდა. ჯერ კიდევ გათენებამდე ბრძანა თავის სამ გემზე, ველური ცეცხლის* დანთება, იალქნები აუშვა, ქარს მიჰყვა და პირდაპირ სარკინოზების ფლოტის შუაგულში შეიჭრა. მოკლედ რომ მოეჭრათ, სამივე გემიდან ცეცხლი მტრის ხომალდებს მოედო და ყველა გემი ისე დაიფერფლა, ერთიც არ გადარჩენილა. განთიადისას მამაცი პრინცი ბოდუინი და მისი ხალხი მოულოდნელად დაესხა თავს ურჯულოებს, საბრძოლო შეძახილებით დააფრთხო და ორმოცი ათასი კაცი ისე გაწყვიტა, რომ ერთი მთხრობელიც არ გაუშვა ცოცხალი. მეფე მარკმა რომ ეს ამბავი გაიგო, ბრაზით სულ ცოფები ჰყარა: როგორ თუ ჩემმა ძმამ ასეთი სახელი მოიხვეჭაო! იმის გამო, რომ პრინცი ქვეყანაში ყველას უყვარდა, მეფე მარკი კი სძულდათ, აგრეთვე იმიტომაც, რომ პრინცი სერ ტრისტრამის მეგობარი იყო, მეფე მარკმა ძმის დაღუპვა გადაწყვიტა.

მეფე მარკმა გადაწყვიტა, ეს საქმე უცებ მოეყვანა სისრულეში. მან პრინც ბოდუინსა და მის ცოლს ანგლიდას კაცი გაუგზავნა და სასახლეში დაუყოვნებლივ მოსვლა უბრძანა. თან შეუთვალა, თქვენი მცირეწლოვანი შვილიც თან იახლეთ, ძმისწულის ნახვა მინდაო. ბავშვის მოყვანა იმისათვის ჩაიფიქრა, რომ მისი მოკვლაც ეწადა, რადგან ეს მეფე იყო უსაძაგლესი მუხთალი კაცი, რომლის მსგავსი დედამიწაზე არ დაბადებულა. ვაგლახ! რომ სიკეთისა და სახელოვანი საქმეებისათვის პრინცმა ბოდუინმა სიკვდილი მოიმკო. იგი ცოლთან ერთად ჩამოვიდა ძმასთან. მეფე მარკი ორივეს ნაძალადევი აღერსით შეხვდა და ასე გაგრძელდა სადილობამდე. მერმე მეფემ ძმა იდუმალ იხმო და უთხრა:

— რა მოხდა იქ, როცა ურჯულოები მოვიდნენ? ჩემის აზრით, მაშინვე

* თხევადი საწვავი ნარევი, რომელსაც ჩვეულებრივ, სამხედრო მიზნით იყენებდნენ, ზოგა მათგანი წყალშიც იწვოდა და ამიტომ გემების დასაწვავად ხმარობდნენ.

ჩემთვის უნდა შეგეტყობინებინათ ყოველივე და დასახმარებლად მოგეწვიეთ, რათა გამარჯვებულის სახელი მე დამრჩენოდა და არა თქვენ.

— სერ, — მიუგო პრინცმა ბოდუინმა, — მე რომ თქვენთვის ვატი გამოგზავნა, სარკინოზები მთელს ჩემს სამფლობელოს ააოხრებდნენ და ხალხის დედა-ბუდიანად გაწყვეტას მოასწრებდნენ.

— ტყუიხარ, ვერაგო მოლაღატევი! — თქვა მეფე მარკმა, — შენ ყოველთვის იმის ცდაში ხარ, სახელი გამიტეხო და სირცხვილეული დამტოვო, და რაც მე მძულს, სწორედ იმას აღმერთებ. — ასე უთხრა და შიგ გულში ჩასცხანჯალი. პრინცმა ხმის ამოდებაც ვერ მოასწრო, ისე ამოხდა სული.

ლედი ანგლიდა გულსაკლავად ატირდა და გონწასული დავარდა, როცა ქმარი თვალწინ მოუკლეს. სხვა გზა აღარ იყო, პრინც ბოდუინს ტანზე გახადეს, დაასვენეს და მერმე დაკრძალეს. მისმა მეუღლემ ლედი ანგლიდამ ქმრის პერანგი მოიპარა და შეინახა.

მომხდარმა ავმა საქმემ სერ ტრისტრამი, სერ დინასი, სერ ფერგუსი და სხვა რაინდები ძალზე დაალონა, რადგან კეთილი პრინცი ყველას უყვარდა.

იზოლდა მშვენიერმა კი ანგლიდას შეუთვალა, სასწრაფოდ წადი აქედან, თორემ შენს პატარა შვილს ალექსანდრე-ობოლსაც სიკვდილი მოელისო. ასეთი რჩევა რომ მოისმინა, ქალმა ბაჯშვს ხელი დასტაცა, ცხენს მოახტა და გაუჩინარდა. მას თან გაჰყვა მხოლოდ რამდენიმე ღარიბთაგანი, რომელთაც გაბედეს მისი ხლება.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ე ც ა მ ე ტ ე

როგორ გაიქცა ბოდუინის ცოლი, როგორ გაიტაცა თავისი შვილი ალექსანდრე-ობოლი და როგორ მივიდა არაუღელის სიმაგრეში

მეფე მარკმა თავისი მორიგი შავი საქმე რომ გააკეთა, ამით არ დაკმაყოფილებულა, იგი ხმალამოდებული დარბოდა სასახლეში და ბოდუინის ცოლშვილს დაეძებდა. როცა ვერ იპოვა, კეთილი რაინდი სერ სადუკი დაიბარა და სიკვდილის მუქარით უბრძანა: ლტოლვილ ანგლიდას დაეწიე და უკან დააბრუნეო.

სერ სადუკიც მაშინვე გაუდგა გზას. ათიოდე მილი გაიარა, ანგლიდას დაეწია და დაუყვირა, ცხენი მოაბრუნეო.

— ვაგლახ! კეთილო რაინდო, — მიუგო ანგლიდამ, — ნეტავ რა სარგებელს ნახავ ჩემი და ჩემი შვილის დაღუპვით? მე ხომ ისედაც უზომო მწუხარება დამატყდა თავს, გავუბედურდი და დავიღუბე.

— ქალბატონო, — მიუგო სადუკმა, — თქვენი დანაკლისი აუნაზღაურებელია და გულსამომკვლელი, მაგრამ შეგიძლიათ თქვენს შვილთან ერთად მშვიდობით დაადწიოთ თავი ამ ქვეყანას, გაზარდოთ, რომ შური იძიოს და მამის სისხლი აიღოს? მე თანახმა ვარ გაგიშვათ, თუ გაქვთ იმედი, რომ პრინც ბოდუინის სისხლს აიღებთ.

— აჰ, კეთილშობილო რაინდო, ღმერთმა მოგაგოთ სამაგიერო სიკეთე! როცა ჩემი შვილი ალექსანდრე-ობოლი გაიზრდება, წინ დაგუდებ მამის სისხლიან პერანგსა და ღუბლეტს. ვუჩვენებ და ვეტყვი, რაცა სჭირს, ვისგანაცა სჭირს და, მე მგონია, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

ასე დაემშვიდობნენ ერთმეორეს და სერ სალუკი უკან გაბრუნდა, როცა მეფე მარკის სასახლეში მივიდა, მეფე დაარწმუნა ალექსანდრე დავაბრჩეო, რამაც მეფე მარკი ძლიერ გაახარა.

ჩვენ კი ისევ დავბრუნდეთ ანგლიდასთან, რომელიც უწყალოდ მიაკენებდა ცხენს, რათა მალე კორნუელის საზღვრები უკან მოეტყუებინათ. ვილი ალაგ-ალაგ თუ შეისვენებდა ძალიან მცირე ხნით, მუხლს ამოაღებინებდა პირუტყვს და ისევ წინ მიდიოდა. იგი სულ სამხრეთისაკენ, ზღვის ნაპირისაკენ ისწრაფვოდა. ვიდრე მაგონად წოდებულ ციხესიმაგრეს არ მიაღწა. დღეს ამ ციხის სახელი არუნდელია, და იგი სასექსში მდებარეობს. კოშკის პატრონი გულთბილად შეეგება ანგლიდას და განუცხადა — შენს საკუთარ სახლში ხარო. ყველა შეჰხაროდა, რადგან ციხის გამგებლის ცოლი მისი ანლო ნათესავი იყო. გამგებლის სახელი კი სერ ბელინგერი. მანვე ანგლიდას გააგებინა, ეს ციხე, მემკვიდრეობის უფლებით, შენი საკუთრებააო.

იქ გაატარა ანგლიდამ მრავალი წელი, ვიდრე ალექსანდრე არ გაიზარდა, გახდა ძლიერი და მთელს მხარეში ულონიერესი ვაჟკაცი, რომელსაც თამაშსა და ასპარეზობაში ტოლი არ მოეძებნებოდა.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ე თ ო შ ი ხ ა ე ა თ

როგორ გადასცა ანგლიდამ შვილს მამის სისხლიანი პერანგი, როცა ჰაბუკი რაინდამ აპურთხს, თანაც დაავალა მამისათვის შურისძიება

აი, ერთხელ ანგლიდას ციხის გამგებელი ეახლა და უთხრა:

— ქალბატონო, დროა ჩემი ბატონი ალექსანდრე რაინდად ეკურთხოს, უკვე დავაჟკაცდა, ძლიერი და ჯანმადარი ყმაწვილი გაიზარდაო.

— სერ, — მიუგო ქალმა, — მინდა რაინდად ძალიან მალე ეკურთხებინათ, მაგრამ ჩემს შვილს ისეთი მძიმე საქმე უნდა დავაკისრო, რომლის სადარი ტვირთიც შვილისათვის არც ერთ დედას არ გამოუმეტებია.

— იმოქმედეთ ისე, როგორც გენებოთ, მე კი ვეტყვი, რომ დროა რაინდად ხელდასხმული იყოს. ეს მოხდება ხარება დღეს დიდმარხვაში.

— ასე იყოს, — დაეთანხმა თავის მხრივ ანგლიდა, — გთხოვთ, იმ დღისათვის ყველაფერი მოამზადოთ.

მაშინ სიმაგრის გამგებელი ალექსანდრესთან მივიდა და მოახსენა, დიდმარხვიდან ხარების დღესასწაულამდე რაინდად უნდა ეკურთხო.

— სერ, — მიუგო ალექსანდრემ, — მადლობელი ვარ უფლისა და თქვენი, რადგან ესაა საუკეთესო ამბავი, როგორიც კი ოდესმე მსმენია.

გამგებელმა ოცამდე ღირსეული ახალგაზრდა შეარჩია, წარჩინებულ ბატონთა შვილები, რომელთაც ალექსანდრესთან ერთად უნდა მიეღოთ კურთხევა.

იმავ დღეს, როცა ამ ქვეყნის რჩეულმა ოცმა ჰაბუკმა ალექსანდრესთან ერთად რაინდობა მიიღო, ანგლიდა შვილთან მივიდა და უთხრა:

— ო, ჩემო საყვარელო შვილო, გაფიცებ ლოცვის მადლსა და რაინდთა მაღალ ორდენს, რომელმაც დღეს წევრად მიგიღო, მომისმინე და იკისრე ის საქმე, რასაც ახლა დავაგალებ.

ამ სიტყვებთან ერთად უჩვენა პერანგი და დუბლეტი, რომელთაც შემხმა-

რი სისხლი აჩნდათ. როცა ალექსანდრემ ეს იხილა, წაბარბაცდა და ფერი დაკარგა.

— ძვირფასო დედა, რას ნიშნავს ეგ გასისხლიანებული პერანგი?

— გეტყვი, საყვარელო შვილო, ეს მამაშენის პერანგია, იმ დღეს გავხადე, როცა იგი მოკლეს.

შემდეგ მოკლედ მოუთხორო, რაც მოხდა.

— სახელოვან საქმეთათვის, მადლობის ნიშნად, მეფე მარკმა თვალწინ დამიკლა მეუღლე.

თ ა ვ ი ო ც ა მ ა თ ხ უ თ მ ე ბ ა

როგორ შეიტყო ალექსანდრემ ამავე მეფე მარკმა, და სერ სადუკი მისი გადარჩენისათვის კინაღამ არ მოკლა

— აი, ამიტომ გაფიცებ ჩემს ლოცვა-ვედრებასა და რაინდთა ორდენს, შური იძიე და სამაგიერო გადაუხადე მეფე მარკს მამაშენის მოკვლისათვის.

— უთხრა ესა და ქალმა გრძნობა დაკარგა. ალექსანდრე დედას მივარდა, გულში ჩაიკრა, მოასულიერა და უთხრა:

— საყვარელო დედა, თქვენ მე მომანდეთ უდიდესი საქმე, ვფიცავ, მეფე მარკს სამაგიეროს მივუზღავ, როგორც კი შევიძლებ, ამის ფიცს ვდებ ღმერთსა და თქვენს წინაშე.

ასე დასრულდა ის ზეიმიც და გამგებელმა ანგლიდის თხოვნით იზრუნა იმისათვის, რომ ალექსანდრეს ცხენიც კარგი ჰყოლოდა და იარაღიც სანაქებო შეერჩიათ. ამის შემდეგ ალექსანდრე სათითაოდ შეება თავის ახალ ამბანაგებს, რომელთაც მასთან ერთად მიიღეს კურთხევა, ოცივეს სძლია, ძირს დაყარა და ერთმაც ვერ შეძლო, მისთვის მცირე ნავნების მიყენება.

მალე ერთ-ერთი ახალგაზრდა რაინდთაგანი მეფე მარკის სასახლეში გაეშურა და მარკ მეფეს ყველაფერი ჩაუკაკლა: ალექსანდრე ცოცხალია და დედამისმა შურისძიება დაავალაო, — რაც ჩვენ უკვე ვიცით.

— ვაჰმე! — შესძახა მარკმა, — ლალატი და გამცემლობა თუ გინახავთ სადმე, ესაა! მეგონა, ჩემი მტერი დიდი ხნის მკვდარია-მეთქი, ვაგლახ! ვილას უნდა ვენდო?!

მაშინვე მეფე მარკმა მახვილი იშიშვლა და სასახლის დარბაზებში გავარდა, დიდხანს დაძრწოდა, რათა სერ სადუკი ენახა და აეჩეხა. სერ სადუკმაც დაინახა, როგორ დარბოდა მეფე ხმალამოღებულნი.

— სერ, — უთხრა, — ფრთხილად, არ მომიახლოვდეთ! იცოდეთ, ალექსანდრეს მე შევეუნარჩუნე სიცოცხლე, რადგან ვიცი, რომ მამამისი ვერაგულად და უსინდისოდ მოკალით, პრინც ბოდუინს კეთილი საქმეებისათვის მადლობა სიკვდილით გადაუხადეთ. ამიტომ უზენაესს ვვედრი და მუხლმოყრილი შევთხოვ, მოიღოს მოწყალება, ალექსანდრეს ღონე და შეძლება მისცეს, რომ გაგისწორდეთ და მამის სისხლი აიღოს. დროა მოერიდოთ ახალგაზრდა ალექსანდრეს, რადგან უკვე დიდია და რაინდადაც აკურთხეს.

— ვაჰმე, რომ იძულებული ვარ, მოვისმინო ასეთი მოღალატური სიტყვები! — შესძახა მეფემ.

აქ მეფის ოთხმა რაინდმა იშიშვლა ხმალი, რომ იქვე აეკუწათ სერ სა-

დუკი, მაგრამ მეფე მარკმა მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ ოთხივე გულგანგ-
მირული ერთმანეთის გვერდით მიაწვინა სერ სადუკმა.

სერ სადუკი გულდამშვიდებული წავიდა თავის სავანეში. მან დინჯად წა-
მოკრიფა საჭურველი, ჯაჭვის პერანგი, ცხენს მოახტა და ისე გააქროლი, რომ
დაბრკოლება არ შეხვედრია, რადგან სერ ტრისტრამს, სერ დანასს და სერ
ფერგუსს მისთვის ავი არ უნდოდათ.

მეფე მარკმა ლამის ჭკუა დაკარგა, გაცოფებულმა მაშინვე განიზრახა
ალექსანდრეს მოკვლა, რადგან ახლა ქვეყნად ყველაზე მეტად ის სძულდა.

როცა სერ ტრისტრამმა გაიგო, ალექსანდრე რაინდად აკურთხესო, მა-
შინვე წერილი მისწერა და ურჩია, დაუყოვნებლივ წადი ართურის სასახლეში
და სერ ლანსელოტის სამსახურში ჩადექიო. ალექსანდრემ თავისი მამიდაშვი-
ლის ტრისტრამის წერილი რომ წაიკითხა, განიზრახა ართურ მეფის კარზე წა-
სულიყო და, როგორც ტრისტრამი ურჩევდა, ისე მოქცეულიყო.

მარკმა კი ის ახალგაზრდა რაინდი, რომელმაც ალექსანდრეს ამბავი
ჩამოუტანა, თავისთან მიიწვია და უბრძანა, კორნუელში დარჩიო.

— სერ, — მიუგო, — მე ძალაუნებურად აქ უნდა დავრჩე, რადგან სამ-
შობლოში დაბრუნებას ვეღარ გავბედავ.

— არაფერი გიჭირს, — უთბრა მარკმა, — აქ ორჯერ მეტ მამულს მოგ-
ცემ, ვიდრე სამშობლოში გქონდა.

მაგრამ მოკლე ხანში ამ მოლაღატე რაინდს სერ სადუკი გადაეყარა და
მახვილით განგმირა. ეს რომ მეფე მარკმა გაიგო, ლამის გაცოფდა. მაშინვე
ორ ჯადოქართან — ფეა მორგანსა და ჩრდილოეთ უელსის დედოფალთან —
აფრინა წერილები, რომლებშიაც სთხოვდა: — ყოველ მხარეს დაგზავნეთ
მხედარი ქალები და ყველაზე უფრო მძვინვარე რაინდები, როგორებიც არიან
სერ მალეგრინი და სერ ბრიუს უმოწყალო, ჩაუსაფრდით, გამოიჭირეთ ალექ-
სანდრე-ობოლი, რომელიც ან უნდა მოკლათ, ანდა შეიპყროთ და ისე მომ-
გვაროთ!

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ა თ ე ა მ ხ მ ე ბ ა

როგორ მოიხრობა სერ ალექსანდრე ტრისტრამი პირველობა, ფეა მორგანის აშგაზი,
როგორ ებრძოდა სერ ალექსანდრე სერ მალეგრინს და როგორ გაიშარჯვა

ჩვენ ახლა ვიამბობთ სერ ალექსანდრეს ამბავს, რომელიც თავის დედას
დაემშვიდობა, წაიღო მამის სისხლიანი პერანგი და თან დაატარებდა აღსას-
რულამდე, ნიშნად იმისა, რომ შურისძიება არ დავიწყებია.

სერ ტრისტრამის რჩევით, სერ ალექსანდრე ლონდონს გაეშურა, რომ
სერ ლანსელოტს ხლებოდა. ზღვის ნაპირზე გასულს გზა აერია და ლონდონს
მიმავალს ტურნირზე გამოსვლა მოუხდა. ეს იყო მეფე კარადოსის მიერ მოწყ-
ობილი ტურნირი, სადაც ალექსანდრემ პირველობა დაისაკუთრა — სძლია
თვით მეფე კარადოსი და მისი ოცი რაინდი, აგრეთვე სერ საფირი, ქებული
რაინდი, სერ პალომიდის ძმა.

ყოველივე ამის მოწამე იყო ერთი ქალწული, რომელმაც ფეა მორგანს
შეატყობინა, რომ ნახა ქვეყნად უძლიერესი რაინდი, რომელიც, ვისაც სძლე-
ვ

და, ფიცს ართმევდა, რომ იარაღს თორმეტი თვე და ერთი დღე აღარ იხსამდა.

— აი, კეთილი ცნობა, — თქვა ფეა მორგანმა, — იმ რაინდის ნახვა დიდი ხანია ოცნებად მაქვს გადაქცეული.

ამ სიტყვებზე ფეა მორგანი ცხენს მოახტა. დიდხანს შიშკროლვდა და ბოლოს თავის კარვებში შეისვენა. ხედავს, მოდის ოთხი რაინდი, ორი შეიარაღებულია, ორიც უიარაღო. მათ თავიანთი სახელები უთხრეს ფეა მორგანს. პირველი იყო ელიას დე გომორეტი, მეორე — კარ დე გომორეტი, ორივე შეიარაღებული. დანარჩენი ორი კამილარდიდან აღმოჩნდნენ და ნათესავეებად ხვდებოდნენ დედოფალ გვინივერას, მათი სახელები კი იყო სერ გი და სერ გრანატი. ეს ორი უიარაღო იყო.

აი, ამ ოთხმა რაინდმა უთხრა ფეა მორგანს, ერთ-ერთი სიმაგრის კედლებთან ერთმა ახალგაზრდა რაინდმა ოთხივე დაგვჯაბნა და ცხენებიდან ჩამოგვყარაო. იმ სიმაგრეში ერთმა ქალწულმა გვითხრა, ეს კაცი სულ ყმაწვილია და ახლახან ეკურთხაო რაინდად. ჩვენ კი გვგონია, რომ მის შუბს მხოლოდ სერ ტრისტრამი, სერ ლანსელოტი ან სერ ლამორაკი თუ გაუძლებდნენ სხვა უნავირზე ვერავინ გაუმაგრდებოდა.

— კარგით, — თქვა ფეა მორგანმა, — მალე შევხვდები იმ რაინდს, თუ ჯერ კიდევ ამ ქვეყნის საზღვრებს არ გასცილებია.

ახლა კი მივუბრუნდეთ ქალწულს, რომელიც იმ სიმაგრეში ცხოვრობდა. როცა სერ ალექსანდრემ ოთხივე რაინდი დაამარცხა, ამ ქალმა დაუძახა და უთხრა:

— სერ რაინდო, ხომ ვერ იკისრებ ჩემი გულისათვის შეება ერთ მეზობელ რაინდს, ჩემს უბოროტეს მტერს? მისი სახელია სერ მალეგრინი, და არაააირად არ მაძლევს ნებას, რომ ვინმეს გავყვე, გათხოვებას მიკრძალავს.

— ქალიშვილო, — მიუგო სერ ალექსანდრემ, — თუ ჩემს აქ ყოფნაში სადმე გამოჩნდება, შევებრძოლები.

მაშინ ქალმა მალეგრინს კაცი გაუგზავნა და ისიც ეახლა, რადგან ერთგულად ემსახურებოდა. მალეგრინმა სხვა რაინდი რომ ნახა იქ, სადაც ბატონ-ბატონად თავისი თავი ეგულებოდა, მოიღუშა და საომრად მოემზადა. ისინი დაუნდობლად ეკვეთნენ შუბებით ერთურთს. სერ მალეგრინმა სერ ალექსანდრეს შუბი შეაღწია, სერ ალექსანდრემ კი სამაგიროდ ისე აძგერა მახვილი, რომ ცხენიდან გადააყირავა. სერ მალეგრინმა ფეხები მყისვე გაითავისუფლა, ფარი იფარა, მახვილი იშიშვლა და სერ ალექსანდრეს შეუძახა, ცხენიდან გადმოდიო.

— იცოდე, ცხენზე შენ მაჯობე, მაგრამ ქვეითად ისე დაგხვდები, როგორც რაინდს ეკადრება.

— კეთილი, — მიუგო სერ ალექსანდრემ.

ამ სიტყვებზე ჩამოქვეითდა და ცხენი პაეს ჩააბარა.

რაინდები ერთმანეთს ეძგერნენ, როგორც ორი გარეული ტახი, მთელი სამი საათი ურტყეს ერთმანეთს და, ვერც ერთი ვერ დაიკვებნიდა, ვძლიეო. ამასობაში ქალწულის კოშკში ფეა მორგანი მივიდა და ორივე ქალი ბრძოლას გაფაციცებით ადევნებდა თვალს.

მალეგრინი მრავალნაცადი რაინდი იყო, მუხლმაგარი, მთელს ქვეყანაზე სახელგანთქმული ქვეითად ბრძოლაში, თუმცა ცხენდაცხენ ბევრი ვინმე სჯაბ-

ნიდა. სერ მალეგრინი ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა, რომ სერ ალექსანდრე სასიკვდილოდ დაეტყრა, ჯერჯერობით კი ისე დასერა და იმდენი სისხლი დააკარგვინა, რომ საოცარი იყო, მისი მოწინააღმდეგე ფეხზე როგორღა იდგა.

— ჰეი, სერ რაინდო, — უთხრა ბოლოს სერ მალეგრინმა სერ ალექსანდრეს, — ერთ წამს შეჩერდი და მითხარი, ვინა ხარ.

— არა, — მიუგო სერ ალექსანდრემ, — ძალას ვერავეინ დამატანს სახელი მათქმევინოს, შენ თვითონ ვინა ხარ და რა უფლებით ეპატრონები აქაურ მამულებს, თქვი, თორემ ჩემი ხელით მთიშვი სიკვდილს.

— მოწყალეო ხელმწიფე, მაშ უწყოდე, რომ ამ ქალიშვილის სიყვარულით მე მოვკალი ათი ქებული რაინდი, ასე გამიმართლა ბოროტმა ბედმა, ათიც ბრაზითა და ამპარტავნობით დავასამარე.

— ისემც ღმერთი შემეწევა, — მიუგო სერ ალექსანდრემ, — უფრო საზიზღარი აღსარება არც ერთი რაინდისაგან არ მომესმინოს. მართლაც სანანებელი იქნება შენი დატოვება ცოცხალთა შორის, ამიტომ გამიმავრდი! რადგან ღვთის ერთგული რაინდი ვარ, ან უნდა მოგკლა ან უნდა შეგაკვდე.

ისევ გაშმაგებით დაეტაკნენ ერთმანეთს. ბოლოს სერ ალექსანდრემ მაინც სძლია, მეტოქე ძირს დასცა, მუზარადი მოხადა და თავი მოჰკვეთა. ამის შემდეგ ცხენზე შეჭდომა ეწიდა, მაგრამ ვერ შეძლო, ისე იყო დაუძღურებული. მაშინ თქვა:

— მოწყალე მექმენ მე, მაცხოვარო!

დაჭრილსა და არაქათგამოცლილს ფეა მორგანი მიუახლოვდა და უთხრა, სულით არ დაეცეო. ჭაბუკი რაინდი ეტლში ჩასვა. ცხენები გარეკა და თავის კოშკში წაიყვანა, რადგან დაუძღურებული ფეხზე ვერ ჩერდებოდა. ტანზე თექვსმეტი მძიმე ჭრილობა ჰქონდა, ერთი მათგანი კი ისე მძიმე იყო, რომ სიკვდილი ემუქრებოდა.

თავი ოცდამეხუთე

როგორ შეიტყუა თავის სიმაგრეში ფეა მორგანმა ალექსანდრე და როგორ უმკურნალა

პირველად დედოფალმა ფეა მორგანმა ჭრილობები ჩამოხანა, უწამლა და ისე მაგრად დაზილა, რომ კინალამ სული გააცხებინა. დილით, როცა დედოფალი ისევ ესტუმრა, დაჭრილმა შესჩივლა, საშინლად ვიტანჯებით, მაშინ სხვა წამალი წაუსვა და ტკივილები ერთბაშად ჩაუცხრა. მალე ფეა მორგანს ეახლა იმ კოშკის მფლობელი ქალწული და ასე უთხრა:

— გეხვეწებით, საქმე ისე გაარიგეთ, ამ რაინდმა ცოლად შემირთოს, რადგან ეს უფლება მან იარაღით მოიპოვა.

— თქვენ ნახავთ, — თქვა ფეა მორგანმა, — როგორი იქნება ჩემი პასუხი.

თვითონ დედოფალი ფეა მორგანი ალექსანდრესთან შევიდა და უთხრა:

— არავითარ შემთხვევაში არ შეუსრულო თხოვნა იმ ქალს, თუ შენი ცოლობა მოიწადინოს, ის შენი საკადრისი არაა.

ის ქალწული კი მაინც ეწვია სერ ალექსანდრეს და უთხრა, მინდა ცოლად გამოგყვეო.

— ქალიშვილო, — მიუგო ალექსანდრემ, — მადლობელი ვარ იმისა, რომ თქვენს ღირსად მივაჩნივართ, მაგრამ ამ ქვეყანაში დაქორწინებას არ ვაპირებ.

ერძინული

— სერ, — უთხრა მაშინ ქალმა, — რაკი თვითონვე გინდათ თქვენი მონაპოვარი გამოიყენოთ, ეს მაინც შემისრულეთ; მიმათხოვეთ ერთ აქაურ რაინდს, რომელსაც დიდი ხანია ვუყვარვარ და თანაც ჩემი ერთგულია.

— სულითა და გულით დაგეთანხმებით ამაზე, — მიუგო რაინდმა.

მაშინვე გაუგზავნეს კაცი იმ რაინდს, სახელად გერინ ახოვანს. ალექსანდრემ მას ჩააბარა ქალის ხელი და ორივე დალოცა.

ამ ჯვარისწერის შემდეგ დედოფალი ფეა მორგანი სერ ალექსანდრესთან შევიდა, წამოაყენა, ისევ ჩასვა ეტლში და ისეთი წამალი მისცა, რომ სამი დღე და ღამე ეძინა. ფეა მორგანმა მძინარე რაინდი გადაიყვანა თავის დიდ სიმაგრეში, რასაც იმ დროს ერქვა ბელ-რეგარდი. იქ ისევ ინახულა და ჰკითხა, გინდა თუ არა განკურნებაო.

— ქალბატონო, ვის უნდა სნეული იყოს, თუ შესაძლებელია განკურნება?

— კეთილი, — მიუგო ფეა მორგანმა, — შემომფიცეთ რაინდის სიტყვით, რომ თორმეტი თვისა და ერთი დღის განმავლობაში ამ კოშკიდან არ გავალთ და მაშინვე მორჩებით.

— თანახმა ვარ, — უთხრა სერ ალექსანდრემ.

შეჰფიცა და მაშინვე განიკურნა. მაგრამ თავი რომ ჯანსაღად იგრძნო, გულმა გარეთ გაუწია და დასწყევლა თავისი ფიცი, რადგან შურისძიების წუთი გადაიღო.

ამასობაში იქ ერთი ქალიშვილი მოვიდა, იგი ბაზის გრაფის ძმისწული იყო და ფეა მორგანის ახლო ნათესავი, ბელ-რეგარდის ციხეც მემკვიდრეობით მას უნდა რგებოდა. შევიდა ეს ქალი კოშკში და იქ სარეცელში ნახა დაღვრემილი სერ ალექსანდრე.

თავი ოცდამეთვრამეტე

როგორ მოახერხა სერ ალექსანდრემ ქალიშვილის დახმარებით დედოფალ ფეა მორგანის კოშკიდან თავის დაღწევა

— სერ რაინდო, — უთხრა ქალიშვილმა, — თუ გინდათ გამზიარულდეთ, კარგი ამბავი მოგიტანეთ.

— კარგი იქნებოდა, — მიუგო ალექსანდრემ, — ნეტავი, რამე საკეთილო ამბავი მაინც გამაგებინა, თორემ აქ მე ჩემი საკუთარი სიტყვის ტყვე ვარ.

— სერ, — უთხრა ქალიშვილმა, — იცოდეთ, თქვენი ტყვეობა უფრო მძიმეა, ვიდრე გგონიათ, რადგან ჩემი ქალბატონი და დაი აქ მისთვის გაკავებთ, რომ, როცა მოესურვება, თქვენთან წოლით ისიამოვნოს.

— უფალმა ღმერთმა დამიფაროს! — შესძახა სერ ალექსანდრემ, — ღმერთმა დამიფაროს ასეთი სიამოვნებისაგან! უმალ იმას ვისურვებ, დამისაჭურისონ, ვიდრე იმ გრძნეულთან სარეცელი გავიყო.

— ღმერთი იყოს ჩემი შემწეც, — უთხრა ქალმა, — თუ მე შემიყვარებით და ჩემს რჩევას აჰყვებით, გასწავლით, როგორ დააღწიოთ მას თავი.

— მასწავლეთ, როგორ მოვიქცე და ჩემს სიყვარულს დაიმსახურებთ.

ის მიწა, რაზედაც სიმაგრე იდგა. ალისამ კარავიც დაფერფლილი კოშკის მეზობლად გამართა.

ალისამ კარავში მოკალათებაც ვერ მოასწრო, როს იმ ალიას გამოცხადდა ართურის რაინდი სერ საგრამურ სასურველი და სერ ალექსანდრე-ორთაბრძოლაში გამოიწვია. რაინდებმა ცხენები შეაფიცხეს, ვინაჟარდეს და საგრამურ სასურველმა შუბი შეაღწია ალექსანდრეს, ხოლო ალექსანდრემ შუბით გადაუტეხა უნაგირის ტახტა და სახელოვანი რაინდი მიწაზე დააგდო.

როს მშვენიერმა ალისამ საკუთარი თვალთ იხილა, როგორი ხელოვნებითა და ოსტატობით იბრძოდა ალექსანდრე, მოეჩვენა, რომ ასეთი ლამაზი მხედარი არასოდეს უნახავს. იგი მაშინვე გამოვარდა კარვიდან, რაინდის ცხენს სადავე დაუჭირა და უთხრა:

— ძვირფასო რაინდო! რაინდულ ღირსებას გაფიცებ, მიჩვენე შენი სახე!

— რატომაც არა, — მიუგო ალექსანდრემ, — არც სახის ჩვენებისა შემეშინდება.

მუზარადი მოიხადა, ქალმა სახე დაუნახა და უთხრა:

— აჰ, მოწყალე იესო! შენ უნდა მიყვარდე და არავინ სხვა!

— მაშინ თქვენი სახეც მიჩვენეთ, — უთხრა რაინდმა.

თ ა ვ ი ო ს დ ა მ ე ც ხ რ ა მ ე ბ ე

როგორ შეხვდა ალექსანდრე ალისა-მშვენიერმოხლოცველს, როგორ ებრძოდა შუბით ორ რაინდს, აზრთვე მისი და სერ მორდრედის ამბავი

ქალმა პირბადე გადაიძრო, ალექსანდრემ შეხედა და თქვა:

— ჭეშმარიტო ღმერთო, უფალო იესო! ვიპოვე, ვისაც ჩემი გული დაეძებდა, ქალი და სატრფო! ფფიცავ, მშვენიერო, რომ მხოლოდ თქვენი ერთგული რაინდი ვიქნები და სხვისი არავისი.

— ახლა კი, კეთილშობილო რაინდო, — უთხრა ქალმა, — თქვენი სახელიც მითხარით.

— ქალბატონო, ჩემი სახელია სერ ალექსანდრე-ობოლი.

— აჰ, სერ, — შესძახა ალისამ, — ჩემი სახელიც თუ გინდათ იცოდეთ, მქვია ალისა-მშვენიერმოხლოცველი. შემდეგ, თავისუფალ დროს, ერთიმეორეს ვეტყვით ჩვენ-ჩვენი ჩამომავლობის ამბავს.

ასე დაიწყო მათი დიდი სიყვარული.

ვიდრე ასე საუბრობდნენ, ცხენი ჭენებით მოაგდო რაინდმა სერ პარლეს წვეროსანმა და-განაცხადა, სერ ალექსანდრემ ომი შუბით გამისწოროსო, მაშინ ალექსანდრე ბრძოლაში გაჰყვა და პირველსავე შეხლაზე ცხენიდან გადააყირავა. მალე მეორე რაინდი, სერ ჰიუგონი მოვიდა და სერ ალექსანდრემ ისიც ძირს დასცა. სერ ჰიუგონმა ქვეითად ბრძოლა ითხოვა, და აქაც სერ ალექსანდრემ სამი დარტყმით დათრგუნა. დასცა, მუზარადი მოხადა და თავი უნდა მოეჭრა, მაგრამ სერ ჰიუგონმა მორჩილება ამჯობინა. სერ ალექსანდრემ ორივე რაინდს ფიცი ჩამოართვა, რომ ერთი წლისა და ერთი დღის განმავლობაში იარაღს ხელს აღარ ახლებდნენ. შემდეგ სერ ალექსანდრე მოსასვენებლად წავიდა. ამასობაში იმ ქალიშვილმა, ვინც ფეა მორგანის კოშ-

კიდან იხსნა, ალისას უამბო, როგორ მოხვდა სერ ალექსანდრე ტყვეობაში და როგორ გამოიხსნა იგი.

— სერ, — მიმართა ალისა მშვენიერმა ალექსანდრეს, — შეჩვენება, რომ თქვენ იმ ქალიშვილს ძლიერ დაუვალებიხართ.

— ჭეშმარიტად ასეა, — მიუფო ალექსანდრემ.

შემდეგ ალისამ თავისი ჩამომავლობის ამბავი უთხრა:

— სერ, იცოდეთ, მეფე ბანის გვარისა ვარ, სერ ლანსელოტის მამისა.

— თქვენის პირით ჭეშმარიტება დალადებს, მშვენიერო ქალიშვილო, მე კი დედამ შითხრა, მამაჩემი მეფის ძმა ყოფილა, სერ ტრისტრამი კი ჩემი ახლო ნათესავია.

მალე იქ მოვიდა სამი რაინდი. სერ ალექსანდრემ სამივე შუბით დასცა ძირს. რაინდები ისე დაშავდნენ, რომ ჭვეითად ბრძოლა აღარ ეხალისებოდათ, სერ ალექსანდრემ მათაც ჩამოართვა ფიცი, რომ მთელი წელი იარაღს აღარ ატარებდნენ.

როცა ისინი წავიდნენ, სერ ალექსანდრე ცხენიდან არც ჩამოსულა, ისე დაჟინებით შესცქეროდა კარვის კარზე მდგარ სატრფოს, ალისას, და მისი სიყვარულით გონი და ცნობა დაკარგა. მშობრალომ აღარც კი იცოდა, ცხენზე იჯდა თუ მიწაზე იდგა. სწორედ ამ დროს მოვარდა ვერაგი რაინდი სერ მორდრედი, ნახა, რომ სერ ალექსანდრე სიყვარულისაგან გონწასულია, მისი ცხენის სადავეს ხელი სტაცა და თან გაიყოლია, რათა დანიშნული ადგილიდან გაეყვანა და ამით სირცხვილში ჩაეგდო.

ბედად, სერ ალექსანდრეს კოშკიდან გამომხსნელმა ქალიშვილმა დაინახა რა სირცხვილიც ელოდა მის საყვარელ რაინდს, აბჯარი მოიძია, მხარზე ფარი გადაიკიდა, ცხენს მოახტა, ხმალი იშიშვლა და ისეთი დაჰკრა სერ ალექსანდრეს მუზარადზე, რომ ცეცხლი დააკვესა. სერ ალექსანდრეს თვალებიდანაც ნაპერწკლები დასცვივდა. ასეთი დარტყმა რომ იგემა, გონს მოვიდა, ხმალი იშიშვლა. ქალი გაერიდა და ცხენი გააჭროლა. სერ მორდრედმაც ტყეს მისცა თავი, ქალიშვილი კი კარავში დაიმალა.

ახლა კი მიხვდა სერ ალექსანდრე, რა სირცხვილშიც ჩავარდებოდა, ის მამაცი ქალიშვილი რომ არ მოვლენოდა მხსნელად, და ინანა, რომ სერ მორდრედი ცოცხალი გაუშვა.

ასე იბრძოდა სერ ალექსანდრე ყოველდღე. იგი ხან ამხედრებული ხვდებოდა მოწინააღმდეგეთ და ხან ჭვეითად იბრძოდა. მრავალი ბრძოლა გადაიხადა მეფე ართურის კარის რაინდებთან, ასე რომ, ყოველი ორთაბრძოლის აღწერა შორს წაგვიყვანდა. იმ თორმეტი თვის განმავლობაში არ ყოფილა დღე, რომ ბრძოლაში არ გასულიყო, ხანდახან ორსა და სამსაც ებრძოდა და ვერც ერთმა ვერ სძლია.

ერთი წლის თავზე კი თავისი სატრფო ალისა მშვენიერი წაიყვანა და იქაურობა მიატოვა. ის მეორე ქალიშვილიც არაფრისათვის არ დაშორდა და სამივე ერთად გაემართა თავიანთ ჭვეყანაში, ბენვიკში, სადაც ბედნიერად და მხიარულად ცხოვრობდნენ. წიგნში ნათქვამია, რომ მეფე მარკს ძილი და მოსვენება ჰქონდა დაკარგული, ვიდრე ალექსანდრე ვერაგულად არ მოკლა. მშვენიერმა ალისამ კი სერ ალექსანდრეს სიკვდილამდე აჩუქა შვილი, რომელსაც მერმე უწოდეს ბელინგერ სასტიკი. სერ ალექსანდრეს ძემ მეფე ართურის სასახლეში მოხვედრა მოახერხა და იქ თავი გამოიჩინა როგორც ჭველმა რა-

ინდმა. მანვე მიუზღო სამაგიერო უღირს მეფე მარკს, რომელმაც დალატით მოაკვლევინა სერ ალექსანდრეცა და სერ ტრისტრამიც.

ალექსანდრეს კი ბედმა არ აღირსა პატივი, რომ მეფე ართურის კარზე მოხვედრილიყო. მისი სერ ლანსელოტთან ერთად ყოფნა სერ ალექსანდრეს ართურის დროის ერთ-ერთ უწარჩინებულესი რაინდის სახელს მიუუბრუნებდა. ასედაც თვლიდა ყველა, ვისაც მასთან შეხვედრა ჰქონია. მაგრამ ამის ნაცვლად ყველა დასტიროდა დალატით დალუპულ ქველ რაინდს.

თ ა ვ ი მ ი ო რ მ ი ო ც ე

როგორ გაიგართა, სერ გალაპალტის ბრძანებით, სურლუზის ტურნირი, რომელმაც დედოფალ გვინივერას რაინდები ყველა ჩამოსულს უნდა შეეპოვნათ.

მოხდა ისე, რომ ართურ მეფეს ეწვია სერ გალაპალტი. ეს იყო დიდგვაროვანი პრინცი, სურლუზის ქვეყნის მბრძანებელი, რომელსაც ჰყავდა ქველი რაინდების რაზმი და თვითონაც სახელოვანი რაინდი იყო. აი, ეს ბრწყინვალე პრინცი ესტუმრა ართურ მეფეს და თავისი მოსვლის მიზეზი მოახსენა: მას სურლუზის ქვეყანაში ტურნირის მოწყობა ჰქონდა განზრახული, ეს მხარე ართურის საბრძანებელში შედიოდა და მეფისაგან ასპარეზობის გამართვის ნებას ითხოვდა.

— ნება მომიცია, — უთხრა ართურ მეფემ, — მაგრამ იცოდეთ, თვითონ იქ ვერ ჩამოვალ.

— სერ, — უთხრა დედოფალმა გვინივერამ, — მე ხომ არ მომცემთ ნებას, რომ იმ ტურნირზე წავიდე?

— სიამოვნებით, — მიუგო ართურმა, — რადგან სერ გალაპალტი კეთილშობილი ბარონია და თავის მფარველობას არ მოგაკლებთ.

— სერ, როგორც მიბრძანებთ, ისე იქნება.

დედოფალმა კიდევ დაუმატა სათხოვნელი:

— მინდა ზოგიერთი რაინდი შევარჩიო და თან წავიყვანო.

— მოიქეცით ისე, როგორც გნებავთ, — დასტური მისცა მეფემ.

მაშინ დედოფალმა სერ ლანსელოტს უბრძანა, გაემზადე იმ რაინდებთან ერთად, რომელთაც თვითონ შეარჩევო.

ამასობაში ქვეყნის ყველა მხარეს შიკრიკები აფრინეს, ყველა ქებულ ქალაქსა და სიმაგრეს აუწყეს, სურლუზის ქვეყანაში ტურნირი იმართება, შვიდ დღეს გაგრძელდება და იმ ტურნირზე მაღალკეთილშობილი პრინცი დედოფალ გვინივერას რაინდებთან ერთად შეებრძოლება ყველას, ვინც იმ ტურნირზე გამოცხადდებაო. როგორც კი მალემსრბოლთ ეს ამბავი აუწყეს, მეფეებმა და პრინციებმა, პერცოგებმა, ბარონებმა, გრაფებმა და თვითონ კეთილშობილმა რაინდებმა ტურნირზე წასასვლელად მზადება დაიწყეს. ტურნირის დაწყების დღეს იქ გადაცმული სერ დინადანიც მივიდა.

თავი ორმოდამეტო



როგორ იბრძოდა ტურნიკზე სერ ლანსელოტი და რა საგმირო საქმეებზე მუშაობდა
სერ ვალდემარე ვალდემარის გულისთვის

სერ დინადანმა იქ მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა, მაგრამ შემდეგ დედოფალ გვინივერას და მეფე ბაგდემაგუსის ნებით გაჩაღებული ბრძოლის შუაგულში შეიჭრა სერ ლანსელოტი. არც მას ჰქონდა რაიმე განმასხვავებელ-გამოსარჩევი ნიშანი, ამიტომ იგი ტურნიკზე თითქმის ვერავინ იცნო. სერ ლანსელოტს შეება სერ ექტორ მენაპირე, ღვიძლი ძმა, და შუბები ბოლომდე შეაღწეს ერთმანეთს. შემდეგ ახალი შუბები მოიმარჯვეს და სერ ლანსელოტმა შუბის ძლიერი ძველებით ძირს დააგდო სერ ექტორი, თავისი სისხლიერი ძმა.

ეს რომ სერ ბლეობერისმა ნახა, ისე ძალუმაღ დაჰკრა ლანსელოტს მუზარადზე, რომ სახელოვან რაინდს ერთის წამით თვალთ დაუბნელდა. სამაგიეროდ სერ ბლეობერისს ისეთი დარტყმა აგემა სერ ლანსელოტმა, რომ იმან თავი უმწეოდ გადააგდო გვერდზე, მეორე დარტყმით კი უნაგირიდან ძირს ჩამოაგდო. შემდეგ გაფიცებული ცხენი გააქროლა და ბრძოლის შუაგულში ტრიალი განაგრძო.

როცა ჩრდილოეთ უელსის მეფემ სერ ექტორი და სერ ბლეობერისი მიწაზე გამზლართულები ნახა, განრისხდა. ეს რაინდები მის მხარეს იბრძოდნენ სურლუხელების წინააღმდეგ, იგი დაუყოვნებლივ დაიძრა სერ ლანსელოტის ცხენიდან ჩამოსაგდებად და შუბი ზედ შეაღწია. სერ ლანსელოტმა დარტყმას გაუძლო და ისე ძლიერად დაჰკრა ხმალი მომხდურს, რომ მეფე ცხენიდან თავდაყირა ჩამოვარდა. მალე უელსის მეფე ისევ შესვეს ცხენზე.

ახლა მეფე ბაგდემაგუსის რაინდები გავიდნენ ჩრდილოეთ უელსის რაინდების წინააღმდეგ და ახალი ცხარე ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ ჩრდილოეთ უელსის რაინდები უფრო ძლიერნი იყვნენ, ვიდრე მოწინააღმდეგენი.

სერ ლანსელოტმა რომ ნახა, მისი მხარე მარცხდება, მძიმე მახვილით ხელში გაეშურა და ბრძოლის შუაგულში შეიჭრა. იგი მარჯვნივ და მარცხნივ კაფავდა მოწინააღმდეგეთ, ჰრიდა და ყრიდა რაინდებს უნაგირებიდან, ხდიდა მუზარადებს და მისი უთვალავი საგმირო საქმეებით ყველა განცვიფრებული იყო.

სერ მელეგანტი, მეფე ბაგდემაგუსის შვილი, კარგად დააკვირდა და სერ ლანსელოტი შეიცნო. იგი იმასაც მიხვდა, სერ ლანსელოტი მისი მიზეზით ინიღბებოდა და მან მაშინვე ერთ-ერთ რაინდს სთხოვა, მახვილით ან შუბით ცხენი მოუკალიო.

ამასობაში მეფე ბაგდემაგუსმა განზე გაიხმო კეთილი რაინდი სერ საუსისი და ასე უთხრა:

— აი, რას ვეტყვით, ძვირფასო რაინდო სერ საუსის, მიდით ჩემს შვილთან, შეებით და ცოტა ჰკუთასწავლეთ, რადგან მინდა თქვენის ხელით დამარცხდეს და ბრძოლის ველი მიატოვოს.

საუსისი შეება მელიგანსს და ორივე ძირს დაეცა. მაშინ ქვეითად გამართეს ბრძოლა. სერ საუსისი მაინც დასჯაბნიდა სერ მელიგანსს, რომ არ მიშველებოდნენ. მაგრამ ჩაჰბერა თუ არა ბუქს მალაქეთილშობილმა პრინცმა,

ბრძოლა იმწამსვე შეწყდა, ყველა რაინდმა აიყარა საომარი საქურველი და ნადიმზე გაეშურა. ამასობაში მალალკეთილშობილ პრინცს ეახლა ერთი ქალიშვილი და რაინდ გონერისს უჩივლა, მთელი ჩემი მამულები მიისაკუთრაო. ის რაინდი კი სწორედ იქ იყო, ხელთათმანი წაიძრო ხელეფან და ქალს ესროლა. ეს იყო გამოწვევა ყველასი, ვინც მისი სახელით ~~ორთაბრძოლას~~ ისურვებდა. ქალიშვილმა ხელთათმანი აიღო და დალონდა, რადგან მისი ქომაგი არავინ ჩანდა. უცებ ქალს ერთი პაეი ეახლა და უთხრა:

— ქალიშვილო, შეასრულებთ ჩემს რჩევას?

— სიამოვნებით, — მიუგო ქალმა.

— მაშინ მიდით იმ რაინდთან, აქვე დედათა სავანის წინ რომ გაჩერდა, ის რაინდი მბრძღვინავ მხეცს დასდევს, მას სთხოვეთ დახმარება. იგი უთუოდ იკისრებს თქვენს დაცვას.

ქალიშვილი მაშინვე ცხენს მოახტა და მალე იპოვა დედათა სავანის წინ ჩამომხდარი რაინდი, რომელიც სერ პალომიდი აღმოჩნდა. როგორც კი სთხოვა, ქომაგად დამიდექით, სერ პალომიდმა იარაღი აისხა და ქალიშვილს გაჰყვა. სერ პალომიდმა ქალიშვილი მალალკეთილშობილ პრინცთან გააგზავნა, ამ ქალწულის რაინდი ვარ და ორთაბრძოლის ნება მომეციო, სთხოვა.

— ნება მომიცია, — მიუგო პრინცმა.

რაინდები გაემზადნენ და სატურნირო მოედანზე გავიდნენ. ხელთ მძიმე შუბები ეჭირათ. ისინი ერთმანეთისაკენ დაიძრნენ და შუბები ისეთი ძალით ატაკეს ერთიმეორეს, რომ შუბები დაელეწათ. მაშინ მახვილები იშიშვლეს. სერ პალომიდმა სერ გონერისი ერთი დარტყმით დასცა მიწაზე. მაშინვე მუზარადი მოხალა და თავი მოჰკვეთა.

შემდეგ ყველანი სავანშემოდ წავიდნენ.

ქალწულმა სერ პალომიდი გულთ შეიყვარა, მაგრამ როგორც წიგნშია მოთხრობილი, ერთი ჯილაგისანი აღმოჩნდნენ.

სერ გალაპალტმა გამოაცხადა: ვინც პალომიდს დაამარცხებს, მისი მხლებელი ქალიშვილიც იმას დარჩებაო.

თ ა ვ ი ო რ ა მ ო ც ჯ ა მ ა ო რ ა ე

როგორ იბრძოდნენ სერ გალაპალტი და სერ პალომიდი. სერ დინადანისა და სერ გალაპალტის ამბავი

გათენდა მეორე დღე. როგორც კი ასპარეზზე საომრად შექურვილი სერ პალომიდი გამოჩნდა, იქითა მხრიდან მასთან შესაბამელად სერ გალაპალტმა, მალალკეთილშობილმა პრინცმა გამოახტუნა ბედაური. მოწინააღმდეგეებმა მძიმე შუბები მოიმარჯვეს და ისეთი ძალით აძგერეს ერთმანეთს, რომ შუბები შუაზე გაიპო. გალაპალტის დარტყმა ისე ძლიერი იყო, რომ პალომიდმა ცხენის გავაზე გადაინაცვლა. შემდეგ ხმლები იშიშვლეს და იმდენი მძიმე დარტყმა აგემეს ერთიმეორეს, რომ ზოგიერთმა რაინდმა ბრძოლა შეწყვიტა, ხმალი ძირს დაუშვა და იმ ორთაბრძოლას შეაჩერდა. ბოლოს სერ გალაპალტმა ისეთი ძალით დაჰკრა მუზარადზე, რომ ზრიალი შორს გაისმა. სერ პალომიდის მუზარადი ძალზე მაგარი აღმოჩნდა, ხმალმა იგი ვერ გაჰკვეთა, ძირს ჩასრიალდა და პალომიდის ცხენს თავი წააცალა.

როცა სერ გალაპალტმა ძირს გაშლართული პალომიდი და თავმოკვეთილი ცხენი დაინახა, თავისივე საქციელისა შერცხვა, მაშინვე დაქვეითდა, სერ პალომიდს თავისი ცხენი საჩუქრად შესთავაზა და პარტიება სთხოვა.

— სერ, — მიუგო სერ პალომიდმა, — მადლობელი ვარ სიკვდილისათვის, რადგან კეთილშობილი კაცი არასოდეს არ შეურაცხყოფს რაინდს. შემდეგ იქვე შეჭდა პრინცის ცხენზე, პრინცს კი სხვა ცხენი მიჰგვარეს.

— სერ, — უთხრა პალომიდმა, — მეცა და ჩემი ქალიც თქვენი მსახურები ვიქნებით.

ასე დაშორდნენ ერთიმეორეს და შემდეგაც ტურნირზე სერ გალაპალტმა ბევრი საგმირო საქმე მოახდინა. მალე მის წინააღმდეგ გამოვიდა სერ დინადანი. ისინი ისეთი ძალით ეკვეთნენ ერთმანეთს, რომ შუბები დაცალეწეს. სერ დინადანი თავისთვის ფიქრობდა, რომ მისი მოწინააღმდეგე დასუსტებული იქნებოდა და გაშმაგებული ურტყამდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ცხენიდან ვერ ჩამოაგდებდა, და ასე უთხრა:

— ჩემო ბატონო, გთხოვთ შეწყვიტოთ ჩემთან ბრძოლა და ვინმე სხვას შეებათ.

მაღალკეთილშობილმა პრინცმა სერ დინადანი ვერ იცნო, მაგრამ მისი თავაზიანი სიტყვები შეისმინა და ასე დაშორდნენ ერთმანეთს, იქვე ერთი რაინდი იდგა, პრინცს უთხრა, სერ დინადანი იყო.

— ჭეშმარიტად, — თქვა პრინცმა, — ვნანობ, რომ უვნებლად გავუშვი, რადგან ახლა მისი ქირღვისაგან მოსვენება არ მექნება.

მაშინვე ცხენი გააქროლა, დაეწია და შესძახა:

— შეჩერდი, სერ დინადან, ართურის სახელს გაფიცებ!

— არა, — მიუგო დინადანმა, — ღმერთმა დამიფაროს კიდევ ღღეს თქვენთან პირისპირ შეხვედრისაგან!

ამასობაში მოედანზე გამოვიდნენ ჩრდილოეთ უელსის რაინდები. უეცრად ასპარეზზე სხვა უცნობი რაინდებიც გაჩნდნენ და საქმე ისე შეტრიალდა, რომ სურლუზელებს დამარცხება ელოდათ, რადგან სერ გალაპალტს მეტი-მეტად ბევრი სალაშქრო საზრუნავი საქმე დაეკისრა. მაგრამ დროზე გამოჩნდა ქველი რაინდი სერ სემონდ მამაცი ორმოცი რაინდის თანხლებით და უელსელებს უკან დაახევინეს.

ამ დროს დედოფალმა გვინივერამ და სერ ლანსელოტმა მებუკეებს შესვენებისა დააქუხებინეს, ყველამ აიხსნა იარაღი და სანადიმოდ გასწია.

თავი ორმოცდამესამე

როგორ დასდო ბრალი სერ არადმა სერ პალომიდს დალატში, და როგორ მოკლა ის სერ პალომიდმა

როცა საჭურველი შეიხსნა, სერ პალომიდმა თავისთვის და, ვისთვისაც თავი გამოიღო, იმ ქალიშვილისთვის მოსასვენებელი მოითხოვა. პრინცმა უბრძანა ხელქვეითებს, ორივენი მოასვენეთო. მაგრამ, როგორც კი სერ პალომიდი მიწვა, თავს ერთი რაინდი წაადგა, სახელად არკადი, ძმა სერ გონერისისა, რომელიც პალომიდმა მოკლა, მოლაღატე უწოდა და თავისი ძმის მკვლელობაში დასდო ბრალი.

— მაღალკეთილშობილი პრინცის ნებართვით პასუხს გაგცემ ასეთი ბრალდების გამო, — მიუგო პალომიდმა.

როცა სერ ვალაჰალტმა მათი დავის ამბავი გაიგო, უბრძანა, ჯერ ისადილეთ. ნასადილევს კი ორივენი ფხიზლად იყავით და ორჯერ მხოლოდ სათვის მოემზადენითო.

მართლაც, სადილობის შემდეგ ორივე აღიჭურვა და ამხედრდა, დედოფალი, ლანსელოტი და მაღალკეთილშობილი პრინცი მოხერხებულ ადგილზე მოთავსდნენ და იქიდან უყურებდნენ. მსპარაზნობელმა რაინდებმა ცხენები შეაფიცხეს, ერთმანეთისაკენ დაიძრნენ და შუბები აძგერეს ერთურთს. პალომიდმა არკადი მაშინვე უკან გადააგდო, შემდეგ პალომიდი ქვეითად ბრძოლას აპირებდა, მაგრამ არკადი ფეხზე ველარ წამოდგა. მაშინ პალომიდმა ზუჩი მოხადა და თავი მოჰკვეთა.

ბრძოლის შემდეგ გვინივერა და პრინცი სავახშმოდ წავიდნენ.

მეფე ბაგდემაგუსმა თავისი ძე მელიგანსი დავალებით სადღაც გაგზავნა, რათა სერ ლანსელოტს არ შეებოდა. ამ მეფეს სასტიკად სძულდა ლანსელოტი, რაინდმა კი ეს ამბავი არ იცოდა.

თ ა შ ი ო რ ა ო ც დ ა მ ა ო თ ხ ა

ინსამე დღის ამბავი, როგორ ებრძოდა პალომიდი ლამორაბს, აგრეთვე სხვა ამბავი

აქ იწყება ტურნირის მესამე დღე. ამ დღეს საომრად გაემზადა მეფე ბაგდემაგუსი, მასთან შესაბამელად ამხედრდა მეფე მარსილი, რომელიც მაღალკეთილშობილი პრინცის — სერ ვალაჰალტის საბრძანებელში ერთ კუნძულს განაგებდა. ამ კუნძულის სახელი პომიტაუნი გახლავთ. მოხდა ისე, რომ მეფე ბაგდემაგუსი და მეფე მარსილი შეიბნენ და მეფე მარსილმა ისეთი დარტყმა იგემა, რომ ცხენის გავაზე გადავარდა. მაშინ ერთმა რაინდმა თავისი ბატონის მძლეველს შეუტია, რომ შური ეძია, მაგრამ ბაგდემაგუსმა ისიც ძირს გადააგდო. მაშინ გამოვიდა გრაფი სერ არუსი, აგრეთვე სერ ბრიუსი, მასთან ასი პომეტაუნელი რაინდი, მათთან ერთად ჩრდილოეთ უელსის მეფე, და ყველანი სურლუზის მხარის რაინდთა დასათრგუნავად დაიძრნენ. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, მრავალი რაინდი ჩაუგდეს ფეხქვეშ საკუთარ ცხენებს, მაგრამ ყველას ნოცვა-ელეტაში გადააქარბა მეფე ბაგდემაგუსმა, რადგან იგი პირველი გამოვიდა ბრძოლის ველზე და ყველაზე დიდხანს დარჩა იქ. სერ გაპერისი, გავეინის ძმა, მუდამ იმის ცდაში იყო, შუბით მისწვდომოდა მეფე ბაგდემაგუსის სახეს, იმან კი ბოლოს ძირს დასცა გაპერისიცა და იმისი ცხენიც.

ამ დროს, სად იყო და სად არა, მოვიდა სერ დინადანი. იგი თავისებურ მასხრობას მოჰყვა მეფე ბაგდემაგუსზე. ყველა რაინდი გააცინა, რადგანაც განთქმული ხუმარა იყო და ბევრი ქველი რაინდის მეგობარი გახლდათ. სადილის შემდეგ ერთი ვილაც პაეიც მიუახლოვდა მსპარაზნობლებს, თან ოთხი შუბი ჰქონდა, იგი სერ პალომდს მიუახლოვდა და უთხრა:

— აქვე მახლობლად ერთი რაინდია, შესარჩევად გამოგიგზავნათ, შუაზე გავიყოთ და თქვენი ქალისათვის ბრძოლაში გიწვევთო ტურნირზე.

— გადაეცით ჩემი იმედი ჰქონდეს, — მიუგო პალომიდმა.

მაშინ სერ გალაპალტმა უთხრა:

— მოემზადეთ საბრძოლველად!

დედოფალი გვინივერა, მალაქეთილშობილი პრინცი და სერ ლანსელოტი ლოყებში დასხდნენ, რომ ამ ორი რაინდის ბრძოლა განესაჯათ.

პალომიდი და უცნობი რაინდი ცხენდაცხენ ეტაკნენ ერთიმეორეს და ორივემ შუბი დაცალეწა. სხვა შუბები აიღეს და ისევ ნაფტოებად აქციეს. მაშინ მძიმე შუბებით შეიარაღდნენ, უცნობმა რაინდმა პალომიდი ცხენიდან გადააგდო და თვითონ ცხენიც დაბლა დასცა. მერმე წაქცეულზე ზედ გადავლა მოიწადინა. ამ დროს მისმა ცხენმა წაიბორძიკა და ზედ სერ პალომიდს დაეცა. ორივე რაინდმა მახვილები იშიშვლა და დაუნდობელი ბრძოლა გაიმართა. მალაქეთილშობილმა პრინცმა და თვით სერ ლანსელოტმა თქვეს, არასოდეს არ გვინახავს, რომ ორი რაინდი ამაზე კარგად იბრძოდესო. უცნობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი დაჟინებით ავიწროებდა პალომიდს და აორკეცებდა დარტყმებს.

ბოლოს მალაქეთილშობილმა პრინცმა ბრძოლის დასასრულის ნიშანი მისცა.

ყველა თავის მოსასვენებელში გავიდა და, როცა განიარაღდნენ, შეიცნეს სერ ლამორაკი, სერ ლანსელოტმა იგი გულში ჩაიკრა, რადგან ეს რაინდი სერ ტრისტრამის შემდეგ ქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდა.

დედოფალი გვინივერაც მას აქებდა, სხვანიც, მხოლოდ გავეინის ძმები შესცქეროდნენ მტრულად.

შემდეგ გვინივერამ სერ ლანსელოტს უთხრა:

— სერ, ძალიან გთხოვთ, ჩემი ბატონის, ართურ მეფის გვარიდან ორთაბრძოლაში ნუღარავინ გავა.

რაინდმა თანხმობა განუცხადა, ტურნირის დასასრულამდე არაო.

თ ა ვ ი ო რ მ ო ც ა მ ა ხ ა უ თ ა

აგზავი მიწითხა დღისა და მრავალი სახელოვანი საბრძოლო საგნისა

იწყება მეოთხე დღე. ბრძოლის ველზე გამოვიდა ასი რაინდის მეფე და ყველა სხვა რაინდი ჩრდილოეთ უელსიდან, აგრეთვე ჰერცოგი ჩალენსკლარენსელი, მეფე მარსილ პომიტაუნელი. ამასობაში ჩამოვიდა სერ საფირიც, სერ პალომიდის ძმა და ძმას დედ-მამის ამბავი ჩამოუტანა:

— ჩვენ გვაწყენინა გრაფმა დე-ლა-პლანშმა, რომელმაც ჩვენს დედ-მამას ოში აუტეხა.

შემდეგ ორივენი გავიდნენ მოედანზე, თან ის ქალი ახლდათ.

მათ დახვდნენ სერ ბლეობერის განელი და სერ ექტორ მენაბირე. სერ პალომიდი შეხვდა სერ ბლეობერისს, ორივე უნაგირიდან გადავარდა. ასე მოუვიდა სერ საფირისა და სერ ექტორსაც. ორივე წყვილმა შემდეგ ქვეითად განაგრძო ბრძოლა.

შემდეგ გამოვიდა სერ ლამორაკი და ასი რაინდის მეფე ცხენიდან გადააგდო. ასევე მოექცა ჩრდილოეთ უელსის მეფეს და მეფე მარსილს. ვიდრე ხელში შუბი ეჭირა, სერ ლამორაკმა ზედიზედ დასცა ოცდაათი რაინდი.

ჰერცოგმა ჩალენსმა მისი ასეთი წარმატება რომ ნახა, ბრძოლას მოე-

როცა სარკინოზი თვალს მიეფარა, ართური მივიდა რაინდთან, მარლობა უთხრა მისი კეთილშობილებისათვის და სახელი ჰკითხა.

— სერ, — მიუგო ლამორაკმა, — მე მოვალე ვარ გემსახუროთ, მაგრამ აქ ვერ დავრჩები, რადგან თქვენს ირგვლივ ძალიან ბევრი ჩემი მტერი რიწილებს.

— ვაგლახ! — თქვა ართურმა, — ახლა კი ვხედავ, რომ ესაა სერ ლამორაკ უელსელი. ო, სერ ლამორაკ, დარჩი ჩვენთან! გვირგვინს ვფიცავ, შეგიძლია მენდო. ვერც სერ გავეინი და ვერც მისი ძმები თქვენს ავს ვერ გაბედავენ.

— სერ, მათ უკვე მოასწრეს, თქვენცა და მეც ბევრი ვნება მოგვაყენეს.

— ეს მართალია, — თქვა ართურმა, — რადგან მოკლეს თავიანთი მშობელი დედა, ჩემი და. ბევრად უფრო სამართლიანი იქნებოდა, იმ ქალზე რომ ჯვარი დაგეწერათ, თქვენც ხომ მეფის შვილი ხართ!

— აჰ, მოწყალე იესო! — თქვა სერ ლამორაკმა, — იმ ქალის სიკვდილს ვერასოდეს დავივიწყებ, და თქვენი ხათრი რომ არა, შურს ვიძიებდი, გავეინსა და მის ძმებს სამაგიეროს მივუზღავდი.

— მერწმუნეთ, შეგარიგებთ, — უთხრა ართურმა.

— სერ, — მიუგო ლამორაკმა, — ახლა თქვენთან მაინც ვერ დავრჩები. ტურნირზე უნდა გამოვიდეთ სერ ლანსელოტისა და სერ გალაჰალტის, მაღალკეთილშობილი პრინცის, წინაშე.

იქ ერთი ქალიშვილი იყო, მეფე ბაუდასის ასული, ერთი სხვა სარკინოზი რაინდიც იყო, კორსაბრინი, ეს ქალიშვილი უყვარდა და გათხოვების ნებას არ აძლევდა. სულ აძაგებდა, სახელს უტეხდა და შეშლილს ეძახდა, ამიტომ არც არავინ თხოულობდა.

თავი ორმოცდაათევი

როგორც იხსენიებოდა პალომიდი ერთი პალისათვის კორსაბრინს, და როგორც მოხდა პალომიდა კორსაბრინი

ერთხელ ისე მოხდა, რომ იმ ქალიშვილმა ამბად შეიტყო, პალომიდი ქალიშვილებს ექომაგებოდა. მაშინვე თავისი ალაში გაუგზავნა და სთხოვა, ჩემი სახელით კორსაბრინს შეეხი, სამაგიეროდ მე მომიპოვებ, საჩუქრად მიიღებ ჩემს მიწა-წყალს და იმ მამულსაც, რაც მამის გარდაცვალების შემდეგ სამემკვიდროდ დამრჩებოდა. შემდეგ კორსაბრინსაც შეუთვალა, სერ პალომიდს შეეხი, შენსავით სარკინოზს. ისიც შეატყობინა, ჩემი ალაში გავუგზავნე, მაგრამ თუ შენ სძლიე, მაშინ შენი ცოლი გავხდები.

ქალის ასეთი გადაწყვეტილება რომ გაიგო, კორსაბრინი ლამის გაცოფდა, მაშინვე ცხენს მოახტა და სურლუზში გააქროლა. მაღალკეთილშობილ პრინცს ეახლა, იქვე ნახა საომრად გამზადებული პალომიდი, რომელსაც გაგზავნილი ალაში უკვე მიეღო. სერ გალაჰალტს შეუთანხმდნენ და ბრძოლა გადაწყდა.

— მაშ ასე, — თქვა პრინცმა, — ახლა თქვენ იხილავთ მრავალი კეთილშობილი რაინდის ორთაბრძოლას. ვნახოთ ნასადილევს, რომელი რისი შემძლებელი ხართ. როცა ერთ-ერთი თქვენთაგანი უნაგირიდან ჩამოვარდება, გამარჯვებული მას ჩემთან და დედოფალ გვინივერასთან მოიყვანს.

გაისმა ბრძოლის დაწყების წიშანი. ასპარეზზე გამოვიდა სერ დინადანი, იგი სერ გერინს, ქველ რაინდს, შეება და ცხენიდან ჩამოაგდო. ასევე სძლია კიდევ ოთხ სწვა რაინდს და ბევრი საგმირო საქმე მოახდინა. რადგან სახელოვანი რაინდი იყო, სერ დინადანი გახლდათ დიდად ენამოსწრებული კაცი და ართურის რაზმის ყველაზე გამოჩენილი ხუმარა. ამჟამად იმდენს ყველა ქველი რაინდის დიდი მეგობარი და პატივისმცემელი იყო, რის გამოც ყველას უყვარდა.

როცა მალალაღმატებულმა პრინცმა ნახა, როგორ ისახელა თავი სერ დინადანმა, სერ ლანსელოტი მიუგზავნა, რათა ის ცხენიდან ჩამოეგდო. ლანსელოტმა თხოვნა შეასრულა. ჩამოაგდო სერ დინადანიც და თავის ხალხს უბრძანა, აბჯარი გახადეთო. შემდეგ დედოფალს მოჰგვარეს პატივაყრილი და ყველამ ისე გულიანად იცინა, ფეხზე ძლივს ჩერდებოდნენ.

— მერე რა, — თქვა სერ დინადანმა, — სირცხვილად მაინც არ ჩამეთვლება, ცხენიდან რომ ჩამომავდო ცბიერმა მოხუცმა სერ ლანსელოტმა.

ამის შემდეგ ყველა სანადიმოდ წავიდა და თავს სერ დინადანის ხუმრობით იქცევდნენ.

ნასადილევს ისევ იქუხა ბუკმა და ყველამ თავი მოიყარა, რომ პალომიდისა და კორსაბრინის ორთაბრძოლისათვის ედევნებინათ თვალი. სერ პალომიდმა მოედნის შუაგულში დაასო ალაში, შემდეგ სარკინოზები მთელი ძალით ეძგერნენ ერთმანეთს და ორივე მიწაზე გაიშხლართა, თითქოს მეხმა იქუხა და იმან დასცაო. შემდეგ ვეშაქები იფარეს, ხმლები იშიშვლეს და გაიმართა დევგმირული ბრძოლა, ისე რომ, არც ერთს ტანზე აბჯარი აღარ შერჩა, რადგან ეს კორსაბრინი მრისხანე რაინდი იყო.

კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ კორსაბრინმა უთხრა:

— სერ პალომიდ, იქნებ დამოთმობთ ეს ალაში და მისი პატრონი ქალწული? — უთხრა და ისე სასტიკად დაჰკრა ხმალი, რომ პალომიდმა ჩაიჩოქა, თუმცა მაშინვე წამოვარდა, თავგამოდებით დაჰკრა მუზარადზე და მეტოქეც მოკვეთილივით დაეცა. სერ პალომიდმა მუზარადი მოხადა და უთხრა:

— დამნებდი, კორსაბრინ, არადა, მოგკლავ.

— გაფურთხებ! — თქვა სერ კორსაბრინმა, — რაც გინდა, ის მიყავი. მაშინ სერ პალომიდმა თავი მოჰკვეთა და სარკინოზის ტანმა ისეთი ბილწი სუნნი ამოუშვა, რომ იქაურობა აყროლდა და ველარავინ გაჩერდა. გაიტანეს და ტყეში დამარხეს, რადგან წარმართი იყო.

შესვენება გამოცხადდა და პალომიდმა იარაღი აიხსნა. შემდეგ გვინივერას, გალაპალტსა და ლანსელოტს ეახლა.

— სერ, — უთხრა მალალკეთილშობილმა პრინცმა, — ეს-ეს არის ნახეთნ უდიდესი სასწაული, რაც კორსაბრინის გვამმა გვიჩვენა. როცა მისი სული სხეულს ეყრებოდა, საშინელი სიმყრალე მთელ მოედანს მოედო, ამიტომ, გთხოვთ, მიიღეთ ქრისტიანული ნათლობა, მაშინ ყველა რაინდი კიდევ მეტი პატივისმცემელი იქნება თქვენს.

— სერ, — მიუგო პალომიდმა, — ამ ქვეყანაში იმ განზრახვით ჩამოვედი, რომ ქრისტიანობა მივიღო, გულში ვარ კიდევც და ვიქნები ქრისტიანი. მაგრამ ფიცი მაქვს დადებული: მანამ არ მივიღებ ქრისტეს რჯულს, ვიდრე ქრისტეს სადიდებლად შვიდ საგმირო საქმეს არ მოვახდენ. აი, მაშინ კი მო-

ვინათლები. მწამს, ღმერთს ვამება ჩემი განზრახვა, რადგან მართალი ღმერთია.

შემდეგ სერ პალმოიდმა გვინივერა და მალალკეთილშობილი პრინცი სავახშმოდ თავის კარავში მიიბატიყა, მიიწვია სერ ლანსელოტიც, ლამორაკიც და სხვა ქველი რაინდები.

დილით წირვა მოისმინეს, შემდეგ კი ისევ გაისმა საბრძოლო ბუკის ხმა და მრავალი სახელოვანი რაინდი მოემზადა საასპარეზოდ.

თ ა ვ ი ო რ ა მ ო ც დ ა მ რ ვ ე

ამბავი მემკვსა დღისა, თუ რა ხდებოდა იმ დღის

აქ იწყება მეექვსე დღე. ველზე გამოვიდა სერ გაპერისი, შეება სერ ოსეის სურლუზელს და ცხენის გავაზე გადააგდო იგი, შემდეგ კი დაიწყო ორივე მხარის საერთო შეტაკება, მრავალი შუბი დაილეწა და ბევრი რაინდი საკუთარ ცხენს ჩაუვარდა ფეხქვეშ.

აი, სერ დარნარდი და სერ აგლოვალი, სერ ლამორაკის ძმები, შეებნენ ორ სხვა რაინდს. ბრძოლა ისე ძლიერი გამოდგა, რომ ოთხივე მხედარი ცხენიანად დედამიწაზე დავარდა.

როცა სერ ლამორაკმა თავისი ძმები მიწაზე განრთხმულნი იხილა, უზომოდ განრისხდა. ხელი მძიმე შუბს ჩაავლო და ოთხი ქველი რაინდი აზიარა თავის ძმათა ბედს, შემდეგ კი შუბი გაუტყდა. მაშინ ხმალი იშიშვლა და მარჯვნივ და მარცხნივ კაფვას მიჰყო ხელი. მუზარადებს ხდიდა და ძირს ამხობდა რაინდებს, ასე რომ, ყველას აოცებდა თავისი გმირობით. მრავალმა რაინდმა გაქცევით უშველა თავს. თავისი ძმები კი ისევ შესვა ცხენებზე და უთბრა:

— ძმებო, გრცხვენოდეთ, რომ უნაგირებიდან გადაფრინდით! რა რაინდია რაინდი, თუ ცხენზე არა ზის? ქვეითად ბრძოლა მდაბიოთა საქმეა. არც ერთი რაინდი არ უნდა იბრძოდეს ქვეითად, თუ არ უმუხბთლეს, ან ძალით არ დააქვეითეს. ამიტომ, ძმებო, მაგრად იჯექით უნაგირებზე, ან ჩემ თვალწინ სულაც ნუ იბრძოლებთ.

ამის შემდეგ გამოვიდა სერ გაპერისი და ასი რაინდის მეფეს დაესხა თავს, მეფეც დაუხვდა, მაგრამ გრაფმა ჩალენსმა გააშველა. აქ ბუკის ხმაც გაისმა და რაინდები სასადილოდ წავიდნენ.

შუა სადილზე სერ დინადანმა ყველა გაამასხრა და სასაცილოდ აიგდო. მერმე შეამჩნია, რომ მალალკეთილშობილი პრინცი რატომღაც გულმოსული იყო. პრინცს თევზი ეჯავრებოდა და სწორედ თევზი დაუდგეს წინ. ამაზე მოუიოდა გული, შეიკრა წარბი და მოღუშული იჯდა. ეს რომ სერ დინადანმა შეამჩნია, კიდევ ერთი დიდთავა თევზი აარჩია, პრინცს დაუდო წინ და უთბრა:

— სერ გალაპალტ, თქვენ მგელს მომაგონებთ, რადგან მგელს არ უყვარს თევზი, მხოლოდ ხორცს შეექცევა.

მალალკეთილშობილმა პრინცმა ამაზე გაიცინა.

— აბა, აბა, — მიუბრუნდა ახლა დინადანი ლანსელოტს, — შენ რაღა გინდოდა ამ მხარეში? შენთან ბრძოლაში სახელს ვერც ერთი მოკვდავი რაინდი ვერ მოიხვეჭს, დამიჯერე, ამიტომაც აღარასოდეს არ გამოვალ შენთან, არ და-

ვუდგები სამიზნედ შენს შუბს, რადგან მისი შეხებისთანავე უნაგირზე ველარ ვჩერდები. თუ შეგძლებ, ახლოსაც აღარ გავუკარები შენს ძლიერ გვამს, რომელსაც ყველგან თან დაატრევ.

— რას იზამ, — მიუგო ლანსელოტმა. — მომერედე და უკრთობილად იყავი. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ კიდევ სადმე ერთმანეთს შეგხვდეთ, სანადიმო სუფრის გარდა.

აქ დედოფალსა და პრინცს ისე გაეცინათ, რომ სუფრასთან ველარ გაჩერდნენ, და ასეთ მხიარულებაში ლამის თავზე დაათუნდათ.

დილით ისევ მესა და მერე ბრძოლის დაწყების ნიშანი. დედოფალი და ყველა წოდების მამაკაცები მსაჯულებად უიარალოდ დასხდნენ, მხოლოდ ფარები ეპყრათ ხელთ, რათა სამართლიანად განესაჯათ მებრძოლნი.

თ ა ვ ი ო რ მ ო ც დ ა მ ე ც ხ რ ა

მეხვიდე დღის ბრძოლის ამბავი და როგორ გადმოგდო ცხენიდან გადაცემულა ლანსელოტმა სერ დინადანი

დაიწყო მეშვიდე დღე. ველად გამოვიდა ჰერცოგი კამბინესი და ქველ რაინდს სერ არისტანსს შეება. ისინი ისეთი ძალით შეერკინენ ერთურთს, რომ ორივე ძირს დავარდა, მათთან ერთად წაიქცნენ მათი ცხენებიც. გამოვიდა გრაფი ლამბალი და ჰერცოგი ისევ ცხენზე შესვა.

საასპარეზოდ გამოვიდა სერ ოსეის სურლუზელი და გრაფი ლამბალი ცხენიდან გადააგდო. აქ კი დაიწყო დიდი ბრძოლა, მრავალი საბრძოლო საქმე მოხდა. ბევრი შუბი დაიმსხვრა და ბევრი რაინდი დავარდა ძირს. ჩრდილოეთ უელსის მეფე და გრაფი ულზანსი ისე სასტიკად ეკვეთნენ ერთურთს, რომ მსაჯულებს ეგონათ, ორივე სასიკვდილოდ განწირულიაო.

ამასობაში დედოფალმა გვინივერამ, სერ ლანსელოტმა და პრინცმა სერ დინადანს უბრძანეს, გაემზადეო.

— არა, არა, — გაკერპდა სერ დინადანი, — გავალ და ერთი თქვენგანი დამეტაკება.

— ღმერთს გეფიცებით, — უთხრეს მაღალკეთილშობილმა პრინცმა და სერ ლანსელოტმა, — თქვენ იქიდან შეგეძლებათ თვალყური გვადევნოთ, ჩვენ ჩვენი ფარებით ხელში აქ მსაჯულებად ვსხედვართ და ყოველ წამს შეგიძლიათ გადმოგვხედოთ და შეგვამოწმოთ, ვზივართ აქ თუ არა.

სერ დინადანი წავიდა, ამხედრებული გამოჩნდა სატურნირო ველზე, მრავალ რაინდს შეება და ბევრი საგმირო საქმე მოახდინა. ხოლო სერ ლანსელოტმა, როცა დინადანი განშორდათ, აბჯარზე ქალიშვილის კრელაჭრულა სამოსი გადაიცვა, მერე სერ გალიპოდინს უთხრა, გამომყევით და თან იახლა. მებრძოლთა შორის ამ რაინდმა გაატარა და ყველას უკვირდა: ვინ არის და საიდან მოგვევლინაო ეს ქალიშვილი. და, აი, როცა სერ დინადანი სატურნირო ველზე კვლავ გამოჩნდა, ქალწულად გადაცმულმა სერ ლანსელოტმა სერ გალიპოდინს შუბი გამოართვა და სერ დინადანს შეუტია.

სერ დინადანი სულ იქით იცქირებოდა, სადაც მსაჯულები ისხდნენ და ხედავდა, რომ ლანსელოტის ნაცვლად ვიღაცა იჯდა, ხელში ფარი ეჭირა და აბ-

ჯარი ეცვა. მაგრამ ფიქრი ვინ აცალა? ვილაც ქალიშვილმა შუბით შემოუტია, სერ დინადანს შიშით გული გადაუქანდა: ვადაცმული სერ ლანსელოტი ხომ არ მიტევსო? ვადაცმულმა სერ ლანსელოტმა კი ისე აძგერა შუბი, რომ ცხენის გავაზე გადასვა და ძირს ჩამოაგდო. ვილაც ღონიერმა გლახკაცებზე კერძოდ ასწიეს, მეზობელ ტყეში გაიყვანეს, იქ გახადეს, ქალიშვილის სიმშობიერით და ისევ ბრძოლის ველზე გამოიყვანეს, ამასობაში შესვენებაც გამოცხადდა და რაინდები თავთავიანთ სამყოფელებში წავიდ-წამოვიდნენ, რათა საომარი საქურველი გაეძროთ.

სერ დინადანი დედოფალს მიჰგვარეს და გვინივერამ იმდენი იცინა, რომ დავარდა, ასევე ყველა, ვინც იქ იყო, სიცილისაგან დაოსებულნი დაბლა ცვივოდნენ.

— აბა, — თქვა სერ დინადანმა, — შენ, სერ ლანსელოტი, ისე ვერაგი და ცბიერი ხარ, რომ შენგან კაცი კარგს არაფერს უნდა ელოდეს.

საერთო თანხმობით ასპარეზობაში პირველობა სერ ლანსელოტს ერგო. შემდეგ მოდიოდა სერ ლამორაკ უელსელი, მესამე კი იყო სერ პალომიდი. მეოთხე ადგილი, დამსახურებულად, სერ ბაგდემაგუსს მიაკუთვნეს. ასე აღიარეს ეს ოთხი რაინდი საუკეთესოდ. სასახლეში დიდი სიხარული სუფევდა და დიდი ზეიმი იყო გამართული.

დილით კი დედოფალი გვინივერა და ლანსელოტი მეფე ართურის სასახლეში გაეშურნენ. როგორ არ ემუდარნენ, მაგრამ სერ ლამორაკი ვერანაირად ვერ დაიყოლიეს, რომ მათ გაჰყოლოდათ.

— სერ, შემძლია თავდები ვიყო, — უთხრა ლანსელოტმა, — რომ თუ ჩვენთან გამოემგზავრები, ართურ მეფე გავეინსა და მის ძმებს ნებას არ მისცემს ზიანი მოგაყენონ.

— ვერ ვენდობი სერ გავეინსა და მის ძმებს. ეს იცოდეთ, სერ ლანსელოტი, ართურ მეფის რიდი რომ არა მქონდეს, გავეინსა და მის ძმებს გავუსწორდებოდი, მაგრამ ნდობით კი ვერ ვენდობი. ამიტომ, გთხოვთ, გადაეცით ართურსა და ბრგვალი მაგიდის რაინდებს ჩემი სალამი. სადაც ვიქნები და რამდენადაც ღონე მეყოფა, თქვენს სამსახურს არ დავიზარებ. მათ ხომ მესამე დღეს ეუშველენ, როცა სერ პალომიდი ამარცხებდათ.

სერ ლამორაკი სერ ლანსელოტს დაემშვიდობა, ასევე მის რაზმსაც, და ყველა ტიროდა, ისე უმძიმდათ განშორება.

თ ა ვ ი ო რ მ ო ც დ ა მ ე ა თ ე

როგორ მუხანათურად შვიტუშის ტურნირზე სირ ტრისტრანი, რათა მომკლათ, და როგორ მოხდა საპრობილში

ახლა ეს ამბავი მოვითავოთ და გადავიდეთ სერ ტრისტრამზე, რომელსაც ძირითადად ეძღვნება ეს წიგნი. მეფე, დედოფალი, ლანსელოტი და ლამორაკი დროებით უყურადღებობას მოგვითმენენ. დიდი ასპარეზობის დამთავრების შემდეგ, მალე მთელს კორნუელშიც გამოცხადდა, რომ დიდი ტურნირი გაიმართებოდა. სერ გალაჰალტმა — მაღალკეთილშობილმა პრინცმა და მეფე ბაგდემაგუსმა ასპარეზობის გამართვა მხოლოდ იმიტომ მოიწადინეს, რომ

სერ ლანსელოტი დაეღუბათ, რადგან ყველგან და ყოველთვის ასპარეზობებზე პირველობა სერ ლანსელოტს რჩებოდა. სწორედ ამიტომ განიზრახეს მეფემ და პრინცმა მისი თავიდან მოცილება. მათ თავიანთი განზრახვა მეფე მარკს გაანდეს, რითაც ძლიერ გაახარეს.

მეფე მარკმა გადაწყვიტა იმ ტურნირზე სერ ტრისტრამმა გასაცემული გავგზავნა, რათა ვერავის ეცნო და მაღალკეთილშობილ პრინცს იგი სერ ლანსელოტად მიეღო.

სერ ტრისტრამი ტურნირზე ჩავიდა. სერ ლანსელოტი კი იმჟამად იქ არ იყო. როცა ნახეს, რომ ეს რაინდი საკვირველ საგმირო საჭმეებს ახდენდა, ერთხმად თქვეს, იგი სერ ლანსელოტია, აბა ვინ იქნებო! მეფე მარკი ხომ ამას პირდაპირ ეუბნებოდა ყველას.

მაშინ ერთდროულად შეუტიეს მეფე ბაგდემაგუსმა და მაღალკეთილშობილმა პრინცმა, ისე რომ, რაინდებს უკვირდათ, საიდან აქვს ასეთი ძალა, ამდენ ძლიერ დარტყმას როგორ უძლებსო!

რა ღონე არ იხმარეს, რა გესლიანად არ სერეს შუბით, მაგრამ იმ ტურნირზე სერ ტრისტრამმა მაინც პირველობა აიღო, მრავალი რაინდი დაამარცხა და მრავალიც სასტიკ ჭრილობებს აზიარა.

ხოლო, როცა ტურნირი დასრულდა, ყველამ გაიგო, რომ ეს ყოფილა სერ ტრისტრამ ლიონელი და არა სერ ლანსელოტი. ყველას, ვინც მეფე მარკის მხარეს იყო, სიხარულს ჰგვრიდა ის, რომ ტრისტრამი მძიმედ იყო დაჭრილი. დანარჩენები კი დარდობდნენ, რადგან ინგლისის სამეფოში ტრისტრამს არ ჰყავდა იმდენი მოშურნე, რამდენიც სერ ლანსელოტს.

მეფე მარკი სერ ტრისტრამთან მივიდა და უთხრა:

— ძვირფასო დისწულო, თქვენი ჭრილობები ისე ღრმაა და სერიოზული, რომ თანაგრძნობა მინდა გამოგიცხადოთ.

— გრამერსი, ბატონო ჩემო, — მიუგო სერ ტრისტრამმა.

— თვითონ ვიქნები თქვენი მკურნალი, საყვარელო დისწულო.

მაშინ მეფე მარკმა თავისი უდიდესი სიყვარულის ნიშნად ბრძანა, ტრისტრამი ეტლში ჩააწვინეთო, და განთიადამდე ციხეში მიიყვანა.

იქ მეფე მარკმა ტრისტრამს საჭმელი თავისი ხელით მიუტანა და მერმე დასალევიც მისცა. როგორც კი ის წამალი დალია, სერ ტრისტრამს ღრმა ძილით დაეძინა. დადამდა თუ არა, მეფემ ბრძანა მისი გადაყვანა სხვა ციხეში. იქ მიუვალ საკანში ჩაკეტა და საჭმლის მიმტანნი დაუყენა, ქალი და კაცი. დაჭრილმა სერ ტრისტრამმა ასე დილეგში გაატარა დიდი დრო. მალე მოიკითხეს ტრისტრამი, მაგრამ მისი ასავალ-დასავალი ვერავინ აუწყათ. მშვენიერმა იზოლდამ რომ გაიგო, ტრისტრამი უგზოუკვლოდ გაქრაო, ფარულად შეუთვალა სერ სადუქს, გამიგე, სად გაუჩინარდაო ტრისტრამი. სერ სადუქმა ქვეყნის ყველა მხარეში კაცები დააგზავნა და რაინდის ამბის გაგება დაავალა.

ბოლოს შეიტყო, რომ მეფე მარკმა სერ ტრისტრამი ციხეში გამოამწყვდია და ბნელში ჩაკეტა. მეფე მარკს ამ საჭმეში ხელი შეუწყეს მისებრ მუხანათმა მაგონელმა მოლალატეებმა. სერ სადუქმა ორი შეიარაღებული ნათესავი იახლა და ტინტაჯილის ციხესიმაგრის მახლობლად ჩასაფრდა.

მოხდა ისე, რომ იმ გზაზე გაიარა მეფე მარკმა, რომელსაც თან ახლდა ოთხი ძმისწული და აგრეთვე მაგონელი მოლალატეები. სადუქმა რომ მათ

თვალი მოჰკრა, საფრიდან გამოხტა და თავს დაესხა. მეფე მარკმა სადუკი იცნო და თავს გაქცევით უშველა, მისი ოთხივე მხლებელი კი სადუკმა აკუწა. ამ მაგონელმა მოლალატეებმა სადუკის ერთ-ერთი ნათესავი მძიმედ დაჭრეს ყელში, სამაგიეროდ სადუკმა ორი მათგანიც აჩეხა.

თ ა ვ ი ო რ მ ო ც ლ ა მ ი თ ი რ თ მ ა ტ ი

სერ ტრისტრამმა სერ ტრისტრამი სერ პალომიდის გადასარჩენად, მაგრამ როგორც იხსნა ის ტრისტრამის მისვლამდე სერ ლანსელოტმა

სერ ტრისტრამმა მოისმინა, როგორ მიდიოდა პალომიდი თავისი აღსასრულის შესახვედრად, დალონდა და თქვა:

— რა ნაწყენიც არ უნდა ვიყო მასზე, მაინც ვერ ვიზამ, რომ ასე უსახელოდ მოკვდეს, რადგან პალომიდი ნამდვილი კეთილშობილი რაინდია.

მაშინვე თავისი აღჭურვილობა მოითხოვა, შეჯდა ცხენზე და ორი საჭურველთმტვირთველის თანხლებით გაეშურა სერ პალომიდის გადასარჩენად. იგი ტყის ბილიკზე მიდიოდა და გზას უჭრიდა წინ წასულთ, ძალზე ჩქარობდა, რათა დასწეოდა თორმეტ რაინდს, რომელთაც პილონის ციხეში სასიკვდილოდ მიჰყავდათ სერ პალომიდი. თორმეტ რაინდს კი, რომელთაც წინ პალომიდი გაეგდოთ, წყაროსთან შემოხვდა სერ ლანსელოტი. სერ ლანსელოტს ცხენი აქვე დაება, მუზარადი მოეხადა და წყალს იყო დაწაფებული: რაინდები რომ ნახა, მუზარადი ისევ დაიხურა და გაატარა, მაგრამ პალომიდი რომ შეიცნო, ასე სამარცხვინოდ შებოჭილი, შესძახა:

— აჰ, იესო! ასეთი რა უბედურება შეემიახვა, რომ შეუკრავთ და სასიკვდილოდ მიჰყავთ? ასეთი რაინდის ასე სამარცხვინოდ დასჯა რომ მოვითმინო, ჩემთვის ეს თავს ლაფის დასხმა იქნება, ამიტომ უნდა გამოვესარჩლო, ან ვინსნა ან დავიღუპო. მაშინვე ცხენს მოახტა, შუბი მოიმარჯვა და თორმეტ რაინდს უკან დაედევნა. როცა წამოეწიათ, მიამახა:

— ძვირფასო რაინდებო, საით მიგყავთ ეს რაინდი? ჩემის აზრით, ეს კაცი დაბორკილი არ უნდა იყოს.

რაინდებმა ცხენები მოაბრუნეს და ასე უბასუხეს:

— სერ რაინდო, შეისმინეთ ჩვენი რჩევა, ნუ ექომდაგებით ამ რაინდს, მან სიკვდილი დაიმსახურა და სიკვდილი აქვს მისჯილი.

— სამწუხაროა, — თქვა ლანსელოტმა, — მაშ, ეტყობა, თქვენი ხელადან კეთილი სიტყვით ვერ დავიხსნი? მეტისმეტად კეთილშობილი რაინდია, რომ ასე სამარცხვინოდ მოკლათ. ამიტომ, ძვირფასო რაინდებო, თავი დაიცავით, რადგან ან რაინდს დავიხსნი, ან თავს შეგაკლავთ.

მაშინვე შუბები შემართეს. მაგრამ ლანსელოტმა უკვე გადაადგომეწინავე და ამასთან მისი ცხენიც წააქცია. მერმე სამი სხვაც და ყველანი მხოლოდ შუბით ჩამოყარა ცხენებიდან. მეოთხეზე კი შუბმა უმტყუნა და რაინდს ზედ შეელეწა. მაშინ ხმალი იშიშვლა და დაიწყო ორსავე მხარეს კაფვა. მოკლეს ხანში აღარც ერთი რაინდი არ დარჩა ზეზე და თითქმის ყველა მძიმედ იყო დაჭრილი. მაშინ ლანსელოტმა შეარჩია საუკეთესო ცხენი, შესვა პალომიდი და მხიარულ საგუშავოს ციხეს მიაშურა.

მიჰქრიან და ხედავენ: ცხენს მოაგელვებს სერ ტრისტრამი. სერ ლანსე-

ლოტმა ტრისტრამი იცნო, ტრისტრამმა კი ლანსელოტი ვერ შეიცნო, რადგან მხარზე მოოქრული ფარი ეკიდა. ლანსელოტი საბრძოლოდ გაემზადა, რომ ტრისტრამს ის ვერ ეცნო. მაგრამ პალომიდმა შეჰყვირა:

— ო, ბატონო ჩემო, ნუ შეებრძოლებით ამ რაინდს, რადგან ამან მიხსნა სიკვდილისაგან!

ეს რომ გაიგონა, ტრისტრამმა ცხენი ნაუარდით წამოიყვანა მათკენ და რაინდებს შეეგება. პალომიდმა უთხრა:

— ბატონო ჩემო, სერ ტრისტრამ, უდიდესი ვალი მაწევს თქვენს წინაშე, თქვენი გულკეთილობა განუზომელია, რომ საფრთხეს არ მოერიდეთ და აქეთ გამოეშურეთ, რათა მე, უღირსი გადაგერჩინეთ, მე ხომ სასტიკად გაწყენინეთ. მაგრამ აი, კეთილშობილი რაინდი, რომელმაც უკვე მიხსნა, თორმეტ რაინდს შეება და ყველანი მძიმედ დაჭრა, ძირს დაყარა და გამომიხსნა.

თ ა ვ ი ო რ გ ო ც დ ა მ ა თ ო რ გ ე ზ ე

როგორ მივიღწინ ლანსელოტი, ტრისტრამი და პალომიდი მხიარულ საგუშაგოს ციხესთან. პალომიდის და ტრისტრამის აგზავნი

— ძვირფასო რაინდო, — მიმართა ტრისტრამმა ლანსელოტს, — სადაური ბრძანდებით?

— მოხეტიალე რაინდი ვარ, — მიუგო ლანსელოტმა, — ვეძებ ხიფათს, რაც სახელს მომიხვეჭს.

— სერ, სახელი თქვენი?

— სერ, ამჯერად სახელს ვერ გეტყვით, — მიუგო ლანსელოტმა, — ახლა კი თქვენ ერთმანეთს შეხვდით და ნება მიბოძეთ დაგემშვიდობოთ, — მიმართა ტრისტრამსა და პალომიდს.

— არა, არა, — თქვა ტრისტრამმა, — გთხოვთ და გაფიცებთ რაინდულ პატიოსნებას, გამომყევით ჩემს ციხეში.

— ახლა არ შემიძლია თქვენთან წამოსვლა, რადგან ბევრი გადაუღებელი საქმე მაქვს, ამიტომ უნდა გამიშვათ.

— აჰ, მოწყალე იესო! — არ ეშვებოდა ტრისტრამი, — როგორც ნამდვილ რაინდსა და რაინდთა მაღალი ორდენის წევრს, გთხოვთ ამ საღამოს ჩემთან გართობით ისიამოვნოთ.

სერ ლანსელოტმა სერ ტრისტრამს დაუთმო. მართალია, ასედაც რომ არ მოეთხოვა, ლანსელოტი მაინც ესტუმრებოდა, რადგან ამ მხარეში მხოლოდ იმ მიზნით ჩამოვიდა, რომ ტრისტრამს სტუმრებოდა.

როცა მხიარულ საგუშაგოს ციხეში მივიდნენ, დაქვეითდნენ, ცხენები საჯინიბოში გაგზავნეს, თვითონ კი მთელი აღჭურვილობა დაბლა დააწყვეს. როგორც კი მუზარადი მოიხადა, რაღა თქმა უნდა, ლანსელოტი მაშინვე იცნეს ტრისტრამმა და პალომიდმა. ტრისტრამი რაინდს გადაეხვია, ასევე მშვენიერი იზოლდა, ხოლო პალომიდმა დაუჩოქა და უმორჩილესი მადლობა გადაუხადა მხსნელს. როგორც კი თავის თვალწინ მუხლებზე დამხობილი პალომიდი ნახა, ლანსელოტმა სწრაფად ააყენა და უთხრა:

— იცოდნე, პალომიდ, რომ მეც, როგორც ამ სახელოვანი ქვეყნის ყოვე-

ლი რაინდი, თავს მოვალედ ვრაცხ. დავეხმარო ისეთ ჭეშმარიტ რაინდს, როგორიც თქვენ ხართ, კეთილშობილი, გამოცდილი და მთელ ამ სამეფოში სახელგანთქმული.

ამის შემდეგ გაიმართა დიდი მხიარულება. მხოლოდ სერ პალომიდი, რაც უფრო ხშირად ხედავდა იზოლდას, მით უფრო ღონღებობდა სამეფოთხი დღის შემდეგ ლანსელოტი დაემშვიდობა მეგობრებს და წავიდა, თან გაიყოლა სერ ექტორ მონაპირე და სერ დინადანი. პალომიდი კი ტრისტრამთან დარჩა ორ თვეს და მეტხანს. რაც დრო გადიოდა, დარდით უფრო ღნებოდა, ჩამოხმა კიდევ და დასუსტდა. ხალხი გაოცებას იყო, ეს კაცი რამ ჩამოახმოო. ერთხელ დილით წავიდა, ტყეში ნაცნობი წყარო მონახა, შიგ ჩაიხედა, თავისი სახე დაინახა და ელდა ეცა: ისე ჩამომხმარიყო, რომ კაცი ველარ იცნობდა.

— უფალო იესო, ეს რა მომსვლია, რა მიზეზია! — შესძახა და თქვა: — აჰ, პალომიდ, პალომიდ, რატომ ჩამომხმარხარ? შენ ხომ ჭვეყნიერების ერთ-ერთ ულამაზეს რაინდად ითვლებოდი! ჭეშმარიტად, აღარ მინდა ასეთი ცხოვრება განვაგრძო, რადგან მიყვარს ის, ვინც ჩემი არასოდეს არ გახდება, მაგრამ არც დავიწყება შემიძლია.

იქვე წყლის პირას წამოწვა და ლექსების თხზვას მოჰყვა იზოლდასა და თავის თაყვზე. ამასობაში იმავე ტყეში შეიჭრა ტრისტრამი, რომელიც ჩასუქებულ ერემს იყო დადევნებული. ტრისტრამი ტყეში უიარალოდ აღარ დაიარებოდა, რადგან ბრიუს უმოწყალოსთან შეხვედრას ელოდა.

დაჰქრის ტყეში ტრისტრამი ხან აქეთ, ხან იქით და უცებ სიმღერას მოჰკრა ყური. ეს იყო პალომიდი, ზედ წყაროსთან რომ იწვა.

ტრისტრამი ფეხაკრეფით მიუახლოვდა, მომღერალი ვიღაც მოხეტიალე რაინდი ეგონა. მიუახლოვდა, ცხენი მაგრად მიაბა ხეზე, ფეხით განაგრძო გზა და წედავს: წევს პალომიდი და ხმამაღლა და ლამაზად მღერის. სიყვარულში ხელმოცარული რაინდი იზოლდას სიყვარულზე ჩიოდა, მისი სიმღერა საოცრად დაწყობილი და ნაღვლიანი იყო. ტრისტრამმა ბოლომდე მოისმინა მისი ნაღვლიანი ვალალი, სიტყვა-სიტყვით გაიგონა ყველაფერი, განრისხდა, და განიზრახა იქვე აეკეპა სარკინოში. მაგრამ ტრისტრამი გონს მოვიდა. სერ პალომიდი ხომ კეთილშობილ რაინდად იყო ცნობილი, ასევე თვითონაც, თანაც მის მეტოქეს იარაღი არა ჰქონდა, ბრაზი გაინელა, წყნარად მივიდა და უთხრა:

— სერ პალომიდ, მე გავიგონე მთელი შენი სიმღერა, მიგიხვდი ლალატს, ძველთაგანვე რომ გიდევს გულში, ამიტომ, იცოდეთ, მოკვდები. რაინდული ღირსება რომ ჩემთვის ასე ძვირფასი არ იყოს, ახლავე მოგიღებდი ბოლოს, რადგან აშკარაა, ჩემთან რაინდად მუხანათური მიზნით დადექი. აბა მითხარი, რით შეგიძლია იმართლო თავი.

— სერ, აი, რით ვიმართლებ. დედოფალი იზოლდა მიყვარდა ყოველ სხვა ქალზე მეტად, თუმცა ვიცოდი, რომ ეს სიყვარული მიმიყვანდა ისეთ სავალალო აღსასრულამდე, როგორიც ერგო რაინდ კეიჰიდინს, მის სიყვარულს რომ შეეწირა. მაგრამ მე მინდა იცოდეთ, სერ ტრისტრამ, რომ იზოლდა მიყვარს მრავალი წელიწადია, მას ვუმაღლი ჩემს ყველა წარმატებას. ის რომ არა, ვიქნებოდი ვინმე უკანასკნელი, შეუმჩნეველი რაინდთაგანი. რაც მიბრძოლია და რაც გამარჯვება მიზეზია, სულ მისი სახელით. საკმარისია დედოფალი იზოლდა გავიხსენო და, სადაც კი წავალ, ვიმარჯვებ. მაგრამ მთელ სიცოცხ-

ლეში ერთხელაც არ მიმიღია ჯილდო და სიყვარული. მე ვიყავი მისი რაინდი, მაგრამ უსაჩუქროდ. ამიტომ, სერ ტრისტრამ, სიკვდილით ვერ შემაშინებ, რადგან ვიცოცხლებ თუ მოგკვდები, ჩემთვის სულერთია. როგორც არ უნდა იყოს, ამ სიყვარულით ისევ მხოლოდ მე ვზარალები, რადგან თქვენ შინა ტრფობით ტკბებით, მე კი ვარ ჩემთვის უიმედოდ, არავითარი შებრალების იმედი არ გამაჩნია. ამის მიუხედავად, სიკვდილამდე მეყვარება, ისევე როგორც თქვენ გიყვართ.

მაშინ სერ ტრისტრამმა თქვა:

თ ა ვ ი ო რ ა ო ც დ ა მ ე ო ა მ ე ბ ა

როგორ დანიშნა ტრისტრამმა კალთაქვეშა ორთაბრძოლის დღე და როგორ დაიბრა ტრისტრამი

— უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებ თქვენთან!

— თანახმა ვარ, — მიუგო პალომიდმა, — რადგან ორთაბრძოლისათვის უკეთესი საბაბი მე არ ვიცი. თუ თქვენი ხელით მოგკვდები, მერე რა, საუკეთესოს ხელით ვიქნები განგმირული, ცუდი კაცის ხელით მომკილი სიკვდილი რაში მებიტნავება. ისე სიკვდილი და სიცოცხლე ჩემთვის განურჩეველია, რადგან იზოლდას სიყვარულს მაინც ვერ ველირსები.

— მაშ დანიშნეთ დღე, როდის უნდა ვიბრძოლოთ, — უთხრა ტრისტრამმა.

— ორი კვირის თავზე, სერ, დღეიდან მეტხუთმეტე დღეს, აქვე შეგხვდებით ველზე, მხიარულ საგუშაგოს მახლობლად.

— სირცხვილი შენი! — შესძახა ტრისტრამმა, — რისთვის დანიშნე ასეთი გრძელი ვადა? ხვალვე ვიბრძოლოთ!

— ო, არა, — თქვა პალომიდმა, — ახლა დასუსტებული ვარ, დიდხანს ვეწამე იზოლდას სიყვარულისთვის. უნდა დავისვენო და ძალა მოვიკრიბო.

— აი, რა მომაგონდა, — მიუგო ტრისტრამმა, — ერთხელ უკვე გატეხეთ სიტყვა, როცა ბრიუს უმოწყალოს და მისი ცხრა რაინდისაგან დაგიხსენით მაშინ დამპირდით, რომ კამელოტის ქვასთან დამელოდებოდით, და სიტყვა გატეხეთ.

— იმ დღეს დილეგში ვიჯექი და ვიტანჯებოდი, ამიტომ ვერ მოვედი. ახლა კი გაძლევთ სიტყვას და ავასრულებ კიდევ.

— ისე ღმერთი შემეწიროს, როგორც მართალს ვამბობდე, ახლა არაფერიც არ მოხდებოდა, მაშინ რომ სიტყვა არ გაგეტეხათ.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს. პალომიდმა ცხენი გამოიყვანა და ართურის სასახლეს მიაშურა. იქ ოთხი რაინდი და სამი საჭურველთმტვირთველი შეაჩია და ისევ მხიარულ საგუშაგოს ციხეს მიაშურა. ამასობაში ტრისტრამი ტყე-ღრეში დანავარდობდა და ყოველდღე ნადირობდა. დანიშნულ დრომდე სამი დღით ადრე ერთმა მსახურმა ისარი ლტოლვილ ირემს ესროლა, საუბედუროდ, ისარი ტრისტრამს მოხვდა, ბარძაყში გაუარა და ცხენი იქვე მოუკლა. იგი სასტიკად შეწუხდა. ჭრილობიდან სისხლი წყაროსავით ჩქეფდა. ტრისტრამი სხვა ცხენზე გადაჯდა და თავის კოშკში დაბრუნდა. იგი უაღრესად და-

ღონებული იყო უფრო იმ სიტყვის გამო, რაც პალომიდს მისცა, ვიდრე თვითონ ჭრილობისაგან, მისი დაწყნარება ვერავინ შეძლო. მთელ ამ საქმეს პალომიდის მოწყობილად თვლიდა: განზრახ დამჭრეს, რომ ბრძოლა ვერ შეეძლო.

ეპიკურუსი
შინაქიქოთეა

თ ა ვ ი ო რ ა ო ც დ ა მ თ ო თ ხ ა ე ბ ა

როგორ მივიდა დაეიხნულ ადგილზე სერ პალომიდი, მაგრამ ტრისტრამმა მისვლა მერ შეიძლო და სავა ავბავი

მაგრამ ტრისტრამის რაინდებს შორის ერთიც არავინ აღმოჩნდა იმ აზრის გამზიარებელი, რომ პალომიდმა თავისი ან სხვისი ხელით დაჭრა ტრისტრამი ასე ვერაგულად.

დანიშნულ დღეს პალომიდი ართურის ოთხი რაინდისა და სამი საჭურველთმტვირთველის თანხლებით მივიდა წყაროსთან. რაინდები მხოლოდ იმ მიზნით მოიყვანა, რომ ორთაბრძოლა ენახათ და შემდეგ ამბავი ეთქვათ. ერთ საჭურველთმტვირთველს მისი მუზარადი მოჰქონდა, მეორეს შუბი, მესამეს ხმალი. ასე დიდის ამბით გამოცხადდა პალომიდი დათქმულ ადგილზე და მთელი ორი საათი უცადა ტრისტრამს. შემდეგ პაჟი მიუგზავნა და შეუთვალა, გამოდი და სიტყვა აასრულეო.

როგორც კი პაჟის მოსვლა გაიგო, ტრისტრამმა იგი თავის საწოლ ოთახში დაიბარა.

— ბატონო ჩემო, სერ ტრისტრამ, — უთხრა პაჟმა, — იცოდეთ, სერ პალომიდი გელოდებათ და გეკითხებათ, მიხვალთ საბრძოლველად თუ არა.

— აჰ, ძვირფასო ძმაო, — უთხრა ტრისტრამმა, — იცოდეთ, ეს ამბავი სასტიკად მალონებს. გადაეცით თქვენს ბატონს, რომ თუ ჩემი ნება იქნებოდა, თვითონვე მივიდოდი და კაცის გამოგზავნა არ დასჭირდებოდა. მაგრამ არც ცხენით შემიძლია წასვლა და არც ფეხით. აგერ, თვითონვე შეხედე, რომ არ იფიქრო, ტყუისო. — აქ უჩვენა ჭრილობა, რასაც პირი დაელო და ექვსი დიუმის სიღრმე ჰქონდა. — ახლა, როცა ჭრილობა ნახე, წადი და უთხარი შენს ბატონს, რომ ართურის მთელ ოქროს მირჩევნია ჯანსაღად ვიყო. იცოდეს როგორც კი ცხენზე ჯდომას შევიძლებ, მთელ ქვეყანაზე დავძებნი. ამის სიტყვას მივცემ, როგორც ერთგული რაინდი. როცა შემეძლება, შემებრძოლოს, რამდენიც ენებოს.

ასე წავიდა პაჟი. როცა პალომიდმა გაიგო, ტრისტრამი დაჭრილიაო, ასე თქვა:

— ჰეშმარიტად მიხარია, დაჭრილი რომაა, რადგან ახლა შემიძლია დარწმუნებული ვიყო, დამარცხების სირცხვილს უკვე თავი დავალწიე. მე ხომ ვიცი, ამ ბრძოლაში გამიჭირდებოდა და გამარჯვებას მაინც ვერ მივალწევდი. ვიცი, რადგან ბრძოლაში ტრისტრამი ყველაზე უფრო გაუტეხელია, სერ ლანსელოტს თუ არ ჩავთვლით.

აქ პალომიდი ისევ ბედის ანაბარა გაუდგა გზას. ერთი თვის შემდეგ ტრისტრამიც მორჩა, ცხენზე შეჭდა და დაიწყო ერთი მხარედან მეორეში ხეტიალი, თან გზადაგზა საოცარ საგმირო საქმეებს ახდენდა. ყველგან პალომიდის ამბავს კითხულობდა, მაგრამ იმ ზაფხულს პალომიდი მან მაინც ვერ ნახა.

სამაგიეროდ, ამ ძებნისას ტრისტრამმა მონაწილეობა მიიღო მრავალ სახელოვან ბრძოლაში და ისე გაითქვა საქვეყნოდ სახელი, რომ სერ ლანსელოტიც კი დარჩრიდოდა. ამიტომაც ლანსელოტის ძმებმა და ნათესაებებმა მისი მოკვლა განიზრახეს, რათა ლანსელოტისათვის ქვეყნიერების უპირველესი რაინდის წოდება დაებრუნებინათ. მაგრამ როცა სერ ლანსელოტმა ნათესაებთა ასეთი განზრახვა გაიგო, გარკვევით უთხრა:

— იცოდეთ, თუ რომელიმე თქვენგანს ჩემი ბატონის ტრისტრამისათვის რაიმე ზიანი ან რაიმე სიკვამლე და შეურაცხყოფა მიგიყენებიათ, ჩემი ხელით დაგხოცავთ ყველას!

ტრისტრამის დიდების ამბავი კი მივიდა კორნუელშიც, ლიონშიც, ყველა ხარობდა და ზეიმობდა. ლიონელებმა ხომ მრავალი წერილი და მდიდრული საჩუქრები გაუგზავნეს, რათა ყველაფერი მისი ღირსების საკადრისი ჰქონოდა. ტრისტრამი კი, საითაც არ უნდა წასულიყო, მზიარულ საგუშაგოს კოშკში ბრუნდებოდა. იქ ცხოვრობდა მშვენიერი იზოლდა, რომელსაც ტრისტრამი სამარის კარამდე უყვარდა.

თ ა ვ ი ა ი რ ვ ე ლ ი

როგორც ვამხატავს სერ ლანსელოტი ხიფათის საძებნელად, როგორ იხსნა გვერდული ქალი და როგორ მბრძოდა დრაკონს

ახლა სერ ტრისტრამ ლიონელს მივატოვებთ და ვიტყვით ამბავს სერ ლანსელოტ ტბელისა. მივყვებით თავგადასავალს სერ გალაჰად ლანსელოტის ძისას, თუ რა გარემოებაში ჩაისახა იგი და იშვა ქვეყანაზე.

როგორც ფრანგულ წიგნშია მოთხრობილი, ერთხელ, როცა სერ გალაჰადი ჯერ კიდევ არ იყო შობილი, სამება დღეს ართურ მეფის სასახლეში ერთი განდევილი მივიდა. ყველა რაინდი მრგვალ მაგიდას უჯდა. განდევილმა ნახა, რომ დასალუბავი სკამი ცარიელი იყო, მეფეს და რაინდებს მიუბრუნდა და ჰკითხა, რატომ არის ეს სკამი ცარიელი. ართურ მეფემ რაინდების წინაშე უთხრა:

— დალუბვის მუქარით არის აკრძალული აქ დაჯდომა. მხოლოდ ერთ რაინდს ეძლევა ამისი ნება, ყველა სხვა კი, ვინც აქ ჯდება, უსათუოდ იღუპება. მაშინ განდევილმა იკითხა:

— სერ, იცით თუ არა, რომელია ეს ერთი რაინდი?

— არა, — მიუგო ართურმა, — ვინ არის, ვისთვისაა განკუთვნილი ეს ადგილი, ჩვენ არ ვიცით.

— მაშინ მე გეტყვით, — უთხრა განდევილმა, — ის, ვისთვისაც ეს ადგილია დანიშნული, ჯერ არაა ჩასახული და შობილი, მაგრამ ერთი წელიც არ გაივლის, რომ ის დაიბადება, დაიკავებს დამლუბველ სკამს და იგივე რაინდი მოიპოვებს წმინდა გრაალს.

ეს თქვა და სასახლიდან წავიდა.

იმ ნადიმის შემდეგ ლანსელოტი ხიფათის საძებნელად გაემგზავრა. იარა, იარა და მოუხდა კორბენის ხიდზე გავლა. ხიდის იქით ნახა მშვენიერი კოშკი, ხოლო ირგვლივ გაშენებული იყო ჩინებული პატარა ქალაქი, გაჭე-

დიდი მოსახლეობით, მთელმა ხალხმა — კაცმა და ქალმა ერთხმად შეს-
დაბა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, სერ ლანსელოტ, რაინდობის გვირ-
გვინო და მშვენიერება! რადგან თქვენი შემწეობით იმედი გვაქვს უბედურებას
თავს დავალწევთ.

— რა მოხდა, რაზე ლაპარაკობთ? — ჰკითხა ლანსელოტმა.

— აი, რა ძვირფასო რაინდო, — უბასუხეს ერთხმად, — ამ კოშკში ჩამ-
წვდელია ერთი მანდილოსანი. იგი მრავალი წელია საშინელ ტანჯვას ით-
მენს — მღუღარე წყალში იხარშება. ახლახან ჩვენთან იყო სერ გავეინი, მაგ-
რამ ვერ შეძლო მისი დახსნა და ასე მღუღარეში მიატოვა.

— იქნებ ვერც მე ვუშველო და ასევე დავტოვო ქვაბში?

— არა, არა, — ახმაურდა ხალხი, — თქვენ კი, სერ ლანსელოტ, უსათუოდ
იხსნით იმ უბედურს.

— აბა, მითხარით, რა გავაკეთო.

მაშინვე კოშკში შეიყვანეს. როგორც კი ლანსელოტი სამყოფელის კარს
შიადგა, სადაც ქალი იხარშებოდა, კლიტე და ურდული თავისთავად გაიხსნა,
გაიწია და კარი გაიღო. ლანსელოტი შევიდა ოთახში, სადაც ისე ცხელოდა.
როგორც ღუმელში. ხელი მოჰკიდა უმშვენიერეს ქალს, რომლის სადარიც
არასოდეს ენახა, ქალი ნემსივით შიშველი იყო. დედოფალმა ფეა მორგანმა,
და ჩრდილოეთ უელსის დედოფალმა ეს ქალი მოაჯადოვეს და ცეცხლზე შე-
მოდგმულ ქვაბში ჩააგდეს იმის გამო, რომ მთელ იმ მხარეში უმშვენიერეს
ქალად ითვლებოდა. ასე ტანჯვაში გაატარა ხუთი წელი და არც გამოჩნდა ქვეყ-
ნიერების საუკეთესო რაინდი, რომელიც სატანჯველიდან იხსნიდა. ქალს მა-
შინვე სამოსი მოუტანეს და როცა ლანსელოტმა თვალი შეაგლო, გულში
თქვა: ასეთი მშვენიერი ქალი არ მინახავს, დედოფალ გვინივერას გარდაო. ის
ქალი შეევედრა:

— სერ, ხომ არ ინებებთ სადმე უახლოეს საყდარში გამომყვეთ, რათა
ღმერთს მადლობა შევწირო?

— ქალბატონო, — მიუგო ლანსელოტმა, — წავიდეთ, მზად ვარ გამოგ-
ყვეთ.

როცა საყდარში მივიდნენ და ღმერთს მადლი უძღვნეს, ყველა იქ მყოფ-
მა — სწავლულმა და უბირმა, ასე თქვა:

— სერ, თუ ეს ქალი იხსენით, ახლა ჩვენც გვიხსენით იმ გველეშაპისა-
გან, რომელიც ეგერ იმ აკლდამაში ბინადრობს.

მაშინ ლანსელოტმა ფარი აიღო და თქვა:

— ბატონებო, მიმიყვანეთ იქ და ვეცდები გავაკეთო ყველაფერი, რის
შეძლებასაც უზენაესი მომცემს.

როცა მივიდნენ, ლანსელოტმა ნახა სამარის ქვაზე ოქროს ასოებით გა-
მოყვანილი წარწერა: „აქ გამოცხადდება სამეფო სისხლის ლეოპარდი, რომე-
ლიც ამ გველეშაპს მოკლავს. ეს ლეოპარდი ამ მხარეში შობს ლომს, რო-
მელიც ქვეყნიერების ყველა რაინდს აღემატება“.

აი, ასწია ლანსელოტმა სამარის ქვა და ამოიგრაგნა საშინელი გველი,
რომლის ხახიდან ცოფის ალი ამოიფრქვა. ლანსელოტმა მახვილი იშიშველა
და გაიმართა საშინელი ორთაბრძოლა. დიდი ჯაფრსა და მძიმე განსაცდელის
გამოვლის შემდეგ ლანსელოტმა მოკლა ურჩხული.

მაშინ იქ მოვიდა კეთილი და სვიანი მეფე პელესი, ლანსელოტს მიესალ-
მა და რაინდმაც საღმით უპასუხა:

— ძვირფასო რაინდო, — უთხრა მეფემ, — გთხოვთ, გვიტხროთ თქვენი
სახელი.

უჩინებელი
გინგაჩიქიქა

თ ა ვ ი შე ლ ო რ ი

როგორ მივიდა სერ ლანსელოტი კელსისთან და ჟინდა ბრაალზე.
როგორ ჩაუსახა გალაპადი ელენას, მიჰმ კილენის ქალიშვილს

— სერ, ჩემი სახელია ლანსელოტ ტბელი.

— ჩემი კი — მეფე პელესი, მიღმური ქვეყნის მზრძანებელი, იოსებ არი-
მათიელის ახლო ნათესავი.

შეხვედრამ ორივე გაახარა. ციხეში შევიდნენ, სუფრა გაიშალა, დანაყრება
და შესვენება უნდოდათ. უცებ ხედავენ: ფანჯარაში მტრედი შემოფრინდა,
ნისკარტით სასაკმევლე ეჭირა. გარშემო ისეთი სურნელება მოეფინა, თითქოს
მთელი ქვეყნიერების ნელსურნელება აქ დაეფრქვიათ. ანაზღად სუფრა რჩეული
კერძებით დაიფარა, ისეთი სასმელები გაჩნდა, უკეთესს ვერც ინატრებდნენ.

შემდეგ დარბაზში გამოჩნდა ტურფა ასული, ოქროს ფიალა ეჭირა ხელში.
ამ ფიალის წინ ჩაიჩოქა მეფემ და ლოცვა წარმოთქვა. ასევე მოიქცა ყველა
სხვაც.

— იესო! — შესძახა სერ ლანსელოტმა, — ეს რას უნდა ნიშნავდეს?

— სერ, — მიუგო მეფემ, — ესაა საუნჯეთა შორის უძვირფასესი რამ,
როგორც ადამიანს ღირსებია. თუ ის დაიკარგება, მრგვალი მაგიდა დიდი ხნით
დაიშლება. იცოდე, შენ იხილე წმინდა გრაალი.

მთელი ეს დღე მეფემ და ლანსელოტმა ერთად გაატარეს. მეფე პელესი
ყოველ ღონეს ზმარობდა, რომ სერ ლანსელოტი როგორმე დაეთანხმებინა მის
ასულთან, მშვენიერ ელენასთან, დაწოლილიყო. აი, რატომ სურდა ეს: მე-
ფემ იცოდა, მის ასულს ლანსელოტისაგან ეყოლებოდა გმირი შვილი, სახელად
გალაპადი, ქველი რაინდი, მთელი მიღმა ქვეყნის მხსნელი, რომელიც წმინდა
გრაალს მოიპოვებდა.

მეფეს ეახლა ვინმე მანდილოსანი, სახელად ბრუზენა და უთხრა:

— სერ, მინდა გაუწყოთ, რომ ქვეყნად ყველა ქალზე მეტად სერ ლანსე-
ლოტს უყვარს დედოფალი გვინივერა. ამიტომ თქვენს ასულთან ვერ დააწ-
ვენთ, თუ არ გააკეთებთ იმას, რასაც მე გასწავლით. მე მოვაწყობ ისე, რომ
ლანსელოტი დაწვება თქვენს ქალიშვილთან, ისე ვითომ ესაა დედოფალი გვი-
ნივერა.

— აჰ, ძვირფასო ქალბატონო, — უთხრა მეფემ, — მაშ იმედი გაქვთ,
რომ ამას გააკეთებთ?

— სერ, — მიუგო, — თავდებად სიცოცხლეს გაძლევთ, ეს საქმე მე მო-
მანდეთ.

ეს ქალი ბრუზენა იმ დროის ერთი უდიდესი ჯადოქარი იყო. მოკლე
ხანში მან ისე მოაწყო საქმე, რომ ლანსელოტს ერთი კაცი ესტუმრა, ბეჭედი
გამიაუგზავნიაო შენთვის გვინივერას, უთხრა. ეს ნიშანი რომ ნახა, ლანსელო-
ტი მანამდე არნახული ვნებით აენტო.

— სად არის ჩემი სატრფო? — შესძახა სერ ლანსელოტმა.

— კაზის ციხეში, — მიუგო მიგზავნილმა, — აქედან სულ ხუთი მილის დაშორებით.

ლანსელოტმა იმავე ღამეს იქ ყოფნა იხედა. იმ ქალმა ბრუზენამ კლდეზე პელესის ნებართვით მაშინვე აფრინა იქით ოცდახუთი რაინდი, მათგან ერთად კი მშვენიერი ელეინა.

შელამებისას ციხეში ცხენით მოვარდა ლანსელოტი. რაინდს სიხარულით შეხვდნენ მეციხოვნენი, რომელნიც სერ ლანსელოტს გვინივერას მსახურებად მოეჩვენა. როგორც კი დაქვეითდა, ლანსელოტმა იკითხა, სად არისო გვინივერა. ბრუზენამ უბასუხა, დედოფალი თავის საწოლშიაო.

აქ ყველა მსახური გაიფანტა და ლანსელოტი საწოლში შეიყვანეს. აქ ბრუზენამ სასმელი მიაწოდა. როგორც კი ის სასმელი შესვა, ისე დათვრა და ისეთი ყინი მოერია, რომ დაუყოვნებლივ დედოფალთან დაწოლა ისურვა. თანაც სჯეროდა, რომ ქალწული ელეინა — დედოფალი გვინივერაა. ლანსელოტი, რაღა თქმა უნდა, ბედნიერი იყო და ქალწული ელეინაც, რადგან იცოდა, რომ იმ ღამეს ჩაესახებოდა სერ გალაჰადი, ქვეყნიერების უდიდესი რაინდი.

ის ღამე და დილა ერთად გაატარეს. მზე კარგა ხნის ამოსული იყო, მაგრამ კარ-ფანჯარა ისე იყო დაგმანული, დღის სინათლე შიგნით ვერ შემოდინოდა. ასე რომ, ლანსელოტმა არ იცოდა, ვისთან იწვა.

თავი მასამი

სერ ლანსელოტი უახავოფილო დარჩა, როცა გაიგო, რომ ელეინასთან იწვა. როგორ შვა ელეინამ სერ გალაჰადი

მაგრამ აი, ლანსელოტი გონს მოვიდა, ფანჯარა გამოაღო და მაშინვე მიხვდა, რა შეცდომაც მოუვიდა.

— ვაგლახ! რატომ მოვესწარი ამ დღეს! ახლა შერცხვენილი კაცი ვარ! მახვილი იშიშვლა და შესძახა:

— მოლაღატევ! ვინა ხარ, ვისთან გავატარე ღამე? ჩემი ხელით მოკვდები ამ სარეცელში?

მაშინ შიშველი მშვენიერი ელეინა საწოლიდან წამოდგა, ფეხქვეშ ჩაუვარდა ლანსელოტს და შეევედრა:

— საყვარელო, დიდსულოვანო რაინდო ლანსელოტ! შენ მეფის გვარისა ხარ და ამიტომ გთხოვ ლობიერებას ქვეყნად სახელგანთქმული რაინდი ხარ და გვედრები, ნუ მომკლავ, რადგან ჩემს წიაღში ჩასახულია შენგან ქვეყნიერების უპირველესი რაინდი.

— აჰ, ვერაგო მოლაღატევ! რისთვის მომატყუე? მითხარი, ვინა ხარ?

— სერ, მე ელეინა ვარ, მეფე პელესის ასული.

— ოჰ, მეტი რა გზა მაქვს, მიპატიებია! — უთხრა ლანსელოტმა.

მაშინ ქალმა თქვა:

— ბატონო ჩემო, სერ ლანსელოტ, მინახულეთ ხოლმე, როცა დროს გამონახავთ, რადგან მე მორჩილი ვარ წინასწარმეტყველებისა, რაც გამაჩემმა

გამანდო. მისი ბრძანებითა და წინასწარმეტყველების აღსასრულებლად მე და-
გითმეთ უდიდესი საუნჯე და უმშვენიერესი ყვავილი, რისი მფლობელიც
დღემდე ვიყავი — ჩემი სიქალწულე, რაც აღარასოდეს დამიბრუნდება. ამი-
ტომ, კეთილშობილო რაინდო, შეინარჩუნეთ ჩემდამი კეთილი გრძნობები.

ამის შემდეგ ლანსელოტმა ჩაიცვა აბჯარი, შეიარაღდა და პლერსით დაემ-
შვიდობა ლედი ელვინას. მერე გზას გაუდგა და მივიდა კორბენის ციხეში,
სადაც მისი მამა იმყოფებოდა.

ქალმა კი თავის დროზე შვა მშვენიერი ყმაწვილი, რომელსაც უწოდეს
გალაპადი. რაღა თქმა უნდა, ყრმას გამორჩეულად ზრდიდნენ, სახელი გალა-
პადი კი უწოდეს იმიტომ, რომ ეს სახელი დაენათლა წყაროსთან ქვაზე თითონ
სერ ლანსელოტს. შემდეგ ლანსელოტს ტბის მფლობელმა სახელი შეუცვალა
და სერ ლანსელოტ ტბელი უწოდა.

მას შემდეგ, რაც ელვინამ მოიმშობიარა და ეკლესიაში განწმენდა მიიღო,
ესტუმრა რაინდი ბრომელ პლესიელი, მამულთა მფლობელი ბარონი. მას
დიდი ხანია უყვარდა ელვინა და შერთვა უნდოდა. ელვინამ ვერანაირად ვერ
მოიცილა თავიდან, ვიდრე ერთხელ ასე არ უთხრა:

— იცოდეთ, სერ რაინდო, მე არასოდეს შეგიყვარებთ, რადგან ჩემი სიყ-
ვარული უკვე ვაჩუქე ქვეყნიერების უდიდეს რაინდს.

— ვინ არის? — მიუგო ბრომელმა.

— სერ, — უთხრა ქალმა, — ესაა სერ ლანსელოტ ტბელი, მე ის მიყ-
ვარს და თავს ნუ მაბეზრებთ, თქვენი თხოვნით.

— კეთილი, — უთხრა ბრომელმა, — მაგრამ რაკი ლანსელოტის სახელი
გამანდეთ, დიდხანს არ მოგიხდებათ მისი სიყვარულით ტკბობა, რადგან სა-
დაც შემხვდება, იქ მოვკლავ.

— სერ, — მიუგო ლედი ელვინამ, — ღმერთმა დამიფაროს, რომ მისი
შებრალება გთხოვოთ, ოღონდ ღალატსა და მუხანათობას არ მიმართოთ.

— აბა, ჩემო ქალბატონო, ხვალიდან მთელი წლის განმავლობაში მას
დავუდარაჯდები კორბენის ხიდზე. ასე რომ, რა დროსაც არ უნდა მოიწადინოს
თქვენი ნახვა, ვერც ერთი გზით გვერდს ვერ ამივლის.

თ ა ვ ი მ ი თ ხ ე

როგორ მივიდა სერ ბორსი ლედი ელვინასთან და ნახა გალაპადი, როგორ დააპაჟრა
წმინდა ბრაალმა სერ ბორსი

მოხდა ისე, რომ იმ მხარეში გამოიარა სერ ბორსი განელმა, სერ ლანსე-
ლოტის ბიძაშვილმა, ორთაბრძოლა გაუმართა სერ ბრომელს და ისე მძლავ-
რად დაჰკრა თავში, რომ ცხენიდან გადააგდო.

მაშინ სერ ბრომელმა იმარჯვა, ფიცხლავ წამოაჭრა, როგორც ღირსეული
მეომარი, მახვილი იშიშვლა, ფარი იფარა და ქვეითი ბრძოლისათვის გაემზადა.
სერ ბორსიც დაქვეითდა, ცხენი სხვას ჩააბარა და დაიწყეს ბრძოლა. სეტყვასა-
ვით აყრიდნენ ერთმანეთს მძიმე დარტყმებს, მაგრამ ბოლოს სერ ბრომელი
დამარცხდა, დაეცა, ბორსმა სწრაფად დაიწყო ღვედის გახსნა, რომ თავი მო-
კვეთა.

სერ ბრომელმა შესაჩა, გნებდებო, და შებრალება სთხოვა.

— მხოლოდ ერთი პირობით გაჩუქებ სიცოცხლეს, — უთხრა ბორსმა, — მომაგალ სამება დღეს ჩემს ბატონ სერ ლანსელოტთან უნდა მიხვიდე და დაემორჩილო.

— სერ, ყველაფერს შევასრულებ, — მიუგო ბრომელმა.

ხმალზე დაიფიცა და მაშინ ბორსმა გაუშვა, თვითონ კი გაეშურა მეფე პელეისთან, რომელიც კორბენის ციხეში იყო. როცა მეფემ და მისმა ასულმა ელენამ გაიგეს, რომ ლანსელოტის ბიძაშვილია, სული და გული გადაუშალეს.

— სერ, — უთხრა ელენამ, — ძალიან გვიკვირს, სადაა სერ ლანსელოტი, რადგან მხოლოდ ერთხელ იყო აქ და მერე აღარ გვინახავს.

— ქალბატონო, ნუ გაგიკვირდებით, რადგან ავერ უკვე ნახევარი წელია იტანჯება ართურ მეფის დის, ჯადოქარ ფეა მორგანის საპყრობილეში.

— ვაგლახ! — შესძახა ელენამ, — ეს ძლიერ მალონებს.

ბორსი კი სულ უყურებდა ყრმას, ელენას რომ ეჭირა ხელში, და უკვირდა, როგორა ჰგავსო ლანსელოტს.

— ჰეშმარიტად, — მიუგო მის კითხვაზე ელენამ, — ეს ბავშვი სწორედ სერ ლანსელოტისაგან მყავს.

აქ სერ ბორსი სიხარულისაგან ატირდა და ღმერთს შეევედრა, რომ ყმაწვილიც მამასავით სახელოვანი რაინდი გამოსულიყო.

ამავე წამს ფანჯრიდან მტრედი შემოფრინდა, ნისკარტით სასაქმევლე ეჭირა, დარბაზში ნელსურნელება მოჰფინა და სუფრა ყოველნაირი სასმელსაჰმელით აივსო. ქალწულიც გამოჩნდა წმინდა გრაალის თასით ხელში და ყველას გასაგონად თქვა:

— იცოდე, სერ ბორს, რომ ეს ყმაწვილი, სერ გალაჰადი, დამღუპველ სკამს დაიკავებს, მოიპოვებს წმინდა გრაალს და იქნება რაინდი თავის მამაზე, სერ ლანსელოტზე აღმატებული.

მაშინ ყველამ მუხლი მოიყარა და გაისმა ერთობლივი ლოცვა, დარბაზს ისეთი სურნელება მოეფინა, თითქოს მთელი ქვეყნის მუშკ-ამბარი აქ დაეფრქვიათ. მტრედმა დარბაზს ფარფატით დაუარა და გაფრინდა, მაშინ წმინდა გრაალიც გაუჩინარდა.

— სერ, — უთხრა სერ ბორსმა სერ პელესის, — რაღაც ისე ჩანს, ეს ციხე თავგადასავალთა ციხეა, რადგან აქ ჩვენ თვალწინ ბევრი საოცარი ამბავი ხდება.

— მართალია, — თქვა მეფემ, — ჰეშმარიტად, აქაური მიდამოები შეიძლება სახიფათო თავგადასავალთა მხარედ ჩაითვალოს, რადგან აქ ჩამოსულ რაინდს იშვიათად მოუხვეჭავს სახელი.

— საოცარია, — თქვა ბორსმა, — რასაც თქვენ ამ მხარეზე ამბობთ. მართლაც, ბევრი საკვირველი ხიფათი ელოდებათ აქ რაინდებს. ამიტომ მინდა ეს ღამე ამ კოშკში გავათიო.

— არა, სერ, ამას ნუ იზამთ, — მიუგო მეფემ, — მომისმინეთ და ჩემი რჩევა მიიღეთ, თორემ სირცხვილს ვერ აიცილენთ.

— სერ, მე მზადა ვარ შევეგებო ყოველ თავგადასავალს, რაც ჩემი შესაფერისი იქნება, — უთხრა სერ ბორსმა.

— მაშინ ჩემი რჩევაა, განიწმინდეთ აღსარებით.

— რაც შეეხება განწმენდას, სიაშოვნებით მივიღებ ცოდვების მიტევებას. მაშინ სერ ბორსმა თავისი შეცოდებანი აღიარა. ყველა ქალის წინაშე უმწიკვლო იყო, ერთის გარდა, და ეს ერთი იყო მეფე ბრანდეგორის ასული, მისგან ჰყავდა შვილი ელინი. თუ იმას არ ჩავთვლით, სერ ბორსი სუფთა და უცოდველი იყო.

აი, სერ ბორსი საწოლიანად ფართო დარბაზში გადაიყვანეს, ირგვლივ მრავალი დახურული კარი იყო. ასე მრავალი კარი რომ ნახა, მსახურები დაითხოვა, რადგან მარტო დარჩენა უნდოდა. სერ ბორსს საომარი საჭურველი არ გაუხდია, იგი აბჯარასხმული დაწვა.

სერ ბორსმა ბნელში იხილა მისკენ გამოწვდილი გრძელი შუბი, რომლის წვერი თითქოს ანთებული სანთელი იყო. სერ ბორსმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ შუბი პირდაპირ მხარში შეერჭო და დაჭრა, ხელისგულისოდენა ჭრილობამ პირი დააღო და ბორსი გულწასული მიესვენა საწოლზე. მაშინ გამოეცხადა რაინდი, მხარზე ფარი ჰქონდა, ხელში მახვილი ეჭირა და უთხრა:

— ადექი, სერ რაინდო, და შემეხი!

— თუმცა სასტიკად დაჭრილი ვარ, მაგრამ ბრძოლას თავს არ აგარიდებ!

ამ სიტყვებზე სერ ბორსი წამოიჭრა და დიდხანს შეუბრალებლად ერკინებოდნენ ერთიმეორეს. ბოლოს ბორსმა ერთ კართან მიიმწყვდია და როცა გაუჭირდა, ის რაინდი იმ კარში გზუჩინარდა. დიდხანს ისვენებდა უჩინარი რაინდი, მერე დასვენებული გამოვარდა და თავიდან დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

თ ა ვ ი ა ნ ხ უ თ ა

როგორ აიძულა სერ ბორსმა სერ ბედღივერი დაგმობილიყო, სერ ბორსის საოცარი თავგადასავალი და როგორ შეასრულა ყველაფერი სერ ბორსმა

სერ ბორსმა გულში გადაწყვიტა, უცნობი რაინდისათვის კვლავ დასვენების საშუალება მოესპო და კარსა და რაინდს შუა თვითონ ჩადგა. რამდენიმე ძლიერი დარტყმა იგემა თუ არა, რაინდი პირქვე დაემხო და სერ ბორსს დამორჩილდა.

— თქვენი სახელი? — ჰკითხა სერ ბორსმა.

— ჩემი სახელი სერ ბედღივერი გახლავთ და ქვემოური მიწების ქვეყნიდან ვარ.

სერ ბორსმა აიძულა სერ ბედღივერი რაინდული ფიცი დაედო, რის თანახმადც მომავალ სამეხის დღესასწაულზე ართურის კარზე უნდა გამოცხადებულიყო, ეთქვა, რომ იგი სერ ბორსის მონაა, დამარცხებულია და დატყვევებული სერ ბორსის მიერ.

ქვემოური მიწების მფლობელი სერ ბედღივერი ასეთი ფიცის დადების შემდგომ სერ ბორსმა გაათავისუფლა. მერმე სერ ბორსი ისევ თავის ლოგინში ჩაწვა. უცებ ძლიერი ხმაური შემოესმა და, ღმერთმა არ იცის, ფანჯრიდან თუ კარიდან, ისრების წვიმა წამოვიდა. მრავალი მათგანი აბჯრისაგან დაუცველ ადგილას მოხვდა და სხეული დაუზიანა, მერმე ნახა, რომ პირდაპირ მასზე პირდაღებული ლომი მოემართებოდა. სერ ბორსმა შეუტია, ლომმა თავი

თით მხრიდან ფარი ჩამოაგლიჯა, მაგრამ სერ ბორსმა მოასწრო და ლომს თავი წააცალა.

მერმე ის იყო ციხის ეზოში საშინელი და მრისხანე ურჩხული დადინდა. ისე მოეჩვენა, რომ ურჩხულს ზედ შუბლზე ოქროს ასოებით ჰქონდა წარწერა: „მეფე ართური“. უცებ დაინახა, რომ ურჩხულს საშინელი ლეოპარდის ლაქები თავს და მათ შორის დიდი თავგანწირული ბრძოლა გაიმართა. ბოლოს ურჩხულმა თავის პირიდან თითქოს ასამდე პატარა ურჩხული წამოჰყარა. იმწამსვე პატარა ურჩხულებმა დიდი ურჩხული მოაკვდინეს და ნაფლეთებად აქციეს. მერმე ის იყო, სერ ბორსთან დარბაზში ვიღაც მოხუცი გაჩნდა. იგი სავარძელში მოკალათდა და სერ ბორსმა შეამჩნია, რომ მოხუცს ზედ ყელზე ორი გველი ეხვეოდა. მოხუცმა ხელთ არფა აიღო და იოსებ არიმათიელზე ძველი ბაღადა იმღერა. სიმღერაში მოხუცი მისი ჩამოსვლისა და აქაურ მხარეში ხეტიალის ამბავსაც ჰყვებოდა. სიმღერას რომ მორჩა, მოხუცმა სერ ბორსს უთხრა: ახლა კი შენს გზას დაადექიო.

ბორსს ისე მოეჩვენა, ვითომ მტრედი შემოფრინდა, თეთრი, ქათქათა, ნისკარტით ოქროს სასაკმევლე ეჭირა. გამოჩნდა თუ არა მტრედი, მყისვე ჩადგა ქარიშხალი, რაც ისე გუგუნებდა, კაცი გაოცებას იყო. მთელი კოშკი და ეზო ნელსურნელებით აივსო.

ხედავს სერ ბორსი, ოთხი მშვენიერი ყრმაა, ოთხი თეთრი სანთელი მოაქვთ, ერთი მოხუცი მოჰყვებათ. ცალ ხელში ფიალა უჭირავს, მეორეში შუბი. იმ შუბს ერქვა „შურისგების შუბი“.

თ ა ვ ი მ ე მ ე ვ ს ა

როგორ ჯავიდა სერ ბორსი, როგორ საყვედურობდა სერ ლანსელოტს დედოფალი გვინივერა, და როგორ იმართლებდა თავს რაინდი

— ახლა, — უთხრა მოხუცმა ბორსს, — წადით, შეატყობინეთ თქვენს ნათესავს სერ ლანსელოტს თქვენი თავგადასავალი, რაც ქვეყნად ყველაზე მეტად მას შეეფერებოდა, მაგრამ ისეთი საძაგელი ცოდვა აქვს ჩადენილი, რომ წმიდათაწმიდა გმირობის მოსახდენად ძალა არ ეყოფა. ის ცოდვა რომ არა, დედამიწაზე ვერც ერთი რაინდი წინ ვერ დაუდგებოდა. ასე უთხარით სერ ლანსელოტს: საერო საგმირო საქმეში მას კაცის შვილი ვერ შეედრება, მაგრამ სულის სარგო გმირობაში ბევრს ჩამორჩება.

სერ ბორსმა დაინახა ღარიბულად ჩაცმულ-დახურული ოთხი კეთილშობილი მანდილოსანი, ისინი წყნარად უახლოვდებოდნენ სერ ბორსს, იმ ადგილას კი, საიდანაც შემოვიდნენ, ზაფხულის მზის გაჩახჩახებულ ნათელი იდგა. ოთხივე ქალი ოქროს საკურთხეველთან დაეცა მუხლებზე, როგორც ეპისკოპოსი იყრის ხოლმე მუხლებს ვერცხლის ტახტის წინ. ბორსმა მალლა აიხედა. გაშიშვლებული ხმალი ეკიდა მის თავს ზემოთ და ისე ციმციმებდა, რომ მისმა ნათელმა დროებით თვალი მოჰკვეთა.

ამასობაში ართურის სასახლემდე მივიდა ამბავი, რომ ლანსელოტს ელენასაგან ვაჟი ეყოლა. მაშინ დიდად განრისხდა ლანსელოტზე დედოფალი გვინივერა, საყვედურებით აავსო და ორგული რაინდი უწოდა. მაგრამ ლანსე-

ლოტმა მოუთხრო ყველაფერი, თუ როგორ მოხვდა ელენას საწოლში: „თქვენი სახით წარმომიდგა, ჩემო დედოფალო“, — უთხრა, — და მაშინ დედოფალმა აპატია.

ართურ მეფე კი, როგორც წიგნშია მოთხრობილი, ამ დროს საფრანგეთში იყო, ძღვევამოსილ მეფეს კლაუდასს ეომებოდა და მჭვრი მჭვრე წაართვა. ხოლო, როცა უკან დაბრუნდა, დიდი ტურნირი გამოაცხადა, იმ ასპარეზობაზე მოსვლა ებრძანა ყველა ლორდსა და ბანოვანს, ვინც მის წინააღმდეგ ცუდს არ იზრახავდა.

თ ა ვ ი მ ა უ ვ ი დ ე

როგორ ჯარ-ზივიით ჩავიდა კამელოტში ელენა, სრ გალაჰადის დედა, და როგორ ეპირა თავი სრ ლანსელოტს

როცა პელეს მეფის ასულმა ლედი ელენამ იმ ასპარეზობის ამბავი შეიტყო, მამას სთხოვა, რომ იმ ზეიმზე გამგზავრების ნება დაერთო. პელესმა მიუგო:

— თანახმა ვარ, გაემგზავრეთ, მაგრამ თუ გიყვარდეთ, ხარჯებს არ მოერიდოთ, გამოეწყვეთ საუკეთესო, უძვირფასეს სამოსში. მოითხოვეთ და, მიიღებთ ყველაფერს, რაც დაგჭირდებათ.

ჯადოქარ ბრუზენას დახმარებით მთელი სამზადისი საგულდაგულოდ ჩატარდა და მეფის ასული გამოეწყო ურჩეულეს ტანისამოსში. ასე წავიდა ოცი რაინდისა და ათი ბანოვანის თანხლებით ტურნირზე. როცა კამელოტში ჩავიდა ას ცხენზე ამხედრებული მთელი ამაღის თანხლებით, ართურ მეფემ და გვინივერამ საჯაროდ გამოაცხადეს: ამ სასახლეში ასე მდიდრულად გამოწყობილი და ასე ლამაზი დედოფალი ჯერ არ გამოჩენილაო.

როგორც კი ელენას ჩამოსვლა გაიგო, მეფე პელესის ასულს ართურ მეფე პირადად შეეგება და მიესალმა, მასთან მრგვალი მაგიდის ყველა რაინდიც — ტრისტრამი, ბლეობერისი, გავენი და სხვაც ბევრი, რომელთა ჩამოთვლას აღარ შევუდგები.

სერ ლანსელოტს არც სალამ-ქალამი უთქვამს ქალისათვის და არც გამოლაპარაკებია. ელენა რომ დაინახა, თავისი იმდიღანდელი მოქმედება გაახსენდა, საქციელი წაუხდა და დაირცხვინა. ამ ქალზე მახვილი როგორ აღეშარათეო, ფიქრობდა და მწარე სინანულში იყო ჩავარდნილი, ისე კი გაიფიქრა, ასეთი ლამაზი ქალი ჩემს ცხოვრებაში არ შემხვედრიაო. მაგრამ როცა ელენამ ნახა, რომ ლანსელოტი არ ესალმება, ისე დაღონდა, რომ ლამის გული ორად გაეპო, რადგან სერ ლანსელოტი უზომოდ უყვარდა. მან თავის მსახურ ქალს ბრუზენას უთხრა:

- სერ ლანსელოტის უზრდელობამ გული მომიკლა.
- გულს ნუ გაიტეხთ, ქალბატონო, — მიუგო ბრუზენამ, — დამაცადეთ, ისე მოვაწყობ, რომ ამ ლამეს შენთან დაწვება, ოღონდ ჩუმად იყავით.
- ეს უფრო მეამებოდა, ვიდრე მთელი ქვეყნიერების ოქრო, — თქვა ელენამ.
- მაშ, მე მაცალეთ.

ელენა რომ დედოფალ გვინივერას წარუდგინეს, ისინი ერთმანეთს ფარი-

სეგლური სიამტკილობით შეხვდნენ, მოჩვენებით ილიმებოდნენ, გულში კი რა ედოთ, ვინ იცის. ყველა ელენას სილაშაზეს აღიღებდა.

ართურის ბრძანებით, ელენას საწოლი სასახლეში გაუშალეს გვინივერას საწოლის მახლობლად. როგორც იყო ნაბრძანები, ისე აღასრულეს.

მერე დედოფალმა ლანსელოტს შეუთვალა, დღეს ჩემს საწოლში შეწვიეო.

— თუ არ მოსულხარ, ვიფიქრებ, რომ სარეცელს ელენასთან იყოფ, ვისგანაც უკვე გეყოლა შვილი გალაპადი.

— დედოფალო, — მიუგო ლანსელოტმა, — ძალიან გთხოვთ, ასე ნუ ლაპარაკობთ, მე ხომ ეს ჩემი ნებით არ ჩამიდენია.

— მაშინ გაფრთხილებთ, გამოცხადდით, როგორც კი გიხმობთ!

— დედოფალო, — მიუგო ლანსელოტმა, — მე თქვენს ბრძანებას დაველოდები. — მაგრამ ძლივს მოასწრეს ასე შეთანხმება, რომ ქალმა ბრუზენამ თავისი ჯადოქრობით ყველაფერი შეიტყო და ელენას უამბო.

— ვაი! — შესძახა ქალმა, — მე რა მეშველება?

— მაცალეთ, — მიუგო ბრუზენამ, — ჩემი ხელით მოვიყვან თქვენს სარეცელთან, ვითომ გვინივერას მიგზავნილი ვარ.

— რა კარგი იქნება! — თქვა ელენამ, — ხომ იცი, მთელს ქვეყნიერებად მიღირს ლანსელოტის სიყვარული, და კიდევ მეტად.

თავი მერვე

ორგორ მიიხვანა ჯადოქრობით გრუზენამ ლანსელოტი ელენას სარეცელთან და როგორ უსაყვიღურა ააცხ დედოფალმა გვინივერამ

ყველას რომ ეძინა, ლანსელოტთან ბრუზენა მივიდა და უთხრა:

— სერ ლანსელოტ ტბელო, ხომ არა გძინავთ? ჩემი ქალბატონი დედოფალი გვინივერა თავის საწოლში გელოდებათ.

— აჰ, ძვირფასო ქალბატონო, — მიუგო ლანსელოტმა, — მზად ვარ გამოგყვეთ, საითაც წამიყვანთ.

ლანსელოტმა მხრებზე გრძელი მოსასხამი მოისხა, ხმალი აიღო, ბრუზენამ თითი დაუჭირა, წაიყვანა ელენასთან შეუძღვა, ორნი მიატოვა და თვითონ გაუჩინარდა. რაღა თქმა უნდა, ელენა ბედნიერი იყო და ლანსელოტიც, მას ხომ ის ეგონა, დედოფალ გვინივერას ვებვევიო.

მივატოვოთ ეს წყვილი ხვევანა-კოცნასა და განცხრომაში, როგორც ასეთ დროსაა მიღებული, და გადავიდეთ გვინივერასთან, რომელმაც ლანსელოტის საწოლში გაგზავნა თავისი ყველაზე უფრო სანდო ქალი. ამ პირისფარეშმა რაინდის საწოლი ცარიელი და ცივი ნახა, უკან გაბრუნდა და გვინივერას ყველაფერი უამბო.

— საკვირველია! — შესძახა დედოფალმა, — ნეტავ სად გაქრა ის ვერაგი რაინდი? — ვნებააშლილმა დედოფალმა კინალამ გონება დაკარგა, ისე აწყდებოდა აქეთ-იქით საწოლში, გიჟივით იყო და მთელი ხუთი საათი თვალი ვერ მოხუჭა.

სერ ლანსელოტს კი ჩვეულებად ჰქონდა ძილში ლაპარაკი და ამჯერადაც ხშირად წარმოთქვამდა თავისი საყვარელი დედოფალ გვინივერას სახელს. რამ-

დენ ხანსაც სურდა, ხომ ეღვიძა, მერე კი დაიძინა, როგორც ხდება ხოლმე, და ელვინასაც ჩაეძინა. ძილში კი დაიწყო ლაპარაკი და ისე ხმამაღლა წამოროშა კაჭკაჭივით ყველაფერი, რომ დედოფალმა თავისი სახელიც გარკვევით გაიგონა. თავისი საყვარლის ხმა რომ შემოესმა, დედოფალი ისე აღტყაობდა, რომ აღარ იცოდა, რა ექნა, რისხვით ანთებულმა ბოლოს ისე დააზველა, რომ ლანსელოტს გამოეღვიძა. როგორც კი ხველების ხმა გაიგონა, მიხვდა, რომ ელვინასთან იწვა. იგი გიჟივით წამოიჭრა პერანგის ამარა და შუა დარბაზში გვინივერას შეეფეთა.

დედოფალმა უთხრა:

— აჰ, შე მუხანათო და მოღალატე რაინდო! აღარ გაბედო ჩემს სასახლეში დარჩენა და დაუყოვნებლივ გამეცალე! ნუ გათავხედდები ისე, მზაკვარო, მოღალატევ, რომ კიდევ ოდესმე თვალით დამენახო!

— ვაი მე! — შესძახა ლანსელოტმა.

იგი ისე შეაწუხა დედოფლის სიტყვებმა, რომ იქვე, სადაც იდგა, უგრძნობლად დაეცა იატაკზე, ხოლო დედოფალი გაეცალა.

როცა ლანსელოტი გონს მოვიდა, ზედა ფანჯრიდან ბაღში გადახტა, იქ ეკლებმა და ბუბგებმა ისე დაუსერეს სახე და ტანი, რომ სისხლი სდიოდა. იგი წამოვარდა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა დარდისაგან გადარეული, საითაც თვალი მიუწვდებოდა, იქით მიიწევდა. ასე იმალებოდა და დაეხეტებოდა მთელი ორი წელი, და იმ მოხეტიალე კაცში სერ ლანსელოტი ვერავინ ვერ იცნო.

თ ა ვ ი მ ე ტ ხ რ ე

როგორ უბრძანა დედოფალმა გვინივერას ელვინას, სასახლე დატოვებო და როგორ შეიშალა ლანსელოტი

ახლა კი დავუბრუნდეთ დედოფალ გვინივერას და მშვენიერ ლედი ელვინას. ლედი ელვინამ გაიგო, რა სასტიკი სიტყვები უთხრა დედოფალმა ლანსელოტს, როგორ წაუვიდა რაინდს გული, როგორ გადახტა ფანჯრიდან, და გვინივერას ასე უთხრა:

— ქალბატონო, არა ხართ მართალი სერ ლანსელოტის მიმართ, ახლა თქვენ იგი სამუდამოდ დაკარგეთ, რადგან მისი საქციელისა და სიტყვების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვატყობ, სრულიად დაკარგა ჭკუა. თქვენ კი, ქალბატონო, ვაი, ასეთ დედოფლობას! უდიდესი ცოდვა ჩაიდინეთ და თავი მოიჭერით, რადგან გყავთ მეუღლე მეფე და მოვალე ხართ გიყვარდეთ იგი, ქვეყნად ხომ არ არის მეორე დედოფალი, თქვენზე უკეთესი ქმარი რომ ჰყავდეს. თქვენ რომ არა, შეიძლება ჩემს ბატონს სერ ლანსელოტს შევყვარებოდი კიდევ. მე ხომ მიზეზი მაქვს მისი სიყვარულისა: მას ჩავაბარე ჩემი სიქალწულე და მისგან მყავს შვილი სერ გალაჰადი. ის კი თავის დროზე ქვეყნიერების უდიდესი რაინდი იქნება.

— აი, რას გეტყვით, ლედი ელვინა, — მიუვო დედოფალმა, — როგორც კი ინათებს, გიბრძანებთ დატოვებო ჩემი სასახლე და, თუ მართლა გიყვართ ლანსელოტი, ნუღარ დასძებნით, რადგან თუ მონახეთ, დაიღუპება.

— რაც შეეხება სერ ლანსელოტს, — მიუვო ლედი ელვინამ, — ის ისე-

დაც სამუდამოდ დაღუპულია და ეს თქვენ მოიმოქმედეთ! ახლა მის ატურს ვე-
 ლარც თქვენ ეღირსებით და ველარც მე. ფანჯრიდან რომ გადახტა, ისე სწინ-
 ლად კვნესოდა, არა მგონია, ცოცხალი და საღ-საღამათი გადარჩეს.

— ვაი! — თქვა ბოლოს ლედი ელენამ.

— ვაი! — თქვა დედოფალმაც, — ვხედავ, სამუდამოდ დაეკარგე იგი!

დილით ელენა გაემზადა და დაუყოვნებლივ გაემგზავრა იქით, საიდანაც
 მოვიდა. ართურ მეფემ ასირაინდის თანხლებით გააცილა ტყის გაყოლებით.
 გზადაგზა ელენამ ბორს განელს ყველაფერი უამბო, რაც ღამით მოხდა. უთხრა
 ისიც, რომ სერ ლანსელოტი მეორე საბრთულის ფანჯრიდან გადავარდა და მწუ-
 ხარებისაგან ჭკუაზე გადაცდა.

— ვაი! — შესძახა ბორსმა, — სადღაა ახლა ჩემი ბატონი ლანსელოტი?

— სერ, ეს მე არ ვიცი.

— ვაი და ვუი თქვენ ორივეს! — თქვა ბორსმა, — თქვენ დაღუპეთ სა-
 ხელოვანი რაინდი!

— მე არაფერი საწყენი სიტყვა არ მიკადრებია ლანსელოტისათვის, მაგრამ
 ის კი კარვად დავინახე, გულშეწუხებული რომ დავარდა დედოფლის სასტიკი
 სიტყვების გაგონებაზე. გონს რომ მოეგო, ხმალი აიტაცა და პერანგის ამარა
 გადაეშვა ფანჯრიდან, თან ისე მწარედ დაიკვნესა, რომ მამაკაცის ასეთი კვნესა
 ჯერ არ მსმენია.

— მშვიდობით! — უთხრა ბორსმა ელენას, — შეიქციეთ ლაპარაკით
 ართურ მეფე, მე კი უკან გაუიქცევი და გვინივერას გადავცემ თქვენს საყვე-
 დურებს. თქვენ კი გთხოვთ, თუ გსურთ ერთგულად გემსახუროთ, თვალყური
 გექიროთ, იქნებ სადმე შეხვდეთ თქვენს ბატონს სერ ლანსელოტს.

— ჭეშმარიტად, — მიუგო ელენამ, — იმედი იქონიეთ, რომ ყველა-
 ფერს ვიღონებ მის დასახსნელად, რადგან უმაღლესი სიციცხლეს დავთმობ მისი
 გულისათვის, ვიდრე მის ძვს მოვითმენა.

— ქალბატონო, რაც შეიძლება მალე წავიდეს უკან სერ ბორსი და ეცა-
 დოს დროზე ნახოს სერ ლანსელოტი — ჩაერია ბრუზენა. — იქნებ ჯერ კი-
 დევ შესაძლებელი გახდეს მისი მორჩენა თუნდაც სასწაულით.

ელენა მწარედ აქვითინდა. ბორს განელიც ვალალებდა, შემდეგ ერთ-
 მანეთს დაშორდნენ. სერ ბორსი პირადად ეახლა გვინივერას. როგორც კი
 დედოფალმა გვინივერამ სერ ბორსი დაინახა, გიჟივით აღრიალდა.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

როგორ დადგინდა გვინივერა სერ ლანსელოტზე და როგორ დაამბებდნენ სერ
 ლანსელოტს მისი გვარის რაინდები

ასეთი სიტყვები რომ გაიგონა, დედოფალი მკვდარივით დაეცა გულწა-
 სული. როცა სერ ბორსმა წამოაყენა და გონს მოიყვანა, დედოფალი ამ სამი
 რაინდის წინ დაემხო, ხელები გაიწოდა და შეევედრა, მონახეთო სერ ლან-
 სელოტი.

— ხარჯებს ნუ მოერიდებით, თლონდ მონახეთ, რადგან ის ახლა ცნობაზე
 არ არის.

მაშინ სერ ბორსმა, სერ ექტორმა და სერ ლიონელმა იქაურობა მიატოვეს, იღარ შეეძლოთ მისი დარდის ცქერა. დედოფალმა დიდძალი ძვირფასეულობა გამოუგზავნათ სახარჯოდ. რაინდებმა აბჯარი ჩაიცვეს და გზას გაუდგნენ. მათ ბევრი იარეს ტყე-ღრეში, მხარიდან მხარეში, ქვეყნიდან ქვეყანაში, ყველგან ფხიზლად ათვალიერებდნენ მიდამოს, ეკითხებოდნენ გამვლელ-გამომვლელს: ხომ არ გადაჰყრიხართ სადმე მახვილით შეიარაღებულ შიშველ კაცს, პერანგის ამარა რომ დადისო?

თითქმის სამი თვე იარეს წინ და უკან, მაგრამ ლტოლვილის ასავალ-დასავალი ვერ გაიგეს და სამივე მწარედ დაღონდა. ბოლოს სერ ბორსს შეხვდა ერთი რაინდი, სახელად მელიონ-თათარი.

— ძვირფასო რაინდო, — უთხრა ბორსმა, — საით მიემგზავრებით? (ის ამ რაინდს კარგა ხანი იცნობდა).

— სერ, მივდივარ ართურ მეფის სასახლეში.

— მაშინ გადაეცით ართურ მეფეს და დედოფალ გვინივერას, რომ მთელი ჩვენი ხულმოდგინების მიუხედავად, ვერაფერს გავხდით. ქვეყნები შევაჯერეთ და ლანსელოტის ამბავი ვერ გავიგეთ.

სერ მელიონი დაემშვიდობა და დაჰპირდა, ყველაფერს ვეტყვიო მეფეს და დედოფალს. მართლაც, მივიდა თუ არა, ყველაფერი გადასცა, რაც დააბარეს.

მაშინ სერ გავეინმა, სერ ივეინმა, საგრამურ სასურველმა, აგლოვალმა და პერსივალ უელსელმა მეფისა და, განსაკუთრებით, გვინივერას თხოვნით იკისრეს მთელი ინგლისის, უელსის და შოტლანდიის შემოვლა, რომ ლანსელოტის ამბავი გაეგოთ. თან თვრამეტი რაინდი გაჰყვათ, და, რალა თქმა უნდა, გზის ხარჯები არც მათ აკლდათ. ასე რომ, სულ ამ ლაშქრობაში ოცდასამი რაინდი გავიდა.

ჩვენ კი მალე დავუბრუნდებით სერ ლანსელოტს და ვიტყვით, რამდენი დარდი, გასაჭირი და უბედურება დაატყდა თავს, რადგან სიცივე, შიმშილი და წყურვილი საკმარისზე მეტი განიცადა.

იმ კეთილშობილმა რაინდებმა დიდხანს ერთად იარეს, მერე კი დანაწილდნენ ორ-ორად, სამ-სამად, ხუთ-ხუთად, როგორც შეთანხმდნენ, და შეხვედრის ადგილიც დათქვეს.

სერ აგლოვალი და სერ პერსივალი ერთად წავიდნენ და თავიანთი დედის სამყოფელისაკენ შეუხვიეს, რომელიც იმ ხანებში დედოფალი იყო. ქალმა ორივე შვილის დანახვაზე სიხარულით იტირა და უთხრა:

— ო, ჩემო საყვარელო შვილებო! როცა მამათქვენნი მოკლეს, ოთხი შვილი დამიტოვა, მაგრამ ორი მათგანი უკვე მკვდარია. ჩემი სახელოვანი შვილის სერ ლამორაკის სიკვდილის შემდეგ ჩემი გული აღარასოდეს გამრთელდება.

დედამ აგლოვალსა და პერსივალს დაუჩოქა და შეევედრა, ჩემთან დარჩითო.

— ო, ჩემო ალერსიანო დედავ! — უთხრა პერსივალმა, — არ შეგვიძლია. ჩვენ ხომ დედისა და მამის მხრიდან სამეფო გვარისანი ვართ, ჩვენი ბუნებაც ასეთია: ხიფათსა და სახელოვან საქმეებს ვეძებთ!

— აფსუს! ჩემო საყვარელო შვილებო, — თქვა დედამ, — მუდამ მზარე ვარ თქვენთვის სიცოცხლის უკანასკნელი სიხარულიც კი დავთმო. მაგრამ შე

ხომ იმისი ძალი და ღონე აღარ შემწევს, ვითმინო უამინდობა და ქარი, მეტადრე ახლა, მეფე პელინორის, მამათქვენის სიკვდილის შემდეგ, სამარცხვინო აღსასრული რომ ერგო სერ გავეინის და მისი ძმის გაპერისის ხელით. ის რომ ვერაგულად მოკლეს, და არა პატიოსან ბრძოლაში. ვაგლახ! ჩემო, შეიღებულ, მწარედ დავტირი მამათქვენს, ახლა კიდევ ჩემს უბერურებას დაუმატა, ღამით რომელსაც რაინდთა შორის ფარდი და ტოლი ბევრი არა ჰყავდა. თქვენ, საყვარელო შვილებო, გახსოვდეთ და ნუ დაივიწყებთ ამას.

სასახლეში ბევრი იტირეს და ბევრი იბაასეს. ბოლოს წასვლის დროც დადგა. დედოფალს იქვე გული შეუწყუბდა.

თ ა ვ ი მ მ თ ე რ თ მ ი ტ ე

როგორ მოკლეს სერ აგლოვალის მსახური და როგორ გადაუხადეს სამაგიერო მამიკა

როცა სერ აგლოვალისა და სერ პერსივალის დედა გონს მოვიდა, პაეს ფული გაატანა, რომ შვილებს გზაში ხარჯი არ დაკლებოდათ. პაეი დაეწია სახელოვან რაინდებს, მაგრამ თან არ გაიყოლიეს, მას უკან დაბრუნება უბრძანეს, რომ მათი დედისათვის ნუგეში ეცა და მისგან ასე თუ ისე გზადალოცვილნი ყოფილიყვნენ.

უკან რომ გაბრუნდა, მოხდა ისე, რომ პაეს გზაში შემოაღამდა. საუბედუროდ, ერთი კოშკის მახლობლად მოხვდა და ღამის გასათევად იქ მივიდა. კოშკის პატრონმა ბარონმა დაუწყო გამოკითხვა, ვინა ხარ და ვის ემსახურებიო.

— ჩემო ბატონო, — მიუგო პაემა, — კეთილი ბატონის აგლოვალის მსახური ვახლავართ.

ასე უთხრა კეთილი განზრახვით, რადგან ეგონა, აგლოვალის ხატრით უკეთ მოექცეოდნენ. ისიც უთხრა, დედამისს, დედოფალს, ვემსახურებიო.

— რა გაეწყობა, მეგობარო, — მიუგო ბარონმა, — სერ აგლოვალის გამო აქ ცუდი შეხვედრა მოგელით, რადგან აგლოვალმა ძმა მომიკლა. ამიტომ საზღაურად შენ უნდა მოკვდე.

ბარონმა იქვე ბრძანა პაეი კოშკს გარეთ გაეყვანათ და მოეკლათ. მსახურებმა მაშინვე სტაცეს ხელი, კოშკის გარეთ გაათრიეს და უმოწყალოდ დაკლეს. მეორე დღეს ისევ იმ კოშკთან გაიარეს სერ აგლოვალმა და სერ პერსივალმა. მათ სასაფლაოზე მოუხდათ გავლა. ხედავენ, დიდძალ ხალხს შეუყრია თავი, პაეის გვამი მოუთრევიათ და უნდა დამარხონ.

— რა არის აქ, რას ათვალეირებთ? — ჰკითხა აგლოვალმა ხალხს.

წინ ერთი კეთილი ქალი გამოვიდა და თქვა:

— საყვარელო რაინდო, აქ წევს ახალგაზრდა პაეი, რომელიც წუხელ ვერაგულად მოკლეს.

— როგორ მოკლეს, დედილო?

— ჩემო თავაზიანო ბატონო, — უთხრა ქალმა, — ამ კოშკის მფლობელმა ბარონმა ისტუმრა, ღამეს გაგათევინებო, მაგრამ როცა დაჰკითხა და პაეი ართურ მეფის რაინდის, ბატონ აგლოვალის მსახური გამოდგა, მისი მოკვლა ბრძანა. აი, ამ მიზეზით წევს ის პაეი აქ მკვდარი.

— გრამერსი, — უთხრა სერ აგლოვალმა, — მილე ნახავთ, როგორ ძვი-

რად დაუჯდებათ მისი სისხლი, რადგან მე ვარ ის რაინდი, ვისთვისაც ის მოკლეს.

შემდეგ აგლოვალმა პერსივალს დაუძახა, გააჩერა და დაუყოვნებლივ ცხენიდან გადმოხდომა უბრძანა. ცხენები თავიანთ მსხვერპლს გადასცეს და კოშკს მიაშურეს. როგორც კი ჭიშკარი შეაღეს, მექარე მიუგზავნეს ბარონს და შეუთვალეს: „აქ არის სერ აგლოვალი, რომლის მიზეზითაც წუხელ მისი პაეი მოკალით!“

როგორც კი ეს გაიგონა, „კეთილი იყოსო“, თქვა გოდვინმა, მაშინვე აბჯარი ჩაიცვა და შეიარაღებული ჩავიდა დაბლა.

— რომელია თქვენგან აგლოვალი? — იკითხა.

— აგეტ ვარ, შემომხედე, რისთვის მოკალი გასულ ღამეს დედაჩემის პაეი?

— მე მოკალი, რომ ძმის სისხლი ამელო, რადგან შენ მოკალი ჩემი ძმა გოლდინი.

— რაც შეეხება შენს ძმას, — უთხრა აგლოვალმა, — ნამდვილად მოკალი, რადგან ვერაგი რაინდი იყო, ქალთა და ქველ რაინდთა გამცემი. ჩემი პაეის მოკვლისათვის კი ორთაბრძოლაში გიწვევ.

მაშინ გაშმაგებული ლომებივით ეკვეთნენ ერთმანეთს. პერსივალი ყველა დანარჩენს მოკლე ხანში გაუსწორდა, რადგან ერთს ვისაც დაჰკრა, მეორე დაკვრა აღარ უნდოდა. ვერაგინ გაუძლო.

საკმაოდ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ სერ აგლოვალმაც ძირს დასცა სერ გოდვინი, მაშინვე მუზარადი მოხადა და თავი მოჰკვეთა. შემდეგ ვანკარგულემა გასცეს, რომ პაეი მონასტრის შემოგარენში გადაესვენებინათ და იქ მიაბარეს მიწას, თვითონ კი კვლავ შესხდნენ ცხენებზე და გზა განაგრძეს.

თ ა ვ ი მ ე თ ო რ მ ე ბ ა

როგორ ჩამოხორკდა ფარულად სერ პერსივალი ძმას, როგორ გაათავისუფლა ბორკილნიდან რაინდი, და სხვა ამბები

ეს ამბავი რომ მოითავეს, წავიდნენ და სერ ლანსელოტის ძებნაში ბევრი ქვეყანა მოიარეს. მის ასავალ-დასავალს მაინც ვერსად მიაკვლიეს. ბოლოს მიადგნენ ციხეს, რომლის სახელი იყო კარდიანი. სერ პერსივალი და სერ აგლოვალი ღამის გასათევად იქ დარჩნენ. ნაშუაღამევს პერსივალი აგლოვალის საჭურველთმტვირთველს მიეახლა და უთხრა:

— აღეჭი და გაემზადე, რადგან ჩვენ ახლა აქედან იღუბალ გავიპარებით.

— სერ, სიამოვნებით გამოგყვებით, სადაც ვნებავთ, მაგრამ თუ თქვენი ძმა და ჩემი ბატონი დაგვეწვევა, ნამდვილად მომკლავს.

— ნურაფრისა გეშინია, მე ვიქნები შენი ქობაგი.

მსახური პერსივალს გაჰყვა. შუადღეს გადაცილებული იყო, როცა ქვის ხიდი გამოჩნდა, ხიდზე კი იდგა ერთი რაინდი, რომელსაც წელზე რკინის ჯაჭვი ეხვია და ქვის სვეტზე იყო მიბმული.

— ძვირფასო რაინდო, — აღმოთქვა ვედრებასავით მიჯაჭვულმა რაინდმა, — რაინდულ პატიოსნებას გაფიცებ ამ ჯაჭვისაგან გამათავისუფლებს?
— სერ, ვინა ხართ და რისთვის ხართ აქ მიჯაჭვული? — ჰკითხა სერ პერსივალმა.

— მრგვალი მაგიდის რაინდი გახლავართ, ჩემი სახელია სერ პერსივალდი. ხეტიალისას ამ მხარეში მოვხვდი, ლამის გასათევად დავრჩი იმ კოშკში, ხიდს ვაღმა რომ დგას. იქ ერთი როკაბი დედაკაცი ცხოვრობს და რაკი იმაზე არ დავთანხმდი, რომ მისი საყვარელი გავმსდარიყავი, თავისი ხალხი გამომიგზავნა, უეცრად დამასხა თავს, ვიდრე იარაღს ავისხამდი, შემკრეს და ამ ხიდზე სასიკვდილოდ განწირული დამაბეს, თუ ვინმე ქველი რაინდი არ დამიხსნის, ასეთ უნუგეშო ყოფაში ვარ.

— სერ, გულს ნუ გაიტეხთ! — უთხრა პერსივალმა, — რაკი თქვენც ჩემსავით მრგვალი მაგიდის რაინდი ხართ, ღვთის შეწევნით, ამ ბორკილებს დავლევთ!

აქ სერ პერსივალმა ისეთი ძალით დაჰკრა მახვილი, რომ ჯაჭვის რგოლები გაკვეთა, აბჯარიც გაჭრა და რაინდი მსუბუქად დაჭრა.

— მაცხოვარო, მიხსენი სატანჯველისაგან, — შესძახა რაინდმა, — ეს იყო მძლავრი მოქნევა მკლავისა, იესოს ვფიცავ, ასეთი ძალა ჯერ არ განშიცდია არც ერთი რაინდისაგან! ჯაჭვი რომ არა, მკვდარი ვიქნებოდი.

სწორედ ამ დროს სერ პერსიდმა დაინახა რაინდი, რომელიც კოშკის მხრიდან ცხენს მოაგელვებდა.

— სერ, ფრთხილად! ეს ის რაინდია, რომელსაც თქვენთან შებმა სურს.

— სურდეს! — მიუგო პერსივალმა.

მხედარს შუა ხიდზე შეხვდა, ისე მძლავრად დაჰკრა, რომ ცხენიდან გადმოავდო, ხიდის პარმაღზე გადავარდნილი რაინდი უსათუოდ დაიხრჩობოდა, რომ მის ბედზე იქვე მეთევზეთა ნავი არ ყოფილიყო.

სერ პერსივალმა მისი ცხენი სერ პერსიდს მიჰგვარა და შეჯდომა შესთავაზა. ორივე ამხედრებული მიადგა იმ კოშკს და მფლობელ ქალს შეუთვალეს: სერ პერსიდის ყველა მსახური გაათავისუფლე, არადა, სერ პერსივალმა გაწყვეტს ყველს, ვისაც მოიხელთებსო, ქალს შეეშინდა და ყველა გაუშვა. მერმე ის იყო სერ პერსივალმა სარკმლიდან მომზირალი ქალი დაინახა.

— ქალბატონო, — მიადახა პერსივალმა, — ეს რა წესია, რომ კეთილშობილ რაინდს ღუბავთ, მხოლოდ იმ მიზეზით, რაკი საყვარლად, არ გავიხდათ? ღმერთმანი, ეს სამარცხვინო წესია! ახლა რომ სხვა საქმეები არ მქონდეს საშური, სამუდამოდ მოვუღებდი ბოლოს თქვენს ამ სამარცხვინო ვერაგულ ჩვეულებას.

სერ პერსიდმა სერ პერსივალმა თავის კოშკში მიიყვანა და აუწერელი პატივით მიიღო.

დილით, როცა პერსივალმა წირვა მოისმინა და შიმშილი მოიკლა, სერ პერსიდს ართურის კარზე წასვლა დაავალა.

— შეატყობინეთ მეფეს, თუ როგორ შევხვდით ერთმანეთს, ჩემს ძმას აგლოვალს კი უთხარით, როგორ გიხსენით სიკვდილისაგან. ნუ მეძებს, რადგან სერ ლანსელოტის საძებნელად ვარ წასული. როგორც არ უნდა მეძიოს, ვერ მიპოვის. არავის შევხვდები არც სასახლის რაინდებიდან, ვიდრე ლანსე-

ლოტს არ ვიპოვი. სერ კეი სენეშალსა და სერ მორდრედს უთხარით, რომ მათზე ნაკლებ სახელს არ მოვიხვეჭ, რადგან არასოდეს დამავიწყდება, როგორ დამცინოდნენ იმ დღეს, როცა რაინდად მაკურთხეს, უთხარით, რომ ართურის სასახლეში ფეხს არ შევადგამ, სანამ ჩემი სახელ-ქვეყნის მეთად არ იქუხებს, ვიდრე იმ ორი მქირდავისა.

ამის შემდეგ პერსიდი პერსივალს დაემშვიდობა და ართურის სასახლისაკენ გასწია. ართურს ვახლა და ყველაფერი უამბო. ხოლო, როცა აგლოვალმა მისი ნათქვამი შეიტყო, ესლა თქვა:

— რაღაც სასიკეთოდ არ დამცილებია ჩემი ძმა.

თ ა ვ ი მ ა ც ა მ ე ბ ა

როგორ შეხვდა სერ პერსივალს სერ მორდრედს, როგორ გახსოვდა იმ დღის და კინაღამ მოკლეს ერთმანეთი

— სერ, — თქვა სერ პერსიდმა, — თავს გეფიცებით, ის ნამდვილად ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს რაინდად იჩენს თავს.

ხოლო როცა სერ კეი და სერ მორდრედი ნახა, პერსიდმა ასე უთხრა:

— ძვირფასო ლორდებო, სერ პერსივალის სალამს ვითვლით და მთხოვა გადმოგცეთ ისიც, რომ ღვთის შეწევნით იმედი აქვს, ართურის სასახლეში დაბრუნებამდე თქვენებრ სახელოვანი რაინდი შეიქმნეს. და ასე გასინჯეთ, თქვენი სახელი დაჩრდილოს კიდევ.

— შესაძლოა ასეც მოხდეს, — უთხრეს სერ კეიმ და სერ მორდრედმა, — მაგრამ როცა მისი რაინდად კურთხევა ხდებოდა, მაშინ იგი სულაც არ ჰგავდა ქველ რაინდს და არც გვეგონა, რომ მისგან სახელოვანი რაინდი დადგებოდა.

— თუ საქმე მის მომავალს შეეხება, — თქვა მეფე ართურმა, — ქველი რაინდი ის ნამდვილად გახდება, რადგან მამამისი და ძმები სახელოვანი რაინდები იყვნენ.

ახლა კი სერ პერსივალს მიეყვებოდა, სერ ლანსელოტს რომ დაეძებდა და აღმა-დაღმა დაეხეტებოდა. მას ტყეში ერთი რაინდი შეხვდა, რომელსაც მუზარადი გაჭრილი ჰქონდა და ფარიც შუაზე გაპოხილი. როგორც კი ერთმანეთს თვალი შეავლეს, საომრად გაემზადნენ და ისეთი ძალით დაეტაკნენ, რომ პერსივალის ცხენიდან გადავარდა. პერსივალის მარდად წამოხტა, ფარი იფარა, ხმალი იშიშვლა და რაინდს შეუძახა, გადმოდი, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლო.

— მართლა, რაინდო? — უთხრა იმან, — არ გეყოთ?

ცხენი გაუშვა და დაიწყო ხმალითა კრიალი. დაუნდობლად ურტყამდნენ ერთმანეთს მახვილს, ჩხვლეტდნენ და არაერთი მძიმე ჭრილობა მიაყენეს ერთ-ერთს. ისე იბრძოდნენ ნახევარი დღე, ამოსუნთქვაც კი არ დასცალდათ. ერთსაც და მეორესაც თხუთმეტზე ნაკლები ჭრილობა არა ჰქონდა, და ისე დაიცალენ სისხლისაგან, რომ გასაოცარი იყო, ფეხზე როგორ ჩერდებოდნენ. მაგრამ პერსივალის მოწინააღმდეგე გამოცდილი და დახელოვნებული რაინდი გახლდათ, ყოველი მოძრაობა გათვლილი და გაანგარიშებული ჰქონდა,

პერსივალს კი, ჭერაც ჭაბუკის ძალა ერჩოდა, მაგრამ ხერხი, ილეთი და საბრძოლო ოსტატობა აკლდა. პერსივალმა პირველად ამოიღო ხმა:

— სერ რაინდო, შესდექ და ერთი წუთით შეაჩერე ხელი, რადგან ამდენი ხანია ვიბრძვით და არაფერი მიზეზი კი არა გვაქვს, რომ მტრებს უვიყოთ. გთხოვ, მითხრა შენი სახელი, რადგან დღემდე ვისაც შევეცბი — ვერასოდეს გამოძლო.

— ღმერთი იყოს ჩემი მფარველი, — თქვა უცნობმა, — არც მე შემხვედრია კაცი, რომ მასთან ბრძოლაში ამდენი ჭრილობა მომემკოს, თუმცა მრავალ ორთაბრძოლაში გამომიცდია თავი. იცოდე, მრგვალი მაგიდის რაინდი ვარ და ჩემი სახელია სერ ექტორ მენაპირე, სახელოვანი რაინდის ლანსელოტ ტბელის ძმა ვარ.

— ვაგლახ! — თქვა პერსივალმა, — ჩემი სახელი კი პერსივალ უელსელია. სწორედ ლანსელოტს დავეძებ და აქეთ-იქით ვხეტილობ. ახლა კი ვხედავ, ჩემს მიზანს ველარ ავასრულებ, რადგან თქვენ საკუთარი ხელით მომკალით.

— არა, არა, — მიუგო ექტორმა, — ეს მე ვარ მკვდარი თქვენი ხელით და ჩემი წირვა გამოსულია. ამიტომ, გთხოვთ, მოახტით ცხენს და გააქროლეთ უახლოესი მონასტრისაკენ, მომიყვანეთ მღვდელი, რათა წმინდა ზიარება მომისწროს. როცა ართურის სასახლეში მიხვალთ, ნუ იტყვიან, რომ თქვენ მომკალით, რადგან მაშინ სერ ლანსელოტი თქვენს დაუძინებელ მტრად იტყევა. უთხარით უბრალოდ, რომ მომკლეს ხეტიალის დროს, როცა ლანსელოტს დავეძებდი.

— ვაგლახ! — თქვა პერსივალმა, — რასაც მავალეობთ, არ აღსრულდება, რადგან სისხლისაგან დავიწრიტე, ფეხზე ველარ ვჩერდები და განა შემიძლია ცხენზე შეჯდომა?

თ ა ვ ი მ ა თ ო თ ხ მ ა ბ ა

როგორ გადაარჩინა ორივე რაინდი სასწაულით წმინდა გრაალის წმინდა ზურბულა

ორივე მწარედ ატირდა. დიდხანს უჩიოდნენ თავიანთ ბედს.

— ასე საქმეს ვერ ვუშველით, — თქვა ბოლოს პერსივალმა. იგი მუხლებზე დაემხო და იესო ჭრისტეს შეევედრა, რადგან იმა უამსა შინა ქვეყნად საუკეთესო რაინდი ის იყო, ვისაც მტკიცე, რწმენა ჰქონდა.

იმავე წამს გამოჩნდა წმინდა ფიალა, წმინდა გრაალი. ჰაერი საამო სურნელით გაიყვინთა. ოღონდ როგორ მოიტანეს, ვერ დაინახეს. მხოლოდ სერ პერსივალის თვალწინ გაიელვა ქალწულის სახემ, რადგან პერსივალი უფრო კეთილმორწმუნე და უმანკო იყო. იმავე წამს ორივე სრულიად განიკურნა. სასიკვდილო ჭრილობებისაგან, თითქოს არც კი ყოფილიყვნენ დასერილები. მათ უდიდესი კდემითა და მორჩილებით დაუმაძღეს უზენაესს სასწაული.

— ოი, იესო! — ამბობდა გაოცებული პერსივალი, — რას ნიშნავს ეს? სულ ახლახან სიცოცხლეს ვემშვიდობებოდით, ახლა კი საღ-საღამითნი და ჯანმრთელები ვართ.

— კარგად ვიცი, რაც იყო, ეს უახლდით წმინდა ფიალა, რაც ქალწულ-

მა მოიტანა. იმ ფიალაში ჩვენი მაცხოვრის წმინდა სისხლია. მისი ხილვა მხოლოდ ყოვლად უმანკო ადამიანს ძალუძს.

— ღმერთი იყოს ჩემი მფარველი, — თქვა პერსივალმა, — მე/მომეჩვენა, თითქოს თეთრად მოსილი ქალწული გამომეცხადა, ხელში ფიალა ეჭირა და სწორედ მაშინ განვიკურნე.

ცხენები მოიძიეს, რამდენადაც შეიძლეს, საომარი საქურველი შეაკეთეს, ამხედრდნენ და გზას საუბრით გაუდგნენ.

გზაში ექტორ მენაპირემ სერ პერსივალს უთხრა, მეც ჩემს ძმას ლანსელოტს ვეძებ, კვალსაც ვერსად მივაგენიო.

— მეც ბევრი რამ გადამხდა თავს ამ გზაზე, — უთხრა პერსივალმა, და მათ ერთმანეთს თავთავიანთი თავგადასავალი უამბეს.

XII

თავი პირველი

როგორ იხივება ხმალი გაგიჟებულმა ლანსელოტმა, შეიპოვლა რაინდს და მკამ ლოგინში ჩაწვა

ახლა დროებით დავემშვიდობოთ სერ ექტორსა და სერ პერსივალს, და სიტყვა ჩამოვაგდოთ სერ ლანსელოტზე, რომელსაც ბევრი ძნელბედობა ხვდა წილად, ვიყად გაჭრილმა რომ ტყე-დრე იხეტიალა.

ორი წელი დაჰყო მან უსიერ ტყეში, ხის ნაყოფითა და ფესვებით იკვებებოდა. ტანზე თითქმის არაფერი ეცვა, მხოლოდ პერანგისა და შარვლის ნაგლეჯებიდა უფარავდა სხეულს. იგი ხშირად ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა და ერთხელაც მწვანე ველზე გამოვიდა, სადაც შუაგულში კარავი იდგა. იქვე ხეზე ორი ფარი და ორი მახვილი ეკიდა, ხეზე კი ორი შუბი იყო მიყუდებული.

ლანსელოტმა რომ მახვილები დაინახა, იმ ხეს სირბილით მიაშურა, მახვილი ჩამოიღო, გააშიშვლა და ფარს დაუშინა, ისეთი ზრიალი ატეხა, თითქოს ათი რაინდი იბრძოდა.

მაშინ კარვიდან ერთი ჯუჯა გამოხტა, ლანსელოტს მივარდა და ხელიდან მახვილის წართმევა მოუნდომა. ლანსელოტმა ხელი ჩაავლო და მიწაზე დაანარცხა, ასე რომ ჯუჯამ კინალამ კისერი მოიტეხა. კაცუნამ შეჰყვირა, მაშველს მოუხმო.

კარვიდან გამოვიდა წარმოსადეგი რაინდი, რომელსაც მდიდრული ალისფერი ბეწვის ქობაშემოვლებული მოსასხამი ამშვენებდა, როგორც კი ლანსელოტი დაინახა, მიხვდა, რომ ჭკუიდან გადამცდარია, და თავაზიანად უთხრა:

— კეთილო კაცო, დადევი ჩემი მახვილი, რადგან ვატყობ, უფრო მოსვენება და სამოსი გესაჭიროება, ვიდრე შუბთა კვეთება და ხმლის ქნევა.

— გირჩევნია, არ მომეკარო, თორემ აგკეპავ.

ეს რომ გაიგონა, რაინდი კარავში შებრუნდა. ჯუჯის დახმარებით სასწრაფოდ აღიჭურვა, რადგან მახვილის ძალით წართმევა გადაწყვიტა. როგორც კი ლანსელოტმა მისკენ მომავალი აზჯარში ჩამჯდარი რაინდი დაინახა, ისეთი გამძაფრებით გაეჭანა მისკენ, ისე მძლავრად დაჰკრა მუზარადზე ხმალი, რომ რაინდს თვალთ დაუბნელდა, ლანსელოტის ხელში კი მახვილი სამად გადატყ-

და აღჭურვილი რაინდი მკვდარივით დაეცა ძირს, ყურებიდან, პირიდან და ცხვირიდან ერთდროულად წასკდა სისხლი.

ლანსელოტი კი კარავში შეირბინა და ლოგინს მიაშურა, თბილ ლოგინში ჩაწვა. იმ ლოგინში ქალი იწვა. მან შეჰკვივლა, სამოსი აიტაცა და გარეთ გაეარდა. თავისი საყვარელი რომ მკვდარი ნახა, ქალმა კივილა მოიტოვა, აქვითინდა და გიყს დაემსგავსა. მის გოდებაზე დაჭრილი გონს მოვიდა და მისთვის გაუსწორა თვალი, მერე ჰკითხა. საით წავიდა ის გიყი, ვინც ასე დამკრაო.

— ჩემს ცხოვრებაში არ მიმიღია რაინდისაგან ასეთი მძიმე დარტყმა, — თქვა დაჭრილმა, რომელმაც აქამდე მკვდარი ეგონათ.

— სერ, — მიუგო ჯუჯამ. — დიდი პატივი არ იქნება თქვენთვის მისი განაწყენება, რადგან აშკარაა. მანამ ეჭვი არ შეგეპაროთ, ოდესღაც ის უპირველესი რაინდი იქნებოდა, მერე ალბათ რაღაც უბედურება შეხვდა და გონება დაკარგა. ვფიქრობ. იგი ძალიანა ჰგავს სერ ლანსელოტს, რომელიც ლონგუების ტურნირზე ვნახე.

— ღმერთმა ნუ ქნას, რომ ისეთი სახელოვანი რაინდი, როგორც სერ ლანსელოტი, ასეთ უბედურებაში ჩავარდნილიყო. მაგრამ ვინც უნდა იყოს, არაფერს ვაწვებ.

იმ რაინდის სახელი იყო სერ ბლიანტი და თავის ჯუჯას ასე უთხრა:

— შეჯექი ცხენზე და თეთრ ციხეში გაეშურე, ჩემს ძმას სერ სელივანტს უამბე ჩემი ამბავი და სთხოვე, ეტლი გამომიგზავნოს. მაშინ ამ რაინდს ჩემს კოშკში გადავიყვანთ.

თ ა ვ ი მ ა ო რ ა

როგორ ბადაიყვანეს ცხენოვანი ძლიერ სერ ლანსელოტი კოშკში და როგორ იხსნა შემდეგ თავისი პასკინგალი სერ ბლიანტი

ჯუჯამ ცხენი გაატენა და მალე სერ სელივანტისა და ექვსი მსახურის თანხლებით დაბრუნდა, უკან ეტლიც მოჰყვებოდათ. სერ ლანსელოტი ქვეშაგებიანად აიყვანეს, ეტლში მოათავსეს და გზას გაუდგნენ. ვიდრე თეთრ კოშკს არ მიაღწიეს, სერ ლანსელოტს არც გაღვიძებია. ამასობაში მოასწრეს მისი შებოჭვა, ხელ-ფეხი შეუკრეს და საუკეთესო საჭმელ-სასმელს აძლევდნენ. ასე რომ, მალე ძალიცა და უწინდელი სილამაზეც დაუბრუნდა. მაგრამ გონების დაბრუნება ვერა და ვერ შესძლეს. უწინდებურად შეშლილივით ისროდა უაზრო ფრაზებს და არაფერი ახსოვდა. პატივსა და სიუხვეში ჰყავდათ მთელი წელიწადნახევარი.

ერთხელ სერ ბლიანტი სამგზავროდ გაემზადა, ცხენზე შეჯდა, ხელთ შუბი იპყრა და ზიფათის საძიებლად გაეშურა. ტყეში ორი მოხეტიალე რაინდი შეხვდა: ერთი იყო სერ ბრიუს უმოწყალო, მეორე მისი ძმა სერ ბარტელოტი. ორივე ერთად ეცა სერ ბლიანტს და შუბები ზედ შეაღწეს. მაშინ ხმლები იშიშვლეს და სასტიკი ბრძოლა გაუმართეს. დიდხანს იბრძოდნენ, ბოლოს ბლიანტი მძიმედ დაიჭრა, სისხლი სდიოდა, იგრძნო, რომ ღონე ეცლებოდა, უკან მიბრუნდა და თავის კოშკს მიაშურა.

სერ ლანსელოტი ამ დროს ფანჯრიდან იყურებოდა. ნახა, როგორ მოსდევდა ორი რაინდი ბლიანტს, როგორ გაუმართეს დაჭრილს ბრძოლა. თუმცა გიჟივით იყო, ლანსელოტს თავისი მასპინძელი მაინც შეეცოდა. ერთი

გაპკრა ხელი, ხელ-ფეხზე ბორკილები დაწყვიტა, თუმცა მაჯაზე გადაიჭრა, შემდეგ უკანა ჭიშკარში გავარდა და იმ ორ რაინდს ეცა, ბლიანტს რომ მოსდევდნენ. ცარიელი ხელებით გადმოიღო ცხენიდან ბარტელოტი, ხელიდან მახვილი გამოსტაცა, იმ მახვილით ბრიუსს მივარდა და ისე უმოწყალოდ დაპკრა თავში, რომ დარეტიანებული ბრიუსი უნაგირიდან გადავარდა.

სერ ბარტელოტმა ნახა, რა მძლავრად დაპკრეს მის ძმას მუზარადზე და განიზრახა შუბით ლანსელოტის განგმირვა, მაგრამ ეს დროზე შენიშნა სერ ბლიანტმა და ხელზე დაპკრა მახვილი. მაშინ ბარტელოტი და ბრიუსი ისევ ამხედრდნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მოპკურცხლეს.

როცა სერ სელივანტმა ნახა, რაც ლანსელოტმა მისი ძმისათვის მოიმოქმედა, ღმერთს მადლობა შესწირა, რომ თავის დროზე მას კეთილი გულით შეხვდნენ. მაგრამ როცა ბლიანტმა შენიშნა, რომ მათ ტყვეს მაჯაში ჰქონდა ხელი გადაბრასნილი, რაც ბორკილების გაწყვეტის დროს უნდა მოსვლოდა, ინანა, რომ ეს რაინდი შებორკილი ჰყავდა.

— გთხოვ, ჩემო ძმავ სელივანტ, ნუღარ დაბორკავ, რადგან ასე თავაზიანია და ყველაფრით კმაყოფილი.

ამ შემთხვევის გამო დიდი მხიარულება გამართეს და ამის შემდეგაც ნახევარ წელზე მეტი მათთან გაატარა.

ერთხელ დილით ლანსელოტმა ნახა, რომ უზარმაზარ ტახს მონადირე ძაღლები ვნიასით მოსდევდნენ, მაგრამ ტახი ისეთი მძლავრი იყო, რომ ძაღლებს არ შეეძლოთ მისი თავის დავლა და შეჩერება. უკან მონადირეები მოსდევდნენ, ბუკის ქუხილში მოდიოდნენ ფეხოსნები და ცხენოსნები. ლანსელოტმა დაინახა, რომ ერთმა მონადირემ ცხენი შეაჩერა, ცხენიდან გადმოვიდა, პირუტყვი ხეზე მიაბა და შუბიც ხეზე მიაყუდა.

თავი მესამე

როგორ მოკლა სერ ლანსელოტმა ტახი, როგორ დაიჭრა და როგორ მიიხვანეს მახლოებულ სავანეში

მაშინ სერ ლანსელოტი ხესთან მივიდა, ცხენს მოახტა, უნაგირზე დაკიდებული ხმალიც იპოვა, ხეზე მიყუდებული შუბი აიღო და ტახს დაედევნა.

სავანის მახლობლად ლანსელოტმა შენიშნა, რომ ნადირი მას მერმე, რაც კლდეს მისდგომია, ზურგი მიუბჯენია კლდისათვის და მდევრებთან შესახვედრად მომზადებულია. ლანსელოტი მიეჭრა ნადირს, შუბი აძგერა და შუბი ხელში ნამსხვრევებად ექცა. გააფთრებული ტახი ცხენს მივარდა. ეშვი გაპკრა და ფილტვები და გული გამოლადრა, ლანსელოტი კი მიწაზე აღმოჩნდა მძვინვარე მხეცის პირისპირ. ვიდრე უზანგიდან ფეხს გაითავისუფლებდა, ტახმა ახლა ლანსელოტს გაპკრა ეშვი, ბარძაყის ხორცი მოავლიჯა და ძვლამდე გაუშიშვლა. გაშმაგებული ლანსელოტი წამოვარდა, ხმალი იძრო და ტახს ერთი მოქნევით თავი წააცალა.

ამ დროს სავანიდან განდევილი გამოვიდა და ნახა, ლანსელოტის თეძოზე ჭრილობას პირი დაუღია. შეებრაღა, გადაწყვიტა, თავის სავანეში შეეყვანა და ემკურნალა, მაგრამ განდევილის ხმა რომ გაიგონა, ტკივილისაგან გამწარებული

ლანსელოტი მივარდა და ხმლით მოკვლა დაუბირა. განდევილმა თავს გაქცევით უშველა, ლანსელოტს კი დევნის ღონე აღარა ჰქონდა, რადგან სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა თუძოდან და ამიტომ გაქცეულს ხმალით ესროლა.

მალე განდევილი მობრუნდა და ჰკითხა, როგორ დადევნიხარა?

— ა, ძვირფასო, ტახმა მიკბინა ასე მწარედ, — მიუგო ლანსელოტმა.

— მაშინ მომყევით და მოვარჩინო, — უთხრა განდევილმა.

— შენს გზას ეწიფე, მეგობარო, მე კი თავი დამანებე, — უბასუსა ლანსელოტმა.

განდევილი გაეცალა იგი მალე გადაეყარა ერთ ქველ რაინდს, რომელსაც დიდი რაზმი ახლდა.

— სერ, — უთხრა განდევილმა, — ეგერ სულ ახლოს ერთი დაჭრილი კაცი წევს, ჩემს ცხოვრებაში ასეთი ლამაზი არავინ მიჩანავს. იგი მძიმედ დაუჭრია ტახს, რომლის მოკვდაც უკვე მოსწრო. მე ხომ ვიცი, რომ, თუ სასწრაფოდ დახმარება არ აღმოუჩინეთ, მოკვდება, ჩვენ დიდი ცოდვა დაგვედება და და სამუდამოდ სასინანულო საქმე დაგვაწვება კისრად.

განდევილის თხოვნით, ეტლი მოიყვანეს და ლანსელოტი ზედ დააწვიანეს. იგი უკვე ისე იყო დაუძლურებული, რომ, რასაც ინებებდით, იმას უზამდით. იმავე მწირის სავანეში მიიყვანეს და მწირმა მოვარჩინა. მაგრამ განდევილს საჭმელ-სასმელი თითქმის არ გააჩნდა, ამიტომ ლანსელოტი ისევ გაზდა და დასუსტდა, ხოლო სიგიჟემ უკმელობისაგან ხელი კიდევ უფრო მძლავრად დარია.

ერთ მშვენიერ დღეს განდევილსაც გაეშვა და ტყვეს შეეკრა. ბელნიერმა შემთხვევამ იგი ქალაქ კორბენში მიიყვანა, სადაც ლედოულები ცხოვრობდა, გალაპადის დედა. ქალაქში შევიდა თუ არა, გულმა პირდაპირ ქალაქის მეორე მხრისაკენ გაუწია. მან ქალაქის შუაგული გადაჭრა და იქ გადაირბინა, სადაც ციხესიმაგრე იდგა. ქალაქის ბიჭბუჭები გიჟს აედევნენ, დისცინოდნენ. ქვებს და გორახებს ესროდნენ. ლანსელოტი ვისაც ხელს ჩაავლებდა, ისე გადაიხროდა ხოლმე, მეორედ ის ბიჭი წინ აღარსად შეხვდებოდა, რადგან ან წელს უმტვრევდა ან კიდურებს.

ასე მიიბრინა ციხესიმაგრის ჭიშკრამდე. იქ რაინდები გამოცვივდნენ და მდევრები ჩამოაცილეს. ნახეს, შეათვალიერეს და თქვეს, ასეთი ლამაზი მამაკაცის მნახველები არა ვართო. ტანზე რომ ამდენი ნაჭრილობევი უნახეს, დარწმუნდნენ, რომ უწინ სახელგანთქმული რაინდი ყოფილა. სამოსი მოუტანეს, რომ ვეება სხეული დაეფარა, ჭიშკართან დაუგეს ჩალა და ყოველდღე უდგამდნენ საჭმელს, მაგრამ იშვიათად ვინმე ვაბედავდა, პირდაპირ გადაეცა საზრდელი.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

როგორ იცნო ლანსელოტი ლედი ელენისა, გადაიყვანა მოსახვედებელში და მოვარჩინა წმინდა ზაპალმა

მეფე პელესის ერთი ძმისშვილი ჰყავდა, სახელად კასტორი. კასტორმა სთხოვა ბიძას, რაინდად მაკურთხეო. იმანაც უფლის მირქმის დღესასწაულზე მას რაინდობა უბოძა.

რაინდად ხელდასხმის დღეს კასტორმა ღარიბებს მდიდრული სამოსი დაურიგა. სასახლეში სულელად ცნობილ ლანსელოტსაც უხმო. მივიდა თუ არა, კასტორმა უბოძა ალისფერი მოსასხამი და არც სხვა რამ დააკლო, რაც, კასტორის აზრით, საჩუქრად ეკუთვნოდა. როცა ლანსელოტი მსმეფის კრებულის წინ სრული სარაინდო შემოსილობით წარდგა, ყველამ შეხასხა, რომ სილამაზითა და დარბაისლური იერით ყველას აღემატებოდა.

იგი დიდხანს არ დაყოვნებულა, სამოსი მიიღო თუ არა, სასახლის ბაღში შეუხვია, წყაროსთან დაწვა და დაიძინა. ნაშუადღევს ბაღში ლედი ელენა და მისი ამაღლა შევიდნენ საღალაობოდ. ერთმა ქალწულმა წყაროსთან მძინარე რაინდი შეამჩნია, სილამაზით გასაოცარი.

— წყნარად, ზმა აღარ ამოიღოთ, მხოლოდ მიჩვენეთ, სად სძინავს იმ რაინდს, — უთხრა ელენამ.

მოახლემ ლედი ელენა წყაროსთან მიიყვანა. სარეცელის მოზიარემ როგორც კი შეხედა, მაშინვე იცნო ლანსელოტი. ელენა ისე აქვითინდა, რომ ძალა დაკარგა და მიწაზე დაემხო, ქალიშვილებს კი ასე უთხრა, უცებ ცუდად გავხდით. მერმე ყველანი მიატოვა და მამასთან გაიქცა. მშობელი განზე გაიხმო და უთხრა:

— აჰ, ჩემო ძვირფასო მამა! აი, ახლა დამჭირდა შენი შველა და, თუ ახლა არ დამეხმარები, მორჩა საუკუნოდ ჩემი ბედნიერება.

— რაზე ლაპარაკობ, ჩემო ასულო?

— ჩვენს ბაღში, სადაც სასეირნოდ გავედი, წყაროსთან მძინარე სერ ლანსელოტ ტბელი ვნახე.

— შეუძლებელია, — თქვა პელესმა.

— ჭეშმარიტად ისაა! და როგორც ვატყობ, ჯერაც არაა თავის ჭკუაზე.

— მაშინ მაცალე, — თქვა მეფემ, — და ყველაფერი მე მომანდე.

მეფემ იხმო ყველაზე უფრო საიმედო ოთხი კარისკაცი, ელენა, ბრუზენა, მისი პირისფარეში და ყველანი იქით გაემართნენ, სადაც, ელენას თქმით, სერ ლანსელოტი იმყოფებოდა და, როცა ყველანი წყაროსთან მივიდნენ, ბრუზენამ მეფეს უთხრა:

— დიდი სიფრთხილე გვმართებს ამ მძინარე რაინდთან, ის ხომ გიჟია და, თუ წინდაუხედავად გავადვიძეთ, არც ერთმა არ ვიცით, რას ჩაიდენს. ამიტომ მოიცადეთ, ვიდრე მოვაჯადოვებდე და კიდევ ერთი საათი ვამყოფებდე ძილში.

ასედაც მოიქცნენ. მეფემ ყველანი დაითხოვა, რომ ამბის გამახმაურებელი არაგინ ყოფილიყო. მაშინ ოთხმა სანდო კარისკაცმა და ორმა ქალმა მძინარე ფრთხილად ასწიეს და გადაიყვანეს კოშკის იმ მოსასვენებელში, სადაც წმინდა გრაალის თასი ინახებოდა. ამ თასის გვერდით დააწვიანეს ლანსელოტი. მერმე იმ ოთახში წმინდა კაცი შევიდა, თასს საბურველი ახადა და მაშინ წმინდა გრაალის ძალით განიკურნა ლანსელოტი.

მალე ლანსელოტს გამოეღვიძა და დაიწყო ხმამაღლა კვნესა, რადგან ყველა ნაჭრილობევი და დაბეჭდილი ადგილი ასტკივდა.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ი

როგორ უარცხვა სერ ლანსელოტს, როცა განიკურნა, და როგორ გამოითხოვა
ლედი ელეინამ მისთვის ციხისკაზმა



როცა მეფე პელესი და ელეინა დაინახა, სირცხვილით დაიწვა და დაუწყა
ყო გამოკითხვა:

— ო, უფალო იესო! როგორ მოვხვდი აქ? ჩემო ძვირფასო ბატონო,
ამიხსენით, როგორ მოვხვდი აქ?

— სერ, — მიუგო ლედი ელეინამ, — ჩვენს მხარეში სიგიჟის წყალობით
მოხვდით. გონი გქონდათ დაკარგული, გინახავდნენ, როგორც მასხარას, და
კაციშვილმა არ იცოდა, ვინ იყავით. ბედნიერმა შემთხვევამ აჩვენა თქვენი
თავი ერთ ჩვენს მოახლე გოგოს. მან ეს ამბავი მე გამანდო, მე გნახეთ თუ არა,
გიცანით. მაშინვე მამას ვუამბე ყოველივე, წმინდა თასთან დაგაწვინეს და ჯა-
ლოსნურმა ძალამ გადაგარჩინათ სიგიჟის სენს.

— აჰ, მომიტევე, იესო! — შესძახა სერ ლანსელოტმა, — თუ ეს ასეა,
რამდენმა ვინმემ იცის აქ ჩემი სიგიჟის ამბავი?

— ღმერთია მოწამე, — თქვა ელეინამ, — ეს ვიცი მხოლოდ მე, მამა-
ჩემმა და ბრუზენამ.

— მაშინ, ღვთის გულისათვის, შეინახეთ ეს საიდუმლო და არავის გა-
უმხილოთ, რადგან გულის სიღრმემდე მძრავს სირცხვილი, რომ ასეთი რამ
მომივიდა, მე ხომ ინგლისის სამეფოს საზღვრებიდან განდევნილი ვარ.

ლანსელოტი ორი კვირა იწვა, ვიდრე წამოდგომას შეძლებდა. ერთხელ
ლედი ელეინას უთხრა:

— მშვენიერო ლედი ელეინა. თქვენი მიზეზით ბევრი უბედურება შე-
ემთხვა. არაა საჭირო მათი ჩამოთვლა, თვითონაც იცით, მაგრამ კარგად მახ-
სოვს, როგორ აღემართე მახვილი და მოკვლა დაგიბირეთ იმ ღამის შემდეგ,
რაც თქვენთან გავატარე. ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ თქვენ და იმ ქალმა
ბრუზენამ საქმე ისე მომიწყვეთ, ჩემი სურვილის წინააღმდეგ დამაწვინეთ
თქვენთან. მაშინ ჩაისახა ჩვენი შვილი გალაჰადი, როგორც ამბობთ.

— ეს მართალია, — უთხრა ელეინამ.

— ხომ ვერ გამოსთხოვდით ჩემთვის მამათქვენს ადგილს, სადაც დასახ-
ლებას შეეძლებ? — ჰკითხა ლანსელოტმა. — ართურ მეფის კარზე ველარ
დავბრუნდები.

— სერ, — მიუგო ელეინამ, — თქვენი გულისათვის მზად ვარ ვიცოცხ-
ლო და სამარის კარამდე გიერთგულოთ, მაგრამ თუ ჩემი სიკვდილი მეტს
გარგებთ, ვიდრე სიცოცხლე, მაშინაც შემძლია თქვენთვის სიცოცხლეც დაე-
თმო. ახლა მამასთან წავალ და დარწმუნებული ვარ, ყველაფერს მომცემს,
რასაც ვთხოვ. სადაც არ უნდა იცხოვროთ, მეც თქვენ გვერდით ვიქნები, რათა
მოგემსახუროთ, რამდენადაც კი ჩემი ძალ-ღონე ამის ნებას მომცემს.

— მეფეო, სერ ლანსელოტს სურს ჩვენს მხარეში იცხოვროს რომელიმე
ციხე-კოშკში.

— მერე, ჩემო ასულო, — მიუგო მეფემ, — კარგი ამბავია. თუ ასე სურს,
იცხოვროს ბლიანტის კოშკში, თქვენც მასთან ერთად იცხოვრეთ იქვე. წაიყ-

ვანეთ დიდებულთა ოცი, ურჩეულესი ასული და ოცი წარჩინებული რაინდი. იცოდეთ, ჩვენ ყველანი დიდად ვაფასებთ სერ ლანსელოტთან ნათესაობას.

თ ა შ ი მ ე ე მ ვ ს ი

როგორ მივიდა სერ ლანსელოტი სიხარულის კუნძულზე და იმ თაში კავალერ მაფიტად გაასალა

ლედი ელეინა ლანსელოტთან დაბრუნდა და მამის განკარგულება აუწყა. ამასობაში სასახლეში მივიდა რაინდი კასტორი. მეფე პელესის ძმისწული და სერ ლანსელოტს ჰკითხა სახელი.

— სერ, — მიუგო ლანსელოტმა, — ჩემი სახელია კავალერი მაფიტი, რაც ნიშნავს: „რაინდი, რომელმაც დააშავა“, უფრო მოკლედ „შემცოდე რაინდი“.

— სერ, — უთხრა კასტორმა, — შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ თქვენი სახელია სერ ლანსელოტ ტბელი, რადგან უწინაც შემხვედრიხართ.

— სერ, — მიუგო ლანსელოტმა, — თქვენ არა ხართ თავაზიანი. იქნებ მე არა მსურს ჩემი სახელის გამხელა. თქვენ რა ზიანს მოგიტანთ საიდუმლოს შენახვა? იცოდეთ, გაღვივებული ცნობისწადილისათვის დაგსჯით, როგორც კი სადმე გზაში გადამეყრებით.

აქ სერ კასტორი მუხლებზე დაემხო და დაუწყო ვედრება, მომიტევე ჩემი უზრდელობაო.

მაშინ სერ ლანსელოტმა აპატია. მალე მეფე პელესი და ლედი ელეინა ოცი რაინდისა და ოცი მანდილოსნის თანხლებით ესტუმრნენ ბლიანტის ციხე-კოშკს, რაც ერთ მშვენიერ კუნძულზე იყო აღმართული და ოთხივე მხრიდან მდინარის სუფთა ღრმა წყლები ევლებოდა. ფართო მდინარეზე გაშლილ ამ კუნძულს ლანსელოტმა მისვლისთანავე უწოდა სიხარულის კუნძული. მას კი იმ ყველა უწოდებდა „კავალერ მაფიტს“ ე. ი. „შემცოდე რაინდს“.

ლანსელოტმა ოსტატს მოსევადებული ფარი შეუკვეთა. ფარზე შუა ადგილას გამოკვეთილი უნდა ყოფილიყო ვერცხლის დედოფალი, მის წინ კი დაჩოქილი შეიარაღებული რაინდი იქნებოდა გამოხატული. რა გულმოდგინედ არ უნდა გაერთოთ, რა ქალებიც არ უნდა ხლებოდნენ, ერთსა და იმავე საათს ლანსელოტი გაიხედავდა თუ არა ლოგრთა მხარეს, სადაც ართურ მეფე და დედოფალი გვინივერა ეგულებოდა. ისე მწარედ ატირებოდა ხოლმე, თითქოს სადაცაა გული უნდა გაუსკდესო.

ერთხელ, როგორღაც, ამბავი მოვიდა, ართურ მეფე ტურნირს აწყობსო სიხარულის კოშკიდან სამიოდე მილის მანძილზე. ლანსელოტმა ჭუჭას უხმო და უბრძანა, იმ ტურნირზე წადიო.

თ ა შ ი მ ე მ ვ ი დ ე

სიხარულის კუნძულზე მოწყობილი დიდი ტურნირის აგავში, თუ როგორ ჩავიდნენ იმ სერ პერსივალი და სერ ეშტორ და როგორ იბრძოდნენ სერ ლანსელოტი და სერ პერსივალი

და აი, როცა ეს ტურნირი გამოცხადდა, კუნძულზე ხუთასამდე რაინდი ჩამოვიდა. ალბათ ართურის დროის არც ერთ რაინდს არ მოუპოვებია იმდენი

გამარჯვება, რამდენიც იმ სამ დღეში სერ ლანსელოტმა მოიპოვა. როგორც წიგნშია ნათქვამი, მან ხუთასსავე რაინდს აჯობა, მაგრამ არც ერთ მათგანს სიცოცხლე არ მოუსპო. შემდეგ კი ლანსელოტმა მათვე დიდი ნადრში გაუმართა.

იმ დროისათვის სიხარულის კუნძულზე ჩავიდნენ სერ პერსივალ უელსელი და სერ ექტორ მენაპირე. ეს ჩინებული კოშკი რომ ნახეს, უმეცნოდ უმესელა მოიწადინეს, მაგრამ, როგორც ვიცით, კოშკს გარშემო წყალი ერტყა, ხოლო ხიდი კი არსად ჩანდა. უცებ გაღმა ნაპირზე ქალი შენიშნეს, რომელსაც ხელისგულზე მიშინო ეჭდა. მაშინ სერ პერსივალმა გადასძახა, ამ კოშკში ვინ ცხოვრობსო.

— ძვირფასო რაინდებო, — მიუგო ქალმა, — ამ კოშკში ცხოვრობს ამ მხარის უმშვენიერესი ასული — ლედი ელენა. ამავე კოშკში ცხოვრობს უმშვენიერესი და ალბათ ქვეყნად უღონიერესი რაინდი, რომელიც თავის თავს კავალერ მაფიტს ეძახის.

— ის რაინდი ამ მხარეში საიდან მოვიდა? — ჰკითხა პერსივალმა.

— სიმართლე რომ გითხრათ, — მიუგო ქალმა, — ჩვენში ის სიგიჟის წყალობით მოხვდა. ძაღლები და ბავშვები მთელ ქალაქში დასდევდნენ, და წმინდა გრაალის წმინდა თასმა გონება დაუბრუნა. რა დროსაც არ უნდა გაიწვიონ რაინდთა ორთაბრძოლაში, მხოლოდ დილით და შუადღისას ებმება; თუ კოშკში მოხვედრა გნებავთ, ეგერ იმ მხარეს გადით და ნაპირზე ნახავთ ნავს, რომელიც აქ გადმოგიყვანთ!

ქალს დაემშვიდობნენ და იქით გასწიეს, სადაც ნავი უნდა ყოფილიყო. როცა ნავი იპოვეს, პერსივალი დაქვეითდა და ექტორს უთხრა:

— აქ დამულოდეთ, ვიდრე გავიგებ, ვინაა კოშკის მფლობელი რაინდი, სირცხვილი იქნება, თუ ერთზე ორი მივალთ.

— როგორც გენებოთ, — მიუგო ექტორმა, — მე ბქ დავრჩები, ვიდრე თქვენგან ცნობას არ მივიღებ.

სერ პერსივალი იმ ნაპირზე გადავიდა და კოშკის კარებს რომ მიადგა, მეკარეს უთხრა:

— შედი კოშკში და მის მფლობელ რაინდს მოახსენე, მოხეტიალე რაინდი ორთაბრძოლაში იწვევს.

მეკარე წავიდა, მალე დაბრუნდა და პერსივალს უთხრა, იმ ადგილზე გადი: სადაც ორთაბრძოლა ტარდება ხოლმე და ქალები და რაინდები თვალს ადევნებენო. მალე სერ ლანსელოტმა აცნობა, მზადა ვარო. სერ ლანსელოტი და სერ პერსივალი ერთმანეთის შესახვედრად დაიძრნენ. ისინი ისეთი ძალით დაეტაკნენ ერთმანეთს, რომ ორივე მხედარი ცხენებიანად ძირს გადაეშვა. მყისვე გამოიხსნეს ფეხები, იშიშვლეს კეთილშობილთა მახვილები და ერთმანეთს ეკვეთნენ, როგორც გარეული ტახები. სასტიკი ჭრილობებით დასერეს ერთმანეთი, იბრძოდნენ ორი საათი, ალბათ კიდევ მეტი. სერ პერსივალი პირველი ამეტყველდა:

— ძვირფასო რაინდო, ვაფიცებთ თქვენს რაინდულ პატიოსნებას, მითხარით თქვენი სახელი, რადგან თქვენი ჯუფთი რაინდი არასოდეს შემხვედრია.

— სერ, სახელს არ დაგიმალოვთ: კავალერი მაფიტი ვარ, — უთხრა ლანსელოტმა. — ახლა კი თქვენი სახელიც მითხარით.

— ჰეშმარიტად, — მიუგო პერსივალმა, — ჩემი სახელია სერ პერსივალ უელსელი, სერ ლამორაკ უელსელი იყო ჩემი ძმა, მამაჩემს კი ერქვა მეფე პელინორი, ჩემი ძმაც სერ აგლოვალი.

— ვაგლახს! — თქვა ლანსელოტმა, — რა მოვიმოქმედებთ უკუტომ გებრძოდით მრგვალი მაგიდის რაინდს? ოდესღაც ხომ მეც ხქვენი მხარის წევრი ვიყავი.

თ ა ვ ი მ ა რ ვ ა

როგორ იცნოს ერთმანეთი, რა თავაჯიანები იყვნენ, როგორ მივიდა სერ მატორი სერ ლანსელოტთან, და მათი მხიარულების აგავი

უცებ სერ ლანსელოტმა მუხლი მოიყარა და თავისი ფარ-ხმალი განზე გადაისროლა. სერ პერსივალი კი, ეს რომ ნახა, განცვიფრებული დარჩა და ასე უთხრა:

— სერ რაინდო, ვინც არ უნდა ბრძანდებოდეთ, რაინდობის მაღალი ორდენის სახელით გაფიცებთ, თქვენი ნამდვილი სახელი გამანდეთ.

მაშინ ლანსელოტმა უთხრა:

— ღმერთი იყოს ჩემი შემწე, ჩემი სახელია სერ ლანსელოტ ტბელი, მეფე ბან ბენვიკელის შვილი.

— ვაი და ვუი ჩემს თავს, — შესძახა პერსივალმა, — ეს რა ჩავიდინე! მე ხომ დედოფალმა სწორედ თქვენს საძებნელად გამომაგზავნა და აგერ ოწელიწადია დაგეძებთ. გაღმა მხარეს კი სერ ექტორ მენაპირე მიღობდა, თქვენი ძმა! ამიტომ, ღვთის გულისათვის, მაპატიეთ ის წყენა, რაც ახლა მოგაყენეთ.

— სერ, მე უკვე გაპატიეთ, — უთხრა ლანსელოტმა.

მაშინ პერსივალმა ექტორის დასაძახებლად პაუი გააგზავნა. დაინახა თუ არა ძმა, ლანსელოტი მივარდა და გადაეხვია. შემდეგ სერ ექტორი მის წინ დაემხო და ორივე ისე ტიროდა, რომ მათი შემყურე ხალხი ცოდვით იწვოდა. ამასობაში ლედი ელეინაც გამოვიდა და ისე გულლიად შეხვდა სტუმრებს, რომ ამისი წარმოდგენაც კი ძნელია. შემდეგ მოუთხროთ, თუ როგორ მოხვდა ამ მხარეში მოხეტიალე ლანსელოტი და როგორ განიკურნა. მაშინ გამოირკვა, რამდენი ხანი დაჰყო ლანსელოტმა სერ ბლიანტთან და სერ სელივანტთან, რა გარემოებაში შეხვდა მათ, როგორ დაიჭრა ტახთან ბრძოლაში, როგორ განკურნა განდევნილმა და ბოლოს როგორ მოხვდა ქალაქ კორბენიკში.

თ ა ვ ი მ ა ც ხ რ ა

როგორ მივიდნენ სერ ბორსი და სერ ლიონელი მეფე ბრანდემორისთან და როგორ აიყვანა სერ ბორსმა თავისი მძილი ელინ დეიერი, აგრეთვე სერ ლანსელოტის აგავი

ახლა სერ ლანსელოტი და მისი მეუღლე ელეინა სიხარულის კუნძულზე დავტოვოთ, სერ პერსივალისა და სერ ექტორის გვერდით, ჩვენ კი ამ მხიარული საზოგადოებიდან გადავიდეთ სერ ბორს განელსა და სერ ლიონელთან,

რომელნიც თითქმის ორი წელიწადი დაეძებდნენ ლანსელოტს და მის ასავალ-დასავალს ვერსად მიაგნეს. ამ ხეტიალში შემთხვევის წყალობით შეხვდნენ მეფე ბრანდეგორისის სამეფოში, იქ კი სერ ბორსს კარგად იცნობდნენ, რადგან თხუთმეტი წლის წინ მეფის ასულს სერ ბორსისაგან ეყოლა შვილი, რომლის სახელი იყო ელინ თეთრი. როცა სერ ბორსმა ეს ყმაწვილი ^{წაიკა} ^{თავი} ^{სი} ^{ნაშიერი} ^{ნახა}, მაშინვე შეუყვარდა. მეფე ბრანდეგორისმა კი ^{ორივე} ^{რაინდი} გულთბილად მიიღო.

დილით სერ ბორსი მეფე ბრანდეგორისს მიეხლა და უთხრა:

— თქვენ კარგად უწყით, რომ ჩემი შვილი ელინ თეთრი თქვენთან იზრდება, ამიერიდან მინდა იგი წავიყვანო ართურ მეფის კარზე.

— სერ, თქვენ, რაღა თქმა უნდა, ნება გაქვთ წაიყვანოთ, მაგრამ ის ჯერ კიდევ ბავშვია.

— სჯობს ჩემი შვილი მაინც სახელ-დიდების სასახლეში წავიყვანო და იქ დავაყვავებ.

როცა ბორსის სამგზავრო სამზადისი დაიწყო, სასახლეში ყველა ატირდა, რადგან დადგა ელინ თეთრთან განშორების უამი. მამა და შვილი მაინც წავიდნენ და მოკლე ხანში მიაღწიეს კამელოტის ციხესამაგრეს, სადაც მაშინ ართურ მეფე იმყოფებოდა. როცა ართურმა გაიგო, რომ ელინ თეთრი სერ ბორსის შვილი და ბრანდეგორისის შვილიშვილია, მრგვალი მაგიდის რაინდად აკურთხა. იგი ქველი რაინდი და გატაცებული მონადირე დადგა.

ახლა კი დავუბრუნდეთ ისევ სერ ლანსელოტს.

ერთხელ პერსივალი და ექტორი ლანსელოტთან მივიდნენ და ჰკითხეს: ინგლისში ხომ არ წამოგყვებიო ართურ მეფესთან.

— არა, — მიუგო სერ ლანსელოტმა, — ეს არანაირად არ შემიძლია, რადგან ოდესღაც ისე სამარცხვინოდ გამაგდეს იმ სასახლიდან, რომ გადავწყვიტე, აღარასოდეს იქ არ დავბრუნდე.

— სერ, — მიუგო ექტორმა, — მე ხომ თქვენი ღვიძლი ძმა ვარ და ქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარხართ, და მე რომ ვეცოდე, იქ დაბრუნება თქვენთვის მართლა სამარცხვინო იქნებოდა, არასოდეს ამას არ გირჩევდით. მაგრამ ართურ მეფე, მისი რაინდები და დედოფალი გვინივერა თქვენზე ისე დარდობენ, ისე ნაღვლობენ, რომ გაკვირვებული დარჩებით. ამასთან გმართებთ, არ დაივიწყოთ თქვენი უწინდელი სახელი, თქვენ ხომ ცოცხალ რაინდთა შორის ყველაზე უფრო სწორუბოვარი ხართ. ქვეყნად ასეთები მხოლოდ ორნი ხართ. შენა და სერ ტრისტრამი. ამიტომ გაემზადეთ და წამოდეთ ჩვენთან ერთად ინგლისში. ვფიქრობ და მზად ვარ ვამტკიცო კიდევ, რომ დედოფალ გვინივერას თქვენი ძებნა უკვე დაუჭდა ოცი ათასი გირვანქა.

— კარგი, ჩემო ძმაო, — მიუგო ლანსელოტმა, — თქვენს რჩევას ყურადვილებ და გამოგყვებით.

ასე გაემზადნენ და მეფე პელესს და ლედი ელენას გამოემშვიდობნენ: ლედი ელენას ლანსელოტის განშორებამ გული დაუთუთქა.

— ბატონო ჩემო სერ ლანსელოტ, — უთხრა თანამეცხედრემ, — ამ წელს ორმოცდაათთა დღესასწაულზე ჩემსა და თქვენს შვილს გალაპაღს თხუთმეტი წელი შეუსრულდება და რაინდად აკურთხებენ.

— ქალბატონო, მოიქეცით თქვენი სურვილისამებრ, და, ღმერთმა ქნას, რჩეული რაინდი დადგეს.

— დარწმუნებული ვარ, თავის გვარში საუკეთესო რაინდი გახდება, ერთის გამოკლებით.

— რა გაეწყობა, არც ეგ იქნება ურიგო, — უთხრა ლანსელოტი.

თავი მათე

სერ ლანსელოტი
სერ ტრისტრამი

როგორ ჩავიდნენ სერ ლანსელოტი, სერ პერსივალ და სერ მატორი სასახლეში და როგორ ყველამ გაიხარა

მოლაპარაკებისამებრ, რაინდები გზას გაუდგნენ და ორი კვირის შემდეგ ჩავიდნენ კამელოტში, რასაც ინგლისურად ჰქვია უინჩესტერი. სერ ლანსელოტის მისვლით ყველამ უზომოდ გაიხარა.

პერსივალმა და ექტორმა მთელი მისი თავგადასავალი უამბეს მეფესა და დედოფალს: როგორ დაეხეტებოდა გაგიჟებული ლანსელოტი მთელი ამ ხნის განმავლობაში უგზო-უკვლოდ, როგორ განიკურნა და იწოდა კავალერ მათიტად, რაც ნიშნავს შემცოდვე რაინდს, და როგორ დაამარცხა სიხარულის კუნძულზე სამ დღეში ხუთასი რაინდი.

მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც მის თავგადასავალს მოუთხრობდნენ, დედოფალი გვინივერა განუწყვეტლივ ტიროდა, თითქოს კვდებოდა. ლანსელოტის დაბრუნებამ იგი უსახდვროდ გაახარა.

— აჰ, სერ ლანსელოტ! — შესძახა ართურმა. — იესოს ვფიცავ, პირდაპირ გვიკვირს, რამ შეგშალათ ჰკუიდან? მე და ბევრ სხვასაც ასე გვგონია, რომ მიზეზი იყო მშვენიერ ელენას სიყვარული, პელესის ასულისა, რომლისგანაც, როგორც ყური მოგვარი, გეყოლათ შვილი გალაპადი. ამბობენ, თქვენს შვილს მრავალი საგმირო საქმე ელოდება.

— ჩემო ხელმწიფე, — მიუგო სერ ლანსელოტმა, — იქნებ უმართებულად ვიქცეოდი, მაგრამ ამჟამად მე ვიბოვე ის, რასაც ვეძებდი.

მეტად ართურს ამ საგანზე სიტყვაც აღარ დაუძრავს, მაგრამ ლანსელოტის მთელმა ნათესაობამ იცოდა, რისგანაც შეიშალა უებრო რაინდი.

სასახლეში დიდი ნადიმი გაიმართა, დიდი მხიარულება და დროსტარება იყო. ყველა ღორდმა და ბანოვანმა გაიხარა ლანსელოტის დაბრუნებით.

ახლა კი ესენი მივატოვოთ და გავიხსენოთ სერ ტრისტრამი და სერ პალომიდი. მოუნათლავეთ სარკინოში.

თავი მათ მრთამათე

როგორ შრჩია მშვენიერება იწოლდამ სერ ტრისტრამს სასახლეში წასვლა ორმოცდაათთა დღისასწაულზე

ფათერაკებისა და თავგადასავლების საძიებლად წასული სერ ტრისტრამი, როგორც იქნა, შინ დაბრუნდა, მხიარულ საგუშაგოს ციხე-კოშკში. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც სერ ლანსელოტი დაკარგული იყო, ტრისტრამი ლოგრთა ქვეყანაში მოგზაურობდა. მისი სახელი და დიდება სულ უფრო შორს განითქვა. მას მრავალი საოცარი თავგადასავალი გადახდა და ყველა ხიფათიდან გამარჯვებული გამოდიოდა. როცა შინ დაბრუნდა, იზოლდამ უთხრა, ორმოცდაათთა დღეობაზე დიდი ზეიმია გამოცხადებულიო. მერე ისიც

აუწყა, რომ მთელი ამ წლების მანძილზე სერ ლანსელოტი გაგიჟებული და გადაკარგული იყო, ბოლოს წმინდა გრაალის ძალით განიკურნა.

— ვაგლახ, რომ ეს იყო დედოფალ გვინივერას წყრომის შედეგი, — თქვა ტრისტრამმა.

— სერ, ჩემთვის ეს ცნობილია, — მიუგო იზოლდამ, — გვინივერამ მე მომწერა ყველაფერი და მთხოვა, სერ ტრისტრამი ლანსელოტის საძებნელად წავიდესო, მაგრამ ახლა, დაილოცოს უფალი, სერ ლანსელოტი ისევ ჯანსაღი და უვნებელია და დაბრუნდა კიდევ სასახლეში.

— ოჰ, იესო! — შესძახა ტრისტრამმა, — ეს მეც ძლიერ მახარებს. ახლა კი გასამგზავრებლად უნდა გავემზადოთ, რადგან დღესასწაულზე წავალთ.

— სერ, — მიუგო იზოლდამ, — მე შინ დარჩენას ვამჯობინებდი, რადგან ჩემი თანხლება თქვენდამი მეტ ყურადღებას აღძრავს ხოლმე და მაშინ ჩემი გულისათვის მეტი ბრძოლის გადატანა გიხდებათ.

— არც მე წავალ, თუ თქვენ შინ დარჩებით.

— ღმერთმა დაგვიღაროს! — შესძახა იზოლდამ, — მაშინ ყველა მეფე და დიდებული მე გამკილავს და გამათრევს. როგორ, თქვენ, ქვეყნიერების ერთ-ერთი უდიდესი რაინდი და მრგვალი მაგიდის წევრი, დღესასწაულზე არ წახვიდეთ? როგორ მოიქცევით დანარჩენი რაინდები, რას იტყვიან?

— ღმერთი იყოს ჩემი მფარველი! — შესძახა ტრისტრამმა, — ეს საუკეთესო სიტყვაა და გონივრული რჩევა. ახლა ვხედავ, რომ გიყვარვარ. როგორც მირჩევთ, ისედაც მოვიქცევი. წავალ მარტო, არც კაცს გავიყოლებ, არც ყმაწვილს. მომავალ სამშაბათს გავემგზავრები, მხოლოდ შუბსა და ხმალს წავიღებ.

თ ა ვ ი მ ე თ ე რ მ ე ბ ა

როგორ ზავიდა ტრისტრამი უმუიარაღებელი და შეხვდა სერ პალომიდს, როგორ ზამქანენ მრთხანეთის შესახებოდა, მაგრამ პალომიდმა მასთან ბძოლა არ ისარკვა

დრო რომ დადგა, ტრისტრამი დღესასწაულზე წასასვლელად გაემზადა და იზოლდას დაემშვიდობა. სატრფომ სერ ტრისტრამს თან ოთხი რაინდი აახლა, მაგრამ ნახევარი მილი რომ გაიარეს, ტრისტრამმა ისინი უკვე გაისტუმრა. კიდევ ერთი მილი რომ გაიარა, პალომიდი შეხვდა. პალომიდს ის იყო ვილაც რაინდი ჩამოეგდო ცხენიდან და თითქმის სასიკვდილოდ დაეჭრა. მაშინ ინანა ტრისტრამმა, რომ ასე ბრყვეულად დაადგა გზას უმუზარადოდა და უაბჯროდ და ცხენი შეაჩერა. სერ პალომიდმა კი დაინახა თუ არა ტრისტრამი, შორიდანვე შეუძახა:

— სერ ტრისტრამ, რაკი ერთმანეთს შევხვდით, გავსწორდეთ ყველა წყენისათვის, რაც ერთმანეთს მივაყენეთ.

— თუ საქმე ბრძოლაზეა, ქვეყნად არ მოიპოვება ქრისტიანი, რომელიც იტყვის, რომ მასთან შეტაკებას თავი ავარიდუ ან გავექეცი. ესეც იცოდე. სერ პალომიდ, რომ მით უმეტეს შენ, სარკინოზი, ვერ დაიტრაბახებ, რომ ზურგი გიჩვენა სერ ტრისტრამ ლიონელმა.

ამ სიტყვებზე სერ ტრისტრამმა მთელი ძალით გააქანა ცხენი, შუბი აძგერა სერ პალომიდს და მისი შუბი ას ნაკუწად დაიმსხვრა. მაშინ სერ ტრის-

ტრამმა ხმალი იშიშვლა, ცხენი მიაბრუნა და პალომიდს ექვსჯერ მძლავრად დაპკრა თავში, პალომიდი კი ისე იდგა თითქოს აოცებდა სერ ტრისტრამის სიფიცხე და თავგამოდება. ასე თქვა გულში: „სერ ტრისტრამი თუმცა უაბჯროდაა, ახლა ბრძოლაზე ხელს ვეღარ ავადლებინებ. მაგრამ თუ ახლა ცხენს მივუშვებ და მოვკლავ, სადაც წავალ, სამუდამოდ შევრცხვები“.

ახლა ტრისტრამი ეუბნება:

— ჰეი, ლაჩარო რაინდო, რას აპირებ? რატომ აღარ გასურს ჩემთან ბრძოლა? ექვი არ შეგეპაროს, როგორმე გავუძლებ შენს შემოტევასა და შენს გაბოროტებას.

— სერ ტრისტრამ, — მიუგო პალომიდმა, — ჩინებულად იცი, რომ შებრძოლება არა მშარფებს, რადგან მე აბჯარი მაცდია, შენ კი უჯავშნოდა ხარ და ახლა რომ მოვკლა, სახელს ვერ მოვიხვეჭ, სამუდამოდ შევრცხვები. მე ხომ ვიცი შენი სიმამაცე და სიმარჯვე რაინდულ ბრძოლაში!

— ეს მართალია, ჩემთვის ცნობილია, რა ექვიც გაწუხებს.

— კარგად თქვი, — უბასუხა პალომიდმა, — ახლა კი გთხოვ, ერთი კითხვა მაქვს და მიბასუხო.

— მკითხე, სიმართლეს გეტყვი, ისე ღმერთი შემეწევა.

— სერ, ვთქვათ და თქვენ სრული წესით აღჭურვილი ხართ, მე კი აი, ასე, როგორც თვითონ გამოიყურებით, როგორ მთიქცევოდით, ქეშმარიტი რაინდული კანონით რომ გემოქმედათ?

— ა, სერ პალომიდ, მიგიხვდით, რადგან ახლა ჩემი აზრის გაგება გწადიათ. ღმერთია მოწამე, ჩემი პასუხი თქვენდამი შიშით არ იქნება ნაკარნახევი. აი, რას ვიტყვოდი: სერ პალომიდ, წადით, გამშორდით! რადგან ასეთ შემთხვევაში ნამდვილად არ შეგებრძოლებოდით.

— არც მე, რადგან ეს არ იქნებოდა რაინდული საქმე. ამიტომ გაემგზავრეთ.

— რაც შეეხება წასვლას, — მიუგო ტრისტრამმა, — ეს მე ვიცი, წავალ თუ არა. ერთი ეს უმითხარი, სერ პალომიდ, ძალიან მიკვირს, ასეთი კეთილი რაინდი დღემდე მოუნათლავი რაღა ხართ? შენმა ძმამ საფირმა ხომ უკვე მიიღო ქრისტიანობა?

თ ა ვ ი მ მ ც ა მ მ ა მ

როგორ შეიძლება სერ ტრისტრამი დატრიალი რაინდის აბჯრით და როგორ დაამარცხა სერ პალომიდი

— მე ჯერ არ შემიძლია მოვინათლო, რადგან მრავალი წლის წინ ფიცი მაქვს დადებული. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, გულში მე დიდი ხანია ვატარებ ქრისტეს და წმინდა მარიამის კეთილ რწმენას. ერთი ბრძოლაღა დამრჩა გადასახდელი, მოვიგებ და ქრისტიანობას ვეზიარები.

— თავს გეფიცები, თუ საქმე მხოლოდ ერთ ბრძოლას ეხება, მისი ლოდინი დიდხანს არ დაგჭირდება, — მიუგო ტრისტრამმა, — ღმერთმა დამიფაროს, რომ ჩემი მიზეზით თუნდაც ერთი დღით კიდევ წარმართად დარჩე. ეგერ იქ წევს რაინდი, რომელიც ახლახან შენ ჩამოაგდე ცხენიდან და მძიმე-

დაა დაჭრილი, მაცალე, მის აბჯარს ჩავიცვამ და შენი ფიცის ასრულებას არ დავაყოვნებ, თუ შენც მომეხმარები.

— როგორც ისურვებთ, ისე იყოს.

სერ ტრისტრამი დაჭრილ რაინდთან მივიდა, იგი ქვიშაზე წამომჯდარიყო. ტრისტრამი მიესალმა დაჭრილს, მან მისუსტებული ხმით გასცა პასუხი.

— სერ რაინდო, — უთხრა ტრისტრამმა, — გთხოვთ, თქვენი ნამდვილი სახელი გამანდოთ.

— სერ, ჩემი სახელია სერ გალერონ გალოვეელი, მრგვალი მაგიდის რაინდი გახლავართ.

— ისე ღმერთი შემეწევა, როგორც მე თქვენი ჭრილობები მალონებდნენ. ახლა ერთი სათხოვარი მაქვს: დროებით უნდა დამითმოდოთ თქვენი აბჯარი და აღჭურვილობა, რადგან, როგორც ხედავთ, უიარაღო ვარ და ეგერ იმ რაინდს უნდა შევებრძოლო.

— სერ, სიამოვნებით მოგართმევთ, მაგრამ უფრთხილდით, ის რაინდი უაღრესად საშიშია და მძლავრი, ისე მძლავრი, რომ მისი მსგავსი არასოდეს შემხვედრია. გთხოვთ, მითხრათ თქვენი სახელი და ჩემი გამაუბედურებლის სახელიც მაუწყაოთ.

— მე ვარ სერ ტრისტრამ ლიონელი, ხოლო ის სერ პალომიდია, ქველი რაინდის საფირის ძმა. სერ პალომიდი ჯერაც მოუწნათლავია.

— აფსუს! — თქვა დაჭრილმა, — დიდად სამწუხაროა და დასანანებელი, რომ ასეთი ქველი რაინდი სარკინოზია და ურჯულო.

— ღმერთი იყოს ჩემი მფარველი! — თქვა ტრისტრამმა, — ამ ორთაბრძოლაში ან შევაკვდები, ან მე მოვკლავ, მაგრამ ვიდრე ერთმანეთს დავშორდებით, მან ნათლობა უნდა მიიღოს.

— ჩემო ბატონო სერ ტრისტრამ, — უთხრა გალერონმა, — თქვენი სახელი მრავალ ქვეყანაში გაჰქუხს და ღმერთმა ინებოს, არც ამჯერად შეარცხვინოთ თქვენი ქებული სახელი!

ტრისტრამი ცხენს მოახტა, ხელთ გალერონის შუბი ებყრა. სერ პალომიდიც მოემზადა. ორი რაინდი ერთმანეთის დასალეწად მთელი ძალით ვაეჭანა, შუბები პირდაპირ ფარებს აძგერეს შუაგულში. პალომიდს შუბი გადაუტყდა, ტრისტრამმა კი პალომიდი ცხენიანად დასცა მიწაზე. მაშინ პალომიდმა სასწრაფოდ გაითავისუფლა ფეხები, ფარი იფარა და მახვილი იშიშვლა. ეს რომ ნახა, ტრისტრამიც დაქვეითდა, ცხენი ხეზე მიაბა და საომრად ხელთ შიშველი მახვილი იპყრა.

თ ა ვ ი მ ე თ ო თ ხ მ ე ბ ე

როგორ იბრძოდნენ დიდხანს ტრისტრამი და პალომიდი, გოლოს შერიგდნენ და ტრისტრამმა იხრუნა პალომიდის მონათველისათვის

ორი გარეული ტახვიტ ეკვეთა ერთმანეთს ორი რაინდი. უტევდნენ, ჩაიჩოქებდნენ, წაიწევდნენ, განერიდებოდნენ და იბრძოდნენ, როგორც კეთილშობილ რაინდებს შეეფერებათ. მაგრამ პალომიდი მუდამ შიშის ცახცახში იყო ტრისტრამის ბუმბერაზული ძალის წინაშე, ამიტომ ნაკლებად უტევდა.

ასე იბრძოლეს ორი საათი და კიდევ მეტი. ტრისტრამი ხშირ-ხშირად აყენებდა პალომიდს მძიმე დარტყმებს, ისე რომ, სარკინოზი მუხლებზე ეცემოდა, ხოლო პალომიდმა ფარი დაუსერა და ბოლოს მძიმე კრილობაც მიაყენა, რადგან ძალზე გამოცდილი და ცბიერი მებრძოლი იყო.

მაშინ სერ ტრისტრამი გიჟურმა ბრაზმა აიტანა და ისეთი ძალით დაატყდა თავს პალომიდს, რომ სარკინოზმა ველარ გაუძლო და დედამიწაზე გულადმა გაიშხლართა, თუმცა მაშინვე წამოიჭრა და მაშინ ტრისტრამმა მხარში მიაყენა მძიმე კრილობა. ტრისტრამი არ იღლებოდა, სულ ახალ-ახალი ძალით უტევდა, მაგრამ პალომიდიც უძლებდა და შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა. ბოლოს ტრისტრამმა მაინც გააორკეცა დარტყმების ძალა და, საბედნიეროდ, პალომიდს ხელიდან ხმალი დააგდებინა. პალომიდი რომ დახრილიყო ხმლის ასაღებად, იმავე წამს სიკვდილი არ ასცდებოდა. ამიტომ სარკინოზი იდგა გარინდებული და თავის ხმალს დასცქეროდა.

— ახლა როგორაა საქმე? — ეკითხება სერ ტრისტრამი — ახლა ჩემს ხელთა ხართ, როგორც ამ დილით თქვენს ხელთ ვიყავი. მაგრამ ვერასოდეს ვერც ერთ სასახლეში და ქველ რაინდთა შორის ვერ იტყვიან, რომ სერ ტრისტრამმა უიარაღო რაინდი მოკლა. ამიტომ აიღე შენი ხმალი და დავასრულოთ ბრძოლა.

— ბრძოლა, — მიუგო პალომიდმა, — შემძლია ბოლომდე მივიყიანო, მაგრამ საამისოდ მეტი ხალისი აღარა მაქვს. ჩემგან მოყენებული შურადაც უფოა ალბათ არც ისე მძიმეა, რომ კვლავ დამეგობრება იღარ შეგვიძლოს. რადგან ყველაფერი, რაც თქვენთვის დამიშავებია, მხოლოდ "ფენქს" დას სიყვარულით მოვიმოქმედე. მშვენიერ იზოლდას კი რაღაც პატივსაც ვცემ, როგორც არავის ქალთა შორის, და არც არასოდეს მიცდია მისთვის შეურაცხყოფის მიყენება. მე ყველა ჩემს წარმატებას საბრძოლო ასპარეზზე მას ვუმაღლი. რაც შეეხება თქვენთვის მოყენებულ ზოგიერთ უსიამოვნებას, ამისათვის ახლაც მრავალი სასტიკი დარტყმა ვიგემე, თუმცა მეც მრავალი საპასუხო დარტყმით გადაგიხადეთ, და მაინც თქვენსავით შეუპოვარი მებრძოლი, ასე ზომიერად რომ სუნთქავდეს, მე არასოდეს შემხვედრია, თუ სერ ლანსელოტს არ ჩავთვლით — ამიტომ, ბატონო ჩემო, მაპატიეთ, რაც თქვენს წინაშე შეცოდება მიმიძღვის! ახლავე მიმიყვანეთ უახლოეს ეკლესიაში, ჯერ მომეცით საშუალება განვიწმინდო სინანულით, მაშინ კი დაინახავთ, რომ წმინდა ნათლობას მივიღებ. შემდეგ ერთად წავიდეთ ართურ მეფის სასახლეში, რომ მოახლოებულ დღესასწაულს მივუსწროთ.

— რაკი ასეა, შეჭექით ცხენზე, — უთხრა ტრისტრამმა, — და იყოს ისე, როგორც ამბობთ. ღმერთმა გაპატიოთ ყველა თქვენი დანაშაული, მე კი, ჩემდათავად, მიპატიებია. აქვე, ერთი მილის მანძილზე ცხოვრობს კარლაილის ეპისკოპოსი და ის გაზიარებთ წმინდა მირონს.

მაშინვე ცხენებზე შესხდნენ და გალერონიც თან წაიყვანეს. ეპისკოპოსს ეახლენ და თავიანთი განზრახვა აუწყეს. იმანაც დიდი ჭურჭელი წყლით აავსებინა, აკურთხა, პალომიდს აღსარება ათქმევინა და ცოდვები მიუტევა. მოწმენი და ნათლიები ტრისტრამი და გალერონი იყვნენ.

მალე ისევ გზას გაუდგნენ და კამელოტში ჩავიდნენ, სადაც მაშინ მრგვალი მაგიდის თითქმის ყველა რაინდის თანხლებით მეფე ართური და

დედოფალი გვინივერა იმყოფებოდნენ. მთელი სასახლე გახარებულ იქნა იმით, რომ პალომიდმა ქრისტიანობა მიიღო.

იმავე დღესასწაულზე ჩავიდა სერ გალაპადი, სერ ლანსელოტის ძე და დასალუბად განწირულის სკამზე დაჯდა. მაშინ წავიდ-წამოვიდნენ კლეოს ქვეყანაზე ცნობილი მრგვალი მაგიდის რაინდები. ტრისტრამი მხიარულ საგუშაგოს ციხეში დაბრუნდა. პალომიდი კი ისევ თავის მბრძღვინავე მხეცს დაედევნა.

ამით თავდება მეორე წიგნი სერ ტრისტრამ ლიონელისა, რაც ფრანგულიდან გადაიღო სერ თომას მელორიმ, რაინდმა, ღმერთი იყოს მისი მფარველი, ამინ! მესამე წიგნი აღარ არის. შემდეგ მოვა წმინდა ამბავი გრაალისა, რა სახელითაც იხსენიება წმინდა ფიალა და ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს სისხლის ნიშანი. ჩვენს მიწაზე ის მოიტანა იოსებ არიმათიელმა. ამიტომაც, ვითარცა ნებავეთ ცოდვილთ, ყოვლად მოწყალე უფალო, შეიწყალე შენი რაინდი. ამინ!





ქართული
საბავშვო ლიტერატურა

სტივენ კრეინმა ცოტა იცოცხლა (1871-1903), მაგრამ ბევრის გაკეთება მოასწრო. უპირველეს ყოვლისა, იგი ცნობილია, როგორც ავტორი რომანებისა და ნოველებისა, რომლებიც ამერიკული ნატურალიზმის მაღალმხატვრულ მიღწევებადაა მიჩნეული. სტივენ კრეინი ორი პოეტური კრებულის ავტორიცაა; მისი პოეზია, რომელიც ძირითადად ექსპერიმენტული ხასიათისაა, ამერიკული მწერლობის ჯანვითარების პროცესში მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს.

მთარგმნელი

მთარგმნა ვაჟა ხორნაშულვა

* * *

ღმერთმა დიდი სიყვარულით ააშენა ხომალდი — სამყარო.
ბრძენი დიდოსტატის ხელოვნებით
გააკეთა კორპუსი, იალქნები
და საჭეც ხელთ ეპყრა,
რომელიც უნდა მოერგო ხომალდისთვის.
ამაყად იდგა ცათა მბრძანებელი,
ტკბებოდა საკუთარი ქმნილებით...
და სწორედ მაშინ, საბედისწერო წუთს, რაღაცა მოხდა,
ღმერთი შემობრუნდა ამბის გასაგებად
და ხომალდმა, ცბიერმა და მოხერხებულმა,
იხელთა დრო... ჯერ ნელ-ნელა, მერე კი — უცებ
გასრიალდა ფიცარნავიდან...
და, ასე, სამუდამოდ უსაჭეოდ დარჩენილი, წავიდა ზღვადაზღვა
ფანტასტიკური გზით მოხეტიალე,
მომხდენი საოცარის ევოლუციების,

სერიოზული სახით მიმდევარი
ჭარების სისულელეს და ჭინიანობას.
ხოლო ცაში მრავალნი იყვნენ,
რომლებიც ამის გამო იცინოდნენ.



* * *

„ჩემსავით იფიქრე — მირჩია კაცმა, —
თუ არადა, საზიზღარი პირუტყვი იქნები,
გომბეშო იქნები“...

მე ჩავფიქრდი და ასე ვუპასუხე:
„მირჩევნია, გომბეშო ვიყო“.

გაზეთი

გაზეთი — ერთმანეთში არეული ტყუილ-მართალი.
ბიჭუნების ხმამაღალ შეძახილებს სხვადასხვა მხარეში
მიაქვთ მისი აბდაუბდა და უაზრობა
მილიონობით თანამგრძნობთან,
მილიონობით აბუჩად ამგდებთან.
ადამიანები კერიებთან შეჯგუფებულნი
აღტაცებით კითხულობენ სიყვარულის სიკვდილის ამბავს.
გაზეთი — სამსჯავროა, სადაც ყველასათვის
გამოაქვს მსჯავრი, გულმოდგინედ და უსამართლოდ,
„პატიოსან“ ადამიანთა უბადრუკობას.

გაზეთი — ბაზარია, სადაც სიბრძნე
ვაჭრობს საკუთარი თავისუფლებით,
სადაც ხალხი ცარიელ თავებს ამკობს გვირგვინებით.
გაზეთი — თამაშია, რომელშიც წაგება
მისთვის მოგების მომტანია,
ხოლო მეტოქის ხელოვნებას იგი მიჰყავს დამარცხებამდე.
გაზეთი — სიმბოლოა,
მატიანეა უსარგებლო და ფუჭი ცხოვრების,
საკრებულოა ჭორების და ცილისწამების,
შუაგულია მარადიული გონებაჩლუნგობის,
რომელიც ქვეყანას მოსდებია
შორეული საუკუნეების წიაღიდან.

* * *

ეჰ, მეგობარო,
შენი თეთრი წვერი უკვე მიწას სწვდება,

მაშ, რაღას უდგებარ კვლავ მოიმედე?
 ხომ არ გგონია, რომ აქამდე რაც გინატრია,
 იხილო ახლა, დაისის ფაშს?
 ხომ არ გგონია, რომ ახლა იხილო
 სამართლიანობის ტრიუმფული მარში?
 არა, მეგობარო, ამაოდ ელი.
 მაშ, წაილე ეგ თეთრი წვერი
 და დაუძღურებული, მიმქრალი ოვალები
 უფრო საკეთილო ქვეყნებში.



მგზავრი

ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზას
 წააწყდა მგზავრი,
 შესდგა და გაოცდა:
 გზა ხშირი ბალახით იყო დაფარული.
 — ოჰო! — თქვა მან, —
 ვხედავ, ძალზე დიდი ხანია,
 ამ გზაზე არავის გაუვლია. —
 და უცებ შენიშნა, რომ ყოველი ბალახის ღერო
 დანაა ბასრი...
 და ბოლოს დაასკვნა:
 — რასაკვირველია, სხვა გზებიც არსებობენ.

* * *

ისმოდა გუგუნი ომის, —
 მიწა შავდებოდა, ჭკნებოდა და იბზარებოდა;
 ტიროდნენ სევდიანი ქალები,
 შეცბუნებული ბავშვები გარბოდნენ.
 ხოლო ერთმა ადამიანმა, რომელსაც ვერ ვაგვო,
 თუ რა იყო ყოველივე ამის მიზეზი,
 იკითხა: „რატომ? რისი გულისთვის?“
 ერთდროულად მილიონი პასუხი გაისმა
 და ისეთი გნიასი ატყდა,
 აწრი დარჩა გაურკვეველი.

* * *

იყო და არა იყო რა — იყო კაცი ხის ენიანი,
 მას სურდა ემღერა და სცადა კიდევ,
 საცოდავად წვალობდა და იჭიფებოდა,

და იყო ერთი მსმენელი, რომელსაც ესმოდა —
 ხის ენა აქეთ-იქით როგორ აწყდებოდა,
 და იგრძნო, ოჲ რის შესახებაც
 აპირებდა სიმღერას კაცი,
 და მომღერალი იყო საოყრად ბედნიერი,
 რადგან მას გაუგეს.



ადამიანი და პორიზონტი

ადამიანი მისდევდა პორიზონტს,
 მაგრამ პორიზონტი უსხლტებოდა...
 და მე, ამით შეშფოთებულმა,
 გუთხარი მას:
 — ეს შეუძლებელია,
 შენ, ვიცი, ვერასოდეს...
 — ძალიან სცდები! — მომადახა მან
 და გაიქცა კვლავ პორიზონტისკენ.

* *

უდაბნოში ვხეტიალობდი
 და ვედრებით შევძახე ცას...
 „ღმერთო, წამიყვანე, აქედან!...“
 და ხმა ჩამესმა: „ეს ადგილი უდაბნო არ არის“.
 მე ვედრება გავიმეორე:
 „კი, მაგრამ — ეს ქვიშა,
 ეს სიცხე და ეს ცარიელი პორიზონტი?“..
 და ხმა იდუმალი ჩამესმა კვლავ:
 „ეს ადგილი უდაბნო არ არის“.

კალატოჯი

კალატოჯებმა მთის მწვერვალზე
 აღმართეს
 აგურის ვეება სფერო.

შემდეგ დაეშვნენ ხეობაში
 და შეათვალიერეს ქმნილება მათი.
 — დიდებულა, — თქვეს სიამაყით.

ანაზღად სფერო შეტორტმანდა,
 გადმოიქცა და უცებ,
 ერთ წამში,
 გაჭყლიტა ყველა კალატოჯი.
 მხოლოდ რამდენიმემ მოასწრო დაკვივლება.



კარლოს დრუმონდო და ანდრადე

ხელი-ხელს

დამპალი დროის არ ვიქნები მე მომღერალი,
და არც მომავლის მომღერალი აღარ ვიქნები,
მე ტუსადი ვარ ამ ცხოვრების, ამ სინამდვილის,
დღეის-დღე! — აი, დაფიქრების ჩემი საგანი.
ჩემს დღეში არის ყველა, ვისაც ვხედავ გარშემო,
სინამდვილე ჩქეფს მათ თვალებში უკიდევანო,
ისე დიდია ბნელი აწმყო და ისე ვრცელი, —
რომ გეშინია, უცაბედად არ დაიკარგო.
ხელი — ხელს, ძმებო! უცაბედად არ დავიკარგოთ!
მე მომღერალი არ ვიქნები ლამაზმანების,
ოხ, მთვარევე, მთვარევე! — ოხვრას ჩემგან ვერ გაიგონებთ,
არცა ლამაზი სურათების არ ვარ მხატვარი,
არცა ხიფათი მიზიდავს და არც თვითმკვლელობა.
არც გავიქცევი, არც ანგელოზს გავყვები ცაში,
ჩემი მასალა ეს დრო არის და ეს აწმყოა,
დღე დღევანდელი, ეს საათი, ეს წუთი, წამი,
აი, ეს ხალხი და ამ ხალხის მძიმე ცხოვრება!

ჩვენი დრო

ეს დროა — ჩვენ რომ ერთურთს გვაშორებს,
ეს დროა — კაცს რომ კაცს შეაძულებს.

ამაო არის წიგნში თავი ჩარგო ჩვეულად,
ხალხს ხორცი უნდა, უნდა სიტბო, უნდა სიმშვიდე,
მარტო კანონი რას გვიშველის, საკითხავია,
მარტო კანონით ხომ ყვავილიც ვერ გაიხარებს.

ო, რა ხანია პირზე მადევს დუმილის რაზა,
ო, რა ხანია თავს ვიტკიებ ფუჭი კითხვებით!

ხოლო ნივთები, რაც დრო გადის, ლამაზდებიან,
 და რა ძალაა ამ ნივთებში რა, სიმაგრეა!
 მაგრამ მე ნივთი ხომ არა ვარ, რომ ჩუმად ვიყო,
 როცა ბუნებით მიყვარს ჯანყი და ბობოქრობა;
 საშველს ითხოვენ ყელს მომდგარი მძიმე სიტყვები,
 მაგარ-მაგარი, ძლიერი და მტკიცე სიტყვები,
 მაგრამ რამდენი ხანი იმათ მტყუერი ფარავდა,
 ვიდრე სრულიად არ დაკარგეს მათ შინაარსი!



* *

აი, ეს დროა! და ვდუმვარ ამ დროს!
 დრო — მოკუმული პირის, ჩურჩულის,
 ბოლომდე ვერთქმის, მინიშნების, უკან მიხედვის,
 დრო დალუქული პირის, სიმუნჯის!

დროა — ცბიერი, გაუწევი, ფარდების, შიშის,
 უფერო ზეცის, პოლიტიკის, ო, — პოლიტიკის! —
 მარად, ყოველთვის, ყველაფერში, ვაშლში, ატამში,
 ღვინოში, ლუდში, ანგელოსში, წარბში, წამწამში,
 პლასტმასის კბილში, და ბოლომდე ვერთქმულ ფრაზაში,
 მარად, ყოველთვის, ყველაფერში, დროა — ცბიერი!

ყველა ქუჩაში, ყველა ხესთან დგას პოლიტიკა.
 ჩიტები სწევენ პროპაგანდას ნათელი ცისა!

ნიკანორ პარა

კატალინა პარა

ეს ქალაქი დიდია
 და დიდი აქვს ძალა;
 შენც აქ დაეხეტები,
 კატალინა პარა!

ისმის წვიმის კვარჩხალი,
 მიდის ღრუბლის ფარა;
 სად წახვედი მარტოკა,
 კატალინა პარა!

მთელი წელი გავიდა,
 არ მნატრულობ განა?
 როგორ არ განსენდები,
 კატალინა პარა!

ნეტა, ეს მაცოდინა,
 მეც წამოგყვე თანა,
 საით მიექანები,
 კატალინა პარა!

რაც არ უნდა მეგონოს,
მაინც მჯერა მარად,
ერთხელ კიდევ გიხილავ,
კატალინა პარა!
გინდა — იყო მახლობლად,
გინდა — უცხო კარად,
ერთხელ კიდევ გიხილავ,
კატალინა პარა!

თუმცა ჭიანჭველა ხარ
და ეშმაკი მარად,
ვერსად ვერ გამექცევი,
კატალინა პარა!
ვაი, ჩემო სულისტუმავ,
და ჩამქრალო კვარო,
მაინც შენით ვსულდგმულობ,
პაწაწინა ქალო!

ნიკოლას გილიენი (კუბა)

სენსამაია

მაიომბე — ბომბე — მაიომბე!
მაიომბე — ბომბე — მაიომბე!
მაიომბე — ბომბე — მაიომბე!

გველის თავი სარკისაა, სარკის,
ხეს ეხვევა, ეგრაგნება გველი,
გველის თვალი სარკისაა, სარკის,
ხეს ეხვევა, ეგრაგნება გველი

ბალახებში მცოცავია გველი,
მცოცავია, მხოხავია გველი,
ბალახებში იმალება გველი,
მიცურავს და იმალება გველი.

მაიომბე — ბომბე — მაიომბე!
მაიომბე — ბომბე — მაიომბე!
მაიომბე — ბომბე — მაიომბე!

გველს ნაჯახი ხეთქევი და მოჰკალ!
გველს ნაჯახი ხეთქევი და მოჰკალ!
ფენი აღარ დააბიჯო, გიკბენს!
ფენი აღარ დააბიჯო, გიკბენს!

სენსამაია, გველი.
სენსამაია — თვალი მისი,
სენსამაია,
სენსამაია — ენა მისი,
სენსამაია,
სენსამაია — კბილი მისი,
სენსამაია,
სენსამაია, სენსამაია.

მკვდარი გველი ველარ შესძლებს სისინს,
მკვდარი არის რადგან ენა მისი,
მკვდარი არის რადგან თვალი მისი,
მკვდარი არის რადგან კბილი მისი!

მაიომბე — ბომბე — მაიომბე!
სენსამაია — გველი.
მაიომბე — ბომბე — მაიომბე!
სენსამაია — კონტა,
მაიომბე — ბომბე — მაიომბე!
სენსამაია — გველი,
მაიომბე — ბომბე — მაიომბე!
სენსამაია — მოკვდა!

ჩქარა, ფული ამოყაჭე!..

აბა, ფული ამოყაჭე!
 ჩქარა, ფული ამოყაჭე!
 ისე როგორ წამოგყვები,
 თუ არ მასმევ და არ მაჭმევ!
 ჩქარა, ფული ამოყაჭე!



მიყვარს ბრინჯი და გალეტი,
 თუ გინდა რომ ერთმანეთი...
 ჩქარა, ფული ამოყაჭე,
 აბა, ფული ამოყაჭე!

არ გექნება გულში ხინჯი,
 შენც არა ხარ უკვე ბიჭი,
 მიყვარს გალეტი და ბრინჯი,
 ჩქარა, ფული ამოყაჭე!

კი, ისედაც შეიძლება,
 როგორ არა, შეიძლება,
 განა არა, — შეიძლება,
 მაგრამ კუჭი, კუჭი მეწვის!..

ჩქარა, ფული ამოყაჭე!
 აბა, ფული ამოყაჭე!
 თუ არა და — არა-მეთქი!
 თუ არა და ბრანწი-მეთქი!

შენ, ბებერო, ვიცო, იტყვი,
 რომ ჩაიგდე ხელში ბრიყვი,
 მაგრამ კუჭი თუკი მეწვის!..
 კმარა, ფული ამოყაჭე,
 აბა, ფული ამოყაჭე!
 თუ არა და — არა-მეთქი!

შენ გაცვია ტანზე ბეწვი,
 თან საათი გიკეთია,
 ამოყაჭე ფული-მეთქი,
 ეს ცხოვრება ისეთია! —
 აბა, ფული ამოყაჭე!

ლუის კალეს მარტოსი (კუმბო-რიკო)



ზანგების ცეკვა

კალაბო და ბამბუკი,
ბამბუკი და კალაბო,
ციცქნა დოლი წკრიალებს: ტამ-ტამ-ტამ!
დიდი დოლი გრიალებს: ბომ-ბომ-ბომ!
ეს ტომბუკუს მზე არის — ძლიერი,
ეს ზანგების ცეკვაა და ფერნანდო პო!
ტალახში წვანან გოჭები: ღრუტ-ღრუტ-ღრუტ,
ბაყაყების ზარია: ყი-ყი-ყი.
ბამბუკი და კალაბო,
კალაბო და ბამბუკი!

სალამურები მღერიან და ხმები მიდის შორს.
უკვე რამდენი ხანია, აბრაგუნებენ დოლს.

აქ არიან ყველანი, ყველანი აქ არიან,
მარიანდას ცეკვავენ, მღერა და ხარხარია.
ზანგის ქალი, რიტმში და მუსიკაში ჩაწნული,
შოლტივით მოქნეული და მროკავი ასული.
კალაბო და ბამბუკი,
ბამბუკი და კალაბო.

ციცქნა დოლი წკრიალებს: ტამ-ტამ-ტამ!
დიდი დოლი გრიალებს: ბომ-ბომ-ბომ!

მიწა — მზით გარუჯული, ხრიოკი და ოქრო!
კამერუნი, ჰაიტი, მარტინიკა, კონგო!
მთვრალი ანთოსები, რომის მსმელი კაცი.
რიტმი, რიტმი ხმიერი, მეხთატუნის მსგავსი!
კალაბო და ბამბუკი.
ბამბუკი და კალაბო!

ეს ტომბუკუს მზე არის — ძლიერი!
ეს ზანგების ცეკვაა და ფერნანდო პო!

მარიანდას ცეკვავენ, მღერა და ხორხოცია,
აფრიკელი კაცისთვის ეს სისხლი და ხორცია!
კალაბო და ბამბუკი,
ბამბუკი და კალაბო!

ციცქნა დოლი წკრიალებს: ტამ-ტამ-ტამ!
დიდი დოლი გრიალებს: ბომ! ბომ! ბომ!



ქართველთა
წიგნწერის კავშირი

რ ო მ ა ნ ი. ინგლისურიდან თარგმნა,

წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ნიკო ყიასაშვილმა

3 მომეროსის „ოდისეას“ მეტორმეტე წიგნში ვკითხულობთ: „სირინოზებს რომ გასცდები, ორი გზა დაგხვდება და ერთ-ერთი უნდა აირჩიო... ერთი გზა ორ თვალშეუდგამ კლდეს შუა გადის, სადაც ლურჯთვალა ამფიტრიდეს მთისოდენა ტალღები გამაყრუებლად გუგუნებენ. მოხეტიალე კლდეებს ეძახიან მათ ნეტარი ღმერთები. ჩიტიც ვერ გაძვრება მათ შორის... ხომალდის ნამუსრეგებსა და მეზღვაურთა გვამებს დღემდე აბრუნებს ზღვის ღურღუმელში ქარცეცხლიანი მორევი. ერთადერთმა — კოლხეთიდან მომავალმა სახელგანთქმულმა არგოს ხომალდმა დააღწია მათ თავი. მისაც არ ასცდებოდა დაღუპვა, იაზონზე შზრუნველი ჰერა რომ არ შეშველებოდა“.

მომეროსის ჯოხისივული, თუნდაც პაროდული პარალელი კვლავაც უაღრესად პირობითია. ეპიზოდი შედგება 19 ქვეთავისაგან თუ სექციისაგან, რომლებშიც ხშირად კვეთს ერთმანეთს სხვადასხვა ქვეთავის ან ეპიზოდის ესა თუ ის სიუჟეტური მომენტი. ყოველ ასეთ შემთხვევაში მკითხველს უჩნდება ნათელი, გამჭვირვალე მწერლური ჩანაფიქრის ამოკითხვის ყალბი განცდა, იმ დროს, როდესაც თვითნული ქვეთავის კონკრეტული მოტივი მეტად რთული შინაგანი ძაფებით არის დაკავშირებული მთელი ეპიზოდისა და საერთოდ რომანის წამყვან ლაიტმოტივებთან. მკითხველისათვის დაგებული ამგვარი „მახეებია“, რომ ქმნის ჯოხისური ოდისეას „მოხეტიალე კლდეების“ საერთო განწყობას.

ეპიზოდის მოქმედების ადგილია დუბლინის ქუჩები, დრო — დღის 3 საათი.

მეათე ეპიზოდი

(„მოხეტიალე კლდეები“)

მონასტრის წინამძღვარმა, მისმა უსამღვდელოესობამ ჯონ კონ-მიმ (ი. ს.), თავისი კრიალა საათი შიდა ჯიბეში ჩაიღო და პრეს-ბიტერიანული ეკლესიის კიბეები ჩაიიარა. ხუთი წუთი აკლია სამს. სწორედ კარგი დროა არტეინამდე გასასეირნებლად, რა ერქვა იმ ბიჭს? ჰო, დიგნამ.ი. Vere dignum et justum est! ძმა სუონია სანახავი, ბატონი კანინგამის წერილი. დიახ. დაეხმარეთ, თუკი შესაძლებელია. მოწადინებული კათოლიკე: შესაწირავების შეგროვებისას გამოსადეგი.

ცალფეხა მეზღვაურმა, ზანტად რომ მიხტუნაობდა ყავისჩრებით, რამდენიმე ტაქტი ჩაიღმუვლა. მოწყალეების დათა მონასტრის წინ შეჩერდა და მის უსამღვდელოესობა ჯონ კონმის წოწოლა ქუდი გაუწოდა. მამა კონმინ პირჯვარი გადასახა, რადგან იცოდა, ქისაში მხოლოდ კერძის ერთი კრაფნი ედო.

ღირსი მამა კონმი მაუნტჯოი სკვერისაკენ გადავიდა. იგი დაფიქრდა, მხოლოდ ცოტა ხნით, იმ ჯარისკაცებსა და მეზღვაურებზე, რომელთაც ფეხები წააცალა ზარბაზანმა და თავის დღეებს ახლა ლატაკთა თავშესაფარში ითვლიდნენ, და კარდინალ ვულზის სიტყვებზე: მე რომ ისე მემსახურა ჩემი ღმერთისათვის, როგორც ჩემს ვემსახურე, ის არ მიმატოვებდა სიბერის უამს. იგი მზისთვალპაჭუნა ფოთლების ჩეროში მიდიოდა და მისკენ კი ბატონ დევიდ შიპის პ. წ.-ს, მეუღლე მოემართებოდა.

— ძალიან კარგად, მამაო, ჭეშმარიტად. თქვენ როგორ ბრძანდებით?

ღირსი მამა კონმი ჭეშმარიტად შესანიშნავად გრძნობდა თავს. ალბათ ბაქსტონს წავა სამკურნალო წყლებზე, ვაქცივილების საქმე როგორ მიდის ბელვედერში? მართლა? ღირს მამა კონმის ეს დიდად ესიამოვნა. და თავად ბატონი შიპი? კვლავ ლონდონშია. პარლამენტი მუშაობას განაგრძობდა, რა თქმა უნდა. მშვენიერი ამინდი იყო, მართლაც შესანიშნავი. დიას, ღირსი მამა ბერნარდ ვოონის უთუოდ დაუბრუნდება ქადაგებას. რა თქმა უნდა: უდიდესი წარმატება. ჭეშმარიტად შესანიშნავი ამინდია.

ღირსი მამა კონმი დიდად მოხარული იყო, რომ ბატონ დევიდ შიპის პ. წ.-ს მეუღლე ასე შესანიშნავად გამოიყურებოდა და მან სთხოვა მოკითხვა გადაეცა თავად ბატონ დევიდ შიპისათვის, პ. წ.-სათვის. დიას, ის უსათუოდ შემოივლის.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო შიპი.

ღირსმა მამა კონმიმ გამოთხდევებისას ცილინდრი მოიხადა და თავი დაუკრა ქალის მძივებიან მანტილიას, მზეში რომ მელნისფრად აკიაფდა. კიდევ ერთხელ გაიღიმა, სანამ გზას განაგრძობდა. იცოდა, კბილები ბეტელის პასტით ჰქონდა გაწმენდილი.

ღირსი მამა კონმი მიდიოდა და თან იღიმებოდა, მამა ბერნარდ ვოონის მოციმციმე თვალები და კოკნის კილო რომ აგონდებოდა.

— ბილატე! რატომ არ ჩააკმენდინებ ხმას მაგ ყროყინა ბრბოს?

თავდაღებული კაცი კი იყო, ნამდვილად. ბევრ კარგ საქმეს აკეთებდა თავისებურად. უეჭველია. ამბობდა, რომ უყვარდა ირლანდია და უყვარდა ირლანდიელები. კარგი ოჯახიშვილიც ყოფილა. რას იფიქრებდა კაცი, უელსელები, მგონი.

ნუ უკვე დაივიწყო. წერილი რომის პროვინციალს.

ღირსმა მამა კონმიმ სამი უმცროსკლასელი ბიჭი გააჩერა მაუნტჯოი სკვერის კუთხეში. დიას: ბელვედერიდან არიან. დაწყებითი კლასიდან: აპა. კარგად თუ იქცევებიან სკოლაში? ოპო, ძალიან კარგი, ძალიან კარგი. იმას რა ჰქვია? ჯექ სოპანი. იმას? ჯერი. გელაპერი. და იმ პატარა ვაჟკაცს? ბრანი ლინამი ჰქვია. ო, რა კარგი სახელი და გვარია.

მამა კონმიმ წერილი ამოიღო უბიდან, ბრანი ლინამს მიაწოდა და წითელ საფოსტო ყუთზე მიუთითა ფიცგიბონის ქუჩის კუთხეში.



— შენ თვითონ კი არ ჩავარდე ყუთში, თქვა მან.
 ბიჭებმა შეაფქვსთვალიერეს მამა კონში და გაიცინეს.
 — არა, სერ.

— აბა ერთი მაჩვენე, წერილის ჩაგდება თუ შეგიძლია, თქვა მამა კონშიმ.
 ბრანი ლინამმა ქუჩა გადაირბინა და მამა კონშის წერილი რომის პროვინ-
 ციალისადმი⁸ ჰყეტელა წითელი საფოსტო ყუთის ხახაში ჩააგდო. ღირსმა მამა
 კონშიმ გაიღიმა და თავი გააქნია და გაიღიმა და გზა განაგრძო მაუნტჯოი სკვე-
 რის აღმოსავლეთ მხარეს.

ბატონმა დენის ჯ. მეგინიმ, ცეკვის მასწავლებელმა დჰ ა. შ., დარბაისლუ-
 რად რომ მიაბიჯებდა: ცილინდრი, აბრეშუმის ბორტებიანი სერთუკი, შემოტ-
 კეცილი იასამნისფერი შარვალი, თეთრი ყელსახვევი, მოყვითალო-მომწვანო
 ხელთათმანები და ლაქის წაწვეტებული ფეხსაცმელი — დიდის პატივით და-
 უთმო გზა ლედი მაქსუელს დივანამ კორტის კუთხეში.

ეს ქალბატონი მაკგინესი არ იყო?

ქალბატონი მაკგინესი, წარმოსადეგი, თმაშევერცხლილი, მიესალმა ღირს
 მამა კონშის მოპირდაპირე ტროტუარიდან, რომლის გაყოლებაზეც იგი მია-
 ცურავდა, და ღირსმა მამა კონშიმ გაიღიმა და მიესალმა. როგორ ბრძანდე-
 ბოდა?

კოხტა მიხრა-მოხრა ჰქონდა. სკოტების დედოფალ მერისავეით⁹, რაღაც.
 მევახშე კი იყო. მაში და ასეთი... როგორ თქვას?... ასეთი მეფური შეხედულება.

მამა კონშიმ გრეიტ ჩარლზ სტრიტი ჩაიარა და კარჩაკეტილ პროტესტან-
 ტულ ეკლესიას შეხედა ხელმარცხნივ. მისი მაღალღირსება ტ. რ. გრინი, ხე-
 ლოვნების ბაკალავრი, აქ იქადაგებს (D. V.)¹⁰. წმინდა მოვალეობა შეარქვეს.
 გრძნობდა, რომ მისი წმიდათაწმიდა მოვალეობა იყო თრიოდე სიტყვა ეთქვა.
 მაგრამ ადამიანი მოწყალე უნდა იყო. დაუთრგუნველი უმეცრება¹¹. საკუთარი
 განსწავლულობისდა კვალად იქცევია.

მამა კონშიმ კუთხეში შეუხვია და ნორთ სირკულარ როუდს გაჰყვა. უც-
 ნაურია, რომ ასეთ მნიშვნელოვან მაგისტრალზე ტრამვაის ხაზი არ იყო გაყვა-
 ნილი. უთუოდ უნდა გაეყვანათ.

რიჩმონდ სტრიტიდან გამოვარდნილმა ჩანთიანი ბიჭების გუნდმა ქუჩა
 გადაჭრა. დაჰმუჭნილი ქუდები მოიხადეს. ღირსი მამა კონში რამდენჯერღვე
 მოწყალედ მიესალმა. ქრისტიან ძმათა სასწავლებლის ბიჭები.

მამა კონშიმ საკმევლის სუნი იგრძნო მარჯვენა მხრიდან. წმინდა ჯოზეფის
 ეკლესია, პორტლნედ როუ. მხცოვან და სათნო მანდილოსანთათვის¹². ღირსმა
 მამა კონშიმ ქედი მოუხარა წმინდა ზიარების ნაწილებს. სათნონი: მაგრამ ზოგ-
 ჯერ წაიკაპასებენ კიდევ.

ოლდბოროს სასახლესთან მამა კონშიმ იმ ბედოვლათ დიდებულზე გაი-
 ფიქრა¹³. ახლა აქ კონტორაა თუ რაღაც ამდაგვარი.

მამა კონში ნორთ სტრენდის ქუჩას შეუყვია და მას ბატონი უილიამ გელა-
 პერი მიესალმა, რომელიც თავისი მაღაზიის შესასვლელში იდგა. ღირსი მამა
 კონში მიესალმა ბატონ უილიამ გელაპერს და დაწნეხილი კარაქის დიდრონი
 ნაჭრებისა და შაშხის სურნელი ჩაისუნთქა. ჩაუარა გროგანის თამბაქოს დუ-
 ქანს. ზედ რომ ნიუ იორკის იმ საზარელი კატასტროფის მაუწყებელი საგაზე-
 თო დაფები იყო მიყუდებული. ამერიკაში ხშირია ასეთი შემთხვევები. უბედუ-
 რი ხალხი, ასე დაღუპვა. უზიარებლად. თუმცა, გულწრფელი მონანიება...

ღირსმა მამა კონმომ დენიელ ბერგინის ბარის წინ გაიარა, სადაც ორი უსაქმურა სარკმელს მიყრდნობოდა, ისინი მიესალმნენ მას და სასუსუხო საღამოც მიიღეს.

მამა კონმომ ჩაუარა პ. ჯ. ო'ნილის დამკრძალავ ბიუროს, სადაც კორნი კელეპერი დაუთარში იწერდა ანგარიშს და თან თივის დედას ეწვეოდა. პოსტზე მდგარი პოლიციელი ღირს მამა კონმის მიესალმა და ღირსი მამა კონმი მიესალმა პოლიციელს. ღირის ხორციით მოვაჭრე იუკსტეტერთან მამა კონმომ შეათვალიერა ღირის ძეხვები, თეთრ-შავ-წითელი, მოხდენილად რომ ელაგა რგოლებად დახვეული.

მამა კონმომ თვალი მოჰკრა ჩარღვილ მელის ხეებქვეშ მიმდგარ ტორფის კარჭაპს, თავჩაქინდრულ საფორანე ცხენს, მენავეს ჭუჭყიანი ჩალის ქუდით თავზე, კარჭაპის შუაგულში რომ ჩამჯდარიყო, თუთუნს აბოლებდა და მის თავთან გადმოშვებულ ალვის ტოტს მიშტერებოდა. იდილიური სურათი იყო: და ღირსი მამა კონმი ჩაუფიქრდა განგებას ღმრთისას, რომელმაც კაობებში შექმნა ტორფი, რათა ადამიანებს ამოეთხარათ და ქალაქსა თუ სოფლად დატაკთა სახლებში კერის დასანთებად მიეტანათ.

ნიუკომენის ხიდზე მისი უსამღვდელოესობა ჯონ კონმი (ი. ს.), ზემო გარდინერის ქუჩაზე მდებარე წმინდა ფრანსის ქსავიერის ეკლესიის მოძღვარი, ცენტრიდან მომავალ ტრამვაიში ავიდა.

ნიუკომენის ხიდზე ცენტრისაკენ მიმავალ ტრამვაიდან გადმოვიდა ღირსი ნიკოლას დადლი, ნორთ უილიამ სტრიტზე მდებარე წმინდა აგათას ეკლესიის მოძღვარი.

ნიუკომენის ხიდზე მამა კონმი ცენტრიდან მომავალ ტრამვაიში ავიდა. რადგან არ უყვარდა მად აილენდის ბინძური კვარტალის ფეხით გავლა.

მამა კონმი ტრამვაის ვაგონის კუთხეში იჯდა, ცისფერი ბილეთი საგულდაგულოდ ჰქონდა ჩატენილი ლაიკის ხორცსავსე ხელთათმანის ჭრილში, ხოლო ოთხი შილინგი, ერთი ექვსპენიანი და ხუთი პენი მისი მეორე ხორცსავსე ხელთათმანის გულიდან ქისაში ჩასრიალდნენ. სურათი დაფარულ ეკლესიას რომ ჩაუარა, გაიფიქრა, კონტროლიორი სწორედ მაშინ ჩამოივლის ხოლმე, როცა კაცი დაუდევრად გადაადგებს ბილეთსო. ვაგონის მკვიდრთა საზეიმო გამოშვებულება მამა კონმის გადაჭარბებულად მოეჩვენა ასეთი მოკლე და რაფი მგზავრობასათვის. მამა კონმის მოსწონდა, როცა კაცი ხალისიანად გამოიყურებოდა.

წყნარი დღე იყო. მამა კონმის პირდაპირ მჯდარი სათვალისანი ჯენტლმენი ახსნას მორჩა და თვალები დახარა. უთუოდ ცოლია, გაიფიქრა მამა კონმომ. ჰაწაწინა მთქნარებამ პირი გაუღო სათვალისანი ჯენტლმენის ცოლს. მან პატარა, ხელთათმანიანი მუშტი ასწია, სულ ოდნავ დაამთქნარა, თან პატარა, ხელთათმანიანი მუშტი ვალებულ პირზე რამდენჯერმე მიიღო და ოდნავ, ნახად გაიღიმა.

მამა კონმომ ვაგონში მისი სუნამო შეივრძნო. მან ისიც შეამჩნია, რომ მოუქნელი კაცი ქალის გვერდით, ზედ სკამის კიდეზე იყო ჩამომჯდარი.

მამა კონმომ ამბიონზე ძლივძლივობით ჩაჩნირა პირში ზიარების ნაწილა მოუქნელ ხნიერ კაცს, თავს რომ აცანცარებდა.

ენესლის ხიდზე ტრამვაი გაჩერდა და როცა კვლავ უნდა დაძრულიყო, მოხუცი ქალი უცებ წამოდგა თავისი ადგილიდან, ჩასასვლელად. კონდუქ-

ტორმა ზარს ჩამოჰკრა, ტრამვაი რომ შეეჩერებინა. ქალი ჩავიდა კალაღი და დაწნული ჩანთით: და მამა კონმიმ დაინახა, თუ როგორ მიეხმარა კონდუქტორი ჩასვლაში კალათიან და ჩანთიან ქალს: და მამა კონმიმ გაიფიქრა, რომ ქალი კინადამ თავის გაჩერებას არ გასცდა და რომ იგი ერთი იმ კეთილ სულთაგანია, რომელსაც ოოჯერ უნდა უთხრა დამილოცნიხარ, შვილო ჩემო, რომ მას ცოდვები უკვე მიტევებული აქვს, ილოცე ჩემთვის. მაგრამ იმდენი დარდი აქვთ ცხოვრებაში, იმდენი საზრუნავი, საბრალო არსებათ.

აფიშადან ბატონი იუჯინ სტრეტონი ზანგის სქელი ტუჩებით ფართოდ უღიმოდა მამა კონმის.

მამა კონმიმ გაიფიქრა შავ, ყავისფერ და ყვითელ ადამიანთა სულებზე და თავის წირვაზე წმინდა პიტერ კლეივერისა (ი. ს.) და აფრიკული მისიის გამო და ჭეშმარიტი რწმენის გავრცელებაზე და მილიონობით შავ და ყავისფერ და ყვითელ სულებზე, რომელთაც წმინდა ნათლობა არ ექნებათ მიღებული, როცა განკითხვის ეამი მიეპარებათ ვითარცა მპარავი ღამესა შინა. ბელგიელი იეზუიტის ის წიგნი, *Le Nombre des Élus*,¹⁴ მამა კონმის აზრით, დამაჯერებელ ოვალსაზრისს ქადაგებდა. მილიონობით ადამიანთა სულებისათვის, ღმრთის მიერ მის ხატად რომ იყვნენ ქმნილნი, ჭეშმარიტება ცნობილი არ იყო D. V. მაგრამ ისინი ღმრთის მიერ შექმნილი ღმრთის სულები იყვნენ. მამა კონმის აზრით, დიდად დასანანი იყო, რომ ისინი ყველანი უნდა დაღუბულიყვნენ: ნაღდი წაგება, თუ შეიძლება ასე ითქვას.

პაუთ როუდის გაჩერებაზე მამა კონმი ჩავიდა, მას კონდუქტორი მიესალმა და მამა კონმიმ სალმითვე უპასუხა.

მელაპაიდ როუდზე სიწყნარე იყო. მამა კონმის ქუჩაც მოსწონდა და მისი სახელწოდებაც. ზარები რეკენ მხიარულად მელაპაიდზე¹⁵. ლორდ ტოლბოტ რე მელაპაიდი, მელაპაიდისა და ახლომდებარე ზღვათა უშუალო შთამომავლობითი ლორდ-ადმირალი. შეძდეგ ჯარში იხმეს და ის ქალბატონი ერთ დღეში გათხოვდა, დაქვრივდა და ქალწულიც დარჩა. ეს ძველი დროება იყო, ერთგულების ხანა მხიარულ ქალაქ ადგილებში, ძველი დროება ბარონის მამულში¹⁶.

მამა კონმი გზას განაგრძობდა, თავის პატარა წიგნზე ფიქრობდა, ძველი დროება ბარონის მამულში¹⁷, და წიგნზე, რომელიც შეიძლება დაწერილიყო იეზუიტთა საზოგადოებებზე და მერი როჩფორტზე, ლორდ მოულზუორთის ასულზე, ბელვედერის პირველი გრაფის მეუღლეზე.

მოწყენილი ლედი, უკვე ხანდაზმული. მარტოდ-მარტო მისეირნობდა ენგლის ტბის ნაპირზე. მერი, ბელვედერის პირველი გრაფის მეუღლე, მოწყენით მისეირნობდა სალამოხანს და არ კრთებოდა, როცა იქვე სადღაც წავი ჩაყვინთავდა ხოლმე, ვის შეეძლო სცოდნოდა სიმართლე? არა ეჭვიან ლორდ ბელვედერს და არა ლედის სულიერ მამას. თუკი ქმრისთვის ბოლომდე, *ejaculatio seminis inter vas naturale mulieris*¹⁸, არ უღალატნია მაზლთან. ქალი ეცდებოდა აღსარების დროს სანახევროდ ეთქვა სიმართლე, თუკი სრულად არ შეუცოდავს სხვა ქალებივით. მარტოდენ ღმერთმა უწყოდა ეს და კიდევ ამ ქალმა და იმ კაცმა, მისმა მაზლმა.

მამა კონმი ფიქრობდა ამ ტირანულ ვნებაზე, რომელიც ამასთან აუცილებელია ადამიანთა მოდგმის გასაგრძელებლად, და გზებზე უფლისა, რომელნიც არა არიან გზანი ჩვენნი.

დონ ჯონ-უჟან კონში გარდასულ დროთა ბურუსში ჩაიძირა. მაშინ ის მოწყალე და ყველასაგან პატივცემული იყო. გონებაში ინახავდა აღსარების საიდუმლოებებს და თაფლის სანთლით გაკრივლებულ სასტუმრო ოთახში მომღიმარ კეთილშობილ სახეებს უღიმოდა, მწიფე მტკვრებზე მოკაზმულ პერქვეშ და ნეფე-პატარძლის ხელებს, კეთილშობილს სტრინგსმრჩხლსაან, აერთიანებდა დონ ჯონ კონში.

მშვენიერი დღე იყო.

მინდორში გასასვლელი ჰიშკრიდან მამა კონში ხედავდა კვლებში ჩამდგარ კომბოსტოს თავებს, ქვედაფურცლებგაფაშფაშებულნი, რევერანსით რომ ესალმებოდნენ მას. ცაზე დაინახა პატარა თეთრი ღრუბლების ფარა, ქარი რომ მიერეკებოდა ნელა. Moutonner,¹⁹ ამბობენ ფრანგები. სადა და ზუსტი სიტყვა.

მამა კონში უამნს კითხულობდა და თან თვალს ადევნებდა რეტკოფის თავზე ღრუბლების ფარას. წმინდაწინდიან კოქებზე კლონგოუზის მინდვრის ნამჯა უღიტინებდა²⁰. დასეირნობდა, საღამოთი კითხულობდა და მოთამაშე ბიჭების შეძახილები ესმოდა იქ. ყმაწვილური შეძახილები წყნარ საღამოს. მათი რექტორი იყო: ლმობიერად მართავდა.

მამა კონშიმ ხელთათმანები გაიძრო და თავისი წითელვარაყიანი ლოცვანი ამოიღო. სპილოს ძვლის სანიშნმა გვერდი მიუთითა.

უამნი. ეს საუზმის წინ უნდა წაეკითხა. მაგრამ ლედი მაქსუელი ეწვია.

მამა კონშიმ ჩუმად წაიკითხა Pater და Ave და პირჯვარი გადაიწერა. Deus in adiutorium.²¹

ნელა მიდიოდა და უხმოდ კითხულობდა უამნს, მისეირნობდა და კითხულობდა სანამ არ მიადგა რეშ²², Beati immaculati-ში²³, Principium verborum tuorum veritas: in eternum omnia iudicia iustitioe tue.²⁴

აღეწილი ყმაწვილი კაცი ცოცხალი ღობიდან გამოძვრა და მას ახალგაზრდა ქალი მოჰყვა თავჩაქინდრული გვირილებით ხელში. ყმაწვილმა კაცმა უხერხულად მოიხადა ქუდი: ახალგაზრდა ქალმა უხერხულად დაუკრა თავი და ნელა, მზრუნველად მოიშორა თხელ ქვედატანზე აკრული ხმელი პატარა ღერო.

მამა კონშიმ ორივეს დინჯად გადასახა ჯვარი და ლოცვანის თხელი ფურცელი გადაშალა. შინ: Principes persecuti sunt me gratis: et a verbis tuis formidavit cor meum.²⁵

* * *

კორნი კელეპერმა დახურა თავისი დიდი დავთარი და დაღლილი თვალე-ბით შეხედა კუთხეში ყარაულივით ატუზულ ფიჭვის კუბოს თავს. წელში გაიმართა, მიუახლოვდა, შეატრიალა და შეათვალა მისი მოყვანილობა და ვარაყი. ჩალის ღეროს ღეჭვა-ღეჭვით სახურავი გვერდზე მიდგა და კართან მივიდა. შემდეგ ქუდი ჩამოიფხატა თვალეებზე, ზედა წირთხლს მიეყრდნო და ზანტად გაიხედა გარეთ.

მამა ჯონ კონში ნიუკომენის ხიდზე დოლიმაუნტისაკენ მიმავალ ტრამვაიში ჩაჯდა.

კორნი კელეპერმა დიდრონი ჩექმები გადააჯვარედინა და იყურებოდა, ქუდი ჩამოფხატული, და ჩალის ღეროს ღეჭავდა.

პოლიციელი 57 ც დროის მოსაკლავად შეჩერდა.

— მშვენიერი ამინდია, ბატონო კელეპერ.

— მაშ, თქვა კორნი კელეპერმა.

— ძალიან დახუთულია, თქვა პოლიციელმა.

კორნი კელეპერმა პირიდან რკალად უხმაუროდ გამოუშვა ჩაქისი კერძის წვენი და ამ დროს ეკლზ სტრიტზე ქათქათა ხელმა ფანჯრიდან მონეტა ვად-მოაგდო.

— რა ხდება კარგი? იკითხა მან.

— სწორედ ეგ ტიპი დავინახე წუხელ, თქვა პოლიციელმა ხმადაბლა.

* *

ყავარჯნებიანმა ცალფეხა მეზღვაურმა მაკ კონელის კუთხეში ჩაიჩოლახა, რებეიოტის ნაყინის ფურგონს შემოუარა და ეკლზ სტრიტს აპყვა ნახტომებით. ლერი თ'რურკს, თავის კარის რიდეზე რომ იდგა მოკლესახელოიან პერანგში, მტრულად შეუღრინა.

— ინგლისის...

მკვეთრი ნახტომებით ჩაუარა კეიტი და ბუდი დედალოსებს, შეჩერდა და დაიღრინა:

— სამშობლოსა და მშვენიებისათვის²⁶.

ჯ. ჯ. ო'მოლოის თეთრ შეწუნებულ სახეს ამცნეს, რომ ბატონი ლემბერტი მნახველთან ერთად საწყობში იყო.

ჩასუქებული ქალბატონი შეჩერდა, საფულედან სპილენძის ფული ამოიღო და მისკენ გაშვერილ ქუდში ჩააგდო. მეზღვაურმა მადლობა ჩაიბურტყუნა, მკავედ ახედა ყრუ ფანჯრებს, თავი ჩაქინდრა და ხტუნვა-ხტუნვით განაგრძო გზა.

შეჩერდა და გაბრაზებით დაიღრინა:

— ინგლისის...

ფეხშიშველა ბიჭები, ორნი, ძირტკბილიან მოგრძო შექარყინულს რომ წუწნიდნენ, მის ახლოს გაჩერდნენ და მოჭრილ ფეხს ყვითლად პირდაფჩენილნი მიაშტერდნენ.

მკვეთრი ნახტომებით მოსწყდა ადვილს, მერე შეჩერდა, ფანჯრისაკენ ასწია თავი და დაბალი ხმით დაიყუთა:

— სამშობლოსა და მშვენიებისათვის.

მზიარული ტკბილი მოყლურტულე სტვენის ორიოდე ტაქტი კვლავ გაისმა ფანჯრის იქიდან. შეწყდა, ფანჯრის ფარდა გადასწიეს. წარწერა ქირავდება გაუწყობელი ბინები რაფიდან დაცურდა და ჩამოვარდა. პუტკუნა შიშველმა მოწყალე მკლავმა გაიელვა, თეთრი ლიფი და დაჭიმული ბრეტელი. ქალის ხელმა მესერს ზემოდან გადმოისროლა მონეტა. ტროტუარზე დაეცა.

ერთ-ერთმა ბიჭმა მიიბინა, აიღო და მენესტრელის ქუდში ჩააგდო:

— ინებეთ, სერ.



კეიტი და ბუდი დედამისებმა კარი შეაღეს ორთქლის გამომსვლელ ხა-
სუთულ სამზარეულოში.

— წიგნები დააგირავე? იკითხა ბუდიმ.

მეგიმ ქურასთან ორჯერ ატაკა ჯონი რუხ მასას დაბუშტულ ქაფში და
წარბი მოიწმინდა.

— ამაში არაფერს იძლევიან, თქვა მან.

მამა კონში კლონგოუზის მინდვრებით მიდიოდა, ნამჯა თხელ წინდებში
ატანდა.

— სად მიიტანე? იკითხა ბუდიმ.

— მაკვინესთან.

ბუდიმ ფეხი დააბაკუნა და ჩანთა მაგიდაზე დააგდო.

— ჰირი იმ თავგასიებულს! წამოიძახა მან.

კეიტი ქურასთან მივიდა და ალმაცერი თვალებით ჩახედა.

— რა არის ქოთანში? იკითხა მან.

— პერანგები, თქვა მეგიმ.

ბუდიმ გაჯავრებით წამოიძახა:

— ჯანდაბას! საჭმელი არაფერი გვაქვს?

კეიტიმ თავისი დალაქავებული ქვედატანის დახმარებით სახურავი ახადა
ქვაბს და იკითხა:

— აქ რაღაა?

პასუხად ორთქლის სქელი ნაკადი ამოვარდა.

— მუხუდოს წვნიანი, თქვა მეგიმ.

— სად იშოვე? იკითხა კეიტიმ.

— დამ მერი პეტრიკმა, თქვა მეგიმ.

მსახურმა ზარი დააწკარუნა.

— წკრრრ!

ბუდი მიუჯდა მაგიდას და დამშეულმა თქვა:

— მოიტა!

მეგიმ ყვითელი სქელი წვენი ქვაბიდან ჯამში გადაასხა. კეიტიმ, რომე-
ლიც ბუდის პირისპირ იჯდა, წყნარად თქვა, თან მარცვლები თითებით მიკ-
ქონდა პირისაკენ:

— ესეც კარგია რომ გვაქვს. დილი სად არის?

— მამის შესახვედრად წავიდა, თქვა მეგიმ.

ბუდი პურის დიდ ნაჭრებს წვენში იფშენიდა და თან აყოლებდა:

— მამაო ჩვენო, რომელი არა ხარ ცათა შინა.

მეგიმ, კეიტის ჯამში ყვითელ წვნიანს რომ ასხამდა, წამოიძახა:

— ბუდი! გრცხვენოდეს!

ქაღალდის ნავი, დაკმუჭნილი მოწოდება, ელია მოდის, მსუბუქად ჩა-
ცურდა ლიფიზე, ლუპლაინის ხიდქვეშ, უკუქცევის ტალღებს აყოლილი. იქ
სადაც წყალი ხიდის ბურჯებს ეხეთქება, აღმოსავლეთისაკენ, ხომალდების ქი-
მებისა და ღუზების ჯაჭვების გასწვრივ, საბაჟოს ძველ დოკსა და ჯორჯის
სანაპიროს შორის.

* *

თორნტონისას ქერა გოგონა დაწნული კალათის ფსკერზე მარხრილვ
ბურბუშელას იფენდა. ბლევზის ბოილანმა ვარდისფერ ქალაქდში გახვეულა
ბოთლი და პატარა ქილა მიაწოდა.

— ჯერ ესენი ჩააწყეთ, გენაცვალე, თქვა მან.

— დიახ, სერ, თქვა ქერა გოგონამ, ხილს კი ზემოდან.

— კარგია, ყოჩაღ, თქვა ბლევზის ბოილანმა.

გოგონამ მოხდენილად ჩააწყო მსუქანი მსხლები ყუნწშექცევით და მათ
შორის მწიფე მორცხვლაწვიანი ატმები.

ბლევზის ბოილანი ახალი, კრემისფერი ფეხსაცმელებით აქეთ-იქით დადი-
ოდა ხილსურნელოვან დუქანში, იღებდა ხილს, ახალ, წვნიან, ნაოჭებიან და გა-
ტიკნილ პომიდორებს, სურნელს იყნოსავდა.

მ. ი. ლ. ი. ს. მწყობრად ჩაუარეს მას, თეთრცილინდროსნებმა, ტენჯიერ
ლეინის გასწვრივ, საკუთარ მიზნისაკენ მიმავლებმა.

უცებ პირი იბრუნა ხენდროსაგან, ჯიბიდან ოქროს საათი ამოაძრო და ძეწ-
კვის სიგრძეზე გაიშვირა.

— შეგიძლიათ ტრამვით გააგზავნოთ? ახლავე?

შავზურგიანი ფიგურა უელინგტონის სანაპიროზე გასასვლელი თალის ქვეშ
წიგნებს ათვალეფრებდა ბუკინისტის ურიკაზე.

— რა თქმა უნდა, სერ. ქალაქის ცენტრშია?

— დიახ, დიახ, თქვა ბლევზის ბოილანმა. სულ ათი წუთის სავალია.

ქერა გოგონამ ბარათი და ფანქარი მიაწოდა.

— თუ შეიძლება მისამართი დამიწერეთ, სერ.

ბლევზის ბოილანმა იქვე წააწერა და ბარათი მიუცურა.

— იქნებ ახლავე გამიგზავნოთ, თქვა მან. ავადმყოფისთვისაა.

— კეთილი, სერ, ახლავე.

ბლევზის ბოილანმა მხიარული მონეტები შეაჩხრიალა შარვლის ჯიბეში.

— რამდენი ვიზარალე? იკითხა მან.

ქერა გოგონას თხელმა თითებმა გადათვალეს ხილი.

ბლევზის ბოილანმა უბეში ჩახედა. ქორფა ვარიკა. ყვავილის მაღალი
ვაზიდან წითელი მიხაკი აიღო.

— ეს მე? იკითხა მან გალანტურად.

ქერა გოგონამ გვერდულად შეხედა მას, დაუდევრად ჩაცმულს, ოდნავ
გვერდზე მოგდებული კალსტუხით, და გაწითლდა.

— დიახ, სერ, თქვა მან.

გოგონა კეკლუცად დაიხარა და ხელმეორედ გადათვალა მსუქანი მსხლები
და შეფაკლული ატმები.

ბლევზის ბოილანმა უფრო მეტის წყალობის თვალთ ჩახედა უბეში, თან
მონღიმარ კბილებში წითელი ყვავილის ღერო ეჭირა.

— შეიძლება თქვენს ტელეფონს სიტყვა ჩავჩურჩულო, მისს? ფამილია-
რულად იკითხა მან.

— Ma!²⁷ თქვა აღმიდანო არტიფონიმ.²⁸

იგი სტივენის მხრის ზემოდან გოლდსმითის დაკოჟრილ გოგონას შეპყუ-
რებდა.

ტურისტებით სავსე ორმა ეტლმა წელა ჩაიარა. ქალები წინ ისხდნენ, სახელურებს ჩაბლაუჭებოდნენ. ფერმკრთალი სახეები. კაცების ხელები მოუარიდებლად შემოხვეოდნენ მათ გამხდარ წელებს. ტრინიტის მხრიდან ისინი უყურებდნენ ირლანდიის ბანკის სვეტებში ჩამჯდარ ვაჭრებს — ხედაც მტრელები დაღულუნებდნენ.

— Anch'io ho avuto di queste idee, თქვა ალმიდანო არტიფონიმ, quand'ero giovine come Lei. Eppoi mi sono convinto che il mondo è una bestia. È peccato. Perché la sua voce... sarebbe un cespite di rendita, via. Invece, Lei si sacrifica.²⁹

— Sacrificio incruento,³⁰ ღიმილით თქვა სტივენმა და იფნის ჯობი თითებზე გადააქან-გადმოაქანა, წელა.

— Speriamo, სასიამოვნო კილოთი თქვა მრგვალმა უღვაშა სახემ. Ma, diretta a me. Ci refletta.³¹

გრეტანის მტკიცე ქვის ხელთან,³² გაჩერებას რომ მოითხოვს, ინჩიკორის ტრამვაიმ არეულ-დარეული სამხედრო სასულე ორკესტრი გადმოსხა.

— Ci riflettero,³³ თქვა სტივენმა და განიერ შარვლის ტოტს დახედა.

— Ma, sul serio, eh?³⁴ თქვა ალმიდანო არტიფონიმ.

მისმა მძიმე ხელმა სტივენის ხელს მაგრად მოუჭირა. ადამიანური თვალები. წამით ცნობისმოყვარედ უცქერდნენ და მერე სწრაფად დოლკის ტრამვაისაკენ გაიხედეს.

— Ecco, საჩქაროდ ჩაილაპარაკა ალმიდანო არტიფონიმ მეგობრული კილოთი. Venga a trovarmi e ci pensi. Addio, caro³⁵.

— Arrivederla, maestro, თქვა სტივენმა და ქუდი მოიხადა, როცა ხელი გაუნთავისუფლდა. E grazie.³⁶

— Diche? თქვა ალმიდანო არტიფონიმ. Scusi, eh? Tante belle cose!³⁷

ალმიდანო არტიფონიმ მალლა ასწია მრგვლად დახვეული ნოტები და განიერი შარვლის ტოტებით დოლკისაკენ მიმავალ ტრამვაის ძუნძულით გამოუღდა. ამაოდ იძუნძულა, ამაოდ ანიშნებდა ხმაურიან მუხლშიშველ შოტლანდიელთა შორის მოხვედრილი, საკრავ ინსტრუმენტებს რომ მიათრევდნენ ტრინიტის შესასვლელში.

* * *

მისს დანმა თავის უჯრაში საგულდაგულოდ დამალა კეიპელ სტრიტის ბიბლიოთეკიდან გამოტანილი ქალი თეთრებში³⁸ და ჭყეტელა საფოსტო ქალაღი საბეჭდ მანქანაში ჩადო.

მეტისმეტად ჩახლართული ამბებია. ნეტა იმას ის მერიონი³⁹ უყვარს? უნდა გამოვცვალო და მერი სესილ ჰეისა⁴⁰ გამოვიტანო რამე.

ფირფიტა ღარში დაცურდა, დატრიალდა, გაჩერდა და აჩვენა: ექვსი.

მისს დანმა კლავიატურაზე ჩამოაკაკუნა:

— 16 ივნისი 1904.

ხუთი თეთრცილი ღროსანი სენდვიჩმენი დაიკლაკნა მანიპენის კუთხესა და კვარცხლბეკს შორის, სადაც ვულფ ტოუნის ქანდაკება არ იდგა,⁴¹ ჰ. ი. ლ. ი. ს. შემობრუნდა და უკანა გზას გაუღდა.

შემდეგ მაიო კენდალის,⁴² მომხიბლავი სუბრეტის დიდ აფიშას მიაშტერდა.

და დუნედ. ზანტად დაიწყო ერთიანების, ექვსიანების და ასომთავთობის გამოყვანა. მდოგვისფერი თმა და წითლუბნილი ლაყები. ვითომ რომ ლამაზი ქვედა ტანზე როგორ წაუვლია ხელი? ნეტა ის ყმაწვილი თუ იქნება ამ სოფელში სასულე ორკესტრის კონცერტზე. მკერავს ჩემთვისაც რომ შეეკრებოდნენ, სიუზი ნეგს რომ აქვს. მშვენივრად იშლება. შენონი და იანტკლუბის ფრანტები თვალს ვერ აშორებდნენ. იმედია, შვიდ საათამდე აქ არ გამაჩერებს.

მის ყურთან უკმეხად დარეკა ტელეფონმა.

— ალო. დიახ, სერ. არა, სერ. დიახ, სერ. ხუთის შემდეგ დავურეკავ მხოლოდ ის ორი, სერ. ბელფასტისა და ლივერპულისათვის. კეთილი, სერ. ესე იგი, შემოდის ექვსის შემდეგ წავიდე, თუ თქვენ არ მობრძანდებით. შვიდის თხუთმეტ წუთზე. დიახ, სერ. ოცდაშვიდი და ექვსი. გეტყვი, დიახ: ერთი, შვიდი, ექვსი.

სამი ციფრი დაჯლაბნა კონვერტზე.

— ბატონო ბოილანი! ალო! იმ ჯენტლმენმა შემოიარა სპორტიდან, თქვენი ნახვა უნდოდა. ბატონი ლენეპანი, დიახ. ოთხზე ორმოცდში ვიქნებით. არა, სერ. დიახ, სერ. ხუთის შემდეგ დავურეკავ.

* *

ორი ვარდისფერი სახე გამოჩნდა პაწაწინა ჩირაღდნის შუქზე.

— ვინ არის? იკითხა ნედ ლემბერტმა, რომელი ხარ, კროტი?

— რინგებელა და კროსპეივენი, უპასუხა ხმამ, სიბნელეში ფეხის დასადგმელ ადგილს რომ ეძებდა.

— შენა ხარ, ჯექ? გამარჯობა. თქვა ნედ ლემბერტმა და მისალმების ნიშნად თბელი ლატანი მოციმციმე თაღებისაკენ ასწია. მოდი, მოდი. მანდ ფრთხილად, საფეხურებზე.

ასანთის ღერი მღვდლის აწეულ ხელში გრძელ რბილ ალიდ დაიწვა და მიწაზე დაეცა. მათ ფეხებთან წითელი ნაპერწკალი ჩაკვდა, დაობებულნი პაერა შემოერთყათ გარშემო.

— რა საინტერესოა! წარმოთქვა დახვეწილმა ხმამ სიბნელეში.

— დიახ, სერ, გულიანად თქვა ნედ ლემბერტმა. ჩვენ ახლა ვდგავართ წმინდა მარიამის სააბატოს ისტორიულ სათათბირო დარბაზში, სადაც აბრეშუმის ტომასმა 1534 წელს თავი შეამზოხედ გამოაცხადა. ეს ყველაზე ისტორიული ადგილია მთელს დუბლინში. ომედენ ბერკი უახლოეს ხანში რაღაცის დაწერას აპირებს მის შესახებ. ირლანდიის ძველი ბანკი ინგლისთან მიერთებამდე გზის გადაღმა იყო მოთავსებული და ებრაელთა პირველი ტიპარიც აქვე იდგა. სანამ თავიანთი სინაგოგა ედულებიდან როუდზე არ ააგეს. ჯექ, აქ არასოდეს ყოფილხარ, არა?

— არა, ნედ.

— შეხსიერება თუ არ მღალატობს, მან ცხენდაცხენ ჩაიარა დეიმ უოუზე, წარმოთქვა დახვეწილმა ხმამ. კილდეირელუბის სასახლე ტომას კორტზე იყო

— სწორია, თქვა ნედ ლემბერტმა. სავსებით სწორია, სერ.

— მაშინ იქნებ პატივი დამდოთ, თქვა მღვდელმა, და სხვა დროს დამართოთ ნება...

— რა თქმა უნდა, თქვა ნედ ლემბერტმა ფოტოაპარატით მობრძანდით.

როცა კი გენებოთ. იმ ტომრებს მოვაშორებინებ ფანჯრებიდან, შეგიძლიათ ამ აღვილიდან გადაიღოთ, ან იქიდან.

მკრთალ შუქზე დადიოდა, ლატანს უტყაბუნებდა სათესლე მათცვლის ტომრებს და გადიდებისათვის ხელსაყრელ შემადლებულ ადგილებს.

მზერა და წვერი ჩამოგრძელებულ სახიდან ჭადრაკის დაფაზე დახარა.

— დიდად გმიდლობთ, ბატონო ლემბერტ, თქვა მღვდელმა. აღარ წაგართმევთ ძვირფას დროს...

— არაფერს, სერ, თქვა ნედ ლემბერტმა. გამოგვიარეთ, როცა გენებოთ, თუნდაც მომავალ კვირაში. გზას ხედავთ?

— დიახ, დიახ, ნახვამდის, ბატონო ლემბერტ. მეტად სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა.

— ჩემთვისაც სერ, უპასუხა ნედ ლემბერტმა.

მან სტუმარი გასასვლელამდე მიაცილა და შემდეგ ლატანი სვეტებს შორის მიაგდო. ჯ. ჯ. ო'მოლოისთან ერთად ნელა შევიდა მარიამის სააბატოს ეზოში, სადაც მზიდავები ფურგონებს რქის ხის ნაყოფითა და ქოქოსის ფქვილით სავსე ტომრებით ტვირთავდნენ: ო' კონორი, უექსფორდი.⁴³

ბარათის წასაკითხად შეჩერდა, ხელში რომ ეჭირა.

— მისი უსამღვდელოესობა პიუ ლავი, რეთკოფი. ახლანდელი მისამართი: სენტ მაიკლის ტაძარი, სელინზი. სასიამოვნო ყმაწვილია. ფიცჯერალდებზე⁴⁴ წიგნს ვწერო, მითხრა. ისტორიაში მაგარი, ღმერთმანი.

ახალგაზრდა ქალმა ნელა, მზრუნველად მოიშორა თხელ ქვედატანზე აკრული ხმელი ღერო.

— მეგონა ისევ თოფისწამლის შეთქმულებას ამზადებდით,⁴⁵ თქვა ჯ. ჯ. ო'მოლოიმ.

ნედ ლემბერტმა თითები გაატკაცუნა.

— ღმერთო, წამოიძახა მან. დამავიწყდა მომეყოლა მისთვის რა თქვა კოლლეირის გრაფმა, როცა კეშელის ტაძარს ცეცხლი წაუკიდა. გაგონილი გაქვს? მეტად ვწუხვარ იმის გამო, რაც ჩავიდინე, თქვა მან. მაგრამ ღმერთია მოწამე, მეგონა, არქივებისკოპოსი იყო იქ. თუმცა კი შეიძლება არც მოსწონებოდა. რაო? არა, მაინც ვუამბობ. ეს ის ცნობილი გრაფი იყო, ფიცჯერალდ მორი⁴⁶. გულფიცხი ჯეელები იყვნენ ყველა ეგ ჯერალდაინები.

მოსართავმოშვებული ცხენები შეტოკდნენ, როცა მან ჩაუარა. ხელი დაარტყა მის ახლოს მთრთოლვარე ამლაცის ვაგას და დაიძახა:

— წყნარად, ბიჭი!

ჯ. ჯ. ო'მოლოის მიუბრუნდა და იკითხა:

— აბა, ჯეკ? რა იყო, რა მოხდა? მოიცა ერთ წამს. მაგრად დადექი.

დაბჩენილი პირითა და უკან გადაგდებული თავით ჯეკი ერთ წამს გაუნძრევლად იდგა და უცებ ხმამაღლა დააცემინა.

— აფცხი! თქვა მან. ჯანდაბას შენი თავი!

— ტომრების მტვერია, თავაზიანად თქვა ჯ. ჯ. ო'მოლოიმ.

— არა, ხრინწიანი ხმით თქვა ნედ ლემბერტმა, გუშინწინ... გავცივდი... ჯანდაბას ჩემი თავი... გუშინწინ საღამოს... ოხრად იყო ორპირი ქარი...

ცხვირსახოცი მომზადებული ეჭირა, მეორედ რომ...

— დღეს დილას... ვიყავი... საბრალო... რა ქვია იმას... აფცხი!... ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე!



ტომ როჩფორდმა ღვინისფერ ელექტზე მიხუტებული დასტიდან ზედა ფირფიტა აიღო.

— ხედავთ? თქვა მან. ვთქვათ, შეექვსე ნომერი მიდის. აი, ხედავთ? მორიგი ნომერი.

მათთვის საჩვენებლად ფირფიტა მარცხენა ნასვრეტში მოათავსა. იგი ღარში დაცურდა, დატრიალდა, გაჩერდა და აჩვენა: ექვსი.

ძველი დროის იურისტები, ქედმაღალნი, მოსამართლის მანტიაში გამოწყობილნი, უცქერდნენ, თუ როგორ გადავიდა გამოსაღებთა სასამართლოდან სისხლის სამართლის სასამართლოში რიჩი გულდინდი, გულდინგის, კოლისისა და უორდის პორტფელით ხელში და ესმოდათ, როგორ გაშრიალდა სამეფო სასამართლოს საადმირალო განყოფილებიდან სააპელაციო სასამართლოში ქალთა სქესის ხანშიშესული წარმომადგენელი, ჩასმული კბილების უნდო ღრჭენითა და შავი აბრეშუმის უსაშველოდ ფართო ქვედატანით.

— ხედავთ? თქვა მან. აი, უკანასკნელი რომ ჩავდე. აქ გასული ნომრებია. ბიძგი. ბერკეტი ამოძრავდა, ხედავთ?

მარჯვნივ გაახედა, დაანახა, როგორ იზრდებოდა ფირფიტების დასტა.

— კარგი მოფიქრებაა, თქვა ცხვირა ფლინმა ფრუტუნით. გვიან შებოსულს შეუძლია დაინახოს, რომელი ნომერი მიდის და რომელმა უკვე ვაიარა.

— გამიგეთ? თქვა ტომ როჩფორდმა.

ფირფიტა ჩააცურა: უყურებდა როგორ დაცურდა, დატრიალდა, აჩვენა, შეჩერდა: ოთხი. მორიგი ნომერი.

— ახლა ბლეიზის ბოილანთან გადავალ ორმონდში, თქვა ლენეჰანმა. მოვსინჯავ. ხელი ხელს ბანს.

— კეთილი, თქვა ტომ როჩფორდმა. გადაეცით, რომ მოუთმენლობისაგან ვთლუხთლუხებ.

— ნახვამდის, მკვახედ თქვა მაკკოიმ, თქვენ ორნი რომ მოჰყვებით...

ცხვირა ფლინი ბერკეტისაკენ წაიხარა და ზედ წაიფრუტუნა.

— ეს როგორღა მუშაობს, ტომი? იკითხა მან.

— კარგად მენახეთ, თქვა ლენეჰანმა, ჭერჯერობით.

მაკკოის გაჰყვა კრემპტონ კორტის პაწაწინა მოედანზე.

— გმირია, თქვა მან უბრალოდ.

— ვიცი, თქვა მაკკოიმ. თქვენ სადინარ მილს გულისხმობთ.

— სადინარი მილი? თქვა ლენეჰანმა. საძვრენი იყო.

დენ ლოურის მიუზიკ-პოლს ჩაუარეს, სადაც მარი კენდალი, მომხიბლავი სუბრეტი, უგემოვნო ღიმლით უღიმოდა მათ.

ემპაირ მიუზიკ-პოლს რომ ჩაუარეს სიკამორ სტრიტზე, ლენეჰანმა აჩვენა მაკკოის, როგორ მოხდა ყოველივე. იმ ოხერ საძვრენში ვილაც უბედური გაჩხერილიყო, შიგ კი იმდენი გაზი გროვდება, ლამის გაიგუდა. ტომ როჩფორდი დაუფიქრებლად ჩაძვრა, ახალთახალ კოსტუმში, წელზე თოკშებმული. ემპაირის კერძმა მოახერხა იმ უბედურისთვისაც შემოეხვია თოკი და ორივე ამოათრიეს.

— გმირულად მოიქცა, თქვა მან.

დოლფინთან შეჩერდნენ, სასწრაფო დახმარების ეტლის გასატარებლად, ჯერვის სტრიტისაკენ რომ მიჰქროდა დათხილი.

— აქეთ, თქვა მან, და მარჯვნივ გაუხვია. მინდა ლიმანისას შევიბრო, ვნახო რას დებენ სკიპტრაზე. რა დროს გვეუბნება თქვენი სკიპტრა-საათი და ძეწკვი?

მაკკოიმ მარკუს ტერშიუს მოუხისის პირქუშ კონტორაში შეიქყიტა, შემდეგ ონილის საათს ახედა.

— მეოთხე დაიწყო, თქვა მან. ყოველი ვინ იქნება?

— ომედენი, თქვა ლენეჰანმა. მშვენიერი ფაშატია.

მაკკოიმ, ტემპლ ბარზე რომ ელოდებოდა, ფეხის ცერით ტროტუარიდან ბანანის ქერქი ფრთხილად გადაადგო გამდინარე თხრილში. ვინმე შეიძლება ადვილად დაეცეს, ნასვამი თუ გაივლის ბნელში.

ალაყაფის კარები ფართოდ გაიღო და მეფისნაცვლის კორტეჟი გამოუშვა.

— ერთი ერთზე, თქვა უკან მობრუნებულმა ლენეჰანმა. ბენტამ ლაიონზს წავაწყდი, რომელიღაც ჩაგლაგზე დებდა, ვილაცამ ურჩია. არავითარი შანსი არა აქვს. აქეთ წავიდეთ.

კიბეები აიარეს და უელინგტონის სანაპიროზე გასასვლელ თაღთან გავიდნენ. მავზურგიანი ფიგურა წიგნებს ფურცლადა ბუკინისტის ურიკაზე.

— აგერ ისიც, თქვა ლენეჰანმა.

— ნეტა რას ყიდულობს, თქვა მაკკოიმ და უკან მოიხედა.

— ლეოპოლდო, რომელიც ჰვავის ყანაში დაძრწის, თქვა ლენეჰანმა.

— ვაჭრობის გეჟია, თქვა მაკკოიმ. ერთხელ ლიფი სტრიტზე ერთად მივდიოდით და ბუკინისტისაგან ორ შილინგად იყიდა წიგნი. შიგ ისეთი გრავირები იყო, ორჯერ მეტი ღირდა, ვარსკვლავები და მთვარე და გრძელკუდიანი კომეტები. ასტრონომიაზე იყო.

ლენეჰანმა გაიცინა.

— კარგი რამე უნდა მოგიყვეთ კომეტების კუდებზე, თქვა მან. მზიან მხარეზე გადავიდეთ.

რკინის ხიდისაკენ გადავიდნენ და უელინგტონის სანაპიროს გაჰყვნენ მოაჯირის გასწვრივ.

ყმაწვილი პეტრიკ ელოიშუს დიგნამი, ყოფილი ფერენბახის, ამჟამად მენგანის დუქნიდან გამოვიდა, ლორის გირვანქანახევარი საბიფშტექსე ხორცი მიჰქონდა.

— დიდი თავყრილობა იყო გლენკრის გამასწორებელ დაწესებულებაში⁴⁵, მონდომებით დაიწყო ლენეჰანმა. ყოველწლიური ბანკეტი. საზეიმოდ გამოწყობილიყვნენ. ლორდ მერი, ველ დილონიც იქ იყო. და სერ ჩარლზ კემერონმა და დენ დოსონმა სიტყვები წარმოთქვეს, კონცერტიც გაიმართა. ბარტელ დ'არკი მღეროდა და ბენჯემინ დოლარდმა...

— ვიცი, შეაწყვეტინა მაკკოიმ. ერთხელ ჩემმა მეუღლემაც იმღერა იქ.

— მართლა? თქვა ლენეჰანმა.

წარწერა ქირავდება გაუწყობელი ბინები კვლავ გამოჩნდა ფანჯრის რაფაზე ეკლზ სტრიტის ნომერ 7-ში.

წამით შეწყვიტა თხრობა და ხრინწიანად გაიცინა.

— მაცალეთ ბოლომდე მოგყვე, თქვა მან, კემდენ სტრიტზე დელეჰანტმა პურმარილი რომ იკისრა, თქვენი მონამორჩილი მთვარი მერიქიფე იყო.

ბლუმი და მისი ცოლიც იქ იყვნენ. ბლომად იყო პორტვინი, შერი, კიურასო და ყველას თავისი მივუზღეთ. გვარიანად შევუბერეთ. თხიერს მყარი მოპყვა: ცივად მოხარშული სუკი და პაშტეტები...

— ვიცი, თქვა მაკკოიმ. იმ წელს, ჩემი მეუღლე რომ იყო *იუკონის* ლენეჰანმა სათუთად გამოსდო ხელკავი.

— მაცალეთ ბოლომდე მოვყვე, თქვა მან. შუალამისას, მთელი იმ დროს-ტარების შემდეგ, ისევ საჭმელს მივუსხედით და როცა დავიშალეთ, უკვე მეორე დღის დილა დგებოდა. გადასარევი ზამთრის დამე იყო ფედერბერდის მთაზე, შინ რომ ვბრუნდებოდით. ბლუმი და კრის კელინანი ეტლის ერთ მხარეს ისხდნენ, მე და მისი ცოლი კი მეორე მხარეს. სუფრულებისა და ღუეტების სიმღერა დავიწყეთ: შეხედე, დილის პირველი სხივი.⁴⁹ კარგად იყო შეხურებული დელეჰანტის პორტვინით. ის ოხერი ეტლი რამდენჯერაც შეჯანჯლარდა, იმდენჯერ მომეჩახა იმისი ცოლი. ღმერთო დიდებულო, აი ასეთები აქვს! დაილოცოს.

მოხრილი ხელები განზე გასწია და მოიღუშა:

— წამდაუწუმ პლედს ვუკეცავდი ქვემოდან და ბოას ვუსწორებდი. გამივეთ?

მისი ხელები ფაშფაშა ფორმებს ძერწავდა ჰაერში. თვალები სიამოვნებისაგან მოჭუტა, გააქრჯოლა და ტუჩებით მელოდიურად დაიღუღუნა.

— ვაჟკაცი სულ სმენაზე მედგა, ამოიოხრა მან. მაგარი ქალია, თქმა არ უნდა. ბლუმი კრის კელინანსა და მეეტლეს ზეცის ყველა ვარსკვლავსა და კომეტას უჩვენებდა: დიდ დათვსა და პერკულესს და გველეშაპს და სხვა მისთანებს. მე კი, შეიძლება ითქვას, ირმის ნახტომში ჩავიკარგე. ღმერთმანი, ის მათ ყველას ცნობს. ბოლოს ცოლმა გამოძებნა რაღაც პაწაწკინტელა. ეს რა ვარსკვლავია, ბოლდი? ამბობს იგი. ღმერთმანი კუთხეში მოიმწყვდია ბლუმი. რომელი, ის? ამბობს კრის კელინანი. კაცს ჭინძისთავივით წვრილი საჩვენებელი უნდა გქონდეს, მაგ ვარსკვლავს რომ მიაჩქო. ღმერთმანი, სისქე შეეშალა.

ლენეჰანი შეჩერდა და სანაპიროს მოაჯირს მიეყრდნო, ჩუმი სიცილისაგან სუნთქვა შეეკრა.

— დავსუსტდი, ძლივს თქვა მან.

მაკკოის ფერწასულმა სახემ რამდენჯერმე გაიღიმა და ბოლოს მოიღუშა. ლენეჰანმა გზა განაგრძო. მან მეზღვაურის ქუდი აიწია და სწრაფად მოიფხანა კეფა. ალმაცერად გახედა მაკკოის მზის შუქზე.

— მრავალმხრივ განათლებული კაცია ეგ ბლუმი, სერიოზულად თქვა მან. ზოგზოგებივით ხეპრე როდია... იცით... რაღაც არტისტული აქვს ჩვენს ბლუმს.

* *

ბატონი ბლუმი ზანტად ფურცლავდა მარია მონკის⁵⁰ საზარელ მხილებებს, შემდეგ არისტოტელეს შედევრს⁵¹. უშნო კლაკნილი შრიფტი. ჩანართი სურათები: დაგორგოლავებული ნაყოფები სისხლწითელ საშოებში, დაკლული სიქონლის ღვიძლივით. უამრავი ამის მსგავსი ამ წამს მთელ მსოფლიოში. ყველა თავის ქალით აწვება, გარეთ რომ გამოძვრეს. ყოველ წუთს სადმე ბავშვი იბადება. ქალბატონი პიურფოი.

ორივე წიგნი გვერდზე გადადო და მესამეს დახედა: ლეოპოლდ ფონ ზახერ მაზოხის⁵² მოთხრობები გეტოზე.

— ეს მქონდა, თქვა მან და წიგნი გვერდზე გახწია.

ნოქარმა ორი ტომი დაადო დახლზე.

— ესენი კარგია, თქვა მან.

ხახვიანმა სუნთქვამ მისი უკბილო პირიდან დახლის იქით მიიღწია. დაინარა, სხვა წიგნები რომ ამოედო იდლიაში, გახსნილ ფილეტზე მიიკრა და ჰუჭყიანი ფარდის უკან გაიტანა.

ო' კონელის წიღზე ხალხი ათვალეურებდა ბატონ დენის ჯ. მაგინის, ცეკვის მასწავლებლისა და ა. შ., ზვიად მიხრა-მოხრასა და ჰყვეტელა ჩაცმულობას.

ბატონი ბლუმში, მარტოდმარტო, სათაურებს კითხულობდა. ჯეიმზ ლავბერჩის ლამაზმანი ტირანები. ვიცი რის შესახებაც არის. წაკითხული მაქვს? ჰო.

გადაშალა. ასეც ვიფიქრე.

ქალის ხმა ჰუჭყიანი ფარდის იქიდან. უსმინე: კაცი.

არა: ალბათ არ მოეწონება. ერთხელ უკვე მივუტანე.

მეორე სათაური წაიკითხა: ცოდვის სიამენი. საიმისოა. ვნახოთ.

ალაღბედზე გადაშლილ გვერდზე წაიკითხა:

— მთელ იმ ფულს, რასაც ქმარი აძლევდა, ბრწყინვალე კაბებსა და უფარფასეს სამშვენისებზე ხარჯავდა. და ყველაფერი ეს მისი, რაულის გული-სათვის!

ჰო. ეს კიდევ ვცადოთ.

— მათი ტუჩები ვნებიანმა კოცნამ შეაწება, ხოლო მისი ხელები ქალის პენუარის ქვეშ ხორცსავსე სხეულს ეფერებოდნენ.

ჰო. ამას ავადებ. ერთხელ კიდევ.

— თქვენ დაგაგვიანდათ, თქვა მან ხრანწიანი ხმით და ეჭვითა და ბრანწით ხავსე მწერა სტყორცნა.

მშვენიერმა ქალმა გადაიგდო სიასამურის ბეწვით შემკული მანტო, ღვთაებრივი მხრები და ხავსე მკერდი გამოაჩინა. ძნელად შესამჩნევი ღიმილი დასთამაშებდა უმწიკვლო ტუჩებზე, როცა მისკენ მიბრუნდა წყნარად.

ბატონმა ბლუმმა კიდევ ერთხელ წაიკითხა: მშვენიერმა ქალმა.

სითბო ნელა მოეფინა მის სხეულს, მოუღბო. დამყოლი სხეული დაჰმუჭნილ სამოსში. გადაკარკლული თვალების სითეთრე. ნესტოები დაებერა ნადავლის მოლოდინში. მკერდის დამდნარი ნელსაცხებელი (მისი, რაულის გული-სათვის). იდლიების ოფლი: ხახვის სიმყრალე. თევზწებოვანი ლორწო (მისი ხავსე მკერდი). შეეხე! დასრისე! დაიჭყლიტა! ლომების ფოსფორიანი ფუნია!

ახალგაზრდა! ახალგაზრდა!

ქალთა სქესის ხანში შესული წარმომადგენელი გამოვიდა სასამართლო პალატის, სამეფო სასამართლოს, გამოსაღებისა და სამოქალაქო სასამართლოების შენობიდან, მოისმინა რა საქმე პოტერტონის სიგიჟის თაობაზე ლორდ კანცლერის სასამართლოში, ლედი კერნსის მფლობელთა სარჩელი კარკაბ მონას მფლობელთა წინააღმდეგ საადმირალო სასამართლოში, ხოლო საქმე პარვისა და საოკეანო უბედურ შემთხვევათა და გარანტიათა კორპორაციას შორის დავის თაობაზე — საკასაციო სასამართლოში.

მოხრიალე ხველამ შესძრა წიგნის მაღაზიის პაერი, კუჭყიანი ფარდები გამობერა. ბუკინისტის აბურძგვნილი ჭალარა თავი გამოჩნდა და მისი გაუპარსავი აწითლებული სახე, ხველებ-ხველებით. გამეტებით ამოახველა, იატაკზე გადმოაფურთხა ნახველი. ფეხი დააბიჯა ნაფურთხს, ფეხსაცმელს ძირით გასრისა, დაიხარა და ვარდისფერი მეჩხერთმიანი საქორჩე განაოჩინა.

ბატონი ბლუმი შესცქეროდა ამას.

ყელში მოწოლილი სუნთქვა დაიოკა და თქვა:

— ამ წიგნს ავიღებ.

ბუკინისტმა ქრონიკული სურდოსაგან გაწირბლული თვალები მიაპყრო.

— ცოდვის ხიამენი, თქვა მან და წიგნს ხელი მოუთათუნა. კარგი წიგნია.



დილონის აუქციონის დარბაზების შესასვლელთან მსახურმა კიდევ ორჯერ დააწკარუნა ზარი და კარადის ცარცწათხუბნულ სარკეში ჩაიხედა.

დილი დედალოსმა ტროტუარზე გაიგონა ზარის ხმა და აუქციონერის წამოძახილები დარბაზიდან, ოთხი და ცხრა. ეს ლამაზი ფარდები, ხუთი შილინგი, კოხტა ფარდები, აბლები ორი გინეა ღირს. ხუთ შილინგზე მეტს თუ იძლევა ვინმე? გაიყიდა ხუთ შილინგად.

მსახურმა ასწია ზარი და დააწკარუნა:

— წკარრა!

ზარის უკანასკნელმა ჩამოწკარუნებამ დეზი ჰკრა ნახევარ მილზე სპრინტის მონაწილე ველოსიპედისტებს. ჯ. ა. ჯექსონმა, უ. ე. უაილიმ, ა. მანრომ და პ. ტ. გეჰანმა, წაგდებულნი კისრების ქნევით, კოლეჯის ბიბლიოთეკასთან მიუხვიეს⁵³.

უილიამზ როუს კუთხიდან ბატონი დედალოსი გამოვიდა და თავისი ქალიშვილის გვერდით დადგა.

— როგორც იქნა, თქვა დილიმ.

— დვთის გულისათვის, წელში გასწორდი, თქვა ბატონმა დედალოსმა. შენ რა, შენს კლარნეტისტ ბიძია ჯონს ბაძავ, თავი მხრებში რომ აქვს ჩავარდნილი? ღმერთო, შენი სახელის კირიმე!

დილიმ მხრები აიჩეჩა. ბატონმა დედალოსმა ხელები დაადო მხრებზე და უკან გადაუწია.

— გასწორდი, გოგო, თქვა მან. ხერხემალს გაიმრუდებ. იცი რას გავხარ?

უცებ თავი ჩაქინდრა და კისერი გაიგრძელა, მხრები აიჩეჩა და ქვედა ყბა ჩამოიგრძელა.

— გეყო, მამი, თქვა დილიმ. ხალხი გიყურებს.

ბატონი დედალოსი გასწორდა და გრძელი ულვაში გაისწორა.

— ფული იშოვე? იკითხა დილიმ.

— ფულს სად ვიშოვიდი? თქვა ბატონმა დედალოსმა. კაცი არ არის დუბლინში, ოთხი პენსი რომ მასესხოს.

— ვიცი, იშოვე, თქვა დილიმ და თვალებში შეხედა.

— რა იცი? იკითხა ბატონმა დედალოსმა და ენით ლოყა გამობერა.

ბატონი კერნანი, მიღებული დაკვეთით ნაამები, ჯეიმზ სტრიტს ამაყად მიუყვებოდა.

— ვიცი, უპასუხა დილიმ. შოტლანდიურ ლუდხანაში რომ არ შეიარე?

— არაფერიც, თქვა ბატონმა დედალოსმა და გაიღიმა, შენ რა იმ შენი პაწია მონაზვნებისაგან ისწავლე უტიფრობა? აიღე. *გაიღიმა*

შაილინგი გაუწოდა.

— ახლა როგორმე ეს იმყოფინე, თქვა მან.

— ხუთი უნდა გქონდეს, თქვა დილიმ. კიდევ მომეცი.

— იცი რა ვითხრა? მუჭარით თქვა ბატონმა დედალოსმა. შენც იმითსავე ხარ, არა? რაც საბრალო დედათქვენი მოკვდა, ნამდვილი ძუკნების ბროვად იტყვი. შავრამ ცოტა მაცალეთ. ყოფას გატირებთ. სინდისგარეცხილები! თავიდან უნდა მოგიცილოთ. არაფრად ინაღვლებთ, ფეხები რომ აგავფშიკო მოკვდაო, იტყვი. ზემოთ რომ კაცი ცხოვრობდა, მოკვდა.

მიატოვა დილი და გზა განაგრძო. გოგო სწრაფად დაედევნი და პალტოზე მოქაჩა.

— აბა, რა იყო? თქვა მან და შეჩერდა.

მსახურმა ზარი დააწკარუნა მათ ზურვს უკან:

— წკრრრ!

— ჯანდაბას შენი, თავი, წამოიძიხა ბატონმა დედალოსმა.

მსახურმა ყურად იღო შენიშვნა და შეიარნია ზარის მოქანავე ენა, მხოლოდ სუსტად:

— წკრ!

ბატონი დედალოსი მიაშტერდა.

— ერთი ამას დაშიხედეთ, თქვა მან. კაი ამბავია. ნეტა ვიცოდეთ, ლაბარაკის საშუალებას თუ მოგვცემს.

— კიდევ გაქვს, მამი, თქვა დილიმ.

— მე თქვენ გაჩვენებთ სეირს, თქვა ბატონმა დედალოსმა. სულ მივატოვებთ, როგორც ქრისტემ მიატოვა ებრაელები. მე თქვენ სულის ხსნის იმედს ვადაგიწუწავთ. აი ნახე, სულ ეს არის, რაც მაქვს. ორი შილინგი ჯეკ პაუერს იისესხე და ორი პენსი გაპარსვაში მივეცი. დასაფლავებაზე რომ მივდიოდი.

ჯიბიდან ნერვიულად ამოფხიკა ერთი მუჭა ხურდა ფული.

— არ შეგიძლია კიდევ იშოვო სადმე? თქვა დილიმ.

ბატონი დედალოსი დაფიქრდა და თავი დააქნია.

— უთუოდ, თქვა მან სერიოზულად. ოკონელის ქუჩის ვასწვრივ მთელ არხში დავძებნე. ახლა ამ ქუჩაზე მოგძებნი.

— ძალიან სასაცილო ხარ, თქვა დილიმ და ჩაიღიმა.

— აჰა, თქვა ბატონმა დედალოსმა და ორი პენი მიაწოდა. ერთი ჭიჭარძე და ნამცხვარი ან რაიმე იყიდე შენთვის. მე მალე მოვილ.

ჯიბეში ჩაიყარა დანარჩენი ხურდა და გზა განაგრძო.

მეფისნაცვლის კორტევი, რომელსაც პირმოთნე პოლისმენები ესალმებოდნენ, პარკის კარიბჭედან გამოვიდა.

— დარწმუნებული ვარ, ერთი შილინგი კიდევ გაქვს, თქვა დილიმ.

მსახურმა ხმამაღლა დააწკარუნა.

ბატონი დედალოსი ზარის წკრიალში მიდიოდა და თავისთვის ბუტბუტებდა მოპრუწული ტუჩებით:

— პაწია მონაზვნები! მშვენიერი პაწია ქმნილებანი! რალა თქმა უნდა, რალა თქმა უნდა! პაწია დაჲ მონიკა!⁵⁴

* *

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურა

მზის საათის მხრიდან ჯეიმზ გეიტისაკენ მიდიოდა ბატონი კერნანი, პულბრუკ რობერტსონისაგან მიღებული შეკვეთით ნასიამოვნები. ლალად მიამბიკებდა, ჯეიმზის ქუჩით, შეკლტონის კონტორის წინ. კარგად მოვაგვარე საქმე. როგორა ბრძანდებით, ბატონო კრიმინზ? ბრწყინვალედ, სერ. ვშიშობდი, პიმლიკოში არ ყოფილყავით, თქვენს მეორე კონტორაში. საქმეები როგორ მიდის? ისე რა. მშვენიერი ამინდია. ნამდვილად მოსავლისათვის კარგია. ეს ფერმერები სულ წუწუნებენ. ცოტაოდენს გეახლებით თქვენს შესანიშნავ ჯინს, ბატონო კრიმინზ. ცოტა ჯინი, სერ. დიახ, სერ. ეს რა საშინელი აფეთქება იყო გენერალ სლოკამზე. საშინელეებაა, საშინელეება! ათასამდე მსხვერპლი იყო. გულშემზარავი სანახაობა. კაცები ფეხქვეშ თელავდნენ ქალებს და ბავშვებს. რა საშინელეებაა. რაო, რა არისო მიზეზი? ცეცხლი გაუჩნდა. სკანდალური ამბავი: ნავეები უვარგისი აღმოჩნდა და სახანძრო შლანგი კი დახეთქილი. არ მესმის, როგორ შეეძლოთ ინსპექტორებს ნება მიეცათ, რომ ასეთი გემი... საქმეც ეგ არის, ბატონო კრიმინზ. და იცით რატომ? ქრთამი. ნუთუ? უეჭველად. ერთი უყურე. აკი ამერიკა თავისუფლების ქვეყანააო. მე კი მეგონა, მხოლოდ ჩვენ არ ვვარგოდით.

გავუღიმე. ამერიკა. ვთქვი წყნარად. რას წარმოადგენს იგი? ყველა ქვეყნის ნაყარ-ნუყარს, ჩვენი ჩათვლით. ასე არ არის? ფაქტია.

ქრთამი, ძვირფასო სერ. მართალია, სადაც ფული ტრიალებს, იქ მუდამ ჩამჯიბავიც გამოჩნდება.

დავინახე, ჩემს სერთუკს რომ ათვალეერებდა. ტანისამოსია, რაც არის. ჩაცმულობაა, შთაბეჭდილებას რომ ახდენს. ტვინს ურევს.

— საიმონს გაუმარჯოს, თქვა მამა კაულიმ. როგორ ბრძანდებით?

— ბობს გაუმარჯოს, თქვა ბატონმა დედალოსმა და შეჩერდა.

ბატონი კერნანი შეყოვნდა და ტანისამოსი შეისწორა პიტერ კენედის სადალაქოს გადმოხრილი სარკის წინ. კობტა სერთუკია, ნამდვილად. სკოტისაა, დოსონის ქუჩიდან. ნამდვილად ღირს ნახევარი სოვერინი, ნირის რომ მივეცი. სამ გინეაზე ნაკლები არაფრით არ ღირს. შესანიშნავად მადგას. უთუოდ კილდერი სტრიტის კლუბის რომელიმე კობტაპრუწას ნაქონია. ჯონ მალიგანი, ჰიბერნიული ბანკის მმართველი, გუშინ კარლაილის ხიდზე მომაშტერდა, თითქოს საიდანლიც ვახსოვდი.

ჰმ! ამ ხალხთან მუდამ გამოწყობილი უნდა იყო. შარავზის რაინდი, ჯენტლმენი. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, ბატონო კრიმინზ, რომ კვლავაც გვეწვდებით, სერ: სასმელზე, რომელიც გამხიარულებს და არ კი გათრობს.⁵⁵ ძველი ნათქვამია.

ჩრდილო კედელი და სერ ჯონ როჯერსონის სანაპირო, გემების კორპუსები და ლუზის ჯაჭვები, ქალაქის ნავი, გადაგდებული და დაკმუჭნილი მოწო-

დება, ჩავლილი ბორნის ტალღაზე მოქანავე, დასავლეთის მიმართულებით, ელია მოდის.

ბატონმა კერნანმა უკანასკნელად შეათვალიერა თავისი გამოსახულება. თვალში საცემი, ნამდვილად. შეჭალარაგებული ულვაშები. ინდოეთის ჯირის ყოფილი ოფიცერი. ვაჟკაცურად ატარებდა დაგვაჯულ ტანს. უკლებელეებთან ფეხებზე და იჯგიმებოდა. ლემბერტის ძმა არაა, სემი, აგერ რომ მიდის? რაო? დიახ. ძალიან კი გავს, დასწყევლოს ეშმაკმა. არა. იმ ავტომანქანის შუშა მიქვიტინებს მზეში. ძალიან გავს.

ჰხმ! ღვიის ცხელმა არაყმა შიგნეულობა და სუნთქვა გაუთბო. კარგი ჯინი იყო. მსუქან ლაჯებში მისი სერთუკის კალთები კაშკაშა მზეზე თვალებს აბაქუნებდნენ.

აი იქ ჩამოახრჩეს ემეტი, აწამეს და თავ-ფეხი მოჭრეს. შავი გაქონილი თოკი. ძაღლები ქვაფენილიდან სისხლს ლოკავდნენ, როცა მისი ბრწყინვალეების ცოლმა შარაბანდით ჩაიარა.

მოიცა, განა სენტ მაიკანში არ არის დაკრძალული? თუმცა არა, ღამით დაკრძალეს გლესნევიში⁵⁶. გვამი კედელში დატანებული საიდუმლო კარით შეიტანეს. დიგნამიც იქ არის. უცებ გამოგვეცალა. მაშ, მაშ. ბარემ აქ ჩავუხვიო. შემოვუვლი.

ბატონი კერნანი მიბრუნდა და უეტლინგ სტირტს დაუყვა გინესის საწარმოს მხახველთა მოსაცდელის კუთხესთან. დუბლინის არყის სახდელი კომპანიის საწყობების წინ ცარიელი ოთხთვალა იდგა, თვალზე გამობმული სადავეებით, არც მგზავრი და არც მეეტლე. მეტად საშიში რამეა. ვიდაც სოფლელი ტეტია საფრთხეში აგდებს მოქილაქეთა სიცოცხლეს. დამფრთხალი ცხენი.

ღენის ბრინს თავისი ფოლიანტებით, ჯონ ჰენრი მენტონის კონტორაში ლოდინით დაქანცულს, ო'კონელის ხიდზე გადაჰყავდა ცოლი. გეზი კოლისა და უორდის კონტორისაკენ ჰქონდა აღებული.

ბატონი კერნანი აიღენდ სტრიტს მიუახლოვდა.

არეული დროება. ნედ ლემბერტს სერ ჯოუნა ბარინგტონის მოგონებანი უნდა ვთხოვო⁵⁷. ახლა როცა ყველაფერ ამას ერთგვარად რეტროსპექტულად უყურებ. ბანქოს თამაში დეილისთან. მაშინ თაღლითობა არ მოდიოდა. ერთ ყმაწვილს დანით ხელი მიულურსმეს მაგიდაზე. სადღაც აქ იყო, რომ ლორდ რიუარდ ფიცჯერალდი მაიორ სიერს გაექცა. თავლა მოირა ჰაუზის უკან.⁵⁸

შესანიშნავი ჯინი იყო.

ბრწყინვალე წარჩინებული ახალგაზრდა. დიდებული შთამომავლობისა, რა თქმა უნდა. იმ არამზადამ, თვითმარქვია აზნაურმა, სოსანისფერ ხელთათმანებთანმა, გასცა იგი.⁵⁹ რა თქმა უნდა, მცდარ გზას ადგნენ.⁶⁰ კაეშნით სავსე დროშიც ცხოვრობდნენ.⁶¹ შესანიშნავი ლექსია: ინგრემი. ჯენტლმენები იყვნენ. ბენ დოლარდი დიდის გრძნობით მღერის ამ ბალადას. ოსტატური შესრულება.

როსის ალყაში მამაჩემი რომ დაიღუპა...⁶²

კავალკადამ ჩორთით ჩაიარა პემბრუკის სანაპიროზე. ფორეიტორები მიხტოდნენ, მიხტოდნენ, თავ-თავიანთ, თავ-თავიანთ უნაგირებზე. სერთუკები. კრეზისფერი ქოლგები.

ბატონმა კერნანმა ნაბიჯს აუჩქარა, ქშენით.

მისი ბრწყინვალეება! რა საწყენია! ერთი წამით დამავციანდა. დასწყევლოს დმერთმა! აფსუს!

* *

სტივენ დედალოსი ქსელმოდებული სარკმლის მიღმა უყურებდა, როგორ სინჯავდნენ ოქრომჭედლის თითები დროყამისაგან ფერდაკარგულ ძეწკვს. მტვერს ქსელი გაება სარკმელსა და ვიტრინის თაროებზე. მტვერს ჩაემუქებინა ფასკუნჯისფრჩხილებიანი მოძრავი თითები. მტვერი თვლემდა ბრინჯაოსა და ვერცხლის მქრქილ ხვიაზე, სინგურის კრისტალებზე, ბადახშებზე, ქიცვიან და ღვინომუქ ქვებზე.

ბნელ მატლიან მიწაში დაბადებულნი, ცეცხლის გაყინული ნაპერწკლები, ივი ნათელნი სიბნელეში გაბრწყინებულნი. სად დაცემულ ანგელოზთ შუბლიდან ვარსკვლავები დაცვივნიათ. ღორის ტურტლიანი დინგები, ხელები, თხრიან და თხრიან, ეტანებიან და ჩიჩქნიან მათ.⁶³

გოგონა ცეკვავს აშშმორებულ ბინდში, სადაც ნივრიანი სალაფავი იხარშება. დაჟახგულწვერიანი მეზღვაური თვალებით ჭამს მას და თან კათხიდან რომს წრუბავს. ხანით და ზღვით ნაკვები ჩუმი წადილი. გოგონა ცეკვავს, ტრიალებს, ხეზვის თეძოებსა და ბაყვებს ათამაშებს, დიდრონ მუცელზე ლალის კვერცხი უხტუნავს.

ბებერმა რასელმა⁶⁴ თალათინის ჭუჭყიანი ნაჭრით კიდევ ერთხელ გაწმინდა ძვირფასი ქვა, შეატრიალა და ბიბლიოტეკის მოსეს წვერთან მიიტანა. პაპა მაიმუნი ხარბად ათვალთვრებს ნაძარცვ განძს.

და თქვენ, რომელნიც ძველ ხატებს ჩიჩქნით საფლავის მიწიდან! სოფისტების შლეგი სიტყვები: ანტისტენე. ნარკოტიკული სიბრძნე. აღმოსავლური და უკვდავი იფქლი აღმართული უკუნითი უკუნისამდე.

ზღვის მარლიანი ჰაერით გამაძღარი ორი მოხუცი ქალი აირიშტაუნში, ლანდონ ბრიჯ როუდზე, ფეხებს მიათრევდა, ერთს ქვიშით გათხუპნული ქოლგა ეჭირა და მეორეს ბებიაქალის ჩანთა, რომელშიც თერთმეტი ნიყარა ჩხარუნობდა.

ტყავის მოტყლაშუნე ღვედების ზუზუნმა და ელექტროსადგურის დინამოების ზმაურმა აიძულა სტივენი გზა განეგრძო. უარსებო არსებანი. შეჩერდი! ფეთქვა მუდამ შენს გარე და ფეთქვა მუდამ შენში.⁶⁵ შენს გულს უმღერი. მე მათ შორის, სად? ორ მოგრუხუნე სამყაროს შორის, მორევად რომ ტრიალებენ,⁶⁶ მე. შეარყიე ერთიც და მეორეც. მაგრამ ის დარტყმა მეც დამარტყიანებს. შემარყიეთ ვისაც ძალა შეგწევთ. მაჭანკალი და ყასაბი-თქო, უნდა გეთქვა. ხოიცა! თუმცა ჯერ არა. ცოტა გამესეირნა.

დიახ, სავსებით სწორია. ძალიან დიდი და შესანიშნავი და ზუსტად აჩვენებს დროს.⁶⁷ მართალს ბრძანებთ, სერ. დიახ, ეგ ორშაბათ დილით მოხდა⁶⁸.

სტივენი ბელფორდ როუს დაუყვა, იფნის ჯოხის სახელურს ბეჭზე იტყაპუნებდა. გლოპისის ვიტრინაში მისი ყურადღება მიიპყრო მოკრივეების, ჰინანისა და სეიერზის შეხვედრის 1860 წლის გამოხუნებულმა გრავიურამ.⁶⁹ ოთხკუთხაქუდებიანი გულშემატკივრები, თვალდაჭყეტილნი, თოკშემოვლებულ რინგს შემოხვეოდნენ. მსუბუქმოსასხამიანი მძიმეწონოსნები თავაზიანად უწვდიდნენ ერთმანეთს დაბურთულ მუშტებს. და ძგერენ: გმირთა გულები.

შებრუნდა და ბუკინისტის ურიკასთან შეჩერდა.

— თითო ორი პენი, თქვა ბუკინისტმა. ოთხი ცალი ექვს პენად.

დაფლეთილი ფურცლები. ირლანდიელი მეფუტკრე. ცხოვრება და ხას-წაუღნი არსის კიურები. კილარნის მეგზური.

აქ შეიძლება ჩემი სკოლაში მიღებული რომელიმე დაგირავებული ჯილდოც ვნახო. Stephano Dedalo, alumno optimo, palmam ferenti.⁷⁰

თამა კონშიმ ჩაიკითხა მოკლე ქამნი და მწუხრის ლოცვის ბუნტყუნით დონიკარნის სოფელზე გაიარა.

რალაც მეტისმეტად კარგ უდაშია ჩასმული, რა არაა მისთვის მერვე და მეცხრე წიგნი.⁷¹ ყველა საიდუმლოთა საიდუმლო. მეფე დივიტის ბეჭედი.⁷² ნათითარი გვერდები: უკითხავთ და უკითხავთ. ვის გაუგლია აქ ჩემამდე? როგორ დავილბოთ დამსკდარი ხელები. თეთრი ღვინისაგან ძმრის დამზადების რეცეპტი. როგორ დავიბყროთ ქალის გული. ეს საჩემოა. სამჯერ წარმოთქვი ეს შელოცვა ხელდაკრეფილმა.

— Se el yilo nebrakada femininum! Amor me solo! Sanktus! Amen.⁷³

ვინ დაწერა ეს? თილისმით შეკვრანი და გამოლოცვანი უნეტარესი აბატის სალანკასი ყოველთა მორწმუნეთათვის დასტამბული. არაფრით ჩამოუვარდება რომელიც გინდა სხვა აბატის შელოცვებს, თუნდაც ენაბლუ იოაკიმისა. ჩადი, ჩადი, კოტორა-ქაჩალო, თორემ გაგიბუტავთ დარჩენილ ბალანს.

— აქ რას აკეთებ, სტივენ?

ძოხრილი მხრები და გაცვეთილი კაბა.

ჩქარა დახურე წიგნი. დილიმ არ დაინახოს.

— შენ რას აკეთებ? თქვა სტივენმა.

შეუდარებელი ჩარლზის სტიუარტული სახე, აქეთ-იქიდან სწორკულულებჩამომვებული⁷⁴. აღმური ასდიოდა, როცა ბუხართან ჩაცუცქული, ძველ ფენსაცმელებს უკეთებდა ცეცხლს. პარიზზე ვუყვებოდი. გვიანობამდე ლოგინში წევს ძველ პალატოებში გახვეული, რიოშ ბრასლეტს ათამაშებს, დენ კელის სახსოვარს. Nebrakada femininum.

— ეგ რა გაქვს? ჰკითხა სტივენმა.

— სხვა ბუკინისტთან ვიყიდე ერთ პენად, თქვა დილიმ ნერვიული სიცილით. ვარგა?

ჩემი თვალეები აქვსო, ამბობენ. ასე მხედავენ სხვები? სწრაფი, შორეული და გაბედული. ჩემი გონების აჩრდილი.

უყდო წიგნი გამოართვა ხელიდან. შარდენალის ფრანგული ენის დაწყებითი კურსი.

— რისთვის იყიდე? იკითხა მან. ფრანგული უნდა ისწავლო? დილიმ თავი დაუქნია, გაწითლდა და ტუჩები მაგრად მოკუმბა.

ნუ გაიკვირვებ. სავსებით ბუნებრივია.

— გამომართვი, თქვა სტივენმა. რა უშავს. ფრთხილად იყავი, მეგიმ არ დაგიგირაოს. ჩემი წიგნები, დარწმუნებული ვარ, სულ გაქრა.

— ზოგი, თქვა დილიმ. იძულებული ვიყავით.

იხრჩობა. ქენჯნა. გადაარჩინე. ქენჯნა. ყველა ჩვენს წინააღმდეგაა. თან ჩაშითრევს, თვალეები, თმა. წყალმცენარეების ჩამოშლილი კულულები ჩემს კარბემო, ჩემი გული, ჩემი სული. მლაშე, მწვანე სიკვდილი.

ჩვენ.

სინდისის ქენჯნა. აღრჩევა სულისა.

ვაიმე! ვაიმე!

* *



- სალამი, საიმონ, თქვა მამა კაულიმ. როგორ მიდის საქმეები?
- სალამი, ბობ, უბასუხა ბატონმა დედალოსმა და შენგონმა⁷⁶ ხმამაღლა დაურტყეს ხელი ხელს რეჯისა და ქალიშვილს⁷⁷ — შენსსულელთან. მამა კაულიმ ხელი რამდენჯერმე ჩამოისვა უღვაშებზე ჩამჩასავით.
- რა ხდება კარგი? თქვა ბატონმა დედალოსმა.
- ბევრი არაფერი, თქვა მამა კაულიმ. ალყაში ვარ, საიმონ, ორი კაცი დამრწის ჩემი სახლის გარშემო და შემოჭრას ლამობს.
- კაი საქმეა, თქვა ბატონმა დედალოსმა. ვინაა?
- ოო, თქვა მამა კაულიმ. სწორედ ის მევაბჟეა, პატივი რომ გვაქვს ვიცნობდეთ.
- რომელი, ის ჩემი ცოდვით სავსე?
- სწორედ ის, საიმონ, უბასუხა მამა კაულიმ. რუბენთა მოღვმისა. ახლა სწორედ ბენ დოლარდს ველოდები. წოპე ჯონს სიტყვა უნდა ჩაუგდოს, რომ ის ორი ვაჟბატონი მოაცილოს აქაურობას⁷⁸. ცოტაც და მოვისვენებ.
- იმედის თვალით გაიხედა აქეთ-იქით სანაპიროს გასწვრივ. ყელზე დიდი ზვანი დაუდოდა.
- ვიცი, თქვა ბატონმა დედალოსმა და თავი დაუქნია. საწყალი ჩოლაბა ბენი! სულ იმის ცდაშია, ვინმეს გამოადგეს რამეში. არ უნდა შეეშვა. სათვალე გაიკეთა და რკინის ხიდისაკენ გაიხედა.
- აგერ ისიც, ღმერთმანი, თქვა მან, ცარიელი საჯდომი და ჭიბეებია. ბენ დოლარდის რკინის ხიდზე გადმოსულმა ლურჯმა ხალვათა სერთუკმა და ფართე შარვალზე დაკოსებულმა ოთხკუთხა ქუდმა გამალებით გადაჭრა სანაპირო. მოკლე ნაბიჯებით უახლოვდებოდა მათ და თან სერთუკის კალთებს გამწარებით იფხანდა.
- ახლოს რომ მივიდა, ბატონი დედალოსი მიესალმა:
- დაიჭით ეგ ჩაფართხუნებული.
- აბა, პე, თქვა ბენ დოლარდმა.
- ბატონმა დედალოსმა ცივი გამკილავი მზერით შეათვალიერა ბენ დოლარდის ფიგურა. შემდეგ მამა კაულის თავი დაუქნია და დაცინვით ჩაიბურტყუნა:
- შესანიშნავი საზაფხულო სამოსელია, რას იტყვით?
- ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი, მრისხანედ დაიგმინა ბენ დოლარდმა, რაც მე ტანისამოსი გამიცვეთია, თქვენს დღეში არ მოგლანდებიათ.
- მათ გვერდით იდგა. ჯერ მათ შეხედა, კმაყოფილმა, შემდეგ თავის ჩაფართხუნებულ ტანსაცმელს, რომლიდანაც ბატონმა დედალოსმა რამდენიმე ბეწვი სულის შებერვით მოაცილა და თქვა:
- ეს ტანისამოსი ნამდვილად ჯანიანი კაცისათვის შეუკერავთ, ბენ.
- სხვა არაფერი გააკეთოს ამის შემკერავმა ურიამ, თქვა ბენ დოლარდმა. კიდევ კარგი, ფული ჯერ არ მიმიცია.
- ის basso profundo⁷⁹ როგორა ბრძანდება, ბენჯამინ? იკითხა მამა კაულიმ.
- კეშელ ბოილ ო'კონორ ფიცმორის ტისდელ ფარელმა, ჭიქისთვალეებამ, ბურტყუნით ჩაუარა კლუბს კილდეირის ქუჩაზე.

ბენ დოლარდი მოიღუშა, უცებ მომღერალივით დაამრგვალა პირი და დაბალი ნოტა აიღო.

— ოო! თქვა მან.

— აი მესმის, თქვა ბატონმა დედალოსმა და მის გუგუნს თავი დაუკრა.

— როგორია? თქვა ბენ დოლარდმა. მაინცდამაინც არ დასჯანბნებია? ჰა? ორივეს მიუბრუნდა.

— რას ერჩი, თქვა მამა კაულიმ და იმანაც თავი დაუქნია.

მისი უსამღვდელოესობა ჰიუ ს. ლავი წმინდა მარიამის სააბატოს კაპიტულის ძველი შენობიდან მოდიოდა, ჯეიმზ და ჩარლზ კენედის სარექტიფიკაციო ნაგებობას ჩაუარა, წარმოსადეგი ჯერალდაინების თანხლებით, თოლსელისაკენ⁷⁸, უძველესი ფონის გადაღმა.

ვიტრინებისკენ მიიმედ გადახრილი ბენ დოლარდი წინ მიუძლოდა მათ, მხიარულ თითებს ჰაერში ათამაშებდა.

— შერიფის თანაშემწესთან წამომყევით, თქვა მან. მინდა გაჩვენოთ, რა კაი ვინმეც აიყვანა ბოქაულად როკმა. ლობენგულასა და ლინჩეჰონის რაღაც ნაჯვარია.⁷⁹ კარგი სანახავეი რამ არის, ღმერთმანი. წამოდით. სწორედ ახლა ბოდეგაში⁸⁰ შემთხვევით ვნახე ჯონ ჰენრი მენტონი. და უკანასკნელი კაცი ვიყო... ცოტა მოითმინეთ... სწორ გზას ვადგავართ, ბობ, დამიჯერეთ.

— სულ რამდენიმე დღე-თქო, უთხარით, შეშფოთებით თქვა მამა კაულიმ.

ბენ დოლარდი შეჩერდა და მიაშტერდა, როხროხაპირდაფჩენილი, სერთუკის ბრჭყვიალა ღილი ძაფზე უქანავებდა, როცა თვალებზე ჩამოფარებულ ოფლის დიდრონ წვეთებს იწმენდა, უკეთ გასაგონად.

— რომელი რამდენიმე დღე? დაიგრუხუნა მან. სახლის პატრონმა არ გიჩივლათ ქირის თაობაზე?

— მიჩივლა, თქვა მამა კაულიმ.

— მაშ ჩვენი მეგობრის აღმასრულებელ ფურცელს იმ ქაღალდის ფასიც არ ჰქონია, რომელზედაც დაიბეჭდა, თქვა ბენ დოლარდმა. სახლის პატრონს სარჩელის უპირატესობა აქვს. ყველაფერი წვრილად ვუთხარი. უინძორ ავენიუ 29. ლავი არ ჰქვია?

— დიახ, დიახ, თქვა მამა კაულიმ. მისი უსამღვდელოესობა ბატონი ლავი. პასტორია რომელიღაც პროვინციაში. მაგრამ დარწმუნებული ხართ, რომ ყველაფერი ასეა?

— გადაეცით ჩემგან ბარაბას, თქვა ბენ დოლარდმა, რომ შეუძლია თავისი აღმასრულებელი ფურცელი სადაც ჯერ არს იქ შეიჩხიროს, ჯეკოს კაკლებივით. თამამად გაიმძღვარა მის გვამს მიტმასნილი მამა კაული.

— ვგონებ, თხილი იყო, თქვა ბატონმა დედალოსმა, პენსნე გულისპირზე ჩამოიგდო და უკან გაჰყვა მათ.

— ყმაწვილს მოვუვლით, თქმა მარტინ კანინგამმა, როცა კოშკის ალაყაფთან გამოვიდნენ.⁸¹

პოლიციელმა შუბლთან მიიტანა ხელი.

— გაგიმარჯოთ, ხალისიანად თქვა მარტინ კანინგამმა.

მან ხელი დაუქნია მეეტლეს, რომელმაც სადავეები მოქაჩა და ლორდ ელუარდის ქუჩისაკენ დაიძრა⁸².

ბრინჯაო და ოქრო, მისს კენედის თავი და მისს ლუსის თავი ორმონდ ოტელის ფანჯარაში გამოჩნდა კარადის ზემოდან.

— დიახ, თქვა მარტინ კანინგამმა და წვერი მოიქეჭა. მამა კონვის მეფწერე და ყველაფერი ავუხსენი.

— იქნებ ჩვენი მეგობარიც გეცადათ, მოუბრუნდა ბატონი პაუერმა.

— ბოიდი?⁸⁸ მოუჭრა მარტინ კანინგამმა. ნუ შემომეხები მგაჩინებულნი ჯონ უაიზ ნოლანი, რომელიც სიის კითხვაში გართული ჩამორჩა,⁸⁸ ჩქარი ნაბიჯით დაედევნა მათ კორკ პალზე.

სიტი პოლის კიბეზე ჩამავალი მრჩეველი ნანეტი ზევით მიმავალ ოლდერმენ კაულისა და მრჩეველ ებრაჰამ ლათნს მიესალმა.⁸⁶

ცარიელმა ეკიპაჟმა ზემო ექსჩეინჯ სტრიტისაკენ გაუხვია.⁸⁷

— ერთი შეხედეთ, მარტინ, თქვა ჯონ უაიზ ნოლანმა, რომელიც მათ მეილის რედაქციასთან წამოეწია⁸⁸. ბლუმს ხუთ შილინგზე მოუწერია ხელი.

— ნამდვილად, თქვა მარტინ კანინგამმა და სიყ გამოართვა. მოაწერა და დადო კიდევ ხუთი შილინგი.

— შეხსენებაც არ დასჭირებია, თქვა ბატონმა პაუერმა.

— უცნაურია, მაგრამ ფაქტია. დასძინა მარტინ კანინგამმა.

ჯონ უაიზ ნოლანმა თვალეზი დაქყიტა.

— და ვიტყვი კიდევ, ეს ებრაელი გულკეთილი გამოდგა-მეთქი⁸⁹, ელეგანტურად მოიტანა მან ციტატა.

პარლამენტის ქუჩას დაუყვნენ.

— აგერ ჯიმი ჰენრი,⁹⁰ თქვა ბატონმა პაუერმა, კევანისას მიბრძანდება.

— მართალი ბრძანებია, თქვა მარტინ კანინგამმა.

La Maison Claire-ის წინ ბლეიზის ბოილანი მოქანავე, ნისვამ, ლიბერტიზისაკენ მიმავალ ჯეკ მუნის სიძეს წააწყდა.⁹¹

ჯონ უაიზ ნოლანი ბატონ პაუერთან ერთად იმ დროს ჩამორჩა, როდესაც მარტინ კანინგამმა იდაყვზე წაავლო ხელი ტვიდის კოსტუმში გამოწყობილ კაცუნას, სწრაფი მერყევი ნაბიჯით მესაათე მიკი ენდერსონის მაღაზიის წინ რომ მიდიოდა.

— ქალაქის კლერკის თანაშემწე კოჭრებმა შეაწუხა, უთხრა ჯონ უაიზ ნოლანმა ბატონ პაუერს.

ჯიმზ კევანას ღვინის სარდაფებისაკენ გაუხვიეს. ცარიელი ეკიპაჟი ესექს გეიტზე ელოდათ. მარტინ კანინგამი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა და წამდაუწუმ აჩვენებდა სიას, რომელსაც ჯიმზ ჰენრიმ არც ერთხელ არ დაბედა.

— წოპე ჯონ ფენინგიც აქვეა, თქვა ჯონ უაიზ ნოლანმა, დევით კაცი.

წოპე ჯონ ფენინგის მაღალი ფიგურა კარებს მთლიანად ფარავდა.

— დღე მშვიდობისა, ბატონო შერიფის თანაშემწევ, თქვა მარტინ კანინგამმა, როცა გაჩერდნენ და ერთმანეთს მიესალმნენ.

წოპე ჯონ ფენინგი კარებში გაიხიდა. პირიდან მტკიცე ყესტით გამოიღო სიგარა ჰენრი კლერი⁹² და დიდი მძვინვარე თვალეზით გამჭრიახად შეათვალიერა მათი სახეები.

— სენატორები კვლავაც განაგრძობენ მშვიდობიან სჯა-ბაასს? საკმაოდ გესლიანი კილოთი უთხრა მან ქალაქის კლერკის თანაშემწეს.

ერთი ალიაქოთი ჰქონდათ ატეხილი,⁹³ გაღიზიანებული ხმით თქვა ჯიმი ჰემბრიმ, თავიანთი დაწყევლილი ირლანდიური ენის შესახებ.⁹⁴ ერთი გააგებინა სად იყო მარშალი, წესრიგი რომ დაეცვა სხდომათა დარბაზში.⁹⁵ და მოხუც ბარლოუს, კვერთხის მცველს,⁹⁶ ასთმა ჰქონდა, არც კვერთხი იღო მა-

გიდაზე, ყველაფერი აირია, ქვორუმიც კი არ შედგა, ლორდ-მერი პაჩისონი
ლენდიდნოში წავიდა, თავის მაგივრად ეს წრიბა ლორკან შერლოტი — locum
tenens — დატოვა.⁹⁷ წყნული ირლანდიური ენა, მამა-პაპათა.

წოპე ჯონ ფენინგმა პირიდან კვამლის ქულა გაქუქქუქა.

მარტინ კანინგამა წვერის გრებით ჯერ-ჯერით შემჯრთვედნენ ქალაქის
კლერკის თანაშემწესა და ხან შერიფის თანაშემწეს, ჯონ უაიზ ნოლანი კი
სდუმდა.

— ეგ რომელი დიგნამი იყო? იკითხა წოპე ჯონ ფენინგმა.

ჯიმი პენრი დაიძინჭა და მარცხენა ფეხი ასწია.

— ჩემი კოჭრები! თქვა მან საცოდავი ხმით. ზევით ავიდეთ. ღვთის გული-
სათვის, ჩამოვჯდები სადმე. ვიი! ოო! ფრთხილად!

წოპე ჯონ ფენინგის გვერდით ბუზღუნით გაეტია კარებში და კიბეს აუყვა.

— ავიდეთ, უთხრა მარტინ კანინგამმა შერიფის თანაშემწეს. არა მგონია
თქვენ ის გცნობოდეთ, ან იქნებ იცნობდით კიდევ.

ბატონი პაუერი გააყვა მათ ჯონ უაიზ ნოლანთან ერთად.

— ყოვლად წესიერი ვინმე იყო, უთხრა ბატონმა პაუერმა წოპე ჯონ ფე-
ნინგის ზორბა ზურგს და თან წოპე ჯონ ფენინგისაკენ მიემართებოდა სარკეში.

— დაბალ-დაბალი, მენტონის კონტორაში რომ მუშაობდა, დიგნამი, თქვა
მარტინ კანინგამმა.

წოპე ჯონ ფენინგს ვერაფრით ვერ გაეხსენებინა.

გარედან ცხენის ფლოქვების თქარა-თქური გაისმა.

— ეს რაღაა? თქვა მარტინ კანინგამმა.

უცებ ყველა შემოტრიალდა; ჯონ უაიზ ნოლანი უკანვე ჩამობრუნდა. კა-
რის ზღურბლის გრილი ჩრდილიდან პარლამენტის ქუჩაზე მიმავალი ცხენები
დაინახა, აკიზმულობა და საოლავეები მზის შუჭზე რომ ულაპლაპებდათ. მხია-
რულად ჩაუარეს მის ციფ; მტრულ გამოხედვას, აუჩქარებლად. წინა წყვილზე
ამხედრებული ფორეიტორები თავმომწონედ მიიწევდნენ წინ.

— ეს რა იყო? იკითხა მარტინ კანინგამმა, როცა კვლავ კიბეს აუყვნენ.

— ლორდ გენერალ-ლეიტენანტი და ირლანდიის გენერალ-გუბერნატორი,
უპასუხა ჯონ უაიზ ნოლანმა ქვემო საფეხურიდან.



სქელ ფარდაგზე რომ მიიბიჯებდნენ, თავის პანამას ამოფარებულმა ბაკ
მალიგანმა პეინზს წასჩურჩულა:

— პარნელის ძმა, აგერ კუთხეში.

პატარა მაგიდა შეარჩიეს ფანჯარასთან გრძელსახიანი მამაკაცის პირდა-
პირ, რომლის წვერი და მხურა დაძაბულად წახრილიყო კადრაკის დაფისაკენ.

— ეგ არის? იკითხა პეინზმა და სკამზე შეტრიალდა.

— დიახ, თქვა მალიგანმა. ჯონ ჰაუარდია, ჩვენი ქალაქის მარშალი, იმისი
ძმა.

ჯონ ჰაუარდ პარნელმა დინჯად გადასწია თეთრი კუ და მისი რუხი თათი
კვლავ შუბლს დაუბრუნდა და იქ დაივიანა.

წამიც არ გასულა, რომ თათით მოჩრდილულმა თვალებმა სამარისეული
მხურა სტყორცნეს მოწინააღმდეგეს და კვლავ ბრძოლის ველს დახედეს.

— Melange.⁹⁸ თუ შეიძლება, უთხრა ჰეინზმა ოციფიანტ ქალს.

— ორი melange, თქვა ბაკ მალიგანმა. და მოგვიტანეთ, გეთაყვა, ცუტადენი პური და კარაქი და ნამცხვარიც.

ოციფიანტი რომ წავიდა, სიცილით თქვა:

— ჩვენ ამ ადგილს დ. პ. კ-ს იმიტომ ვეძახით, რომ დუხანის მხატვრების კაფეა⁹⁹. პო, თქვენ ვერ მოუსმინეთ, რას ამბობდა დედამისი ჰაილენდზე.

ჰეინზმა ახლად ნაყიდი წიგნი გადაშალა.

— ძალიან ვნანობ, თქვა მან. შექსპირი ნეტარი ნაკრძალია ყველა წონასწორობადაკარგული გონებისათვის.¹⁰⁰

ცალფეხა მეზღვაურმა ნელსონის ქუჩის მე-14 ნომერთან დაიბრიალა:

— ინგლისი მოეღიბა...

ბაკ მალიგანის ლიმონისფერი ყილექია სიცილისაგან მხიარულად ირყეოდა.

— ერთი განახათ, თქვა მან, როცა მისი სხეულს წონასწორობას კარგავს. მოხეტიალე ენგუსს ვეძახი მას.

— დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც idée fixe¹⁰¹ აწუხებს, თქვა ჰეინზმა და ნიკაპი ცერითა და საჩვენებელი თითით გულდასმით მოიჩქმიტა. იმას ვფიქრობ, მაინც რა აეკვიტა. ასეთებს მუდამ რაღაც აეკვიტებათ ხოლმე.

ბაკ მალიგანი მაგიდაზე გადაიხარა, მოლუშული.

— ტვინი აურიეს, თქვა მან, ჯოჯოხეთის ხილვებით¹⁰² ვერასოდეს ეზიარება ატაკურ სულს. სუინბერნის სულს,¹⁰³ ყველა პოეტის სულს. თეთრი სიკვდილი და ალისფერი დაბადება¹⁰⁴. ეს არის მისი ტრაგედია. ის პოეტი ვერასოდეს გახდება. შემოქმედების სიხარული...

— მარადიული ტანჯვა, თქვა ჰეინზმა და თავი ოღნავ ჩამოქინდრა. მესმის. ამ დილას რწმენის თაობაზე ვმსჯელობდით. მივხვდი, რაღაც აწუხებდა. ეს ძალიან საინტერესოა, რადგან ვენელ პროფესორ პოეტონის საინტერესო დებულება გამოჰყავს აქედან.¹⁰⁵

ბაკ მალიგანის ფხიზელმა თვალმა მისკენ მიმავალი ოციფიანტი დაინახა. ლანგარის დაცლაში მიეხმარა.

— ჯოჯოხეთის ვერავითარ კვალს ვერ პოულობს უძველეს ირლანდიურ მითებში, თქვა ხალისიან კათხასა და კათხას შორის ჰეინზმა. როგორც ჩანს, მათ აკლიათ ზნეობრივი იდეალი,¹⁰⁶ ბედისწერის, მურისგების გრძნობა. უცნაურია, რატომ უნდა ჰქონდეს ასეთი აკვიტებული აზრი, რამეს თუ წერს თქვენი მოძრაობის მხარდასაჭერად?

შაჭრის ორი ნატეხი მარჯვედ ჩააცურა ათქვეფილ ნაღებში. ბაკ მალიგანმა ორად გააპო ცხელ-ცხელი ფუნთუშა და ორთქლიან ზედაპირზე კარაქი წაუსვა. ხარბად ჩაკბიჩა რბილი ნაჭერი.

— ათ წელიწადში, თქვა მან ღეჭვითა და სიცილით. ათ წელიწადში აპირებს რაღაცის დაწერას.

— კაი დიდი დროა, თქვა ჰეინზმა, თან დაფარვებულში კოვზი ასწია. და მაინც, არ გამიკვირდება ბოლოს და ბოლოს რომ დაწერს კიდევ.

ნაღების თეთრი კონუსიდან ერთი კოვზისპირი მოსინჯა.

— ეს ნამდვილი ირლანდიური ნაღებია, მოწყალედ ბრძანა მან. არ მიყვარს, როცა მატყუებენ ხოლმე.

ელია, ნავი, მსუბუქი დაკმუჭნილი ფურცელი მისცურავდა აღმოსავლეთით

გეგმებისა და ტრაულერების ქიმების გასწვრივ, საცობების არქიპელაგის შუა გულში, გასცდა ნიუ უეპინგ სტრიტს, ბენსონის გადასაზიდებს და ავტორით დატვირთულ, ბრიჯუოტერიდან მიმავალ სამანძიან როუზვინს¹⁰⁷ ჩაუარა.

— ექვინსული
ბიზნისისა

* * *

ალმიდანო არტიფონიმ პოლის სტრიტი და სიუელ იარდი გაიარა. მის უკან კეშელ ბოილ ო'კონორ ფიცმორის ტისდალ ფარელმა, მკლავზე რომ სტეკქოლგალაბადა უქანავებდა, ბატონ ლო სმითის¹⁰⁸ სახლის წინ ლამპიონს შემოუარა, ქუჩა გადაჭრა და მერიონ სკვერით წავიდა. უფრო მოშორებით, მის უკან ბრმა ბიჭი კაკუნით მიიკვლევდა გზას კოლიჯ პარკის კედლის გასწვრივ.

კეშელ ბოილ ო'კონორ ფიცმორის ტისდალ ფარელმა ბატონ ლუის უერნერის¹⁰⁹ ხალისიან ვიტრინამდე მიაღწია, შემდეგ მობრუნდა და კვლავ მერიონ სკვერით წავიდა, თან მკლავზე სტეკქოლგალაბადა უქანავებდა.

უაილდების სახლის კუთხეში შეჩერდა¹¹⁰, მეტროპოლიტენ პოლის აფიშაზე ელიას სახელსა და შორეულ გაზონს დაუბღვირა. მისმა მონოკლმა მზეში კუშტად გაიელვა. ვირთაგვაკბილებდაკრეკილმა წაილულლულა:

— Coactus volui.¹¹¹

მძვინვარე სიტყვების ლექვით კლვარ სტრიტისაკენ წავიდა.

როცა მარკუს ბლუმის სტომატოლოგიური ვიტრინის წინ ჩაალაჯა, მისი მოუქნელი ლაბადა უხეშად წამოედო თხელ საქაკუნებელ ჯოხს და იგი გალულულ ტანს მიახალა. ბრმა ბიჭმა ავადმყოფური სახე მიმავალი სხეულისაკენ მიაბრუნა.

— ღვთის რისხვა შენ, მწარედ თქვა მან, ჩემზე უარესი ბრმა ხარ, შე ძაღლის გაგდებულო!

* * *

ყმაწვილი პეტრიკ ელოიშუს დიგნამი ჩაბლაუჭებოდა მენგანის, ყოფილ ფერენბახის, გირვანქანაბეგარ ლოროის ხორცს, რომლის მოსატანადაც გაეგზავნათ, და რაგი ო'დონოპოუს ბარის პირდაპირ უდარდელად მიდიოდა თბილი უიკლოუ სტრიტით. დიდი მოსაწყენი რამ იყო სასტუმრო ოთახში ჯდომა ქალბატონ სტოუერთან და ქალბატონ კუიგლისთან და ქალბატონ მაკდაუელთან ერთად და ფარდებჩამოფარებულ ფანჯრებთან ყველანი სრუტუნებენ და შესანიშნავ წითელ შერის წრუპავენ, ბიძია ბარნიმ ტანისაგან¹¹² რომ პოიტანა და შინ გამომცხვარი ვაშლის ღვეზელის ნარჩენებს აცმაცუნებენ და, ეშმაკსაც წაუღია მაგათი თავი, სულ იღეჭებიან და ოხრავენ.

უიკლი ლეინს რომ გასცდა, მაღამ დოილის, სამეფო კარის მკერავის ვიტრინამ შეაჩერა. იღვა და უცქერდა ორ წელამდე გაშიშვლებულ მუშტებმოღერებულ მოკრივეს. გვერდითა სარკეებიდან სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი ყმაწვილი დიგნამი მდუმარედ იცქირებოდა. მაილერ კიოუ, დუბლინის ფავორიტი შეხვდება სერჯანტ ბენეტს, პორტობელოს ყაზარმების მოკრივეს, პრიზი ორმოცდაათი სოვერინი. აი ამ მატჩის ნახვა კი ღირდა. მაილერ კიოუ ისაა, მწვანე სარტყელიანი. შესვლა ორი შილინგი, სამხედროებისათვის ნახევარ ფასად. დედას ადვილად დაეუძვრებოდი. მისგან მარჯენივ ყმაწვილი დიგნამიც მოტრიალდა, როცა ის მოტრიალდა. ეს მე ვარ სამგლოვიარო ტანსაც-

მელში. როდისაა? ოცდამეორე მაისს. ფუი, უკვე ყოფილა. მარჯვნივ მიბრუნდა და მის მარჯვნივ ყმაწვილი დიგნამიცი მიბრუნდა, გვერდზე ქუდში მყოფი, საყელოთამოჩაჩული. შეკვრა რომ დაიწყო და ნიკაპი ასწია, მერი კენჭი დაინახა, მომხიბლავი სუბრეტი, ორი მოკრივის გვერდით. ზუსტად დასურათი, სივარეტების კოლოფიდან კახა რომ ამოხტება ხოლმე, ისევე ისეთებს. მამამისმა შავი დღე აყარა ერთხელ.

ყმაწვილმა დიგნამმა საყელო გაისწორა და გზა განაგრძო. ყველაზე ძლიერი დარტმა ფიცსიმონს ჰქონდა. ერთს თუ დაგაღებდა, მთელი კვირა გათიშული იქნებოდა. მაგრამ ყველაზე ტექნიკური ჯემ კორბეტი იყო. დარტყმის არიდება და მისთანები, ვიდრე ფიცსიმონმა¹³ შიგანი არ გამოუბერტყა.

გრეფტონ სტრიტზე ყმაწვილმა დიგნამმა დაინახა კბილებში წითელყვავილგარკობილი დენდი, მოდური ფეხსაცმელები რომ ეცვა, მთვრალის ლაპარაკს რომ უსმენდა და გამუდმებით იკრიჭებოდა.

სენდმაუნტის ტრამვაი არ ჩანდა. ყმაწვილი დიგნამი ნასო სტრიტს გაუყვა. ღორის ხორცის ნაჭრები მეორე ხელში გადაიტანა. საყელო ისევ ამოეჩაჩა და გაისწორა. ეს ოხერი საკონდი მეტისმეტად პატარა იყო ხალათის დუგმისათვის. სკოლის მოსწავლეები შემოხედნენ ჩანთებით. ხვალაც არ მივდივარ, ორშაბათამდე შინ ვიქნები. ახლა სხვა მოწაფეებს შეხვდა. თუ შემატყვევს შავებში რომ ვარ? ბიძია ბარნიმ თქვა. ამ საღამოს გაზეთში იქნებაო. მაშინ ყველა ნახავს და წაიკითხავენ ჩემს სახელს და მამაჩემის სახელს, დაბეჭდილს.

სახე გაუთეთრდა და ლაქაქა აღარ იყო და ზედ ბუზი მიცოცავდა თვალისკენ. როგორი ჭრილი იყო, როცა კუბოს თავს ახრახნიდნენ და ბავა-ბუგი, როცა კიბეზე ჩამოჰქონდათ.

მამა შიგ იწვა და დედისკო სასტუმრო ოთახში ტიროდა და ბიძია ბარნი უხსნიდა კაცებს, როგორ ჩაეტარებინათ მოსახვევში. დიდი კუბო იყო, მალალი და მძიმე ჩანდა. როგორ მოხდა? წინა საღამოს მამა მთვრალი იდგა იმ კიბეზე და ღრიალებდა, ფეხსაცმელი მომეციო, ტანისთან უნდა წავიდო და კიდევ დავლიოო და ჩია და დალეული ჩანდა ჩამოშვებულ პერანგში. ველარასოდეს ვნახავ. ესაა სიკვდილი. მამიკო მკვდარია. მამაჩემი მკვდარია. შიშობრა, კარგი შვილი იყავი დედისკოსთვისო. ველარ გავიგე, კიდევ რა თქვა, მაგრამ ვხედავდი მის ენას და კბილებს, ცდილობდა უფრო გარკვევით ეთქვა. საწყალი მამიკო. ეს ბატონი დიგნამი იყო, მამაჩემი. იმედი მაქვს ახლა სალხინებელშია, რადგან შაბათ საღამოს აღსარებაზე იყო, მამა კონროისთან.

* * *

უილიამ ჰამბლი, დადლის გრაფი¹⁴ და ლედი დადლი, ლეიტენანტ-კოლონელ¹⁵ ჰესელტაინის თანხლებით, ნასაუზმევს მეცისნაცვლის რეზიდენციიდან გამოვიდნენ. მომდევნო ეტლში ისხდნენ დიდად პატივცემული ქალბატონი პეჯიტი, მისს დე კურსი და ღირსპატივსაცემი ჯერალდ უორდი, ადიუტანტი.

კორტეჟი, რომელსაც ქლესა პოლისმენები ესალმებოდნენ, ფენიქს პარკის სამხრეთ ალაყაფიდან გამოვიდა და კინგზბრიჯის გავლით ჩრდილო სანაპიროებისაკენ გაემართა. მეფისნაცვალს დედაქალაქის მცხოვრებნი მხურვალედ ესალმებოდნენ მთელ გზაზე. სისხლის ხიდთან¹⁶ ბატონი ტომას კერნანი ამოდ

ცდილობდა მისალმებოდა მას მდინარის გადაღმადან. დედოფლისა და უიტუ-
ორთის ხიდებს შორის¹¹⁷ ლორდ დადლის ეტლებმა ისე ჩაიარეს, რომ მათ
არ მისალმებია სამართლის ბაკალავრი და ხელოვნების მაგისტრი ბატონი და-
დლი უაიტი, რომელიც ერანის სანაპიროზე, ქალბატონ მ. ე. უაიტის ლომბარ-
დის წინ, ერან სტრიტის დასავლეთ კუთხეში იდგა, ცერტე ცნებებს ისრესდა
და ვერ გადაეწყვიტა რა გზით უფრო ჩქარა მიაღწევდა ფინსბოროს: სამჯერ
გამოეცვალა ტრამვაი, კები დაეჭირა თუ ფეხით წასულიყო სმითფილდის, კონ-
სტიტუციის გორაკისა და ბროუდსტონის სადგურის გავლით. ოთხი სასამარ-
თლოს კარიბჭეში რიჩი გულდინგმა, გულდინგის, კოლისა და უორდის პორტ-
ფელით ხელში, დაინახა იგი და გაუკვირდა. რიჩმონდის ხიდის გადაღმა, ვექილ
რუბენ ჯ. დოდის, ეროვნული სადაზღვევო კომპანიის აგენტის კონტორის შე-
სასვლელთან, მდებრობითი სქესის ხანდაზმულმა წარმომადგენელმა, რომელ-
იც ჰა-ჰა და შედიოდა, გადაიფიქრა, უკან გაბრუნდა, კინგის ვიტრინებს ჩაუ-
არა¹¹⁸ და ნდობით გაუღიმა მისი უდიდებულესობის ნაცვალს. ვუდის სანაპი-
როს კედლის სადინარიდან, ტომ დევანის სადებინფექციო კონტორის ქვემოთ
მდინარე პოდლს ქვეშევრდომული ერთგულებით გამოეყო ჩამდინარე სიბინ-
ჭურის ენა. ორმონდის სასტუმროს ფარდის ზემოდან ოქრო და ბრინჯაო, მისს კე-
ნედის თავი და მისს დაუსის თავი აღტაცებით ადევნებდნენ თვალყურს. ორმონ-
დის სანაპიროზე ბატონი საიმონ დედალოსი, რომელიც საზოგადოებრივი საპირ-
პარეშოდან შერიფის მოადგილის კონტორისაკენ მიემართებოდა, შუა ქუჩაში
გაჩერდა და დიდის თავაზით მიესალმა. მისმა ბრწყინვალეობამ მოწყალედ დაუბრ-
უნა სალაში ბატონ დედალოსს. კეპილის კუთხიდან მისმა უსამღვდელოესობამ
პიუ სლავმა, ხელოვნების მაგისტრმა, მორჩილი, თუმც კი უშედეგო სალაში
უძღვნა, კარგად ახსოვდა რა მეფისნაცვალთა მოწყალე ხელი, მარადჟამს მდიდარ
სამრევლოებს რომ არიგებდა ხოლმე. გრეტენის ხიდზე ლენეჰანმა და მაკკოიმ,
რომლებიც ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ, თვალი გააყოლეს ეტლებს. როჯერ
გრინის სავეჭილო კონტორასა და დოლარდის დიდ წითელ სტამბას რომ ჩაუა-
რა, გერტი მაკდაუელმა, რომელსაც მწოლიარე ავადმყოფი მამისათვის მლო-
გვის საფენები მიჰქონდა, იერით იცნო მეფისნაცვალი და მისი მეუღლე, მაგრამ
ვერ დაინახა რა ეცვა მის ბრწყინვალეობას, მეფისნაცვლის მეუღლეს, რადგან
ტრამვაი და სპრინგის დიდი ყვითელი ავეჯის ფურგონი მის წინ სწორედ იმი-
ტომ გაჩერდა, რომ ეს მეფისნაცვალი იყო. ლანდი ფუტთან¹¹⁹ კევანაგის სამი-
კიტნოს მოჩარდახებული შესასვლელიდან ჯონ უაინზ მოლანმა შეუმჩნეველი
ცივი ღიმილით გაიღიმა ირლანდიის ლორდ ნაცვალისა და გენერალ-გუბერნა-
ტორის დანახვაზე. მისმა უდიდებულესობამ, უილიამ ჰამბლმა, ტატლის გრა-
ფმა, დიდი ჯვრის ორდენის კავალერმა, ჩაუარა მიკი ანდერსონის მარადმოწყა-
რუნე საათებს და ჰენრისა და ჯეიმზის კოპწიაკოსტუმიან ლოყებლაყლაყა ცვი-
ლის მანეკენებს, ჯენტლმენები ჰენრი და dernier cri ჯეიმზი.¹²⁰ დეიმ გეიტთან
ტომ როჩფორდი და ცხვირა ფლინი უყურებდნენ როგორ უახლოვდებოდათ კო-
რტეჟი. ტომ როჩფორდმა ლედი დადლის შემოხედვა იგრძნო, სასწრაფოდ ამო-
იღო ცერა თითები ღვინისფერი ყილეტის ჯიბეებიდან და ქუდი მოიხადა. მომნი-
ბლავმა სუბრეტმა, სახელგანთქმულმა მარი კენდალმა, ლოყებწათხუპნილმა და
ქვედატანაწეულმა, თავისი აფიშიდან წათხუპნილი ღიმილი შეაგება უილიამ
ჰამბლს, დადლის გრაფს და ლეიტენანტ კოლონელ ჰ. გ. ჰესელტაინს და აგრე-
თვე ღირსპატივსაცემ ჯერალდ უორდს, ადიუტანტს. ბაკ მალიგანი და ჰეინზი,

ერთი ხალისიანად, მეორე მჭმუნვარედ, მეფისნაცვლის ეკიბაეს შესტქეროდნენ დ. ბ. კ-ს ვიტრინის მინასთან მიჭურებულ ცნობისმოყვარე სხეულების ზემოდან, რომელთაც ჰადრაკის დაფა დაეჩრდილათ, ჯონ პაუარდ ბარნელი ყურადღებით რომ ჩაშტერებოდა. ფაუნზ სტრიტზე დილი დედფროსმა მარდენალის ფრანგული ენის სახელმძღვანელოს მზერა მოაცილა და მზრუშის მზრუნველი ბორბლის მანები დაინახა. ჯონ ჰენრი ჰენტონს სავაჭრო პალატის შესასვლელი გამოეგსო, კიბორჩხალის ჩასისხლიანებული თვალებით იცქირებოდა, თან მარცხენა მსუქან ხელში ჯიბის ხუფიანი ოქროს საათი ეჭირა, რომელსაც არც უყურებდა და ვერც გრძობდა. იქ, სადაც მეფე ბილის ცხენი¹²¹ ჰაერში ტორს სცემს, ქალბატონმა ბრინმა სწრაფი ნაბიჯით მიმავალი ქმარი ფორეიტორებს ფლოქვეებიდან გამოსტაცა და ყურში ჩაჰყვირა. იმანაც გულზე მიიქრა წიგნები და მეორე ეტლს მიესალმა. ღირსპატივსაცემმა ჯერალდ ფორდმა, ადიუტანტმა, გაიკვირვა და ნასიამოვნებმა, მაშინვე სალმით უბასუხა. პონსონბის კუთხეში ბოთლის მოყვანილობის ქანცგაწყვეტილი ჰეთრი მ შეჩერდა და შემდეგ კი ბოთლის მოყვანილობის ოთხი ცილინდროსანი თეთრი ი. ლ. ი. ს., როცა ფორეიტორებმა და ეტლებმა ჰენებ-ჰენებით ჩაინავარდეს. პიგოტის მუსიკალური დარბაზების პირდაპირ, ხალისიან ტანსაცმელში გამოწყობილ, სერიოზული ნაბიჯით მიმავალ ბატონ დენის ჯ. მაგინის, ცეკვის მასწავლებელსა და ა. შ., გაასწრო მეფისნაცვალმა, რომელსაც იგი არც შეუმჩნევია. ბლეიზის ბოილანი, მოყვითალო ფეხსაცმელებსა და ცისფერისრიან წინდებში, ტაძრის გალავნის გასწვრივ სიმღერის რეფორენის ტაქტში მიაბიჯებდა: იორკშირელი გოგოა ჩემი.

ბლეიზის ბოილანმა მეწინავე ცხენების ცისფერ თავმოსართავეებსა და თავმომწონე ჯირითს ცისფერი ჰალსტუხი, გვერდზე მოგდებულ ფართოფარფლიანი ჩალის ქუდი და ლურჯი შევიოტის კოსტუმი მიაგება. პიჯაკის ჯიბეებში ჩაწყობილ ხელებს მისალმება დაავიწყდათ, მაგრამ სამ მანდილოსანს მან თვალების უტიფარი აღტაცება და კბილებში გარჭობილი ყვავილი შესთავაზა. ნასო სტრიტით რომ მიდიოდნენ, მისმა უდიდებულესობამ თავის ჰნევიტ გართულ მეუღლის ყურადღება მიაქცია უნივერსიტეტის პარკში გამართული კონცერტის პროგრამას. სკოტთა უხილავი სასულე ორკესტრი საყვირითა და დოლით მიაცილებდა cortège-ს:

თუმცა უბრალო სოფლის გოგოა,
ჩაცმა-დახურვის არა აქვს დარდი,
ტამტარარამ.
იორკშირულად შემყვარებია
იორკშირელი პატარა ვარდი,
ტამტარარამ.

ქედლის გადაღმა, რბოლის მონაწილენი შ. ს. გრინი, ჰ. თრიფტი, ტ. მ. პეიტი, ს. სკეიფი, ჯ. ბ. ჯეფსი, გ. ნ. მორფი, ფ. სტივენსონი, ჩ. ედერლი და უ. ს. ჰაგარდი ერთმანეთის მიყოლებით დებდნენ სტარტს. კეშელ ბოილ ო'კონორ ფიკმორის ტისდალ ფარელი ფინის ოტელის წინ მიდიოდა, როცა მძვინვარე მონოკლით ეტლების ზემოდან ბ-ნ ე. მ. სოლომონზის თავს მიაშტერდა ავსტრო-უნგრეთის ვიცე-კონსულის რეზიდენციის ფანჯარაში.¹²² ლენსტერ სტრიტის სიდრემში, სამების ალაყაფთან, მეფის ერთგულმა ქვეშევრდომმა ჰორნ-

ფლაუერმა ხელი მიიტანა სანადირო ქუდთან. როცა ლაპლაპა ცხენებმა მერ-
 იონ სკვერი გაიარეს, ყმაწვილმა პეტრიკ ელოთიშუს დიგნამმა დაინანა თუ რო-
 გორ მივსალმნენ ცილინდროსან ჯენტლმენს და თვითონაც მოეხადე აბალი შავი
 კები დორის ხორცის ქალაქისაგან გაქონილი თითებზე. ამასწინა წესსავე
 ამოეჩანა მეფისნაცვალმა, რომელიც მერსერის საავადმყოფოს დასახმარებელი
 ფონდისათვის გამართულ მაირუსის ბაზრობისაკენ მიემართებოდა, თავისი ამა-
 ლით ლუერ მაუნტ სტრიტზე გამოვიდა. ბრმა ბიჭს ჩაუარა ბროუდბენტის პი-
 რისპირ. ლოუერ მაუნტ სტრიტზე ყავისფერმაკინტოშიანმა გამვლელმა ხმელი
 პურის ლაღლით სწრაფად და უხიფათოდ გადაუჭრა გზა მეფისნაცვალს. რო-
 იალ კენილის ხიდზე ბატონი იუჯინ სტრეტონი, თავისი აფიშების გასაკვრე-
 ლი დაფიდან ღიმილით გადახსნილ პუტუნა ტუჩებით პემბრუკის კვარტალ-
 ში მომსვლელებს ესალმებოდა. პედინგტონის ქუჩის კუთხეში ორისილაში ამ-
 ოგანგლელი ქალი შეჩერდა, ერთი ქოლგა და ერთი ჩანთა, რომელშიც თერ-
 თმეტი კიპლარი ჩხარუნობდა, რათა განცვიფრებით შეეხედათ უოქროსქეწკვო
 ლორდ-მერისა¹²³ და მისი მეუღლისათვის. ნორთამბერლენდისა და ლენდზდაუნის
 ქუჩებზე მისმა უდიდებულესობამ ბეჯითად უპასუხა აქა-იქ შეყოვნებულ მამა-
 კაც გამვლელთა სალამს, ორი პატარა მოსწავლე ბიჭუნას სალამს იმ სახლის
 ბაღის ალაყაფთან, რომლის გამოც, როგორც ამბობენ, თურმე ალტაცება გა-
 მოუთქვამს განსვენებულ დედოფალს, როცა ირლანდიის დედაქალაქს ეწვია
 მეუღლესთან ერთად 1849 წელს¹²⁴ და აღმიდანო არტიფონის გახევებული შარ-
 ვლის მოსალმებას, მიჯახუნებულმა კარმა რომ შესანსლა.

შენიშვნები

- 1 ქეშმეტიად შესაფერისი და მართებულია (ლათ.).
- 2 კარდინალი ვულზი (დაახ. 1475-1540), პენრი მერვის მრჩეველი, რომელიც წინ აღუდ-
 გა მეფის პირველ განქორწინებას, რის გამოც ტახტის დილატი დასწამეს. მისი „უკანასკნელი
 სიტყვები“ შექპირის ისტორიულ პრონიკაში „პენრი მერვე“ შემდეგნაირად ვლერს: „ღვთა-
 სათვის თუნდაც სანახევროდ, ისე ბეჯითად /რომ შემსახურა, ჩემს ხელმწიფეს ვით ვემსახურე,
 არ დამაგდებდა მტერთ პირისპირ ასე უმწეოს/ ამ სიბერის ეამს“ (თარგ. თ. ჯაფარიძის).
- 3 დეივად შიმა — პარლამენტის წევრი (პ. წ.) 1885-1899 წლებში.
- 4 ბელგადორა — ბელგადორის კოლეჯი, იეზუიტთა სასწავლებელი ბიჭებისათვის.
- 5 შამა ბერნარდ ვოონი — (1847-1922), ინგლ. იეზუიტი, რომელიც განთქმული იყო
 თავისი ქადაგებებით.
- 6 შილდ მეთრე რიკებთა 4,23. ვარაუდობენ აგრეთვე, რომ ეს ბიბლიური გამოთქმა კიბ-
 ლინგის დეკლის რემინისცენციასაც წარმოადგენს.
- 7-8 იგულისხმება იეზუიტური ორდენის იერარქიის უმაღლესი წარმომადგენელი ირლან-
 დიაში.
- 9 იგულისხმება შოტლანდიის დედოფალი მერი სტეუარტი (1542-1567).
- 10 D. V. - Dico volente — (ლათ.) „ღვთის ნებით“.
- 11 კათოლიკური შეხედულების გამოძახილი პროტესტანტთა რწმენაზე.
- 12 იგულისხმება, რომ ეალესის გვერდით მდებარეობდა მოხუცთა თავშესაფარი.
- 13 ლორდ ოლდბორომ მე-18 საუკუნის მიწურულში 40.000 გირვანქა სტერლინგის ფასად
 აუშენა სასახლე თავის ცოლს, რომელმაც იგი ადგილმდებარეობის გამო დაუწუნა.
- 14 (ფრ.) „რიკები რჩეულთა“. ბელგიელი იეზუიტის ა. კასტელენის ტრაქტატის სათ-
 თაური (შემოკლებული). კასტელენი ამტკიცებდა, რომ სულთა უმრავლესობას ნათლისღებას
 გარეშეც ეწევა ხსნა. ეს დოქტრინა ლიბერალურად ჩაუთვალეს უფრო დოგმატურად განწყო-
 ბილმა ორბერტებმა.

15 ირლანდ. პოეტის ჯერალდ გრიფინის (1803-1840) ლექსის „ჯერისწერა მელაქაიუში“ დასაწყისი.

16 ჯონ კონმი ქუჩის სახელწოდების ასოციაციით რეალურ ისტორიულ ამბავს იხსენებს.

17 თავად მამა კონმის ნაწარმოებში, რომელსაც კევინ სალივანი თავის წიგნში „ჯონის იეზუიტთა შორის“ „ნოსტალგიურს, თუმცე კი არა სენტამენტალურს“ უწოდებს.

18 „სპერმის ეკულაცია ბუნებრივი გზით“ (ლათ.).

19 „ქონორა“ (ტალღების მიმართ. ფრ.).

20 მამა კონმი იხსენებს კლონგოუზის კოლეჯში თავისი რექტორობის ხანას (იხ. „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობაში“, თავი პირველი).

21 „უფალო შეწვევად ზემდა ისწრაფე“ (ფსალმუნნი 69, ლათ.).

22 რეში — ებრაული ანბანის ასო, რომლითაც აღრეულ გამოცემებში 118-ე ფსალმუნის ერთ-ერთ სექციას აღნიშნავდნენ (ქართულ ბიბლიაში სექციების განსხვავებული დაყოფა).

23 (ლათ.) „ნეტარ არიან უბიწონი“ (118-ე ფსალმუნის დასაწყისი).

24 (ლათ.) „დასაბამი სიტყვათა მათ შენთა კეშმარიტება არს, და უკუნისამდე ყოველნი განკითხვანი სიმატლისა შენისანი“ (ფსალმუნნი 118, 160).

25 შინ — ებრაული ანბანის ასო, რომლითაც აღნიშნავდნენ ხოლმე 118-ე ფსალმუნის ერთ-ერთ სექციას. (ლათ.): „მთავარნი მღვწილდეს მე ცუდად, და სიტყვათა შენთაგან შეეშინა გულსა ჩემსა“ (ფსალმუნნი 118, 161).

26 ინგლისის... სამშობლოსა და მშვენიერებისათვის — ნელსონის შესახებ შეთხზული სიმღერის სიტყვები, რომლის რეფრენი იყო აღმირალის ცნობილი მოწოდება: „ინგლისი მოეღოს, რომ დღეს ყველა თავის ვალს მოიხდის“.

27 (იტ.) „მაგრამ“, „თუმცა“.

28 ამ პერსონაჟის პროტოტიპი იყო ჯონის იტალიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, იეზუიტი მოძღვარი გეცო, რომელიც ირლანდიაში ინდოეთიდან ჩავიდა. თავად აომიდანო არტიფონი კი ტრიესტის ბერლიცის სკოლის დირექტორის სახელი და გვარი იყო. ამ სკოლაში ჯონის ასწავლიდა ინგლისურ ენას.

29 (იტ.) „თქვენს ასაკში მეც იგივე აზრისა გახლდით. იმ დროს დარწმუნებული ვიყავი, რომ ქვეყანა ცხოველია. სამწუხაროდ, რადგან თქვენი ხმა... შემოსავლის წყარო იქნებოდა, ასეა. თქვენ კი თავს სწირავთ“.

30 (იტ.) „გულცივი თევგანწირვა“.

31 (იტ.) „იმედი ეიქონიოთ... მაგრამ მისმინე, იფიქრე ამაზე“.

32 იგულისხმება ბენრი გრეტანი (1746-1826), ირლანდიელი პატრიოტი, საზოგადო მოღვაწე, იურისტი, ბრწყინვალე ორატორი.

33 (იტ.) „ვიფიქრებ ამაზე“.

34 (იტ.) „რა, სერიოზულად ამბობ?“

35 (იტ.) „ასეა. შემომიარე, იფიქრე ამაზე, ნახვამდის, ძვირფასო“.

36 (იტ.) „ნახვამდის, მაესტრო... და ვმადლობთ“.

37 (იტ.) „რისთვის?... მაპატიე, პა? კარგად მენახე!“.

38 უილვი კოლინზის (1824-1889) თავის დროს პეტლად გახმაურებული რომანი, რომელიც დახლართული ინტრიგებით გამოირჩეოდა.

39 უილვი კოლინზის რომანის პერსონაჟი (მერიანი).

40 მერია სესილ მერი — (1840-1886), თავის დროს პოპულარული რომანისტი ქალი, საგანგებოდ სენტამენტალური ნაწარმოებების ავტორი.

41 მე-18 ს. ირლანდიელი პატრიოტის თიობალდ ვოლფ ტოუნის ქანდაკება უნდა დადგმოლიყო სენტ სტივენ გრინის პარკში.

42 მარი კენდალი — (1874-1964), ოპერეტის ცნობილი ინგლისელი მომღერალი.

43 ო'კონორი, უექსფორდი — სატრანსპორტო კომპანია.

44 ფიცქერალდები ანუ ჯერალდები — მე-12 ს. დასაწყისიდან მომდინარე ცნობილი ანგლო-ირლანდიური გვარი.

45 იგულისხმება მეფე ჯეიმზ პირველის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება, რომლის გვეგმითაც უნდა აფეთქებინათ პარლამენტის შენობა (1605 წლის 5 ნოემბერს).

46 კილდეირის გრაფმა... ფიცქერალდ მორი — ჯერალდ ფიცქერალდი (1416-1513), კილდეირის მე-8 გრაფი, რომელიც მტრობდა არქიეპისკოპოს კრეისს და 1495 წ. ცეცხლი წაუკიდა ეპისკოპოს ტაძარს.

- 47 ტუჩინის ბილა — პატარა ხელი ფეხით მოსიარულეთათვის დუბლინის ცენტრის მახლობლად.
- 48 გლეხების კათოლიკური დაწესებულება ჯოველწლიურად აწყობდა წვეულებას შესაწირავთა შესაკრებლად.
- 49 არა დუეტო, ათამდე კვარტეტი მაიკლ ბელფის ოპერადან „*ჩორომპლსის სტუა*“ (1835).
- 50 მარია მონკა — (1817?—1850), კანადიდან შეერთებულ შტატებში ჩასული ქალი, რომელმაც განაოქმევინა „დუდათა მონასტრიდან ლტოლვილის“ სენსაციური დღიური რამდენიმე წიგნად.
- 51 ამ სათაურით ცნობილი ფრიგოლური შინაარსის ფსევდო-მეცნიერული ნაშრომი, რომელსაც დაახლ. მე-17 საუკუნიდან მოყოლებული შეცდომით არისტოტელეს მიაწერდნენ.
- 52 ლეოპოლდ ფონ ზახერ მაზობი — (1835-1895), ავსტრიელი მწერალი, რომლის გვარის მიხედვითაც წარმოიშვა ცნება „მაზობიზმი“.
- 53 „იენინგ ტელეგრაფის“ 1904 წლის სწორედ 16 ივნისის გამოშვება იუწყებოდა ამ რბოლისა და მისი მონაწილეების შესახებ.
- 54 მინიშნებულია წმ. მონიკას დავრდომილთა თავშესაფარი, რომელიც საიმონ დედალოსის დროებითი საცხოვრებელი ადგილის მახლობლად მდებარეობს.
- 55 იგულისხმება ჩაი. ფილიპ კოუპერის (1731-1800) სიტყვების პარაფრაზი.
- 56 წმ. მაიკანის ექლესია 1095 წ. დააარსა დუბლინში დანიელმა წმინდანმა მაიკანმა. ეპიტის ნეშტი არც ერთ ამ ადგილას არ აღმოჩნდა დასაფლავებული.
- 57 კერნანი ფიქრობს 1798 წ. აჯანყებაზე. ჯ. ბარინგტონი (1760-1834), პატრიოტი, ისტორიკოსი, ირლანდიის პარლამენტის წევრი.
- 58 დეილის კლუბი მე-19 ს. დუბლინელი ბანკოს მოთამაშეების, დუელიანტების და სხვათა თავშეყრის ცნობილი ადგილი იყო. შეამბობე ლორდი ედუარდ ფიცჯერალდი მალულად ზედებოდა ხოლმე ცოლს თავისი მეგობრის, მოიარას გრაფის სასახლის თავლაში.
- 59 იგულისხმება ფრანსის მიგინზი, რომელმაც ლორდ ედუარდ ფიცჯერალდის დასმენაში 1000 გირვანქა სტერლინგი გასწორველო მიიღო.
- 60 ე. ი. კერნანი, რომელიც პრო-ინგლისურად არის განწყობილი, მედარად მიიჩნევს ირლანდიელი პატრიოტების პოზიციას.
- 61 ირლანდიელი პოეტის ჯონ ინგრამის (1823-1907) ლექსიდან „დალუბულთა ხსოვნა“.
- 62 ერთ-ერთი ბოძულებული ე. წ. „ქუჩის ბაღადის“ სიტყვები. როსი — ინგლისელთა სომეგრე 1798 წლის აჯანყების დროს.
- 63 ალუზიათა რთული ნაშევი. მილტონის „დაკარგული სამოთხე“, წიგნი I; იოანე 1,5; გამოცხ. იოანესი 12,4.
- 64 ტომას რახელე — დუბლინელი ოქრომჭედელი და ანტიკვარი.
- 65 სტივენის შინაგან მონოლოგში გაიხლეჩეს ჯონისის კრიტიკულ ნაწერებში განხილული ამერიკელი რომანისტის ჟეიმზ დენის (1849-1925) ერთ-ერთი გმირის სიტყვები.
- 66 მეთიუ არნოლდის ფრაზის რუმინისცენცია.
- 67 სტივენი ჩაუველის ფილიპ უოლმის, მესაათის მალაზიას.
- 68 შდრ. „ჰამლეტი“ 11,2.
- 69 მთავრევეების შინაბილა და სვიერზის შეხვედრა (1860) მართლაც მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება კრივის ისტორიაში.
- 70 (ლათ.) „სტივენ დედალოსს, ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლეს ჯილდოდ“.
- 71 იგულისხმება გადმოცემა რომლის თანახმადაც მოსეს წიგნთა რიცხვი ათი იყო და არა ხუთი, იმას მოაყვია ფსევდო-თარგმანების გამოჩენა. აღსანიშნავია, მაგალითად, გერმანულ გერსიაში აღწერილი სიზმრები, რომლებშიც ფიგურირებს ნესვი (იხ. სტივენის სიზმარი), ავაზა (იხ. პეინზის სიზმარი), ანუ სპეციფიკურ თავში აღწერილი „ყვავილების ენა“ (იხ. ბლუმის „შინაგანი მონოლოგი ალტარდაგებში“).
- 72 ექვსჭიმიანი ვარსკვლავი, ილიაიზმის ემბლემა (ღვთაებრივი მფარველობის სიმბოლო).
- 73 (ლათინურ-ესპანურ-არაბულად) „ერთხეული ქალურობის დვითურთ განსახიერებავ, ვიყვარდე მხოლოდ შენ წმინდათა ამინ“.
- 74 იგულისხმება ჩარლზ პირიუტი (მეფობდა: 1625-1649).
- 75 იგულისხმება ჩარლზ ბუდის საფაქრო კომპანია („ქალისვილი“ ჯონისის დამატებულთა).



- 76 დუბლინის უმაღლესი შერიფის მოადგილეს ჯონ. ფინიგს (პროტოტიპი უცნობია) ორი პოქაული ჰყავს მიჩენილი კაფლის სათვალთვალად.
- 77 (იტ.) „ღრმა ბანი“ (ან ასეთი ბანის მქონე მომდარალი).
- 78 „ქერალდაინები“ — ადრე ნახსენები ფიქტურალური, დიდხელე საადმინისტრაციო შენობა.
- 79 ლობენგულა — მე-19 ს. ერთ-ერთი აფრიკელი ბელადი, რომელიც გვირუკულ იცავდა თავის ტერიტორიას ინგლისელებისაგან; დინხემონი — ირლანდიიდან ამერიკაში გაქცეული სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელიც იქ ერთხანს პოლიტიკურ ემიგრანტად ასაღებდა თავს.
- 80 ბოდეგა — მაგარი სასმელების სავაჭრო კომპანია.
- 81 იგულისხმება „დუბლინის კოშკი“, ირლანდიის ლორდ-ლეიტენანტის რეზიდენცია.
- 82 ე. ი. კანინგამი და მისი მეგობრები ედუარდის ტუჩაზე აპირებენ გავლას და მერე ესევეს გეიტზე ჩაქდებიან ეტლში.
- 83 ბოიდი? — უილიამ ა. ბოიდი, დუბლინის „ახალგაზრდა ქრისტიანთა კავშირის“ გენერალური მდივანი.
- 84 იესოს შიკრ მარიამ მაგდალინელისადმი მიმართული სიტყვები: „ნუ შემომებეჭები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ შამისა ჩემისა.“ (იოანე 80,17).
- 85 იგულისხმება მათი სია, ვინც დიგნამის ქვრივისა და ობლებისათვის შესაწირავს გაიღებდა.
- 86 იგულისხმება, რომ კანინგამი და სხვები ჩაუვლიან კორკ ჰილზე მდებარე დუბლინის მუნიციპალიტეტის შენობას, როცა მის წინ ნანკტი განთხზდება.
- 87 ზემო ექსჩეინჯ სტრიტი და კორკ ჰილი ერთი და იგივე ქუჩის ორი სახელწოდებაა.
- 88 იგულისხმება ყოველდღიური გაზეთის „დაბლინ ჟინინგ შეილის“ რედაქცია.
- 89 შექსპირი, „ვენეციელი ვაჭარი“ I, 3: „მე თანახმა ვარ, ხელს მოგიწერ და უიტყვი კიდევ — ეს ებრაელი გულკეთილი გამოდგა-მეთქი“ (თარგ. ე. ჰელიძის).
- 90 ჯეიმზ ჯ. ჰენრი, ქალაქის კლერკის თანამშემვე (ქალაქის კლერკი — მუნიციპალიტეტის მდივანი).
- 91 ე. ი. ლოთ ზომ ღორანს („დუბლინელები“, მოთხრობა „ბანსიონი“). „ლიბერტიზი“ — დუბლინის ლარიბთა უბანი, რომლის სახელწოდებაც ირონიულად ეღერს, რადგან იგი გულისხმობს, რომ ერთ ღროს მდიდრული რაიონი გარკვეული პროფილეგიებით სარგებლობდა და თავისუფალი იყო (აქედან სიტყვა „ლიბერტიზი“) სახელმწიფო კონტროლისაგან.
- 92 პოპულარული სიგარა, რომელსაც ეს სახელი შეერქვა ამერიკელი პოლიტიკოსის, საზოგადო მოღვაწისა და თრაატორის ჰენრი კლეის (1777-1852) მიხედვით.
- 93 ეს აბზაცი „ულისეს“ ძირითად გამოცემებში ასე იწერებ. — ტირეს გარეშე, მხოლოდ ადრეულ საეურნალო ვარიანტში გვხვდება ტირე. ჯოისის ხელნაწერი ამ მხრივ რთული გასაშიფრია. ჩემი დაკვირვებით, მასში ჩანს ავტორის ცდა ფაქტობრივად აღენიშნა როგორც სტრიქონის მარცხნივ გამოწვევა, ისე შესაძლოა ტირეს აღდგენაც სოციალიზმულად დაწერილი ტირე შეღწიფვა გადახაზული). მე გაეზიარე მიღებული რედაქცია, რადგან ეს აბზაცი მაინც პერსონაჟის პირდაპირ მეტყველებას ეკარგებადმოგვცემს, რამდენ იგი ამჟამად ავტორისეული თბრობის ფორმითაა დაწერილი.
- 94 ირლანდიური ენის აღორძინებისათვის მებრძოლნი ხშირად მის ოფიციალურ ენად გამოცხადებასაც მოითხოვდნენ. დიდხელეობით ირლანდიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახელმწიფო ენა ირლანდიურია.
- 95 როგორც მერვე ეპიზოდისაგან („ლესტრიგონები“) ჩანს, ქალაქის მარშალი ჯონ პაუარდ პარნელი ამ ღროს ქაღრავს თამაშობდა.
- 96 მუნიციპალიტეტის მოხელე ჯონ ბარლოუს ევალდობდა ძალაუფლების სიმბოლოს — მარშლის ევართბის ტარება ლორდ-მერის ან მისი მოადგილის წინ.
- 97 ჯოუზეფ პაჩისონი დუბლინის ლორდ-მერი იყო 1904-1905 წლებში; ლენდიდნო — ინგლისის მდიდრული ეურორტი (ჩრ. უელსში); ლორკან მერტოვი 1912-1914 წლებში ააგად გაბდა დუბლინის ლორდ-მერი; locum tenens — (ლათ.) „ადგილი უკავია“ (ე. ი. მოადგილის უფლებებით სარგებლობს).
- 98 (ფრ.) სიტყვასიტყვით: „ნარვეი“. ამ შემთხვევაში ბილის ასორტი ზედ მოსხმული სქელი ნაღებით.

99 დ. პ. კ. — სინამდვილეში იშვიტება, როგორც „დუბლინის ჰერის კომპანია“ (იგულისხმება იქაური, კაფე).

100 „ნეტარი ნაქრძალი“ ამერიკელი ინდიელების წარმოდგენის დასაბუთებელი/გამოთქმა საიქიო ცხოვრების შესახებ. ჰეინზს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ერთხელ უკვე ნახსენები მედენის წიგნი, რომელშიც ავტორი გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ საეჭვო ვერსიას, რომლის თანახმადაც თითქოს ტომას ლუსის ნაქრძალში ფაქტობრივად და მემამულის შერისხვებას წარუშლელი კვალი დაეტოვებინოს ახალგაზრდა შექსპირის ფსიქიკაზე. მინიშნებულია აგრეთვე დელია ბეკონის (რომელიც ფსიქიკურად დაავადდა) ავიატებული „ანტი-შექსპირული“ პიპოთეზა, რომლის მიხედვითაც შექსპირის თბზულებათა ავტორი თითქოს ფილოსოფოსი ფრანსის ბეკონი იყო.

101 (ფრ.) „აკვიტებული აზრი“.

102 რომან „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობაში“ რემინისცენცია (თავი III).

103 იგულისხმება სუინბერნის გატაცება კლასიკურ ბერძნულ ლირებულებათა „გრძნობადი თავისუფლებით“, ქრისტიანულ ღირებულებათა „დამორგუნველი ტანდენციის“ საპირისპიროდ. დონ გიდორდის აზრით, ჯონსონს ირანში იმაშიც ჩანს, რომ მალივანი, რომელიც მხოლოდ საგანთა და მოვლენათა „ზედამირულ გრძნობად-სენსუალურ სამყაროში არსებობს“, შეგნებულად და დაეხმებით უცლის გვირდა სუინბერნის პოეზიის მნიშვნელოვან მთტივს: „არა არს დმერთი სიკვდილზე უფრო ძლიერი და სიკვდილი კი ძილია ოდენ“.

104 სუინბერნის სიტყვები (ლექსი „დაბადება“).

105 იულიუს პოკორნი, 1914 წლიდან კულტურის ფილოლოგიის ლექტორი ვენაში და ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი 1921 წლიდან. თავის „ირლანდიის ისტორიაში“ იგი კულტურის მითოლოგიისა და კულტურის ანალიზის საფუძველზე ამტკიცებდა, რომ კულტური დასახლებანი ირლანდიაში უარსდებდა 800 ან 900 წლით ძვ. წ. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ჯონსონი მკვირვდ ანაქრონიზმს უშვებს: პოკორნი 1904 წელს მხოლოდ 17 წლის ყმაწვილი იყო.

106 ეს არა იმდენად პოკორნის აზრია, რამდენადაც ტრადიციული ინგლისური თვალსაზრისი ირლანდიელთა შესახებ.

107 იგულისხმება გეში, რომელსაც ხედავს სტივენნი მესამე ეპიზოდის („პროტევის“) ბოლოს (იუბნოდ მოძრაუი, უბნო ხომალდა) და რომელიც, სხვათა შორის, მოხსენიებული ყოფილა „ფრიმენზ ჯორნალის“ 1904 წლის 16 ივნისის ნომერში.

108 დო სმითი — დუბლინელი იურისტი.

109 დუის უერნერი — დუბლინელი ქირურგი იულისტი.

110 იგულისხმება ოსკარ უაილდის მშობლების, სერ უილიამ უაილდისა და ლედი ფრანსისკა უაილდის სახლი.

111 (ლათ.) „ვისურვე ძალდატანების შედეგად“.

112 უილიამ ჯ. ტანი, დუბლინის ერთ-ერთი სასურსათო მაღაზიის მფლობელი.

113 ფიცხაშონზი — ინგლისელი შიძივე წონის მოკრივე, რომელიც 1897 წ. მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მას შემდეგ რაც ჩემ კორბეტი დაამარცხა.

114 უილიამ ჰამბლი, დადლის გრაფი — (1866—1932), ირლანდიის ლორდ ლეიტენანტი (იგივე მეფისნაცვალა), 1902-1906 წწ.

115 ლეიტენანტ-კოლონელი — რუსეთის არმიაში უღრიდა პოდპოლკოვნიკის ჩინს.

116 ეს სახელწოდება ბილმა მიიღო სისხლისმღვრელი შეტაკების გამო, რომელიც მოპყვანის აგების მე-17 ს. და რაც მებორნეთა უკმაყოფილებამ გამოიწვია.

117 „დედოფლის ხიდი“ მჭყეე ჟორჯ მესამის შეფულის შარლოტის პატრესაცემად ერქვა ახლანდელ „დედოფალ მეივეის ხიდს“ (მეივეი — პირველი საუკუნის ირლანდიის დედოფლის სახელი). ისევე, ირლანდიის გუბერნატორის უიტტორთის საბუღობის ხიდს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ირლანდიელებმა ცხობილი ღვთისმსახურის თიობაღდ მეთიუს (1790-1856) პატრესაცემად „მამა მეთიუს ხიდი“ შეარქვეს.

118 უილიამ კინგი — პოლიგრაფიისტი და საკანცელარიო მაღაზიის მფლობელი.

119 „ლანდი, ფუტი და კომპანია“, თამბაქოს ნაწარმით მოვაჭრე ფირმა.

120 „ქენრი და ჩეიშის“ სამკერვალო ფირმის საბელწოდებაში ჯონსონი ათქვამს უკანგულ გამოთქმას „უკანგულსა ხატვეს მისდა“, რითაც პირიქედღად მინიშნებულია ამერი-

ველი შწერალი პენრი ჯეიმზი (1843-1916), რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ტრანსული გამოთქმების ხშირი ხმარება.

121 იგულისხმება ირლანდიის ერთ-ერთი დამშონებლის, ინგლისის მეფე უილიამ მე-სამის (მეფ. 1689-1702) ძეგლი.

122 კორტევი ჩაუვლის სახლს, სადაც მოთავსებული იყო ავსტრო-უნგრეთის საკონსულო და, ამავე დროს, ცხოვრობდნენ დუბლინის ებრაული მოსახლეობის თეალსაჩინო წარმომადგენელი, ოპტიკურ ხელსაწყოთა ოსტატი, მათემატიკოსი ე. მ. სოლომონზი და დუბლინის საგრაფოს მსაჯული მორის ე. სოლომონზი.

123 როგორც წესი, ლორდ-მერი ასეთ პარადულ ვითარებაში მუდამ ოქროს ძეწკვით არის ხალმე მორთული.

124 იგულისხმება დედოფალ ვიქტორიასა და მისი მეუღლის პრინც ალბერტის ოთხდღიანი ვიზიტი დუბლინში.





ქართული
ზღაპრებისა

გერმანულიდან თარგმნა მზია აბრალიძემ

დიდი ხნის წინათ შორეულ დასავლეთში სი-
ნორჩით სავსე ყმაწვილი კაცი ცხოვრობდა. იგი
ქალიან კეთილი იყო. მაგრამ მეტისმეტად უცნა-
ურიც. წამდაუწუმ წუხდა არაფრისა და არავის
გამო დადიოდა ჩუმად, თავისთვის. ხვები რომ
თამაშობდნენ და მხიარულობდნენ, იგი ვანცა-
ლკეობით იქდა და საკვირველ ოცნებებში იძი-
რებოდა. ტყეები და მღვიმეები იყო მისი საუ-
ფარელი ადგილსამყოფელი, და მაშინ იგი მხეც-
ებსა და ფრინველებს, ზღობსა და კლდეებს ესა-
უბრებოდა, ოღონდ მის ნაუბარში, ბუნებრი-
ვია, ერთ გონივრულ სიტყვასაც ვერ იპოვიდით:
სულ მაღად ისეთ სიხუფეფეებს რომავდა,
სიცილით მოკვდებოდით.

უკეთესობის პირქუში და დაფიქრებული იყო,
თუშეცა ციცი და ანთარი, თუთიყუში და სტე-
ნია ილაქს იწყებდნენ, რომ ფიქრებიდან გა-
მოეყვანათ და სწორ გზაზე დაეყენებინათ. ბატი
ზღაპრებს უყვებოდა, ნაკადული დროდადრო ბა-
ლადას ჩაურაკრავდა, დიდი მსხვილი ქვა სა-
ხაცილო ბუქნაობას მორთავდა, ვარდი უკანიდან
წამოეპარებოდა და მოსიყვარულედ ებვეოდა,
მის კუდილებში დაფათურობდა, სურს შეტე-
უბენილ-შუბლზე უაღერსებდა ყმაწვილის მოწი-
უნელობასა და ფიქრიანობას საშველი მაინც არ
ადგა.

შობლები დიდ საგონებელში იყვნენ, აღარ
იციოდნენ რა ექნათ. ზიქს ქანი არ აკლდა, ტა-
შდა. დიდ-მამას არახოდეს არაფერი უწყენინე-
ნია მისთვის. სულ რამდენიმე წლის წინათ ჯერ
კიდევ ისეთი მხიარული და ხალისიანი იყო,
როგორც არავინ. ყველა თამაშობაში პირველო-
ბდა და ყველა გოგონას მოსწონდა. იგი ძალიან
ლაშაში იყო, კალმით ნახატი გვეგონება უღათ,
მისი ცეკვა ხომ დიდ რამედ ღირდა.

გოგონებში ერთი უმწვენიერესი ბავშვი ერ-

ია, სათნო და მომნიბლავი იყო, მისი საბე სა-
ნთელივით ანათებდა. ოქროსფერი და აბრეშუ-
შივით თმები ჰქონდა, ბაგეები — მუქი ალუბ-
ლისფერი, როგორც წამოჩიტულ პაწია თოჯი-
ნას, თვალები კი უორნის ფრთასავით ჩაშვებო-
და. ისეთი საყვარელი იყო, მნახველი კეთას კა-
რგავდა.

იმ დროს ვარდგოკოკრი (ასე ეძახოდნენ გო-
გონას) გულის სწორი იყო მშენიერი სუმბულ-
ისა (ასე ერქვა ყმაწვილს), რომელსაც იგი თა-
ვდავიწყებით უყვარდა. სხვა ბავშვებმა ამ ამბისა
არაფერი იციოდნენ, მათ ეს პირველად ერთმა
იამ უთხრა, იმ კედელ-ყურის ფისობს კი უო-
ველივე კარგა ხანია შემჩნეული ჰქონდათ: ყმა-
წვილის მშობლების სახლი და გოგონას მშო-
ბლებისა ახლო-ახლოს, პირისპირ ადგა და, აი,
სუმბული რომ დამით თავის ფანჯარასთან მივი-
ლოდა და ვარდგოკოკრი — თავისთან, ფისობი
თავის დაქერას თავს ანებებდნენ, მათვენ გამო-
ცუნცულდებოდნენ და შესცქეროდნენ, ორივენი
როგორ იყინოდნენ და კისკიებდნენ. თამაც
ხშირად ისე ხმამაღლა, რომ ყმაწვილსა და გო-
გონას ესმოდათ და ერთმანეთზე ქაყრი მოხდი-
ოდით.

ია მარწყვს გაენდო და საიდუმლოდ უთხრა
ეს ამბავი, მაიწყვმა — თავის მეგობარ მოცხ-
არს, ხოლო მოცხარი, როდესაც სუმბული ჩაუ-
ვლიდა, გეხლიანი ღაპარაკით კენწლავდა განუ-
წყვეტლევ. ასე მოედო სწრაფად ეს ამბავი
მთელ ბაღსა თუ ტყეს და, როგორც კი აქ სუ-
მბული გამოჩნდებოდა, ყოველი მხრიდან მოეს-
მოდა ძაბილი: „ვარდგოკოკრი ჩემი პაწაწინა ხე-
უნქვა“. თუშეცა ამაზე სუმბულს ქაყრი მოხდი-
ოდა, მაგრამ მაინც არ შეეძლო გულთანად არ
ეზარბარა, ხვლიკი რომ გამოხონდებოდა, თბილ

ქვაზე მოკალითებდა, კუდს აიბრებდა და მღეროდა:

ვარდკოკრი — სათნო ბავშვი —
რომ დაბრმავდა უცაბედად,
მოეჩვენა თურმე მაშინ
მას სუმბული მწობელ დედად
და მყის უელზე მოეხვია,
მაგრამ, უცხო კაცად რომ ცნა,
წარბიც კი არ შეარხია,
კვლავ უღზავნის შორით კოცნას.

ამ, რა ჩქარა განქარდა მორკმა-დიდება! უცხო ქვეყნიდან ერთი კაცი ჩამოვიდა. იგი საოცრად ბევრს მოგზაურობდა. მას გრძელი წვერი, ჩაღრმავებული თვალები და შემწარავი წარბები ჰქონდა, ხშირნაოჭიანი ხაჯვირველი ტანხაცმელი მცვა, უცნაური ნაყშით დაქარგული. ეს კაცი ხუმბულის მშობლების სახლის წინ ჩამოქდა. ხუმბული ძალზე ცნობისმოყვარე იყო და გვირდით მიუხეუბდა, პური და ღვინო მიართვა. მაშინ ხტუშარმა თეთრი წვერი ხელისხულით შეისწორა და გვიან დამემდეგ ამბებს უამბობდა, მაგრამ ხუმბული წამითაც არ მოშორებია და არც მოხმენით დადღილა. როგორც შემდეგ ცნობილი გახდა, მოხუცი ბევრ რამეს უყვებოდა მას უცხო ქვეყნებზე, უცნობ მხარეებზე, საკვირველ, უცნაურ საგნებსა და მოვლენებზე. ხტუშარი აქ სამ დღეს დარჩა და სუმბულთან ერთად ღრმა შახტებშიაც ჩაეშვა.

ვარდკოკრი კი წყველა-გრუღვით იხსენიებდა ბებერ ქადოქარს იმის გამო, რომ სუმბული მის მონათბრობს ერთობ მოეხიბლა და ალარაფერზე ზრუნავდა; ძლივს ცოტაოდენ ხაჭმელს თუ შექამდა. ბოლოს მოხუცი სადღაც გაქრა, მაგრამ ხუმბულს პატარა წიგნი დაუტოვა, რომლის წაკითხვა კაცთაგანს არავის შეეძლო. ხუმბულმა კი მას სამგზავროდ კიდევ მისცა ხილი, პური, ღვინო და შორ მანძილამდე გააცილა.

იქიდან სუმბულმა ღრმად ჩაფიქრებული მობრუნდა და მას შემდეგ ხულ მთლად ახლებურად დაიწყო ცხოვრება. პაწია ვარდკოკრის გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, რადგან სუმბული მას ძალიან მცირე ხნით თუ უჩერდებოდა, მთელ დანარჩენ დროს კი მუდამ მარტოდმარტო იყო. და აი, ერთხელ უმაწვილი შინ ისე შეცვლილი დაბრუნდა, თითქოს ახლად დაბადებული იყოს. იგი მშობლებს კისერზე ჩამოეკიდა და ატირდა.

„მე უნდა წავიდე უცხო ქვეყნებში, — ამბობდა სუმბული. — ტყეში უცნაურმა მოხუცმა ქალმა მასწავლა, თუ როგორ უნდა გამოვქანმრთელდე. მან წიგნი ცეცხლში ჩამიგდო და თქვენთან გამომგზავნა, რომ დედ-მამისაგან ლო-

ცვა-კურთხევა გამომეთხოვა. იქნებ მალე დავბრუნდე, იქნებ ხულაც ვეღარასოდეს. ვარდკოკრის მოკითხვა გადაეცით. მე სუამოვნებით ვისაუბრებდი მახთან, მაგრამ არ ვიცო, რა ამბავია ჩემს თავს, შორს ასე უჭყმტუჭარტუბს. როდესაც მწაღია ძველი უჩრტუხა ქაფუხტუხუ. მაშინვე უფრო ძლიერი აზრები მეუფლება. ხიმ-შვიდე დამეკარგა, გულიცა და სიყვარულიც მან გაიყოლა, მე უნდა წავიდე მათ საძებნელად, სიამოვნებით ვეტყოლით — საით, მაგრამ თვითონაც არ ვიცო. მივდივარ იქ, სადაც ყოველთა ნივთთა დედა ბინადრობს, ღვთიური საფარველით დაფარული ქალწული, ვისთვისაც ხული მეწვის და მედაგვის. მშვიდობით“.

უმაწვილი დაუხხლრა მათ და წავიდა. საბრალლო დედ-მამა ბედს უჩიოდა და ცრემლს ღვრიდა. ვარდკოკრი თავისი მომცროსოთაბიდან გართ ალარ გამოდიოდა, მწარედ ტიროდა. სუმბული კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიტბოდა ველ-მინდვრებსა და უდაბურ ადგილებში, გადადიოდა მთებსა და ნიატვრებზე, მიეშურებოდა იღუმალი ქვეყნისაკენ. აღამიანებსა თუ მწყცებს. კლდეებსა თუ ხეებს იგი ყველგან წმიდა ქალღმერთ იზიდას შესახებ ეკითხებოდა. ზოგნი იცინოდნენ, ზოგნი ღუმდნენ, პასუხს ვერსად ეღიროსა.

თავდაპირველად ხუმბულს პირქუშ, ველურ მხარეში მოუხდა ხეტიალი. გზაში ნისლი და ღრუბლები ეღობებოდნენ, მუდამდე ქარიშხალი მძვინვარებდა. მერე თვალუწვდენელ ქვიშიან უდაბნოს წააწყდა, სადაც გავარვარებული მტვრის ბული იდგა, იმისდა მიხედვით, თუ რა ვითარებაში მიიწვდდა იგი წინ. იცვლებოდა მისი ხულისკვეთებაც. დრო ხულ უფრო ზოწინით გადაიოდა მისთვის და შინაგანი მოუხდენრობაც დაუცხრა: უმაწვილი უფრო ღმობიერი გახდა და მისი ბოზოქარი წადილი თანდათანობით გადაიქცა ჩუმ, მაგრამ ძლიერ მისწრაფებად, რომელიც მთელ მის ხულს დაეუფლა. ამასობაში თითქოს მრავალი წელი მიიწურა.

და აი, ბუნება ხულ უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი ხდებოდა, მაერი — თბილი და ლაგვარდოვანი, გზა — უფრო სწორი. მწვანე ბუჩქები ნარნარი ჩრდილების ალყაში აქცევდნენ უმაწვილს. ოდნეც ეს კია, ბუჩქების საუბარი აღარ ესმოდა, და თითქოს ისინი არც არაფერს ამბობდნენ, სამაგიეროდ მწვანე ფერებითა და სივრითის წყნარი ღანწყობილებით უცხებდნენ გულს. დღითი დღე ხულ უფრო ეძალეობდა მას ტკბილი მოთენთილობა. დღითი დღე ხულ უფრო ფართო და ქარფა ეჩვენებოდა ფოთლები, ხულ უფრო ხმაურიანი და მხიარული — ფრინველები და მხეცები, ხულ უფრო ხურნელოვანი — ხილი, ზეცა — უფრო მუქლურ-

ქი, შაერი — უფრო თბილი, ხოლო თავისი ხიყვარული — უფრო მწველი. დროც უფრო ხწრაფად გარბოდა, აქაოდა მიზანს მიუახლოვდაო.

ერთ დღეს სუმბული ანკარა წყაროსა და უამრავ ყვავილს წააწყდა, რომლებიც ცამდე აწვდილ შავ ხვეტებს შორის გაშლილ ველს თავივე ჩამოსდევდნენ. ისინი ყმაწვილს მისთვის ნაცნობი ხიტყვებით მეგობრულად მიესალმნენ.

„საყვარულო თანამემამულენო, — მიმართა მათ სუმბულმა, — სად ვიპოვო იზიდავ წმიდა სავანე? აქ სადღაც აბოოს უნდა იყოს და თქვენ, ალბათ, აქაურობისა ყოველივე ჩემზე უკეთ იცით“.

აქ ჩვენც მხოლოდ გზად მოგვიხდა გამოვლა, — მიუხეც ყვავილებმა, — სულელების ოჯახი მოგზაურობს და ჩვენ მას გზასა და სადგომს ვუმზადებთ. მაგრამ ჩვენ ხუთ აბლახან გამოვიარეთ ის ადგილი, სადაც იმისი სახელი ახსენეს. აიარე ზემოთკენ, ხაიდანაც ჩვენ მოვლივართ, და თავად შენ, ალბათ, უფრო მეტს შეიტყობ“.

ეს რომ უთხრეს, ყვავილებმა და წყარომ ყმაწვილს გაუღიმიეს, ერთი ყლუბი ცინცხალი სასმელი შეხთავაზეს და გზა ვანაგრძეს. სუმბულმა მათი რჩევა-დარიგება ყურად იღო, გზალაგზა გაიკითხ-გამოიკითხა და, ბოლოს, მიაღწა პალმებსა და ხნვა თვალწარმტაც მცენარეებში ჩამალულ სავანეს, რომელსაც დიდი ხანია დაეძებდა. წლის მუდმივ დროთა სამეუფოში მოხულ ყმაწვილს, გული უახასრულო ჭმუნვით რომ ჰქონდა გადა-

ღეული, ნეტარებით სახეც თრთოლა მუხლგბოდა.

ღვთაებრივი სურნელებით გაბრუნებულ სუმბულს ჩაეძინა, რადგან უკრფრფრუნ ნიშმარს შექმნილ ვადაყვანა უფროსი სურნელებით მომხიბლავი ბგერებისა და ცვალებადი აკორდების მკაფიო უფეროში უცნაურად გადაჰყავდა ყმაწვილი სიზმარს იშვიათი ნივთებით შორთული დარბაზიდან დარბაზში, რომელთაც რიცხვი არ შეეგებოდაო. სუმბულს ყოველივე ეს სავსებით ნაცნობ და თანაც მანამდე ჯერ არნახულ დიდებულ ხანახაობად ეჩვენებოდა.

დასასრულ, უკანახკნელი მიწიერი ელფერიც გაქრა, თითქოს შაერში ვაიფანტაო, და ყმაწვილი ციური ქალწულის წინაშე მოგომი აღმოჩნდა. სუმბულმა მას მბრწყინავი მსუბუქი რიდი აუწია და — ვარდკოკორი შერდში ჩაეკონა. შორეულმა მუსიკამ დაფარა შეფვარებულთან პაემნის საიდუმლოებანი, გაზიარება და მოფონება გულისწუხილისა, და იქაურობას ახლოს არ აკარებდა, რაც კი ამ მომაჯადოებელი ადგილისათვის უცხო იყო.

ამის შემდეგ სუმბული დიდხანს, დიდხანს ცხოვრობდა ვარდკოკორთან ერთად, თავისი ბედნიერი მშობლების გვერდით და ტოლმეგობრებით ვარემოცული. უამრავი შეილიშვილი კი (მაშინდელ დროში ხომ იმდენი შეილი უჩნდებოდაო, რამდენსაც მოსურებდნენ) მადლიერებით ახსენიებდა იმ საკვირველ დედაბერს მისი რჩევისა და მისი ციცხლის გამო.



ენერჯის ეკონომიკა

ფანტასტიკური მოთხრობა

ესტონურიდან თარგმნა ამირან კალაძემ

თას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი წლის გაზაფხულზე, პარიუს ქუჩის ბოლოში, იქ, სადაც წიგნების მაღაზია „ლუგემისვარაა“¹ მოთავსებული, მოულოდნელად შევეჩვენე კოსმოსური სიყვარულის მთავარ ექსპერტს, სახელგანთქმულ აკადემიკოსს გუსტავ ნაანს². უმაღლესი ექსტრაგანტულ თანამგზავრს ვკიდუ თვალი და მაშინვე მივხვდი, რომ უცნაურად ჩაცმული ეს ახალგაზრდა ქალი ორსულად უნდა ყოფილიყო.

ნაანთან შეხვედრამ ძალზედ გამახარა, მით უმეტეს, ვიცოდი, რომ ის სულ რაღაც სამი დღის დაბრუნებული იყო შორეული კოსმოსური მოგზაურობიდან, კერძოდ, პლანეტა დუსინირკენიდან, რომელიც ტყუპების თანავარსკვლევედში მდებარეობს. მეც არ დავაყოვნე და აკადემიკოსს ვთხოვე ორი კვირის შემდეგ მწერალთა კავშირში გვწვეოდა, რათა პოლიტმეცადინეობაზე თავმოყრილი ჩვენი მწერლებისათვის თავისი შორეული მოგზაურობის შთაბეჭდილებები გაეზიარებინა. ნაანმა ჩემი წინადადება სულგრძელად მიიღო, მერე ჩიბები მოიქექა და უამრავი საქმეებით გადატვირთულმა უბის წიგნაკში თავისუფალი დრო მოინიშნა. შემდეგ სამივენი იქვე, პარკში შევედით და ძელსკამზე ჩამოვსხედით.

პლანეტა დუსინირკენზე ბევრი რამ მქონდა გაგონილი. ვიცოდი, რომ მისი გარემომცველი ატმოსფერო ძალზედ გაჭუჭყიანებულია, რომ ჩვენი პლანეტიდან გამგზავრებულ ტურისტთა ორგანიზმზე იქ გატარებული ყოველი დღე მომაკვდინებლად მოქმედებს და ა. შ. ამიტომაც, ბუნებრივია, ნაანის ჯანმრთელობით დავინტერესდი. ჩემს შეკითხვაზე აკადემიკოსმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა, მერე თავის თანამგზავრს გადახედა და მიპასუხა, რომ თავს მშვენივრად გრძნობს. სკაფანდრის გამძლეობაზე ისღა მითხრა, რომ იქაური ატმოსფეროსაგან თავის დასაცავად ახლა მრავალი საუკეთესო საშუალებებია გამოგონილი. თურმე, ნუ იტყვიან და, დუსინირკენზე თავის გადასარჩენად მკაცრი

¹ (ესტ.) დაახლ. „საუნჯე“.

² გუსტავ ნაანი — ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, კოსმოლოგი, ფილოსოფოსი. წერს ესსეებს სიყვარულისა და სექსის სოციოლოგიის შესახებ.

დიეტის დაცვა ყოფილა საჭირო. საკვები უხვად უნდა შეიცავდეს შხამსაწინააღმდეგო ნივთიერებებს, ხოლო ტურისტების საკვები არამც და არამც არ გამოდგება დუსინირკენის მკვიდრთათვის. უფრო სწორად, შხამსაწინააღმდეგო ნივთიერებანი, რასაც ჩვეულებრივად ტურისტები საკვებად შეეჩვევიან, დუსინირკელთა კუჭისა და ორგანიზმისათვის მომაკვდინებელ შხამს წარმოადგენს. ამ პლანეტის გაჭუჭყიანებულ ატმოსფეროში გავრცელებული შხამები ჩვეულებრივად დუსინირკენის მოსახლეობის გონებრივ განვითარებაზე ახდენენ გავლენას, რის გამოც იქ საყოველთაო გონებაჩლუნგობა იმდენად ყოფილა გავრცელებული, რომ ინტელექტუალური კოეფიციენტი (IQ) 67-ს არ აღემატება. მოსახლეობის დიდ ნაწილს იმბეცილები და დებილები წარმოადგენენ. მრავლად არიან იდიოტებიც. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ გონებრივი განვითარების მხრივ შედარებით ნორმალური მდგომარეობა ბავშვებში ყოფილა... გაოცება ვერ დავფარე და, ასეთ გამოთაყვანებულ პლანეტაზე ამდენ ხანს რამ გააძლებინათ-მეთქი, ვკითხე აკადემიკოსს. მოითმინეთ, ყმაწვილო, ჯერ მე თხრობა არ დამიმთავრებიაო, გაცხარდა თავის მხრივ ნაანი და ამიხსნა, რომ დუსინირკენში ყოფნის პირველ დღეებში ყველაზე მეტად ერთმა ვარემოებამ დააფიქრა. კერძოდ, უცნაურად მოეჩვენა ის კონტრასტი, რაც იქაური მოსახლეობის დაბალ გონებრივ განვითარებასა და წარმოების მაღალკვალიფიციურ ტექნოლოგიურ პროცესებს შორის არსებობდა. ბოლო დღეებში კი, უნდოდა თუ არა, იმითაც უნდა გაოცებულიყო, რომ წარმოება-დაწესებულებებში მოსამსახურეთა უმრავლესობა ორსული ქალები იყვნენ, რომლებიც ჩვეულებრივად სამს ხმით ლაპარაკობდნენ! დიახ, დიახ, სამი ხმით... პირისმიერით და ორი მუცლისმიერით. თანაც პირისმიერი, როგორც წესი, მორჩილად იმეორებს წარმმართველი მუცლისმიერი ხმების ბრძანებებს...

მუცლისმიერის საიდუმლო მაშინ გამჟღავნდა, როცა ამ ხმამ, ერთ მშვენიერ დღეს უშუალოდ ნაანს მიმართა. პოი, საოცრებაჲ! ეს არ იყო ჩვეულებრივი ადამიანის ხმა... ეს იყო დუსინირკენის ნებისმიერ მცხოვრებზე ბევრად განვითარებული, მაღალი IQ-ს მატარებელი ჩანასახის ხმა!.. ხოლო იმის გამო, რომ დუსინირკელი ქალები უმრავლეს შემთხვევაში ტყუილებს შობენ, მუცლისმიერიც ძირითადად ორი, სამი, ოთხი ხმისაგან შედგება. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, მაღალგანვითარებული ჩანასახები ნამდვილ კონფერენციებზე საც კი ატარებდნენ, სანამ რამე სერიოზულს უბრძანებდნენ თავის შეზღუდული გონების პატრონ დამბადებელს...

— მე მქონია სასიამოვნო შემთხვევები მესაუბრა ჩემთვის საინტერესო თემებზე ერთობ გონებაგახსნილ ჩანასახებთან, — ძალზე სერიოზულად მი-თხრა აკადემიკოსმა.

ჩემს შეკითხვაზე, თუ რით შეიძლება აიხსნას ეს უცნაური მოვლენები, აკადემიკოსმა განმიმარტა, რომ ე. წ. უცნაური მოვლენები არც ისე ძნელია მოსაკვლევა. როგორც ცნობილია, ყველა სახის ცოცხალი ორგანიზმები ბუნებრივად გამოიმუშავენ სხვადასხვა თავდაცვით ინსტინქტებს. დუსინირკენის ატმოსფეროში გავრცელებული შხამების საწინააღმდეგო თვისებები გამოიმუშავეს ამ პლანეტის ცოცხალმა ორგანიზმებმაც. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ინსტინქტები ჯერ კიდევ ძიების პროცესშია. აქაური ქალების ორგანიზმის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ორსულობისას მათ შეუძლიათ მაქსიმალური მობილიზაცია გაუკეთონ არა იმდენად საკუთარი თავ-

ვის, არამედ ჩანასახის აბსოლუტურად დამცველ ინსტიქტებს. სხვათა შორის ეს ფაქტი იმის დამადასტურებლადაც გამოდგება, რომ სიცოცხლის შენარჩუნება-გახანგრძლივების პროცესებს ბუნების განსაკუთრებული ძალები განაგებენ. ასე და ამრიგად, ორსული ქალის ორგანიზმი ბუნებრივად გამოიყენებს უფრო მეტი რაოდენობის ანტიდოქსინებს, ვიდრე, მაგალითად, კაცის ორგანიზმი. ქალის ორგანიზმი ჩანასახს იცავს ყოველგვარი მომწამლავი ნივთიერებისაგან, კვებავს მას საგულდაგულოდ სტერილიზებული პროდუქტით... სამაგიეროდ ვერა და ვერ ახერხებს საკუთარი თავის დაცვას პროგრესიული დემენტურობისაგან... აქედან გამომდინარეობს ფრიად საგულისხმო დასკვნა. პლანეტა დუსინირკენის ადამიანურ სახეობებს ჩანასახის შემდეგდროინდელ ეტაპზე სრულებით არ გააჩნიათ გონებრივი ვანვითარების არავითარი დამატებითი საშუალება.

რაკი გონებრივი განვითარება მხოლოდ ჩანასახობრივ მდგომარეობაშია შესაძლებელი, ორსულობის ნორმალურ დროდ ითვლება არა ცხრა თვე, არამედ ცხრა წელი: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩანასახები თავისი მაღალი IQ-ს წყალობით პლანეტა დუსინირკენის ადამიანურ სახეობათა სრული განმგებლის როლში გვევლინებიან. მათ მშვენივრად იციან, რას უნდა ელოდნენ დედის სხეულიდან გამოსვლის შემდეგ (გონებში გარდუვალ დევრადაციას!), ამიტომ, ბუნებრივია, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა რაც შეიძლება გააჭიანურონ მზის სინათლის ხილვა... უფრო მეტიც — ორსულობის ვადის გახანგრძლივება-გაჭიანურების მიზნით ისინი თავიანთ მშობლებს აიძულებენ სისტემატურად მიიღონ სხვადასხვა სახის მედიკამენტები. ამ ჭკვიანი და მოხერხებული ჩანასახების მეცადინეობით ბოლო ხანებში ორსულობის ვადა თვრამეტ წლამდე გახანგრძლივდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ატმოსფეროს ინტენსიური გაჭუჭყიანებისა და ჩანასახობრივი მდგომარეობის 18 წლამდე გაზრდის გამო ბოლო სამოცი წლის განმავლობაში დუსინირკელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 32 წლამდე დაეცა. ჩანასახობრივი მდგომარეობის ბელოვნიურმა გაჭიანურებამ IQ-ს საგრძნობი დაქვეითებაც გამოიწვია. ასე მაგალითად, თუკი სამოცი წლის წინათ ხუთი წლის ჩანასახის IQ საშუალოდ უდრიდა 181-ს, ახლა უკვე 169-ს არ აღემატება. გამოდის რომ პლანეტა დუსინირკენის ბიოლოგიური კანონები ყველაფრის გამო საზღაურს ითხოვენ... პირველ რიგში ეს ეხება დედის თბილ საშოში უზრუნველად ნებივრობის საზღაურს! მეორეს მხრივ IQ-ს საგრძნობმა დაქვეითებამ შესამჩნევად შეამცირა მშობიარობის პროცესში გახშირებული ტრავმები... ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით: რაც უფრო განვითარებული და ფაქიზია ნაყოფი, მით უფრო მტკივნეულია მისი დაბადების პროცესი!

— შესწევს კი ძალა გონებრივად ჩამორჩენილ მშობელს შეასრულოს თავის დაბრძენებული ნაყოფის ესა თუ ის ბრძანება? — დავინტერესდი მე.

— ზოგჯერ ისეც ხდება, გონებაშეზღუდული მშობელი დაბრძენებული, დასაბადებლად გამზადებული ნაყოფისაგან პირდაპირ აქლემის მოთმინებას მოიხივს, — განმიმარტა ნაანმა, — ხშირ შემთხვევაში ყველაფერი კარგად მთავრდება. თქვენ წარმოიდგინეთ, ნაკლებად გაჭუჭყიანებულ პროვინციებში დეზილების დონეზე დასული დემენტური მოზარდები ფსიქიკის ამა თუ იმ სფეროში, სწორედ რომ უნიკალურ თვისებებს ავლენენ. მაგალითად, ცნობილია, რომ ქალაქ უცუდურის მოზარდები თავიანთი ავნომენალური მათემატიკური

ნიჭით უნიკალურ გამომთვლელ მანქანებსაც კი ჯობნიან, მაგრამ რად გინდა! — განზოგადების ელემენტარული ნიჭიც არ გააჩნიათ... მთავარი მაინც ისაა, რომ დუსინირკენის გონებასუსტ ახალგაზრდებს შორის ამა თუ იმ გონებრივ სფეროში გამოვლენილი ნიჭის გავრცელების საზღვრებიც მკვეთრად ლოკალიზებულია.

— გამოდის, რომ დუსინირკენზეც არსებულა გენეტიკური კოდები, მაგრამ ჭკუათხელი დედის საშოში ინტელექტუალურად მაღალგანვითარებული ნაყოფის ჩასახვა თავისთავად ხომ არ ეწინააღმდეგება ჩვენს ასე თუ ისე დაკანონებულ წარმოდგენებს, შთამომავლობის შესახებ? — ხელმეორედ შევეჭვდი მე.

— მერედა ვინ მოგახსენათ, რომ მე ამ საქმის სპეციალისტიც ვარ? — არ დააყოვნა პასუხი ნაანმა, — თუმცა იმდენი კი ვიცი, რომ ნაყოფის განვითარება რამდენადმე ავლენს კიდევ ცხოველთა სამყაროს ევოლუციის განვლილ ეტაპებს... პლანეტა დუსინირკენის სპეციფიურმა სინამდვილემ განაპირობა ის, რომ თანამედროვე ნაყოფი გარდასულ საუკუნეთა მოზარდზე ბევრად მაღლა დგას.

— თეორიულად თქვენი მოსაზრება სავსებით გასაგებია, თუმცა ძალზე ძნელი დასაჯერებელია, თითქოს გონებაჩლუნგი წყვილის კომპულიაციისაგან შესაძლებელია გაჩნდეს მესამე და ისიც ამადლებული სული...

— თქვენ ერთი რამ გავიწყდებათ, — შემაწყვეტინა ნაანმა, — საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინტიმური კავშირის დროს წყვილთა შორის ადგილი აქვს ე. წ. განათების მომენტს... ეს ის მომენტია, როცა პარტნიორები წამიერად გაივლიან გონებრივი და ემოციური აღგზნების მოკლევადიან პერიოდს. როგორც ირკვევა, პორმონული სეკრეციის ინტენსიფიკაციას ძალუძს ცხოვრების ამა თუ იმ ასაკში გააძლიეროს წინააღმდეგობითი და თავდაცვითი საშუალებანი... ასე რომ, დროის უმცირეს მონაკვეთში შესაძლებელი ყოფილა გონებრივისა და გრძნობადის დაჩლუნგებულ-რუინირებული ფუნქციების აღდგენა. განვლილ ათწლეულებში პორმონული სეკრეციის ინტენსიფიკაცია მოზარდთა შორის 17-18 წლის ასაკში შეიმჩნეოდა, ახლა კი სიცოცხლის წლების შემცირებასთან დაკავშირებით მძუნაობის ასაკმა 10-11 წლით გადმოიწია. თუმცა ეს უფრო დროებითი, სწრაფწარმავალი მძუნაობაა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ანაბოლურ პერიოდში მყოფი ახალგაზრდობა აქა-იქ გადარჩენილი ბუნების წიალისაკენ მიისწრაფვის, რათა სადავეაწყვეტილ გრძნობებს ერთგვარი თავისუფლება მისცენ... აქ ისინი გარდა შმაგი სიყვარულისა (ანუ „გლობალური სექსისა“, როგორც თვითონ უწოდებენ) ცეკვით, სიმღერით, მუსიკით, მხატვრობითა და ლექსებით ერთობიან. ამ აურზაურში ზოგჯერ ინტელექტუალური ნაპერწკლის გაკრთობასაც კი აქვს ადგილი. თუმცა მეცნიერული ჩაღრმავების სურვილი და ნებისყოფა მათ ასაკში ჩინურია (როგორც ჩვენს პლანეტაზე იტყვიან ხოლმე). ყოფილა შემთხვევები, როცა ანაბოლური ვნებათა დელვის პერიოდში ახალგაზრდებს დამოუკიდებელ საზოგადოებად ანუ „სიყვარულის სახელმწიფოდ“ გამოუცხადებია თავი. მაღალინტელექტუალური ჩანასახები მსგავს ექსცესებს მუდამ აღმაცერად უყურებენ და პოლიციურ ჩარევასაც კი უაზრობად თვლიან, რადგან მშვენივრად იციან, რომ „სიყვარულის სახელმწიფო“, როგორც წესი, თავისით ინგრევა... ანაბოლური პერიოდი ხომ ჩვეულებრივად უეცრად მთავრდება და შეყვარებული წყვილები ნაჯახით გახ-

ლეჩილივით სცილდებიან ერთმანეთს. წყდება როკვა და მუსიკა... შუა სტრი-
ქონზე იყინება ლექსი და მოთხრობა, უგემოვნო ფერებით ითხვრება მთაგო-
ნებით ნაკარნახევი ტილოები!.. ერთი სიტყვით, ანაბოლურ ~~ფტლყინებს~~ ქაღ-
ვილს კატაბოლური პროცესები იჭერენ.

— ნუთუ დემენტური დედები არასოდეს არ ეწინააღმდეგებიან ჩანასახე-
ბის ნება-სურვილს? — ვიკითხე მე და, სანამ გუსტავ ნაანი რაიმეს მიპასუ-
ხებდა, მისი თანმხლები ქალის მუცლიდან ჩვილის წკრიალა ხმა შემომესმა:

— აბა ერთი გაბედონ და მერე ჩვენ ვიცით!

— ეს ხმა ეკუთვნის პლანეტა დუსინირკენის ერთ-ერთი დიდი სახელ-
მწიფოს დინლერსინის პრემიერ-მინისტრს პელერ კოკოს, რომელმაც ეს-ესაა
გამოიღვიძა, — სულგრძელად ამიხსნა აკადემიკოსმა, — მას თან ახლავს ამავე
სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მმართველი დუსმის გეტსელერი. დინლერსე-
ნის სახელმწიფო მოღვაწეები ამჟამად ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებიან
ჩვენს ქვეყანაში. იმედია, ახლო მომავალში დიპლომატიური ურთიერთობანი
დამყარდება ჩვენს ხალხებს შორის. მათთან ერთად ტალინს ეწვია დინლერსე-
ნის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ცნობილი მიკოლოგი დუიუსურ
მუსუნუზი, მაგრამ იმის გამო, რომ დედამხსს სურდო შეეყარა, ამჟამად სას-
ტუმრო „ოლიმპიაშია“ და დედის საშოდან ერასტ პარმასტოს³ ესაუბრება.

— საოცარია პირდაპირ! მიკოლოგი, რომელსაც სოკო თვალითაც არ უნა-
ხავს? — მოთმინების ფიალა ამევსო მე.

— როგორ გეკადრებათ, ყმაწვილო! ასტრალური თვალით ხომ ნახა... —
გაისმა პრემიერ-მინისტრის ხმა, — სხვათა შორის მესამე თვალი თქვენცა
გაქვთ, მაგრამ რად გინდათ, დავსებული გაქვთ...

უნდა გამოვტყდე, რომ ორ გავლენიან ჩანასახთან საათნახევრიანი საუბ-
რის შემდეგ მხოლოდ საკუთარი უმწეობა ვიგრძენი... იმასაც მივხვდი, რომ ჩემი
ფლეგმატური ტვინისათვის ეს იყო მეტისმეტად რთული, უცნაური, გონშიუწ-
ვდომელი დიალოგი. ბოლოს და ბოლოს, ცვალებადი თემატიკის მოულოდნელ-
მა ნახტომებმა ისე გამაღიზიანეს, რომ იძულებული გავხდი ჩემთვის დამახა-
სიათებელი უტაქტობით დამეცვა თავი:

— ბატონებო! თუ გადამწვარ ნათურას მოხერხებულად შევანძრევთ, შე-
საძლებელია ვოლფრამის ბოლოები თავიდან გადაებას ერთმანეთს და კიდევ
უფრო ძლიერად გაანათოს... მაგრამ რა! ცოტაც და ნათურა სამუდამოდ გა-
დაიწვება. ნება მიბოძეთ თქვენი ცივილიზაცია ამგვარ, ე. ი. წამიერსა და მეო-
რად ნათებას შევადარო...

— დიახ, სამწუხაროდ, თქვენ კეშმარიტებას ლაღადებთ! — ისეთი სევდი-
ანი ხმით მიპასუხეს გავლენიანმა ჩანასახებმა, რომ ჯერ სირცხვილით დავიწვი
და მერე საკუთარი თავი შემეცოდა.



³ ესტონეთის წამყვანი მიკოლოგი. ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის საზღვებისმეტყ-
ველო მეცნიერებათა აკადემიკოსი მდივანი.

ჯონ მეისფილდი (1878—1967)

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ცოფურაშვილმა

დასავლეთის ქარი

ჯონ მეისფილდი თანამედროვე ინგლისური პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შემოქმედება პირობითად შეიძლება ორ პერიოდად გაიყოს. პირველი პერიოდის შემოქმედების ხასიათი განსაზღვრა მისი ცხოვრების მძიმე ეკონომიურმა პირობებმა, როდესაც პოეტი მსახურობდა ჯერ სავაჭრო ფლოტში, ხოლო შემდეგ კი თავს ირჩენდა შემთხვევითი შემოსავლით.

ამ პერიოდის ლექსებში, პოემებსა და ბალადებში (რომლებიც კიპლინგის ლიტერატურულ გავლენას განიცდიან) შეულამაზებლად აისახა ადამიანის ბრძოლა სტიქიასთან, მუშღვაურთა მძიმე, ხიფათით აღსავსე ცხოვრება.

მოგვიანებით ჯონ მეისფილდი დაუკავშირდა „გეორგიანელებს“, რომელთა გავლენით მისი პოეზია გახდა უფრო ლირიული, მელოდიური და ნაზი. პოეტის ამ პერიოდის შემოქმედება გამოირჩევა ღრმა მგრძნობელობით, რიტმული თავისებურებებით, ენის ცხოველყოფილებით. ჯონ მეისფილდი იყო ფაშისმის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი.

ლექსი „დასავლეთის ქარი“ პირველად გამოქვეყნდა 1902 წელს კრებულში: „Salt-Water Ballads“.

უბერავს ქარი დასავლეთიდან, სავსე ჩიტების წკრიალა სტვენით,
თუმცა არ მესმის მე ქარის ენა, მაინც თვალეზი მევსება ცრემლით,
რადგან ბებური გორაკებიდან ჩემთან მოვიდა ეს ქარი ასე,
დასავლეთიდან მოვიდა იგი ნარცისებით და აპრილით სავსე.

მშვენიერია დასავლის მხარე, დაღლილ გულთათვის შექმნილა თითქოს,
ვაშლის ბალები ჰყვავიან იქ და პაერი თასით დალევას ითხოვს;
ნიწა მიგიხმობს დასასვენებლად, მწვანე ბალახი ველებს ამშვენებს,
მშვიდი გალობით დახტის ხეებზე, მალლა, ტოტებში ბუდეს აშენებს.



სპარსულიდან თარგმნა გელა ზალვაშვილმა

ხმალს შეუძახა: „იფხიანე წესრიგიანად!“
და... დევებისგან გაცაწმინდა მხარე მთლიანად.

გამარჯვებულმან, სიხარულით ცაძდე ასულმან,
დაუძღვევლმან ესფერუზის მთას მიაშურა.

ავლადს ეუბნა: ქაუსი სად გეკულებათ,
მინდა რომ მალე ავაცილო ტანჯვა-ვნებათ.

წინ წაემძღვარა მეგზური და გაუყვნენ შარას,
მიაშარობდნენ. ზღვა და ხმელი მიაჩნდათ არად.

ტყვექმნილის ქალაქს რომ მიადგნენ, დასჭეჭა რახშმა;
აღარც ეგონათ, ჭიხვინი თუ შეეძლო მაშვრალს.

ქაუსის სმენას ხმა როგორც კი ჩაესმა რახშის,
სიხარულისგან ლამის იყო აფრინდა ცაში.

დიდებულთ უთხრა: განმინათლა ამ ხმამან ვული, —
მოსულა იგი, ვინაც უნდა მოგვბანოს წყლული.

როსტომის ხმა რომ გაიგონეს, რჩეულთ-რჩეულნი
შემოიკრიბნენ მის გარშემო გადარეულნი.

მათ დანახვაზე ფალავანი ცხარედ ატირდა, —
ყველა იმათგანს მიიჩნევდა სულის ნაწილად —

და რომ ჰხედავდა ძვლებადქცეულ-ნაშიმშილარებს,
თვალთაგან მიტომ მოსდიოდა ცხელი მდინარე.

* დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 6.

ტირის ქაუსი — ისევ ვნახე შენი სახეო?
მერმე არიგებს: რახშს ადგილი მოუნახეო.



ქართული
ლიტერატურის
ინსტიტუტი

ერჟენგის სიკვდილს თეთრი დევი როგორც გადვირევა,
გადვირევა, მრისხანებით არეს აიკლებს.

შვიდ მთას როგორც კი გადაივლი, დგანან ჯარები —
ურჩხულები და ჯადოქრები — შემაზარები.

მათ სიშმაგესთან, ლომისასაც არაფრად სთვლიან...
ღმერთმა ნუ ქნას რომ შეეყარო რაიმე ზიანს.

სიბინძურეთა უსაზომო ქვაბი და ორმო —
ის თეთრი დევი — თურმე იმა ქვაბს შიგან ცხოვრობს.

რადგანაც ლაშქრის ერთადერთი დასაყრდენია, —
მას თუ დასჯაბნი, გამარჯვება უკვე შენია.

განუწყვეტელი ცრემლის ღვრისგან დავბრმავდით ყველა:
მეც, რჩეულებიც. რა დავმალო, დაშრეტილ მზერას

იმ თეთრი დევის გულის სისხლი არჩენსო მხოლოდ,
შენი იმედით ვსულდგმულობთლა, ღმერთების სწორო!

ბრძენმა აქიმმა ასე თქვა და არას ვიგონებ,
შენც... თეთრი დევის მოკვდინება დროით იღონე!

თვალის სიბრმავემ რომ მთლიანად გაიაროსო,
აქიმმა ბრძანა, სისხლის სამი წვეთი კმარობსო.

II


ბტრის სიძულვილით, ბრძოლის კინით ატაცებული,
მიდის როსტომი, თან მიჰყვება მცირე კრებული.

შიაფრენს რახში, გადიარეს შვიდნივე მთანი,
დევ-ჯადოქართა ურიცხვ ლაშქარს წააწყდა თვალი.

ჰა, მოსახვევიც, სად უფსკრულთა ჯარი ელაგა,
ვერ დამჯდარიყო სად მზეც... სხივთა გასამხელადა.

გარეშემოზე აქაც ჩანდა დევთა ჯარები,
ღრიანცული და ზარი იდგა შემაზარები.

ავლადს ეუბნა: აქამომდე რა გზაც მასწავლე,
კარგად დამიჯდა... ჰოდა, ახლაც ნუ გამაწვალებ!

პრქუა მეგზურმან: ოდეს მნათი ნამეტანს ნათობს,
იძინებს დევი — მზის ცხოველი სხივები ატრბსნუ...
ნიზ...ნიჩნუ...


მოდო, და, ცოტა მოითმინე ვიდრე დაცხება,
ამ დევებს სიცხე რომ მოსთენთაფს და დააცხრება,

ღმერთი ახსენე, აფრთიანე ერთგული რახში —
და ჯადოქრებში შეცაიჭერ მხოლოდლა მაშინ.

მწველმა შუადღემ ხელთ სადავე იგდო თუ არა, —
სიცხემ ჯადოქრებს სიკვდილივით ჩამოუარა.

ადგა როსტომი, ავლადი კვლავ ხეზე მიაბა,
თავად ამხედრდა, სავალს გაჰყვა მხნედ და ზვიადად.

იტყოდით, ყველა სულიერზე არისო მწყრალი, —
ამოიწვავდა, შეათრთოლა ჰაერი ხმალით.

არემიდამო შეტორტმანდა ზახილით მისით, —
არ შეგაკრთობდა ეს ხმა, გული თუ გქონდა ქვისი.

ვითა მზე მიწას, — დევთა ლამქარს ავრე ედება...
ზარი იმისი შორეულმა იგრძნეს ქედებმაც.

და ჰა, ბნელს მიჰხვდა ბატონობა მაღალმეფური, —
გადაეღობა იწროები ჯოჯოხეთური.

თვალი ვერ სწვდება თეთრი დევის უკუნეთ ბუნავს,
ხმალს ატრიალებს ფალავანი, ბდღვინავს და ბრუნავს.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, დაღანდა მტერი, —
უკუნეთ ბნელში ცხადად ჩანდა მოთეთრო ფერი.

გახარებულის წამწამთაგან აბუქდა ბუქი,
დარდმოძალეებულს გულსა შიგან შეეჭრა შუქი.

ერთი იფიქრა: გეთხოვები ნუთულა ყოველს,
ნუთუ დასასრულს ამ თეთრ დევთან ბრძოლაში ვპოვებ?

ეს გაიფიქრა თუ არა და, ღმუილი დასცდა,
ხმალი ძალუჟად აიქნია, ჯადოქარს ჩასცა.

ბრძოლა გაჩაღდა, დევი კაცის დაჯაბნას ცდილობს, —
იტყოდით, ერთურთს შებმიაო ლომი და სპილო.

ფიქრობს როსტომი: თუ დავეჯაბნე დევი ვერაგი,
ურყევად მჯერა, ქვეყანაზე დამძლევს ვერაგინ.



თავის მხრივ დევიც ერთ საფიქრალს დაუმონია —
როგორ, რა ხერხით დავუსხლტეო მე ამ გოლიათს?...

ფიქრობს როსტომი: თუ დავმარცხდი, მერმე არავინ
პატივისცემით არ მახსენებს მაზანდარანში.

თავში ათასი ამღვრეული ფიქრი რომ უქრის,
გულს შინა მაინც მოჰფენია იმედის შუქი.

— გამწვავდა ბრძოლა, ნაკადებად დაიძრა სისხლი, —
უწყის არ ერთმან, სიკვდილისგან რა ძალა იხსნის.

უფრო გააფთრდა ფალავანი, იძმო მძნელობამ...
მყის დაუბრუნდა სიმამაცე, — შველი ხელობა.

უცებ იმარჯვა, გაუყარა გულში ხანჯალი,
იქუხა დევმან, სძა გამოსცა ერთი არჯალი.

დაიბაზმურა, დატორტმანდა, დაეცა მერე...
მოშავო სისხლი გადმოსკდა და... დაიძრა დელე.

დელე მდინარედ გადაიქცა, მდინარე — ზღვადა,
სისხლის ამ ზღვამან გზა-საველი ჩაკეტა ცხადად.

როსტომმა ავლადს გაუწოდა ურჩხულის გული,
ქაუსისაკენ წავიდნენ, რომ მოჰბანონ წყლული.

ეტყვის ავლადი: მამაცი ხარ, ლომებრ გულადი,
მალადი, უხვი, შორსგამჭვრეტი, მხნე და პურადი.

ლომო და გმირო! — პატივია შენი ტყვეობაც,
შენთან ტყვეობას მე ჩავთვლიდი კეთილდღეობად.

სიტყვამან შენმან ხომ შთამბერა ერთხელ ხალისი, —
გამიმეორე, რომ იმედი მქონდეს ხვალისი.

შენს სიდიადეს არ ეგების ზედგამზრახობა,
მეამაყება, შენ გამსახურებ, შენთან ახლოს ვარ.

პრქუა როსტომთან: მაზანდარანს სამეფოდ მოგცემ,
და ეს მხეცები თუნდ იმეფე, თუგინდა ხოცე!

გარნა ვიდრემდე სამფლობელოდ გაჩუქებ მხარეს,
გარჯა ჯერ კიდევ მოგვიხდება... ვისარჯით მხარეს!

მთელის უფლებით აქ რომ დავცეთ ჩვენი კარავი,
ჯერ უნდა მოვსპოთ მბრძანებელი მაზანდარანის.

ქვი-ქაუსის სადგომისკენ დაიძრნენ მყისვე,
თითქოს სისხლისღვრა არც შეხვდათო, მიჰქროდნენ ისე.

პრქუა როსტომმა ქვი-ქაუსს: — დიდო მეფეო!
მტერი მოვაშთე, სიხარული გავამეფეო.

თეთრ დევს მუცელი გავუფატრე მეფე-მბრძანებელს
ვერ უმფარველებს... წუხილს შეჰყრის გაუდარებელს.

ეტყვის ქაუსი: არსთ-არსების მაღალმა ნებამ
გამზევდღეგრძელოს და — ყოველთვის ამცდება ვნება.

დიდი მადლობა დედას, ვინაც გშობა და გზარდა,
შენ ზომ ყოველგვარ საიდუმლოს აჰხადე ფარდა.

ასეთი ვძირი მოუვლინა, ირანზედ ჰგამა, —
დიდი მადლობა ზაალ-დასთანს, როსტომის მამას!

სურვილთა ჩემთა რფმ ეწონვის სურვილი მისი, —
ამგვარი ლომი მმფარველობს და ჯავრი მაქვს რისი?

გული მოგვართვი, შეებრძოლე დევებს — წყულებს,
თვალებს აგვიხელს ვულის სისხლი მე და რჩეულებს.

და რიგრიგობით, არ შეჰქმნიათ რამე ცილობა,
სისხლი იცხეს და... გაჰქრა თვალთა დაშრეტილობაც.

ტახტზე დამწკრივდნენ მბრძანებელი და რჩეულები,
ბედნიერებით, სიხარულით უცემთ გულები.

მსგეფსსა ერთს ისხდნენ, ხმიანობდა ორძალი, რუდი,
გარეშემოზე სურნელებას აფრქვევდა უდი.

მარჯვენა ხელში ისე გზნებით ეჭირათ თასი,
თითქოს მარტო მათ უწყიანო ამ ღვინის ფასი.

მერვე დღეს ადგნენ, მიმოედვნენ სოფელ-დაბათა,
მეფის ბრძანებამ ველ-ძინდვრებზე ცეცხლი დაბადა.

ჯადოქარ-დევი უამრავი შეყარეს ერთად,
თავები დასჭრეს... სისხლი მათი წარხოცდა ხმელთა.



მტრედის ფერით რომ შეიცვალა თალხი და ბნელი,
მახვილის ქნევით დაჰლაღვოდა თვითეულს ხელი.

ახლა კი დროა, გნდმოგვეცესო ქონება ხელში, —
მაზანდარანის მბრძანებულთან ვავგზავნოთ ელჩი.

12

მეფის სახელზე დაიწერა მართლაც წერილი,
წერილმა გულში დაფარული ჰქმნა გამხელილი.

მაცოცხლებელი და საწყისი ყოველი ერთის, —
უპირველესად განადიდეს მაღალი ღმერთი.

მისით დაარსდა ქვეყანაზე აზრი, უნარი,
მეუფეობა მისი არის გაუხუნარი.

ცის მოელვარე მნათობები მისი მაღლია,
გონიერებით მას ამქვეყნად ვერვის ადრიან.

მხოლოდ სამართალს მისდევდეთ ამქვეყნად, რადგან —
ვინაც იცრუა, ხალხში ფესვი ვერასგზით გადგა.

როს ქვეყნის მეფე-მბრძანებელი მისდევს სიმართლეს,
მის ქვეშევრდომთაც სიმართლე სდევთ კვალში სინათლედ.

აბა, დაფიქრდი, იმ ურჩხულებს, ჯადოქარ-დევებს
რა დღე დაადგათ... სისხლი მათი მოედო ტყე-ველს...

დასტოვო უნდა შენი ქვეყნის გვირგვინი, ტახტი,
ამა ქმედებით, თავსა შენსა, ღირსეულს გაჰხდი.

როსტომთან შებმად რას გეყოფა ღონე და ძალი,
მთელს ქვეყანაზე მას იცნობენ რახშით და ხმალით.

მაზანდარანის მფლობელობა აღარ გეგების,
დაგვნებდი... და თავს ისახელებ მართალქმედებით.

თუ გაჯიუტდი, აღმოჩნდები უფსკრულებს ქვევით, —
სწორედ იმგვარად, — ვით ერყენგი და თეთრი დევი.

მწერალმა წერა დაასრულა და დიდის ამბით
დაბეჭდეს იგი მიწერილი მუშკით და ამბრით.

ფარპადს უბრძანა მბრძანებელმან: წერილი
მაზანდარანის უფალ მეფეს ჩაპბარდეს დღესვე!

მეფის წინ მდაბლად დაიხარა, აკოცა მიწას,
მერმე გაქროლდა. წამში ცხენის ფეხის ხმა მიწყდა.

ელვის სისწრაფით გადაეწეო წვიმებს და ქარებს
და აჰა, კიდევ მიაღწია ნარმფაის მხარეს.

იმისათვის, რომ დახვედროდა მომხვედურებს მედგრად,
მაზანდარანის მბრძანებელს იქ ლაშქარი ედგა.

სასმენელთ ჩასწვდა — ქაუსისგან ელჩი მოდისო,
ჩვეული არ არს დაბრკოლებას, ანდა ლოდინსო.

პრქუა მეფემან. ელჩს საკადრი პატივი აგეთ,
რაიმე, ჩვენივ საზიანო, არ დაგცდეთ ბაგეს!

წარმოგზავნილის შესახვედრად დაიძრა რაჰში,
დაფიქრებულნი მიდიოდნენ ყოვნება-დაზმით.

სახელიანი ერთი დევი, ღონით ქებული,
დაწინაურდა. ადგილზე კი დარჩა კრებული.

ელჩის მარჯვენას შეეგება მისი მარჯვენა
და მოუჭირა... ძალი ოვისი ამით აჩვენა.

მერმე მბრძანებელს წარუდგინეს. პკითხა მან ფარპადს —
გრძელი გზის შემდეგ თავსა შენსა ხომ გრძნობო კარგად.

მაღალღირსების ვით ბრძანდება მეფე თქვენიო,
სალუქი ენა ამეტყველე, — მაღლი პქმენიო!

მანაც წერილი — აბრეშუმი — ამბრი და მუშკი —
მეფეს გადასცა და მიაპყრო თვალები — ნუში.

გადაიკითხა... დაუბნელდა მბრძანებელს მზერა,
გულში იფიქრა: ვერ ვიღირსე მშვიდობა, ვერა!

საღამოს ჟამზე მზეც კი ჩადის, — სჭირდება ვანი,
მარტო როსტომი არ ისვენებს მცირედი ხანიც.

ქაუსის წერილს კითხულობდა კიდევ და კიდევ,
ცრემლის ღერა-წუხილს ვერ დაუდო ზღვარი და კიდე.

13

პასუხობს ქაუსს: მე ჯერ კიდევ შემრჩა გულიო
არ შემარჯვება სუფთა ღვინო წყალს შევურიო

რიოში ზრახვა აგყოლია, არცა ვინ გიშლის...
მეც, ღმრთის წყალობით, არ მჩვევია მხდალობა, შიში.

ჩემი სამეფო, კარგად უწყი, შენსას რომ სჯობნის,
დავთმო და... ვითარ ვიამაყო ამქვეყნად ყოფნილ?

გული ამდოვრე, თორემ თუკი წამოველ ირანს,
მოგეჩვენება გადახდილი ბრძოლები ხილად.

გავაბატონებ ირანს ზედა ფერფლსა და ნაცარს,
ველარ დალანდავს თვალთ, ახლა ირანში რაც არს.

აილო ელჩმა წერილი და მუქარამ მტრულმან
დააბაზმურა... მერმე ქროლვა უბრძანა გულმან.

აჰა, მოვიდა ქაუსთან და უამბო ყველა —
რაც მოისმინა, რასაც მისწვდა იმისი მზერა.

იმათი მეფე, — ჰკადრა ქაუსს, — გვიყურებს ისე,
ვით საწყალობელ-საბრალოებს, გონებამქისეთ.

დანაბარები არც ისმინა წესრიგიანად,
მოსმენის ღირსად არცა სცნო იგი მთლიანად.

მერმე როსტომთან მივიდა და მეფესთან თქმული
გაუმეორა... ლადოს ანდო ფალავნის გული.

ქაუსს ეახლა როსტომი და ჰკადრა: მეფეო,
უნდა ვანანო დუშმანს ჭკუა-სიიუფეო.

სიტყვის — მახვილის — კარგად მფლობი ელჩი გვჭირდება,
ვისთანც იმ მეფის იწრო განსჯა გამოვლინდება.

მე დამავალე საქმე ეგე საძნელო ახლა,
და იმ ბრიყვ მეფეს რას დავმართებ — თავადვე ნახავ.

პრქუა ქაუსმა: ტახტი ჩემი ნათობს შენითო,
ხად შევლა არ არს, შენ და ხმალი საქმეს შველითო.

ეშმაც აპყვება ვანსჯაფართო მაგ შენს საუბრებს
შენ იცი, წადი, ხერხიანი ენა აუბნე.

დაჯდა მწერალი, ამოაწო ამბრში კალამი,
არც შესავალი... არცა კიდევ სალამ-ქალამი.

პირდაპირ სწერდა: დაგვნებდიო, თორემ ინანებ...
უწყია? – როსტომ-ფალავანი გვივის ირანელთ.

თეთრი დევისას კვალს გაპყვები, საწყალობელო,
ჭკუას მოუნბე, თუკი ჭკუას ჯერაც მფლობელო.

14

დასვა თუ არა ამ წერილზე მეფემ ბეჭედი,
ფალავანთ თავმან შეარხია ფართე ბეჭები.

ამხედრდა რახშზე... უნავირზე ჰკიდია გორდა,
ორი ერთგული ვააჩნია, თან ახლავს ორთავ.

შორით დალანდეს გოლიათი როს ებგურებმა,
ქეი-ქაუსის ელჩიაო, – უგრძნოთ გულებმა.

ამბავი ესე ჩაასმინეს მაშინვე სარანგს
და მყის დაიძრა რჩეულთ რაზმი, ვითარცა ფარა.

აჰა, როსტომმაც დაინახა შინდორზე რაზმი,
მშვიდად, თითქოსდა სწადიაო მომართოს საზი,

ვეებერთელა ხესთან გაჩნდა, მოჰხვია ხელი,
ხელი მოჰხვია ხეს თუ არა, ათრთოლდა ველი.

ძირფესვიანად ამოვლიჯა, აღმართა ძაღლა,
ამგვარი ქცევით ილაღობა თითქოსდა ლაღმან.

ხე აღემართნა – უჭირავსო, იტყოდით, შუბი...
და არცა ოფლით დასცვარვია ჭკვიანი შუბლი.

ერთხანს ატარა ხე და... ჭკრეტდნენ რაზმელნი შტერად,
ამგვარი რამე არ ეხილათ არასდროს ჯერაც.

ხე მოიქნია ფალავანმა, ხანი რომ დაზმა,
და ათიოდე კაცი იქვე დაკარგა რაზმმა.

მაზანდარანის მბრძანებელთან ვაგზავნეს კაცი, —
 ზენამ გამოცდა მოგვიწყობო სასტიკი, მკაცრი...

პრქუეს მბრძანებელს: მოვიტყუოთ თავები რაზე,
 ის ვარსკვლავია, რომლის დარი არ არის ცაზე.

მახვილით ვერას ვერ გავხდებით, შევთხოვოთ ზავი, —
 თორემ დაიძვრის ჩვენს თავს ზედა სიკვდილის ზვავი.

მოდო და — ძღვენი ვაუვზავნე მომჭრელი თვალთა,
 ან... რაღა დაგვრჩა ხერხიანი ქმედების გარდა.

ხალხს გადაარჩენ, ტახტს შეირჩენ მდიდრული ძღვენით,
 რას იზამ, ზოგჯერ რაცა არ ვწადს, იგიცა ჰქმენი.

ამ ლაპარაკში გოლიათიც შემომქუხარდა,
 მიიღო იგი მბრძანებელმა, დია მწუხარმა.

ვითა წესია, ღირსეულად მიიღო ელჩი,
 ვერ ეტეოდა... გული ძალუმ უცემდა მკერდში.

ქვი-ქაუსზე ჰკითხავდა და მომქანცველ გზაზე,
 ლაპარაკობდა ღოპით დამფრთხალ ქურციკის ხმაზე.

უთხრა: როსტომი იქნებო, — მხარ-ბუჭზე გატყობ,
 ჩვენ, მე და ქაუსს, ერთმანეთში რა გვაქვსო სამტრო?!
 ზენამ გამოცდა მოგვიწყობო სასტიკი, მკაცრი...

პრქუა როსტომმა: როსტომისას რა მიგავს ნეტავ,
 როსტომის დარი არ უშვია ამქვეყნად დედას...

როსტომობაზე დიახაც რომ მიჭირავს თვალი,
 გარნა ხსენებაც, ჩემი მასთან, — მგონია ბრადი.

ქვი-ქაუსის რა ასმინა დანაბარები,
 წერილიც მისცა... წაეკიდა მეფეს ალები.

ხან ეგზნებოდა, ხან კრთებოდა ცეცხლის ალები...
 დუმილი იდგა მწერტავი და შემაზარები.

როსტომს ეუბნა: ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვი,
 რა დაგიმალა, ამ წერილმა დამხვია რეტი.

ქაუსს უთხარი: სვიანი ხარ, სახელმზიანი,
 რატომ გინდა-თქო საკუთარი თავის ზიანი?

მე მაზანდარანს ვმეუფეობ, შენ კიდევ — ირანს,
 მაზანდარანზე, ვინ არ იცის, ირანი წინ არს.



სხვათა მიწაზე შეჭრა არის ქცევა უგვანო, ვინც ასე ქმედობს,
 ბედი თავად მასვე უგანებს.

გონს მოეგე-თქო და უკანვე გაბრუნდი მალე,
 თორემ მახვილით დაგიბხელებ მზესა და მთვარეს.

ღაფალ საწადელს განერიდე, განავდე ეშმა,
 თორემ მახვილით წამოვალ-თქო, იცოდე, ვეშად.

ბედს გაწყევლინებ, არ დაგინდობ. უწყოდე კარგად, —
 ბრძოლაში იგი მარცხდება-თქო — ვინც სინდისს ჰკარგავს.

ისმენდა ელჩი, თანაც მზერას ავლებდა პალატს,
 ანთო იგი ლომისა და აფთარის დარად.

ბრძოლის წყურვილმა მთელის ძალით აატორტმანა, —
 ამ დროს მეფემან საჩუქრების ბრძანა მოტანა...

ქვი-ქაუსის ელჩს ძვირფასი ებოძა ძღვენი —
 ვვირგვინ-დინარი, აღრალები, ურიცხვი ცხენი...

ვარნა როსტომმა არ მიიღო ძღვენი და პალატს
 გამოერიდა... ბრძოლის ეინი გამოჰყვა კვალად.

ქაუსს წარუდგა და უამბო ნახულ-სმენილი,
 ხატი იმისი მღელვარებამ ჰქმნა შეფერილი.

მეფეო, უთხრა: მაზანდარანს საომრად წადი,
 გემუდარები, ჩემს დაძმულს აჰყევი წადილს...

დამშვიდებული ბრძანდებოდე — მე მათ ვაოტებ,
 სიკვდილს ასპარეზს, რომ იცოდე, მივცემ რაოდენს..

დასტოვა მეფე, გამოვიდა, გაშალა ჯარი,
 შლეგიანივით უბერავდა მინდორზე ქარი.

დიდხელმწიფური გაჩნდა ველზე მისი კარავი...
 არ დასტყობოდა ომის უინი — ჩანდა არავინ.

აღკაზმულ იყო სჯობილოვად ლაშქარი დიდი —
ისე, თითქოსდა არა სწამსო ცხოვრება მშვიდი.

16



ქართული
საქმიანობა

წუთიც არ სურს რომ დაკარგოს და დაჰქროს ქაუსი,
გზას ძლივსდა იკვლევს ქამანდების, ხმლების ზღვაურში.

მაზანდარანის ველი თითქმის ჩანდა აღარა,
წინწილა-დაფი ახმაურდა, აჰყვა ნაღარა.

დაუძლეველი ფალავანი წინ უძღვის ჯარებს,
ამ უდიადეს ჯარებს იგი ეფარვის ფარებრ.

მაზანდარანით გამოვიდა მარჯვე მხედარი, —
ჩანდა არ იყო მშიშარა და გაუბედავი.

მისი მახვილის შემხედვარე იტყოდით ასე:
ყველას, ყველაფერს ცეცხლს მისცემსო მძნელობით სავსე.

მეფემან მისმან წარმოგზავნა ქაუსთან ბრძოლად,
დაჰქროდა იგი... ჯარების წინ დაჰქროდა ძრწოლა.

შესძახა: რომელს მიგიწვდებათ მახვილზე ხელი,
ვის გერჩით ძალი ჩემთან შებმად, — გამოდით, გელით!

სისხლი არავის აუდულა მისმა ძახილმა,
ქარქაშში შფოთი არ დაიწყო ერთმა მახვილმაც.

ვაწყრა ქაუსი: შეუძახა თავის რჩეულებს,
რა გემართებათ, დავნებდეთო წყეულ გრძნეულებს?

აღვირს მოსწია უძლეველმა, ჩამოხდა წაშით...
მეფეო, — უთხრა, — დამიგროვდა ვესლი და მხამი.

შენი დასტური და თანხმობა მჭირდება მხოლოდ —
რომ დაგანახოთ — როგორია თავხედის ბოლო.

პრქუა ქაუსმა: მასთან შებმას ვერავინ ბედავს, —
აჰა, ბურთი და — იმქუხარე მოედანს ზედა.

დაიძრა რახში, ნაპერწკლები დაჰყარა ხმალმა,
გაიმახვილა სასმენელი მთამან და წყალმან.

ფერხთა ქვეშ თითქოს ვეფხვი ჰყვაო, ხელში კი — მკვლელი,
ისე გააფთრდა... ზარი დადგა შიშისა მგვრელი.

რახშის ნახტომმა დააყენა მტვერი, ბორიოქი — მიწისქვეშა
არე დგანდვარებს და ცახცახებს ვითა ფოლიო.

„მე ვარ როსტომი“, იქუხა და — თავსაც დაესხა, —
ათრთოლდა მტერი, თავზარი და ბნედა დაეცა.

როგორც კი იგრძნო, დაძლიაო, მიეცა ლაღარს,
შემოაბრუნა ცხენი სწრაფად, გაქცევა სცადა...

ხერხი იხერხა აქ როსტომმა გასაკვირველი...
ხმაღს წამოავო იგი, ვითა შამფურს — ფრინველი.

მალლა ასწია დროშასავით, ძირს დასცა მერე,
მყისვე დაიძრა მეწამული, ასკეცი ღელე.

მაზანდარანის ფაღავენები იდგნენლა შტერად,
ამ საოცრებით გაჰყინვოდათ სისხლი და შურა.

არ დაფრთხა მხოლოდ ერთადერთი — სარანგი მათი, —
ჰქროდა... თითქოსდა ამ გზით სწადდა გაეხსნა ხლართი.

სულთ დაცემა, — ჰრქუა მხედართ, — აქ არ ეგების,
ჩვენზე ძლიერნი არ არიან, გწამდეთ, ეგენი!

თითქოს ამის თქმას ელოდნენო, იშიშვლეს ხმლები,
ცისაწიერი მოწოდების შეიძრა ხმებით.

დაიბრა-ქუსი, დაფ-ებანი ერთურთს ერევა,
იტყოდით, ქვეყნად მოიშთოთ ბედნიერება.

მსგეფსსა ერთს ავად ტრიალებდა ხელში, მახვილი,
ბრძოლის ამგვარის არვინ იყო ჯერაც მნახველი.

მერვე ღღეს, შეფემ ირანისამ, რა ნახა ნისლი
არ განიფანტა, მოიხადა გვირგვინი თვისი,

თავი დახარა არსთ-არსების ღირსების წინა,
და შეკლალადა მას უჩინარს, დიდ ძალის მჩინარს.

შენ, უმაღლესო უუმაღლეს უმაღლესთ შორის,
მართალქმედებით არა გიჩანს რიმელსაც სწორი...

რომელ ისარჯე — შეგვიქმენი წყალი და ხმელი...
მოიღე მადლი ჩემსა ზედა, შემიწყე ხელი —

რომ დაგამარცხო ესე ურცხვი, ბინძური დევნი,
ამას გენუკვი, — სხვა წადილი არა მაქვს ბევრი.



ქართული
ლიბრარი

დაიძრა ჯარი, წარემძღვარნენ გივი და თუსი
ერთი წადილით — ამ ჯადოქრებს გაავლონ მუსრი.

წინამძღვართ მისდევს შავორანის მამაცი ზანგე,
ყური და სმენა წაუღია საბრძოლო ჰანგებს.

დაიწყო ბრძოლა, ცისკიდური გაწითლდა ცეცხლით —
ხმლებს რომ სცვიოდა... გამორბოდნენ ტყეთაგან მხეცნი.

ფალავანთ თავი ღუშმანის ჯარს დააცხრა ქორებრ,
და — მეწამული მდინარენი დაიძრნენ მდორედ.

მარცხენა მხარეს გივის ხმალი ფხიანობს, ცხარობს,
მგელია იგი, მტერი მასთან უმწეოდ ცხვარობს.

ოდეს კეკლუცად გადმოხედა სამყაროს მნათმან,
სისხლის ურიცხვი დედეები გამოჩნდა ნათლად.

ისევ დაიხშო ყურთასმენა დაფ-ებან-ქუსით,
წინ დაუცხრომლად მიიწევენ რაჰამი, თუსი.

მაზანდარანის მბრძანებელი დაჰქრის და შმაგობს,
ფიქრობს: ხამს მტერმა სიავისთვის პასუხი აგოს.

ომში ნაწრთობი სპილოები მისდევენ კვალში,
ხვითქი გადასდის, — დაიღალა მბრძანებლის რაში.

კვლა შეეჯახნენ სპანი... ელვამ არე დასერა,
ხელნი აღაპყრო როსტომმა და ღმერთი ახსენა.

ხოცა და სოცა ჯადოქრები, დევები — მრავლად,
მთებად დაეწყო გვამები და გაჭირდა გავლა.

გარნა ეს თითქოს არად უჩნსო, მიიწევს ახლა
მათი მეფისკენ. გულში მისი მოსრუა აქვს ზრახვად.

ჰა, შეეჯახნენ. შედგნენ მერმე. წინ წარსდგეს ფერხნი,
იმათ ზახილთან ჩურჩულს ჰგავდა გავარდნა მუხის.

როსტომის სახეს, ზარისდამცემს, უცებ შეხედა
 დევთა მეფემან და... კანკალი უწევს ფეხებმა.

აჰა, ქაუსიც მოცაიჭრა. მძლეთამძლეს ეტყვის
 ვიდრე ველოდი, დრო დავხარჯეთ იმაზე, მტერი მოვხედა

პრქუა როსტომმა: მაინც ჩვენთვის ანათებს მნათი...
 ზრძოლა გაგრძელდა? – მარცხი მაინც ვიხილეთ მათი.

მაზანდარანის მბრძანებელი შემება იცი, –
 მემუქრებოდა... დავამარცხე, .. არ უნდა ფიცი.

მეფე კი არა, ჯადოქარიც დავჯაბნე წამში,
 იმათ ხსოვნაში დღესა ამას ვერარა წამლის.

პყვება როსტომი ჯადოქარზე, – ქაუსი ისმენს,
 და უცხად, თვალი ძლივს რომ მოჰკრეს, მობრუნდა ისე –

ეს ჯადოქარი. თვალის წამში, ვითარცა ელვა,
 კლდედ გადაიქცა... ირანელებს დაატყდათ დელვა.

დიდებულთ სცადეს რიგრიგობით ამ კლდის გათრევა...
 ამ წამებაში დღე დაღამდა, ღამე გათენდა.

ამა საქმეზე ვერცა რომელს მიუწვდა ხელი, –
 ურყევად იდგა ერთ ადგილზე მბრძანებლის მცველი.

აქ კი წამოდგა ფალავანი თავი და თავი,
 მიირწეოდა ისე, ვითა ღრუბელი შავი.

მივიდა, დასწვდა, აიტაცა კლდე იგი წამში.
 ზახილი იწყო, ბზარი რამე არ უჩნდა ხმაში.

შუბივით მალლა ამართული ერთხანს ატარა, –
 ორთავე ჯარმა გაოცება ველარ დაფარა.

ბუმბულის დარად მიაქვს კლდე და მისდევინ კვალში
 ირანელები. ქება-ხოცბით ატყორცნეს ცაში.

ქეი-ქაუსთან მიიტანა მთა იგი, დადო,
 ჯადოქარს უთხრა, მოიხსენი ახლავე ჯადო, –

თორემ დაგიმსხვრევ ამ ვრანიტის საბურველს ახლავ,
 და ვაი შენს ტყავს... უვნებელი ვერსაით წახვალ.

ამ მუქარაზე, დაიძრაო თითქოსდა ზვავი, —
 მთას შიგან მყოფი დევი აღჩნდა — ღრუბლისებრ შავი.



მაზანდარანის მეფე იყო — გონება ბნელი, —
 შეჰხედა გმირმა, მერმე ზიზღით მოჰკიდა ხელი,

ქაუსისაკენ მიათრევედა ვით ბინძურ საგანს,
 მის ფერხთქვეშ მისცა სამყოფელი, და არა სხვაგან.

სამარცხვინოა, თქვა ქაუსმა, მისი მეფობა,
 და რაც იმეფა აქამომდე. ისიც ეყოფა!

ნაკუწ-ნაკუწად აქციეთო ბრძანა და წამსვე
 გააცამტვერეს იგი, ჯადო-მძნელობით სავსე.

დამარცხებულებს უდიდესი სიმდიდრე აქვდათ —
 არც აღმასები, არცა ოქრო-სპეკალი აკლდათ, —

ვაითავისეს ეს სიმდიდრე ირწუნელებმა, —
 სოქალ-ბისონი, სარას-ღი ზიდეს ცხენებმა.

ღმერთს შეჰლაღადა მბრძანებელმან ირანისამან —
 ელაღობო შენი სიშართლიან სამართლისაგან.

დაუმორჩილე ჩემს უფლებას სამეფო დევთა,
 ჭაბუკად ვიქმენ... არცა რისი მექნება სევდა.

შეჰლაღადებდა მსგეფსსა ერთსა — შეიდ დღეს და ღამეს, —
 არცალა ვინმე ახსოვდა და არცალა რამე.

განაწილება ალაფისა თავის თავს იღო, —
 ყველა მეომარს შეახვედრა მდიდრული ჯილდო.

შემდგომ ამისა განცხრომა და ლხენა ინება,
 სავსე ფიალებს მალლა სწევდა გულმიოდგინება.

მაზანდარანის უბრწყინვალეს პალატებს შინა,
 მსგეფსსა ერთს რუდის ხმიანობას დაედო ბინა.

ზის ბედნიერი მბრძანებელი ოქროს ტანტს ზედა,
 ამგვარად ეტყვის უპირველეს მეომარ-მხედარს: —

ზღაპრული ძალის ფალავანო, დიდება შენდა! —
 შენ ის ხარ, ვინაც ამ ბრძოლებში იმედსა მფუნდა.



შენ დამიბრუნე დაკარგული გვირგვინი, ტახტი,
შენ, გულის ჩემის, წყლულიანის, მაღამო განდი!

პასუხობს: დიდი მხარდაჭერა ვიგრძენი ციდან..
ხამს მოგახსენო — დამეხმარა ავლადიც დიდად.

ვზები მიჩვენა, იდუმალის მასწავლა ენა,
სწორედ ამიტომ მაჩანდარანს დავპირდი ძღვენად,

დაპირებულის აღსრულება ღმერთსაც ეგების...
თავადაც იცი, მბრძანებულო, ყველა ეგენი...

თანხმობის ნიშნად მეფემ მკერდზე მიიღო ხელი,
სამსახურისთვის ავლადს ეძღვნა სამეფო მთელი.

მშობელ მიწას კი... ვერ შეგიცვლის სხვა მიწა ასიც,
და ირანელებს, ცხადია, რომ უხმობდა ფარსი.

17

გამარჯვებული რა დაბრუნდა ქაუსი ირანს,
ხალხსა ჰხედავდა სიხარულით მოცინარ-მტირალს.

ვარდნი, ტიტანი აბზინებდნენ მანგსა თუ... ცვარებს,
ირანის მხარეს დაჰნათრდა ახალი მთვარე.

დანატოვარი განძი მამის აათიათა,
და — მბრძანებელი საქმემ ამან გაადიადა.

ხაზინა გახსნა, — ილალოსო ყოველმან კაცმან, —
უანგარიშო და ულევი განძი რამ გასცა.

ტახტს მიეახლნენ დიდებულნი როსტომთან ერთად, —
თვალის მომჭრელი ელვარება შეიქმნა ფერთა.

ქაუსის გვერდით ჯდება იგი, ნიმრუზის გმირი, —
ბედნიერებით, სიხარულით უცინის პირი.

მბრძანებელს ჰკადრა: გემსახურე, შენზედა მგამა,
აწ ნება დამრთე, ვიხილო მშობელი მამა.

ბრძანა მეფემ და — სკარამანგი ეძღვნა მეფური,
დაშვენდებოდა სამოსს ამას მეფურ-მთებური.

ასი მხევალი აჩუქა და ასი ყრმა მონა,
ოქროს ქაშრებით, გვირგვინებით მოურთო ყოლა.



ოქროსლაგამა უძღვნა ასი ფრთიანი ცხენი,
სარასალები... ეყოფოდა თავისი დღენი.

მუშკ-ამბრ-ალღეს აბრეშუმზე მოუნატია
ბრძანება ქეი-ქაუსისა: ვხნაც ათია

მრავალი ღამე დიდ ბრძოლებში, შავბნულს ყოფაში,
ნიმრუზს გაძლევეო სამუდამო მფლობელობაში.

ტახტს ეამბორა ფალავანი, დიდების ღირსი,
და... წასასვლელად მოემზადა ამალა მისი.

თუსს სპასპეტობა უბოძა და ამევარად კრქუა:
ირანს იცავდე, სამსახურად გასარჯე ჭკუა!

გოდერძის მისცა ისფაჰანის მბრძანებელობა,
ისიც დამოძღვრა: აქციეო განსჯა ხელობად!

თითქოს უღვინოდ არა აქვსო სიცოცხლეს ფასი,
მერმე დაჯდა და - მოიმარჯვა ფირუზის თასი.

წარსულს ჩაბარდა ბრძოლა, შუღლი და უგბილობა,
არავის სურსდა გაიხსენოს ძველი ჭრილობა.

თავის ენაზე საუბრობენ ხაკადულები,
ტიტა-ნარგიზთაც გადმოშალეს ოქროს გულები.

მაზანდარანზე გამარჯვებას ილხენდა ყველა,
ამბავი ესე საოცარი - გავრცელდა ხელად.

ლაშვარად წასვლა კავკასიანს

ხანი გამოხდა. ქეი-ქაუსს დიდისა ნდომით
კვლავაც მოუნდა წამოეწყო ახალი ომი.

დაძრა ლაშქარი. შეცაიჭრა ჩინსა და თურანს,
მექრანს მიადგა - წინ არავინ აღუდგა ხუცია.

მექრანის შემდგომ მიაყენა ლაშქარი ზარეჰს, -
იფიქრა, მოდი, დავიპყრობო სამყაროს ბარემ.



რინგ ლარდნერი

მართი დღე კონრად გრინთან



გოთხროვა

ინგლისურიდან თარგმნა ნუგზარ რუხაძემ

კონრად გრინს უგუნებოდ გამოეღვიძა. ჯერ ვერ გაიხსენა, რა მოხდა ასეთი, მერე მოაგონდა — აკი პერმან პლანტი მოკვდაო. პერმან პლანტი მისი პირადი მდივანი იყო წლების მანძილზე, და განა მართო პირადი მდივანი — მხარის დამჭერი, ფარი და მახვილი, ხანდახან ლაქიაც, მისი უშნო ენამახვილობის საშიშნე და მყრალი ხასიათის უსიტყვოდ ამტანი... რაღაც ორმოცდახუთ დოლარს კი უნდიდა კვირაში.

პერმან პლანტი მოკვდა და ეზრა პაბლსმა — ისიც ანტრეპრენიორია — ახალი კაცი გამოუგზავნა, ლუისი, მაგრამ მან თავიდანვე უხეირო შთაბეჭდილება დატოვა გრინზე. გადაკრული სიტყვა არ ესმოდა, ყველაფერი პირდაპირ უნდა გეთქვა და, თუკი გააგებინებდი რამეს, ისე შემოგხედავდა, უკანასკნელ რეგვენს რომ შეხედავენ, ეს რა მითხრაო, არადა, თავიდანვე სამოცი დოლარი მოითხოვა კვირაში. გრინმა კარგად იცოდა, პიბლსს თვალის დასაანახად ვაშლვარ და, ვინ იცის, იქნებ გაბრყვებას მიპირებსო.

კონრად გრინს ძილი დააკლდა და იმიტომაც ვერ იყო ხასიათზე: სამი საათი სრულდებოდა, თავის ახალგაზრდა ცოლითურთ ბრაიენტ-უოკერებისაგან რომ წამოვიდა წინა ღამეს. მისის გრინი, გათხოვებამდე „ვენეტის“ გუნდის მომღერალი მარჯორი მენინგი, შინ წავიდა ლონგ აილენდზე. თვითონ, ჩვეულებისამებრ, სასტუმრო „ამბასადორში“ დარჩა.

მარჯორის უფრო ადრე უნდოდა წასვლა; ძალიან კი ცდილობდა ყურადღება მიეპყრო, მაგრამ არისტოკრატიკა მასპინძლებმა და სტუმრების უმრავლესობამ ჩირადაც არ ჩააგდეს. ქმარს გამოუტყდა, ყელში ამომივიდა ამისთანები და იმისთანებით, მე თუ მკითხავ, ყველას მოუსავლეთში გაგვგზავნიდით. მაგრამ გრინს ლამაზ ჯოის ბრეინარდზე დარჩა თვალი, პოლოს სახელგანთქმული ვარსკვლავის ცოლზე, და საკუთარ ცოლს ფეხი არ მოაცვლევინა იქიდან. სანამ ბრეინარდები არ წავიდნენ.

კიდევ შეიძლებოდა წაეთვლიმა, მაგრამ წუხანდელი ამბების მოგონებამ გამოაფხიზლა: მისი თეატრალური დიდებითა და რამდენიმე ჭიქა ვისკით თავბრუდასხმული მისის ბრეინარდი თითქმის გაუარშიყდა. სამსახურში გამოგივლითო, შეპირდა, სცენაზე ჩემი გამოყვანის თაობაზე მოსალაპარაკებლადო (რასაც, ორივემ კარგად იცოდა, განხორციელება არ ეწყრა, სანამ ბრეინარდი ცოცხალი იყო). მთავარი მაინც ისაა, რომ მისტერ და მისის გრინებს გაზეთებში

გამოაცხადებდნენ ბრაიენტ-უოკერების სტუმრებს შორის, ვანდერბეგების, სატონების, შუილერების გვერდით. პირდაპირ გულში ჩასცემდა ლახვარს, პიბლსა და „შოუ-ბიზნესის“ სხვა გაიდვერებს. ახლავე მოატანინებს გაზეთებს და თავის სახელს მოძებნის. თუმცა არა — აგვიანდება და ქობულაძის სახლში წავიდეს. ისე, დიდი არეულ-დარეულობა კია ჰერმან პლანტის — გრინის, მარტლა, სალამოს პლანტის დასაფლავებაზეა წასასვლელი და არ დაივიწყდეს!

გრინმა იბანავა, ტელეფონით საუზმე შეუკვეთა, დალაქსაც უხმო, მერე იისფერ-ნაცრისფერებში გამოეწყო და ბროდვეისაკენ გაემართა. ისე მიაბიჭებდა, თითქოს არც გაეგონოს გვერდით ჩავლილი ორი ქალიშვილისა და უესნესტერელი დალალის მოკრძალებულად ნათქვამი: „აი, კონრად გრინი“.

გრინი კაბინეტში შევიდა, მდიდრულ, ვიზიტორულად გაწყობილ კაბინეტში, კედლები ძვირადღირებული პეიზაჟებითა და თავისი ცოლის პორტრეტით რომ ჰქონდა დამშვენებული. ოცდახუთდოლარიანი ქუდი მოიხადა, სარკეში ჩაიხედა. ეტყობა, კმაყოფილი დარჩა საკუთარი ორეულით, მერე მაგიდას მიუჯდა და მის ჯეკსონი გამოიძახა.

— დილის გაზეთები მომიტანეთ და ლუისს უთხარით, შემოვიდეს.

— გაზეთების მოსატანად ვანმე უნდა გავაგზავნოთ, — დალლილი შეეპასუხა მისს ჯეკსონი, ორმოცდაათიოდე წლის სახეგანაწამები ქალი.

— რას ნიშნავს, ვინმე უნდა გავაგზავნოთ? იმ ბიჭთან ხომ მოლაპარაკებული ვიყავით!

— კი ბატონო, მაგრამ უარი გვითხრა, არაფერი გამოვა, სანამ ვალს არ ვადამიხდითო.

— რამდენია გადასახდელი?

— სამოცდახუთი დოლარი.

— სამოცდახუთი დოლარი! გაგიყვებულა! კვირაში ერთხელ ხომ უხდით?

— თქვენ თქვით, ნუ უხდითო.

— როდის ვითხარით!.. სამოცდახუთი დოლარი?! გვძარცვავს და ეგაა!

— არა მგონია, მისტერ გრინ, — თქვა მისს ჯეკსონმა, — წიგნაკი ძაჩვენა, ოცდაათი კვირაა, ნამდვილად არაფერი მიგვიცია.

— ეშმაკმა იცის მაგისი თავი! სამოცდახუთი დოლარის გაზეთები სულ არ გამოდის ალბათ! გვიჩივლოს, თუ უნდა. მაგრამ ახლა დილის გაზეთებზე მჭირდება სასწრაფოდ. ხვალიდან აქვე, მოსახვევში ვიყიდით ხოლმე და ფულსაც იქვე გადავიხდით. ლუისს უთხარით, ფოსტა შემომიტანოს.

მისს ჯეკსონმა კაბინეტი დატოვა და ამჯერად ახალი მდივანი შემოვიდა. ოცდაათიოდე წლის კაცი იქნებოდა, საშუალო სკოლის მასწავლებელს ჰგავდა.

— დილა მშვიდობისა, მისტერ გრინ, — მიესალმა უფროსს.

პატრონმა ყური არ ათხოვა სალამს.

— არის რამე? — ჰკითხა გრინმა.

— ისეთი არაფერი. უმეტესობას უკვე ვუბასუხე. რაღაც მასალებია ამონაჭრების ბიუროდან და კიდევ ვიღაც ფილადელფიელის წერილი; ვალის გადახდას თხოულობს.

— მერედა, ვინ ვითხრა, გახსენიო?! — აიძვრა გრინი, — არ ეწერა, პირადადო?

— იცით რას გეტყვით, მისტერ გრინ, — წყნარად მიუგო ლუისმა, —

თქვენზე მიტხრეს, ხელქვეითებს უხეშად ექცევით, და მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ამდაგვარ მოპყრობას ჩვეული არა ვარ და არც ვაპირებ მივეჩვიო. წესიერად თუ მომექცევით, ვიმუშავებ თქვენთან, არადა — წავალ.

— რას ამბობთ, ლუის! არც მიფიქრია უხეშობა. უბრალოდ, ასეთი ლაპარაკი ვიცი. რაც იყო, იყო. დაივიწყეთ და ამის შემდეგ სასაყვედურით არაფერი გექნებათ.

— კეთილი, მისტერ გრინ. თქვენ მიბრძანეთ, ყველა წერილი გახსენითო იმათ გარდა, რომლებსაც რაღაც პატარა ნიშანი ადევთო...

— ვიცი, ვიცი. ახლა ამონაჭრები ვნახოთ გაზეთებიდან.

ლუისმა ამონაჭრები მაგიდაზე გაშალა.

— ათი ცალი გადავადდე: სულ ერთი და იგივე იყო — „ბონი ბლუსთან“ რომ დადეთ ხელშეკრულება მომავალი სეზონისათვის. ერთი განცხადებაა კიდევ, თქვენსა და სემ სტეინს შორის თანამშრომლობის თაობაზე.

— რამ მიაცემინათ ასეთი განცხადება. რაღა მიჭირს, სტეინისთანა ოხერს თუ გადავეკიდე! პიბლსმა მიტხრა, იმ გაფუჭებული ჯეიმზის ძმა და მეგობარიაო. თუმცა, არც პიბლსია ნაკლები. ეს გრძელი განცხადება რაღაზეა?

— სტატიაა ახალგაზრდა კომპოზიტორზე, კასპერ ეტელსონზე. დიმს ტეილორის დაწერილია. თქვენ მხოლოდ ბოლოში ხართ ნახსენები.

— წამიკითხეთ, ერთი! ამ ბოლო დროს თვალები გადამეღალა...

ცხონებულმა პერმან პლანტმა „ამ ბოლო დროს გადაღლილი თვალების“ შესახებ პირველად ოცი წლის წინათ გაიგო. გადაღლა კი არა, სულ ვერაფერს ხედავდა, თუ ორმარცვლიანზე უფრო გრძელი სიტყვა ჰქონდა წასაკითხი.

— დღემდე, — წაიკითხა ლუისმა, — ეტელსონს არ ღირსებია შესაუფერისი ტექსტი თავისი ექსპრესიული მუსიკისათვის. ნამდვილად დაგვატკობდა ეტელსონის პარტიტურა და ბერის ლიბრეტო კონრად გრინის დადგმულ სპექტაკლში.

— ვინ არის ეს ბერი? — იკითხა გრინმა.

— ფფიქრობ, ჯეიმზ მ. ბერი უნდა იყოს, — უპასუხა ლუისმა, — „პიტერ პენის“ ავტორი.

— მე ინგლისელის დაწერილი მგონა „პიტერ პენი“, — თქვა გრინმა.

— მგონი, მართლა ინგლისში ცხოვრობს. ისე, შოტლანდიაშია დაბადებული. ახლა სად იმყოფება, ვერაფერს ვეტყვით.

— გამიგეთ ერთი, ნიუ-იორკში თუა, და როგორმე დაუკავშირდით. იქნებ დაგვიწეროს ორიოდე სცენა ახალი წარმოდგენისათვის. შემოდით, მისს ჯეკსონ. ოპო. გაზეთები!

მისს ჯეკსონმა გაზეთები მიაწოდა და გავიდა. გრინმა პირველად „პერალდ ტრიბუნი“ გაშალა. თვალების ტკივილს მაინცდამინც არ შეუშლია ხელი ის ვვერდი მოეძებნა, სადაც მაღალი საზოგადოების ქრონიკა იბეჭდებოდა. არც თავისი გვარის წაკითხვა გაუჭირდებოდა, ოღონდ კი სადმე შეემჩნია დაწერილი. სამი აბზაცი ბრაიენტ-უოკერებს ეძღვნებოდა, ორი მხოლოდ სტუმრების გვარებს ეკავა, კონრად გრინი კი გამოტოვებული იყო.

გრინი სხვა გაზეთებს ეცა, „უორლდის“ და „ტაიმის“ გადასინჯვას აგივე შედეგი მოჰყვა, დანარჩენ გაზეთებში სულ არ იყო ნახსენები ის წვეულება.

— ზოგიერთებს ჰკუთხის ვასწავლი ამის გულისთვის!..

მერე რალაც დაჩხაპნა ქალაღდზე და ლუისს გაუწოდა.

— იი, ეს გადააბეჭდინე და დაუგზავნე ყველა გაზეთის გამომცემელს. პლანტის მაგიდაზეა მათი გვარები. ყური მიგდე, ჭრონიკის რედაქტორებსა პკითხონ, რატომ არ ვწერივარ ბრაიენტ-უოკერებთან ორშაბათ სალამოს მიწვეული სტუმრების სიაში. ჩემთვის სულ ერთია, რეკლამას არ დავექმნე, მაგრამ შეთქმულებას ჰგავს ეს ამბავი. ისიც მიაწერე, როგორც თქვენი გაზეთის მეგობარს და მუდმივ გამომწერს, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, შეგატყობინოთ. ვფიქრობ, საკმარისია.

— მე თუ მკითხავთ, — თქვა ლუისმა, — ასეთ განცხადებაზე მასხრად აგვიგდებენ.

— გააგზავნეთ! იმ ნაყარ-ნუყარა რეპორტიორებს ვერ გავასულელებინებ თავს.

— რეპორტიორებს რას ერჩით, იქ არც ყოფილან. სტუმრების სიას მასპინძლები იძლევიან ხოლმე.

— მომისმინე, — შეყოვნდა გრინი და წუთით დაფიქრდა, — კარგი, ასე იყოს, ნუ გააგზავნი ნურაფერს, მაგრამ ბრაიენტ-უოკერებს თუ ასე ეთაკილებოდათ ჩემი სტუმრობა, რა ეშმაკად მპატიყებდნენ იმ სალამოს? არც მე ვგვიყდებოდი წასვლაზე და არც ისინი იყვნენ ჩემგან დიდად დავალებულნი. მე არასოდეს...

ზარმა გააწყვეტინა სიტყვა გრინს, ტელეფონისტმა გოგონამ მოახსენა. ბრაიენტ-უოკერების პირადი მდივანი გირეკავთო.

— მისის ბრაიენტ-უოკერის სახელით გელაპარაკებით, — გაისმა ქალის ხმა, — ქალთა პროგრესის დღეს იგი გასართობ ღონისძიებთა საორგანიზაციო კომიტეტს თავმჯდომარეობს და უნდოდა, მეთხოვა თქვენთვის...

გრინმა ყურმილი დაკიდა და შეიკურთხა.

— ესეც ამის პასუხი! — დაასკვნა, — დამბალი მექრთამეები!

მისს ჯეკსონი ისევ გამოჩნდა კარებში.

— მისტერ რობერტ ბლერი გელოდებათ.

— ვინ არის?

— თქვენ იცნობთ. შარშანდღლი წარმოდგენისთვის რომ წერდა რალაცას.

— კი, კი, მახსოვს. პლანტის სახლში ყვავილები ხომ არ გაგიგზავნიათ?

— გავაგზავნე, მშვენიერი ვარდები იყო.

— რა დაჯდა?

— ორმოცდახუთი დოლარი.

— ორმოცდახუთი დოლარის ვარდები?! ცხონებულს სიცოცხლეში სძულდა ყვავილები... კარგი, კარგი. ბლერი შემოვიდეს.

რობერტ ბლერი ერთი პატივმოყვარე ახალგაზრდა გახლდათ, თავისუფალი შემოქმედი, რომელიც კარგა ხანია ამაოდ ცდილობდა რაიმე დაეწერა თეატრისათვის.

— დაჯექით, ბლერ, — უთხრა გრინმა, — მოიფიქრეთ რამე?

— მისტერ გრინ, შარშან არ მოგეწონათ ჩემი ნაცოდვილარი, მაგრამ ახლა ისეთი სცენა მაქვს გააზრებული, წყალი არ გაუვა.

— კი, ბატონო, თუ დამიტოვებთ, გადავიკითხავ.

— ჯერ არ დამიწერია. ვიფიქრე, ჯერ ვუამბობ-მეთქი.

— აბა მიდი, მაგრამ მოკლედ, დღეს ქვეყნის საქმე მაქვს გასაკეთებელი. პლანტის დასადგლავებაზე უნდა წავიდე, რაც მთავარია.

— ძალიან დაგაკლდათ, ხომ, პლანტი? — უთხრა ბლერმა სინანულით.

— ძალიან! უსაყვარლესი ადამიანი იყო, და, — ლუისს გაუხედავდა. — უან-თეს პირად მდივანს ვერც ინატრებდა კაცი. პო, რა სცენაა, მიტყაპტყაპტყა.

— სად მოყოლილი და სად სცენაზე დადგმული, მაგრამ მაინც გეტყვი. პოლიციას შეატყობინეს, ვილაც ქალი მოკლესო საკუთარ სახლში. პოლიციელებს ადგილზე დახვდებოდათ იმ ქალის ქმარი, რომელიც რაღაც საეჭვოდ იქცევა. ქმარს შესამე კატეგორიით დაკითხავენ, იგი ამგვარ დაკითხვას ველარ უძლებს და აღიარებს, მე ვარ მკვლელიო. ეკითხებიან, რატომ მოკალიო. რატომ და, ლობიო მიყვარს ძალიანო, პასუხობს. იმ საღამოს, სახლში რომ მივიდა, ცოლს ჰკითხა თურმე, სადილად რა გვაქვსო. ცოლს უთქვამს, ბატკნის მწვადები, კარტოფილი, ისპანახი და ვაშლის ნამცხვარიო. ლობიო თუ გვაქვსო, ისევ უკითხავს ქმარს. არაო, უთქვამს ცოლს და ქმარსაც იქვე გაუფრთხობინებია მისთვის სული... ეს ამბავი, რა თქმა უნდა, სცენაზე გათამაშდება, მაინც...

— არაფრად არ ვარგა! — მოუჭრა გრინმა. — ჯერ ერთი, ბევრი ხალხი მონაწილეობს — ეს პოლიციელებიო, ეს ისინიო...

— ვინაა ბევრი! ორი პოლიციელია სულ და ერთი კაცი თავის ცოლიანო. მოყოლა დამაცადეთ და ყველაფერს გაიგებთ.

— არ მომწონს. არ ვარგა. შემოიარეთ, როცა უკეთესი გექნებათ რამე. ბლერი რომ წავიდა, გრინი ლუისს მიუბრუნდა:

— თქვენ აღარ მჭირდებით, მისს ჯექსონს ვადაეციო, მარტინს დაუკავშირდეს და უთხრას, დღესვე შემომიაროს როგორმე.

— რომელ მარტინს? — ჰკითხა ლუისმა.

— თვითონ იცის, ჯო მარტინს. ეს ის კაცია, ლიბრეტოებს რომ გვიწერს ხოლმე.

კონრად გრინი მარტო დარჩა. სეიფთან მივიდა, გახსნა და პატარა კოლოფი გამოიღო, რომელზედაც ფილადელფიელი ოქრომჭედლის გვარი ეწერა. კოლოფს თავი ახადა და შიგ სათუთად ჩაწყობილ წყვილ მარგალიტს დაამტერდა. ამ სიამოვნებაში იყო, მისს ჯექსონი რომ შემოვიდა. გრინმა სასწრაფოდ დახურა ყუთი, შეინახა და სეიფი ჩაკეტა.

— ისევ ის კაცია, — მოახსენა მისს ჯექსონმა, — ჰოული, „გეი ნიუ-იორკიდან“.

— უთხარით, არ არის-თქო.

— მე კი ვუთხარი, მაგრამ არ სჯერა, რომ მოხვედით, მაშინ დაუნახიხართ, დაველოდები, სანამ არ მოიცვლის ჩემთვისო. მისტერ გრინ, იქნებ მიგელოთ, თორემ ეგ ფეხს არ მოიცვლის აქედან, დიდი უჯიათი ვინმეა.

— კარგი, შემოუშვით, — მოთმინება დაეკარგა გრინს, — თუმცა ვერცა ვხვდები, რა უნდა ჩემგან.

ყოველთვის კარგად ჩაცმული და მუდამ მოლიმარი ჰოული არ მოეშვა თავის უხალისო მასპინძელს, სანამ ხელი არ ჩამოართვა. გრინი ისევ მაგიდას მიუჯდა.

— ვფიქრობ, სადღაც შევხვედრივართ ერთმანეთს.

— მე არ მახსოვხართ, — მოკლედ მოუჭრა გრინმა.

— კარგით, ამას არა აქვს მნიშვნელობა. დარწმუნებული ვარ, წაგიკითხავთ ჩვენი პატარა გაზეთი — „გეი ნიუ-იორკი“.

— არა, — თქვა გრინმა, — ხელნაწერების გარდა ვერაფერს ვკითხულობ.

— რომ იცოდეთ, რას კარგავთ! — შეიცხადა პოულიმ. — ეს ნამდვილად მზარდი გაზეთია, დიდი რაოდენობით ვრცელდება ნიუ-იორკში და მსოფლიო მრავალ ქალაქში. ვინც თქვენთვისაც ერთობ საჭიროა.

— აჰა! მაშ, ხელმომწერებს დაეძებთ! — თქვა გრინმა.

— არა, განცხადებებს.

— რაღა დაგიმალათ, მისტერ პოული, და არავითარი განცხადების გამოქვეყნებას არ ვაპირებ. ისიც ზედმეტია, რასაც ყოველდღიურ რეკლამაზე ვხარჯავ.

— მე მაინც ჩემი უნდა გითხრათ, მისტერ გრინ, მიუტევებელ შეცდომას დაუშვებთ, თუ მთელ გვერდს არ დაიკავებთ „გეი ნიუ-იორკში“. ბოლოს და ბოლოს ათას ხუთასი დოლარის საქმეა სულ.

— ათას ხუთასი დოლარი! ხუმრობთ ალბათ. ჩემი გატყავება არც ისე ადვილია!

— არც მიფიქრია, მისტერ გრინ, მაგრამ ერთი ამბავიც მინდა შეგატყობინოთ: ამას წინათ ერთი ჩვენი რეპორტიორი მოვიდა და მამხილებელი მასალა მოიტანა. თურმე მანსა და მანს ბანკში ფული წაუგია და აღარ გადაუხდია. პარტნიორს უნდოდა ამ ამბის გამოქვეყნება, მაგრამ მე ვუთხარი თქვენზე, ჩემი მეგობარია და თავისი საქმის გარკვევა აცალეთ-მეთქი.

— არ ვიცი, რაზე შელაპარაკებით. თუ თქვენს თანამშრომელს უნდა რაღაც თამაშის ამბავი დამაბრალოს, გაგიჟებულა და ეგ არის!

— არა. არც გიჟია და არც სულელი. პირიქით, ძალიან ტკვიანი კაცია, თავისი საქმის მცოდნე. ჩვენ მხოლოდ ასეთებს ვიღებთ სამუშაოზე და ყველაფერში ვენდობით, რასაც გვიწერენ.

კონრად გრინი დიდხანს ხმას არ იღებდა, მერე თქვა:

— ჯერ ერთი, არ მესმის, რა წაგებაზე შელაპარაკებით, მერე კიდევ ათას ხუთასი დოლარი რა ამბავია! მაგრამ, რადგანაც მაგ გაზეთს ჩემთვის საჭირო ხალხიც ეტანება თურმე, მაინც გამოვიწერ, შელავათს თუკი გაგვიწევთ.

— დიდი ბოდიში, მაგრამ ჩვენ შელავათს საერთოდ არ ვუწევთ არავის.

— რა გაეწყობა, მაშინ რამდენიმე დღეში განცხადების ტექსტს გავამზადებთ. ორშაბათს, ნაშუადღევს გელოდებით.

— აგაშენათ ღმერთმა! — გაეხარდა პოულის, — დარწმუნებული იყავით, მისტერ გრინ, არ ინანებთ. ახლა კი აღარ გაგაცდენთ.

მან ხელი გაუწოდა, მაგრამ გრინმა უპრადღება არ მიაქცია. პოული გარეთ გავიდა. ახლა კიდევ უფრო ფართოდ იღიმებოდა, ვიდრე კაბინეტში შესვლამდე. გრინი მაგიდასთან დარჩა, გულმოსული რაღაცას ბუტბუტებდა, რაღაც კედელს მიშტერებოდა.

ბუტბუტი ლუისის შემოსვლამ გააწყვეტინა.

— მისტერ გრინ, ჰერმან პლანტის სახელზე გამოწერილი ორმოცდახუთი დოლარის ჩეკი ვიპოვე. ალბათ, უკანასკნელი კვირის ჩამაგირია. იქნებ მისი ქვრივისათვის გამეგზავნა?

— ჰო, ასე ჯობს, — დაეთანხმა გრინი. — თუმცა არა, მოიცადეთ ერთი

წუთით! ეგ ჩეკი დახიეთ და მე ახალს გამოვწერ. ცოტას დაგამატებ კიდევ.
— კარგით, — უთხრა ლუისმა და გავიდა.

— ესეც ორმოცდახუთი დოლარის ვარდები! — თქვა გრინმა და მთელი დღის მანძილზე პირველად გაიღიმა. მერე საათს დახედა და თავის მშვენიერ ქუდს დაავლო ხელი.

— საკმელად მივდივარ, — უთხრა მისს ჯექსონს, მოსაცდელში რომ გაიარა, — პიბლსი ან ვინმე ისეთი თუ დამირეკავს, გადაეცით, ნაშუადღევს სულ აქ იქნება-თქო.

— მისტერ პლანტის დასაფლავებაზე რომ ხართ წასასვლელი?

— ჰო, მართლა, მაშინ ორის ნახევრიდან სამამდე იქნება-თქო, ასე უთხარი.

რესტორან „ასტორის“ მეტროტელმა მორჩილად დაუკრა თავი და მაგიდამდე მიაცილა. ხალხი პირდაღებული უყურებდა, ზოგიც აჩურჩულდა, კონრად გრინი მოვიდაო.

გრინმა საუზმეზე თევზი, ისპანახი, ფუნთუშები, მარწყვის ნაყინი და ყავა მიირთვა. ნასიამოვნებმა ჩეკს ხელი მოაწერა და თითო-თითო დოლარიც ოფიციალტსა და მეტროტელს დაუტოვა. ისე, არც საუზმე დაუჭდა მათთვის ნაჩუქარ ფულზე ბევრად ძვირი.

ჯო მარტინი, მისი მთავარი ლიბრეტისტი, მოსაცდელში დახვდა. გრინი გულიანად მიესალმა და კაბინეტში შეიპატიჟა.

— რაღაც უნდა გითხრა.

მარტინი კაბინეტში შეჰყვა და, სანამ სკამს შესთავაზებდნენ, თვითონვე დაჯდა. გრინიც თავის მაგიდასთან მოკალათდა და სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

— ინებეთ, ჯო!

— მაგისტანას არ ვეწევი, — იუარა მარტინმა და თავის სიგარეტს მოუკიდა. — ყველაფერში უგვანი გემოვნება გაქვს, გოგოების გარდა.

— და ლიბრეტისტების, — ღიმილით დაუმატა გრინმა. — ჰო, აი, რა მიზნობა: წუხელ მთელი ღამე არ მიძინია, თვალგახელილი ვიწეკი და ერთი მშვენიერი კომიკური სცენა მოვიფიქრე. მე, უბრალოდ, აზრს მოგაწვდი და შენ დაამუშავე. ერთი ქალი დაგვჭირდება სულ, ერთი კომიკოსი — იქნებ ფრეიზერს ვუთხრა, და ორიც რაგითი მსახიობი. ეს კომიკოსი თხოულობს ამ ქალს. თვეიდანვე უნდა გითხრა, რომ კომიკოსი ლობიოზე გიყვდება. ერთ საღამოს.. არა, არა, მოიცა! პოლიციას შეატყობინებენ, რომ კომიკოსის ცოლი მოკლეს და ორი პოლიციელი მიდის საქმის გამოსაძიებლად. გასინჯავენ ცხედარს და აღმოჩნდება, რომ ტყვია აქვს ნასროლი თავში. კომიკოსს ეკითხებიან, ეტვი რომ არავისზე გაქვთო. ის გაიძახას, არაო. მაინც არ ეშვებიან და ბოლოს გამოტყდება, მე მოვკალიო. მაგრამ, ბატონებო, თუ ნებას მომცემთ, ყველაფერს აგიხსნით და არა მგონია, ხელი მახლოთო, — ეუბნება პოლიციელებს. თურმე იმ საღამოს, შინ რომ მისულა, ცოლისთვის უკითხავს, რა გაქვს სადილადო. ცოლს უთქვამს, თევზი, ფუნთუშები, ისპანახი, მარწყვის ნაყინი და ყავაო. ლობიოს გაკეთებას თუ აპირებო, კიდევ ეკითხება ცოლს და, როგორც კი უარს ეტყვის ქალი, იქვე ესვრის ტყვიას. როგორ გგონია, გამოვა რამე?

— უური მიგდე, კონი, — უთხრა მარტინმა, — ჯერ ერთი, მაგ სცენის მხოლოდ ნახევარი გცოდნია, თანაც სწორად არ ყვები, მერე კიდევ, „მიუზიკ ბოქსში“ იღვმება მთელი სეზონია. ბერტ კალმარის და ჰარი რუბის დაწერილია. ასე რომ არ იყოს, რასაც გინდა, იმას ვიზამდი.

— დარწმუნებული ხარ, არაფერი გეშლება?!

— სრულიად დარწმუნებული.

— რა უნდა უყო ახლა იმ ქურდბაცაცას, ჩემი დაწერილიაო!

— ვისზე ამბობ?

— ვისზე და, ბლერზე. გახსოვს, შარშან რომ უნდოდა ჩვენთან შემოძრომა? იმას ვაჩვენებ სეირს!

— მე ისე გავიგე, თითქოს შენი იდეა იყო.

— გაგიჟდი?! ეგლა მაკლია, სიუჟეტების ქურდობა დაეიწყო, თანაც ვასული წლის დადგმიდან!

— მაშ კარგი, — უთხრა მარტინმა, — თუ კიდევ გექნება ამდაგვარი აღმაფრენა, დამირეკე და შენთან გავჩნდები. ახლა კი სტადიონზე მეჩქარება. მაინტერესებს, რას იზამს პირველ მიწოდებაზე ბეიბი*.

— მაპატიე, ჯო. მე შეგონა, გამოგადგებოდა...

— არა უშავს, დიდი დრო არ წაგირთმევია მაინც. ამის შემდეგ იდეები მე მომეანდე. კარგად იყავი.

— ნახვამდის, ჯო. მაღლობელი ვარ, რომ შემოიარე.

მარტინი რომ წავიდა, გრინმა მდივანი გამოიძახა.

— მისს ჯექსონ, ის ლაწირაკი ბლერი იქ აღარ დავინახო, თაღლითი ყოფილა!

— კარგით, მისტერ გრინ. მგონი, დასაფლავებაზე წასვლის დროც მოვიდა, სამის ოცი წუთია.

— კი მაგრამ... მოიცათ, სად არის პლანტის სახლი?

— ას მეექვსე ქუჩაზეა. იქვე, ბროდვეისთან.

— ღმერთო ჩემო, ხომ წარმოგიდგენიათ იქ ცხოვრება! მისს ჯექსონ, ლუისი შემოვიდეს.

— ლუის, — მიმართა ახალ მდივანს, — დილას რაღაც ურიგო შეეჭამე და თავს ვერ ვგრძნობ კარგად. პლანტის დასაფლავებაზე ვაპირებდი წასვლას, მაგრამ, მე მგონი, ვარეთ არ გამესვლება. იქნებ წასულიყავით და ჩემი მაგივრობა გაგეწიათ? მისს ჯექსონი მოგცემთ მისამართს.

— ბატონი ბრძანდებით, — უთხრა ლუისმა და გავიდა, მაგრამ კარის გაბურვაც ვერ მოასწრო, რომ კაბინეტში მშვენიერმა მარჯორი გრინმა შემოაბიჯა.

ვერ იტყოდით, გრინი საამოდ გაკვირვებული დარჩა მეუღლის მოულოდნელი ვიზიტით.

— გამარჯობა, ძვირფასო! — უთხრა ცოლს, — არ ვიცოდი, ქალაქში წამოსვლას თუ აპირებდი დღეს.

— მე ხომ არ მითქვამს, არ ჩამოვალ-მეთქი.

ერთმანეთს აკოცეს.

* იგულისხმება ბეიბი რუთი — სახელმწიფოებრივი ამერიკელი ბეისბოლისტი.

— ვფიქრობ, შეამჩნევდი, რომ ჩვენი სახელები არც იყო ნახსენები სტუმრების სიაში, — თქვა მისის გრინმა.

— არა, ჯერ ვერ მოვასწარი ვაზეთების გადათვალიერება. მერე, მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— სულაც არაფერი, მაგრამ იცი, რას ვფიქრობ? ჩვენ მხალხლად იმიტომ ვიყავით დაპატივებული, რომ ის ხალხი რამეს გამოგვჩვენებდა.

— ამას რა ჯობია! — ჩაიციხა გრინმა.

— მე სულ სხვა რამის გამო მოვედი.

— მაინც?

— მეგონა გახსოვდა...

— რა, ძვირფასო?

— რაღა... თუმცა, რაღა აზრი აქვს ამაზე ლაპარაკს!..

გრინმა შუბლი შეიჭმუხნა, გახსენებას ცდილობდა, ასეთი რა უნდა დამვიწყნოდაო, მერე უცებ გაეზადრა სახე.

— მაგას რა დამავიწყებდა, ჩემო კარგო, შენი დიპლომის დღეა!

— ახლა მოგაგონდა?

— არაფერიც. რამდენიმე კვირა სულ იმის ვფიქრობდი, რა...

— არა მჯერა! ასე რომ იყოს, მეტყობი და... — კინალამ ცრემლები გადმოსცვივდა მისის გრინს, — პატარა რამეს მაინც მიყიდდი!

გრინმა ისევ შეიჭმუხნა შუბლი და მერე ისევ გაიზადრა.

— ახლავე დაგიმტკიცებ, — უთხრა ცოლს და სეიფისაკენ გაემართა სასწრაფოდ, მარგალიტებიანი კოლოფი გამოიღო და ცოლს გაუწოდა.

თვალის დახამხამებაში მისის გრინმა გახსნა ყუთი და გათცებისაგან სუნთქვა შეეკრა. გახარებული ყელზე შემოეჭლო.

— საყვარელო! — დაიკვივლა, — როდისმე თუ მაპატიებ, ეჭვი რომ შემეზარა შენს გულისხმიერებაში?

მარგალიტები ტუჩებთან მიიტანა, თითქოს მათ გადაყლაპვას ლიპობსო.

— კი მაგრამ, ცოტა ზედმეტი ხომ არ მოგივიდა?

— რა უნდა იყოს, რომ შენთვის არ გამემეტოს.

— შენისთანა კმარი ჯერ არც ერთ ქალს არ ჰყოლია!

— მიხარია, რომ გასიამოვნე.

— მასიამოვნე კი არა, გაგიჟებული ვარ! მაინც რამ მოტიქრებინა, რომ დავავიწყდა?! ახლა წავალ, მთელ დღეს ხომ არ წავართმევ! ვიცე, პლანტის გასვენებაზე ხარ წასასვლელი. მივდივარ, იქნება ამ საღამოს ვახშმად წამიყვანო საღამე?

— არავითარი „იქნება“! „ამბასადორში“ იყავი დაახლოებით შვილის ნახევარზე და პატარა დღეობას გადაგიხდი. მარგალიტებს ხომ არ დატოვებდი აქ?

— რას ამბობ, ამ მარგალიტებს როგორ შეველევი!

— რადგან ასეა, ნახვამდის, ძვირფასო.

— შვილის ნახევრამდე.

კვლავ მარტო დარჩენილმა გრინმა სეიფის კარი მიაჯახუნა, თავის ადგილს დაუბრუნდა და საკმაოდ ხმაბალლა ამოუშვა პირიდან საყვარელი არსების

დღეობისთვის სრულიად შეუფერებელი ირითღე სიტყვა. მათ, შესაძლოა, მასს ჭეკონის ყურებამდეც მიეღწიათ, მაგრამ ეს რაა, უარესებს იყო შეუფერებელი.

უცებ კარი გაიღო და ახლა კიდევ უფრო მშვენიერი ქალი შეიყვინძა ოთახში. მან გრინს შეხედა და გაიცინა.

— ღმერთო ჩემო! რაღაც მთლად ბედნიერი ვერ ჩანს?

— როუზ!

— კი, მე გახლავართ. მაგრამ შენ რაღა მოგივიდა?

— ისეთი არაფერი. უბრალოდ, მთელი დღე ამოსუნთქვის საშუალება არ მქონია.

— ახლა ხომ ყველაფერი რიგზეა?

— ხვალამდე არ გელოდი.

— მერედა, არ გიხარია, დღეს რომ გამოგეცხადე?

— რა თქმა უნდა, — უთხრა გრინმა, — თუ მოშიახლოვდები და ერთს მაინც მაკოცებ, სულ გადამეყრება ჩაერი.

— არა, ჩემო კარგო. ჯერ ჩვენი საქმე გაეარკვეოთ.

— რომელი საქმე?

— ძალიან კარგად იცი! ამას წინათ თავს იკლავდი, ჩემს გარდა ყველას თავი დაანებეო და მეც დაგპირდი, რომ ჩემსა და პარის შორის ყველაფერი დამთავრდებოდა, თუ... ხომ გახსოვს, რაღაც მარგალიტებზე იყო ლაპარაკი.

— როგორც გითხარი, ისე იქნება.

— მერედა, სადაა მარგალიტები?

— ნაყიდი, მაგრამ ფილადელფიაში შევიძინე და რაღაც მიზეზების გამო ჯერ ისევ გზაშია.

— ჯერ არ მოსულა! ნუთუ ასე მძიმე იყო, რომ ვერ ზიდე?

— პატიოსან სიტყვას გაძღვე, ზეგინდელ დღეს არ გადაცილდება.

— პატიოსან სიტყვას წარამართა იძლევი! შენ რა, მართლა ასე შიამიტი გგონივარ?! იქნებ ისე ხარ ტყუილებს დაჩვეული, უკვე თავსაც ვეღარ იკავებ?

— თუ ვინდა, აგიხსნი...

— რა თავში ვიხლი შენს ახსნა-განმარტებას! მოვილაპარკეთ, შენ კი რაღაც გან-გან უბევე.

— მომისმინე...

— არაფერსაც არ მოგისმენ! კარგად იცი, სად მომნახო. როცა შეასრულებ სიტყვას, შეგიძლია დამირეკო. მანამდე კი... პარი არც ისე ცუდი ბევრად.

— მოიცა, ერთი წუთით, როუზ!

— მე უკვე გითხარი სათქმელი. ნახვამდის.

კონრად გრინი დარეტიანებულებით ჩაეშვა საფარძელში. ცოტა ხანს ისე ჩუმად და უმოძრაოდ იჯდა, კაცს შვედარი ეგონებოდა. მერე, თითქოს შესცივდაო, მხრები შეარბია და ხმამაღლა თქვა:

— მაგათი გულისათვის თავს აღარ შევიწუხებ. ყველას ჩანდაბისკენ ქეონია გზა!

ტელეფონი მიიწია და ყურმილი აიღო.

— მისის ბრაიენტ-უოკერთან დამაკავშირეთ.

ცოტა შეიცადა და:

— მისის ბრაინტ-უოკერი ბრძანდებით? არა, პირადად მანდა ველიბრაკო... კონრად გრინი გაწუხებთ. პელოუ, მისის უოკერ, თქვენმა მდივანმა და მსრეკამ ამ დღით, მაგრამ ვაგვარიშეს. რაღაც ზეიმზე ჩვენი მსახურებოდა. რატომაც არა. რა თქმა უნდა. სიაშოვნებით. თუ ყველაზე უფრო სიამოვნებით, გარწმუნებთ, მშვენიერ გასართობ პროგრამას მოგიმზადებთ. რას ბრძანებთ, რა შეწუხებაა, მოვალედ ჩავთვლი თავს... გმადლობთ, ნახვამდის, ლუისი შემოვიდა.

— რაო, ლუის, იყავით დასაფლავებაზე?

— დიახ, მისტერ გრინ, მისის პლანტი ვნახე და ავუხსენი მდგომარეობა. თქვენზე მითხრა, ჩემს მეუღლეს ძალიან კარგად უქცევოდაო. ავად რომ იყო, ეს ბოლო კვირა სულ თქვენზე ლაპარაკობდა თურმე და დარწმუნებული ყოფილა, აუცილებლად მიხვიდოდით მის დასაფლავებაზე... ერთი სიტყვით, ძალიან უნდოდა მისის პლანტს, რომ იქ ყოფილიყო.

— ღმერთო დადებულო, ვანა მე კი არ მინდოდა! — თქვა კონრად გრინმა.





თარგმნა ლავით კვიციანიძემ

თანამედროვე ცხოვრების ღრმა ფილოსოფიური გააზრება, მის-
წრადება — გახსნას და ჩაგახედოს ადამიანის სულში, დახატოს
მისი უსაზღვრო შესაძლებლობანი, წარმოაჩინოს ბუნება თავისი
სრულქმნილებითა და დიდებულებით. — აი, რა გახლავთ ცნობილი
ბელორუსი პოეტის ა. ზარიცკის პოეზიის ღირსება.

მისი რჩეული ლექსებისა და პოემების ორტომეული ახლახან გა-
მოიცა მინსკში, ხოლო მოსკოვის გამომცემლობა „სოვეტსკი პი-
სატელმა“ მკითხველებს მიაწოდა ა. ზარიცკის ლექსთა ახალი კრე-
ბული.

მკითხველებს ვთავაზობ რამდენიმე ნიმუშს ბელორუსიის შესა-
ნიშნავე შეილის, პოეტისა და მოღვაწის ალექსეი ზარიცკის ორტო-
მეულიდან.

მთარგმნელი

პოეზია

თქვენთვის ყმაწვილნო, —
ვარსკვლავთა თრთოლვა,
და მზისყურეა ტრამალის ბოლოს...

ჩემთვის, — სიკვდილთან ჭიდილი,
ბრძოლა
და სიცოცხლისთვის ოშია მხოლოდ.

აზრი

— ზამთარ-ზაფხულ რომ ჰყვავის და
ფეთქავს,
იმ ყვავილს ვეძებ, ხელმწიფე
ფურთა.

შესმის უმალ რომ გამაყმაწვილებს,
იმ წყაროს ვეძებ, ვანა მაწბილებ?!

— ზამთარში ყვავილს ტყუილად
ნატრობ,
ვარდიც ხომ მზეში ფეთქავს და
ვარდობს.

ვერც წყაროს კბოვებ და გაწბილდები,
ვერც ვერასოდეს გაყმაწვილდები.

— ბავშვურ ოცნებით, გულით და
თვალთ
დავდივარ, ვეძებ, ვნატრობ და ვხარობ.
ვიპოვი ყვავილს — მარად რომ

ჰყვავის,
სასწაულმოქმედს მივაგნებ წყაროს!
ნატვრა, ძიება მთელი სისხლხორციით,
ეს არის აზრი ჩემი სიცოცხლის.

ასეა მუდამ, მაშინაც როცა,
შემოდგომის მზეს გადაჰკრავს ფერი.
როცა გლუხკაცი ჭირნახულს ლოცავს
მე ვერ მაჩერებს შინ ვერაფერი.



მოვა ზამთარი, ნაზი ფიფქები
დაეფინება თეთრად მიდამოს.
საით, საით ჰქრის ურჩი ფიქრები,
პოეტო, ვისთან გინდა იღავო?

გაზაფხულდება და ბალახს ლორთქოს
აპრილის ქარი ჩაკეცავს რბილად.
ვარეთ გავარდნას მე სული მომთხოვს,
მივრბი და ფიქრი მიმყვება ჩრდილად.

ასეა, როცა შუა ზაფხულში,
დგება დღეები ცხელი, მზიანი.
მივრბი, ძახილი მწვდება ჭაბუკის, —
ღიმილიანი, ნაპერწყლიანი.

— ხომ არ მოგდევსო, ბიძავ, არავინ?
კაცო ჭაღარავ, ხომ არა ვიჭირს?
მერე სიცილი დაუფარავი
ოქროსთმიანი ყვინჩილა ბიჭის.

— იცინე, ოღონდ იფიქრე თანაც...
მერე ილაღე და იარწივე.
ვერ ხედავ განა?
ვერა გრძნობ განა?
ჩემს სიჭაბუკეს მივდევი, ყმაწვილო!

ვინ დამიზრახავს მე სიჩაუქეს,
თუ გული ურჩობს, ისევ მაისობს.
ვაქრა ყმაწვილი... და სიჭაბუკეც
ვაი თუ ვაქრა სამარადისოდ.

შორს ის ყვინჩილა იცინის ლაღად,
მისთვის სულ მზეა, დღესასწაული.
მივრბი, იქნებ ვსწვდე ქოჩორში
ტალღას, —
რა იცი, მოხდეს ეს სასწაული!

იჩინა ვილქა

იზადორის და



უნივერსული
ბიბლიოთეკა

პოთხრობა

თარგმნა მამუკა ცხეცლაძემ

მოულოდნელმა სიკვდილმა იზადორი ერთბაშად დაამდაბლა ჩვენი სოფლის თვალში. ზოგ-ზოგებმა მაინც სულ ერთი ხელის მოსმით ჩაუყარეს წყალში, რაცაღამ ხნის განმავლობაში სიკეთე ჰქონდა დათესილი. გული სწყუებოდათ, ბალახით მკურნალობის კურსი დაუმთავრებელი რომ დარჩათ და ამის გამო ქარაფშუტობას სწამებდნენ განსვენებულს. აბა, ეგრე როგორ იქნებაო — კაცმა საქმე დაიწყო და ბოლომდე არ მიიყვანო? ვიგინდარა ყოფილაო და ჩეტა არაფერი!

თუ მართლა გაეგებოდა რაიმე ბუნებისა, ისიც ხომ უნდა ეგრძნო, მალე მოვკვდებიო, და, როგორც წესიერ კაცს შეეფერება — იზადორი კი სოფელში ყველას წესიერ კაცად მიაჩნდა — ვინმესთვის ესწავლებინა თავისი საქმის სიდიდემლო?

— თუკი ვერ იგრძნო? — თუ ვერ იგრძნო და მაშინ კაბიკი ყოფილა ამ ბალახბულახის ფასიც!

იზადორი ჩვენ სოფელში ამ თხუთმეტი წლის წინათ დასახლდა. თემსაბჭოსაგან ერთი ძველი, „იღარავეისი“ სახლი შეისყიდა თავის პატარა ბაღიანად. ამბობდა, ჩემს ფილტვებს და ნერვებს მთის ჰაერი უხდებოდა.

ბირველივე ზაფხულს შეამჩნიეს მეზობლებმა, რომ იზადორი მთელ დღეს სულ მინდორ-მინდორ ხეტიალს უნდებოდა და რაღაც ბალახებს იგროვებდა.

სულაც არც მას დაუმალია მეზობლებისათვის, ბალახით წამლობა რომ იყო. აივანზე, ფარდულში, სახურავზე, ყველგან დღენიადავ გაშლილი ჰქონდა გასაშრობად გამთქანილი ათასნაირი ბალახეული. თუ რა დანაშაულება ჰქონდა ამ გამხმარ ბალახს, თავიდან ეს იზადორის გარდა, ცხადია, არავინ უწყოდა.

მეზობლებს ცნობისწადილი კლავდათ, ჩეტა თვითონ თუ ხმარობს იმ წამლებს, სხვებს რომ ასე გულარხეინად ატანსო.

კითხვა არ იყო მთლად საფუძველს მოკლებული, მაგრამ აბა შიდი და გაიგე, რას აკეთებს კაცი თავის სახლში, კარს რომ მიიკეტავს მერე, მით უმეტეს იმ ფანჯრებზეც ფარდები აქვს ჩამოფარებული?!

ბალახი კი, როგორც ჩანს, თავის საქმეს აკეთებდა, რადგან იზადორთან შორეული სოფლებიდან და, ასე გასინჯეთ, ოლქიდანაც კი მოდიოდა ხალხი მანქანებით.

კარის მეზობელი (მარცხენა მხრიდან) მარჩიხისა, ანუ მარჩიხის ქმარი (ცოლს ჰყავდა დაბრიალებული და მისი სახელი იმიტომ დააწოდეს) მარჩიხის ცხედრის გარეშემო მოფუსფუსე ქალებს სიკვდილზე ფიქრი რომ გაუქარვოს, გაუთავებლად ყბედობს და რაღაცას მიედ-მოედება.

იზადორს აგერ ფეხი აქვს გაფშეკილი მაგიდაზე, ეს ყიამყრალი კი იფიცება: ჩემი თვალით ვნახე, ქვრივები იყვნენ აუ ეს ჩვენი გაუთხოვარი გოგონები — ბინდბუნდში კარგად ვერ გავარჩიეთ — როგორ შემორბოდნენ იზადორთან და ის სითხე მიჰქონდათ, ცოდვის კვალს რომ სძობსო; თურმე რამდენიც განდა სვი, გულზე სულ არ მოქმედებსო.

ქალები უფრო მარჩიხისაზე იცინიან, ვიდრე მის მიეთ-მოეთზე — ეპ, ძამია, დროზე გაგეგო, ასეთი კარგი წამალი თუ ჰქონდა იზადორს, პირდაპინილი რომ შემოგყურებენ ე შენი შვილები, იმის ნახევარი არ გეყოლებოდათ ახლა.

მარჩიხისა ვითომ ძალიან ბრაზობს: რა სისულელეა, ცხრა ბაღლის ნახევარი როგორ იქნებაო.

კაი გამოდგა, ერთი სიტყვით, ბალახის სპირტი.

ყველას გაესინჯა უკვე იმისი გემო. კიდევ კარგი, სარკის შებურვა მაინც მოასწრეს მიცვალებულის სახლში.

მარჩიხისას ლაყბობა აბა, რა დისაჯერია, მაგრამ ასე, ამ ორი წლის წინ პართლა იყო აქ ერთი თმაშეღებილი ქალაქელი გაიძვერა. იზადორი იკითხა, მერე კი ჩვენი სოფლის ბიჭებს აედევნა და ფულს ატენიდა ერთსა და მეორეს ჯიბეში გუგულის კაბისა და ნემსიწვერას ფესვების წვენი მიშოვეთო.

დედაკაცები იზადორზე ამბობდნენ, დარბაისელი კაციოთ. ეშმაკმა იცის, კინ რა აზრსა სდებდა ამ სიტყვებში.

ქვრივ მარტას კი, მარჯვნივ ან მარცხნივ კი არა, იზადორის ქოხის უკან რომ ედგა სახლი, თავისი კარის მეზობელი დარბაისელ კაცად მარტო მაშინ მიანდა, როცა იგი გერმანულ ჩექმებს ჩაიცვამდა და შარვალთან და ქუდთან შეხამებულ კუბოკრულ ქურთუკში გამოწყობილი ჩაივლიდა თემშარაზე, მაგრამ მარტას გემოვნებას მაინცდამაინც არავინ დაგიდევდათ — ქმრის სიკვდილის შემდეგ (ხე დაეცა უბედურს თავზე) მარტას რაღაც უცნაურობები დასჩემდა, ლექსების წერაც კი დაიწყო.

ზოგიერთი მისი კოლომიიკა* აშკარად იზადორზე იყო გამოთქმული, თუმცა იზადორს მისთვის საამისო საბაბი არასოდეს მიუცია.

ქვეყანამ იცის, რომ განსვენებული ერიდებოდა ქალებს. ამის უტყუარი საბუთი ის გახლდათ, რომ ყოველთვის თვითონ ირეცხავდა და იუთოვებდა ტანსაცმელს. სხვა საქმეა, თუ როგორ ადგა ტანზე ეს მისი გარეცხილ-გაუთოვებული ტანსაცმელი.

ჰოდა, აი, მაისის ერთ მშვენიერ დღეს იზადორი მოკვდა.

კარის მეზობლის (მარჯვენა მხრიდან) იურკოს შვილს, დილით რძე რომ მიუტანა იზადორს, კარი დაკეტილი დახვდა.

* კოლომიიკა — შაირი, კაფია, რუსული „ჩასტუშკების“ მაგვარი (უკრ.).

— დღეს ძალიან უჩქარია შინდორში გასვლა ჩვენს იზადორს! — უთხრა იურკომ ცოლს.

ცოლმა ახლა შეადღისას გაგზავნა ბიჭი იზადორთან, კარი კვლავ დაქუტილი იყო, ფანჯრებიც, როგორც ჩანს, იზადორს დღეს შორეული მდებარეობის პოვლა გადაუწყვეტილად იფიქრეს.

ბიჭი სალამოსაც მივიდა იზადორთან. სახლში შუქი არ ენთო. შეშინებულმა ბავშვმა დედამისს მიაშურა, იურკომ მეზობლები შემოიბრინა უცებ და... კარები შეამტვრიეს. სამგზავროდ გამზადებული იზადორი მკვდარი ეგდო ლოგინის სიახლოვეს. ეტყობა, უნდოდა ლოგინამდე მიეღწია და ღირსეულად მომკვდარიყო, მაგრამ ვერ მოახერხა.

იურკო ისხამდა და ისხამდა და სხვასაც უსხამდა ნაირ-ნაირ სასმელს, იზადორის სახელით მასპინძლობდა მეზობლებს და არწმუნებდა: იზადორი ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ესმის, ვე არის ხმის ამოღება არ შეუძლია, მოდი და ნუ ვაწყენინებთ, თითოც დავლიოთო.

— სიკვდილიც ხომ ღვთისაა, არა? მაგრამ მაინც გული გეტკინება კაცს... — მიედ-მოედება რაღაცას იურკო, — ადამიანი ამ ხილზე რომ შედგები და გაღმა გასვლას დააპირებ, ახლობელი უნდა გყავდეს აუცილებლად გვერდით, მეზობელი ლხინშია კარგი, ჭირს კი უფრო ოჯახის წევრი უხდებაო. ისე, თუ ჰქონდა ნეტა ოჯახი, საცოდავს?

— ალბათ, აბა სულ ასე ამოწყვეტილი ხომ არ იქნებოდა... ოჯახი თუ არა, ნათესავი მაინც ეყოლება ვინმე, ან ნათესავის ნათესავი...

მარტამ — აბა, სხვა ვინ იქნებოდა! — ისევ მარტამ მოაგონა მეზობლებს, ერთხელ და რომ ესტუმრა იზადორს ნოღდავეთიდან — მაღალ-მაღალი. კრძელ კაბაში გამოწყობილი ქალი, იზადორის არ იყოს, ხორციანი, ერთიანად გადმობრუნებული ტუჩები რომ ჰქონდა.

— ეჰ, მარტა, მარტა! როგორ აკვირდებოდი ყველაფერს იზადორის ბარობაზე, როგორ არაფერი გამოეპარებოდა შენს თვალს..

მარტას იზადორის და იმიტომაც დაამახსოვრდა, რომ ჩამოვიდა თუ არა ძმის სახლში, ამ ქალმა უმაღლესი ფანჯრების წმენდას მიჰყო ხელი.

გაიხსენეს ისიც, რომ გალინა ერქვა.

გალინა კი ერქვა, მაგრამ მისამართი?

სხვა რა გზა იყო? ისევ მიცვალებულის ქალაქები უნდა გაოცებოდა, იქნება გალინას წერილს წასწყდომოდნენ სადმე, თუკი იზადორს არ ჰქონდა ჩვევად წერილების დაწვა.

უცებ მარტამ (იურკო მარტასაც იმდენს უსხამდა, რამდენსაც კაცებს) ერთი ვაიუშველებელი მორთო:

— ვაა, ჩემო კარის მეზობელო!... ვაა, ოქროკაცი!.. წესრიგს მოყვარულო! ყველაფერში რომ წესრიგი გიყვარდა... აფთიაქში ეგონებოდა კაცს თავი, შენს სახლში რომ შემოვიდოდა... შენს სახლში ხომ ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი... ძაფი ძაფთან უნდა შეგენახა, ფოლაქი ფოლაქთან, ქალაქი ქალაქთან... ახლა აურევენ ესენი ყველაფერს, გადააქოთებენ აჭაურობას... ვაი, ვაი, ვაი! შენ ხომ ყველაფერს დაინახავ და ვერაფერს ვერ იტყვი! ვაა, ვაი!..

იმდენი ქნა, რომ ბოლოს მოკიდეს ხელი და გარეთ გაიყვანეს, კაზე წყალი დააღვინეს და, რაც დარჩა, პირზე შეასხეს გამოსათხიზლებლად.

უკან რომ დაბრუნდა, ცვარნაპკურები ყვავილივით გამოიყურებოდა. ცრემლით დანამული პირისახე ოდნავ შეფაკვლოდა, ნამტირალევი, შეშუპებული თვალები და ტუჩები მომნიბლაობას ჰმატებდა მხოლოდ, ისე გალამაზდა უცებ, ახლა რომელი მამაკაცი არ გამოიდებდა თავს მისი გულისთვის?

ვიღაც უცხო, არცთუ მთლად ახალგაზრდა კაცი, წამლის წასაღებად რომ მოვიდა აქ ამ დილით და მიცვალებულის დანახვაზე თვითონ შესთავაზა დამხვდურთ თავისი სამსახური, მშვიერ კუჭზე არაყი მოჰკიდებოდა:

— ეჰ, როგორ არის მაინც კაცის ცხოვრება მოწყობილი?! ცხოვრობ აგერ შენთვის ამ ქვეყანაზე, ყველაფერი შენს გემოზე გაქვს შენახულ-დაბინავებული... ნუ იტყვით, ყველას გვაქვს ჩვენ-ჩვენი, დიდი თუ პატარა საიდუმლო და ყველა ვცდილობთ უცხო თვალს დავუმალოთ იგი! ხან გაუქმებულ ლუმენში შეეჩურთავთ, ხან კარადის სულ ზედა თაროზე... ზოგი გიტარაშიც მალავს, იყო შემთხვევები... მერე, ერთ მშვენიერ დღეს გადაბრუნდები კაცი და... გათავდა ყველაფერი! ამ დროს თუ შინაური არ გყავს გვერდით, ხომ გამომჟღავნდა უცებ ეს შენი ამდენი ხნის ნამალავი საიდუმლო?... სულელური, ახირებული, უხამსიც, მაგრამ მაინც საიდუმლო! ხარ მერე აგერ დასვენებული მაგიდაზე და ეს შენი უპატრონო გვამი სხვისი ვანსასჯელი ხდება...

— თუ უპატრონოდ სიკვდილი გიწერია უცხ, — კვლავ უჩუყდება გული მარტას, — მაშინ, ღმერთო შეგცოდნე და, სულ რომ არ მოკვდე, ის სჯობია!

მეორეს მხრივ, მეზობლებს რომ ძალიან გამოედოთ თავი, უხერხულია, სხვის ნივთებს ხელს ნუ ვახლებთო, მაშინ ხომ ვერც მიცვალებულის დასამარხ ფულს მიაგნებდნენ გუცუღურ ყულაბაში და ვერც გალინას წერილებს, სასთუმალთან პატარა მაგიდაზე, გადასაფარებლის ქვეშ რომ აღმოჩნდა შენახული!

წერილი სამი კვირის წინათ იყო გამოგზავნილი. მისამართის მიხედვით ისე გამოდიოდა, რომ გალინას სადმე სოფელში უნდა ეცხოვრა და, მაშასადამე, დაკრძალვას ვერ ჩამოუსწრებდა. მაგრამ დეპეშა მაინც უნდა გაეგზავნათ. სინდისის წინაშე რომ მართალნი ყოფილიყვნენ და... მიცვალებულის დაფასებაც იყო ეს ერთგვარი. სამ დღეს მოუცდიან, თუ ჩამოვიდა ხომ კარგი, თუ არადა, თვითონ დამარხავენ, დას კი წერილს გაუგზავნიან, ასე და ასე იყო საქმეო. მერე სთხოვენ, რაც შეიძლება მალე ჩამობრძანდით და თქვენი ძმის დანატოვარ ქონებას უპატრონეთო

იზადორის დაკრძალვას ნათესავები არ დასწრებიან.

კუბოს პირველი მიძვებოდა და გულამოსკვნილი მოთქვამდა მარტას მეზობლებს ეს არ უკვირდათ, უცხოს კი შეეძლო ეფიქრა, ქმარს დასტურებოდა არც მან გაუკვირდებოდა.

სამი კვირა იყო გასული იზადორის სიკვდილის შემდეგ, სოფელში გალინა რომ ჩამოვიდა. მეზობლებმა უმალ უჩურჩულეს ერთიმეორეს, სულ არ გამოცვლილათ, როგორიც იყო ამ სამი წლის წინათ, ზუსტად ისეთივე დარჩენილა. მთლად ნორჩიან ვერ იტყვის კაცი, მაგრამ არც ბებერია, სწორედ იმ ხნისაა, როცა ყველაზე ძნელია, ქალის წლოვანების დადგენაო.

ტანმალაღი, იზადორის არ იყოს, კაი ბარაქიანი ცხვირის პატრონი, შავგარემანი, მაგრამ ძმისგან განსხვავებით შავთმიანიც, გალინა ლაპარაკშიც კი წიგნავდა იზადორს. მასავით პირდაპირ სახეში აცქერდებოდა ხოლმე ადამიანს და თვალებს უჭუტავდა ამ დროს. შავი, მოდიდან გამოსული გრძელი კაბა და ნარნარი მეტყველება ცოტა არ იყოს „არაჩვენებურს“ ხდიდა მას. თავ-თავიან-

თი ჭიშკრების წინ აღლუმზე გამოსულებივით ჩამწკრივებულ მეზობლებს თავაზიანად მიესალმა, მარკოს გასაღები გამოართვა, მადლობა გადაუხადო ყველას მიცვალებულის პატივისცემისათვის; გამოიკითხა, რა და როგორ მოხდაო და მერე მძლოლთან ერთად ბარგის შეზიდვას შეუდგა სახრში.

დიდრონი ფუტების, ქვეშაგები რომ იყო შიგ ჯახვეული, ტყეჩიანი ბოცებისა და ღვედშემოჭერილი ჩემოდნების დანახვაზე ყველა უცებ მიწვდა, რომ გალინა აქ სამუდამოდ აპირებდა დასახლებას.

მეზობლებს ეგონათ, აი, ახლა მძლოლს გაისტუმრებს, ბარგის შეზიდვაში მოგვიხმარიებს და მერე, როგორც ეს ყველგან ხდება დედამიწის ზურგზე, პატარა მისაჭმელსაც გამოიტანს რამეს... ჰმ... ჰმ... ცხადია, იმასთან ერთად, რისთვისაც ეს მისაჭმელია საჭიროო.

ახლა ხომ ომის დრო არ არისო — ამბობდნენ — კაცს თუ დაღევა უნდა... არა, გულზე ხელი დავიდოთ სუყველამ, ახლა საჭმელ-სასმელისთვის კაცი კაცთან არ მივა... თუ ვინმეა იმის მომლოდინე, როდის დამპატივებენო, იპიტომ კი არა, რომ შია და სწყურია — ლაპარაკი უნდა, ხალხში უნდა ყოფნა, გაცნობა...

მაგრამ გალინას ამდენი არ ესმოდა.

ეტყობა, ცხოვრებას ჯერ კიდევ არ ესწავლებინა მისთვის, რომ ადამიანი ვერ ძლებს უადამიანებოდ.

ერთხანს კიდევ მოითრიეს ფეხი მეზობლებში და მერე დაიშალნენ. მარჩინისამ მაინც ვერ მოითმინა, რამე რომ არ ეთქვა: მივა ქაჩალი მექუდესთან, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა!

იმ წლის რალაც უჩვეულოდ უხვი ხილის მოსავალი თუ ჰქონდა მხედველობაში მარკოს.

იზადორის ბაღში ოთხი (ოთხში) უზარმაზარი ვაშლის ხე იდგა, დროზე უნდოდა მიხედვა, თორემ ერთ მშვენიერ დღეს ნაყოფი ყაყაჩოს ყვავილივით ყველა ერთად ჩამოცვივდებოდა ძირს. მეზობლები ამბობდნენ, ვნახოთ ერთი, როგორ აუვა ამდენ საქმეს ეს ჩვენი ახალგამომცხვარი მეურნეო.

ჰოდა, ნახეს.

გალინას ეზოში ერთ დღეს საკურორტო სამმართველოს სატვირთო მანქანა შეგრიალდა.

შურმა სიძულვილი შვა, მაგრამ ამავე დროს პატივისცემაც გაუჩნდათ გალინასი — უყურე შენ? ქალი ვარო, მაგან უნდა თქვას! ფული ფულად ჩაიჭიბა და შრომაც თავიდან აიცილა.

მაგრამ როცა სამი თვის თავზე იზადორის დასთან ფოსტალიონმა პენსია მიიტანა, მეზობლებმა კი არადა, მთელმა სოფელმა დაალო პირი.

— რა პენსია? რის პენსია? რაში?

ინვალიდს გალინა არ ჰგავდა და ორმოცდათხუთმეტი წლის არისო, ამას აბა ვინ დაიჭერებდა? ოცდათვრამეტის, ორმოცის, ჰა — აღარ იქნას — ორმოცდახუთის, მაგრამ ორმოცდათხუთმეტის? არა, ამის დაჭერება არავის უნდოდა. თუმცა ბოლოს მეზობლები მაინც შეეგუენ ასე თუ ისე ამ ამბავს. იზადორიც ასე არ იყო, გაახსენდა ვიღაცას, თავისი ხნის პირობაზე ძალიანაც ახალგაზრდულად გამოიყურებოდაო. ეტყობა, ჯიში აქვთ ასეთიო. არიან ამქვეყნად ადამიანები კუბოს კარამდე რომ სულ ყმაწვილებივით გამოიყურებიანო.

მერე ერთი ბარონის ამბავიც გაიხსენეს. იმას ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე ჰქონოდა აქ აგარაკი. მოხუცებულობაში მართო რომ დარჩენილა, ერთი ახალგაზრდა ქალი მოუყვანია და ცოლადაც შეურთავს. მისი სიკვდილის შემდეგ კი, როცა შინაურებმა მოიყარეს თავი და ქონების გაყრფას შეწყდნენ, გამოირკვა, რომ ეს ქალი არც ბარონის ცოლი ყოფილა და არც მასზე ახალგაზრდა, თორმეტი წლით უფროსი ყოფილა, მაშ!

სოფელში ხმა დაირბა (თუკი კედლებს აქვთ ყურა, ფანჯრებს ვითომ რატომ არ უნდა ჰქონდეთ თვალი?), თითქოს იზადორს მემკვიდრეობით გადაეცეს დისტვის იმ წამლის საიდუმლო, ახალგაზრდობას რომ უნარჩუნებს ადამიანს.

მარჩიას გაახსენდა, ერთხელ ლაპარაკში წამოსცდათ იზადორს — ქალეზისათვის ისეთი მალამო მაქვს, სამუდამოდ რომ უნარჩუნებს სილამაზესო. ფუტკრის ჭეო, ხახვის ნახარში, მგონი, ცოტა სანთელიც და შროშანის წვენიო. მაგრამ რა რამდენი უნდა, არ უთქვამსო.

ეპ, ჩაეწერა მაინც ყველაფერი და ზანდუკში შეენახა, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ იზადორი ასეთ ოინს მოუწყობდათ.

მარჩიას რამდენჯერმე შეეცადა გალინას მოთაფლვას, ვინძლო ნაოჭების წამალი დაეცუყო: — თორემ მრცხენია პირდაპირ, ჩემი პატარა ბიჭი, ყველას შვილიშვილი ჰგონიაო ჩემი!

მაგრამ გალინას გაცურება არ იყო იოლი საქმე. ყბა მოუქცია მაშინვე მარჩიას: — უყურე შენ? რას მელაპარაკები?!

თურმე ნუ იტყვიან და თვითონ აპირებდა ეკითხა მისთვის, რა ვიღონო რომ ბავშვი ამყვეს, ამოდენა ქონება ოხრად მრჩებაო.

გალინას ბავშვი რად უნდა, თვითონ ბავშვიაო, — აბრაზებენ ქმრები ცოლებს. — აბა თქვენ კი არა გგავთ, რომ გაჭექილხართ, კორსეტებია თუ რა ქვია იმას... ლიფებში და ტიკინებივით დაიარებით. გალინა რომ გამოკაქუჩაში, ერთი სიცოცხლე მართო მისი დანახვა ღირს, შორიდანვე შეამჩნევ, იუ როგორ უთიმთიმებს ყველაფერი კაშის ქვეშო.

— პაიტი, თქვენი სინსილა კი გაწყდაო! — უბაძუნებენ, რაც კი ხელთ მოხვდებათ, ქალები ქმრებს, — უყურე შენ ამ ბერძალლებს, რა ჰქონიათ თურმე გუნებაში!

ვერ იქნა და ვერ მოინგლა ხალხმა გალინას პენსიის ამბავი. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ფოსტალიონისთვის ეკითხათ, მაინც რა დამსახურება აქვს ასეთი ჩვენს გალინას ქვეყნისა და სახელმწიფოს წინაშე, პენსია რომ დაუნიშნესო? თუ მართლა მოხუცებულობისაა ეს პენსია, ან დამსახურობის, ან იქნებ ინვალიდობისაცო? მაგრამ ახალ ფოსტალიონს ასე ახირებულად ვერაფერს ათქმევინებდი. მარჩიას კი არ ჰგავდა — შემოვიდოდა თუ არა სახლში, ორთქლზე ისე ოსტატურად გაგიხსნიდა სხვის წერილს, ფოსტის უფროსიც ვერაფერს მიხვდებოდა.

ისე, იცოცხლე, ის მხარს უბამდა ჩვენი სოფლის გოგოებს! ამიტომაც იყო, თავისი კეთილი გულის წყალობით სამსახურიდან რომ გააგდეს და კინაღამ ციხეშიც არ ამოყო თავი.

მარჩიასას თავისი გამწმარი კისერი მეზობლას კარმიდამოსაკენ წაუგრძელებია, ზის თავისთვის მიწყურებულზე და დროდადრო წამოიძახებს ხოლმე: — მივა, მივა ქაჩალა მექუდესთან!

აკი მივიდა კიდევ.

გამოელთა გალინას შეშა და სატყეოსაკენ გასწია, თითქოს ფუნაუშები უნდა იყიდოსო პურის მაღაზიაში.

— შეშის ყიდვა თუ შეიძლება თქვენთან?

— რატომაც არა.

— კაი გამომშრალია?

— ჩვენ მარტო გამხმარ შეშას ვყიდით.

— რა ჯდება კუბომეტრი?

კუბომეტრებამდე ჯერ შორს არისო — ეუბნება ბოლოს მწვანექუდიანი მეტყვევი. — ჯერ ტყეში უნდა წახვიდეთ, ტყის პირში კი არა, შუაგულ ტყეში, უნდა მოძებნოთ გამხმარი ხეები, მოჭრაი. ყველა ტექნიკური პირობის დაცვით—არც ძალიან მაღლა მიწის პირიდან და არც მთლად ძირში, ცალ-ცალკე უნდა დააწყოთ ტოტები და მორები, უნდა შეატყობინოთ სატყეოს, მოვა აღმ-რიცხველი, გაზომავს, ქვითარს გამოგიწერთ, ბუღალტერიაში ფულს გადაიხ-დით და... მორჩა, სულ ეგ არის.

იყო რამე საწყენი იზადორის დისტავის მეტყვევის ამ სიტყვებში, ან მის საქციელში?

ქვეყანაზე არაფერი!

აბა, მაშ რატომ მივტანა გალინა ასე უცებ კარებს, ნახვამდისო, არც კი უთქვამს? თუმცა ბოლოს, როცა უკვე კარის სახელურს წაავლო ხელი, გაახსენ-და, რომ კიდევ რაღაც უნდა ეკითხა:

— სკოლა როგორღა იღებს შეშას? მასწავლებლები და მოსწავლეები ყველანი ერთად მრდიან ტყეში და გამხმარ ხეებს ეძებენ?

მეტყვევისა და ტყის მცველის გარდა ოთახში კიდევ რამდენიმე გლეხი იყო და გალინამ რომ სკოლას გაუთანაბრა თავისი თავი (იზადორი ხომ არასოდეს არ იკადრებდა ამას), არავის მოეწონა.

— დაწესებულებები განწესების ქალაქით პირდაპირ სახერხში ყიდულობენ შეშას.

— კერძო პირს არ შეუძლია მიიღოს ასეთი ქალაქი?

— რატომაც არა?... მაგრამ წელს, სამწუხაროდ, უკვე დაგვიანებულია.

რალა უნდა ექნა გალინას, ადგა და კარი გაიხურა. ირგვლივ ტყედ იყო გაცეული ყველაფერი, მას კი შინ ერთი ჭირკიცი არ გააჩნდა, რომ სახლი გაეთხო. რა დღეში უნდა ჩავარდნილიყო საწყალი ქალი, როგორ უნდა ყოფილიყო გამ-წარებული, რომ პირველივე შემხვედრი გაეჩერებინა ქუჩაში და დახმარება ეთხოვა?!

ეს პირველი შემხვედრი „ბებოს ვასილი“ აღმოჩნდა. იმ გაზაფხულს დაბ-რუნდა ჯარიდან, მაგრამ მუშაობის დაწყებას მაინცდამაინც არ ჩქარობდა, იცოდა, რაღაი ჯარმოვლილი იყო, სამსახურს ყოველთვის გამოუძებნიდნენ.

დღემდე სალაპარაკოდ აქვს ხალხს: მაინც რა ჯადო გაუკეთა ასეთი გა-ლინამ „ბებოს ვასილის“, ასე როგორ გამოატვინა, რომ მაშინვე შინ წაიყვანა და მთის ნეკერჩხალი საშეშედ დააჭრევინათ.

ოპ, მაგის ასე და ისეო, მთაში დაბადებულმა და გაზრდილმა კაცმა რო-ვორ არ უნდა იცოდეს, რომ მთის ნეკერჩხალსა და ჭადარს—იზადორის ეზოში კი ამის მეტი არც არაფერი იდგა — ჩვენი ხალხი ოდითგანვე სააკვნედ იყენებს, თითისტარებსა და საქორწილო კოვზებს თლის მისგან, პეჩენიყენელი ოსტა-ტები კი ვიოლინოებსა და ციმბალებსაც აკეთებენო.

ის დღე იყო და ის დღე, ვასილი ყოველ დილით ცუღს გაიდებდა მხარზე და იმის მაგივრად, ტყეში წასულიყო, გალინას სახლისაკენ გასწევდა ხოლმე სამუშაოდ.

— რა გაქვს მაინც ამდენი საქმე ამ გალინასთან? — არ მშვენიერად უნდა მშობლები კაცები.

— ეპ, რა ვიცი, ვმუშაობ რა!..

მიდი და გაიგე ახლა შენ!

— კი მაგრამ, მაინც რას გიკეთებთ ეს ვასილი ასეთს, დილიდან დაღამებამდე რომ აქაა დარკობილი? — ეკითხება გალინას მარტა. მარტას ვერ გაუგია, რა უნდა იყოს წელიწადის ამ დროს ამდენი საკაცო საქმე ეზოში. ქათმებს ხომ არ უვლის?

გალინა პირდაპირ სახეში აცქერდებოდა მარტას და თვალებს უქუტავს: — როგორც დედაკაცს სახლში არ დაეღვევა საქმე მთელი წლის განმავლობაში, ისე არც კაცს ეზოში.

ადრე შემოდგომის თბილი დღეები, როცა არ იცი კაცმა, ზაფხული თაყდება, თუ გაზაფხული დგება, შემოდგომის გამბულმა წვიმებმა შესცვალა მთები გაქრა თვალთაგან, დაბატარავდა ერთბაშად სოფელი, ამღვრეულმა ცამ მზე დააბნელა და სინათლე ახლა ფანჯრებიდანღა ეფინებოდა არემარეს...

პოდა, ხალხიც, როგორც ტელევიზორს, ისეა მიჩერებული ამ ფანჯრებს და ხედავს, რომ „ბებოს ვასილი“ ყოველ დილით კვლავ გალინას სახლისაკენ მიაბიჯებს. რა სამუშაო უნდა ჰქონდეს ნეტა ამ გარეთ, ამ წვიმაში? დიდი-დიდი შეშა დახერხო კაცმა გადახურულში... მაგრამ გალინას შეშა რა ხანია დაჭრილ-დახერხილი უწყევია ფარდულში.

დიდხანს იმტვრიეს თავი მეზობლებმა, ბევრი იფიქრეს და ბოლოს მაინც მიხვდნენ ყველაფერს:

— ვასილი, პაი ვასილი! ქათამს ფეხებს უკრამ, თუ როგორ?..

— რაო, ვერ გავიგე?

— აი, ქათამს რო წველი რაღა, ფეხებს უკრამ, ი.უ თავისით..

მერე ის ბიჭი ყვებოდა, აი, და-და-და-და... უნდა გენახათ, როგორ გაფითრდა და მკვდრისფერი დაედო იმ შენს ვასილისო, ცუღი რომ ხელიდან არ გამეგდებინებინა, მე ახლა მკვდარი ვიქნებოდი, ეგ ყურუმსალი კი სამუდამოდ ჩაღებოდა ციხეშიო.

მაგრამ ამ ამბის მერე უკვე (გალინას დარიგებული თუ იყო) ვასილი არავის აღარ აცლიდა ხოლმე ხმის ამოღებას, უმაღლ თვითონვე გადადიოდა შეტევაზე:

— პა, გავიგე, ცოლს თხოულობსო?..

— მერე?

— ქათმის ბრინჯა მაქვს, თუ გინდა მოგყიდი საქორწილოდ?!

— წადი, თორემ გაგაბრინჯავენ მე შენა!..

ხუმრობა კარგია, მაგრამ მდინარეში წყალი რომ მოდიდდება და ერთადერთ კონწიალა ხიდს წაღებას უქადის, აღარაა უკვე სახუმროდ საქმე. გაღმანაპირზე გასვლა საშიშია ამ დროს. ამ ორი წლის წინათ იყო სწორედ, ერთი შექეიფიანებული მგზავრი გადადიოდა აქ მდინარეს, მიცოცავდა, როგორც გინახიათ კიბორჩხალი, მაგრამ დაუცდა მაინც ფეხი და გადაეშვა მდინარეში. მისი

ბედი, რომ ქვას არ დაასკდა და ბარდს გამოედო, წაეტანა მერე ამ ბარდს ქო-
ჩორში და ასე რის ვაი-ვაგლახით გადაირჩინა თავი.

დაფრთხა ხალხი. ამ ამბის მერე, რომელ ნაპირზეც გაუფრთხადებოდათ,
იმ ნაპირზევე რჩებოდნენ ღამის გასათევად, წინ აღარ ბრუნდებოდნენ. არ უნ-
და გაგვიკვირდეს ამიტომ, რომ აღარც ვასილიმ გადასდგა — გალინას კი
აბა, მადლობის მეტი რა ეთქმოდა — სამზარეულოში საწოლის დაღმის უფლ-
ბა მისცა კაცს!

წვიმები ნელ-ნელა და თანდათანობით დაიწყო, უცებ კი შეწყდა. მზე გა-
მოვიდა და ხალხს მთები დაუბრუნა, სოფელს — ასპარეზი. ჭალიც მიწყნარ-
და თითქოს, შრიალითაც უფრო ჩუმად შრიალებდა ახლა. წყალმა იკლო, ნაპი-
რებს კვლავ თავისი ჩვეული ყვითელი ფერი დაედო. კენჭებიც გამოჩნდა
წყალში. ხალხი ისე იყო შეშინებული, რომ აღარ დაელოდა არავითარ მითი-
თებებს. განწყობის ქალაღებდა და საშენ მასალას, თვითონვე შეუდგა ხიდის
ირგვლივ ნაპირების გამაგრებას. რა თქმა უნდა, ხიდიც გაამაგრეს.

ასეთ ხიდზე ახლა წყალდიდობის დროსაც თავისუფლად გავიდოდა
კაცი. მაგრამ ვასილი კვლავ გალინასთან ათევდა ღამეს. ბიჭებთან ლაპარაკში
წუწუნებდა — რა ვქნა, ეს ოხერი, ძალიან ბევრი დრო მიაქვს ყოველდღე გად-
მა-გამოდმა სიარულსო.

შემოდგომას, როგორც ვიცით, მარტო ადამიანებისთვის კი არა, ცხოვე-
ლებისთვისაც ზამთარი მოსდევს. სოფელს ახალი სადარდებელი უჩნდება —
მორჩება თავის საქმეს ვასილი შემოდგომის დამლევამდე, თუ ამ ზამთარსაც
გალინასთან გაატარებს?

ვასილის თითქოს გული უგრძობს, ამას უსათუოდ მკითხავენო, და წინას-
წარ აქვს მომზადებული პასუხი: — აი, გუშინ ვაპირებდი სწორედ ბებოჩემ-
თან წასვლას, ბარგი უკვე აკრულზე მქონდა, რომ ქარმა მთელს სიგრძეზე ამო-
ყარა ბოძები და ერთიანად მიღწე-მოღწეა იზადორის ღობეო. ცხადია, ჭკუა-
თამყოფელი კაცი ამ გაყინულ მიწაში ახალი ბოძების ჩაყრას არ დაიწყებს, მაგ-
რამ გამზადებით კი ახლავე უნდა გაამზადო მასალა, თუ შენს კარმიდამოზე
გული შეგტკივა კაცს, გაზაფხულამდე კარგად რომ გამოშრესო.

შენს კარმიდამოზეო? — მეზობლებმა ერთმანეთს გადახედეს — ვინ არის
ვასილი იზადორის სახლში? დღიური მუშა? ნაშვილები, რომელმაც ივალდე-
ბულა ცოლთან ერთად (ოდესმე ხომ ეყოლებოდა ცოლი?) გალინაზე ზრუნვა
მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში? თუ გაიძვერა, ხანში შესული ქალის
მოტყუება რომ განუზრახავს — ერთი სახლი დამიმტკიცოს და მერე მე ვიცაო?
ან იქნებ მთელი წლით ყავს გალინას დაქირავებული?

— მოჯამაგირეობის დრო წავიდა! — ბრაზობს იურკო. — დროა, ყველამ
შეიგნოს ეს!

— მოიცა, მოიცა... რისი დრო წავიდა? ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუ-
ატაცია ჩვენში არ არის და არც უნდა იყოს, მაგრამ სამსახური სამსახურია.
აი, ჩვენი აღმასკომის თავმჯდომარე აიღეთ — ყოველდღე დადის (დაბრძანდე-
ბაო, უსწორებენ) სამსახურში? დადის. დაბრძანდება.

— ეჰ, შენც ლაპარაკობ რაღა! იმას საბელმწიფო სამსახური აქვს, გალი-
ნას კი — კერძო. ეგ როგორც ცა და დედამიწა ისეა.

— ცა და დედამიწა კი არა, ის არ გინდა?... — გაცხარდა ბოლოს მარკო.

ივითონაც აღარ უხარია ახლა, ამ სულელურ კამათში რომ ჩაერია, მაგრამ რა
 ჯნას? — იმის მერე, რაც სახელმწიფომ კერძო მოსამსახურეები თავის კონ-
 ტროლს დაუქვემდებარა, არც იმდენი განსხვავებაა, რომ იცოდეს მენ! იმსა-
 ლურებს ვასილი გალინასთან ერთ ოცდაათ წელიწადს და ისე მინტყებს პენსიას.
 როგორც დაგიბარებია.

— ფუჰ, მარტო პენსიაა საქმე?

— აბა, რაა საქმე ნეტა!

— რაა, მარჩინისავ, და ისა, რომ ქვეყანაზე არაფერი არ მაიძულებს ახ-
 ლა მე, წავიდე და ვინმეს დავუდგე მოჯამაგირედ. სამჯერ მეტი რომ გადამი-
 სადოს, მაინც არ ვიზამ ამას!

— კი, მაგრამ, მეზობლებო, ეს ჩვენი ვასილი მართლა დღიურ მუშად თუ
 ყავს გალინას, მაშინ გადაუხადოს კიდევ, რასაც დღიურ მუშას უხდიან ჩვენ-
 ში — დღეში ხუთი მანეთი და სამჯერადი კვება!

— პირს ხომ არ დასწვავს?

ცხადია, ასეთი რამ სოფელს არ ახსოვს, მაგრამ თუკი არ არის ეს მუშა?
 თუ არც ერთი შრომისუნარიანი გლეხი არ არის სოფელში, უმუშევარი რომ
 იყოს? მერე, ესეცა ვთქვათ, მეზობლებო, მთელი წლით რომ დაუქირავებია
 გალინას ეს კაცი, ამას პროფკავშირში არ უნდა გაფორმება? ან კიდევ ვიშვი-
 ლებო, თუ ფიქრობს, ცოლს ღრამ შეერთავს, რა ჰკუპაზე დადგება მერე და რას
 მოიმოქმედებს იმისი ცოლი, ამას აღარ კითხულობს?

— მოიცათ, ხალხო, რად გვინდა, ამდენს რომ ვლაპარაკობთ ტყუილად და
 წყალს ვნაყავთ, აგერ არ არის ვასილი — გკითხვით, როგორაა საქმე?

პოდა, ერთხელაც ჩაიგდეს ხელში ვასილი და პირდაპირ, ყოველგვარი მი-
 კიბულ-მოკიბულის გარეშე დაუსვენს საეითნი:

— ვინ ხარ მენ იმ სახლში, ვასილი?

ვასილიმაც ასევე გულახდილად უპასუხა:

— არ ვიცი.

პოდა, თუ არ იცი, ობოლო, შენი საქმე შენ, ახლა ჩვენ გვეკითხეო.

მეზობლები დელეგაციის გაგზავნას უპირებდნენ, გალინამ კი ამ დროს
 თვითონ მოუყარა თავი სუყველას, შინ მიიპატიჟა, ჩაუკაკლა, ეტყობა, ყველა-
 ჟერი იმ ეშმაკის ფეხმა ვასილიმ და იმიტომ.

დიდ ოთახში, სწორედ იმ მაგიდაზე, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ იზადორი
 იყო დასვენებული, სუფრა გაეშალათ. პირველი, რაც მეზობლებმა შეამჩნიეს
 ნაირნაირი საუზმეულობითა და სასმელით გაწყობილ სუფრაზე, დამარბილ-
 ბული წითელი როტუნდა იყო (როტუნდა ჩვენში არ იციან და იმიტომ, —
 დამწიფებას ვერ ასწრებს). მოზარშულმა, ორ-ორად დაჭრილმა და მაიონეტში
 ჩაწყობილმა კვერცხებმა კი კაცებს ბუფეტი გაახსენა და მადა გაულვიძა.

გალინამ სუფრასთან მიიწვია სტუმრები, სასმელი ჭიქებში ჩამოასხა,
 თვითონაც აიღო ხელში ერთი ჭიქა. განზე გადგა და, მოდით, ამ სახლის პატ-
 რონს გაუმარჯოსო, წარმოთქვა.

— დიასახლისს! — დააზუსტა იურკომ, მაგრამ ქალებმა მაშინვე წაუჭი-
 კაგეს აქეთ-იქიდან და გააჩუმეს, თუმცა თვითონაც სახტად დარჩნენ, გალი-
 ნამ რომ პირველად თავისი სადღეგრძელო შესვა. ეს ჩვენს წესი არ არის, მოლ-
 დავეთში იციან ალბათ ასეო, უჩურობულეს მერე ერთიმეორეს.

ასე იყო თუ ისე, ყველამ შესვა სადღეგრძელო და დიდი თავბატიქი არავის გამოუღვია — საუზმეს მიეძალნენ.

— მარტა, ერთი ის მოლდავური როტუნდა მომაწოდე! დედაცაცო, — მათჩიხისას ხალხში ყოველთვის დიდი გული აქვს. — არ შეიძლება, რომ ასეთი მოსარშული კევრები შინაც ვკამოთ ხოლმე? მერე კიდევ იტყვიან, ბუფეტში რად დადიხართო.

გალინას არ დაუღვევია და ამიტომ არც სკამდა, იდგა თავისთვის და იზადორის სურათს უყურებდა. ეს სურათი სიახლე იყო მეზობლებისათვის.

— მითხრეს, თურმე ჩემზე ამბობენ, ობოლ ვასილის ტყუილად ამუშავენს, ფულს არ უხდისო...

— ჩვენში ახლა საბჭოთა ხელისუფლებაა და არავის არა აქვს უფლება, სხვის შრომას გაუწიოს ექსპლუატაცია! — წამოენთო უცებ, არაფერ შუაში რომ არ იყო ისე, კონტუზიანი იურკო.

გალინასაც ხომ ეს უნდოდა:

— მართალს ამბობ, მეზობელო! მეც ეგა მწყინს. არც მამაჩემს, არც მამაჩემის მამას, არავის ჩვენს გვარში მუქთი პური არ უჭამია. მეც ბავშვობიდან ამას მასწავლიდნენ...

მეზობლებმა ერთმანეთს გადახედეს — ოჰ, ეგ ჭორიკანა ეგა, ყველაფერი დაუყაჭია!

— თურმე ჩემი მეზობლები ამბობენ, რომ... ვითომ ვასილის მე შრომის საფასურად მარტო სადილ-ვახშამს ვაჭმევდე და მეტს არაფერს ვუხდიდე. იცით, რა გითხრათ — შევარცხვინე მე ისეთი დამჭირავებელი, შრომის საფასურს კაცს სადილ-ვახშამში რომ გამოუბრის და ისეთი დაჭირავებულიც (ერთი უკურე, მოჯამაგირეს კი არ ამბობს, დაჭირავებულიო), თავისი შრომის საფასურად ერთ მათლაფა წვნიანს რომ დასჯერდება.

— მართალია! მართალია! — კვეერი დაუკრეს მეზობლებმა. — ომის დრო ხომ არ არის, დაგვიფაროს ღმერთმა!

— ვასილის მე ყოველდღე, როგორც წესი და რიგია, ისე ვუხდილი ფულს, ის კი ამ ფულს ინახავდა, არ სვამდა და სისუსელებში არ ფლანგავდა... ჰოდა, დააგროვა კიდევ იმდენი, რომ გუშინწინ ჩემგან ეს სახლი იყიდა.

— კარგი, ნუ გამაცინე, მეზობელო, ბევრ სიცოცხლს ტირილი მოჰყვება ხოლმე! — მარკო ლამობს ჭიჭა მიუჭახუნოს გალინას, მაგრამ გალინა შორს იჭერს თავს.

— მე სიტყვებს პაერში არ ვისვრი, მარკო!

ახლალა შეამჩნიეს მეზობლებმა, რომ გალინას წარბები ერთმანეთში გადაზრდოდა.

— რაო? მაშ ეს მმმმ... მმმმმ... მმართალია? — ენა ებმება იურკოს.

— ჰკითხეთ ვასილის.

მარტას გულში იმედის სულ პატარა ნაპერწკალია ღვივის, ვასილი იტყვის, არ არის მართალიო.

— მართალია. — ჩუმად ამბობს ვასილი, ოფლი წურწურით ჩამოსდის პირისახეზე და მის წინ თეფშზე ეცემა წვეთ-წვეთად. მეზობლებს ეჩვენებათ, რომ ვასილი მზად არის ამ თეფშში კი არადა, წვიმის წყლით სავსე კასრშიც კი ჩარგოს თავი, ოღონდ ეს ლაპარაკი არ ესმოდეს.

— უჰჰჰჰჰ... უჰჰ... უჰ... აცცრავად! — კიდევ უფრო უარესად უკიდებს

ენას იურკო. მას უნდა გაიგოს, კიდევ ერთხელ დააზუსტოს, თავისი ყურით გაიგონოს კიდევ ერთხელ, მართალია თუ არა, რომ ვასილიმ იყიდა ენადორის სახლი.



— მართალია. — მტკიცედ ამბობს გალინა.

— იქნება, მართალიც არის, მაგრამ აქ მაინც რაღაც სხვე...

— რა ამბავი, იურკო?

იურკომ არ იცის, რა ამბავი, მაგრამ ნამდვილად იცის, რომ აქ რაღაც სხვა ამბავია:

— ყველაფერი მინახავს, სიკვდილი მინახავს, მაგრამ ვინმეს ასე მუქთაღ გაეცეს თავისი ქონება, არ მინახავს!

— მართალი ბრძანდები, იურკო, მაგრამ მე მუქთაღ არ მიმიცია ვასილისთვის ჩემი ქონება, ვასილიმ მე ფული მომცა.

— საიდანა აქვს ვასილის ფული? ვასილი, უთხარი მეზობლებს, ვინ მოგცა შენ ამდენი ფული, ამხელა სახლი რომ იყიდა?

ვასილის მაგივრად ისევ გალინა ლაპარაკობს:

— აკი გითხარით, ჩემთან გამოიმუშავა...

— ესე იგი, რა გამოდის?.. ვასილიმ თქვენ თქვენივე ფული მოგცათ?

— რატომ ჩემი? ეს ფული მისია, მისი შრომით არის ნობოვებული.

მარტას ნიკაპი აუკანკალდა. ამ დაუდევარ ყბედსა და მომღერალს ახლა ხმის ამოღებაც აღარ შეეძლო.. მაგრამ ხმის ამოუღებლობაც რომ არ შეეძლო?! — მე არ ვიცი... მე ერთი რამე ვიცი, ცხონებული ცოცხალი რომ ყოფილიყო, მე ვიცი ვინც მიიღებდა ამ სახლს... ამიტომ მეწვის გული.

— გაჩუმდი, მარტა, თავს ნუ იმასხარავებ, — ეჩურჩულება მარტას მარჩიხა და თან ხმამაღლა იხოცავს ცხვირს, თავისივე ხმა რომ ჩაახშოს. — ისიც გეყოფა, ქმარივით რომ დაიტირე.

— მოიცათ, ხალხო, ყველა ყველა და მაინც რამდენად გაიყიდა ეს სახლი თავისი ბალიანად? თუ უბალოდ გაიყიდა?

— ბალიანად.

— ჰოდა, რამდენად?

— სამნახევრად.

— ჰმ... დაა!

ხალხს ფასი კი არ უკვირს, ფასი სწორია, ხალხს ის უკვირს, ვინ მისცა ვასილის ამდენი ფული.

— ვასილიმ წელიწადნახევარში დააგროვა ამდენი? კი მაგრამ, რამდენს იღებდა მაინც დღეში?

— დაითვალეთ. — მტკიცე ხმით, თითქოს სასამართლოში ჩვენებას იძლევაო, ამბობს გალინა.

— ამდენი ფული ვასილიმ ნოტარიუსის თვალწინ ჩაგითვალათ?

— ნოტარიუსს შენი ფული სულ არ ენადვლება, მთავარია, ერთმა მხარემ დააწეროს ხელი, რომ ფული მიიღო, მეორემ — რომ გადაიხადა, სახელმწიფო ბაჟი, მრგვალი ბეჭედი და... ეგ არის რა სულ!

მეზობლებს კიდევ ერთი რამის გაგება სურთ:

— გალინას რაღა დარჩა?

— არაფერი. აქ მოგებაზე კი არ იყო საქმე... ღირსების საკითხია.

მარტა, კაცმა არ იცის, რატომ და რისთვის, ისევ თავისას მიერეკება:

— ვასილის ცოლმა სასაცილოდ რომ ავიგდოთ, გალინა, მაშინ?

— მე ამცდოს სასაცილოდ? მე? ისე, თუ რამე არ მომეწონა, ავიკრავ ვუდა-ნაბადს და წავალ ა ლა კასა*, მოლდავეთში.

იურკოს მთელი ამ ხნის განმავლობაში მაგიდის ქვეშ მუხლებზე რალაც ციფრები გამოჰყავს, მაგრამ ბოლოს, არაფერი რომ არ გამოესწრო, დაუკმუქვნილ ხელსახოცს მაგიდაზე ისვრის გამწარებული. არავინ, არასოდეს არ დაიჯერებს, რომ ვასილიმ ამდენი ფული თავისი შრომით იშოვნა! აი, რისი თქმა და დამტკიცება უნდა იურკოს.

ბოლოს და ბოლოს გალინასაც მოსდის გული:

— კარგი და უფულოდ მივყიდე, ვთქვათ, ვასილის მე ეს სახლი, ვისი რა საქმეა? ღირსება სამათასნახევარზე ძვირი მიღირს მე.

— ახლა... ჰოოო! — არ ეთანხმებიან გალინას მეზობლები ამ საქითხში.

— მოითმინეთ, გალინა, მოითმინეთ — რას ნიშნავს ღირსება? წინათ იყო ლოლმე, თავისი ღირსება რომ დაეცვა კაცს სასამართლოში, უკანასკნელ მიწის ნაკვეთსაც იმეტებდა.. მაგრამ ეს როდის იყო! ახლა, როცა ხალხმა ომი და შიმშილი გამოიარა და დარწმუნდა — ხელი, ფეხი, თვალი... ისეთი განძია, რისი ფასიც არაფერი გააჩნია ადამიანს, სიძარდილე გითხრათ, ეგ თქვენი ავგიატებული ღირსების ცნება, ცოტა არ იყოს გაუფასურებულია უკვე.

— ხალხი ახლა უფრო ფართოდ და ღრმად უყურებს ამ საქითხს. — ჩიერია საუბარში იურკო, — საზოგადოებრივი ღირსებაა ახლა მთავარი, ახლა უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ჩემო კარგო მეზობელო, სოფლის, სკოლის, სამხედრო ნაწილის, ფეხბურთის გუნდის, სამამულო კოსმონავტიკის ღირსებას. კი ნუ მიწყენთ და ახლა ერთი ადამიანის ღირსება, იგივეა, რაც კერძო საკუთრება. იქნება, როგორმე გავძლოთ უამისოდ, ჰა?

— აბა, რას ამბობთ, იურკო, რომელ საზოგადოებრივ ღირსებაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ადამიანებს, კოლექტივებს თავიანთი პირადი ღირსება არ ექნათ? უვარგისი ნაწილებით შანჭახა როგორ უნდა ააწყოთ?

— გალინა მართალია!

— გალინა მართალია!

— გალინა მართალია!

ყველა მათგანს ეს უთხრა იმ წუთში გულმა.

— კი მაგრამ, შენ რალას გაჩუმებულხარ და ხმას არ იღებ, ვასილი? აბა, სახლის პატრონო, გვითხარი ერთი შენი სიტყვაც!

ვასილის სულ ერთი წამით, აი, ფოტოგადაღებისას სინათლე რომ გაჩახახდება უცებ და უმაღვე ჩაქრება, ისე გაუფლვა თავში — რა სჯობია, ავდგე, ამ ხალხს სახლის ახალი პატრონის, ესე იგი ჩემი სადღეგრძელო შევთავაზო და ასე და ამგვარად ხუმრობაში ჩავატარო ყველაფერი, თუ სულაც ხმა არ ამოვიღო, მაგრამ ბოლოს არც ერთი ჰქნა და არც მეორე — წამოდგა ფეხზე და საცოდავად ამოდერდა:

— გალინამ ყველაფერი თქვა, მე ვერაფერს დავუმატებ...

მაშინვე მიხვდა, რომ სასულელე ჩაიდინა, თავისივე ნებით მიუშვირა ჯურჯი ამ ხალხს. ახლა, იცოცხლე, ესენი ზედ შეჯდებიან და გამოაჭენებენ საყვეყნოდ! ჯაბანი და მორჩილი კაცი არ უყვარს სოფელს!

* ა ლა კასა — შინ (მოლდ.)

— ვასილი, ერთი მოგვიყევი, როგორ იყო, სხვისი ნაოფლარი რომ შეიტყუაპუნე? რატომ ხელი არ გავიხმა, პა? არ მოგიწონებდა, ვასილი, ამას მამაშენი...

მეზობლებს სულაც არ ენადვლებათ, ვასილის ცრემლი სდის, თუ როგორ იწურება, მათთვის ახლა მთავარია, ჭკუა ასწავლონ უქნარას, რომ სხვა დროს კიდევ არ წასძლიოს სულმა, მუქთი პურის საკმელად. უნდა იცოდეს — რაც არ ერგება, არ შეერგება!

— ვასილი, ახლა ხომ შენა ხარ ამ სახლის პატრონი, ამიყვანე შენს ადგილზე, რა იქნება! ღმერთმანი, არ დავიწუნებდი ასეთ სამსახურს, ორ წელიწადში „ვოლგას“ ვიყიდდი და შენც წავიყვანდი ხოლმე ივანოვო-ფრანკოვსკში.

უმრობა იქით იყოს და მარტას უნდა (მოიკრიბა მაინც ბოლოს ძალ-ლონე) კიდევ ერთი რამე ჰკითხოს გალინას — მართალია, თუ არა, რომ ვასილიმ სამ ათასნახევარი გადაიხადა იზადორის კარ-მიდამოში? მარტას მხოლოდ ეს უნდა იცოდეს, მეტი არაფერი.

სულელური შეკითხვაა. აკი გალინამ თვითონ თქვა, უფულოდ მივყიდეო, მაგრამ მეზობლებს ესმით მარტასიც, მარტას ისე ძალიან აღარ დასწყდება გული, თუ გაიგო და დაინამდვილა, რომ ვასილის მუქთად არ ჩაუგდია ხელში იზადორის ნაკვდავი კარ-მიდამო.

— კი ნაღდი ფული მომცა, კიდევ რისი გაგება გწადიათ?

— ხალხო, პატიოსანო! — კვლავ წამოვარდა ზეზე იურკო. არაყი აუვარდა თავში და ნაყვავილარი პირი-სახე ერთიანად წამოუჭარხლდა. — თუ მართალია, რომ „ბებოს ვასილიმ“ სამ ათასნახევარი გადაიხადა ნაღდი ფულად ამ სახლში, თქვენი არ ვიცი და მე აქ აღარაფერი მესაქმება!

პირველად იურკო ადგა სუფრიდან, მერე მარჩიხა, ამით მარკოც აპყვა, თუმცა კი არ უნდოდა ჯერ წასვლა, მაგრამ მარჩიხა ადგა და რაღას იზამდა?

სტუმრებს კალთებს არავენ აგლეჯდა, არავენ ეპატაუებოდა და ისინიც ნელ-ნელა გაიკრიფნენ გარეთ.

ერთი სიტყვა რომ ნაინც ეთქვათ ვასილის, ან გალინას, იურკოს როგორმე დააშოშმინებდნენ და ყველა თავთავის ადგილას დარჩებოდა; მით უმეტეს, რომ ბოთლებში ჯერ კიდევ ბევრი იყო სასმელი და საკმელიც სუფრაზე თითქმის ხელუხლებელი რჩებოდა. მაგრამ არც ერთმა არ ამოიღო ხმა.

სუფთა პაერმა, გამხმარი ფოთლების სურნელება რომ მოჰქონდა, თითქოს ცოტათი გამოაფხიზლა მეზობლები, მაგრამ გამოფხიზლებულებს კიდევ უფრო უცნაური ეჩვენათ გალინას საქციელი.

— საქციელი, თორემ... რომელმა ნახეთ ნეტავი ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ქაღალდი?

— აი, ხომ ხედავთ, კაცებო, არაყს სანამდე მიჰყავხართ? ამდენი ილაქლაქეთ, ამდენი და, ერთი ნასყიდობის ქაღალდი გვიჩვენეთო, ამის თქმა ვერავენ მოიფიქრეთ.

— გეყოფათ, ქალებო! თქვენც იტყვით, რაღა... გალინას საბუთები წესრიგში ექნება, იცის იმან უამისოდ ერთ დღეს რომ ვერ გაჩერდება ამ სოფელში!

ცოლები კიდევ ჰმრების ხათრით თავს იკავებენ, მაგრამ მარტა აშკარად დასცინის კაცებს და პირზე ხელსაც არ იფარებს — ბრყვები ხართ, ჭკუის კოლოფებად კი მოგაქვთ თავიო.

— ვინა თქვა, გალინამ ვასილის რამე აჩუქოს?! იქნებ არც მასეა საქმე, თქვენ რამ გგონიათ? იქნება ვასილიმ კი არ იყიდა, ვასილი იყიდეს, ჰა? ვა-ლინამ სამათასნახევრად იყიდა ვასილი, თქვენ კი კაპიკად არავის უნდინართ!

— ეჰ, მარტა, მარტა! აბა, რა ვითხრათ, მართლა ბრძანებდა, რომ ამბობ ჩვენც გვესმის პატარა რალაცა ამ ქვეყანაზე, მაგრამ იქნებ გგონილა, კაცს ვაშლის ჭამა უნდოდეს და ვაშლის ხესა სჭრიდეს! ან კიდევ სხვის სოფელში რაე მოისურვილოს და ძროხა იყიდოს! არა, აქ რალაც სხვა ამბავია...

— იქნება... — იურკოა თანდათან გონება უნათდება, — იქნება ე მაგის ფასი ახლა ეგეთია, რა იცი? ჩვენ ვართ აქ, ამ მთებში შეყუთულები ჩვენთვის და არაფერი ვიცით, რა ხდება ქვეყანაზე!

— მოკეტე, იურკო! — მარჩინისას რალაცის თქმა უნდა.

— აი რა, მეზობლებო, ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო მეზობლებო! ამოცანა გვეკითხება, ჩვენ ვერა ვპასუხობთ. არც თქვენ, არც მე ამ ამოცანის პასუხი ჯერ არ გაგვაჩნია. მოდით, ყველამ ვიფიქროთ, ვიფიქროთ და, როგორც ჩემი შვილიშვილი ამბობს, კროსვორდი თავისით ამოიხსნება.

მეზობელმა მეზობლისაგან რამე ითხოვოს, ეს აბა, რა გასაკვირია? პირიქით — სოფელში მთლად კარგი თვალთ არც უყურებენ ისეთ ადამიანს, შენი რომ არაფერი უნდა და თავისას ნუ მოსთხოვ. ზოგჯერ ისეც ხდება, წავლენ-წამოვლენ შინაურები აქეთ-იქით, დარჩები სახლში მარტო და ისეთი სევდა შემოგაწვება გულზე, რომ ერთი სული გაქვს, ოღონდ კი საქმე გამოგიჩინდეს რამე, რომ ვინმესთან მიხვიდე.

ისე, ცოტა არ იყოს ადრე კი მოუვიდა მარჩინას გალინასთან სტუმრობა — ასე ადრე არ მოვიდოდი, მაგრამ კვამლი დაეინახე ამოდითა და საკვამურიდინო.

ვასილი არ ჩანდა არც ეზოში, არც სახლში. ქალაქად თუ იყო წასული? სამზარეულოში მისი ლოგინი შეკვეთილი იყო.

— მეზობელო, ხორცის საკები მანქანა უნდა მათხოვო. მეც კი მაქვს, მაგრამ ჩემსას სახელური არა აქვს. გადამეკარგა სადღაც. არა უშავს, მარკო გააკეთებს ახალს... ო, თქვენ არ იცით, მარკოს რა ხელი აქვს! ახლა კი აბა, რა ვქნა, სადილად შუამავალს ველი და ხორცი მინდა გავატარო, თორემ ისეთია, რომ... საკატლეტედ თუ ივარგებს, სხვად — არაფრად.

მარჩინას სტუმრობამ არამცოლუ ასიამოვნა, კიდევაც გააბრაზა გალინა. რა დროს კატლეტებია, ამ დილა უთენია რომ დამდგომია თავზე, რომელი ერთი გავაკეთო — თმა ავიკრიფო უკან, ხალათი მოვიცვა, თუ რა ვქნაო. მაგრამ თავი შეიკავა და მეზობელს თავაზიანად მიუთითა სკამზე.

სამზარეულოს მაგიდიდან ოთახში გამავალ კარამდე რა მანძილი შეიძლება იყოს? მეტრნახევარი — ორი მეტრი, მეტი ხომ არა? ეს მანძილი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რათა მარჩინას ოდნავ შედებულ კარში აშლილი ლოგინი დაენახა, სადაც ორი ბალიში იდო ერთიმეორის გვერდით.

ესეც შენი კროსვორდი!

ყველაზე უფრო ამ ამბავმა მარტაზე იმოქმედა. მეზობლებს ამჯერად უკვე სულ აღარ ესმით მისი ექვსანობა. აი, იზადორი რომ ცოცხალი ყოფილიყო, კიდევ ჰო, და... ისე?..

მარტა ისეა განრისხებული, ვერც კი ამჩნევს, რომ არგვლივ ყველა დას-

ცინის. რას ამბობთ, მარტა, ვასილი იზადორის დასთან ცხოვრობს? ნეტო მართლა? რას არ იტყვის ხალხი, აკი გალინა ცხოვრობს ვასილისთანო?!

ერთხელაც იურჩიხასთან დაიმართონელეს ქალებმა და კარგად გეგრიანად შეახურეს — შენ რა, ქალო, ამის მეტად არც გაგიგონია და არც გინახავს. ქალს და კაცს ხელმოუწერლად ეცხოვროს ერთად?

მარტას ტირილი უნდა და ტირის იმის გამო, რომ მეზობლებს, ვის გვერდითაც, შეიძლება ითქვას. საუკუნეა ცხოვრობს, არ ესმით მისი.

— იცხოვრონ, ბატონო, იცხოვრონ, რამდენიც უნდათ, ხელმოუწერლად იქნებიან თუ ხელმოწერილად. შე რას დავეძებ?

— აბა, რას დაეძებ შენ, მარტა?

— რას და, თუ გინდათ იცოდეთ... რას იტყვის ხალხი? გალინა ხომ დედად შეჰფერის ვასილის, ის კი ლოგინში უწვება.

— მარტა, შენ ერთი ქმარი გყავდა და ერთიც იზადორი გიყვარდა...

— მიყვარდა არა ისა...

— ...ამ ორი კაცის გარდა თუ არსებობდა კიდევ ამ ქვეყნად სხვა კაცებიც არ გეგონა, იჯექი შენთვის შენს ნაჭურჭში, ქვეყანა კი, ლამაზო...

— არა ვარ მე შენი ლამაზი, მარკო, მე ქვრივი ვარ.

— ჩვენთვის ლამაზი ხარ და მადლობა შესწირე უფალს და ჩვენ, ამას რომ გეუბნებით, ცხოვრება შარვლის ტოტივით სწორი კი არ არის, ისეა დახლართული, რომ ვერც თავს გაუგებ ზოგჯერ და ვერც ბოლოს. დამშვიდდი-მეთქი, მარტა, დამშვიდდი. ისე, კაცმა რომ თქვას, ადამიანურად თუ შევხედავთ ამ საჭმეს, ისეთი არც არაფერი მომხდარა.

— ამით, რისი თქმა გინდა, იურკო?

— იმისი თქმა მინდა, რომ გალინას ვასილისკენ უფრო იმიტომ გაუწია იღბათ გულმა, ობოლი რომაა და დედა არ ახსოვს.

ახლა მარტა კი არ ტირის, სიცილით კვდება:

— იქნებ ვასილისაც იმიტომ გაუწია გულმა, მისი ხნის შვილი რომ შეიძლებოდა ყოლოდა გალინას?

— რა გგონია შენ? შეიძლება, ღმერთმანი, შეიძლება!

— მოიცა, მოიცა... ხალხო, ცხადში მესმის ეს ამბავი, თუ მესიზმრება? რას მელაპარაკებით, თუ იცით? გამოდის, რომ დედა და საყვარელი... ფუჭ, სოდომი და გომორაა ეს და მეტი არაფერი!

ამ ამბავმა გალინა დაამცირა მთელი სოფლის თვალში, ვასილი კი გოგონების თვალში გმირად აქცია. სულელები და ბრმები ყოფილან, თუკი აქამდე ვერ დააფასეს ჯეროვნად ვასილის წითელი, კამფეტრით ტუჩები, თვალს რომ ეამებოდა მხოლოდ და არა ბაგეს. მისი ვერდისფერი ლოყები, ბევრ მათგანს რომ შურდა, მაგრამ არ მოსწონდა... მათ უფრო ქარ-წვიმისაგან გაუხეშებული, ქვასავით ცხვირ-პირი იზიდავდათ ვაჟკაცისა.

გალინამ აუბილა მათ თვალი და დაანახა რომ ვასილის ბეჭები კართს სიძნობო ჰქონდა, გულმკერდი ღუმელის სიმსხო და ხელები ორთაყვირებით ეკიდა ტანზე. არც გალინა იყო ამ მხრივ ბედისაგან დაჩაგრული, მაგრამ ალბათ მასაც კი უჭირდა, ამოდენა, დათვივით კაცი რომ შემოხვევდა ტორებს.

მარკოს ქალიშვილი, ნიუსკა, ფიქრობს, რომ სანამ ესენი ხელის მოწერას იფიქრებენ, ყველაფერი შეიძლება მოხდესო.



- ვასილი, რასა იქმს შენი პანი?
- ყავას მიღულებს და არის, რა იყო?
- ცოლად ხომ არ გინდა შეირთო? შეირთე, შეირთე, თან დედასაც იშოვი!..
- წამომყევი მეჭვარედ.
- აბა, მეტი საქმე არა მაქვს.
- ჰოდა, ამიტომაც არ ვირთავ. მეჭვარის გარეშე ქორწილი რა ქორწილია?
- იცი, სოფელი ლაპარაკობს, ყავაში წამალი ჩაუყარა და ასე მოხიბლათ.
- აბა, სხვამ კი ვერ მოიფიქრა ეგა!
- ჰო, მაგრამ ეს ხომ ხიბლია, ხიბლი რომ თავის ძალს დაკარგავს და დედაბერი შეგრჩება ხელში, მერე რას შვრები?
- არ დავაკარგინებ ძალას, როგორც კი შეგატყობ, რომ წამალი ძალას კარგავს, მაშინვე კიდევ მოვთხოვ, გამიკეთე-მეთქი.
- სულ გამოჩერჩეტებულხარ და ეგ არის!
- რომ იცოდე, რა კარგია ასე გამოჩერჩეტება!
- წადი, წადი, მღვდელს უთხარი, სახარება წაჯიკითხოს!
- წავიდოდი, მაგრამ კომკავშირის ბილეთს რა ვუყო?
- ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობად ჩაითვლებოდა, ერთ მშვენიერ დღეს იზადორის ეზოში მილიცია რომ არ გამოჩენილიყო.
- გამარჯობათ.
- გაგიმარჯოთ.
- თოფი გქონიათ, რეგისტრაციაში გაუტარებელი.
- თოფი არცა მქონია არასოდეს და არცა მაქვს.
- გაგჩხრიკოთ?
- ჯერ ერთი, ამხანაგო უფროსო ზემდეგო, გაჩხრიკის უფლებას პროკურორი იძლევა. თოფი კი აგერაა, ცოტა მტვრიანია და უნდა გვაპატიოთ, სტუმრებს არ ველოდით.
- არალეგალური იარაღი გქონიათ, შეტყობინება მართალი გამოდგა.
- არ გამოდგა მართალი, აი, უფლება.
- ხა-ხა-ხა... აი, ცირკი თუ გინდათ. ეს არის. ვის სახელზეა ეს უფლება გაცემული და როდის?
- როგორ თუ ვის სახელზეა? ვის სახელზეა და ვისიც თოფია, იმის სახელზე.
- მოითმინეთ, მოქალაქევ! უფლება იზადორის სახელზეა გაცემული, მილიციას კი ზუსტი ცნობა აქვს, რომ იზადორი უკვე ერთი წელიწადია, გარდაიცვალა.
- გალინა ეთანხმება. უფლებაც და თოფიც მისი განსვენებული ძმისაა.
- მფლობელის სიკვდილის შემდეგ იარაღი რატომ არ ჩააბარეთ მილიციას? ჯარიმის გადახდა მოგიწევთ, მოქალაქევ!
- რას იზამ, კანონი კანონია.
- საქმეც ეგ არის, რომ კანონი კანონია. ეგ რომ აღრე ვაგხსენებოდათ, ჯარიმის გადახდა ხომ აღარ მოგიწევდათ?
- ამ ამბავს მერე ერთი კვირაც არ იყო გასული და ახლა მეტყევე და ტყის მცველი მოვიდნენ, საჩივარია შემოსული, მთის ნეკერჩხალი მოჭრა ეზოშიო

— კი, მოვკერი, მაგრამ ჩემს ეზოში მოვკერი, სახელმწიფო ტყეში ხომ არა?

— მწვანე ხეების, განსაკუთრებით კი მთის ნეკერჩხლის მოჭრა არც საკუთარ ეზოში შეიძლება. კანონია ასეთი, მოქალაქე!

გალინას ხომ არ დაურგავს ეს კადრები აქ, არც მისაქმდას დაურგავს. მაშ რა უფლება აქვს, რომ ანადგურებს ჩვენი ბუნების ამ სამკაულს? ჯარიმა!

— ჯარიმაა და ჯარიმა იყოს! — ახლა უკვე ცნობისწადილი გაუჩნდა. მორიგ ჯარიმას ნეტა რაღაში გადამახდევინებენო?

გამოჩნდა ამ მორიგი ჯარიმის გადამხდევინებელიც — საფინანსო განყოფილების ინსპექტორი. განცხადებაა შემოსული, რომ გალინა თურმე ბალახით მკურნალობას და მკითხაობას ეწევა. ჯერ ერთი, უდიპლომო ექიმებს საერთოდ ეკრძალებათ პრაქტიკა და მერე მეორეც — ასეთი საქმიანობისათვის საშემოსავლო გადასახადია დაწესებული. მკითხაობისათვის კი — მკითხაობა ხომ ხალხის ოპიუმია? — ჯარიმა უნდა გადაიხადოთ.

გალინას უნდა თავისი თვალით ნახოს ეს განცხადება.

— არ შეიძლება, ეს სახელმწიფოებრივად საიდუმლოებაა.

— მაშინ ძალიან გთხოვთ, ცნობად მიიღოთ: — მე არასოდეს არავისთვის არავითარი ბალახით არ მიწამლია, მკითხაობაზე კი უნდა მოგახსენოთ, რომ ეს შეურაცხყოფაა და მე მზად ვარ სასამართლოში ვუჩივლო ჩემს ცილისმწაშებლებს.

— ესე იგი, თქვენ ამტკიცებთ, რომ ამ სახლში არასოდეს არავინ არ ეწეოდა ბალახით მკურნალობას?

— მე ეს არ მითქვამს, ბალახებით ჩემი ძმა წამლობდა ხალხს.

— საშემოსავლოს იხდიდა? დიპლომი ჰქონდა?

— არ ვიცი. მე არაფერი არ ვიცი. ჩემი ძმა ერთი წლის წინათ გარდაიცვალა, შეგიძლიათ ზეციური ფოსტის მეშვეობით დაუკავშირდეთ მას და უთუოდ დაწვრილებით პასუხს მიიღებთ თქვენს შეკითხვებზე.

— მოქალაქე! — თითხს უქნევს გალინას ინსპექტორი, — ცოტა ფრთხილად! ჩვენთან ხუმრობას არ გირჩევთ. კიდევ ერთი პატარა შეკითხვა გვაქვს: ვის ერგო მემკვიდრეობით ეს სახლი, თავისი ბალიან-სავარგულიანად?

— მე, განსვენებულის დას.

— ძალიან კარგი. განსვენებულის დას თუ მოეხსენება, რომ საფინანსო განყოფილებას აქვს იურიდიული საფუძველი, სამი წლის განმავლობაში მემკვიდრეებს გადაახდევინოს დაგალიანება, განსვენებულის სახელზე რომ ირიცხება?

— არ ვიცოდი. აწი მეცოდინება, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ აღარც სახლი და აღარც ეს ბალი მე აღარ მეკუთვნის.

— როგორ თუ თქვენ არ გეკუთვნით?

— როგორ და ისე. ყველაფერი აგერ იმ მოქალაქეს მივყიდე. აი, საბუთები.

ინსპექტორი ჩაფიქრდა და თავის ფხანას მოჰყვა, არ იცოდა, მემკვიდრეები, მეტადრე, როცა სახლი უკვე გასხვისებული იყო, თუ იყვნენ ვალდებული გარდაცვლილი კაცის ვალები დაეფარათ.

მერე კიდევ, ერთი-ორჯერ ვიღაც სხვაც იყო გალინასთან. ამიტომ მეზობლებს აღარ გაჰკვირვებიათ, როცა დაინახეს ერთ დღეს, რომ იზაბორის სახლს

მანქანა მოადგა და გალინამ და ვასილიმ ის ნივთები დაუდეს ზედ. ერთი წლის წინათ გალინამ თან რომ ჩამოიტანა მოლდავეთიდან.

მეზობლები ახლაც ზუსტად ისე, როგორც გალინას ჩამოსვლის დღეს, თავთავიანთი ჭიშკრების წინ იყვნენ გამოფენილნი და ყუჩხადრეზით ადევნებდნენ თვალს, მართლა მართო თავისი ჩამოტანილი ნივთები მსჭქანდა გალინას, თუ იზადორის ნივთებსაც აყოლებდა ხელს.

მაგრამ ამის დადგენა ძნელი იყო, რადგან ჯერ ისევ ბნელოდა, მანქანა რომ წავიდა — მზის ამოსვლამდე მოხდა ეს. თანაც მძლოლი, ეტყობა, ძალიან ჩქარობდა — გალინა და ვასილი სულ ფაცხა-ფუცხით ყრიდნენ მანქანაში ბარჯს.

გამომშვიდობებითაც ერთმანეთს, ეტყობა ადრე გამომშვიდობებოდნენ, რადგან გალინამ, მანქანაში რომ ჩაჯდა მერელა გაუღიმა მხოლოდ ვასალის და ვასილიმაც ისე დაუქნია ხელი, მეცხვარე რომ მთის ძირში მიმავალ მატარებელს გააყოლებს თვალს.

ყველამ იცის, რომ გალინას მისმა უახლოესმა მეზობლებმა აუკრეს გუდანაბადი სოფლიდან. მაგრამ, საოცარია, არავინ მათ აუგს არ ამბობს სოფელში და არც გალინა ენატრება ვინმეს.

მარტა ამბობს: ყველაფერი ამ ოხერი ომის ბრალია, სინდისისაგან გაგვრეცხა სუყველა, თორემ მე მაინც რატომ არ უნდა მეცოდებოდეს გალინაო. მაგრამ აი, ეგ არის, რომ უსამართლობას ვერ ვიტან, იზადორის ქონება ასე მუქთად რატომ უნდა ჩავარდნოდა ხელში „ბებოს ვასილისო“. — ეპ, ყოფილიყო ცოცხალი ცხონებული, მე ვიცო, რასაც იზამდა... ანდერძს დატოვებდა, ანდერძს და თავის ქონებას იმას დაუმტკიცებდა, ვინც ყველაზე უფრო იყო ამისი ღირსი!

იურკო დალევს თუ არა ფოტას, მაშინვე ტრაბახს მოჰყვება ხოლმე:

— აი, სადაც კი შემხვდება არა, ვასილი, იქვე შევაფურთხებ იმ მწვანე თვალეებში! ეგ რა კაცია?! თავმოყვარეობა მაგას არა აქვს და არაფერი!.. ნამდვილად ვიცო, მამამისი ამას არ იკადრებდა, არც პაპამისი და არც მისი პაპის მამა...

მარჩიხისა კი სულ სხვა აზრისაა: დავაბოტებთ, ძამია, ამ დედამიწის ზურგზე და, მიწას თუ სტკივა რამე, არ გვეგონია! იმიტომ, რომ ყველაფრის უფლებას გვაძლევს... ერთი თუ დაფიქრებულხართ ვინმე, რომ მიწასაც აქვს გული და გონება?

— მარკო, შენ, გეტყობა, ნათლობიდან მოდიხარ, ან ნიშნობაში ხარ ნამყოფი?!

— თქვენ რაც გინდათ. ისა თქვით და მე კი ჩემი ვიცო. ეს ჩვენი მთები ვის აღარ გადმოუღალხავს, რამდენი ბატონი და პატრონი ჰყოლია აქაურობას, რამდენი ვაჭარი და კოლონისტი. მაგრამ აბა, რომელი ერთი მიიბარა ამ ჩვენმა მიწამ სამუდამოდ განსასვენებლად? მიწამ თავიდანვე შეიძულა ეს ხალხი, იმიტომ, რომ კაი გულით არ დადიოდნენ ზედ.

არა, ახლა სალაპარაკოდ კი არ ვამბობ, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ხომ გახსოვთ, როგორ მედაღურად შეზიდა მაშინ სახლში მძლოლთან ერთად გალინამ თავისი ბარგი-ბარხანა, თითქოს გვეუბნებოდა, აბა, თუ არ შემიძლია, უმეზობლოდ ვიცხოვროო. ბოლოს? ხომ მივიდა ქაჩალი მექუდესთან?!

— გალინა უნდა წასულიყო სოფლიდან, რადგან სოფელმა რავედანვე აითვალწუნა იგი!

— ვასილიც აითვალწუნა?

— კარგი ერთი, იურკო, ნუ ბრაზობ და მართლა კონტრუქტორებთან ნუ იქცევი! ერთი ტუტუცი ბიჭი რა გახდა სოფლისათვის ისეთი, რომ ცუდი შევიწახოთ?

— ეჰ, მარჩიხისავე, ამ ტუტუცმა ბიჭმა, შენი ნიუსკა რომ გთხოვოს, ნგონია, აწი აღარ ეტყვი უარს, ჰა?

მარტას აბა, ენაზე რა დაადგებოდა? მაშინვე მიტრბენინა და წვრილად ჩაუკაკლა ყველაფერი მარკოს გოგოს, თან თავის მხრივ დაუმატა: სულ მზამზარეულზე იცხოვრებ, ამას რა ჯობს?“

ნიუსკამ, როგორც მარტა ყვებოდა მერე, იმწამსვე წარბები შეჰყარა, თითქოს დედა შეუგინა ვინმემო: — რატომ მეუბნებით ამას, დეიდა? ვის რად უნდა ახლა სხვისი ქონება? ძველი დრო ხომ არ არის, ქონების გულისათვის, თვალდახუკულებს რომ ათხოვებდნენ ქალებს მშობლები? მამაჩემი ვითომ ვერ ამიშენებს სახლს, თუკი დამჭირდა, როცა გაფთხოვდები? ისეთ სახლს ამიშენებს, იზადორის სახლი მონაგონი იქნება! სხვა თუ არაფერი, ახალი ხომ მაინც იქნება!

ლაპარაკი ლაპარაკად, მაგრამ მარცვალი, ეტყობა, ნოყიერ ნიადაგში მოხვდა და უმაღლ გალივდა:

— როგორ ხარ, ვასილკო?

— ვარ, რა...

— საქმელს ვინ გიკეთებს?

— ხან ბებოჩემი მოდის, ხან — მე თვითონ.

— ვინ გირეცხავს, ვასილკო?

— ბებო.

— ცას ხომ არ გამოეკერება ეგ შენი ბებო?

— ეგეც მართალია.

— ჭურჭელს ვილა გირეცხავს?

— ბებო, ან არავინ.

— როგორ, თუ არავინ?

— როგორ და ისე, ოღონდ ჭურჭელს ნუ გამარეცხინებ და...

— გინდა, მოვალ, მოგეხმარები?

— მოდი... თუ გინდა.

— მინდა.

— კარგია, რომ გინდა.

— მარტო მოვიდე, თუ ვინმე მოვიყვანო?

— მარტოც კარგად მოერევი...

— მართლა მოვალ, იცოდე!..

— მე, რა, ვხუმრობ რა?..

ჰოდა, მივიდა.

დაუდარაჯდა ერთხელ კლუბიდან გამოსულს, გაუყარა ხელი, აქაოდა, მეზობელია და ერთი გზა გვაქვსო. მერე სიტყვა სიტყვას მოჰყვა და ასე ლაპარაკ-ლაპარაკში უცებ იზადორის სახლში ამოჰყვეს თავი.

სამზარეულოში რომ შეიხედა, იმწამსვე ხელები ვაასავსივია ნიუსკამ,

არეულობა რომ იქნებოდა, ვიცოდი, მაგრამ ასეთ ამბავს მაინც არ ველოდიო.

— აბა, ვასილი, მარდად, ვაიქეცი, წყალი მოიტანე, მე ლუბკებს ავანთებ და ჭურჭელს დავახარისხებ ამასობაში, მინისას ერთად დავაწყო, ქონიანს ცალკე გადავდებ. ქვაბებსა და ტაფებს სულ ბოლოს უფრუფრუფრად...

ვასილიმ მოიტანა წყალი, იდაყვით ბუფეტს დაეყრდნობოდა და უწყობდა ყურება ნიუსკას, თუ როგორ ტრიალებდა და ოჯახობდა სახლში.

საათნახევარში ყველაფერი თავთავის ადგილზე იყო უკვე და ბზინავდა. სამზარეულოსაც თითქოს ფართობი მოემატათ, უფრო ვრცელი და მსიარული გამოჩნდა უცებ.

— რა არის ქალის ხელი? როგორც ცუკვიან...

— კარგი, კარგი, ნუ მაქვებ, — ცალი ხელით ოფელს იწმენდს შუბლიდან ნიუსკა, როგორც ამას აკეთებდა თავის დროზე დედამისი და ბებიაშისიც, ალბათ. — თორემ ბევრი ქება ხომ იცი?.. ისა სჯობია, წყალი დამისხი, ხელებს გადავიბან აგერ, აო, ამ ვარცლზე. საპონი სადა გაქვს? რა შორიდან მივლი, აბლოს მოდი, ვერა ხედავ, წყალი იატაკზე იღვრება?

ვასილი მორჩაღად უახლოვდება. ნიუსკა, ვიდრე პერსახოცს მოჰკიდებდეს ხელს, სახეში შეაშხუფებს წყალს, ვასილი თავს განზე სწევს, მაგრამ საპონი მაინც ხვდება თვალში.

— ნუ სულელობ!

— ვითომ რატომ არ უნდა ვისულელო, რა, ქმარს ხომ არ მივუტოვებოვარ რომ დარდს შევატყვივინო გული?

— რა შუაშია?

— ვითომ არ იცი?

— მორჩი ახლა...

— ჰო, კარგი, ვიხუმრე... ვაი, როგორ დაგიჰმუქნია ეს ბალიში! გეგონება, ძაღლს უგორავია ზედ, ჰმ... ჰმ... რას მიყურებ?

არც უკითხავს, თუ შეიძლებაო. მოკიდა ხელი ბალიშს და ისე მოხერხებულად და სწრაფად ააბუა, რომ ბუმბული ჰაერში აფარდა უცებ.

ვასილი თვალს არ აცილებდა ნიუსკას.

„მოვეწონე, თუ იმას ვაგონებ?“

— მოიცა, ახლავე მოვალ...

„ამ საწოლს სამზარეულოდან, რა თქმა უნდა, გარეთ გავაგდებ. აქაურობას უფრო ტახტი მოუხდება. ბუფეტზე ფარდებს დავკიდებ აუცილებლად, არავინ რომ არ შეიჭვრიტოს შიგ...“

ვასილიმ დიდა თასით ვაშლები შემოიტანა. სოფელში ჭერ არავის აქვს ასეთი ვაშლები, ამ ვაშლის ნერგი აზადლორმა მოლდავეთიდან ჩამოიტანა, დიდხანს ვერ შეეგუა აქაურ ჰავას, შეზობლები უკვე ამბობდნენ, აქედან არაფერი გამოვაო, და აი ამ შემოდგომაზე უცებ ნაყოფი გამოიღო.

— იმას ნუ უყურებ, ცუდი შესახედავი რომაა, გასინჯე...

ნიუსკამ თავისი მაგარი კბილები ჩაასო და ხარბად გაკბიჩა ვაშლი (უცნაურია, სულ მამას გავს და მაინც ლამაზია!).

— ლამაზი კბილები გაქვს! — ეუბნება ვასილი ნიუსკას და მაშინვე ასწორებს შეცდომას, — კარგად კბეჩენ ვაშლს!

— სხვის ხომ არაფერს კბეჩენ? ჰა, ჰა, ჰა..

— გემრიელია?

— ხო.

— წაიღე სახლში, — თვალებით პარკს ეძებს ვასილი, — სულ წაიღე, დღეს შენ დაიმსახურე...

— უღრმესი მადლობა! მე რა, ვაშლი არა მაქვს, თუ რა? „რა ვთქვი ახლა მე ისეთი? როგორ გამიბრაზდა?“

— ასეთი შეიძლება არცა გაქვს... მოხვალ კიდევ? ვასილი აივნამდე აცილებს ნიუსკას.

— დადექი და შენ თვითონ რეცხე შენა ჭუჭყიანი თეფშები, თუ ასეთი ჭკვიანი ხარ!

ვასილი არ ეკითხება ნიუსკას, რას ნიშნავს ეგ შენი სიტყვებიო, არც შინ შედის, დგას ასე აივანზე და ვერც კი ამჩნევს, რომ თბილი ოთახის მერე აქ, ცოტა არ იყოს, ცივა.

მოწყენილია ვასილი. გაცილებით უფრო მოწყენილი, ვიდრე აქამდე იყო ხოლმე სადამოთბობით.

თბილ (როგორც ყოველთვის წელიწადის ამ დროს) ღამეს ტირიფის და ლაფნის სურნელი მოაქვს. დედამიწა მშობიარე ქალივით გაბერილი და აფუ-ებული ეჩვენება გაზაფხულზე ვასილის.

იქნება მართალია მარჩიხისა, რომ ამბობს, დედამიწას გული და გონება აქვსო? ჰოდა, თუკი გული აქვს, ხომ უნდა სცემდეს ეს გული?

პატარაობისას ვასილი კვალში ჩაწვებოდა ხოლმე და მიწას, ყურს უგ-ღებდა, რადგან პაპამისისაგან ჰქონდა გავონილი, მიწაში წყალია და იმის ქვეშ კიდევ ცეცხლიო. ცეცხლი ათბობს წყალს და წყალი ბუყბუყს იწყებსო. ახლა ის უნდოდა გაეგო, წყალი რატომ არ აქრობდა ცეცხლს?

ნიუსკა ღობეში გაძვრა და ბინდბუნდში თავისი სახლისაკენ დაეშვა. მისი თეთრი პალტო (მოდაა რა ეგეც! თუმცა შეიძლება არცაა მოდა, იდრეც ხომ იცვამდნენ ქალები დაუმუშავებელი ტყავის პალტოებს?) მარკოს ალუბ-ლებში ელავს ერთხანს.

იმ წელიწადს გაზაფხული მღვრიე ნაკადულებით შემოვიდა სოფელში. ყველგან ნაკელის სუნია — დედამიწას თითქოს ორთქლი ასდის და ამ ორთ-ქლითაა ვაკლენთილი ირგვლივ ყველაფერი.

დიდ დღეს მიწაზე გაკრული შავ-შავი ჩრდილები ალამებს.

ჩუბინის ერდოდან ცხვრის ტყავის ქუდიანი, ერთი პატარა ტანის ფეხებ-მონგრეული კაცი ჩამოვიდა და კუტიკარით მარკოს ეზოში გადავიდა.

მარჩიხამ დაინახა თუ არა, იმწამსვე იცნო, ეს ის კაცი იყო, საფინანსო განყოფილების ინსპექტორის მერე ორჯერ რომ ესტუმრა ვასილს.

„ვასილი ხომ აქ აღარ ეგულება, ნეტა რა უნდა?“

— ნიუსკა, ლოგინს წააფარე რამე, თორემ აგერ ვილაც ოხერია, სტუმ-რობას გვიპირებს.

კაცი დაუკაკუნებლად, შინაურულად შევიდა სახლში, უბიდან ერთი ბოთ-ლი არაყი ამოიღო და მაგიდაზე დადგა.

— მე თქვენი ახალი მეზობელი ვარ, ვიცნობდეთ ერთმანეთს.

— კი მაგრამ, ვასილი?

— ვასილი ღამის მატარებელს გაჰყვა.

— სად?

ახალმა მეზობელმა ჰკვიდა ტუჩი გადმოაბრუნა და ამით ყველაფერი თქვა.



გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა

ჩემი ცხოვრების მოკლე აღწერა

ღავიბადე ახალი დროების დაბლევს, ცოტა ხნით ადრე, ვიდრე შუახაუკუნეები თავის შემობრუნებას გვამცნობდა; მშვილდოსნის ნიშნის ქვეშ მოვლინებულს, იუპიტერის კეთილმოყვებულ სხივები დამნათობდა თავს. ეს მოხდა ივლისის ერთ თბილ დღეს და, მერე იმ დღის სითბო მთელი სიცოცხლის მანძილზე მიყვარდა, მენატრებოდა და მის ნაკლებობას მტკივნეულად განვიცდიდი. ცივ ქვეყნებში ცხოვრება არასოდეს მომსურვებია; თუკი ჩემი ნებით სადმე განმიწრახავს წასვლა, გულს მუდამ სამხრეთისკენ გაუწვივია. მე პირმშო გახლდილი ღვთისმოსავი მშობლებიხა, რომლებიც ნაზ, სიყვარულით მიყვარდა და მათ მიმართ, აღბათ კიდევ უფრო ნაზი გრძნობა შექნებოდა, ჩემთვის ნადრევად რომ არ გაეცნოთ მეოთხე აღთქმა. მთელი უბედურება ის გახლდათ, რომ ყველა აღთქმა, რაგინდ ჭეშმარიტი და კეთილგონიერიც არ უნდა ყოფილიყო, ჩემზე, უცილობლად საბედისწერო გავლენას ახდენდა. კრავივით უწყინარი კი ვიყავ, მაგრამ საკმარისი იყო ესა თუ ის აღთქმა ჩამწვეთებოდა უურში, რომ საოცარ ჭირვეულობას ვიწყებდი. ეს წნე განსაკუთრებით სიკაბუკეში მჭირდა. როგორც კი შეტყობდნენ „ეს უნდა ქმნაო“, გულმუცელი ამომიტრიალებდებოდა და ძნელად საცნობიდა ვბდებოდი. აღბათ ადვილად მიხვდებოდათ, რომ ასეთი ხასიათის ბავშვს გაუძნელდებოდა სკოლაში წარმატების მიღწევა. იქ ერთ თავშესაქცევ საგანს გვასწავლიდნენ, თავად მასწავლებლებ: მსოფლიო ისტორიას რომ უწოდებდნენ. ზოდა, ამ საგნის შესწავლისას გვეუბნებოდნენ: ქვეყნიერებას ის ადამიანები განაგებენ, მართავენ და განაახლებენ, კანონებს საკუთარ თავისთვის თვითონვე რომ იგონებენ და უკვე დადგენილსა და მზამზარეულს უტანედებიათ, მერე

იმასაც დასძენდნენ, ასეთი ადამიანები პატივისცემას იმსახურებენო. მაგრამ, ყოველივე ეს ისეთივე სიყალბე იყო, როგორც საერთოდ მთელი ჩვენი სწავლა-განათლება, რაშეთუ, საკმარისი იყო, ერთ-ერთ ჩვენგანს, კეთილი თუ ბოროტი განწრახვით, ერთ მშვენიერ დღეს ვაუტაცობა გამოეჩინა და რომელიმე აღთქმის, ან არადა, თუნდაც სულიერული წნე-ჩვეულების თუ მოდის წინააღმდეგ ამხედრებულიყო, მას პატივს მიაგებდნენ კი არა, მასხარად აიგდებდნენ და თავზე დაამხოებდნენ თავიანთი პედაგოგიური ყოვლისშემძლეობის მთელ ღირულ ძალას.

საბედნიეროდ, ჭერ კიდევ სკოლაში შესვლამდე შევძელი ბევრი რამ ისეთი მესწავლა, შემდგომ ცხოვრებაში ეხოდენ აუცილებელი რომ იქნებოდა და ძალზე გამომადგებოდა. შემართული, გამახვილებული და დახვეწილი მქონდა ხუთივე გრძნობა, შეიძლებოდა ამ გრძნობებს დავნდობოდი, მათი წყალობით ბევრჭერ დიდ სიხარულსაც ვზიარებოვარ. როცა მოგვიანებით უიმედოდ მივიწყებდე მეტაფიზიკის ზრიკებს, ხანდახან ჩემს გრძნობებს ხელს ვკრავდი და ვამუბრუჭებდი, შთამბეჭდაობის მგრძნობიარე გამახვილებულ უნარს მაინც აროდეს უმტყუნებია, თუკი საქმე მხედველობასა ან ხმენაზე მიდგებოდა. ამ უნარმა უცილობელი დალი დაასვა ჩემი აზროვნების წყობას, თუმცა შესაძლოა აბსტრაქტულიც მოეჩვენოს იგი კაცს.

ამრიგად, როგორც შემოთ მოგახსენეთ, ჭერ კიდევ სკოლის მერხამდე შევისწავლე ბევრი ისეთი რამ, ცხოვრებაში რომ უნდა გამომდგომოდა. ჩემს ქალაქში უვიც ბიჭად არ ვითვლებოდი. დავენებებოდი ტყეებსა და ჭვრებში, დავდიოდით საბუნოსნოებში, ადვილად ვცნობდი ყველა ხეს, ჩიტსა თუ პეპელას, შე-

მედიო მედილინა და მესტვინა სიმღერები, კიდევ ბევრი სხვაც მეხერხებოდა. შემდგომ ცხოვრებაში გამოსადეგი, უოველივე ამას სკოლის საგნებიც ზედ ემატებოდა. მათაც ხალისით ვხწავლობდი; განსაკუთრებით დიდ ხიამოვნებას ლათინური მანიჭებდა, ისე რომ, ლექსების წერა ლათინურსა, და გერმანულ ენებზე თითქმის ერთდროულად დავიწყე.

სიცრუისა და დიბლომატიის ხელოვნებას თუ დავფუფუნე, ჩემს აღმზრდელსა და მის თანაშემწეს უნდა ვუმაღლოდო, რომლებმაც სკოლაში ხწავლის მეორე წელსვე ჩამინერგეს „საკირო“ ჩვევები. მანამდე კი, ჩემი ბაბუა გულლიაობისა თუ მიაშიტობის წყალობით უხიამოვნება უხიამოვნებაზე მატყუდებოდა თავს. ჰოდა, ზემოხსენებულმა აღმზრდელებმა მუყაითად ამიხსნეს, პატიოსნება და სიმართლისმოყვარეობა მოწაფისთვის მხოლოდ ზედმეტი ბარგიაო. მათ დამაბრალეს ერთი უწყინარი ცელქობა, თუმცა ამ საქმეში თავს ნამდვილად უდანაშაულოდ ვგრძნობდი. მაგრამ, რაკილა ვერა და ვერ მაიძულეს მედიარებინა ის, რის ჩამდენიც არ ვიყავი, ამ პატარა ამბიდან მთელი სახამართლო გამოიძება შეთითხნეს. ზანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ ორივე აღმზრდელმა შეერთებული ძალებით გულადან მაინც ამომგლიჯა მათთვის ნანინანატრი აღსარება და მასთან ერთად რწმენის ნატამალიც, რაც ჯერ კიდევ შემომარჩენოდა აღმზრდელების მიმართ. ღვთის წყალობით, შემდგომში ჰუმარატი მასწავლებელიც ბევრი მყოფია, ისეთი, ღრმა პატივისცემას რომ იმსახურებდა, მაგრამ მოსახდენი რაკილა მოხდა, ადრინდელი რწმენის დაბრუნება უკვე აღარ მოხერხდებოდა. ამან გამიუკუღმარტა და მომიწამლა ზნე-ხასიათი და ამიერიდან ასეთი განწყობა მქონდა მარტო სკოლის მასწავლებლების მიმართ კი არა, საერთოდ ავტორიტეტების მიმართ.

ისე კი, პირველი შვიდი-რვა წლის მანძილზე სკოლაში კარგ მოწაფედ ვითვლებოდი, უოველ შემთხვევაში ჩემს კლასში წარჩინებულთა შორის ვიყავი; მერე სკოლასთან ის შებლა-შემოსლა დამეწყო, რომელსაც გვერდს ვერ აუფლის ვერავინ, ვისაც კი განგების ძალით განკაცების გზაზე ფეხის შედგმა უწერია. შებლა-შემოსლა თანდათან აუტანელი ხდებოდა მაგრამ მის მნიშვნელობას მხოლოდ ოცი წლის შემდეგ თუ ჩავხვდი; იმხანად კი იგი ჩემთვის მიშველი მოცემულობა იყო მხოლოდ და ჩემდაუნებურად მნიშე რამ უბედურებასავით მატყუდებოდა უოველი მხრიდან.

საქმე შემდგომში იყო ცამეტი წლისამ უკვე აშკარად ვიცოდი, რომ ან პოეტი გამოვიდოდი, ან არადა, საერთოდ არაფერი. მაგრამ ამ

აღმოჩენას ერთი მტანჯველი აღმოჩენაც ნელ-ნელა ზედ დავრთო: შემდგომ გავმხდარიყავი მასწავლებელი. მოძღვარი ვიყავი, ხელოსანი, ვაჭარი, ფოხტის მუშაი, თვით მუსიკოსი, არქიტექტორი ან მხატვარიც; — ამ ქვეუნად ყველა პროფესიასაც კი რაღაც გზამიმართებოდა, რომელიც უფლისწულს სკოლაში ხწავლასა და საგნის დაუფლებას; მხოლოდ პოეტისთვის არ არსებობდა ამდაგვარი გზა! კი ბატონო, უფლება გქონდა უოფილიყავი პოეტი; ეს პატივადაც თვლებოდა და, მამასადაშიე, წარმატებისა და აღიარების საწინდარიც იყო, მაგრამ, ვაი რომ, ეს ყველაფერი უშეცხვ წილად მხოლოდ ხიკვდილის შემდგომ ხდებოდა კაცის ხვედრის თავისთავად, პოეტად გახდომიზე ფიქრი სისულელედ ითვლებოდა, ხოლო ამ სურვილის ხმამაღლა გამოსქმა ერთობ სასაცილოდ და სამარცხვინოდ. მაღე შემთხვევა მომეცა, ყველაფერში თავად დავრწმუნებულყავი და, ერთ წამში გამოვიტანე დახკვნა, რის გამოტანაც მხგავს ვითარებაში შეიძლებოდა: პოეტობას ვერავინ ავიკრძალავს, მაგრამ პოეტად გახდომის უფლებასაც არავინ დაგრთავს, და კიდევ: საკმარისია პოეზიის ნიჭი და სიყვარული შეგამჩნიონ, რომ აღმზრდელებმა ექვის თვალის დავიწყონ უურება და ნშირად მათი დაცინვის, ხან კი საშინელი შეურაცხყოფის საგანიც გახდე პოეტი შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ გმირს, შევადაროთ ძღვეამოსილ, მშვენიერ, დიდბუნებოვან და უჩვეულო აღამიანებს. საქმე ის არის, რომ გარდასულ დროში მათი ფასი არავინ მყავთ, ნებისმიერ სახელმძღვანელოში დაუზოგავად აქებ-ადიდებენ; აწმყოში, დღევანდელ სინამდვილეში კი სძულთ. შეიძლება კაცმა იუქროს, მასწავლებლებს საქმე იმისთვის აქვთ მიჩენილი, რომ თავის გამოჩენის გზები დაუბშიონ ყველა თვითმყოფად, თავისუფალ აღამიანს და დიადსა და უჩვეულოს წინაღუდგენო.

რაკილა საკუთარ თავსა და ჩემს შორეულ მიზანს შორის უფსკრულების მეტი ვერა დავინახე რა, ყველაფერი ექვევემ დადგა და გაუფასურდა. ამიერიდან ერთადერთი გზაა დამრჩენოდა: გადავწყვიტო, რაღაც არ უნდა დამქდომოდა, პოეტი გავმხდარიყავი, ხუღერთი იყო, ადვილი გზით მივადწევდი მიზანს თუ ძნელით, სასაცილო იქნებოდა ეს თუ საპატიო. ამ ჩემს გადაწყვეტილებას თუ უბედურებას სხვადასხვა შედეგი მოჰყვა.

ცამეტი წლისა რომ შევხრულდი და შემოხსენებულმა უთანხმოებებმა ის-ის იყო კარზე მომიკაკუნა, შინაც და სკოლის კედლებშიც იმდენად უხვირო, საქციელით გამოვიჩიეოდი, რომ სხვა ქალაქის სკოლაში მიკრეს თავი. ერ-

თი წლის შემდეგ სახულიერო სემინარიის მოწაფე გავხდი, გულდაგულ გამოვყავდა ძველებრაული ანბანის ასოები და ის-ის იყო დავაპირე გამეგო, თუ რას ნიშნავდა „დაგეშ ფორტე იმპლიციტუმი“.¹ რომ ანაზღად ხული საშინელმა ქარიშხალმა ამივსო; მერე ის იყო სამონასტრო სკოლიდან გამოვიქვეცი, კარცერით დასჯაც არ ამცდა და სემინარიასაც დავემშვიდობე.

შემდგომ ამისა გიმნაზიაში ამოვყავი თავი აქ შევეცადე, ცოდნის მარაგი გამემდიდრებინა, მაგრამ ყველაფერი ისევ კარცერითა და განშორებით დასრულდა. მერე სამი დღე სავაჭრო სახლში დავყავი შეგირდად; აქედანაც გავიქვეცი, რამდენიმე დღე-ღამე დაკარგული ვიყავი და მშობლებს კაი გვარინანი შიში ვაჭამე. ექვსი თვე მამაჩემს ვებმარებოდი, წელიწადნახევარი კი — მექანიკურ საამქროსა და კოშკის საათების დამამზადებელ ქარხანაში ვიდექი პრაქტიკანტად.

ერთი სიტყვით, ოთხი წლის მანძილზე უეჭველი მარცხით მთავრდებოდა ყველა ცდა, რომ ჩემგან ზვირინი რამ გამოსულიყო. არც ერთ სკოლას არ სურდა თავის კედლებში გავეჩერებინე და მეც კარგახანს ვერ ვუძებდი გულს სწავლას. მოკლედ, უშედეგოდ მთავრდებოდა ყოველი ცდა — ჩემგან საზოგადოებრივად სასარგებლო ადამიანი დამდგარიყო; ხაქმე მუდამ სამარცხვინო აურ-ზაურითა და განდევნა-გაქცევით ბოლოვდებოდა, მაგრამ იმასაც მატყობდნენ, ნიჭიერება რომ არ მაკლდა და გულკეთილობითაც გამოვიჩნეოდი! ამასთან ერთობ შრომისმოყვარეც ვახლდით! მცონარობის დიდებული სიკეთე ჩემში უდაოდ იწვევდა მოწიწებასა და აღტაცებას, მაგრამ საკუთარ თავზე ვერ ჩქნა და ვერ გამოცდადი იგი. თხუთმეტი წლისამ, რაკილა სკოლაში მარცხ განვიცადე, მთელი შეგნებითა და მონდობებით თვითგანათლებაზე დავიწყე ზრუნვა. ო, რაოდენ დიდ სიხარულსა და ნეტარებას მანიჭებდა პაპაჩემის უწარმაზარი ბიბლიოთეკა, მამისეულ სახლში რომ იყო მოთავსებული! ეს გახლდათ ძველი წიგნებით გადაჭედული დარბაზი, სადაც, სხვათა შორის, თავმოყრილი იყო მე-18 საუკუნის მთელი გერმანული ლიტერატურა და ფილოსოფია! თექვსმეტიდან ოცი წლის ასაკამდე განა თუ მარტო ქაღალდის დასტები ავაჭრედე პირველი ლიტერატურული ნაღვაწით, მხოფლიო ლიტერატურის ნახევარიც გადავიკითხე; ხელოვნების ისტორიის, ენებისა და ფილოსოფიის შესწავ-

ლისას კი ისეთ სიბეჭითეს ვიჩენდი, ყელამდე კმაროდა ჩვეულებრივი სასკოლო კურსის შესათვისებლად.

შემდგომ ამისა წიგნით ვაჯობებს მივყავ ხელი, რომ ბოლოს და ბოლოს დედა ბური მაინც მეშოვა. ასე უყურებდა წიგნებს ბევრად უკეთ ვეგუებოდი, ვიდრე მუხლა ლიღვს ანდა სხმულ კბილა ბორბალს, რომელთა წყალობითაც მექანიკის ასპარეზზე ბევრი დავიდარბა გადამხდა თავს. ახალი წიგნების წლვაში ჩაუურყუმალაგება და განავარდება თავდაპირველად ძალზე მსიამოვნებდა და დამთრობელ ნეტარებასაც მგვრიდა. მაგრამ გამობდა ხანი და მივხვდი, რომ აუტანელი და უაზროა ცხოვრება მხოლოდ აწმყოში, ახალსა და უახლეს დროებაში, დავინახე, კრეშმარტი სულიერი ცხოვრება წარსულთან, ისტორიასთან, გარდასულ, უძველეს დროებასთან მუდმივი კავშირის წყალობით რომ იყო მხოლოდ შესაძლებელი; ამიტომაც, დავიკმაყოფილე თუ არა თავდაპირველი უკმარისობის გრძობა, გამიჩნდა მოთხოვნილება, თანამედროვე წიგნების ტალღებიდან სიძველის ტალღებში გამენავარდა. ეს კი იმით განვასრულე, რომ ჩვეულებრივი წიგნის მაღაზიიდან ბუკინისტურში გადავინაცვლე. ამ საქმეს მანამ ვუერთგულე, ვიდრე თავის რჩენა მიჭირდა; და, როცა, ოცდაექვსი წლისამ, პირველი ლიტერატურული ნაწარმოებ გამოვაქვეყნე, ამ საქმიანობასაც შევეშვი.

ესოდენ დიდი მეცადინეობისა და მსხვერპლის გაღების ფასად, ეტყობა, მიზანს მაინც მივალწიე. და რაგინდ უჩვეულოდაც არ უნდა მოგვეჩვენოს, მაინც შევქელი პოეტი გავმხდარიყავი. აშკარა იყო, რომ გავიმარჯვე მთელი სამყაროს წინააღმდეგ წამოწყებულ ხანგრძლივსა და დაუინებულ ბრძოლაში. ჩემი შეგირდობისა და განკაცების ხანაში ახლა ყველაფერს დავიწყების ფარდა მიფარებოდა და მხოლოდ ღიმილსა იწვევდა. ნათესავები და ნაცნობები, წინათ ჩემზე ხელი რომ მქონდათ ჩაქნეული, ახლა ღიმილზე კეთილ ღიმილს მაგებებდნენ. ამრიგად, რაკილა ბრძოლაში გავიმარჯვე, ამიერიდან რაც არ უნდა სულელურად და უხეიროდ მოვქციულიყავი, ძველა მაინც აღფრთოვანებული რჩებოდა და მეც არანაკლებ მომწონდა საკუთარი თავი მხოლოდ ახლად მივხვდი, თურმე რა განდევილი და მარტოსული ცხოვრება ურგუნებია ჩემთვის ზედს წლიდან წლამდე უკვე მომელამუნა აღიარების თბილი სიო და ნელი-ნელ კმაყოფილი კაცის იერი მივიღე. შორიდან რომ შეგეხებდათ, ჩემ ცხოვრება კიდევ კარგა ხანს მიედინებოდა მშვიდად და სახიამოვნოდ. მო-

¹ ძველებრაული ენის გრამატიკის ტერმინი.

ვწყვიდე ოჯახს, მქონდა სახლი და კარ-მიღამი, ვწერდი წიგნებს, ვითვლებოდი პატრისტად და გარე სამყაროსთან შეხმატკბილებულად ვცხოვრობდი. ერთი ჟურნალის დაარსებაში ერთი ჩემი ხელიც იყო უპირველეს ყოვლისა ვიღებულ იქნა მთავრობას ედგა კრიკაში. ეს იყო 1805 წელი. მაგრამ უნდა ითქვას, მსგავს პოლიტიკურ საქმიანობას მაინცდამაინც სერიოზული თვლით არ ვუყურებდი.

სახიამოვნო მოგზაურობები მქონდა შვეიცარიაში, გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიასა და ინდოეთში. თითქოსდა ყველაფერი რიგზე იყო.

მერე ის ღირსშესანიშნავი 1814 წელიც დადგა და ჩემშიაც და ჩემ გარშემოც თვალის დახამხამების უმაღლესი შეიცვალა ყველაფერი. ცხადი გახდა, რომ ყოფილ კეთილდღეობას წყალი შესდგომოდა. ახლა უბედურება — კაცთა ეს უდიდესი მოძღვარი, — მოვადგომოდა კარს. იფეთქა ეგრეთწოდებულმა დიადმა ეპოქამ და, ვერ ვიტყვი, მის დარტყმებს სხვებზე უფრო ღირსეულად, მზადყოფნითა და უკეთესი სულიერი განწყობით შევხვდი-მეთქი. სხვებისაგან იმხანად მხოლოდ ის თუ განმასხვავებდა, რომ ნუგეშად არ გამჩნდა ენთუზიაზმი, ბევრს რომ ერთობ მოგარბებული მქონდა. ამის წყალობით საკუთარი თავისაკენ ვიბრუნე პირი და ხელახლა დავიწყე გარშემო მყოფ ადამიანებთან შეხლა-შემოხლა. ცხოვრებამ ხელახლა გამატარა თავის ქარცეცხლში, მანწავლა, რა გზით უნდა გადავჩვევოდი სამყაროთი და საკუთარი თავით ტკობას; მხოლოდ ამის წყალობით გადავაბიჯე ცხოვრების წღურბლს და ვეზიარე მის საადუშლოებას.

არ დამავიწყდება უბრალო შემთხვევა, ამის პირველ წელს რომ გადაშენდა. შევედი ერთ დიდ დაზარტში, მინდოდა მოხალისის უფლებით მესარგებლა და სახეშეცვლილ სამყაროში საკუთარი არსებობისათვის გამართლება გამომენახა, რამეთუ იმხანად ქერ კიდევ მჭეროდა, რომ ჩემს მუდღელობას რაღაც აწრი მქონდა. დაზარტში ერთი ფრიად დარბაისელი შინაბერა გავიცანი. ადრე თურმე მარტოდმარტო ცხოვრობდა და საკმაოდ შეძლებულადაც, ახლა კი მომვლელად მოწყობილიყო დაზარტში. უნდა გენახათ, რა გულანუყვებული და აღტყინებული იყო და რა სიხარულსა და სიამაყეს განიცდიდა, რომ ასეთი დიადი დროების მომხარე გამხდარიყო. რატომღაც ვიფიქრე, ახლა თუ ისე, კაცმა შეიძლება გაიგოს ამ გრძნობებისა-მეთქი. დიან, ამ ბანოვანს აუცილებლად სჭირდებოდა ომი, რათა თავისი გადაფოფინებული, საკუთარ თავზე მიყურადებული ყოფა კმედითა გაეხალა და ამ ცხოვრებაში რაღაც ფასეული დაენახა. დოღბანდე-

ბით გადახვეული, დასახიჩრებული ადამიანებით გადახვეული დერეფანი გავიარე და ხელფებსმოკვებითა, მომაკვდავი გამოცხადებით სავსე ერთი პალატიდან მეორეში მივეშურებოდით, და, როცა ამ ქალმწიფე შემთხვევებზე წამიოწყო დაპარაკატი უხელოდ შევირება ამ მიტრიალდა. რა თქმა უნდა, შემედლო გამეგო ამ დენდის აღფრთოვანება, მაგრამ გაზიარებით კი ვერა და ვერ გავიზიარებდი და მოვუწონებდი. თუკი დავიანგარიშებდით, რომ ყველა ამ დატრიალზე ერთი ასეთი აღფრთოვანებული მომვლელი მოდიოდა, ცხადი ხდებოდა, ამ ბანოვანთა ბედნიერება რარიგ ძვირად გვიჩდებოდა. დიან, არა და არ შემედლო გამეზიარებინა ამ დიადი დროებით გამოწვეული სიხარული. ომი იმთავითვე საშინელ ტანჯვად გადამექცა. წლიდან წლამდე ძალებს ვიკრებდი და ვცდილობდი დამეცა თავი უბედურებისაგან, რომელიც მოწმენდილ ცაზე მების გახკლამასავით დაგვატყდა თავს, თუმცა კი ირგვლივ უკლებლივ ყველას ისე ეტირა თავი, თითქოს სწორედ ეს უბედურება ამხნევებდა და აღაფრთოვანებდა. რამასთან ერთად ვკითხულობდი პოეტების ხელით დაწერილ სტატიებს — ომის სიკეთეს რომ ქადაგებდნენ, პროფესორთა ნოწოდებებს, ამისადმი მიძღვნილ ლექსებს, სახელგანთქმულ ავტორთა სამუშაო ოთანებში რომ ითმუნებოდა, და სულიერად უფრო და უფრო ვჩაჩანაკდებოდი.

1815 წელს ჩემმა გრძნობებმა ნაბეჭდი აღხარების სახით ამოფეთქა; წამომცდა, ადამიანებს, ეგრეთ წოდებული სულიერი ცხოვრებით რომ ცხოვრობენ, მხოლოდ იმის უნარი შესწევთ, სიძულვილი იქადაგონ, სიცრუე ავრცილონ და ამქვეყნად ყველაზე დიდ უბედურებას შეასხან ნოტბა-დიდება-მეთქი. ჩემს გულისტკივილზე საკმაოდ მორიდებით კი დავიჩივლე, მაგრამ ამას შედეგად ის მომყვა, რომ პრესაში მოლაღატედ და გამჟღავნელად გამომაცხადეს. ჩემს ჟანცლებს ახლა რაღაც სიხარულით იყო ნიშანდებული, რამეთუ პრესასთან ხშირი შეხლა-შემოხლის მიუხედავად არაოდეს ვყოფილვარ იმ ადამიანის ტყავში, რომელთაც სახეში აფურთხებს პირშეკრულ თანამოდმეთა უმრავლესობა. შემოსსენებული ბრალდებებით აღსავსე სტატია ჩემი კვეყნის ოცმა ჟურნალ-გაზეთმა გადაბეჭდა. მაგრამ ჩემს მეგობართაგან, რომლებიც ჟურნალისტთა წრეში ცოტა როდი მეგულეობდა, მხოლოდ ორს ეყო გამზელაობა გამომქმამებოდა, დანარჩენებმა შემომითვალეს, ვაი, რომ შეერღზე გვილი გვყოლია, იცოდე, ამიერიდან ჩვენი გულები მხოლოდ კაიზერისა და სამშობლოსათვის ძვერს დი შენისთანა მადირაღასთან არა ესაქმება რაო. ღანძლავინების წეროლები უცნობებისაგანაც მომდიოდა. წიგნი

მეცადინეო მატყობინებდნენ: ავტორი, რომელსაც
ეჭვით მკრებდნენ აზრები მოსდის თავში,
ჩვენი თავს აღარ არხებობსო. თავში მეცა ბევრ
წერილზე მინახათა. იგი აღვებდე არახოდეს მყო-
ნდა შენიშნული. ეს იგივე პატარა, მრგვალი ხე-
ჭლის ტვიფრი, რომელზედაც ეწერა: „ღმერთო,
მიუზღე ინგლისს!“

აღმათ იფიქრებთ, ამ სიხულელეზე კარგა
კულიანად ვამეცინებოდა, მაგრამ, რა ვქნა, არ
ვამეცინებია. ამ თავისთავად თითქოსდა ერთმა
უმინაშენდლო გაკვეთილმა მაინც გამოიღო თავისი
წყოფი; ეს ჩემი ცხოვრების მეორე დიდი ფე-
რისცვალება გახლდათ.

მინდა გავინახო, პირველი ფერისცვალება
მაინდ დამეწყოს, როცა გადავწყვიტე პოეტის
გამოვსულობა. პესემ, მანამდე ხანმოკლე
მოწაფედ რომ ითვლებოდა, უხერხოდ მოწაფის
სახელი დაიშვიდრა და სახელს სახელზე
ამსახურებდა. ერთ ადგილზე ვერ აჩერებდნენ
და ავითონაც ვერხად უდგებოდა გული. საკუთარ
რავს უსიამოვნებას უსიამოვნებაზე აყენებდა,
და ეს უველაფერი ამიტომ ხდებოდა, რომ არა
და არ ძალუძდა ერთმანეთისათვის მოერიგე-
ბინა რეალური თუ წარმოსახვაში არსებული
სამყარო და საკუთარი გულისხმა. ახლა, ომის
წლებში ხელანდა განმეორდა უველაფერი.
დავინახე, რომ შეხლა-შეშობლა დამეწყოს იმ
სამყაროსთან, ვისთანაც ეს-ესაა სიამ-
ტპილობაში ცხოვრობდი. ისევ და ისევ მეცადინე-
ობდა. ზედი, თავს მარტოსულად და ეუღლად
ვგრძნობდი, არავის ესმოდა ჩემი. უოველ ჩემს
სატყვას თუ ნათქვამს მტრულად ხვდებოდნენ.
კვლავ გაჩნდა უიმედო უფსკრული სინამდვი-
დესა და უველაფერ იმას შორის, რაც სახუ-
რველად, გონივრულად და კეთილად შეგვენი-
ბოდა.

მაგრამ ამჟამად უკვე ვეღარ გავიჭეც საკუთარ
თავზე მხატვრის დადებას. გამოხლა მცირეოდ
ხანი და იმულებული გავხდი დანაშაული თუ
ტანჯვის მიზეზი ჩემ გარშემო. კი არ მეძებნა,
არამედ საკუთარ თავში, რამეთუ ერთი რამ
ნათლად მესმოდა: არც კაცსა და არც ღმერთს
არა აქვს უფლება გაკიცხონ მოგლი სამყარო.
მინა შეშლილობისა და უხულგულობის გამო,
მით უმეტეს მე. მაშასადამე, თავად ჩემში უნდა
ვოფილიყო ჩაბუღებული რაღაც მანკიერი,
რაცღა დამეწყოს უთანხმოება ამ სამყაროს
წინაშე წრებრუნვასთან. ზოდა, იმ, ეს უდიდესი
მანკიერება სახეზე იყო, ხოლო მისი გამოსწო-
რება და წესრიგის აღდგენა სასიამოვნო საქმეს
და წარმოადგენდა. სწორედ ამ დროს გამო-
სწორდა, რომ სამყაროსთან ჩემი აღრინდელი
ცთლადგანწყობა არათუ მარტოსოდენ ძალზე
ძვირად დამეჯდომოდა, არამედ თავისთავად

ისიც ისევ არაკეთილთვისებიანი გამხდარიყო,
როგორც ომამდე ჩვენ გარშემო სამყაროში
არსებული კეთილგანწყობა: ეთიქურე, სიჭაბუკის-
დროინდელი, ხანგრძლივად და მძიმე გამო-
ცდილების წყალობით შექვეყნდა ჩემი ადგილი
უკვე დავიშვიდრე და ახლა მარტო ვარ-მეთქი.

ამასობაში წარმატებასა და კეთილდღე-
ობას არ დაუყოვნებია და გააკეთა თავისი
ჩვეული საქმე. წყნარი ცხოვრების მოყვარული
კაცი გავხდი და დაკვირვებული თვალის კი
უკვე ძნელად თუ გარჩევდა ჩემში პოეტს გამ-
რთობი ბელეტრისტიკაგან. დიან, ერთობ დიდ
წარმატებებს მივაღწიე. რა გაეწყობა, ამიერიდან
უწრუნველყოფილი ვიყავი არახვესვიანო-
ბით, თავისთავად შუღამ კარგსა და
მკაცრ სკოლას რომ წარმოადგენდა ადა-
მიანისათვის; ამიტომაც უფრო და უფრო
ვცდილობდი ცხოვრებისეული საქმეები თავის
კალაპოტში მიმეშვა და გამეკვია, რა წვლილი
მიძიებოდა საერთო შეშლილობასა თუ დანა-
შაულში. ამ მცდელობის კვალს მინდა თავად
მიავნოს მკითხველმა, ამასობაში კი გულში
კვლავ შევფოფინებდი იმედს, რომ დროთა
განმავლობაში ჩემი ხალხი, — მოლიანად თუ არა,
არა, ერთი და ორი მოაზროვნე და მახუხის-
მგებელი წარმოადგენელი მაინც, — ასეთსავე
გამოცდას მოუწყობდა საკუთარ თავს. მწამდა,
რომ ომის, ბოროტების, მტრისა და რევო-
ლუციის მისამართით ჩივილისა და წუთვლა-
კრულვის ნაცვლად ათასობით ადამიანს დაე-
ხადებოდა კითხვა: რა დანაშაული მაქვს პირადად
მე და რა გზით გავხდე კვლავ უცოდველი?
რამეთუ ადამიანს უოველთვის შეუძლია დაიბ-
რუნოს უცოდველობა, თუკი ხოლომდე გაიტა-
რებს გულსა და გონებაში საკუთარ
ტყვიდესა და დანაშაულს, ხოლომდე განიცდის,
ნაცვლად იმისა, რომ სხვა დაადანაშაულოს.

ჩემს წიგნებსა და ცხოვრებასაც რომ ეწვია ახა-
ლი ფერისცვალება, ბევრმა ჩემმა მეგობარმა თავი
გააკანტურა, ზოგმა კი სულ მიმატოვა: სახლ-
კარის, ოჯახისა და ბევრი ამქვეყნიური სიამო-
ვნების უარყოფასთან ერთად ჩემი ნიკ-
შეცვლილი ცხოვრება ამასაც ითვალისწინებდა.
დაღვა ვამი, როცა უოველ ცინპარე დღე რა-
ღაცას უნდა გამოგმევიდობებოდი. გაოცებული
ვფიქრობდი. ნეტავ როგორ შევძელი უოველივებს
ატანა, როგორა ვარ ცოცხალი და ჯერ ისევ
მიყვარს ეს შეშლილი სამყარო, რომელიც
მტყობა, ტანჯვა-წამების, იმედგაცრუებისა
და ზარადის მეტს არაფერს მიქადის მეთქი.

მაგრამ აქ მინდა ერთი შესწორება შევიტანო:
იმ დროს, ომის წლებში, თითქოს ბელნიერი
ვარსკვლავი დამნათოდა თავზე და მწველობდა
ჩემი მთარველი ანგულაში. ეს ჩემი ფერისცვა-

ღების წინა ხანა იყო. როცა, საკუთარი ტკივილით შეპყრობილი, საშინელი მარტოხულობის ვგრაზობდი და ბედს წყველა-კრულვას ვუთავლიდი. აი, სწორედ ეს ტკივილი, მისით გამოწვეული თრობა იქცა ჩემს ჭავშან-მუზარად, რომელიც გარე სამყაროსაგან მთიშავდა. საქმე ის არის, რომ ომის წლები პოლიტიკის, ჯაშუშობის, მკაცრობის, მოხუცებისა და სპეკულაციური ხრიკების ამაზრუნველ გარემოში გავატარე; უველაფერი ისე იყო ერთმანეთში გადახლართული, რომ გარემოებათა მსგავს თავმოყრას დედამიწის ზურგზე იმხანადაც კი ვერხად წააწყდებოდა კაცი. დიან, ეს ხდებოდა ბერძნულ გერმანულ, ნეიტრალური თუ მტრული დიპლომატიის შუაგულში; ქალაქი თვალის დახამბამებისხუმალ გადაიტვირთა მოსახლეობით, თანაც მეტწილად დიპლომატებით, საიდუმლო აგენტებით, ჯაშუშებით, თაღლითებითა და ნაქურდალით მოვაკრე გადაწყვიტვლებით. ვცხოვრობდი ელჩებსა და სამხედრო პირებს შორის, ტრიალი მიხდებოდა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა წრეში, სადაც მტრის ბანაკის წარმომადგენლებიც იყვნენ, გახვეული ვიყავი ჯაშუშობისა და ანტიჯაშუშობის, მოყურადობის, ინტრიგების, პოლიტიკური თუ კერძო საქმიანობის უკიდურეს ქსელში, მთელი ამ წლების მანძილზე შევიძელი უველაფერზე თვალის დამხუჭვა! მოჩენილი მყავდა მსტოვრები, მითვალთვალეზდენ, ვხვდებოდი ხან მოწინააღმდეგისა და ნეიტრალური ქვეყნების, ხან კი ჩემი თანამემამულეების საექვეო პირთა სიაში, მაგრამ არაფერს აინუნში არ ვაგდებდი. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ შევიტყვე უველაფერი და გამოვიკვირდა: ნეტა როგორ მოვახერხე ასეთ ვითარებაში ცხოვრება ან როგორ დავადწიე თავი ბიფათს-მეთქი. მაგრამ უველაფერმა კეთილად ჩაიარა.

ომის დამთავრებას დაემთხვა ჩემი ფერისცვალების დასასრულიც და მტანჯველი გამოცდის უმაღლესი მიჯნაც. ამ ტანჯვას არაფერი მქონდა ხერხთო ომთან, მსოფლიოს ბედ-იღბალთან და გერმანიის დამარცხებასთან, რასაც საზღვარგარეთ, აი უკვე ორი წელია დარწმუნებით ვფიქროდით, და ამის გამო ისეთი საშინელი აღარ მოგვჩვენებია. ახლა მთლიანად ჩავუღრმავდი საკუთარ თავსა და ბედს, თუმცა ხანდახან ისეთი გრძნობა მქონდა, რომ საქმე ზოგად-საკაცობრიო ხვედრს ეხებოდა. ამქვეყნად ომისა თუ კაცთაველის შინს, ქარაფშუტობას, სიამოვნებისაკენ ქიქურ ლტოლვას, სამყაროს სიმხდალეს თავად ჩემს თავშიც აღმოვაჩინდი. ბედის კარნახით, ჯერ იყო და, საკუთარი თავის პატივისცემა დავკარგე, ხოლო შემდეგ მის მიმართ ზიზღიც გამოქრა. აღარაფერი დამჩინოდა! ბოლომდე უნდა შედევენებინა თვალყური ამ ქაოსისათვის

და ხან იმედმოცემულს, ხან კი უმედდაკარგულს შეფიქრა, რომ ამ ქაოსის მიღება ბუნების კვლავ შეცვობას და უცოდველობას დაბრუნებას მოვახერხებდი. რა უკუქმედურობა, ღბიწდლი თვალის მქონე, ვეზარტ III-ის შეცვობას ნაწი-არებ უოველ ადამიანს, ერთხელ მაინც მოუხდება ხოლმე უდაბნოზე გამავალი ვიწრო ბოლიკების გადალახვა, და სხვებისთვის ამის მოყოლის წადილი ამით გარჯა იქნება მხოლოდ.

მეგობრების ორგულობა ხანდახან დამალონებდა და ხოლმე, წყენით კი არასოდეს მწყინდა. უველაფერი იმის დასტურად მიმაჩნდა, რომ სწორი ვჯით მივდიოდი. აღმათ მართალი იყვნენ ჩემი მეგობრები, როცა ამბობდნენ, წინათ სიმპათიური ადამიანი და მწერალი იყო, ამჟამად კი მისი პრობლემატიკა დიდი ვერაფერი შვიდიაო. გემოვნებისა და ზნეობის საკითხებ, კარგახანია აღარ მადეღვებდა, გარშემოც არავინ შეგულებოდა, ვისთვისაც გასაგები იქნებოდა ჩემი ენა. შესაძლოა, მეგობრები სავსებით სამართლიანად მიკითხებდნენ, რომ ჩემმა წიგნებმა დაკარგა სილამაზე და პარმონია. მე კი ამაზე მხოლოდ შევიკინებოდა: ამა, რა თავში იხლის სილამაზესა და პარმონიას კაცი, ვინც სასიკვდილოდაა განწირული, ვინც ჩამოხანგრუვად გამზადებულ კედლებს შორის გარბენას ლამობს და თან ცდილობს სიკვდილს გადაურჩეს? ვინ იცის, იქნება რწმენის მიუხედავად, სულაც არა ვარ პოეტი და ესთეტიკის სფეროში უველა ჩემი მცდელობა შეცდომაა? რატომაც არა, შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ ახლა რაღა მნიშვნელობა მქონდა ამას? რაც კი ჯოკონდში გავლისას საკუთარ თავში დავინახე, მეტწილად ნაყალბევი ვამოცდა და არავითარი ფასი არა მქონდა. აღმათ მაშინაც არ მქონდა კარგად საქმე, როცა ჩემს მოწოდებასა და ნიკიერებაზე ვბოღავდი. ემ, რა უხვანო იყო უოველივე! ახლა ისიც გამქრალიყო, რაც პატივმოყვარეობითა და ბაღღური სიხარულით აღსავსებ, ერთ დროს ჩემი დანიშნულება მეგონა. ახლა ამ დანიშნულებას, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, გჯახ ხსნიხას—ღირიკის, ფილოსოფიის ან რომელიმე ამდაგვარი სპეციალური საგნის ხფეროში როდი ვეძებდი! დღესდღეობით მხოლოდდამხოლოდ ის მეწადა, ჩემში აო დაშრეტილიყო ნატამალი ქეშმარიტალ ცხოველ-მყოფელი ძლიერი საწყისისა, უცილობლად მარტოდენ იმის ერთგული დავრჩენილიყავი რაიც ჩემში ჯერ კიდევ სიცოცხლით ფეთქავდა. ეს იყო ცხოვრება, ეს იყო ღმერთი. ახლა როდესაც უკან მოვიტოვე უკიდურესი დაბულობის მომაკვდინებელი ხანა, ჩემს თვალში უველაფერმა საოცრად სახეცვლილი იერს მიიღო, რამეთუ იმ დროს ამოტივტივებული უვე-

და ცნება და სახელი ახლა ყოველგვარ აზრს
არ მოკლებული. ის რაც ვუთხარ წმიდათა წმიდა
მეტყველებლად. დღეს შეხადლო. სახალისოდაც
არ შეიძლება.

ბოლონიაში, 1910 წლის გაზოგბულზე
როგორც იქნა, ომი ჩვენივესაც დამთავრდა.
მე შევიყარის ერთ მიყრუებულ კუთხეს შე-
ვებაზე და განდევნილის ცხოვრებას მივყავ ხე-
ლი. მთელი საცოცხლის მანძილზე (ეს კი შემ-
კიდრებით მშობლებსა და პაპისაგან მივიღე)
ყარავ დროს ვანდომებდი ინდური და ჩინური
საბრძნის შესწავლას. ამას გარდა ჩემს გრძნო-
ბებსა და განცდებს ნაწილობრივ აღმოსავლურ-
ენისათვის ნაშენული სახე-სამბოლოებით გამო-
ვხატავდი. ამის გამო ხშირად მიხსენებდნენ
„ახლადისტად“. რაზედაც მხოლოდ მეცინებოდა.
რამეთუ ხუთის ხიდრმეში ვგრძნობდი. რომ
ყველაზე შორს ხწორედ ამ ხარწმუნოებისგან
ვადექი. თუწკა უნდა ვთქვა, ამ ბრალდებაში რა-
დაც ხომარადისა თუ ჭეშმარიტების მარცვალა
მიანც ერია, რასაც ცოტა მოგვიანებით მივხვდი.
ადამიანს უფლება რომ მქონოდა, თავისი ნე-
ბა-ხურცილით ამოერჩია ხარწმუნოება. მე სა-
კუთარა რწმენის კარნახით ან კონფუციის მიმ-
დევარა ვავხდებოდი. ან არადა ბრამიანიზმს ან
რომის ეკლესიას მივემხრობოდი. მაგრამ ასე
მოვიტყულო დამირისპირებულობისაკენ დტოლ-
ვის გამო და არა იმიტომ, რომ ამის თანდაყო-
ლილი სწრაფვა გამაჩნდა. რამეთუ დვთისმოსავი
პროტესტანტი მშობლების პირმშო ვიყავი და
სულიერი წუობითა თუ მთელი ჩემი არსებით
მეც პროტესტანტი გახლდი (ეს ხულაც არ
მიშლის ბელს დრმა ანტიპათიით ვიყო განშს-
ტვალული ამეამად არსებული პროტესტანტული
სარწმუნოების მიმართ), ხოლო ჭეშმარიტ პრო-
ტესტანტს თავის დაცვა უნდება როგორც სა-
კუთარი, ასევე ყველა სხვა ეკლესიისაგან, რა-
მეთუ თავისი ბუნებით უფრო ჭმინადობის მომ-
ბრია. ეიდრე არსობისა, და ბუდაც, ამ თვალ-
საზრისით, რა თქმა უნდა, პროტესტანტი იყო.
ამრიგად, ამ ფეროცვალეზიდან მოყოლებული
ჩემში ყოველგვარი საყრდენი გამოცვალა
რწმენას, რაც გამაჩნდა საკუთარი პოეზიისა
და სამწერლო საქმიანობის მიმართ. მაგრამ მო-
გებხენებათ, როგორი არარობაა უხიხარულად
ადამიანის ცხოვრება, და მეც, ყველაზე შევწმელ
დღეებშიც კი, ამ სახარულისკენ მივიდტვოდი.
შემწერლო ბელი ჩამეჭნია სამართლიანობაზე უ-
კონებაზე, თვლი დამებუჭა ამ ცხოვრებასა და
სამყაროს არსზე, რამეთუ ვხედავდი რომ ამ
აბსტრაქციების გარეშეც მშვენივრად შეიძლე-
ბოდა ფონს ვახვლა. მაგრამ აი, იმ პაწია სახა-
რულს კი ვერა და ვერ შევლეთოდი, ჩემს არსე-
ბაზე მისი ნამცაცების გულმხურვალე მივბ.

ნაბერწკლად ქცეულიყო. რაღა რწმენაც ჩერ
კიდევ შემომჩინოდა და რა წყალობითაც
ხელახლა ვაპირებდი ახალი სამყაროს აგებას.
სახარულია, ოცნება ურჩხულებს რწმენა არაერ-
თხელ მიძებნია „დუქნივესტი“ მკაცრია კი-
დეც! კურთხეულ იყოს მისი სახელი მადრამ
ჯანა მარტო ეს კმაროდა?! და აი, ერთ დღეს
მართლაც რომ უჩვეულო ხიხარულს ვეზიარე:
ორმოცი წლის კაცი უეცრად ფერწერამ გამი-
ტაცა. არ გავგონოთ თითქოს მხატვრობას ვჩე-
მობდი ანდა ფერწერის ოსტატად გახდომა მე-
წადა! მაგრამ ფერწერა დიდებული გართობაა,
იგი კაცს მშვენიერ გუნება-განწყობაზე აყუ-
ნებს და მოთმინებითაც ჯანაწყობს. ესეც იქით
იყოს, თუკი წერის შემდეგ თითები შევად
გაქვს მოთხვრილი, ახლა, ხატვისას, წითლად და
ლურჯად გედებება. ფერწერით ჩემმა გატაცებამ
არა ერთი და ორი მეგობარი გამინაწყენა. რა
გაეწყობა, არც აქ მწყალობდა ბედი. საკმარისია,
მართლაც სასიკეთო, სასიამოვნო და მშვენიერ
საქმეს მოგვიდო ხელი, ადამიანები კომებს შე-
იკრავენ ხოლმე. უნდათ, იგივე დავრჩე მარად
და მარად, ფერი არ ვიცვალო, მაგრამ ფერი-
ცვლება ჩემი შინაგანი დტოლვაა და ხშირად
შეაღია მისი განცდა.

იმას კი ძალზე სამართლიანად მიკვირებენ,
სინამდვილის განცდის უნარი არ ვაგაჩნიაო. მე-
უბნებთან, ამ სინამდვილეს არც შენ მიერ შეთხ-
სული შექმნები ესადაგება და არც შენს მიერ
დაბატული სურათებით; თურმე წერის დროს
ვიფიქრებ ყველა მოთხოვნას, ჭეშმარიტად ვანს
წავლული მკითხველი რომ წაუუენებს ხოლმე
დირსეულ წიგნს და თავი და თავი ყველაფერ
ამისა ის ვაბლავთ, რომ უდაოდ არ გამაჩნია
სინამდვილისადმი მოწიწების გრძნობა. ჩემი აზ-
რით, კაცმა სინამდვილეს ყველაზე ნაკლებ უნ-
და უქმოს გუნდრუკი. რამეთუ იგი ყველგან-
მყოფელია და იხედაც არ დააყოვნებს ხოლმე,
მისეული აბეზარობით შეგვახსენოს თავი. სამა-
გიეროდ კი, აი, უფრო მშვენიერი და უცი-
ლობელი საგნები მართლაც რომ მოითხოვენ
ჩვენს ზრუნვასა და ყურადღებას. სინამდვილე
ისეთი რამაა, ადამიანს ვერა და ვერ რომ ვერ
დააკმაყოფილებს. მისი არც გადმერთება შეიძ-
ლება და არც პატივისცემა, რამეთუ ერთად
უყრის თავს შემთხვევითობისა და ცხოვრების ნე-
ყარ-ნუყარს. ამ უნაათო, ერთთავად გაუხარელ
ცხოვრებას ადამიანებისათვის მხოლოდ იმედ-
გაცრფები მთაქვს, ჩვენ იმითლი შეგვიძლია ვუ-
გვერდოთ, რომ აინუნშიც არ ჩავაგდოთ და
დავანახოთ, რომ მასზე ძლიერნი ვართ.
ჩემს წიგნებში ხშირად არ ჩანს ხოლმე სინამ-
დვილისადმი ხაყოველთაო მოწიწება; ჩემს ფერ-
ტილოებზე ბეს თავისი იერსახე აქვს, სახლები

იციან, ცეკვავენ ან ტირიან, მაგრამ კაცი ვერ
გაარჩევს, სად მსხლის ზეა, სად წაბლიხა, საუ-
ვედური სამართლიანად მიმაჩნია, გამოვიტყდე-
ბით, რომ საკუთარი ცხოვრება დროდადრო
თავად მეც კი ზღაპრად მესახება, ხშირად გარე
სამყაროა და ჩემს შინაგან ბუნებას შორის
იხეთ ერთობა და თანხმობას ვგრძნობ, რომ
მზად ვარ ყველაფერი მაგიურად შევრაცხო.

სისულელეების ჩადენაც მჩვევია ხანდახან. აი,
მაგალითად, ერთხელ ცნობილ მწერალ შილერზე
ძალზე უწყინარი აზრი გამოვთქვი, რისთვისაც
კვლეის მოთამაშეთა ყველა სამხრეთგერმანულ-
ში კლუბში მშობლიური წმინდანების შერყვნა
დამწყაა. მაგრამ აი, უკვე კარგახანია ვცდილობ
არაფერი წამომცდეს ისეთი, რაიც წმინდანებს
შერყვნის და აღამიანებს გააცოცხლებს, ეს პროგ-
რესად მიმაჩნია.

ზემოთქმულის თანახმად, ეგრეთწოდებულ
სინამდვილეს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ,
წარსული ისე ცოცხლად წარმომიდგენია, ვი-
თომც აწმყოში არსებულს, აწმყო კი უხა-
ზდვროდ შორეული მერვედება. აი, ამიტომაც
არ ძალმიძს მყოფადის მკვეთრად გამოჩენა წარ-
სულისაგან, როგორც ამას ჩვეულებრივ სჩადიან
ხოლმე.

მთელი არსებით უპირატესად მყოფადში ვცნო-
ვრობ, ამიტომაც არ ძალმიძს ჩემი ცხოვრების
აღწერა დღევანდელი დღით დავასრულო და მინ-
და მშვიდად დავულოცო მას მომავლის გზა.

ახლა მოკლედ გიამბობთ, თუ როგორ დამთავ-
რდა ჩემი ცხოვრების წრებრუნვა. 1980 წლამდე
რამდენაშიე წიგნი კიდევ დავწერე- და შემდგომ
ამისა სამუდამოდ შევაქციე ზურგი ამ საქმეს.
ორმა მუყაითმა ყმაწვილმა თავის დისერტაციებ
ში კითხვაც კი დასვა, შესაძლებელია თუ არა,
რომ მე პოეტთა დასს მიმაკუთვნონ, ამ სიტყვის
ქეშმარიტი გაგებით. კითხვა კითხვადვე დარჩა,
სახელდობრ, უახლესი ლიტერატურის გულმოდ-
გინე ანალიზმა ცხადჰყო, რომ ნივთიერება,
რომლისგანაც პოეტი იქმნება, ამჟამად ერთი
წყალწყალა ხანით გვხვდება, ამიტომაც ძალზე
გაძნელებულია, დაადგინო სხვაობა პოეტსა და
ლიტერატორს შორის, მაგრამ ამ ობიექტური
მტკიცებებიდან ორივე დისერტანტმა ურთიერთ-
საპირისპირო დასკვნა გამოიტანა, ერთმა მათ-
განმა, — უფრო სიმბათიურმა ყმაწვილმა, —
გამოთქვა მოსაზრება, ეს სასაცილოდ წყალწყა-
ლა პოეზია ხერხოდ არ შეიძლება პოეზიად
ჩათვალოს კაცმა; ხოლო რაკილა დაკარიელე-
ბულმა ლიტერატურამ არსებობის უფლება და-
კარგა, ისლა დავგრჩენია, მშვიდი, ნელნელი
სიკვდილი დავანებოთ იმას, რაიც დღესაც ჯერ
კიდევ იწოდება შემოქმედებადო. მეორე ყმაწ-
ვილი პოეზიის გულმხურვალე ტრფიალი გა-

მოდგა თვით მის ამ წყალწყალა მდგომარეო-
ბაშიც და ბრძანა: სიფრთხილეს თავი არა სტკი-
ვა, ამიტომ სჯობია, ასობით ვაი-პოეტი ვაღი-
როთ პოეტად, ვიდრე უსამართლოდ მოვექცეთ
თუნდაც ერთს, რომელსაც ვეშაპრითად პარ-
ნასული ხისხლი ზქედს.

უმეტეს დროს ფერწერასა და ჩინურ მაგიურ
ვარჯიშებს ვანდობებდი, მაგრამ წლითიწლობით
მანც მუსიკას უფრო ვეძალეობდი: მოგვიან-
ბით ოპერის შექმნის პატივმოყვარე სურვილმა
შემიპყრო. მინდოდა ადამიანთა ცხოვრება ეგ-
რეთწოდებულ სინამდვილეში მთელი სერიოზუ-
ლობით კი არ ამესახა, არამედ დაცივნის საგ-
ნად შექცია, მაგრამ ამასთან ერთად ჩემს ოპერას
ღირსეულად უნდა შერჩენოდა მარადიული ხა-
ტის ციმციმი და ღვთაებრივი სამოსის მერვე-
ნება. ყოველთვის ახლობლად მეჩვენებოდა
ცხოვრების მაგიური აღქმა, „თანამედროვე ადა-
მიანი“ არასოდეს ვყოფილვარ, ყოველთვის იმ
აზრისა გახლდით, რომ პოფმანის „ოქროს კო-
კობი“ თუ თვით „მანრის ფონ ოფტერდინგე-
ნიც“ კი უფრო გამოდგებოდა სასარგებლო სა-
ხელმძღვანელოდ ვიდრე ამქვეყნად არსებული
ყველა მსოფლიო თუ საბუნებისმეტყველო ის-
ტორია (თუმცა კი ამ უკანასკნელთა კითხვისას
მუდამ აღფრთოვანებული ვრჩებოდი ხოლმე
მათში გადმოცემული საარაკო ამბებით), ახლა
ჩემი ცხოვრების სწორედ იმ ხანაში შევაბიჭე
როცა აღარა ღირს ხოლმე, კაცმა თავის დაღვი-
ნებულსა და თან ერთობ დაქუცმაცებულ პი-
როვნებას ხელახლა კირკიტი და დაქუცმაცება
დაუწყოს; ამ დროს ახალმა სატკივარმა იცის
ხოლმე თავის წამოყოფა: უნდა შეეცადო, შენა-
ყბადალებული „მე“ კვლავ სამყაროს მთლიანო-
ბას შეურწყა და ამოების წინაშე კვლავ შეერ-
თო მარადიულ ზედროით წრებრუნვას.

რატომღაც მერვენებოდა, რომ ამ აზრებისა თუ
გუნება-განწყობის გამოხატვა ყველაზე უკეთ
ზღაპრის მეოხებით მოხერხდებოდა. ზღაპრის უმ-
აღლეს გამოხატულებად კი ოპერას ვთვლიდი, აღ-
ბათ იმიტომ, რომ ჩემს თვალში ძალა დაკარგა
ჯადო-თილისმამ, სიტყვას რომ გააჩნდა ჩვენს
შერყვნილსა და დაძაბუნებულ ენაში. მუსიკა კი
ჩემთვის ზღაპრული ზე იყო, რომლის ტოტებს
დღესაც შეეძლოთ გამოესხათ სამოთხის ხიდი.
ოპერაში სწორედ იმის განხორციელება მეწადა-
რაიც ვერა და ვერ მოვანერხე მხატვრულ ნა-
წარმოებებში: მინდოდა ადამიანის ცხოვრები-
სათვის მიმეცა აზრი, მაღალი და დამატკობე-
ლი, ხოტბა-დიდება შემესხა ბუნების უცოდვე-
ლობისა და უშრეტელობისათვის, და მისი გზა
იმ მიჯნამდე წარმომედგინა, როცა გარდაუვალი
ტანჯვა აიძულებს ხულს, — თავის ამ შორეულ
დაპირისპირებულობას მიმართოს; ცხოვრების

ეს წრეებშია. რომლის ერთ პოლუსზე ბუნება იდგა, ხოლო მეორეზე კი სულის ცის კაბადონზე გადაჭიმული ცისარტყელისღარ მზიარულ, ანც და სრულქმნილ ხანახაობად უნდა ქცეულიყო.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ოპერას არ ეწერა დასრულება. საქმე აქაც ისე წამოვიდა, როგორც აღარ, მწერლობაში. წერაზე საბოლოოდ ავიღე ხელი, რაკილა დავინახე, რომ ვველაფერი, რის თქმაც უნოდენ საჭირობორატოდ მიმანდა, უკვე იტყვა „ოქროს კოქობსა“ და „პაინრიბ ფონ რუტერდინგენში“, თანაც იტყვა ბევრად უფრო ნატიფად, ვიდრე მე შემწევდა ამის ღონე; და აი, ჩემს ოპერასაც იგივე ბედი ეწია. ის-ის იყო დავასრულე მრავალი წლის მოხამწადებელი მუშაობა მუსიკალურ ნაწილზე და ტექსტის რამდენიმე ვარიანტი შევქმენი, ის იყო შევეცადე, რაც შეიძლება მკაფიოდ გამეაზრებინა ჩემი ნაწარმოების არსი და მნიშვნელობა, რომ უეცრად ელდა მეცა; მივხვდი, ამ ოპერაში მხოლოდ დამხოლოდ იმის თქმა შეწადა, რასაც „ქადონსურ ფლევიტაში“ აი, უკვე რახანია, ხორცი შესხმოდა ეგზომ დიდებულად.

ჩქედან მოყოლებული ამ საქმიანობას შევეშვი და მთლიანად პრაქტიკულ მაგიასი გადავიტევი მერე და რა თუ ხელმოვწებაზე ჩემი ოცნება ამო აღმოჩნდა. ანდა, არ შემწევდა უწარი „ოქროს კოქობის“ თუ „ქადონსური ფლევიტის“ დარი რამ შემექმნა! მე ხომ ქადოქრად გამაჩინა ღმერთშია აი, უკვე რახანია შევუყვავი ლაოცებისა და ი-ცონის აღმოსავლეთისკენ მიმავალ გზაზე და კარგა შორსაც გავიდი; მიწოდდა, რაც შეიძლება ღრმად ჩავწვდომოდა ეგრეთწოდებული სინამდვილის შემთხვევითობასა და ცვალებადობას. ახლა ვცდილობდი ეს სინამდვილე მაგიის საშუალებით ჩემი ვუნება-განწყობისათვის მიმესადაგებინა, და უნდა გითხრაო, ამის წყალობით ბევრჯერ განვიცადე სინარული, თუმცა ისიც უნდა ვადიარო, რომ ყოველთვის ვერ ვახერხებდი ამ წარმტაც წაღკოტში დარჩენას თვთრ მაგიას რომ უწოდებენ, და დროდადრო მაწია მოკიფე ნაპერწყალი მისი შავი მხრისკენაც მიბიძგებდა ხოლმე.

მერე ის იყო სამოცდაათ წელს გადავაბიჯე ორმა უნივერსიტეტში საპატიო დოქტორის წოდება მომანაჭა, და აი, სამართალში მიმცეხ, ბრალად დაშდეს ქადოქრობის მეშვეობით მაგანი ახალგაზრდა ქალის გაუპატიურება. ცხებში ვითხოვე, ხატვის ნება დაერთოთ ჩემთვის, თხოვნა დააკმაყოფილეს. შეგობრებმა საღებავები და მოღებრტა მომიტანეს და მე ჩემი საქნის კედელზე მაწია პეიზაჟი დავბატე. ასე და ამრიგად, ერთხელ კიდევ დავუბრუნდი ბელოვნებას; ის მარცხი, რაც უკვე განვიცადე როგორც ბე-

ლოვანმა, სულაც არ მიშლიდა ბელს, ერთხელ კიდევ შემიცვია ეს უმშვენიერესი ფაღალა; და აი, პატარა, ანცი და დაუდევარი ბავშვებით ისევ და ისევ ვაგებდი ამ პაწია, სანუკვარ, სთამაშო სამყაროს, კვლავ ვცდილობდა მხოლოდ გული, გვერდზე მომესროდა ყოველგვარ სხატრძე და განწოგადება და ჩასახვის პირველქმნილი აღტყინება განმეცადა; ვაწავებდი საღებავებს, შიგ ვაწობდი ფუნჯებს, ვეწაფებოდი ქადოქრობის უმარო ხახმისს. შევეფოფინებდი სინგურის მკაბე, ხალისიან უღერადობას, ყვითელი საღებავის კრიალა სიმსუყესა და ლურჯი ფერის მრუმე, ხულისშემძვრელ ხეხავებს, მათი ნაწავის მიჯნა შორეულ მქრალ ნაცრისფერზე გადიოდა და მუსიკასავით ელამუნებოდა ხულის ნეტარებით აღხავსე, ბავშვური სიანციით ჩავები სამყაროს შექმნის თამაშში და როგორც მოგაბ სენეთ, საქნის კედელზე პეიზაჟი დავბატე.

თუკი ცხოვრებაში რამე მომწონდა, თითქმის ყველაფერი ამ პეიზაჟში ჩატეულიყო: მდინარეები და მთები, ზღვა და ღრუბლები, მოჭირ ნაბულე გლეხები, და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი მშვენიერი რამ, ეგზომ უდიდეს ტკობას რომ მანიჭებდა. ხურათის შუაგულში პაწია მატარებელი მოჩანდა, იგი ახლა ზევით-ზევით მიემართებოდა და თავით უკვე შედიოდა მთაში. ვაშლის ბურღვით გართულმა მატლმა რომ იცის, ისე, ცოტაც, და ორთქლმაგალი პატარა გვიარაბში გაუჩინარდებოდა, რომლის ბნელი თაღიდან კვამლის ბოლქვები გამოდიოდა.

ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ აგრერიგად აღტაცებული თამაშით, რაკილა ბელოვნე ბისაკენ ვიბრუნე პირი, აღარც კი მაგონდებოდა პატარა და ბრალდებული რომ ვიყავი. ისიც კი დამავიწყდა, რომ სიცოცხლის ბოლომდე საპატიმროს კედლებიდან თავის დაღწევის იმედაღარ უნდა მქონოდა. ხშირად მაგიური ვარ შების შესრულებაც აღარ მაგონდებოდა და თავი უდიდესი ქადოქარი მეგონა, როცა წვრილი ფუნჯით მაწია ხეს ან ერთ ბეწო, ბუმბულა ღრუბელს დავბატავდი.

ამახობაში ეგრეთწოდებული სინამდვილე, რომელთანაც მართლაც აღარაფერი მაკავშირებდა, ძალ-ღონეს არ იშურებდა, ჩემი ოცნებები მასხარად აეგლო და კვლავ და კვლავ ლაფში ამოვსვარა. საკანში ყოველ ცისმარე დღეს შემოდოდნენ ზედამხედველები და სადღაც უსიამოვნო ოთახში ვავყავდი. იქ ქაღალდებით გარშემორტყმული უსიამოვნო ადამიანები ისბდნენ და დაკითხვას მიწყობდნენ. არა და არ სჯეროდათ ჩემი, მე კი გაოგნებული ვიყავი მათი საქციელით; ხან ისე მექცეოდნენ, თითქოს საბი წლის ბავშვი ვყოფილიყავი, ხან კი იფიქრებდით, გამოუსწორებელ ბოროტმოქმედთან აქვთ საქმეო. თუმცა

განა აუცილებელია საბრალდებო საქმე იქ-
 დე, რომ ვაიგო, თუ რას წარმოადგენს კანცელა-
 რიის, ცნობებისა და ოქმების ეს ქვენპარიტად
 ქოჯოხეთური სამყარო? ვფიქრობ, რომ ყველა
 ქოჯოხეთის შორის, რაც კი ადამიანს სასწაულებ-
 რივი გზით გამოუგონია, ეს ყველაზე შემწარავი
 უნდა იყოს. აბა ერთი საცხოვრებელი ადგილის
 შეცვლა ან დაქორწინება დააბირეთ, აბა, ვინა ან
 პასპორტი დაგვირდეთ! აი, მაშინ დაინახავთ, რა
 ქოჯოხეთში ამოყავით თავი, როცა იძულებული
 გახდებით, უაზროდ კარგოთ დრო ქალაქის სამ-
 ყაროს უმაჟრო სივრცეში. გაგაოგნებენ მოწყუ-
 ნილობისგან ცხვირჩამოშვებული, მაგრამ თან უა-
 ციფუცა, უნიათო ადამიანების შეკითხვები: შენი
 უბრალო და გულწრფელი პასუხები მხოლოდ
 უნდობლობას გამოიწვევენ. ხან ისე მოგექცვიან,
 თითქოს მოწაფე იყო, ხან კი თავი ბოროტმოქ-
 მელი გეგონება. ეს ხომ კარგად უწყის ყველამ?
 პოდა, ალბათ უკვე კარგა ხნის დასამარებელი
 ვიქნებოდე, ალბათ დიდხანია გავიყინებოდი ქა-
 ლადების ქოჯოხეთში, საღებავებს კვლავ და
 კვლავ რომ არ ეგრძნობინებინათ ჩემთვის სულის
 სიმშვიდე და სიხარული არ მოენიჭებინათ, რომ
 ჩემი ხურათიდან თუ პატარა პეიზაჟიდან კვლავ
 არ დაეხერხა მაცოცხლებელ სიოს.

ერთხელ ხურათის წინ ვიდექი. სწორედ ამ
 დროს ზედამხედველები შემოცვივდნენ, თავისუ-
 ბურად დამიწყეს აჩი-აჩი, რომ ჩემს საყვარელ
 საქმეს შევშებოდი. საშინელმა დაღლილობამ

შემიბყრო, უზაზღვროდ შევეწინაღობე. მთელი ეს
 უაზრო რიარია და უბედურება, უსულოდ სინამ-
 დვილედ გულში ვიჭვი, ასეა კი დროა წერტილი
 დაეუსვა ჩემს წამებას-მსჯობაში? შეჭვი რა გზა
 მქონდა, რაკილა არ მანტივდნენ? მისცა-
 მოდი უწყინარ, მხატვრულ თამაშს. მოდა, თ
 სწორედ ახლა უნდა გამოვეყენებინა ის უფრო-
 რე სერიოზული ნედროვნება, რომლის შესწავ-
 ლასაც ჩემი ცხოვრების არა ერთი და ორი წე-
 ლი შევალდე. მაგიის გარეშე აღარ შემწევდა
 ძალ-ღონე, ამ სამყაროში თავი გამეტანა.

ერთი რიზური რიტუალი გამაბხენდა. წამით
 ხუნთქვაშეკრული ვიდექი და ვცდილობდი გან-
 ვდგომოდი შეშლილ სინამდვილეს. შემდგომ
 ამისა, ზედამხედველებს თავაზიანად ვთხოვე,
 დიდ მოწყალებას მოიდებთ, თუკი ერთ წუთს
 მადროვებთ, ჩემს ხურათზე, მატარებელში მინ-
 და ავიდე და რაღაცა ვნახო-მეთქი. ზედამხედ-
 ველებმა ჩვეულებრივად გაიცინეს, რადგან
 ხულით ავადმყოფად მოვლიდნენ.

აი, სწორედ ამ დროს შევიკუმშე და ჩემს
 ხურათში შევაბიჭე, მერე პაწია ვაგონში ავიდი
 და ამ ვაგონიდან პაწია, შავ გვირაბში შევგრი-
 აღდი.

ერთხანს კიდევ ვხედავდი გვირაბის თალიდან
 გამოსული კვამლის ბოლქვებს. მერე კვამლიც
 გაშქრა და ხურათიც, ბოლო მათთან ერთად მცე
 გავუჩინარდი. ვაოცებისაგან გარინდებული ზე-
 დამხედველები ადგილიდან არ იძროდნენ.





ინგლისურიდან თარგმნა ივანე პაპავამ

ერთი ოთახი სააუთრად

ვირჯინია ვულფი (1882-1941) მეოცე საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ქალიშვილობის გვარია სტიფენი.

სერ ლესლი სტიფენის ოჯახი ცხოვრობდა ლონდონში, ბლუმსბერის რაიონში; ვენუა სტიფენი მეუღლით — გორდონ სკუეარზე; ვირჯინია და ედრიანი კი ფიცროი აკუეარზე. ამ ორმა სახლმა მიიზიდა ინტელექტუალური ახალგაზრდობა და დამკვიდრდა ტრადიცია; ახლო მეგობრები იკრიბებიან ბლუმსბერის რაიონში; ამ შეკრებებს „ბლუმსბერის წრე“ უწოდეს. 1912 წელს ვირჯინია ცოლად გააყვია სალამოების ერთ-ერთ მონაწილეს ლეონარდ ვულფს. მათი თავყრილობა არ იყო „სალონური“, არც დები ცდილან საზოგადოების დედოფლობა ეთამაშათ და არც მათი მეგობრები იყვნენ რომელიმე ლიტერატურული სკოლის და „ბზმების“ მიმდევარნი. შეკრებილთა უმეტესობას კემბრიჯში მიეღო განათლება და სხვადასხვა მოწოდებას მიჰყვებოდნენ — იყვნენ მხატვრები, ფილოსოფოსები, ეკონომისტები, მწერლები, მსჯელობდნენ ფილოსოფიაზე, მორალზე, მეტაფიზიკაზე, ესთეტიკაზე, მსჯელობდნენ თავდავიწყებით, არავის სჭირდებოდა პოზა. იკრიბებოდნენ პირველი მსოფლიო ომის დღეებშიც და მას შემდეგაც, ოციანი წლების ბოლომდე. წრე იმდენად გაფართოვდა, ძნელად თუ გაარჩევდით, ვინ შედიოდა „წრეში“ და ვინ დადიოდა უბრალოდ, როგორც მეგობარი. წრის სული და გული იყვნენ ცოლ-ქმარი ვირჯინია და ლეონარდ ვულფები.

მწერალი ქალი, ვისი რომანებიც დიდი წარმატებით სარგებლობდა, 1941 წლის 31 მარტს მდინარე უზში დაიღუპა. ამბობენ, თავი დაიბრჩო.

ვირჯინია ვულფის რომანები „მისის დელოუეი“, „ტალღები“, „ჯეიკობის ოთახი“, „მოქმედებებს შორის“, „წლები“, „შუქურისაყენ“ საუკეთესოა მეოცე საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაში. ასევე დიდია ვ. ვულფის ღვაწლი ლიტერატურული კრიტიკისა და ესეის სფეროში. მსჯელობის ლოგიკა, ფორმის გააზრება, საკითხის დისმა — მეტად საინტერესოა. ესეის ფორმა შეკრულია. თემა შემოდის ძალდაუტანებლად, თითქოს შემთხვევით წამოიკრება. მწერალი თვზისს არ ამუშავებს მშრალი ლოგიკური მსჯელობით, თბრობა მდორეა, ასოციაციები ერთმანეთს ბუნებრივად მოსდევს, შიგადაშიგ ლირიკულ გადახვევებს, სარკატიულ ბინიშნებებს ურთავს. წინამდებარე ესეის შესავალში ვ. ვულფი წერს: „როდესაც საკითხი საკამათოა... ძნელად რომ აღაშიანმა სიმართლე თქვას. უფრო იოლია, აჩვენო, როგორ მიხვედრი ამა თუ იმ დააკვნამდე... მშრალ ფაქტებზე უკეთ შეთბზულ ამბავში განჭვრეტთ სიმართლეს. მე გამოვიყენებ მწერლის გახუსაზღვრელ უფლებებს და შემოგთავაზებთ ვააული ორი დღის აღწერას... იღბათ, ზედმეტია შეგახსენოთ, რომ მოქმედების ადგილი გამოგონილია... სიცრუეს უბვად გამმოვაფრქვევ, მაგრამ ცოტა-ცოტა სიმართლესაც გავუტრევ“... ვულფის ლექსიკა ნატიფია, მდიდარი, თბრობა მსუბუქი — ნათლად ხატავს სათქმელს და ამთავრებს ისე, თავს არ ვაბეზრებით.

„ვირჯინია ვულფის ესეებია „საკითხავი ყველასათვის“, „მეორე საკითხავი ყველასათვის“.

„მოთის სიკვდილი და სხვი ესუები“... წინამდებარე ესეიში „ერთი ოთახი საკუთრად“ ვ. ვულფის წამოჭრის ქალის დამოუკიდებლობის პრობლემას. იგი წინასწარმეტყველებულია: „ასობდენ წლის შემდეგ... ქალები თავს დაიდრევენ მეორე სქესის მფარველობას. აქვთ გამოძლიხარე, ქალები მონაწილეობას მიიღებენ ყოველგვარ საქმიანობაში და ძილებს სკდლიან ვგვლიფერში, რასაც წინათ ახლავს ვერ გაეკარებოდნენ, მინა ზიდავს ნახშირს, ქაქუჩებს, ქაღალდს, ატარებს მანქანას. გაქრება წარმოდგენა, რაც ემყარება აზრს, რომ ყველა-ბუნების მამაკაცი...“

1928 წლის ოქტომბერში ებრაინია ვულფმა წაიკითხა ორი ლექცია: ერთი ნიუნშენის კოლეჯის ხელოვნების მოყვარულთა წინაშე და მეორე გერტონის კოლეჯში. შემდგომ ლექციები გადაამუშავა, განავრცო და მათ საფუძველზე გამოსცა წინამდებარე ესეი.

პირველი თავი

„ერთი ოთახი საკუთრად“ რომ მოვახსენებთ, თქვენ აღზაათ გაიფიქრეთ, საკუთარი ოთახი რა შუაშიაო — მე ხომ ქალებსა და რომანზე უხდა მელაპარაკა. ვეცდები, აგახსნათ, თქვენ რომ მითხარიოთ — გვანტერებს, რა აზრის ხართ ქალისა და რომანის პრობლემაზეო, მდინარის პირაბ ჩამოვჯექი და დავფიქრდი, რას მოვლოდიოთ ჩემგან, ერთი მხრივ, ასე მგონია: თქვენ ფიქრობთ, რამდენიმე სიტყვით დავანახიოთებ ფენი ბერნი¹; მოვიხსენიებ ჯეინ ოსტინს² მადლიერებით მოვიგონებ დები ბრონტების³ დამხანაურებას და დავინატავთ გადათრეული მოუეროთ ფარსნიჭს; აღზაათ, მის მიტფორდს⁴ კბილს გავკრავ, პათივისცემას გამოვხატავ ჯორჯ ელიოტი-

სადმი⁵ მიმოვიხილავ მინის გასკდლის შემოქმედებას — ეს არის და ეს, მეორე მხრე, ვფიქრობ, უფრო მეტს მოედით, თემა „ქალები და რომანი“, შესაძლებელია, ნიშნავს, და იქნებ თქვენც ხწორედ ეს გაინტერესებთ — რანი არიან ქალები, ან ქალები და მათი შემოქმედება, ან ქალები და მათზე შექმნილი ნაწარმოებები, ან იქნებ ვგვლაფერი ერთად, ეს ზოლო აზრი უფრო მომეწონა, და ყველაზე საინტერესოც მეჩვენა. მაგრამ იმასაც ვხვდები, რა გასაკვირი შელახ — ვერ ჩამოვაყალიბებ დასკვნებს. ვერახოდებს შევძლებ შევასრულო ლექტორის ფიჩველესი ამოცანა — ერთხანთიანი ლექციის დასასრულს მოგაწოდოთ კეშმარიტება, რასაც თქვენს რვეულში აღბეჭდავთ და ბუნრის თავზე მიუჩნებთ ბინახ. ისლა დამჩინია, ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ — ქალმა რომ დაწეროს რომანი, სჭირდება ფული და ერთი ოთახი საკუთრად; მაგრამ გადაუჭრელი რჩება მთავარი პრობლემა — როგორია კეშმარიტა არსი რომანისა. ამ დიდემასაც თავი ავაროდე — ქალი და რომანი გადაუჭრელი პრობლემაა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის, მაგრამ რაიმე ხომ უნდა გაითხრათ სანაცვლოდ. და აი, მეც ვეცდები, ჩამოვაყალიბო ჩემი მოსაზრება ოთახსა და ფულზე, ვეცდები, რაც შეიძლება სრულად და შეუზღუდავად წარმოვიდგინოთ ჩემი შეხედულებები. პირდაპირ რომ ვთქვა, ქალს ამიტომ და ამა-

1 ფენი ბერნი (ქალიშვილობის გვარი ლინის დ'არბი, 1752-1848) — ინგლისელი მწერალი, რომანისტი და დღიურების ავტორი. მისი საუკეთესო რომანია „ველიანა“ (მთარგმნ.)

2 ჯეინ ოსტინი (ქ. გ. სტივენსონი, 1775-1815) — ინგლისელი მწერალი. მისი რომანები ღრმად ფსიქოლოგიურია და მუნებრივი იუმორითაა შეფერილი. ქ. ოსტინის რომანებიდან აღსანიშნავია „სიამავე და ცრურწმენა“ და „ემა“ (მთარგმნ.).

3 დები ბრონტები — ინგლისელი მწერლები წარმოშობით ირლანდიიდან (ლორნტონი), ცხოვრობდნენ შოტლანდიაში, პოეტურ ფარსნიჭში.

შარლოტ ბრონტის (1816-1855, ფსევდ. გარჯ ბელი), საუკეთესო რომანია „ჯეინ ეარი“.

ემილი ბრონტის (1812-1848, ფსევდ. ელის ბელი), საუკეთესო რომანია „ქარიშხლიანი მადლობები“. ემილის რამდენიმე ლექსს ინგლისური ლირიკის შედევრად მიიჩნევენ.

ენ ბრონტი (1820-1848, ფსევდ. ექტონ ბელი) ძირითადად წერდა ლექსებს. (მთარგმნ.).

4 მეარი რასკლ მიტფორდი (1787-1855) — ინგლისელი მწერალი, რომანისტი და დრამატურგი (მთარგმნ.).

5 ჯორჯ ელიოტი ფსევდონიმია ინგლისელი მწერალი ქალის მეარი ენ ევანზის (1819-1880), ავტორის კრიტიკული აზროვნება, კუშიანიზმი და კომიკურის შეგრძნება ჩანს მის რომანებში „ფლოსის წისკვილი“, „საილეს მარხერი“, „მოდლობარჩი“ (მთარგმნ.).

6 ელიზაბეთ ქლეგორნ უილი (ქ. გ. სტივენსონი, 1810-1865) — ინგლისელი მწერალი, მშრომელი ხალხის ცხოვრება ასახა რომანებში „მეარი ბარტონი“, „ქრენფორდი“, „ჩრდილოეთი და სამხრეთი“ და სხვ. (მთარგმნ.).

ტომ სხივრღება-მეტეი ოთახი და ფული, გამო-
 შვარავდება, რომ აქვე იგულისხმება ქალისა და
 რომანის პრობლემაც. ყოველ შემთხვევაში, რომ-
 დეხაც საკითხი საკმაოა, — სქესის საკითხი კი
 ყოველთვის საკმაოა — ძნელად რომ ადა-
 მინაში ხომართლე თქვას. უფრო იოლია, აჩვენ-
 ნო, როგორ მიხვედნი ამა თუ იმ დასკვნამდე.
 თქვენ კი, თუ დაუკვირდებით ორატორის მსჯე-
 ლობას, — თავისებურია, შეზღუდულია თუ ცრუ-
 რწმენით სავსე, — გარკვეულ დასკვნებამდე მი-
 ხვალთ. ამ თვალსაზრისით, მშრალ ფაქტებზე
 უკეთ შეთხზულ ამბავში განჭვრეტთ სიმართ-
 ლეს. მე გამოვიყენებ მწერლის განუსაზ-
 ღვრელ უფლებებს და შემოგთავაზებთ გა-
 ხულია ორი დღის აღწერას, როდესაც
 თქვენი დავალებით მხრებდამძიმებული, მოც-
 ლილი თუ საქმიანი, დღედაღამ ვფიქრობდი ამ
 საკითხზე. აღბათ ზედმერია შეგახსენოთ, რომ
 მოქმედების ადგილი გამოგონილია, „ოქსბრიჯი“
 ჩემი ფანტაზიაა, „ფერნჰემი“ — „მე“ — ში არავის
 ვგულისხმობ, ისე ვამბობ, შემარჯვება. სიცრუ-
 ეს უზვად გადმოვაფრქვევ, მაგრამ ცოტ-ცოტა
 სიმართლესაც გავურჩევ: თქვენ უნდა მოიძიოთ
 აქა-იქ გაბნეული სიმართლე და განხაჯოთ,
 დიან თუ არა, დაიშახლოვროთ, თუ ვერაფერი
 აღმოაჩინეთ, რასაკვირველია, მთელ ჩანაწერს
 მისხვრით ხანაგვენი და დაივიწყებთ.

მაშ ასე, ამ ორი კვირის წინ, ოქტომბრის
 ერთ მშვენიერ დღეს (გნებავთ მეორი ბიტონი მი-
 წოდეთ, გნებავთ მეორი სიტონი, გნებავთ მეორი
 ქარშიაკლი ან ნებისმიერი სხვა სახელი — ამას
 რა მნიშვნელობა აქვს) ფიქრებში წახული ვი-
 ქეჭი მდინარის პირას. ზემოთ რომ მოგახსენეთ
 ქალებსა და რომანზე, იმ თემაზე ვფიქრობდი —
 ან რა უნდა მეთქვა, ან რა დასკვნები უნდა
 გამეკეთებინა, ეს თემა ხომ ცრურწმენასა და
 დიდ ვნებებს აღგვიძრავს. ვიქეჭი ჩაფიქრებუ-
 ლი. მარჯვნივ თუ მარცხნივ — მოწინა და
 ოქროს ფერი გადაჰკრავდა ბუჩქებს, თითქოს
 ცეცხლი წაჰკიდებიათო. მეორე ნაპირზე მარად-
 მგლოვიარე ტირაფებს ჩამოშლილი თმა ყელზე
 შემოხვეოდათ. მდინარე ხან ცას აირეკლავდა,
 ხან ხიდს და ხან ცეცხლწაკიდებულ ხეს, და
 თუ ნავი გააპობდა გამოსახულებას, წყალი
 ისევ შეიკრავდა პირს, ვითომ არაფერს გავე-
 ლოს. შეიძლებოდა იქვე შემოგდამებოდათ ფი-
 ქრებში წახულს. იქნებ ზედმეტიც კი არის, „ფიქ-
 რი“ დავარქვა ერთმანეთზე აჩინხლულ სიტ-
 უვებს, ქვემოთ, ნაკადულისკენ რომ ჩაკიდებუ-
 ლან. სიტყვების გროვა ირწევს, ხან ჩაიძირება
 ანარეკლებსა და წყალმცენარეებში, ხან ამოიზ-
 რდება, კიდევ და კიდევ, ვიდრე, როგორც ხდე-
 ბა ხოლმე, ამ აგუნდავებული მასის წვერზე
 თავს არ მოიყრის ნაფიქრი. მეჩრე ფრთხილად
 ამოქანავ ბადით და დაყრი მინდორზე, მაგრამ

რა: ბალახზე გააღაგებ და ძალიან პატარად,
 უმნიშვნელოდ გეჩვენება საკუთარი აზრი; ასეთ
 ლიფსიტებს კარგი მეთევზე იქვე გადაუშვებს
 წყალში — ჯერ არ ღიანს მათი შეწყა და შეტ-
 მათ. ახლა ჩემი ნაფიქრის გადმოცემით აღარ
 შეგაწყენთ თავს, თუ დაუფიქრებდნენ მსჯელო-
 ბას, თვითონვე მიხვდებით. ქრისტე უნდა უმ-
 ნიშვნელო იყოს ჩემი ფიქრი, ერთი უცნაური
 თვისება მაინც აღმოაჩინდა — როგორც კი დავუბ-
 რუნდი, მაშინვე ამაღელვს და მნიშვნელოვნად
 იქცა, ხან გაქანდა და ხან ჩაიძირა, ხან აქ გაიე-
 ღვა, ხან იქ, ისე შემოიძრა სული და ამიფორია-
 ქა გონება, მშვიდად ვეღარ დავტევი. ამიტომ
 იყო, სწრაფად გადავტევი აბიზინებული გაზო-
 ნი. იმავე წუთს ჩემ წინ კაცის ფიგურა აღიშარ-
 თა, რომ შევეჩერებინე. ვერ მივხვდი, ეს უც-
 ნაური, საზეიმოდ გამოწყობილი ფიგურა მე
 რომ მიქნევდა ხელებს; სახეზე ეწერა შიში და
 აღშფოთება. ინსტიქტმა გონებაზე აღრე მი-
 კარნახა. ის იყო ზედამხედველი — მე ვიყავი ქა-
 ლი. მე მოლზე მივდიოდი. ბილიკი იქით იყო,
 ბალახზე დაბიჭების უფლება აქვს კოლეჯის
 ყველა მამაკაც პროფესორ-მასწავლებელს (მათ
 წრეში ქალი ვერ გაიქაჭანებს). მე კი, ქალს,
 ქვიშაზე უნდა მევლო. წამში მოვედი გონს.
 როგორც კი ქვიშაიან ბილიკზე გადავედი, ზე-
 დამხედველმა ხელები დაუშვა, სახეს ჩვეულუ-
 ბრივი გამომეტყველება დაუბრუნდა. ცხა-
 ღია, მოლზე ხიარული უფრო ხახიამოყნოა, ვი-
 დრე ქვიშაზე, ჩემი გადახვლითაც დიდი არა-
 ფერი მოხდა. მამაკაცებს — კოლეჯის პროფესორ-
 მასწავლებლებს ვერაფერს ვუსაყვედურებდი,
 გარდა ერთისა — თავიანთ მოლზე ზრუნვაში
 (300 წელია ასე უფრთხილდებიან ბალახს) ჩე-
 ში ლიფსიტა დამაკარგვინეს.

სულ აღარ მახსოვს, რა ფიქრი იყო, ასე თა-
 მამად რომ დამარღვევინა ხზვისი სიმყუდრო-
 ვე. მშვიდი განწყობილება დრუბელივით დაე-
 შვა ციდან, მშვილობა თუ სადმეა, პირველ სი-
 გში სწორედ ოქსბრიჯში სუფივდა ოქტომ-
 ბრის იმ მშვენიერ დღეს. დავბეტი-
 ლობდი უნივერსიტეტის კოლეჯებს
 შორის, ჩავუარე უძველეს დარბა-
 ზებს და აწმყოც ისეთი უხეში აღარ მეჩვენა;
 ჩემი სხეული მოქცეულიყო ჯადოსნური მინის
 გარსში, რომელშიც ჩქამიც კი ვერ შეაღწევ-
 და; ჩემს ცნობიერებას, რომელსაც ობიექტურ
 გარემოსთან არა ფაქტი არ აკავშირებდა, რეა-
 ლობა ვეღარ შეეხებოდა (თუკი მოლზე აღარ
 გავივლიდი) და არაფერი დაუშლიდა, სურვი-
 ლისამებრ ენავარდა ფიქრების ზღვაში, შემთ-
 ხვევა მომეცა და ცნობიერებაში წამოტივტავდა
 ერთი ძველი ესეი — როგორ ეწვია ჩარლზ ლე-
 ში ოქსბრიჯს დიდი არდადეგების დროს; წმინდა
 ჩარლზიო, უთქვამს თეკერის და ლემის ესეი

შუბლზე მიუღწევს. მართალია, ყველა მკვლევარს შორის (ჩემს აზრებს მიმდევრობით გადმოგცემთ) ლეში ისე მანლობელია, მოგინდება ჰკითხო— მითხარი, როგორ დაწერე ასეთი ესეები? შეფიქრობ, მისი ესეები თვით მექს ბიარბომის ნაწერებზე უკეთესია. ყოველმხრივ სრულყოფილი, შთაფლნებით გასხივოსნებული, ზოგან გენიის ცეცხლით დაღაღული, ზოგან ოღროსილოდ და უხწორომანწირო, მაგრამ მოდერნულ პოეტურ მიმდევრობით ცხებული. დავუშვათ, ლეში იყო ოქსბრიჯში ამ ასიოდ წლის წინათ, დაწერა ესეი— სათაური აღარ მახსოვს — მილტონის ზედწინაწერზე, შესაძლებელია ეს იყო „ლიციდასი“, რომელიც იქ იხილა; ლეში წერს: ჩემთვის იმის გაფიქრებაც კი ხაზარდელია, რომ შეიძლება თუნდაც ერთი სხვა სიტყვა ყოფილიყო ამ პოემაში. ისიც კი მკრებელია, წარმოადგინო, როგორ ცვლის მილტონი სიტყვებს ამ ზედწინაწერში. ვცადე, გამეხსენებია „ლიციდასი“, დაშინტერესა, რა სიტყვებს შეცვლიდა მილტონი და რატომ. შემდეგ მოვიხაზრე, რომ აქვე ინახებოდა ზედწინაწერი, რომელიც ლეში იხილა, და რომ შეიძლება, კაცი მიყოლოდა ლემის კვალს, გადაეჭრა კოლეჯის ეზო და სწევოდა წიგნთსაცავს, სადაც ეს განძი ინახებოდა. გზას რომ დავადექი, გამახსენდა: თეატრის „ესმონდი“ ხომ ამ ცნობილ წიგნთსაცავში იდო. კრიტიკოსები ხშირად აღიარებენ, რომ „ესმონდი“ არის თეატრის საუკეთესო რომანი. ჩემი აზრით, რომანი ძნელად იკითხება — მაღალფარდოვანი სტილით ბაძავს მეთვრამეტე საუკუნის ლიტერატურულ გემოვნებას; შესაძლებელია, მეოთხრამეტე საუკუნის სტილი, მართლაც, ბუნებრივი იყო თეატრისთვის, მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ დავადგენთ, თუ შევიხსენებთ ზედწინაწერს და გავარკვევთ. როგორც ცვლილებები შეტეხილია ავტორს — სტილური თუ აზრობრივი. ახლა ისიც სადავოა: სტილი რაა და აზრი რაა, ეს ისეთი საკითხია, რომელზეც — მაგრამ თურმე უკვე მივდგომივარ ბიბლიოთეკის კარს. კარიც გამოშილია— იმავ წუთს მფარველი ანგელთაშვით, რომელსაც თეთრი ფრთების ნაცვლად შავი ანაფორა ემოსა, გზა გადამიდომა ვერცხლინფრად შემოსილმა კეთილშობილმა ქენტლმენმა, ხელით მანიშნა, გაბრუნდით, გაბრუნდითო და თან ხმადებლა მომიბოდიშა: ბიბლიოთეკაში ქალები დაიშვებიან, თუ ახლავთ კოლეჯის მასწავლებელი (კოლეჯის მასწავლებელი კი ყველა მამაკაცია), ან თუ ქალს შეუძლია, წარმოადგინოს სარეკომენდაციო წერილი.

ცნობილი ბიბლიოთეკისთვის არავითარი მნი-

შენელობა არა აქვს, კრულვით თუ მოიხსენიება ვიღაც ქალი ღირსებით ხაყუა და აღუდგინებელი, მთელი საგანძური ვუღიწოთ და ცხრაკლიტულის შეასვლელლოც სარგულად დაუგმანავს, თავად კი მშვიდად სძინავს და ეძინება მარადვამს ისე, რომ ჩემს ხელს ვერ შეაწუხებს. კიბეებზე რომ ჩამსვლენ და დაეცვიან, აღარასოდეს გამეგონა ამ ზმის ეჭო, აღარასოდეს მუხარგებლა მათი „ხტუმართმოყვარეობით“ ლანჩამდე მთელი საათი რჩებოდა. რა შექნა აბიბინებულ მინდორზე მესტიჩა თუ მდინარის პირას ჩამოგმვლარეყავი? შემოდგომის მართლაც სასიამოვნო დღეა იდგა. შეფაქლულყოფილები მიწისკენ მოფარვატებდნენ; ბაღებზე ზეტილიც შეიძლებოდა და მდინარის პირას დასვენებაც. მაგრამ ამ დროს მუხიკა შემომესმა წირვა, ან რაღაც საზეიმო ცერემონიალი იქნებოდა. საუდრის კარს რომ ჩავუარე, ორგანის მოთქმა-ჩივილმა სული შემიძომა. ქრისტიანული გლოვა იმ გამჭვირვალე მარში გლოვის მოგონებად უფრო ეღერდა, და ძველი ორგანის კვნესაც გარინდებში ჩაიკარგა. კიდევ რომ მჭონოდა უფლება, არ ნინდოდა ხაყდარში შესვლა. ამჭერად, აღბათ, დუთისმხახური შემარგრებდა და ნათლობის საბუთს, ანდა დეკანის სარეკომენდაციო წერილს მომთხოვდა. ეს დიდებულია შენობები გარეთაც მშვენიერია და შიგნითაც. ინტერესით ვუფიქრებდი: მოიყარეს მლოცველებმა თავი საყდართან, შედიოდნენ და გამლოდოდნენ, რადაცაბ საქმიანობდნენ ხაყდრის შესასვლელთან, როგორც ფუტკრები ხეის ხაფრენთან. ბევრ მათგანს ქუდი ვხურა და ანაფორა ემოსა, ზოგს ბეწვი მოვფლო მხრებზე, რამდენიმე კაცი ინვალიდების სკამით მოაგორებს. ზოგი შუახნისაც არაა, მაგრამ შესაბუნად ჩანოქებული და მობრეცილია. როგორც აქვარიუმის ქვიშაზე გაგორებული უზარმაზარი კიბორჩხალა, ან კიბო. კედელს მივეცრდენი და გავიფიქრე: უნივერსიტეტი ბგავს ნაკრძალს, სადაც შემორჩენილია იშვიათი ქაშები, რომლებიც ამოწყდებიან, ბედის ანაბარად თუ დავაგდეთ არსებობისათვის ბრძოლაში. წინანდელ ამბებს ვიხსენებდი. მასწავლებლებსა და პროფესორებზე ამბობენ: რომ დაუსტვინეს, მოხუცი პროფესორი კულამოდებული გავარდარ, — დავიდრე გამბედაობას მოვიკრებდა და დავუსტვინდი, პატრცემული საზოგადოება უკვე საყდრის შიგნით იყო. საყდარიღა დამჩნა საჭვრეტად. აღბათ, დავკვირვებობართ, ეკლესიის მაღალი გუმბათები და წვერები ღამით განიარადნებულთა და რამდენიმე მილის მანძილზე, შორეული მთებიდან მოჩანს, როგორც მარად მოცურავი გემი, ნავსაყუდელისათვის რომ ვერ მიუღწევია. ამ ეზოში, ახლა ხაყვრდოვანი მოლი, მახიური შენობები და საყდარი რომ ჩანს, ერო

7. მექს ბიარბომი (1872-1956) — ინგლისელი კრიტიკოსი, ესეისტი და კარიკატურისტი (მთარგმნ.)

დროს ქაობები იქნებოდა, ხალაყ ბალახი ტალღებად იკეცებოდა და ღორი მიწას ჩაქნიდა, ცხენებითა და კამრებით მოზიდეს ქვა შორეულ ქვეყნებიდან, ქაანწყვეტით შეაყუდეს ერთი მეორეზე ეს ნაცრისფერი ღოდები, რომელთა ჩრდილშიც ვიდრე, შემდეგ მხატვრებმა მოზიდეს ფანჯრის ვატრავები და ჩამდენიშე ხაუკუნე მუშაობდნენ ხელოსნები იმ საბურავზე კირქვითა და ცემენტით, მართია და ქაფრით. უოველ შახათს ტყავის ქიხიდან ბებრულ მუჭში გადმოუყრიდათ ვინმე ოქროსა და ვერცხლს, რომ იმ ხალაყს დრო ეტარებინათ. ოქრო-ვერცხლის უწყვეტი ნაკადი მოედინებოდა ამ ეზოსკენ, რომ ქვა მოეზიდათ და ხელოსნებს ემუშავათ; მიწას ასწორებდნენ, საწრეტი არხები გაშვავდათ, თბრიდნენ, ამრობდნენ. ჭერ კიდევ რწმენის ეპოქა იყო. უხვად მოედინებოდა ფული, რომ ეს ქვეები დაეწყოთ ღრმა სამირკველზე, და როდესაც კედლები ამოიყვანეს, კიდევ უფრო მეტი ფული დაიხარჯა სამეფო და დიდებულთა ხაზინებიდან, რომ ამ კედლებს შორის ეგალობათ და სწავლულნი აღეზარდათ. მიწებიც უბოძეს, მიწის გადასახადმა კი შემოსავალი მისცათ. როდესაც გასრულდა რწმენის ეპოქა და დადგა გონების ხანა, კვლავ მოედინებოდა ოქრო და ვერცხლი; კოლექტებში აღმწრდელები და ლექტორები მოიწვიეს; ამგვრად ფული მოედინებოდა არა სამეფო ხაზინიდან, არამედ ვაჭართა და მრეწველთა ჰიბეებიდან; იმათი ქიხებიდან, ვინც გამდიდრდა, მაგალითად, სამრეწველო ბიზნესით; ქონების დიდ ნაწილს ისინი ახდერძით უტოვებდნენ უნივერსიტეტს, რომ დაეარსებინათ ახალი კათედრები, მოეწვიათ ლექტორები და აღმწრდელები კოლექტებში, რომელშიც თავად ეზიარნენ ცოდნას, შეიქმნა ბიბლიოთეკები და ლაბორატორიები, გაჩნდა ობსერვატორია, შეიძინეს შესანიშნავი აპარატურა, ძვირფასი და ნატური ხელსაწყოები, რომლებიც თაროებზეა ჩამორიგებული სწორედ იქ, ხალაყ საუკუნეების წინათ ბალახი ბიზინებდა და ღორები მიწას ჩაქნიდნენ. იმ ოქრო-ვერცხლითაა, ქვაფენილი მკვიდრად რომ აგია ვედურ ბალახზე, კიბიდან კიბეზე ლანჯრით ხელში მიიჩქარიან ადამიანები (კოლექტი ტრადიციულ სუფრას უმართავს კურსდამთავრებულთ). ლანჯრებიდან საზეიმოდ იმზირება გადაფურჩქნილი ყვავილები. მთახებიდან მუხიკა იღვრება. ფიჭვი თავისით აკიაფდა — მაგრამ იქვე ჩაქრა, რა მნიშვნელობა აქვს, რაზე ვფიქრობდი. კოშკის საათმა დაქრა, ლანჩის დრო იყო, ფნდა მომეძებნა სასადილო, რატომ გვარწმუნებენ მწერლები, რომ ადამიანებისათვის ლანჩზე თავშეყრა სამახსოვროა, თუ მასზე რაღაც ძალიან გონებამახვილური ან ჰკვიანური ითქმის. ხიტყვა არ დახცდებ-

ათ, რა ქამეს, თითქოს პირი შეგარესო, არც ერთი მწერალი არ ახსენებს წინაინს, ორაგულს და იხვს, ვითომ მნიშვნელობა არ მქონდეს, წვნიანს, ორაგულს და იხვს მიიროთმეფს, თუ სხვა რამეს, ან ვითომ ლანჩი ქიხი მოეწიოთ ერთი ღერი სიგარა, ან არ ცხენდსთქმის ქიხა დვინო. თავს ნებას მივცემ, დავარდვო ეს პირობა და მოვახსენოთ, რომ ამგვრად ლანჩი დაიწყო თევზით, რომელიც კოლექტის მზარეულს ღრმა ქამში ჩაეწყო და ზედ სქლად გადაეხბა საწებელა, მხოლოდ ის ადგილები მოჩანდა, ხალაყ ყავისფერი ნალები ეყარა თევზს, როგორც შვლის ხუკრის ფერდებს. შემდეგ მწყერი მოგვართვებ. არ გევალოთ ორიოდე გააუტული, ჩაშავებული ჩიტი უოფილიყო თევზზე. არა უხვად შემოიტანეს სხვადასხვაგვარად შემზადებული მწვერი — ცბარე და ტკბილი სოუსით, ხალათებით, ხურდა ფულივით წვრილად დაჭრილი კარტოფილით, ხორციანი, ვარდის კოკორავით შეგრაგნილი კომბოსტოთი. როგორც კი ავითვისეთ შემწვარი გარნირიანად, ოფიციალტმა, იგივე ზედამხედველმა, ნაკლებად მკაცრი გამომეტყველებით, წინ დაგვიდგა თეთრი შეფუთული ნამცხვარი—თითქოს შაქრის კონუსი ამოწიდულაო ტალღებიდან. მადინგი იყო-მეთქი ვთქვა და ბრინჯი და ხურდული გაგახსენოთ, აღბათ, შეურაცხველოფ ამასობაში დვინის ქიქები აედვარდა ოქროსფრად და ლალისფრად; გამოცვალეთ, კვლავ შეავსეს და თანდათან, ზურგის ტვინის ჩაყოფებით, იქ, ხალაყ სულის ხაბუდა. რია, გამონათა არა მატარა და მბუუტავმა ქიატმა, ჩვენს ტუჩებზე რომ ათამაშდება და რახალ ენაწულიანობას ვუწოდებთ, არამედ უფრო მძლავრმა, მკვეთრმა, გულის სიდრმიდან ამოხეთქილმა ცეცხლმა — გონებრივი ურთიერთობის სავსე და მწიფე ნაყოფმა. არსად ვეჩქარება. ენაწულიანობაც უადგილოა. იყავი მხოლოდ ის, რაც ხარ, განწყობილება ზეაწეულია და ქიქით ხელში ჩვენთანაა ვან დეიკიც — ერთი სიტყვით, მოუკიდებ სურნელოვან სიგარეტს, ჩვენსვენები ფანჯრის რაფაზე დაყრილ ბალიშებში და გრძნობ, რა კარგია ცხოვრება და რა სიტკბოს გიბოძებს იგი, გრძნობ, არარაობაა შური და დვარძლი და დიდებულთა მეგობრობა; გრძნობ, ხახიამოვნოა სულიერ მეგობრებთან ყოფნა.

მენურ კატას ვერც დავინახავდი, საფერფლე რომ ახლოს უოფილიყო და სიგარეტი ფანჯრიდან გარეთ არ ჩამეფერფლა, ანუ ცოტა სხვაგვარად რომ მომხდარიყო და არა იხე, როგორც მოხდა. მოკლედ, ეს უცნაური, მახინჯმნილი ცხოველი მაშინ მომხვდა თვალში, კოლექტის ეზოში რომ მიცუნცულებდა და რაღაც ქვიცნობიერმა განცდამ განწყობა შემიცვალა. თითქოს ვიღაცამ გადამაფარა ჩრდილი, თითქოს კარგად გაწყობილი კაუჭიდან მოწყდა მსხვერ-

ქლი, შევუტრები შენურ კატას. ყვაფილებში
იდგა, გეგონებოდათ ეკითხებო სამყაროს და
ვიგრძენი რაღაც დამაკლდა, რაღაც შეიცვალა.
ნეტავ რა დამაკლდა, რა შეიცვალა? დავფიქ-
რდი და უფრო მივუგდე საუბარს. პასუხი რომ
გამეცა, ფიქრით უნდა გავცლოდი იქაურობას,
წარსული მომეხმო, ომამდელი წარსული, და
მეხსიერებაში აღმედგინა სხვა თავყრილობა,
რომელზედაც ამ ოთახებიდან არც ისე შორს
ეკრებიებოდით. მაგრამ ის საუბრები ძლიერ გა-
ნსხვავდებოდა დღევანდელისაგან. დღეს ლანჩზე
სტუმარებს მოუყურიათ თავი, ბევრნი არიან, სულ
ახალგაზრდები. ზოგი ამ სქესის, ზოგი იმ სქეს-
ის; ლაღად, მეგობრულად, თავისუფლად, საინ-
ტერესოდ საუბრობენ. ვუსმენ და მაგონდება
ჩვენს წინანდელი შეხვედრება, როცა მათ ერთ-
მანეთს ვადარებ. ვრწმუნდები, ახალი გამომდი-
ნარეობს ძველისაგან. ტრადიცია გრძელდება,
არაფერი შეცვლილა; არაფრით განსხვავდებიან,
გარდა ერთისა — ვუსმენ მთელი გულისყურით,
მაგრამ საუბარის მინაარსს კი არა, მათ ბუტბუტს,
ანუ საუბარის ნაკადს. დიან, ახეა — ხწორედ
ეს განასხვავებთ. ომამდელ თავყრილობებზე
აღამიანება ზუსტად იგივეს ლაპარაკობდნენ,
რახაც დღევანდელ ლანჩზე, მაგრამ სხვაგვარად
უღერდა. მათი ხმა, რადგან მაშინდელ მეტყვე-
ლებას ახლდა თავისებური დუღუნი, წარმოთქ-
მის ნორმას კი არ ვგულისხმობ, თვით ბგერა
იყო მუსიკალური, ემოციური, რაც თითქოს
სიტყვებსაც თავისებურ მნიშვნელობას აძლევდა.
მხოლოდ პოეტის თუ გვაგრძნობინებს ამ სხვაო-
ბას. გვერდით მედო წიგნი, და მეც ახალბე-
დზე გადავშალე ტენისონის ლექსი. აი, რას
მღეროდა ტენისონი:

ვნების ყვაფილმა კიშვართან
ცრემლი დაღვარა წრფელი:
„ის მოდის, ჩემი სიცოცხლე,
ჩემი სატრფო და ბედი“.
წითელი ვარდი ახარებს:
„ახლოა, ნუ ხარ ხელი“,
თვთრ ვარდს დარდი ჰკლავს ყვაფილის:
„დაიგვიანა, ელის“.
ასკილმა უფრო მიუგდო:
„მესმის, ახლოა, მესმის“.
შროშანამ ჩაიბურჩულა:
„ალბათ მოვა, თუ ელის“.

ახე დუღუნებდნენ მამაკაცები თავყრილო-
ბაზე ომამდე? ქალები?

ჩიტყვით გალობს ეს გული —
ბუდე რომ ნამიან ტოტზე აქვს;
ვაშლივით ხარობს ეს გული —
ტოტი რომ ნაყოფით სავსე აქვს;
ეს გული იღვინს — ცის თაღზე

ტრელი ცისარტყელა ანთია;
გალობს ეს გული მით უფრო,
სიყვარული რომ აქვია.

მართლა ახე დუღუნებდნენ ქალები თავყრი-
ლობაზე ომამდე? ისე სასაცილოდ რომ წა-
რმოიდგენ, ომამდელ თავყრილობებზე როგორ
დუღუნებდნენ, და მეც სიცილი ამიტყდა. უმი-
ზეზოდ იცინისო, რომ არ ეფიქრათ, შენურ კა-
ტაზე მივუთითე: მართლაც უცნაური ჩანდა სა-
წყალი — უკუდო, შუა მინდორში მოკუნტული.
ნეტავ ასეთი დაიბადა, თუ უბედურმა შემთ-
ხვევამ დააკარგვინა კული? ამბობენ კუნძულ
შენზე ცნობრობენო უკუდო კატები, მაგრამ
ვერც იქ შეხვედებით ხშირად. თავისებური ცხო-
ველია, ლამაზი კი არა, უცნაური. გასაკვირია,
რა დიდი მნიშვნელობა აქვს კუდს! ხან ამას იტ-
ყვიან და ხან იმას, როდესაც ლანჩის შემდეგ
იწლებიან და უველა თავის პალტოსა და ქუდს
ეძებს.

ამჯერად სტუმართმოყვარე მასპინძელი გვეა-
ვდა და ლანჩი რომ დამთავრდა, შუადღეს კა-
რგო გადაცილებული იყო, ოქტომბრის მშვენიე-
რი დღე იწურებოდა, ფოთოლი სცვიოდა ხე-
ებს და მე მივყვებოდი ხეივანს. მივდიოდი
და ჩემ უკან ზედიზედ კეტავდნენ კარებს. უთ-
ვალავი ზედამხედველი უოვალავ გახადებს არ-
გებდა კარგად დაზეთილ კლიტეებს. და მთელი
საგანძური საიმედოდ ჩაკეტეს კიდევ ერთი ლა-
მით. ხეივანს გზაზე გავყავართ — არ მახსოვს
ქუჩის სახელი; თუ მარჯვნივ დაუყვები, ფერწ-
ბემისაკენ მიდის გზა. ქვეყნის დრო მქონდა.
რვის ნახევრამდე ხომ არ ვიხადილებდი. ასეთი
ლანჩის შემდეგ ხერხოდ აღარ იყო ხაჭირთ ხა-
დილი. რა უცნაურად აგეკვიატება ხოლმე ერთი
პოეტური ფრაზა და ლექსის რიტმში მიაბიჯ-
ებ:

ვნების ყვაფილმა კიშვართან
ცრემლი დაღვარა წრფელი:
„ის მოდის, ჩემი სიცოცხლე —

ეს სიტყვები როკავდა ჩემს სიხბლში, როცა
მივაბიჯებდი ჰელინგლისაკენ. შემდეგ სხვა რიტ-
მში გადავერთე და ამ სიტყვებს ვიმეორებდი
გულში (აქ შესართავთან კი ჭაფი მოსდგომოდა
მდინარეს);

ჩიტყვით გალობს ეს გული, —
ბუდე რომ ნამიან ტოტზე აქვს;
ვაშლივით ხარობს ეს გული —

როგორი პოეტები იყვნენ! — ხამალა წა-
მოვიძახე, ბინდმა სითამამე შემმატა,
იქნებ სიხულელთა, უაზრობაა, სხვადასხვა
ეპოქის პოეტები შეადარო ერთმანეთს, მაგრამ
მაინც დაგფიქრდი, გულწრფელად თუ დავახაზ-

ელეზი ჩემს თანამედროვეთაგან ორ იმხელა პოეტს, როგორც ტენისონი და ქრისტინა როსეტა იყვნენ თავიანთი დროისათვის. აქაფებულ წყალს ვადავხედუ და გავიფიქრე — შეუძლებელია მათი შედარება. წარსულის პოეზია აგრეთვე იგივე იმპიტიმ გვადღედეგებს და გვაბურობს, რომის გვაგონებს წინანდელ განცდებს, რომელთაც მიტვეული ვიყავით (მაგალითად, ლანჩის თავყრილობაზე, ომამდე), ასე რომ, იმ პოეზიას იდეალიად ვიგებთ, მახლობელია ჩვენთვის, არ ვფიქრდება გრძნობათა მოთოკვა ან ახალთან შედარება. თანამედროვე პოეტები ახლა, ამ წუთის ჩვენში წარმოქმნილ გრძნობას წავგაგდექენ. ადამიანი მაშინვე ვერც ცნობს საკუთარ გრძნობას; ამა თუ იმ მიზეზით ვინაია კიდევ ნისი; მახვილი თვალთ აკვარდება და ეჭვით და უნდოდ ადარებს მისთვის ნაცნობ ძველ განცდას. აი, აქ იღებს სათავეს თანამედროვე პოეზიის უფრო ხიბნელი; ამიტომია, თანამედროვე კარგი პოეტის ორიოდ სტრიქონსაც კი მიწევობით ვერ გაიხსენებს კაცი, ამიტომაც მიმტყუნა მებსაგრებამ და მაგალითიც ვერ მოვიტანე. მივლადი შედინგლისაკენ და ისევ იმაზე ვფიქრობდი — რატომ აღარ უღიღინებთ ჩვენთვის ლანჩის თავყრილობაზე, რატომ აღარ მღერის ელფრედი:

ის მოდის ზემო სიკაცხლე?
რატომ აღარ ეზმინება ქრისტინა:
მით უფრო გალობს ეს გული,
სიყვარული რომ აქვია?

ოშს გადავაბრალდით? ნუთუ ყველაფერი იხე გაფერმკრთალდა კაცისა და ქალის თვალში 1914 წლის აგვისტოში, როცა თოფი გავარდა, რომ მთლიანად ჩაკვდა სიყვარულის განცდა? უდავოდ დიდი დარტყმა მიიღეს ადამიანებმა (განსაკუთრებით ქალებმა, რომლებსაც განათლებისა და ხვდა ილუზიები გახიწოდათ), როცა მმართველთა სახეები უშუაარის ცხცხლის შუქზე დაინახეს. ყველა მახინგი იყო — გერმანელიც, ინგლისელიც, ფრანგიც — და გამოთაყვანებული. რასაც და ვისაც გნებავთ გადააბრალდეთ, ფაქტია, რომ ის ილუზია, რომელმაც ტენისონი და ქრისტინა როსეტა ასეთი გრძნობათ აამღერა სიყვარულზე, ახლა იშვიათია. აბა, გადაიკითხეთ, შეხედეთ, მიაყურადეთ, გაიხსენეთ, რატომ ვამბობთ, „გადავაბრალდით“? თუ ილუზია იყო, მაშ რატომ არ ვაქოთ ის კატახტროფა, როგორც უნდა ყოფილიყო, რომელმაც გაფანტა ილუზია და წარმოაჩინა სინამდვილე? სინამდვილე... წერტილები იმ ადგილს აღნიშნავენ, სადაც ფერხვემის გადასახვევს ავცდი სინამდვილის ძაებში. ახლა ჩემს თავს შევეკითხე — მართლაც, რა არის სინამდვილე და რა არის ილუზია? როგორია ეს სახლები სინამდვილესა? — როგორც ახლა — ბინდით მოხილი და დიდუ-

ბული, სიბნელეში წითელი ფანჯრები რომ მოუჩანთ, თუ როგორც დილის ცხრა საათზეა — საცოდავი, წითლად შეთითხნილი და კუჭყიანი, საკონტრატებით და ჭიხურებით, სადაც ვუხსაცმელს იპრიანებენ. ან კიდევ, არცაა ჩემი მდინარე და მდინარეზე გადაჭიმული ხალები — ახლა წამოპარულ ნისლს დაუბანდავს, მზის შუქზე კი ოქროსფრად და წითლად ეღავეს; რომელია სინამდვილე და რომელი ილუზია? ჩემი აზრის კლასიკილებათ გატარეთ, ვერავითარ დასკვნამდე კი ვერ მივდი ბედინგლის გზაზე; ახლა გთხოვთ, წარმოიდგინოთ: როცა მივხვდი, რომ ჩემს მოსახვევს ავცდენილვარ, დავბრუნდი და ფერხვემის გზას დავადექი. რადგან უკვე მოგახსენეთ, რომ ოქტომბრის დღე იყო, დავკარგავ თქვენს პატივისცემას და შეურაცხველ მხატვრული ლიტერატურის ღირსებას, რომ შევცვალო წილიწადის დრო და ავიწეროთ ბაღის კედელზე გადმოკიდებული იასამნები, ან ზაფრანა, ტიტა და გაზაფხულის სხვა ყვავილები. ამტკიცებენ, რომ მხატვრული ლიტერატურა უნდა ასახავდეს ფაქტებს, და რაც უფრო ზუსტადაა აღწერილი ფაქტები, მით უკეთესია. ისღა დამჩენია გავიმეორო, რომ ჯერ კიდევ იდგა შემოდგომა და ისევ ცვიოდა შეყვითლებული ფოთლები, თანაც უფრო ხშირ-ხშირად, რადგან უკვე ხალა-მოვდებოდა (სიზუსტისათვის მოგახსენებთ, რვის მოცდახამი წუთი იყო) და ნიავიც ქროდა (სიზუსტისათვის მოგახსენებთ, სამხრეთ-დასავლეთიდან). რაღაც უცნაური მილიტინებდა:

ჩიტვით გალობს ეს გული —
ბუდუ რომ წამიან ტოტზე აქვს;
ვამლივით ხარობს ეს გული —
ტოტი რომ ნაყოფით სავსე აქვს;

აღბათ, ქრისტინა როსეტის ამ სტრიქონებმაც იმოქმედა ჩემზე და ზმანებებში გავხვდეთ — რასაკვირველია, ზმანება იყო მთელი ჩემი ხილვა, რომ ბაღის კედელზე იასამანს ყვავილები გადმოვფინა, ხან აქ, ხან იქ დაფარფატებდნენ ღერად-ფერადი პეპლები და მარგი ყვავილების მტვრით იყო სავსე. ქარმა დაუბერა, არ ვიცი ხაიდან, და ნახევრად მიმჭკნარი ფოთლების ვერცხლისფერი ნაკადი აიქრა მარში. ის დრო იყო, შებინდების ფერები რომ ჩამოქდებიან და ფანჯრის რაფაზე ისეთი მოწი და ოქრო აკოფდება, გულს ავიძგერებს კაცს; ის დრო იყო, რაღაც მიზეზით სამყარო თავის მშვენიერებას რომ გამოამწერებებს, მაგრამ ისიც მალე უნდა გაქრეს (ამ ფიქრში რომ ვიყავი, ბაღის კარს შევადე, დაუდევარ შედამხედველებს დია დარჩენოდათ და არც თვითონ ჩანდნენ ხაღმე); მოდა, ამ სამყაროს მშვენიერებას, რომელიც ასე მღე უნდა გამქრალიყო, ორი უკიდურესობა ახლდა — ხარხარის გეძალებოდა და სიბრაზეც

გაპყრობდა. და ლამისაა, გული შუაზე გაშპობო-
და კაცს. გაზაფხულის დაიხში ჩემ წინ გადაი-
შალა ფერწემის გაველურებული ბაღი, მოხიბი-
ნე ბალახი ნარგისებსა და შა იტებს მოეწინწ-
კლათ, ირგვლივ მიმოფანტ^{ლი} იყვნენ, თუმცა
არც თავის დროზე იქნებო^{დნენ} რიგში ჩაღა-
გებული. ახლა ქარი უბე^რავდა და აქეთ-იქით
ახეთქებდა ყვავილებს, თითქოს ფესვებიანად
უპირებდა მოთხრას, როგორც გემის ილუმინა-
ტორები ზღვის ტალღებში, ისე ჩახლართული-
ყო წითელი აგურის ტალღებში შენობის ფან-
ჯრები, რომლებიც, გაზაფხულის დრუბლები
რომ გადაივლიდნენ, ხან ლიმონისფრად მო-
ჩანდა, ხან კი ვერცხლისფრად. ვიღაც უსტვენ-
და პაშაკში, მეორე (ქარგად კი ვერ დაინახავ-
დი, ისე თუ მიხვდებოდი, დაახლოებით თუ
გაარჩევდი) ბალახზე გარბოდა — ნუთუ არავინ
შეაჩერებს? — აგერ, ტერასზე წაკუჭული ქი-
ლი გამოჩნდა, თითქოს გარეთ გამოიჭყუიტა, რომ
ხუფთა მარტი ჩაესუნთქა და ბადისთვის თვალი
შეეცლო. საშინელი შესახედეა და მაინც შეგეცო-
დება კაცს, დიდი შუბლი აქვს და ძველი კაბა
აცვია — ნუთუ ცნობილი მეცნიერია. ნუთუ
თავად ჯ. მ. გახლავთ? გარემო გა^კეუღლყო
ბურუსში, თან ყველაფერი უფრო გამოიკვეთა,
თითქოს ვარსკვლავით, თუ მახვილით ჩამოგლი-
ჯესო რიდე, ბაღს რომ გადაფარებოდა და სა-
შინელი რეალობის რაღაც ნაგლეჯი, როგორც
იცის ხოლმე, შემოჭრილიყო შუაგულ გაზაფ-
ხულიდან.

წვნიანი მოიტანეს, ვხადილობდით დიდ სასა-
დილო დარბაზში. სადღა იყო გაზაფხული, ოქ-
ტომბრის სადამო იდგა სინამდვილეში. დიდ სასა-
დილოში მოვყარეთ თავი. სადილი მზად იყო,
წვნიანი მოიტანეს, ხორცის ნახარში იყო მხო-
ლოდ, ვერაფრით დაგაინტერესებდათ. თუქშს
რაიმე გამოსახულება რომ შექონდა, მშვენივრად
გაარჩევდი ამ გამჭვირვალე სითხეში, მაგრამ
სადა და უბრალო იყო, შემდეგ ძროხის ხორცი
შემოიტანეს მუხუდოთი და კარტოფილით. ეს
ოჯახური წმინდა სამება რას არ გაგახსენებთ:
აი, ჭუჭყიან ბაზარში ირევა საქონლის ჯოგი, ჩა-
ხვეული კომბოსტო კიდევ შეყვითლებულა
ერთნი ევაქრებიან და მეორენი ფასს უკლებენ,
ქალები ბადურით გამოსულან ორშაბათდილის
ბაზარზე. რა აწუწუნებს ადამიანს, დღიური ხარ-
ჩო არ აკლია, სანოვავე უხვად ყრია, შეშაბ-
ტებზე აღბათ უფრო მცირედიოთაც კმაყოფილ-
დებიან. ქლიავი და მდოგვი მოაყოლებს, კაცი
დაიჩივლებს, რომ ქლიავი, თუნდაც მდოგვთან
შეზედილი, უგემური ბოსტნეულია (ხილი ნამ-
დვილად არაა) მევახშის გულივით ბლანტი, ისეთ
წვენს უშვებს, ამგვარი სითხე მხოლოდ
მევახშის ძარღვებში შეიძლება დიოდეს, ორ-
მოცეა წელი რომ უარს ამბობდა ღვინოსა და

სითბოზე, მაგრამ არც ღარიბისათვის გაუწვდია
ხელი, — დაიჩივლებს, მაგრამ ისიც კი იფიქრებს,
ამ ქლიავსაც მოეძებნებაო დამფახებელი. შემ-
დეგ გაღვტი და ყველი მოიტანეს, ერთი სურა
წყალიც ჩამოატარეს, რადგან გაღვტი ყოველ-
თვის მშრალია, ესენი ხანამ^{ის} ბოსტან-^{ად} გაწეწებულა.
სულ ეს იყო. სადილი და^{ამა} კვამლები ვრა-
ჭუნით დასწიეს უკან; ატყდა ქარის ქახა-ჭუხი:
მალე დარბაზი ისე დაცარიელდა, ვეღარც შეატ-
ყობდით, თუ აქ რაიმე საჭმელი იყო ცოტა ხნის
წინ, ეტყობა მეორე დღის საუზმისათ-
ვის ამზადებდნენ დარბაზს, კორიდორ
სა და კიბეებზე დიდი მოძრაობა იყო.
ინგლისელი ახალგაზრდები მოდიოდნენ ხმა-
ურით და ხიმღერით. აბა, შე, სტუმარს, უცხო
ადამიანს (ფერწემში იმაზე მეტის უფლება არ
შქონდა, რისიც სხვა კოლეჯებში, იქნებოდა ეს
ტრინიტი, სამერვილი, გერთონი, ნიუნბემი თუ
ქრაისტჩერჩი) ხომ არ შეთქმოდა „სადალი არ
ვარგოდა“, ან ხომ ვერ ვეტყვოდი (ახლა მე და
მეარი სიტონი სასტუმრო ოთახში ვისხედით)
„აქ ვერ ვისადილებდით, განმარტოებით?“ ახე
რომ შეთქვა. ეს ნიშნავდა, რომ მე ცხვირს ვყოფ-
დი და ვიქვეებოდი უცხო ოჯახის ეკონომიკის სა-
იღუმლოებაში, ეს ოჯახი კი სხვათა თვალში მზი-
არულად და მხნელ გამოიყურებოდა, არა, ამის
თქმა არ ეგებოდა. თავიდან მართლაც ვერ ავაწ-
ყეთ საუბარი. ადამიანი გარსია, რომელშიც ერ-
თადაა მოქცეული გული, სხეული, ტვინი და
ისინი არ არიან ცალ-ცალკე გამოყოფილი, რო-
გორც, დაწმუნებული ვარ, იქნებიან მილიონი
წლის შემდეგ, ამიტომ კარგი სადილი ფრიად
მნიშვნელოვანია კარგი საუბრისათვის. ვერც წე-
სიერად იაზროვნებ, ვერც სიყვარულს მიეცემი,
ვერც დაიძინებ, ერთი კარგად თუ არ ისადიდებ.
შენი ზურგის ტვინის ნათურა წესიერად ვერ
გაგინათებს, მხოლოდ ძროხის ხორცსა და ქლი-
ავზე თუ ხარ. ადვილი შეხადლებულია, ჩვენ
ყველანი წავიდეთ ზეცაში და ვანდეიკიც, დიდი
იმედი მაქვს, სადღაც იქვე მოხახვევში დაგვ-
ხვდება — მთელი დღის მუშაობის შემდეგ
რომ ძროხის ხორცზე და ქლიავზე იქნები, ცხა-
დია, გონებაში მხოლოდ ამგვარი ბუნდოვანი და
აბდაუბდა აზრები გაგინდება. საბედნიეროდ
ჩემს მეგობარს, რომელიც საბუნებისმეტყვე-
ლო საგნებს ასწავლიდა, შექონდა კარადა, რომ
მელშიც ერთი მუცელგამობერილი ბოთლი და
პატარა ქიქები ინახებოდა (თავიდან სვიით და
ბოხბებით მაინც უნდა დაგვეწყო) — ახე რომ.
შეგვეძლო, ცეცხლთან ახლოს მივწეული-
ყავით და იმ დღეს რაც დაგვაკლდა, შეგვევსო.
ერთ-ორ წუთში საუბარი გავჩაღეთ, რადგან
ადამიანს რომ ვეღარ შეზღვდები ერთხანს, ათასი
რამე გინდა გაიგო მასზე, გაინტერესებს მისი

გამორჩეოდა: მოხუც ქალს პლედო მოუხურავს და დიდი ჯამეოთი შეუკრავს. მოწულს ხავარძელში წიხ და ძაღლს აქვებს, კამერას შეხედოს — ეტყობა, ამით ერთობა, თან დაძახულია, მაგრამ ხჭერა, როგორც კი კამერის ნათურა ანთება, ძაღლიც გაიხედავს, რა იქნებოდა, საქმისთვის მოეკიდა ხელი, ხელოვნური აბრეშუმის მწარმოებელი გამხდარიყო, ან ფულის ბირჟის მაგნატი, ასე ორახი ან სამახი ათასი გირვანქა ხტორღინგი რომ დაეტოვებინა ფერწემისთვის, ამ ხაღამოს ვისხდებოდით ჩვენთვის და ვისაფრებდით არქეოლოგიაზე, ბოტანიკაზე, ანთროპოლოგიაზე, ფიზიკაზე, ატომის რაობაზე, მათემატიკაზე, ასტრონომიაზე, ფარდობითობაზე, გეოგრაფიაზე. მისის სიტონი, დედამისი და დედამისის დედა რომ დაუფლებოდნენ ფულის შოვნის დიდ ხელოვნებას და დაეტოვებინათ ფული როგორც მანამდე მათმა მამებმა და ბაბუებმა, რომ ქალთა სქენის წარმომადგენელთათვის დაეწესებინათ ფონდი: ქალი-პედაგოგებისთვის, ქალი-ექსპორტორებისთვის, ქალი-სტუდენტებისთვის, ჯილდოებისთვის და სტიპენდიებისთვის, ჩვენ ახლა საკმაოდ კარგად ვისადილებდით აქ, განმარტოებით, ხობბებიც ვვებნებოდა და ერთი ბოთლი ღვინოც, შეგვეძლებოდა, გვეცხოვრა ნაღდი იმედით, რომ ვამეცხოვროდა სასიამოვნო და ღირსეული ცხოვრება იმ ბიბლიოთეკის ჰერქვეშ, საშუალოდ რომ იყო უზრუნველყოფილი შემკვიდრეობით მიღებული განძით. ხელს მოვკიდებდით კვლევით მუშაობას ან მწერლობას, მოვიწახულებდით, რაც დედამიწის ზურგზე წმინდა ადგილია, პართენონის საფეხურებზე ჩამომსხდარი ვჭვრეტდით ვარდმოს, ან ათი საათიდან სამსახურს მივაშურებდით, ხუთის ნახევარზე კი მშვიდად დავბრუნდებოდით სახლში, რომ ერთი-ორი ლექსი დაგვეწერა. მაგრამ მისის სიტონი და მისთანები საქმეში რომ ჩაბმულიყვნენ თხუთმეტი წლიდან, მაშინ — ხელისშემშლელიც სწორედ ესაა — აღარც მეარი იქნებოდა; მეარის ვკითხე, რა აზრის იყო, ფარდებს მიღმა ოქტომბრის ღამე იდგა, წყნარი და სასიამოვნო. შეყვითლებულ ფოთლებში თითო-ორი ვარსკვლავი ბჟუტავდა. ნეტავ, მეარი მზად თუ იყო, უარი ეთქვა თავის წილზე და დაეფიწყებინა (ამბობენ, დიდი მაგრამ ბედნიერი ოქანის მქონდათ) თამაში და ბუტიაობა შოტლანდიაში — რომლის ქებაც მას არასოდეს მობეზრდება, რადგან ჩინებული მაერია და შესანიშნავი ნამცხვრები იცოიან, — რომ კალმის ერთი მოსმით ფერწემს რგებოდა, ასე ორმოცდაათი ათასი გირვანქა ხტორღინგის შემკვიდრეობა.

კოლეჯისათვის შემკვიდრეობის დატოვება იმას გამოიწვევდა, რომ საერთოდ უარი ეთქვათ

ოქანზე. საქმეშიც ბედი იცადა და ცამეტი შეილიც გაეზარდა. ამას ვერც ერთი ადამიანი ვერ შეძლებდა. ფაქტებს დავუვირდეთ, ვთქვით ჩვენ. ჰერცბერგის თვე გათის, ვიდრე ბავშვი დაიბადება, შეშდევ განხტობა ბავშვი, ბავშვს წამოწადი, ხუთი წელიწადი უნდა ეთამაშო. ხომ არ გაუშვებ, რომ ქურაში ირბინოს. ვინც რუსეთში იხილა, უპატრონო ბავშვები როგორ დაუბეტებიათ ქურაში, ამბობენ, სასიამოვნო დასანახი არააო. კიდევ ამბობენ, ადამიანის ბუნება ყალიბდება ერთიდან ხუთ წლამდეო. მისის სიტონს რომ ფულის შოვნა დაეწყო, ვუთხარი მე, ხაიდან გემანხოვრება თამაში და ბუტიაობა? რა გეცოდინებოდა შოტლანდიაზე, მის ჩინებულ მაერსა და ნამცხვრებზე და ათას სხვა რამეზე? მაშის კითხვა ახლა უაზრობაა, რადგან თვითონაც არ მოვეფიანებოდა ამ ქვეყანას. უფრო მეტიც, ასევე უაზრობაა იმის კითხვა, რა იქნებოდა, მისის სიტონს, დედამისს და დედამისის დედას რომ დიდი ქონება დაეგროვებინათ და კოლეჯისა და ბიბლიოთეკის დაარსებისთვის მოეხმარათ, რადგან, ჰერცბერგის ვერასგზით ვერ შეძლებდნენ ფულის შოვნას, და მეორეც, რომ შეძლებოდათ კიდევ, ნაშოვნი ფული მათი საკუთრება მაინც არ იყო კანონის ძალით. ბოლო ორმოცდარვა წელია, რაც მისის სიტონმა შეძლო ორიოდ პენი დაეგროვებინა საკუთრად. მანამდე საუკუნეები გადიოდა და ქალის მონაგები ქმრის საკუთრება იყო, ამ მიზეზით მისის სიტონი და მისი წინაპარი ქალები აღბათ შორს იდგნენ ბირჟიდან, რახაც ვიშოვი, იტყოდნენ იხინი, ჩემი ქმარი ჩამომართმევს და თავის ქეუაზე დაბარჯავს — ან სტიპენდიას დაანიშნინებს, ან აღმწრდელის ფოსლს შემკვიდრეობით დაუტოვებს რომელიმე კოლეჯს, იქნება ეს ბუილიოლი თუ კინგზი; ფულის შოგება, რომ შემეძლოს კიდევ, ხულაც არ მაინტერესებს. დე, ჩემმა ქმარმა თვითონ მოიღოს ფული.

ასე იყო თუ ისე, იმ ხნეერ ქალბატონს, ხანაიელს რომ უმწერდა, ბრალი მიუძლოდა თუ არა, უდავოა, ჩვენი დედები, ამა თუ იმ მიზეზით, სამწუხაროდ, კარგად ვერ გაუძღვენ საქნეს. „ფუფუნებისთვის“ ერთი პენიც კი არ ვაგუანდა — ხობბებისთვის და ღვინისთვის, შედამხედველები და დოლისთვის, წიგნებისა და სიგარისათვის, ბიბლიოთეკებისა და დროსტალებისთვის, მათ მხოლოდ ის შეძლეს, რომ მიშველი მიწიდან მიშველი კედლები აღმართეს.

ვიდექით ფანჯარასთან, ვსაუბრობდით და როგორც ყოველდამ ათახობით ადამიანი, გადავეუბრებდით ამ ცნობილი ქალაქის გუმბათებსა და კოშკებს, ჩვენ ქვემოთ რომ ვადაშ-

დილიყო, შემოდგომის მთვარის შუქზე ძალიან ღამაში ჩანდა, იდუმალებას მოეცვა. ძველი ქვეები თეთრად გამოკრთოდა, მოკრძალებას გაგრძნობინებდათ. რამდენი წიგნისთვის მოუყრიათ თავი, რამდენი ხნიერი აბატის სურათი ბეილია და კიდევ რა სიმდიდრეა ხით. მოპირკეთებულ ოთახებში; როგორი ვიტრაჟები ამწვევებს მათ ფანჯრებს, უცნაურ წრეებსა და რკალებს რომ ქმნიან ქვაფენილზე. რა შადრევნები და მოლია ირგვლივ და რა მყუდრო ოთახები გადაჰყურებენ მყუდრო შიდა ეზოებს და კიდევ (მეპატრონს ამაზე ფიქრი) ვფიქრობდი, რა სასიამოვნოა სიგარის ბოლი და სასმელი, ღრმა სავარძლები და ღამაში ხალიჩები და კიდევ, ზრდილობა, სიკეთე და ღირსება, რაც სიმდიდრის, მყუდროებისა და მოცალეობისგანაა. ცხადია, ჩვენს დედებს აშგვარი არაფერი დაუტოვებიათ ჩვენთვის — ჩვენს დედებს ოცდაათი ათასი გირვანქა სტერდინგისთვის რის ვაივაგლანით მოუყრიათ თავი და წმ. ენდრიუს ეკლესიის მხახურ მღვდელთათვის გაუჩენიათ ცამეტე შვილი. ვბრუნდებოდი ჩემს სასტუმროში, ჩაბნელებულ ქუჩებში მივდიოდი, ხან ეს ვიფიქრე და ხან ის, როგორც მთელი დღის ნაშუშევარმა კაცმა იცის ხოლმე. ხან იმას ვფიქრობდი, მისის სიტონმა რატომ ვერ დაგვიტოვა ერთი კაპიკიც; ხან კი იმას, როგორ მოქმედებს სიღარიბე გონებაზე;

ახლა უცნაური მოხუცი ჯენტლმენი გამახსენდა, იმ დილით რომ ვნახე — მხრებზე ბეწვმოვლებული; გამახსენდა, ერთი რომ ვინმეს დაესტვინა, როგორ გაიქცეოდა ვიღაც; და ვფიქრობდი, როგორ გუგუნებდა „ქრისტე“ ეკლესიაში და ბიბლიოთეკის კარზე „რუსი“ დეტალი იყო; ვფიქრობდი, რა უხიამოვნოა, როცა ვერ შედიხარ: იმასაც ვფიქრობდი, ალბათ წარესია, თუ ვერ გამოდიხარ-მეთქი, ვფიქრობდი, ერთ სქესს თავი ქუდში აქვს და უზრუნველყოფილია, მეორე კი ღარიბია და განსაცდელშია, და რა მნიშვნელობა აქვს ტრადიციას; რომ ვერ ვითარდება მწერლის გონებრივი დონე, თუ ტრადიცია არ გააჩნია, ბოლოს ის ვიფიქრე, დრო იყო, ამ დღის დაქმუქნილი ტყავი ამეკრიფა, არგუმენტებითა და შთაბეჭდილებებით, სიბრაზეთა და სიცილით, და ღობის იქით მომესროლა. ცის კაბადონზე ათასობით ვარსკვლავი კაშკაშებდა. თითქოს მარტო დავრჩი იდუმალი საზოგადოების პირისპირ. ყველა სულიერს ეძინა — გაშხლართულიყვნენ, პორიზონტალური მღგომარეობა მიეღოთ და დუმდნენ. არავინ არღვევდა სიჩუმეს ოქსბრიჯის ქუჩებში. სასტუმროს კარიც თითქოს უჩინარი ხელის შეხებით გაიღო — არავინ წამომდგარა, რომ ჩემს ოთახამდე გზა გაენათებინა.

უკვე გვიანი იყო.





საინჟინერო ნაშრომი კონსტრუქციული თარგმანის შესახებ

თარგმანის თეორიაში უთუ-
ოდ მნიშვნელოვან წვლილს
შეიტანს ცნობილი თანამედროვე გერმანელი
ლირიკოსის — რაინერ კირშის არცთუ იხე დი-
დი ხნის წინ გამოქვეყნებული წიგნი „ხიტყვა
და მისი ელვარება. პოეზიისა და თარგმანის შე-
ხახებ“.

მცირე მოცულობის წინასიტყვისა და რვა თავისაგან შემდგარი გამოკვლევა საყურადღებო მოსაზრებებს გვთავაზობს საერთოდ თარგმანის, ხახელდობრ, პოეტური ნაწარმოების, უფრო კი ლექსის თარგმნადობის შესახებ, რაც უეჭველად ყურადღებები და გახათვალისწინებელია როგორც მთარგმნელთათვის, ახევე ლიტერატურის მკვლევარებისთვისაც, მით უმეტეს, რომ წიგნის ავტორია გღრ-ის თვალსაჩინო პოეტი, ღრამატურგი, მთარგმნელი, რომელიც ამ წიგნით მხატვრული თარგმანის საყურადღებო თეორეტიკოსადაც გვევლინება.

წინასიტყვაში რ. კირში აღწიშნავს, რომ ლექსი ფანჯარაა, რომლიდანაც ჩვენს „მე“-ში არეკლილი სამყარო მოჩანს. ლექსი, კირშის აზრით, ხულის სარკეა. ამ სარკეში აირეკლება ჩვენი „მე“, რომელიც უხილავია და მახ ხილვადს სამყაროს ხერიოზულ თამაშად ფერისცვალება ხდის. სამყაროს სწორედ ეს ფერისცვალებებია ხედოვანისეული ხილვებისა და ინტონაციების ნიშნები, რომლებიც „მე“-ს შეგვაცნობინებენ „მე“-ს შეცნობა დიდ პოეზიაში წარმოადგენს სამყაროს ცენტრს და ადამიანური თვითსრულქმნის თავისებურ ნიშნებს, რასაც ლექსში ყოველთვის რაღაცნაირი ბუნდოვანებაც ახლავს თან. ლექსები ენისმიერი ხაგნებია. ენაში კი აისახება არა მხოლოდ სამყარო, არამედ სამყაროსთან ადამიანის დამოკიდებულებაც. აგრეთვე მისი თავისუფლებისათვის ბრძოლის გამომხატველი პათოსიც. პოეზია სამყაროს ენის მეშვეობით გარდასახავს. იგი სიტყვებს ლექსის რიტმული ორგანიზაციის საშუალებით ტვირთავს. ეს სიტყვები ლექსში უფრო მეტი მნიშვნელობი-

სანი არიან, ვიდრე მათ სინამდვილეში აქვთ. ლექსში აისახება „მე“-ს აფექტები, მისწრაფებები, სურვილები, ემოციები.

რ. კირშის კონცეფცია პოეტური თარგმანის შესახებ ჩამოყალიბდა ინგლისელი ლიტერატურათმცოდნის — ქრისტოფერ კოდველის ესეზ „ილუზია და სინამდვილის“ (1937) თვალსაზრისთა საფუძველზე. ამ შრომის გერმანული თარგმანი 1988 წელს გამოქვეყნდა. რ. კირში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პოეზიის ქრისტოფერ კოდველისეულ დახასიათებას. პოეზიას, კოდველის აზრით, შვიდი ნიშანი აქვს: 1. რიტმულობა. 2. ძნელსათარგმნობა. 3. ირრაციონალურობა. 4. სიტყვებისაგან შემდგარობა. 5. არასიმბოლურობა. 6. კონკრეტულობა 7. კონცენტრირებული აფექტებით დატვირთულობა.

პირველ ორ თვისებას — რიტმულობას და ძნელსათარგმნობას კოდველი ახე განმარტავს: „თუ თარგმანი კარგი პოეზიის ნიმუშია, ეს იშას ნიშნავს, რომ იგი შემოქმედების ახალი წარმონაქმნია. ახალშექმნილი პოეტური ემოცია კი მხოლოდ იშვიათად თუ პოულობს შესაფასებას ორიგინალთან“.

ეს თეზისი თითქმის იშას ნიშნავს, რომ პოეზია ძნელად სათარგმნელი კი არა, არამედ ხეროთოდ უთარგმნელი ფენომენია.

ლექსის თარგმნა ფრიალ ხაძნელო და საფრთხილო ლიტერატურული შრომაა. მახზე ან საერთოდ უნდა თქვა უარი ანდა, თუ თარგმნი, შეხაძლოა პოეზიის საცოდავი სუროგატი გამოვივიდეს. ახე ემართებათ მთარგმნელებს, რომელთაც არა აქვთ ფული, ხინდისი ან ღრმა გაგება. ახეთი თარგმანის ნიმუშად კირში მიიჩნევა პუშკინის ლუდვიგ ტიკიხეულ თარგმანს. ტაკი ნაქლებმნიშვნელოვან პოეტად ითვლება და, პუნებრივია, ლექსის თარგმანში წარუშატებლობას განიცდიდა. არის ისეთი შემთხვევაც, როცა მთარგმნელი ორიგინალს საბაბად გაიხდის საკუთარი ნაწარმოების შესაქმნელად. ახეთ თარგ-

მანს ხშირად თავისუფალ თარგმანს (freie Nachdichtung) უწოდებენ. თავისუფალი თარგმანის ნათელ ილუსტრაციად რ. კირში მიიჩნევენ გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლურ დივანს“ და ფრანსუა ვიონის პაულ ცენსეულ თარგმანს. რ. კირში ერთობ ცდებდა, როცა გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლურ დივანს“ თავისუფალი თარგმანის ნიმუშად თვლის. აღმოსავლური პოეზიის ქმნილებათა შემოქმედების წყაროდ და იმპულსად განდობა და გარკვეულწილად ზეგავლენაც ხუდაც არ ნიშნავს, რომ „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“ — გოეთეს სწორუპოვარი „ფაუსტის“ ტოლფასი შედეგია — ორიგინალური ნაწარმოები არ იყოს და ნათარგმნად ითვლებოდეს. ეს აზრი აშკარა შეცდომაა და მისი გაზიარება არასგზით არ შეიძლება.

კოდველი ლექსის მთარგმნელის შრომას სიწიფეს შრომას აღარებს. ორიგინალის ადრეკატური, ხრულფახოვანი თარგმანის შექმნა, მისი აზრით, მხოლოდ თეორიულად თუა შესაძლებელი. ლექსის აღწერა თვით ორიგინალის ენაზეც კი შეუძლებელია. სხვა სიტყვებით ვადმოცემა ლექსს სიცოცხლეს ართმევს. მაგრამ ანალიზი კი, ე. წ. კომენტარი უთუოდ სასურველია ლექსის სწორად შესამეცნებლად. ანალიზი აშკარად განესხვავება აღწერილობას. იგი უეჭველად აუცილებელი და ხაჭირო მამენტია პოეზიის კომპარატი არსის შესაცნობად. ანალიზი ლექსს ნათელს ფენს, განმარტავს, ააშკარავებს მის ზოგიერთ კანონზომიერ ბუნდოვანებას. ზღაპრები, სამეცნიერო გამოკვლევები და რომანები თარგმნისას ნაკლებ კარგავენ ხუბსტანციას, ამ მათი შინაარსის ვადმოცემა გონივრულად ხდება. ეს ფანტები უფრო იტანენ თარგმნას, ვიდრე ლექსი.

პოეზიის ირაციონალურობა კირშის განმარტებით ნიშნავს იმას, რომ ლექსში გამოყენებული წინადადებები ხაკმარისი არ არის მეცნიერული სიმართლის კრიტერიუმებისათვის. თუმც ამაზე ლექსი არც აცხადებს პრეტენზიას. პოეზიის მეოთხე ნიშანი — სიტყვებისაგან შემდგარობა კი იმას მიუთითებს, რომ იგი მკვეთრად უპირისპირდება ჩვეულებრივ მეტყველებას და პროზას, რომელიც სიტყვებისაგან კარა, წინადადებებისაგან შედგება.

შემდეგი ნიშანი — არასიმბოლურობა ნიშნავს იმას, რომ პოეტური ნაწარმოების შემადგენელი სიტყვები მათემატიკური სიმბოლოების აღმნიშვნელი ნიშნები არ არიან, მათ „ინდივიდუალური“ ღირებულება არა აქვთ და ამიტომაც მთლიანად უთარგმნადი არიან. კონკრეტულობა კი ნიშნავს იმას, რომ პოეტური გამოწვევაში „ჩემი ხატრფო წითელი ვარდის მსგავ-

სია“ ანდა „ჩემი ხატრფო თეთრი შროშანივითა“ არავითარ განზოგადებას არ შეიცავს, მაგრამ იმავდროულად არც განზოგადებას გამორიცხავს ხავსებით. პოეზიის კოდველისეული ბოლო, მეშვიდე ნიშანი — კონცენტრირებული აფექტებით დატვირთულობა — გულისხმობს არა ცალკეულ, არამედ ერთობლივ აფექტებს.

თვითონ კოდველი ფიქრობს, რომ პოეზიის ნიშანი — სიტყვებისაგან შემდგარობა გამომდინარეობს მისი მეორე ნიშნისაგან — პოეზიის უთარგმნადობისაგან.

პოეზიის მესამე, მესუთე და მეექვსე ნიშნებიც — ირაციონალურობა, არასიმბოლურობა და კონკრეტულობა — იმავე პრობლემის გარშემო ტრიალებენ. ხოლო პოეზიის დანარჩენი ორი ნიშანი — რიტმულობა და კონცენტრირებული აფექტებით დატვირთულობა გარკვეულწილად ერთმანეთს უკავშირდებიან. კოდველის კონცეფციაზე დაყრდნობით რ. კირში პოეზიის ასეთ ფორმულირებას გვთავაზობს: პოეზია ვადმოსცემს კონცენტრირებულ აფექტებს, იგი რიტმულია, შედგება სიტყვებისაგან, მასხადამე, ირაციონალურია: კონკრეტული და არასიმბოლური, ე. ი. უთარგმნადი.

ი. ტინიანოვის აზრითაც, ლექსში რიტმი გაბატონებული კონსტრუქციული ფაქტორია. რ. კირში ხხენებულ წიგნში უპირისპირდება კოდველის თვალსაზრისს პოეზიის უთარგმნადობისა და სიტყვებისაგან შემდგარობის შესახებ.

პოეზიის თარგმნადობას, კირშის მიხედვით, ხუდაც არ აღახტურებს ის ფაქტი, რომ ლექსი საუკუნეების მანძილზე ითარგმნებოდა. თარგმანი საზოგადოების მოთხოვნილებაა. იგი კომუნიკაციების განვითარებამ გამოიწვია. 1847 წელს მარქსი და ენგელსი წერდნენ, ახალი, ბურჟუაზიული ეპოქის პირობებში ნაციონალური განკერძოებულობა ხულ უფრო და უფრო ძნელდება და ცალკეული ნაციონალური და ლოკალური ლიტერატურებისაგან იქმნება მსოფლიო ლიტერატურა. თარგმანი, უწინარეს ყოვლისა, იზოლაციისა და პროვინციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებაა, თუმცა გერმანული ლიტერატურა ოღითგანვე მიხდევდა თარგმნას (ქერ კიდევ ლუთერამდე — ვოლფრამ ფონ ეშენბახელი, ჰაინრიხ ფონ ფელდერე, მარტინ ფონ აუფ თარგმნიდნენ ფრანგულ და ლათინურ ნიმუშებს), მაგრამ ძირითადად მხატვრული თარგმანის განვითარება ბურჟუაზიის კლასის წარმომოხებას უკავშირდება. იდროლოგიურად იგი ემანსიპირებულ ინდივიდუუმს, ხოლო ეკონომიურად ხაქონლის ცნებას შეესატყვისება. თანდათანობით შესაძლებელი გახდა განვითარებულ ქვეყნებში კვალიფიცირებულ მთარგმნელთა რაზ-

მის ცირკულაცია, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურას მხოლოდ ლიტერატურად წარმოაჩენს.

მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ ლექსად დაწერილი ეპიკური და დრამატული ნაწარმოებებიც თარგმნაღია, მხოლოდ გასარკვევი ის არის — რა ტიპის, რა დონის ნაწარმოებთან გვაქვს საქმე. ლიტერატურის ენა რები ცალმხრივად, ერთმანეთისაგან იზოლირებულად როდი არსებობენ. რომანი და პიესა პოეტურ ელემენტსაც შეიცავენ, ისევე როგორც ლექსი — თხრობითს. ნაწარმოების ძნელსათარგმნელობა თუ სიადვილე დამოკიდებულია ორიგინალის „ტიპზე“. რომანი, რომელიც გარეგნულ, ზედაპირულ მოვლენებს უბრალოდ, გამართულად, შეუფერებლად, მწყობრად გადმოგვცემს, ადვილი სათარგმნია, ვიდრე ის რომანი, რომლის სტილი სიუჟეტის მნიშვნელოვან ფუნქციად აღიქმება. შექსპირის პიესები შეიცავენ მთელ პახაუებს, რომლებიც, უბრალოდ, პოეტური კი არ არის, არამედ თავადაა პოეზია, დრამატული ნაწარმოების ამ ნაწილებში მოქმედება თითქოს მდორედ მიმდინარეობს. შექსპირის დრამა „ქარიშხლის“ V მოქმედების I სურათში წარმოთქმული მარანდას სიტყვები „ო, მშვენიერო, ახლო ხამყაროვ“ გემის ეკიპაჟის ხილვისას არ შეიძლება ადვილვით სერიოზულად, რადგან სინამდვილეში იგი დგას არამზადებისა და პოტენციური მკვლელების პირისპირ. მოუფიქრებელი და გაუცნობიერებელი ქცევები ძლიერ მეტაფორას იღილიად აქცევენ და ეს ხასიათოვნო ეფექტს იწვევს. ასეთი ადგილების არაადეკვატური თარგმანი, დრამას არას ავნებს, რადგან იგი სხვა კანონს ემყარება, სახელდობრ, მოქმედ პირთა ურთიერთშეჯახების (Zusammenprallen der Figuren) კანონს. გმირის გზა ტრიუმფისაკენ ან დაღუპვისაკენ და ამის გამოხატველი მოქმედება ქმნის შესაბამისად ძლიერ და აღმატებულ კონსტრუქციულ ელემენტს. ლექსი კი საპირისპიროს საჭიროებს. იგი სივრცეს უკუაგდება. ი. ტინიანოვის მითითების თანახმად, ლექსი ზოგჯერ სიუჟეტს შეიცავს და ეპიკაში გადადის, რასაც თარგმნისათვის გარკვეული შედეგები მოაქვს. დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ ვერ წაიკითხებოდა, თუ მას ეპიკური ფაბულა და ვრცელი სიუჟეტი მოსცილდებოდა. თოთხმეტი ათასი ლექსის წაკითხვა სხვა შემთხვევაში უთუოდ გაჭირდებოდა და იგი როდი გამოიწვევდა იმ კონცენტრირებულ აფექტებს, რასაც ეს გენიალური ქმნილება აღძრავს. ერთის მხრივ, „ღვთაებრივი კომედია“ ზოგიერთი ნაწილი წმინდა პოეზიად იკითხება, ხოლო, მეორეს მხრივ, ამ პოემის არნო შმიდტიხეულ თარგმანში ვხვდებით უარყო-

ნებს, დიალექტებს, გერმანულ-ინგლისურ სახუმარო სიტყვებსა და ექსპრესიულ მეტაფორებს, რომლებიც უკიდურესად ძნელი სათარგმნია და არცთუ იშვიათად ენათესავებიან ტრივიალური ლიტერატურიდან ნასესხებ სუბიექტურ კლიშეებს.

რ. კირშის მიხედვით, თარგმნაღია და უნდა ითარგმნოს არა მხოლოდ რომანები და პიესები, არამედ ლექსებიც, თუმცა ლექსის თარგმნა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე რომანისა და პიესის. უკეთესია ლექსის ორიგინალში გაცნობა. საამისოდ აუცილებელია შესწავლილ იქნეს შედარებით უფრო გავრცელებული ენები: ჩინური, ინგლისური, რუსული, ესპანური, ფრანგული. მაგრამ ეს საქმეს ვერ შევლის, რადგან ეს იმას მოახწავებს, რომ პატარა ეროვნებების პოეზია ურთიერთობის გარეშე დარჩეს, პატარა ერები მხოლოდ საკუთარი ენით შეიზღუდონ და მხოლოდ ლიტერატურული სისტემიდან ამოვარდნენ; კირში ამ მოსაზრებას არ იზიარებს.

პოეზია კომუნიკაციის ყველაზე აქტიური საშუალებაა და მისი თარგმნა აუცილებელია. მისი აზრით, პოეზია მარტო სიტყვათა რიტმული ორგანიზაცია და ამღელვარებული აფექტების საზოგადოებრივი აქტივიზაცია კი არ არის, როგორც ამას კოდველი ფიქრობს, არამედ გარკვეული წესი თამაშის სიტუაციისა. თამაში გულისხმობს წესებს, მოხმენისა და მოლოდინის პოზას. ლექსში გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობა სიტყვასიტყვით არ შეიძლება გავიგოთ. წმინდა ინფორმაციის სიტუაციაში პოეტური გამონათქვამები გაუგებარია, რადგან აღრესათი ორიენტაციას იღებს არა პოეტურ კოდზე არამედ ჩვეულებრივ მეტყველებაზე. პოეზიას ისტორია არის ტრადიციებთან გარკვეული კავშირის დამყარება, რამდენადაც პოეზია საზოგადოებრივი და, მაშასადამე, ისტორიული პროდუქტია, ამავე დროს იგი არის ნაწილობრივ მისგან გაქცევის ცდაც. იური ტინიანოვი ამ მომენტს კანონიზაციისაგან გაქცევის, მისგან თავის არიდების ტენდენციას უწოდებს.

რ. კირში ფიქრობს, რომ კოდველის ფორმულა — პოეზიის სიტყვებისაგან შემდგარობა, არ შეიძლება საყოველთაო კრეშმარტებად მივიღოთ. ლექსში სიტყვა არც წმინდა ფლერალობაა (ასეთ შემთხვევაში პოეზია, როგორც იაკობსონი აღნიშნავს, გადაგვარებული მუსიკა იქნებოდა. და, ცხადია, უთარგმნადი), არც ლექსიკონი (რომელშიც რიგის მიხედვით განლაგებული ერთმანეთისაგან იზოლირებული სიტყვები სხვაბ არაფერს ნიშნავს, თუ არა სწორედ ამ განლაგებას). არამედ ენის ნიშანია, რომელიც რაღა-

ცას გვაუწყებს, გვატყობინებს. ენობრივი შეტყობინების, უწყების უმცირესი ერთიანობა წინადადებაა და არა სიტყვა. აწრით დატვირთული „ერთი სიტყვით გამოხატვა“ („Ein-Wort-Außerung“) ხუდაც არ გულისხმობს სიტყვას პირდაპირი გაგებით, ეს ან წინადადებაა (Komm!“ „მოდი“) ანდა კონტექსტებისა და სიტუაციების წინადადებებით შევსება („Heute“ „დღეს“, „ის მოდის დღეს!“ — „sie kommt heute“).

კოდველი თავის ფორმულას ლექსის სიტყვებისაგან შემდგარობის შეხანებ უპირსიპირებს იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით პოეზია „იდებინაგან“ შედგება. იგი ეკამათება მაღარმეს, როცა ამბობს, რომ ლექსი სიტყვებით იწერება და არ იდებებით.

რ. კირშის აწრით კი, ღირსსაცნობი ლექსები ძალიან ხშირად იდებებს შეიცავენ, იდებებში იგულისხმება სიტყვათა მნიშვნელობა და მათი სემანტიკა, სინტაქსის უგულვებელყოფა ლექსს არ ძალუძს.

იდებები ყოველთვის ადექვატურად გამოიხატება. სიტყვების ამა თუ იმ განლაგებით და, მაშახადამე, კიდევ ითარგმნება. რა თქმა უნდა, ფილოსოფია ხშირად ხმარობს ხოლმე კვაზი-პოეტურ მეთოდებს: იყენებს მეტაფორებს, რომლებსაც კატეგორიათა გამოსახვისას ამუშავებს (პეგელის Vermittlung) ანდა იყენებს კოლისემიას, მაგალითად, პეგელთან („aufheben“ იმავდროულად ნიშნავს „bewahren“-ს, „emporheben“-ს, ანდა „außer Kraft setzen“-ს,) გარდა ამისა, ბევრი ფილოსოფიური კატეგორია, როგორცაა Sein, Wesen, Erscheinung (ყოფნა, არსი, მოვლენა), პეტროგენულ ასოციაციებს იწვევს, იღუშალ მნიშვნელობას იძენს და ამდენად უკი პოეტური საბურველითაა მოცული. ეს კი ნაკლებ სიძნელეებს როდი ქმნის არა მხოლოდ თარგმნისათვის, უბრალოდ, გაგებისთვისაც კი.

რ. კირშის აწრით, პრობლემაა არა ის, რომ პოეზია წინადადებებისაგან შედგება და არა სიტყვებისაგან, როგორც ამას კოდველი ფიქრობს, არამედ ის, რომ ლექსში წინადადებები სხვაგვარ ფუნქციას იძენენ, ვიდრე ეს ჩვეულებრივ მეტყველებაში, მხატვრულ პროზასა და მეცნიერულ სტატიებში აქვთ.

რ. კირში ფიქრობს, რომ პოეზიას რაიმე განსაკუთრებული ენა კი არა აქვს, არამედ პოეტური ენა. რადგანაც ყველა ადამიანურ ენას აქვს სტრუქტურული ერთიანობის ძირითადი მარაგი და ყველა ბუნებრივ ენაზე არსებობს ლექსები, ამიტომ პოეზიის თარგმნაც შესაძლებელია.

ამ მოსაზრების პრაქტიკულად განსაზღვრვლად რ. კირშს მოჰყავს ფრანსუა ვიიონის ლექსი —

„ბალადა, რომელიც ვიიონმა დედის თხოვნით დაწერა, რათა მარიასათვის ელოცა“ — ორი გინალის ენაზე, მისი პწკარედული თარგმანი, შემდეგ კი ამ ლექსის გერმანულ ენაზე თარგმანის ოთხი ვარიანტი.

თავდაპირველად განვიხილოთ ვიიონის ლექსის გარეგნული სტრუქტურა, ე. წ. „ფორმა“. რ. კირშის მიხედვით, ფორმაში, ამ უხვად გაღღობილ მეტაფორულ გამოხატვაში ესთეტიკა გულისხმობს ჩვეულებრივ ხელოვნებისეულ საშუალება-წესთა (მეთოდთა) სტრუქტურულ მთლიანობას. ცხადია, რ. კირშისეული გაგებ: ფორმისა უცილობლად მისაღები შეიძლება არ იყოს. მაგრამ უთუოდ უურადსაღებია და დამაფიქრებელი. პოეტურ ნაწარმოებში ფორმა ეწის-მიერი მეთოდებით ყალიბდება. ენის სტრუქტურული, გარკვეულწილად იერარქიული წებით ჩამოყალიბებული ანსამბლი ლექსის ფორმა ხდება. საქმე ის არის, რომ ჩვენში ფორმა უმთავრესად რაღაც გაქვაგებულის, ცარიელის, დაცილილის ასოციაციას იწვევს, რაც შინაარსს საგრძნობლად ზღუდავს და უკანა პლანზე გადასწევს. პოეზიაში კანონიზებული მეთოდები თუ ფორმებია:

1. მეტრი — რაც მახვილიანი და უმახვილო, ზოგიერთ ენაში კი გრძელი და მოკლე მარცვალთა მონაცვლეობას წარმოადგენს.

2. რითმა — მახვილიანი მარცვლების ერთნაირი ედერადობა.

3. სტროფთა აგებულება — მეტრისა და რითმის სქემატური მიმდევრობა ჭგუფებად განლაგებულ სტროფებში (ხანებში).

ვიიონის ბალადის მეტრია ხუთმუხლიანი იამბი. თითოეული სტროფი შედგება ხუთი მეტრული ერთეულისაგან (სალექსო ტერმებისაგან), რომელშიც უმახვილო მარცვალს მახვილიანი მარცვალი მოსდევს. მეორე სალექსო ტერფს მოსდევს ცეზურა ანუ ამ ადგილზე ჩვენ კითხვისას პაუზას ვაკეთებთ.

ფრანგულ პოეზიაში გამოვეყოფთ ქალურ (უმახვილო მარცვალზე დამთავრებულ) და ვაჟურ (მახვილიან მარცვალზე დამთავრებულ) სტროფებს. ბალადას სამი სტროფი აქვს ათ სტრიქონზე, მერე მოდის შეიღბსტრიქონიანი აკორდპანიმენტი (აყოლება).

ბალადი ოცდანივიდმეტი სტრიქონისაგან შედგება და მხოლოდ ოთხი რითმული ედერადობა აქვს. ბოლო, დამამთავრებელი სტრიქონი სტროფებში და აკორდპანიმენტში ერთნაირია, მეორდება ოთხქერ, რითმა ზუსტია, თუმცა ოდნავ თუ დალატობს მაღალი პოეზიის მოთხოვნას.

პწკარედულ ვერსიაში ლექსი თარგმნილია სტრიქონ-სტრიქონ, თითქოსდა ჩვეულებრივი სამეტყველო ენით. პწკარედი ტექსტის პრო-

ზაულად გაგებინებას ახდენს. მისი მიზანია უაღრესი სემანტიკური სიზუსტე. განსაკუთრებულობები, ჩვეულებრივ, შენიშვნებში განიხილება. ეს განსაკუთრებულობებია: შერჩეულ სიტყვათა სტილისტური შეფარდება (ლექსიკა), სიტყვათა ურთიერთდამოკიდებულება (სინტაქსი), ლექსიკური და სინტაქსური მრავალმნიშვნელოვნებები, სიტყვათა არამთავარი მნიშვნელობები, ისტორიული, მითოლოგიური, ლიტერატურული მნიშვნებები.

კირში მიმოიხილავს ვიოინის შემოთხსენებული ბალადის გერმანული თარგმანის ოთხ ვარიანტს. მთარგმნელები არიან პაულ ცეხი, კარლ ამერი, მარტინ რემანე, რაინერ კირში.

ოთხივე თარგმანი შესრულებულია ახალშემოგერმანულ ენაზე, ორიგინალი კი XV საუკუნის შუა წლებში შეიქმნა და დღესაც ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს ფრანგ მკითხველზე. მთარგმნელებს ბალადა შუაშემოგერმანულზე რომ ეთარგმნათ, დღეს ლექსიკონის გარეშე მისი წაკითხვა გაჭირდებოდა. ვიოინის ლექსი ლუთერისდროინდელ გერმანულზე რომ თარგმნილიყო, ეს უკვე თარგმანის სინქრონული პრინციპი იქნებოდა. რ. კირში შემოაქვს კულტურული სინქრონიზმის ცნება. კულტურული სინქრონიზება უთუოდ დიდ შედეგებს იძლევა. უამისოდ არ იარსებებდა შექსპირის პიესათა დროული პროტოკოლირების აღქმა გერმანულ სივრცეში. მისი თარგმანისთვის ხაჭირო ტექნიზირებული საშუალებები ორასი წლით გვიან შეიქმნა. ჩვენ მაინც ვერ ვპოულობთ პრაქტიკულ მეთოდს მსგავსი სინქრონულობის ხაჭირისად კონსტატირებისთვის, რადგან კულტურისა და მეურნეობის, მიმოსვლის, მეცნიერების, ხელოვნების სფეროები არათანაბრად ვითარდება. როცა მუსიკა ნაკლებადაა განვითარებული, პოეზია მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს, როგორც ამას ადგილი აქვს პუშკინის დროინდელ რუსეთში. ინკვიზიციის მძვინვარების ეპოქაში ფერწერა დიდ მწვერვალებს იპყრობს.

სინქრონულობის პრინციპი თარგმანში ფრთხილ ხაჭირო და აუცილებელი ელემენტია დღევანდელი მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის. მთარგმნელმა უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის პოეზიაში არსებული მეთოდები და მეთოდთა კომბინაციები, მათი რეპროდუცირება, არა მხოლოდ პოეტური ასახვის ტექნიკა, არამედ მისი „ტონიც“. მთარგმნელი მიმართავს არა ხაკუთარ ენაზე არსებულ პოეტურ წესთა ან სტილთა იმიტაციას, იგი ამოსავალ წერტილად იღებს ხაკუთარ ენას, ახდენს მის მიერ გავისებულ მეთოდების მოდიფიცირებას, რათა ორიგინალში გამოყენებულ პოეტურ საშუალებებს მიუახ-

ლოვდეს. იმიტაცია ხუთაც არ ნიშნავს პოეზიის ენაზე ნაწარმოების ამეტყველებას, იგი უბრალო მიბადვაა და არა ხელოვნება. მაინც პოეზიის იმიტაცია ყველა საშუალო პოეტს, ძალუძს. თუკი იგი საკმაოდ განსწავლული და ნაკითხია. ვისაც გოეთეს მოწიფულობისდროინდელი ლექსების იმიტაცია ხურს, არა მხოლოდ უნდა დაემორჩილოს გოეთეს ლექსის ტექნიკასა და ლექსიკას, რასაც სწავლა სჭირდება, არამედ მთლიანობაში უნდა შეისისხლბორცოს და შეითვისოს გოეთეს შეხედულებები სამყაროს შესახებ, მისი მსოფლშეგრძნება და მსოფლგაგება, ერთი სიტყვით, იგი გოეთე უნდა იყოს. ცნობილი სინოლოგის ერნსტ შვარცის ჩინურიდან თარგმანი ლექსები უფრო პწკარეღია, ვიდრე მხატვრული თარგმანი, მაგრამ ასეთი მაღალკვალიფიციურად შესრულებული პწკარეღი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხუსტი პოეტური თარგმანი, რომელიც უხვად მოიპოვება ლიტერატურაში. საილუსტრაციოდ რ. კირში მოჰყავს ჩინელი პოეტის — ჩანგ დშიანის დაახლოებით 1930 წელს დაწერილი ლექსის „პოშაუს მონასტერში“ პწკარეღული ვერსია, რომლის თითოეული სტრიქონი ხუთი მარცვალ-სიტყვისაგან შედგება. ეს პწკარეღი, რ. კირშის აზრით, პოეტურის თვალსაზრისით ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე თვით თარგმანი. ჩანგ დშიანის ლექსები პოეტური წყობით ევროპული ლექსების ანოციაციას იწვევს. თარგმანი ჩანგ დშიანის შემოთხსენები ლექსისა წარმოადგენს იმიტირებულ გაიბელს! უაღბოდ დამონტაჟებული კლიშეებით. რ. კირში მიაჩნია, რომ ჩინური პოეზიისათვის გაცილებით უფრო მეტი გაკეთდებოდა. თუ მკითხველს მივაწოდებდით ზუსტად კომენტირებულ პწკარეღული თარგმანების რჩეულს.

ვიოინის ახალშემოგერმანულ ენაზე თარგმანში ორი რამაა მნიშვნელოვანი. ჯერ ერთი, მთარგმნელი ელაპარაკება თანამედროვე მკითხველს და შუამავლობას უწევს მას ორიგინალთან, მეორე, მთარგმნელს, როგორც პოეტს, არ გააჩნია სხვა არჩევანი თანამედროვე პოეტური ენის გამოყენების გარდა. თანამედროვე პოეზია იყენებს თავის ქვეყანაში ხმარებულ პოეტურ მეთოდებს. რ. კირშის აზრით, მთარგმნელი უნდა ერიდოს იმიტაციას, იგი ხელოვნებისაგან შორსადგას. ორიგინალსა და თარგმანს შორის დაძაბულობის შესასუსტებლად ხაჭირთა განსაკუთრებული მეთოდების გამოყენება. ესაა ძველი სიტყვიერი ფორმების მოხმობა. ასეთ ფორმად

1 XIX საუკუნის ეპიგონურ-კლასიციკური სტილის მიმდევარი გერმანელი მწერალი.

გერმანულ თარგმანში ითვლება „gnädiglich“ (მეიქვხე ლექსი) და „ward“ (მეთოთხმეტე ლექსი), დამხმარე ზმნის გამოტოვება. Perfekt-ში (მე-16, მე-16, მე-17 ლექსები), ინვერსია (მე-15 ლექსი).

ყოველივე შემოთქმულიდან რ. კირში აყალიბებს ზოგად თეზას: თავისუფალი თარგმანო-ორიგინალის პოეტურ გაგებინებას იმნაირად ახდენს, რომ ხელახლა ქმნის მას. ეს იმას ნიშნავს, რომ თარგმანი შესაძლოა კარგი ახალი ლექსი დადგეს. ვოეთე „დახველურ-აღმოსავლური დივანის“ უკეთ გაგების მიზნით შენიშვნებში წერს: „ისეთნაირად განვიცდით დროსა და სივრცეს, რომ მას უმადლესსა და უკანასკნელს ვეძახით, სახელდობრ, ისეთს, როცა თარგმანი ორიგინალის იდენტური ხდება, იგი ორიგინალის ადგილზე შეიძლება გამოდგოდეს“.

თარგმანში დომინირებს ინსცენირების, მოჩვენების, სიმულირების მომენტი. უამისოდ იგი ორიგინალური ნაწარმოები იქნებოდა. თარგმანს როდი ვნებს ორიგინალის ასაკის, მისი ენის წარმოშობის ან სხვა თავისებურებების კვლევა, პირიქით, უფრო მდიდარსა და ზუსტს ხდის მას. რ. კირშის მიაჩნია, რომ თარგმანის ორიგინალთან ადეკვატურობის თვალსაზრისი ეწინააღმდეგება რეალიზმის პრინციპს, ხელოვნებისეული სიბერთლის კონცეპციას. მთარგმნელის შრომა, ისევე როგორც საერთოდ უველანაირი შრომა — გარდაქმნაა, რომელსაც სიმწყობრე და მოქნილობა ფარავს, რ. კირში ფიქრობს, ეს სიმწყობრე საყოველთაო იდეალი იყოს. ამ საკითხს ეძღვნება წიგნის VII და VIII თავები, სადაც კირში ხაიათნოვას ლექსისა და შექსპირის 66 ესონეტის გერმანულ თარგმანთა გაანალიზებას ახდენს. ვიდრე ამ თარგმანთა დიიტერატურულ ანალიზს შევუდგებოდეთ, კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენს მიერ შემოთგანხილულ ვიიონის თარგმანებს.

ეს თარგმანები იამბითაა დაწერილი და გართმულია. ცეხის თარგმანში მეტრი და სტროფული სქემა ერთმანეთს არ შეესატყვისება. ამერის თარგმანში კი ისინი ერთმანეთთან შიბლოვებულია, დანარჩენ ორ თარგმანში ზუსტად ორიგინალს შეესაბამება. ცეზურა მეორე შუბლის შემდეგ არსად სჩანს. გერმანულ ენაში მას არა აქვს პოეტური ინფორმაციის ღარებულება. გერმანულში ხუთმუხლიანი იამბი, უწინარეს ყოვლისა, წარმოიშვა ინგლისურიდან და იტალიურიდან. რითმის არსებობა რომ უველა განვითარებულ ენაშია შესაძლებელი, ამის მიზეზი სემანტურად არსებით ბგერათა (ფონემათა) განსაზღვრულ რაოდენობაში მდგომარეობს. ეს ფონემები ქმნიან სამეტყველო აპარატს.

საკმაოდ დიდი სიტყვიერი მარაგი კარგად და დამაჭერებლად იმორჩილებს რითმებისა და ფონემების კომბინაციებს. ძლიერად ფლექტირებულ ენებში ხშირად ფლექსიათა დაბოლოებები გამოყოფილია. ასეთი ენებია: იტალიური, ფრანგული, რუსული, ქართული. „წარმოებულ“ ენებში კი, როგორცაა ინგლისური ან გერმანული, სიტყვის ძირებია გამოყოფილი. გამოყოფილ ფლექსიათა დაბოლოებებს გერმანული ენა მხოლოდ უცხოური წარმოშობის სიტყვებში იცნობს.

ვიიონის ბალადაში რითმა მხატვრულად დასრულებულია და აღმატებული. აქ დედის ნაივური საუბარი რაღაცნაირად გაუცხოებულია. ეს მეთოდი, სხვა მეთოდებთან ერთად ქმნის ლექსის ძირითად პოზიციას, თუ ბალადა თეთრი ლექსით ითარგმნებოდა, ეს სერიოზულად დასაიანებდა პოეტურ აღქმას. რითმის ფუნქცია რომ რეპროდუცირდეს, საჭიროა რითმამ ყოველ სტროფში ახალი ფლერადობა მიიღოს.

ვიიონის ბალადის სტროფები მთლიანად შეიცავს 340 მარცვალს, ცეხის გერმანული თარგმანისა კი — 370 მარცვალს. პოეზის თარგმანსას ასეთი თანაფარდობა მარცვალთა რაოდენობისა ორიგინალთან მისაღებია (ბჭკარელი 361 მარცვალს შეიცავს). ლექსში კი ეს გაუხამსებას ნიშნავს, ორიგინალიდან ცეხის თარგმანში სხვა არაფერი რჩება, გარდა სიუჟეტის ფრაგმენტისა — მოხუცი ქალი, რომელიც მარიასათვის ლოცულობს. თუ ვიიონი ნათელია და უმეტაფოროდაც იოლას გადის, ცეხი შეუმოწმებელი მეტაფორებით დიდებულ გრძნობებს აღძრავს. დედის სიტყვებს ვიიონი არტისტულად აუცხოებს დალოცვის საშუალებით და თავისი მტკიცე და ჭიუტი ლექსის წაკითხვას გვაძლევს ცეხის მხატვრული „მეთოდები“ გრძნობებზეც შემოქმედებენ და გონებაზეც. ცეხის თარგმანში მლოცველი ქალი არც მიამიტია, არც საწყალი, არც უწიგნური. იგი არ არის კათოლიკე, არც ვიიონის დედა, ცეხის სწორუპოვარი ქმნილება თარგმანის ჩვეულებრივ საზღვრებს სცილდება. იგი სრულიად ახალ ნაწარმოებს ქმნის.

პოეზიის საშენი მასალა, მუსიკისაგან განსხვავებით, ენაა, მაგრამ არა განსაკუთრებული, არამედ სწორედ პრაქტიკულ ცხოვრებაში ხაყაროს შესაძლებლად საჭირო ენა. ერთი შეხედვით სამ-

ყაროს შეცნობის მომენტი, ქრონიკა, თუ გან-
მარტება, პოეზიის ხაჭმე არ უნდა იყოს, მაგრამ
მთავარი მაინც რიტმის ფუნქციაა ლექსში. სი-
ტყვათა წყობის რიტმიზირება აფექტთა მდგომარეობის
საყოველთაო ამადლებას უწყობს
ნელს. იგი ემოციებით ტვირთავს სემანტიურ ჯგუ-
ფებს. რიტმული ფაქტორი ლექსში უძლიერესი
მომენტია. რიტმის გარეშე პოეზია არსებობას
წყვეტს. რიტმი უურაღდების კონცენტრაციას
აწარმოებს წინადადებებზე, სინტაგმებსა და
ცალკეულ სიტყვებზე. იგი ერთ-ერთი ძირითადი
მეთოდია პოეზიაში. მეთოდი კი, რ. კირშის აზ-
რით, პოეტურ ინფორმაციას ემსახურება. სემან-
ტიური მასალების (ლექსიკა, სინტაქსი) შერჩევა
და მოწესრიგება-განლაგებაა მეთოდთა შემად-
გენელი ნაწილი. ლექსის მეთოდები თავისთა-
ვად კი არ ქმედებენ, არამედ იერარქიულად
მოწესრიგებულ ანხამბლს ქმნიან. მეთოდის ეს-
თეტიკური ინფორმაციის შინაარსი როდია მუდ-
მივი — ენასა და ლექსზე დამოკიდებული სი-
დიდე. თავისი ფუნქციით იგი პოეტური ინ-
ფორმაციის წარმოებას ემორჩილება.

პოეტურ ინფორმაციას ქმნიან:

- ა) სიტყვიერი მასალა (წინადადება) გამოდა-
ტული იდებებით, აზრებით, ჩანაფიქრებით.
- ბ) რიტმი, როგორც სიტყვიერი მასალის ძი-
რითადი მომწესრიგებელი.
- გ) გამაუცხოებელი მეთოდები: სიტყვათა
უღერადობა (ეუფონია), მეტაფორების ხმარება
ან არხმარება, ლექსიკისა და სინტაქსის სტი-
ლისტურ სიბრტყესთან მიმართებით სიტყვებო-
სა და სინტაგმების მრავალმნიშვნელოვნებათა
(პოლისემიის) გამოყენება, რაც რიტმზე შემოქ-
მედებს.

ლექსში, რ. კირშის აზრით, მასალა მეთოდი
ხდება, მეთოდი კი — მასალა. სინტაქსი ქმნის
რიტმს, რიტმი — სინტაქსსა და სემანტიკას.
რაც აგრეთვე რიტმული ფაქტორია. ეუფონია
(რიტმა, ალიტერაცია, ვოკალიზება, თანამოვან-
თა განაწილება) რიტმულად და, აუცილებლობას
შემთხვევაში, სემანტიკურადაც შემოქმედებს.
სემანტიკური მასალა ეუფონურია. აქ ზომიერე-
ბის დაცვაა მთავარი. სიქარბემ შეიძლება ხავსე-
ბით მოსპოს ინფორმაცია ანდა სულაც გამოიწ-
ვიოს იგი.

რ. კირშის აზრით, კოდეფი არ არის მართა-
ლი, როცა ამბობს, რომ ლექსის ერთ-ერთი მთა-
ვარი ნიშანი სიტყვებისაგან შემდგარობაა.
კირში გამოთქვამს აზრს, რომ ლექსი სიტყვი-
ბისაგან კი არა, წინადადებებისაგან შედგება
და ამიტომაცაა იგი თარგმანი და არა უთარგმ-
ნადი, ლექსში გამოყენებული წინადადებები,
კირშის აზრით, პრინციპულად როდი განესხვავე-
ბიან ჩვეულებრივ მეტყველებას. ლექსის წესე-
ბი, მეთოდები, რომლებიც ტექსტის პოეტურ
სულს ქმნიან, მყარი ღირებულებისანი არ არიან,
მათიერა პოეტური გაგებინება დამოკიდებუ-
ლია ნაციონალური ენის სტრუქტურაზე, ერის
პოეტურ ტრადიციასა და მეთოდთა წყობაზე.
მეთოდები პოეტურ გაგებინებას ემსახურებიან
და ფუნქციურად გამოიყენებიან.

რ. კირშის აზრით, მთარგმნელმა მხოლოდ
უნდა თარგმნოს და არ არის ხაჭირი ინტერ-
პრეტაცია მოახდინოს. ოღონდ თარგმნა ყველა
ენაზე ერთიდაიგივე გრამატიკული სტრუქტუ-
რით არ შეიძლება.

რ. კირშის აზრით, პოეზიის თარგმნა შესაძ-
ლებელი იშვიათად და არა ყოველთვის. წიგნის
მეშვიდე და მერვე თავებში რ. კირშს გვიჩვენებს,
ჩატომ არის პოეზიის თარგმნა შესაძლებ-
ელი იშვიათად, აგრეთვე იმასაც ამტკიცებს.
ჩატომ არ არის ლექსის თარგმნა ყოველთვის
შესაძლებელი. თავის აზრს რ. კირში დაასკვნის
საიათნოვასა და შექსპირის პოეტური ნაწარ-
მოებების გერმანული თარგმანების სხვადასხვა
ვარიანტების განალიზების მაგალითზე.

თარგმანში რ. კირში უდიდეს როლს ანიჭებს
ინტუიციას. თუმცა არც ლექსის შემადგენელი
ნაწილების ანალიზს, ფუნქციასა და ურთიერთ-
შეთანხმებას ტოვებს უყურადღებოდ. ანალიზი
უფრო მეცნიერების სფეროა, ვიდრე პოეზია,
მაგრამ, კირშის გაგებით, პოეზია მეცნიერულ-
საც უნდა შეიცავდეს.

ლექსის სხვადასხვა ხაზობა არსებობს და
თითოეული მათგანი თავისებურად ითარგმნება
თარგმანის ერთ-ერთ, მარტივ ტიპად რ. კირში
მიიჩნევს საიათნოვას ლექსის ო. ტორნეს მიერ
პედანტიურად შესრულებულ პწკარედს. ამ თა-
რგმანს რ. კირში უხეში თარგმანის ნიშნად
თვლის. ხაერთოდ რ. კირშის აზრით, არსებობს

უხერხული პეკარდული თარგმანის ორი ხანე, დაუდევარი თარგმანი, რომელიც უგულბელ-ყოფს ვარიანტებსა და შენიშვნებს; და პატივ-მოყვარეობის აღმძვრელი თარგმანი, როცა მთარგმნელის შრომა დამოუკიდებლად არსებული პოეტის შემოქმედებით შრომას ემსგავსება. ე. ი. როცა მთარგმნელი ჭეშმარიტ პოეტად გვე-ვლინება. რ. კირში არ მიიჩნევა ამას პოზიტიურ-საქმედ. მიხი აზრით, კარგი პეკარდული თარგ-მანის სანდემდვანელო მაქსიმად შეიძლება გა-ვიხადოთ ფაუსტის ხიტყვები: „იხე ზუსტად, როგორც ჭერ არს, და იხე უხეშად, როგორც ეს შესაძლოა“.

რ. კირში ცდილობს დაამტკიცოს, რატომ და როგორ არის შესაძლებელი ზოგჯერ პოეზიის თარგმნა. კირში მიიჩნია, რომ პოეზიის თარგმნა

ყოველთვის როდი შეიძლება. დააღვეტური პოეზია და პაროდია ბშირად უთარგმნადია. ამი-სთვის რაღაც დამატებუფუქუდუფუქუდუნაა სა-ჭირო, რასაც მთარგმნელი ვერც მსცხმებს. დღეს ლექსის უთვალავი მთარგმნელი არსებობს. კონვენიალური მთარგმნელი კი იშვიათობას წა-რმოადგენს. ასეთი მთარგმნელი ვირტუოზულად უნდა ფლობდეს ლექსის ტექნიკას, მას სამყა-როს შეცნობაც უნდა ძალუძდეს, არც ისტო-რიულობის გრძნობა უნდა აკლდეს. ამისათვის საჭიროა მხნეობაც ეყოს და ტექნიკური მოქნი-ლობაც.

რ. კირშის წიგნი „ხიტყვა და მიხი ელვარე-ბა“ პოეზიისა და თარგმანის შესახებ უდავოდ მნიშვნელოვანი შენაძენია გერმანიისტიკის, სა-ხელდობრ პოეტური თარგმანის თეორიისა.





პოლ ვალერის დრამატურგია და თეატრი თეატრში

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე და მოაზროვნე პოლ ვალერი მრავალმხრივი შემოქმედია, და მის შესახებ ბევრი დაიწერა როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ. პოლ ვალერის ნაწარმოებები გასცდა საფრანგეთის საზღვრებს, ისინი ითარგმნა რუსეთში, იტალიაში, აშშ-ში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, საქართველოში და სხვა ქვეყნებში.

ასეთი დაუცხრომელი ინტერესი პოლ ვალერის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი ბუნებრივია. უდიდესმა მოაზროვნემ თავისი სიტყვა თქვა არა მხოლოდ პოეზიაში; საოცრად ღრმა მისი შეხედულებები ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის, ისტორიის, ლინგვისტიკის პრობლემების შესახებ. ასევე საგულისხმოა მისი დაკვირვებები ფიზიკის, მათემატიკის, ფსიქოლოგიის, მხატვრობის, მუსიკის პრობლემებზე.

თავის მრავალმხრივ შემოქმედებაში ვალერიმ ადგილი თეატრსაც დაუთმო. პოლ ვალერის რვეულებიდან ჩანს, რომ იგი ბევრს ფიქრობდა დრამატულ ხელოვნებაზე, მის წარსულსა და მომავალზე, მაგრამ სასცენო ნაწარმოებები ცოტა დაუწერია. დაუმთავრებელი დარჩა „ჩემი ფაუსტი“, განუხორციელებელი დარჩა ბევრი ჩანაფიქრი.

ვალერიმ სცენისათვის დაწერა ორი მელოდრამა: „ამფიონი“ და „ხემირამიდა“ (მუსიკა არტურ ონეგერისა), ლიბრეტო „კანტატა ნარცისზე“ (მუსიკა ჟერმენ ტაიფერის) და „ჩემი ფაუსტი“. პროზაულ ნაწარმოებთაგან სასცენო მრავალმხიან ტექსტებად გადაკეთდა „ევპალინოსი“, „შთაგონება და ცეკვა“, „აკვირებული იდეა“ და „სადამო ბატონ ტესტან“.

1881 წელს, უკვე ცნობილი პოეტი — „ახალგაზრდა პარკას“ და „ზღვისპირა სასაფლაო“ ავტორი, მკურნალობის წინაშე წარსდგა როგორც დრამატურგი. დიდი იყო ფრანგი კრიტიკოსებისა და საზოგადოებრიობის გაკვირვება. ეს იყო ნამდვილი ხენსაცია. პოლ ვალერი

და თეატრის თანაც საოპერო ლიბრეტოს ავტორი...

ვინც ამ შემოქმედის მოღვაწეობის გზას იცნობს, იცნობს მის უდიდესსა და უოველდღიურ შრომისმოყვარეობას და დაუცხრომელ სწრაფვას ახალი გზების ძიებისაკენ, ადვილად მიხვდება, რომ პოლ ვალერის დამოკიდებულება თეატრისადმი მარტივი ვერ იქნებოდა. საოპერო ლიბრეტოები, „ჩემი ფაუსტი“, თუ სცენისათვის განკუთვნილი სხვა ნაწარმოებები, რა თქმა უნდა, თავისთავად საინტერესოა და მათ შესახებ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ პოლ ვალერის დამოკიდებულება თეატრისადმი მხოლოდ ცალკეული ნაწარმოებით როდი შემოიფარგლება. თეატრისადმი მის დამოკიდებულებაში ძირითადი სწორედ ძიებათა ის ერთობლიობაა, რომელიც მიმართულია საკუთარი ესთეტიკური სისტემის შექმნისაკენ, რაზედაც იგი სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა მუშაობას. ამა თუ იმ დრამატულ ნაწარმოებზე „რვეულებში“ გამოთქმული აზრები ცხადყოფენ, რომ ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსამზადებელ მუშაობას, საკითხის ღრმად შესწავლას და იმ კანონთა ძიებას, რომლებიც განაპირობებდნენ ჩაფიქრებული ნაწარმოების სტრუქტურას. ვალერის უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა სწორედ ძიება, ეს იყო შთამაგონებელი ძალა მუშაობის პროცესში და არა მიზანი, რომ ნაწარმოებს აუცილებლად წარმატება ხვდენოდა წილად. წარმატებასა და სახელზე არც მაშინ უფიქრია ვალერის, როდესაც თავის უკვდავ პოეტურ ნაწარმოებებს ქმნიდა. აქაც ძიება, — სტრუქტურის, ფორმისა და შინაარსის ძიება იყო უპირველესი. წარმატება კი თავისთავად მოვიდა; ისევე როგორც „ახალგაზრდა პარკას“ და „ზღვისპირა სასაფლაო“ პოეზიაში, „ამფიონი“ და „ხემირამიდა“ დრამატურგიაში, — ეს იყო თავდაპირველად ვალერიისეული თეორიების გამოვლინების სურვილი თეატრში.

ვალერის აქვს სტატია „ჩემი თეატრები“, რომელიც პირველად 1882 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა; მასში გამოთქმული აზრები ფრი-

ად საგულისხმო და უურადსადებნი კოლ ვაღე-
რის თეატრთან დამოკიდებულების გასაცნო-
ბიერებდად. ამიტომ ვრცელად წარმოვიდგინო-
თ ადგილებს, რომლებიც უშუალოდ თეატრს
შეეხება:

„ძალიან იშვიათად დავდივარ თეატრში და
თითქმის არასოდეს — კინოში. ეს არც კრე-
დოა და არც პრინციპი. ეს მხოლოდ ფაქტია.
მე ვთქვი, თეატრში ნაკლებად დავდივარ-მეთ-
ქი, მაგრამ ზოგი თეატრი საკმაოდ ხშირად
მოდის ჩემთან, ჩემს ოცნებაში; ხშირად ვფი-
ქრობ ამაზე და ფიქრები მერევა, ფიქრები
მართლაც მერევა, რადგან ეს ფიქრები შეხად-
ლებლის და ამავე დროს შეუძლებლის მაგიურ
ტყუში დამაქანებს ჩემივე ნებით და ჩემი აზ-
როვნება ვერ დამიყენებია იმ გზაზე, რომე-
ლიც სასურველი დრამატული ნაწარმოების
განხორციელებას შემაძლებინებს.

უამრავ წარმოსახვასა და ფუჭ ადებებში,
თეატრზე ფიქრისას რომ შებადება, ხშირად
ორ, ყველაზე მარტივ კონცეფციითა გავლენის
ქვეშ ვიმყოფები. მათ შორის მიმოვლის ჩემი
აზროვნება და მათივე დაბირიბირებით ერ-
თობა. ეს უხაფუძვლო და არამყარი კონსტრუ-
ქციებია, მაგრამ ისინი ისეთი კონტრასტულია
და ამასთან ისე ხშირად შესახებია, მინდა და-
ვირწმუნო თავი, რომ რაღაცას მოახწავებენ.

აი, როგორ შესახება ორი თეატრი: ერთი
ტაძარს უკავშირდება, მეორე კი — თოჯინების
თეატრს (თოჯინების თეატრს ვამბობ გამარ-
ტივებისათვის). როცა თოჯინების თეატრზე
ვფიქრობ, ვხედავ ღარბაშვილს, სცენას, თეატრა-
ლურ დეკორაციას; ყველაფერს მწყობს, ოქ-
როსფრად მოვარაუდებელი თაბაშირის სურნე-
ლი ახდის. არის რაღაც გულში ჩამწვდომი და
საოცრად პოეტური ამ სისტემაში, რომელიც
უარს ამბობს სინამდვილეზე, მაგრამ ამავე
დროს ყოველივეში (მსახიობები, პუბლიკა,
სუფლიორი) — შეიგრძნობა წარმოსახვითი
დამატებლობა სინამდვილისა. თეატრის სცე-
ნაზე, ნამდვილ, სასწაულებრივად მოქნილ სცე-
ნაზე, იბოლოქრებს ცხოვრება და მაყურებელ-
საც გადაედება მოქმედებათა უკიდურესი სიმ-
კვირცხლი, დიალოგების მოულოდნელობა, ელვა-
რე რებლიკები. თეატრში თავი უნდა მოიყა-
როს ყველაფერმა, რაც შეთბეჭდილებათა დღე-
სახწაულს გამოიწვევს აღფრთოვანებულ მაყუ-
რებელში. მხოლოდ თეატრს შეეწვევს უნარი,
უშუალო კონტაქტი დაამყაროს მაყურებელთან
და ანთოს იგი. აქ არის ის, რასაც კინოში ვერ
ნახავ; ფოტოგრაფიული ასახვა უკვე განვლი-
ლი მოქმედებისა გვაგრძნობინებს, რომ ეს მო-
ქმედება იმ წუთში კი არა, წარსულში აღს-
რულდა და გარდახული მოქმედება ხელახლა

გაცოცხლებას ღაშობს. ხშირად არამქვეყნიუ-
რად უღერს.

ჩემი თოჯინების თეატრი, პირველად, მომხიბ-
დავია თავისი უშუალოდით. მსახიობი ცხოვ-
რობს სცენაზე, ყურადღებებს „ფუნდას“ ასჯერ
ითამაშოს ერთი დუქანის მსახიობი,
როცა იძულებულია ერთი და იგივე როლი გა-
იმეოროს, ჩვენ წინაშე წარმოადგენს პერსონ-
ნაყებს, რომელნიც თავისუფლად მოქმედებენ;
ყოველი გამეორება პერსონაჟის ახალი სიცო-
ცხლეა სცენაზე, მაშასადამე, სცენაზეა რეა-
ლური სინამდვილე. კინოში კი — გამეორება
დაკანონებული ერთი და იგივეა, რომელიც
ცოცხლდება ეკრანისა და სინათლის მეშვეო-
ბით.

ბევრი რომ ვიფიქრე ასეთ თეატრზე, თვით
ამ მოქმედებათა თავისუფლებაზე, სიტუაციე-
ბის, ელვარე მომენტების მრავალფეროვნება-
ზე, თვალწინ დამესაბა მეორე თეატრი, ეს
ესაა ტაძარი რომ ვუწოდე. აქ უმალღესი პი-
რობითობა გამეფებულია და უარყოფილია თავ-
ისუფლება. თითქოს ყველაფერი დაუწერელ
კანონებს ემორჩილება, ისეთ კანონებს, რომ-
ლითაც ძლევამოსილი წინაპრები მართავდნენ
ოღითგან სამყაროს; მათ ხომ სწამდათ მკაც-
რად დაკანონებული წესებისა. ამ მშვენიერმა
ცდომილებამ კი შეუნარჩუნა მათ ხელოვნებას
თუ რამ წმიდათაწმინდა, შეუბღალავი, ფა-
ტალური და აბსოლუტურია, ის კი არავითარ
შეღავათს არ საქიროებს, მას უხასრულოდ
უნდა უჭვრეტდე მხოლოდ.

თეატრი სცენა არ იქნება, არამედ ძვირფა-
სი მასალის არქიტექტურა. ფარდა აიხდება და
შევალთ სრულიად სხვა სამყაროში; გავხდე-
ბით მონაწილენი სპექტაკლისა, რომელიც გან-
სხვავებული და უცნობი ცხოვრებით ცხოვ-
რობს. მაგრამ ჩვენს აზროვნებაში ეს სამყაროს
შეგრძნების ყველაზე ღრმა სიშებს შეეხება.
ამგვარად შესახება მე დრამატული სისტემის
ფუნქცია.“

სტატიაში გამოთქმული აზრები მხოლოდ
ფანტაზია და ოცნება როდია. ქცხლად ჩანს,
რომ თეატრში ვაღერი ეძებს ახალსა და და-
ბვეწილს. ჩანს სურვილი დრამატული ხელოვ-
ნების ახლებურად დანახვისა და განსაზღვრი-
სა. ამ ძიებაში, ერთის მხრივ, იგრძნობა წა-
დილი თეატრის გარდაქმნისა საერთოდ, ახალი
გზების დასახვისა, ხოლო ამით ვაღერი ნებით
თუ უნებლიეთ გვერდში ამოუდგება ყველას,
ვინც უკვე XIX საუკუნის დასასრულიდან
ოცნებობდა თეატრის ასეთ გარდაქმნაზე. მე-
ორე მხრივ, ვაღერი ცდილობდა მიეგნო და ჩა-
მოეყალიბებინა ისეთი „სისტემა“, რომელიც
მის ინტელექტუალურ ძიებებს ჩაოოვინების ამ

დარჯში გეზს მისცემდა.

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ წესრიგს, დისციპლინას და ნაწარმოების ფორმის სრულყოფას რომ ეძებს, როცა ჯველაფერს გონების პრამატს უმორჩილებს, ვალერი ამით უშუალო კავშირს ამყარებს კლასიციზტებთან. რა თქმა უნდა, კლასიციზმმა თავისი სათქმელი თქვა და ვალერი არც ცდილობს ამ მიმდინარეობის შემობრუნებას. კლასიციზმის ზოგიერთი თვისება, რამაც შეინარჩუნა სიცოცხლისუნარიანობა (წესრიგი, მასალის სრულყოფილი დამუშავება, ნაწარმოების ფორმის სრულყოფა), ახალი ფორმებით აღორძინდა პოლ ვალერის დრამატურგიაში და პოეზიაში.

ამავე დროს ვალერი მაღარმეს დიდ გავლენას განიცდის. სიმბოლიზმის მამამთავარს — მაღარმეს ვალერი მთელი სიცოცხლე თავის მასწავლებლად მიიჩნევდა. დიდი პოეტის ლექსების მუსიკალური უღერადობითა და ჰარმონიულობით აღფრთოვანებულს არაერთი წერილი უძღვნია მისთვის.

მაღარმეს გავლენას მიაწერენ, მაგალითად, ვალერის უექსების ერთგვარ ბუნდოვანებას, აზრის გახსნის სირთულეს. ვალერისათვის სიცოცხლეშივე უთქვამთ, რომ მისი პოეზია მაღარმეს პოეზიას მისდევდა მხარდამხარ, თითქოს კიდევაც აგრძელებდა და იმეორებდა მას.

ვალერი დიდად აფასებდა მაღარმეს პოეზიას, მაგრამ ხედავდა, რაოდენ დიდი სიფრთხილე და წინდახედულება იყო ხაჭირო პოეზიის განვითარების იმ გზაზე, რომელსაც მისმა მასწავლებელმა დაუდო სათავე.

ქვეყნობიერი სამყაროს გაშუქება გონების ხილვით, — დამახასიათებელია არა მხოლოდ ვალერის პოეზიისათვის, არამედ დრამატურგიისათვისაც.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ვალერის დრამატურგია კლასიციზმისა და სიმბოლიზმის თავისებური სინთეზია, ოდონდ ახლებურად გაშუქებული და გააზრებული მისი გონების გენიით.

ვალერის სწამს, რომ თეატრს გამოხატვის უამრავი საშუალება და ფორმა გააჩნია და აუცილებლობად მიიჩნევს ამ ფორმების მიგნებას და მაქსიმალურად გამოყენებას თეატრში. ამასთან მისი პრინციპია: ცხოვრების გადმოცემა ხელოვნების საშუალებით ისე, რომ არც ერთი შეიბდალოს და არც მეორე. ნამდვილმა ხელოვანმა ისე უნდა გამოხატოს ცხოვრებისეული ხინამდვილე, რომ ცხოვრება და ხელოვნება ერთმანეთში არ ათქვიფოს.

ახლოვითრია ვალერის თეორიები პოეზიის შესახებ. „ლექსის მნიშვნელობა ისევე უნდა განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი აზრისაგან,

როგორც ჩვეულებრივი სალაპარაკო ენა განსხვავდება გართმულ სიტყვას. ძირითადი და გადამწვეტი მომენტი სწორედ აქაა („სტეფან მაღარმი“).

„თუკი წვიმს, წვიმა შედრხლენს“ — გეტყბნებიან. პოეტის მიზანი არაა „გეტყბნის“ წყნება მოდის, ქოლგა არ დაგავიწყდესო“ („ლექცია პოეზიის შესახებ“); პოლ ვალერის წერილები პოეზიის შესახებ მრავალ ენაზე ითარგმნა, ახლახან იგი ქართულადაც დაიბეჭდა. თავისი პოეტური ჩანაფიქრით ვალერი განსხვავდება წინამორბედი პოეტებისაგან. ასევე დრამატურგიაშიც, თავისი დრამატული ჩანაფიქრით ვალერი განსხვავდება, ვთქვათ — ედიმონ როსტანისაგან ან თუ გნებავთ, ბურჟუაზიული მოდური კომედიისაგან. არც სიმბოლიზმით შთაგონებული თეატრი აინტერესებს მაინცდამაინც. კლოდელისაგან მთელი მეტაფიზიკა აშორებს.

ერთ რვეულში (რვ. 27, გვ. 764) ვალერი აღნიშნავს, რაოდენ შორსა დგას კლოდელის დრამატული ხელოვნება მისი შეხედულებებისაგან: „ვეგრძობ, ვერასოდეს წარმოვიდგენდი და არც ფიქრად მომივიდოდა მსგავსი რამ დამეწერა“.

ჩანს, ვალერის ცალკეული ნაწარმოების ბედი არ აინტერესებს, თავისი თანამედროვე, XX საუკუნის თეატრი მთლიანობაში ერთ — ინტერესს მოკლებულ სპექტაკლად მიიჩნია, ამიტომ არც ცალკეული ნაწარმოები და არც მისი რეჟისორული განხორციელება იზიდავს.

საკუთარი შეხედულებების გადმოცემისა და ახალი ფორმების შექმნის სურვილმა პოლ ვალერი საოპერო თეატრის სცენაზე მიიყვანა. მისი ძირითადი მიზანი მუსიკის, ცეკვის, მიმიკის შერწყმა და სპექტაკლში მათი ჰარმონიულად გამოყენება იყო, ხოლო ვაგნერის მუსიკამ და მაღარმეს პოეზიამ ვალერი შთააგონა, მუსიკა და პოეზია ახალი ფორმით შეეხვედრებინა ერთმანეთისათვის.

ასეთი ჩანაფიქრის ხორცშესხმა იყო „ამფიონი“, რომელიც პირველად 1921 წლის 23 ივნისს დაიდგა პარიზის ოპერაში (მუსიკა არტურ ონეგერისა). ეურნალისტებთან, ხაუბრისას ვალერიმ თქვა: „ჭერ კიდევ 1899-1894 წლებში თეორიულად ჩავიფიქრე სპექტაკლი, სადაც გაერთიანებული იქნებოდა თეატრის ელემენტები: მუსიკა, სიმღერა, სიტყვა, მიმიკა, ცეკვა და დეკორაცია; სავარაუდოდ სცენაც შემოვხაზე და დაეყავი. ყოველ მოქმედ პირს თავისი ადგილი მივუჩინე. ამ საკითხზე დებიუსისაც ვესაუბრე. ჩავიქრებული თემა — „ორფეოსი“ იყო, აქედან იშვა „ამფიონი“ (ინტერვიუ ეურნალისტ არტურ ოერესთან, 25.8.1921 „კანდიდი“).

ვალერის ამფიონმა ორფეოსი შესცვალა. მთავარი მოქმედი გმირი შეიცვალა, მაგრამ მითის ძირითადი ძარღვი — თქმულება ორფეოსზე — თითქმის იგივე დარჩა. თვით ვალერის არხად აუხსნია, რატომ ინდომა ამ მითოლოგიური გმირის სახეცვლილება, მაგრამ მიწეზე ცხადია: იმ პერიოდში ორფეოსის თემით ბევრი მუსიკოსი და პოეტი დაინტერესდა. როგე დიუკამ და დარიუს მილომ — „ორფეოსი“ მუსიკად აქციეს, კოკტომ წარმოადგინა ორფეოსის თავისებური ვერსია, ცნობილი იყო აგრეთვე როგე დიუკას ამ თემის ქორეოგრაფიული ხორცშესხმა.

ამიტომ გასაგებია ვალერის ხურვილი წარმოედგინა ლეგენდის ახლებური ვერსია, ორფეოსის თემატიკა ვალერიმ შეზღუდა, მხოლოდ თებებს მშენებლობაზე გაამახვილა ყურადღება. ამით შეეცადა არქიტექტურა და მუსიკა დაეკავშირებინა ერთმანეთთან, ხოლო თებებს მშენებლის პერსონაჟის წინა პლანზე წამოწვეა ამავე დროს მისი პოეტური თეორიების გამოვლინებასაც მოახწავებდა.

პიესის მოქმედი პირები არიან: ამფიონი, აპოლონი (უხილავი), ოთხი მუსა, ხალხი, ზმანებანი.

სცენის სიღრმეში, ცის ფონზე მკაფიოდ გამოიკვეთა უზარმაზარი მთის ჩამონგრეული კლდოვანი მწვერვალი, რომლის ზემო ნაწილი ქანებია, ქვემო კი მუხის, წიფელის, წაბლის ხეებითაა დაფარული. სცენის შუაგულში, გუბურასთან, ბაზალტის და გრანიტის ბლოკები აღმართულა. სცენის სიღრმეშიც ასეთივე ბლოკები მოჩანს. ღამეული ქმნილებები იწყებენ ცეკვას. ისინი ხან ჭრებოან, ხან კვლავ გამოჩნდებიან. ღამე კრთება და ისინიც უჩინარდებიან. მარჯვენა და მარცხენა მხრიდან სცენაზე შემოდის ქალები და კაცები. ისინი რაღაცას ანიშნებენ ერთმანეთს და ხეების ქვეშ სხდებიან.

ვალერი ხაზგახსოვით მიანიშნებს, რომ მის მიერ წარმოსახულ სამყაროში ბუნება ხელშეუხებელია, ადამიანის ხელს არ უცდია მისი გარდაქმნა. თვით ადამიანებიც მოკლებული არიან ყოველგვარ ცივილიზაციას.

მუსიკის მაღალი ნოტი გვამცნობს ამფიონის გამოჩენას. ცალ ხელში ამფიონს მახვილი უჭირავს, მეორეთი კი ეჭიდება საშინელ მხეცს და ცდილობს მის მოკვლას. მოისმის ხმა, რომელიც ევედრება ამფიონს, არ მოკვლას სიცოცხლე. ისიც ხელს უშვებს ნადირს და ჩამოჭდება მღვიმესთან.

ამფიონს ჩაეძინება. ძილში მოეცლინება ორი გახისხლიანებული, უცნაურად შემოსილი მებრძოლი. ამფიონი ბორბავს. შემდეგ „სიყვარულის

ზმანება“ გამოჩნდება ნახევრად შიშველი ქალის სახით, იგი ცეკვით უვლის ამფიონს გარშემო.

მძინარე ამფიონის გარშემო მუხები შეგროვდებიან. მოისმის აპოლონის ხმა: „მუხები მოწიწებით მიესალმებიანქაშობენქაშობენქაშობენ, ისმის მხოლოდ მისი ხმა. ამფიონი მიმართავს აპოლონს და ღმერთების სახელით ქნარს გადასცემს, ხოლო აპოლონი ამფიონს — მშენებლის, ბუნების მომწესრიგებლის როლს აკისრებს.

ამფიონი ბრძალ ემორჩილება ღმერთის ნებას. დეკორაცია იცვლება. ჩამონგრეული მთის მწვერვალი სწორდება. ფერდობებზე ნაგებობები აღიმართება. შორიდან მოჩანს ტაძრის სილუეტი. მოცეკვავეთა ჯგუფი გვამცნობს, რომ მიმდინარეობს დიდი მშენებლობა. მოქმედება ვითარდება მუსიკის და განათების თანხლებით.

აპოლონი ადასრულებს ღმერთების ნებას და ააგებს ქალაქს. პიესის დასასრულს მას მოევლინება სულარაში გახვეული ქალი (სიკვდილის ან სიყვარულის სიმბოლო), რომელიც ჩამოართმევს ქნარს, იქვე შადრევანში გადაისვრის და, რაკი ამფიონის მისია დასრულდა, თან მიჰყავს იგი. სცენიდან გასვლისას უღერს ხაამო მუსიკის ბანგები.

როგორც ვხედავთ, არც პიესის მოქმედების მსვლელობას და არც პერსონაჟებს რეალურ, ცხოვრებისეულ სინამდვილესთან არაფერი აქვთ საერთო. ვალერი არტურ ონეგერის მუსიკას იყრდნობა, რომ უკეთ გგანვენოს მოქმედების მითოლოგიური და ზნეობრივი ხასიათი. ეს ერთერთი იმ პრინციპთაგანია, რომლითაც შთაგონებულია ვალერის დრამატურგია.

ვინაიდან მითის მიხედვით ყველაფერი ღმერთების ნებას ემორჩილება, პიესაშიც არაფერი ხდება შემთხვევით. ყველაფერი უზენაების მიერაა მოწესრიგებული და დაკანონებული; გარკვეული დისციპლინა და წესრიგი — ეხვევ ვალერის დრამატული „სისტემის“ ერთერთი დამახასიათებელი ნიშანია. პიესის პერსონაჟების სიტყვა ღრმადაა გააზრებული ავტორის მიერ, ყველაფერში იგრძნობა ვალერის ინტელექტი. აქ დეკორაციაც ისეთივე მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც პერსონაჟები, მუსიკა, ცეკვა თუ მიმიკა.

„ამფიონი“, როგორც თვითონ ვალერი აღნიშნავს, ერთგვარ ექსპერიმენტს წარმოადგენდა სცენაზე სიმღერის, მიმიკის, სიტყვის, ცეკვის, და დეკორაციის ერთობლივად და მარმონიულად გამოყენებისა. პროგრამისათვის განკუთვნილ ტექსტში ავტორი წერდა: „ამფიონში ვეცადე ერთმანეთისათვის შემერთანხმებინა სიტყვა, სიმღერა, ორკესტრი, მიმიკა, ცეკვა და დეკორაცია; მით უმეტეს, რომ ეს ელემენტები მშვენიერად შეიძლება შეუთანხმდეს ერთმანეთს, ეს მხო-

ლოდ ცდაა. არტურ ონეგერმა და იდა რუბენ-
შტეინმა მშვენივრად გამოიგეს“.

პრესა მაშინვე გამოცხმაურა ვალერიის წამოწ-
ყებას: აღინიშნა, რომ ვალერიისეული ჩანაფიქ-
რი გაცილებით საინტერესო იყო, ვიდრე მისი
განხორციელება სცენაზე. არც ვალერი იყო შე-
დეგით დიდად კმაყოფილი.

სამი წლის შემდეგ ვალერი კვლავ მიუბრუნდა
საოპერო თეატრის სცენას, ახალი სპექტაკლი იყო
„სემირამიდა“ (მუსიკა არტურ ონეგერისა), რომ-
ელიც პირველად პარიზის ოპერაში დაიდგა 1934
წლის 11 მაისს.

პიესის დაწერის მიზანი ისევ და ისევ დრამა-
ტულ ხელოვნებაზე საკუთარი შეხედულებების
გადმოცემის სურვილი იყო; ვალერი კვლავ ცდი-
ლობს გარკვეული ადგილი დაუმკვიდროს სცე-
ნაზე მუსიკას, ცეკვას, სიტყვას, მიმიკას, დეკო-
რაცია და სცენის განათება ისევე მნიშვნელო-
ვან კომპონენტად მიაჩნია, როგორც შემოჩა-
მოთვლილი გამომსახველობის საშუალებანი. ვა-
ლერი ცდილობს ისინი წესრიგს, დისციპლინას
დაუმორჩილოს. „ამფიონი“ ერთ მოქმედებად
მიმდინარეობდა, ხოლო „სემირამიდა“ სამი აქტი-
საგან შედგება. პირველი მოქმედება თითქმის
მთლიანად ბალეტია, ცეკვა არჩვეულებრივად
ექსპრესიული და პლასტიკურია, ვალერიმ ცეკ-
ვის საშუალებით მიაგნო გამომსახველობის იმ
ხაზებს, რომელსაც დიდი ხანია ეძებდა: ხაერთოდ
პიესის გადაწყვეტა უფრო ორიგინალური და
უკეთ გააზრებული აღმოჩნდა, ვიდრე პირველ
სპექტაკლში.

პიესის მთავარი გმირი ლეგენდად ქცეული
პაროვნებაა, მისი სახელი ცნობილია ისტორიაში.
ესაა სემირამიდა, ასურეთის მითიური ღედოფა-
ლი, მეუღლე მეფე ნინისა, ხახტიკი და ვნებია-
ნი ქალი. იგი გამოეფდა ქმრის სიკვდილის შემ-
დეგ და მართავდა ხაზელმწიფოს თავისი მცირე-
წლოვანი შვილის ნინიასის მაგიერ; გაილაშქრა
სპარსეთზე, ინდოეთზე, ეგვიპტესა და სხვა
ქვეყნებზე. ააშენა ქ. ბაბილონი და მორთო იგი
მშვენიერი „კიდული ხალებით“. სემირამიდას
შესახებ ბევრი თქმულება და გადმოცემა არსე-
ობს; სტრაბონის თქმით, სემირამიდას სახელს
მიაწერენ ყველა ნაგებობას აზიაში, რომელთა
ავტორი უცნობია.

სემირამიდა არის შენების უდიდესი უნარითა
და უჩვეულო ნებისყოფით დაჯილდოებული ქა-
ლი. სწორედ ხასიათის ეს ძირითადი თვისებები
წამოსწია პიესაში წინა პლანზე ვალერიმ. თვით
ვალერიის იდეალია — ახლის შენება და შეიძლება
სწორედ ამან განაპირობა მისი სიმპათია ამ პერ-
სონაჟის მიმართ.

პიესის დასაწყისში სემირამიდა ქედმაღალი
და სასტიკი მმართველია, ძალაუფლება და გა-
მარჯვება მისთვის მთავარი. მაგრამ ახალგაზრდა

ტყვესთან შეხვედრა ამ ძლიერაშოსილ დაპა-
ურობელში ქალს ადვილებს. იგი შონა ხდება სი-
ყვარულისა. მიმიკა, რომელიც მუსიკალურად
და ოსტატურადაა გამოყენებული პიესაში, ხაზს
უხვავს ამ ქედმაღალი ქალის მონორ მორჩილე-
ბას და უფრო გარდაქმნის: მაგრამ სემირამიდა
სძლევს თავის გრძნობებს. სიყვარული უპირის-
პირდება გონებას, იმარჯვებს გონება. გონების
გამარჯვება ავტორის მიერ ინტელექტის წინა
პლანზე წამოწვევას ნიშნავს. სემირამიდას „საში-
ნელი ღამილი“ საკუთარი თავისკენ შემოტრია-
ლებაზე მიგვანიშნებს, მისი შეუვალობა და შუ-
რისგება ზეადამიანურია პიესის დასასრულს.

დეკორაცია და განათება ერწყმის მთელი
პიესის მოქმედებას, მიმიკაც და მუსიკაც სრულ
თანხმობაშია ერთმანეთთან, ასევე სრულყოფი-
ლია ცეკვა. საერთოდ ყველა კომპონენტი მარ-
მონიულად უკავშირდება ერთიმეორეს.

ვალერიმ ნიჭიერად განხორციელა გამომსა-
ხველობის ყველა ფორმა, რაც კი სცენისათვის
ბქონდა ჩაფიქრებული.

„კანტატა ნარცისზე“, როგორც სათაური მი-
გვანიშნებს, განსხვავებული უნარის ჩანაფიქრია.
ის დრამასა და პოეზიას შორის დგას. გამომსახ-
ველობის საშუალებები მასში ნაკლებადაა
გამოყენებული, ამიტომ თვითონ ტექსტს
აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს ნა-
წარმოებიც ერთგვარი ვარჯიშია ახალი
ფორმის მისაგნებად, ავტორი ცდილობს მუსი-
კის და პოეზიის დაახლოებას და შეთანხმებას.
ნაწარმოებზე მუშაობა ვალერიმ 1938 წელს დაი-
წყო, დაამთავრა იგი 1939 წლის 23 თებერვალს;
1944 წელს ეს ნაწარმოები შესრულდა პარიზის
კონსერვატორიაში.

„კანტატა ნარცისზე“ „სემირამიდას“ დადგმი-
დან ოთხი წლის შემდეგ გამოჩნდა, ეს ფაქ-
ტი მოწმობს, რომ ვალერიის ფიქრები დრამა-
ტულ ხელოვნებაზე კვლავ გრძელდებოდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ვალერიმ დაიწ-
ყო დრამა „ჩემი ფაუსტი“, რომელიც დაუმთა-
ვრებელი დარჩა. ამ პიესაზე იგი ფაშისტური
ოკუპაციის პერიოდში მუშაობდა, მაგრამ ეს იდეა
უფრო ადრეულ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს.
თუ ვალერიის რვეულებს გადავაფიქვით თვალს,
ვნახავთ, რომ მას ჯერ კიდევ 1924 წელს ბქონ-
და ჩაფიქრებული ამ დრამის განხორციელება.
„ფაუსტის ესკიზები“, რომელიც X რვეულის
187-ე გვერდზეა მოცემული, მხოლოდ ჩანასახია
დრამისა, რომელიც „ჩემი ფაუსტის“ სახელწო-
ლებითაა დღეს ცნობილი. გაივლის კიდევ რვა
წელი „რვეულში“ აღნიშნული შენიშვნებიდან
და გოეთესადმი მიძღვნილ მოხსენებაში ვალერი
კვლავ შეეხება ფაუსტურ თემატიკას.

მსოფლიო ლიტერატურაში მრავალი ფაუსტურ-
რი ნაწარმოებია შექმნილი. ამ თემის ირგვლივ

იმდენი გამოკვლევა და ნაშრომი დაიწერა, რომ ისტორიული ფაუსტის პიროვნება დღემდე ბურჟუაზია გახვეული. სამართლიანად ამბობს პოლ ვალერის ფაუსტი: „ჩემ შესახებ იმდენი იტყვა და დაიწერა, რომ მე დაგვარგე საკუთარი თავი, ახლა თვითონაც არ ვიცი, ვინ ვარ, რას წარმოვადგენ“. იგი ეუბნება მეფისტოფელს, ჩემი ცხოვრების შესახებ წიგნი უნდა დავწერო, რაზედაც მეფისტოფელი ირონიულად მიუგებს, წიგნის დაწერა რად გინდა, როცა შენ თვითონ ხარ წიგნიო.

ერთი კი ცხადია: ფაუსტი მუდამ გარკვეულ სოციალურ გარემოში ცხოვრობს და, როგორც ლიტერატურული სახე, განსაზღვრული ეპოქის თვალსაზრისს გამოხატავს, მისი ინტერესების სფეროა კაცობრიობა, სამყარო — უველადფერი, რაც ჩვენი თვალთახედვის არეშია და რაც მის მიღმა იგულისხმება.

ვალერის ფაუსტიც თავისი ეპოქის შვილია, იგი ჩვენს თანამედროვეობაში ცხოვრობს, ავტორი ამ ნაწარმოებში თავს უყრის იმ შეხედულებებს, რომლებსაც ავითარებდა „ტესტში“, „ახალგაზრდა პარკაში“ და „რვეულებში“. ამ დრამაში მხოლოდ ერთიღისა და ბოროტის დაპირისპირება არ არის, აქ უოფნა-არყოფნის საკითხიც წყდება, ისევ როგორც „ზღვისპირა ხასაფლაოში“, „ახალგაზრდა პარკასა“ და „ნარცისში“.

პოლ ვალერის ფაუსტი ცდილობს გაუხსნას დროს, არსებობას, საკუთარ თავსაც და აზარსებობის სამყაროში ჰაოვოს სულიერი სიმშვიდე. ბევრი მეცნიერი ამტკიცებს, რომ კლასიკური ფაუსტის ძიების სფეროა ის, რაც ჩვენი თვალთახედვის არეშია, მეორენი ასეთად თვლიან უოფიერებას, როგორც მთლიანობას, მესამენი — ფაუსტური ძიების სფეროს ადამიანური არსებობისაგან სრულიად მოწყვეტილად განიხილავენ.

პოლ ვალერის „ფაუსტში“ ძიება საერთოდ გამოდის ობიექტური სინამდვილის სფეროდან და ადამიანის შინაგანი მე უმთავრესად ქვეცნობიერი ინსტინქტების ანალიზით იცვლება, ასეთ შემთხვევაში ფაუსტი უარყოფს გარეშე სამყაროს შეცნობის შესაძლებლობას და საკუთარი

პიროვნების თვალსაზრისით გამოკვლადუნა. შემდეგ ეს თვითანალიზი ადამიანურ ადამიანურის დაძლევის აუცილებლობამდე მიდის. ფაუსტური ძიება განვითარების ამ ეტაპზე ნ. წ. „არაფრის სიცარიელეს“ ერტყრს და უმადლეს ფორმას მუსიკაში ტელეფონის [მ] სტრუქტურა „ფაუსტური პარადიგმები“, გვ. 57, თბილისი, 1961 წ.).

XX საუკუნის მეფისტოფელიც იძებს მოქმედების ახალ ასპარეზს. ვალერის მეფისტოფელი თვით ცხოვრებაში ხედავს მეტ საშინელებას, ვიდრე გოგონებში.

„ჩემი ფაუსტი“ საერთო სათაურია ორი ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული პიესისა. ეს პიესებია „ლუსტი“ და „მარტოხელი“. პირველი კომედიაა (როგორც ვალერი მიუთითებს 1938 წელს XVII რვეულის 28-ე გვერდზე, „ესაა ინტელექტუალური კომედია“) და პროზის სტილითაა დაწერილი. ხოლო მეორე მთლიანად პოეზიაა, მასში ჩართულია სცენები (ბალეტი, შიმშიკა), რომლებიც მოგვაგონებენ „ამფიონს“, „ხემირამიდას“ და „კანტატას ნარცისზე“. მეორე პიესა ტრაგედია უფროა და ვალერი მას „დრამატულ ფერიას“ უწოდებს.

ვალერის ფაუსტური პრობლემები იმდენად ფართოა, რომ ვფიქრობთ, ცალკე კვლევის თემად უნდა იქცეს.

აქ კი გვინდა დავხიინოთ, რომ ვალერის „ფაუსტი“ დღემდე ცოცხლობს. ავტორის ნამდვილი გამარჯვებაც ხწორედ ესაა. უკანასკნელად სპექტაკლი 1982 წელს დაიდგა საფრანგეთში და ისევ დიდი წარმატება ხვდა წილად.

ვალერი მოესწრო სპექტაკლის გამარჯვებას. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1945 წელს, „ჩემი ფაუსტი“ პარიზში, „კომედი-ფრანსეზში“ დაიდგა.

ერთ-ერთ თავის რვეულში (რვ. III, გვ. 450-610) ვალერი წერდა: „პოეზია არასოდეს უოფილა ჩემთვის მიზანი, ის იარაღი იყო. არც დრამებისა და რომანებისათვის ვუოფილვარ გარჩენილი“.

მიუხედავად ამისა ვალერის პოეზია, ასევე „ჩემი ფაუსტი“ დასტურია ორივე სფეროში ავტორის უდიდესი მიღწევისა და წარმატებისა.





„მარატის მკვლავლობის“ მართული თარგმანი

სლმანას „ხაუნჯის“ 1982 წლის მეოთხე ნომერში დაიბეჭდა პეტერ ვაისის სახელგანთქმული პიესის „მარატის მკვლავლობის“ თარგმანი (სრული სათაური ასეთია: „უან პოლ მარატის დევნა და მკვლავობა, თავშესაფარ შარანტონის მხარობთა მიერ წარმოდგენილი მარკიზ დე სადის ხელმძღვანელობით“). შესრულებული ჭეშაღ კელიძისა და დავით დავლიანიძის მიერ. ამ ორი შემოქმედის თანამშრომლობამ, რომელთაგან ერთი ინგლისური და პოლონური პოეზიის ცნობილი მთარგმნელია, ხოლო მეორე გერმანული ენისა და ლიტერატურის საუცხოო სპეციალისტი, შესანიშნავი შედეგი გამოიღო: ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურას და, პოეტურობად, ქართულ თეატრალურ სცენას შეემატა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, უაღრესად საინტერესო როგორც იდეურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით, ასევე მხატვრული ფორმის მხრივაც. ვიდრე კონკრეტულად თარგმანზე ვისაუბრებდეთ, მანამდე გავარკვიოთ, რა სასიათის ნაწარმოებთან გვაქვს საქმე, ორიოდ სიტყვით შევცნოთ პეტერ ვაისის მხატვრულ მეთოდსა და მისი პოეტურობის თავისებურებებს.

პიესის თარგმანს წინ უძღვის ნოდარ კაკაბაძის შესავალი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „დრამატურგიულად, სტრუქტურულ-მორფოლოგიურად „მარატ-სადი“ წარმოადგენს „აბსურდის თეატრის“, ბრუჰტის „ეპიკური თეატრისა“ და ანტონე არტოს ე. წ. „სინასტიკის“ ანდა „ინტეგრალური თეატრის“ შექვარება-შერწყმას, და საბოლოოდ ვღებულობთ ე. წ. „ტოტალურ თეატრს“. სხვა კრიტიკრიუმით თუ მივუდგებით, „მარატ-სადი“ „დისკუსიის თეატრია“. შარანტონის საგიჟეთის ავადმყოფები ამავე საავადმყოფოს ერთ-ერთი პაციენტის, მარკიზ დე სადის ხელმძღვანელობით დგამენ სადისავე პიესას — „ხალხის მეგობრის“ — მარატის მკვლავლობის ინსცენირებას“.

მოკლედ, ჩვენ წინაშე ტიპიური ავანგარდული ნაწარმოები. მისი ავტორი პეტერ ვაისი ავანგარდისტთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც 50-იანი წლების მეორე ნახევარში

ჩამოყალიბდა „ახალი მემარცხენეების“ სახელწოდებით. ამ ჯგუფის წარმომადგენელთათვის დამახასიათებელია სოციალურ-პოლიტიკური პრობლემატიკით დიდი დაინტერესება, მემარცხენე-რადიკალური ტენდენციები. ავანგარდიზმი, როგორც ცნობილია, რეალიზმის შემდგომდროინდელი მიმდინარეობაა ელოგენებაში და მისი პოეტურობა ძირითადად განსხვავდება ტრადიციული პოეტურობისაგან. „მარატის მკვლავლობის“ მხატვრულ თავისებურებებზე წარმოდგენის შესაქმნელად გავიხსენოთ ვ. მაიაკოვსკის პიესები, კერძოდ, მისი „ბადლინჯო“ (საერთოდ, ბევრი რამ, რაც დღეს ჩვენს ხელოვნებაში დასავლეთიდან შემოტანილ სიახლედ და ესთეტიკის „უკანასკნელ სიტყვად“ ითვლება, უხვად არის ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ტრადიცია ჩვენს ლიტერატურაში შემდგომ ვეღარ განვითარდა).

განსახილავი პიესა ორი მოქმედებისა და ოცდაცამეტი მოკლე სცენური ხურათისაგან შედგება. აქ ერთმანეთს ენაცვლება ურითმო თავისუფალი ლექსით შესრულებული და გარითმული ტექსტი. ამ ფორმალურ მომენტს პიესაში, რა თქმა უნდა, გარკვეული მხატვრული ფუნქცია აქვს. „ეპილოგს“ თუ არ ჩავთვლით, სადაც უველა პერსონაჟის სათქმელი გარითმულია, პიესაში თავისუფალი ლექსით შეტყველებენ: მარატი, მისი მეუღლე, შარლოტა კორდე, უაკ რუ; მთლიანად გარითმულია მაცნეს ტექსტი, მომდერღების ტექსტი; შერეული — რითმიანი და ურითმო — ტექსტი აქვს კულმინეს, სადს, დიუპრეს.

ამ ლექსებზე და, საერთოდ, პიესის სტილისტიკაზე წარმოდგენის შესაქმნელად მოვიტან ამონაწერს ერთი რეცენზიიდან, რომელშიც პეტერ ვაისის ეს ნაწარმოებია შეფასებული. შეფასებულია უკიდურესად უარყოფითად, რაც იმიტთა გამოწვეული, რომ რეცენზეტი არ იზიარებს ავტორის შემოქმედებით პრინციპებს, იგი განსხვავებულ ესთეტიკურ პოზიციაზე დგას.

რამდენიმე სიტყვა ამ რეცენზიის ავტორის შესახებ. იგი ეკუთვნის ავსტრიელ მწერალსა და თეატრალურ კრიტიკოსს ფრიდრიხ ტორ-

ბერეს. რეცენზია დაწერილია ამ პიესის პირველი წარმოდგენის შემდეგ (დახველეთ ბერლინი, 1964). ფ. ტორბერგი არის უაღრესად ნიჭიერი და მახვილგონიერი კრიტიკოსი, მაგრამ, ამავე დროს, უკიდურესად კონსერვატორი. იგი ტრადიციული პოეტიკის პოზიციებზე დგას და არ ცნობს რეალიზმის შემდეგდროინდელ არც ერთ მხატვრულ მეთოდსა თუ მიმდინარეობას. ის სასტიკი მოწინააღმდეგეა ყოველგვარი შემარცხენე გადახრისა როგორც ბედოვნებაში, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. რეცენზიაში ფ. ტორბერგი გულდაწვვევით აღიარებს, სპექტაკლს უდიდესი წარმატება ზვდა წილად, ხენსაცია მოამდინაო, და შემდეგ მისთვის ჩვეული ირონიით დასძენს: „რა თქმა უნდა, პიესა „სანიტრებისა“. ძალიანაც ძნელია უინტერესოდ წარმოადგინო საგიჟეთის ავადმყოფები, მათში არეული მონაზვნები და სანიტრები, პლიუს ამას მომღერლები და უონგლიორები, და ეს ყოველივე დაგვირგვინებული ასოციაციებით დამუხტული ორი ისეთი ფიგურით, როგორც არიან მარკიზ დე სადი და რევოლუციის გმირი ჟან პოლ მარატი (რომელიც ამავე დროს ისტორიულად დადასტურებული კანის ქაველის შესამსუბუქებლად აბაზანაში წევს). დიახ, ძნელია ყოველივე ეს უინტერესოდ წარმოადგინო. მაგრამ ის, რაც პიესაში ავტორისეულია, ისე აბლაუბდა და ნაძალადევია, იქ, სადაც მახვილგონიერების გამოჩენა სწადია, იმდენად მშრალი და სუსტია (ისეთი რითმები, როგორცაა „რევოლუციონ“-„კომუნააციონ“ აქორიგინალობის მწვერვალს წარმოადგენს), ენობრივი თვალსაზრისით იმდენად უგემოვნო და უმწეოა, რომ ამ ზეავე დომხალს ვერაფერს უშველის ბერტოლტ ბრეჰტის დიდი ნიშუშის ნიჭიერი მიზაძვაც კი“.

ამ დახასიათებიდან, ვფიქრობ, ცხადია, რომ პიესას და მის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს ცოტა რამ აქვს საერთო კლასიკურ ხელოვნებასთან. ის ფორმით უფრო მასკარადს, კარნავალს, ბაღავანს უახლოვდება, ჩვენებურ ბერკეობასა და ყვენობას წააგავს. მთარგმნელებმა კარგად აუღეს ალღო თავისებურებებს ამ პიესის ტექსტისა, რომელიც არათანაბარი, ტექნილი მეტრული საზომებით და მარტავი რითმებით არის შესრულებული. ვნახოთ რამდენიმე ნიმუში.

მაცნეს ტექსტი, როდესაც იგი მაყურებლებს პერსონაჟებს წარუდგენს:

იღბათ მისვლით, იგი მარატი,
კაცი, რომელიც აბაზანაშია.

ორმოცდაათ წელს ბევრი არ უკლია,
თაზე ხილაბანდი წაუჭრა,
ტანზე აღმოდებულია,
რადგან დაეიდებულა,
ბოლო აბაზანის ~~ქარხის~~ წყალში საიმო
მის ციებ-ცხელებას უღუქმა ~~საღამოდ~~,
ამ როლში შევარჩიეთ პაციენტი ძალიან
უბრალოდ,
რომელსაც მიდროთერაპიით ვმკურნალობთ.
ეს ქალბატონი, თავს რომ დისტრიალებს
და მის უბედურებას რომ იზიარებს —
სიმონა ევრაია, კორდე კი არა,
მან მარატის უღელი გაიზიარა,
არა სიეკლესით ზარების წყრილში,
არამედ ისე, ბუნების წილში...

აი, ერთი ადგილი ოთხი მომღერლის ტექსტიდან:

უმცირესობას თუმცა ბევრი აქვს,
უმეტესობას არ აქვს სრულებით,
მაინც ერთად ვართ, ერთად ვმღეროფართ,
საერთო მიზანს ვემსახურებით.

აბლა ვნახოთ კოკოლისა და პოლპოშის სიმღერა, რომელშიც ისანი მოგვითხრობენ, თუ როგორ იყიდა კორდემ მარატის მოსაკლავი ნანჯალი:

მან ყველაფერზე თქვა უარი და
დახლებს გულგრილად ჩაუარა.
დანების გამყიდველს მიაშურა.
შეარჩია თეთრტარიანი ხანჯალი.
ვინ უნდა გასალოო — შეეკოთსა ვიქარი.
კორდემ გაიღიმა და ცერად გადახედა,
მერე ორი ლიერა გადიხადა,
ეს ისტორიული ამბავია
და ყველამ ვიცით რაბანია.

ამ მაგალითებიდან, ვფიქრობ, ნათელია, რომ მთარგმნელებმა წარმატებით გაართვეს თავი ამოცანას, თარგმანში შენარჩუნებულია ორიგინალის სული, განწყობილება, ინტონაცია.

როგორც ვთქვით, პიესის ტექსტი გართმული და გაურითმავი პასაჟებისაგან შედგება თარგმანში კი, რატომღაც დედნის ზოგიერთი გაურითმავი ადგილი გართმულია და პირიქით, ზოგიერთი გართმული პასაჟი ურითმოლექსით არის ქართულად გადმოტანილი. თორმათა ასეთი შეცვლა გარკვეულ აზრობრივ ცვლილებებს იწვევს. ჰემარიტი შემოქმედისთვის არასოდეს არ არის სულერთი ესა თუ ის აზრი რითმიანი ლექსით არის გადმოცემული, ურითმო ლექსით თუ პროზად. სხვადასხვაგვარ სათქმელს, სხვადასხვაგვარ განწყობილებას

სხვადასხვაგვარი ფორმა მიესადაგება: ან სხვა
ნაირად: ფორმას აზრობრივი დატვირთვა ენი-
ჭება. ფორმის „გაშინაარსიანების“ უდიდესი
ოსტატია შექსპირი, რომელიც თავის პიესებ-
ში ურითხო დექსსაც იყენებს, რითმიანსაც და
პროზაულ მეტყველებასაც, იმის მიხედვით, თუ
სად როგორი აზრისა და განწყობილების გად-
მოცემა უნდება. ჩვენ ხშირად მეტაფიზიკურად
ვუდგებით ფორმისა და შინაარსის ურთიერთ-
დამოკიდებულების საკითხს, გვგონია, თითქოს
ერთი და იმავე აზრის გამოხატვა ერთნაირი
წარმატებით შეიძლება სხვადასხვა ფორმით,
რაც სწორი არ არის. ფორმის შეცვლა აუცი-
ლებლად რომელიმე აზრობრივი ნიუანსის შე-
ცვლასაც გამოიწვევს. ამასთან დაკავშირებით
მოვიტან ერთ კლასიკურ მაგალითს.

შექსპირის „იულიუს კეისარში“ ერთ-ერთი
მთავარი პერსონაჟი ბრუტუსი მთელი ტრაგე-
დიის განმავლობაში დექსად მეტყველებს.
მხოლოდ ერთხელ, თანაც ყველაზე ხაპასუნის-
მგებლო მომენტში, როცა იგი კეისარის მოკვ-
ლის შემდეგ ხალხის წინაშე გამოდის სიტყ-
ვით, შექსპირი მას პროზით ალაპარაკებს. ვნა-
ხვით, რას წერს ამის გამო აღ. ანიკსტი:

„აი, რომაელების წინაშე გამოდის ბრუტუსი.
შექსპირის მცოდნეთ უცნაურად ერგენე-
ბათ, რომ იგი დექსად კი არ ლაპარაკობს, რო-
გორც მთელი ტრაგედიის მანძილზე, არამედ
პროზით. ჩვენ შევეჩვიეთ, რომ ყველა მნიშვ-
ნელოვან, პათეტიკურ მომენტში გამოდის სათქ-
მელი ამალღებული პოეტური ფორმით იმო-
ხება, წესიდან გადახვევამ, რომელსაც აქ ვა-
წყდებით, ზოგიერთი მკვლევარი დააეჭვა: ხომ
არ არის აქ შეცდომა, ასეთამწყობმა ან ვადამ-
წერმა რამე ხომ არ აურია შექსპირის ხელნა-
წერში, ბრუტუსის სიტყვაში ხტრიჭონები ხომ
არ გააერთიანა? მაგრამ ყველაფერი სწორადაა,
თუკი ვიწმინდებით, რომ დრამატურგიული
ხერხები შექსპირს ყოველთვის გააზრებული
აქვს. უპირველეს ყოვლისა, ბრუტუსი ხალხის
დონეზე ეშვება, ამიტომ ლაპარაკობს ის უაღ-
რესად უბრალო ენით. მაგრამ არის სხვა მიზე-
ზიც: მას არ სურს უბრალო ქეშმარიტება სი-
ტყვებით, რიტორიკული სამკაულებით გააბუნ-
დოვანოს. იგი ქარაგმების გარეშე ვადმოსცემს
ფაქტს და უაღრესად გულანდილად და ნათ-
ლად განმარტავს მას. მისი სინდისი სუფთაა
და არ ხურს ნაირ-ნაირი საბუთების მოხმობა.
მისი უმთავრესი საბუთი — თვითონვეა, თავი-
სი პატიოსნებით, პირდაპირობით და რომისად-
მი სიყვარულით“.

თუ ბრუტუსის ამ სიტყვას დექსად ვთარგ-
მნიდით, როგორც ვნახეთ, თარგმანში ორიგინა-

ლთან შედარებით მეტო რამ შეცვლენოდა.
„მარატის მკვლევარის“ თარგმანში გარით-
მულია საგიფე შარანტის [ქვემოთ] მისი კულ-
მის ტებლია მეექვსე [ქვემოთ] მისი როცა
იგი დედანში გაურითმავია და ეს ბუნებრივიც
არის, თუ გავითვალისწინებთ მისი რეალიტის
ხასიათს. საქმე ის არის, რომ წარმოდგენის გა-
ხსნის შემდეგ კულშიე ჭდება და როგორც რი-
გითი მაყურებელი, ისე უყურებს სადის სტექ-
ტაკლს (აქ ხომ სტექტაკლში სტექტაკლი თა-
მაშლება). ოღონდ დროდადრო, როცა მხახიო-
ბები პოლიტიკურად სახიფათო ტექსტს წარ-
მოთქვამენ, წამოხტება ხოლმე და კორექტი-
ვები შეაქვს სტექტაკლის მკვლევლობაში. ცხა-
დია, ამ დროს იგი წინასწარ მოუმზადებულ
ტექსტს წარმოთქვამს და ამიტომ მისი გა-
რითმვა არ არის ხასურველი. მაგალითად, მე-
ექვსე სურათში აღშფოთებული კულშიე სადს
წინადადებას აძლევს, დაუფრვებელიც შეარბა-
ლოს წარმოდგენის კრიტიკული პათოსი, რაკი
ეს ადგილი ორიგინალისაგან განსხვავებით
თარგმანში გარითმულია, ისეთი შთაბეჭდილე-
ბა იქმნება, თითქოს სადმა და კულშიემ ეს
მიზანსცენა ადრევე მოამზადეს და შარანტო-
ნის დირექტორი ახლა თითქოს თამაშობს აღ-
შფოთებას. რაც სინამდვილეში ასე არ არის.

დისონანსად გაისმის მარატის გარითმული
ტექსტი მეცამეტე სურათში („ჩვენ გვარწმუ-
ნებდნენ, მეფენია მამანი თქვენი...“). მარატის
მეტყველების მანერა მთელ პიესაში უაღრუ-
სად ხაქშიანია, მკაცრი, თანაც იგრძნობა, რომ
ეს ავადმყოფობითა და დევნით გატანჯული
ადამიანის მეტყველებაა. გარითმულ ტექსტში
(გაურითმავი ტექსტის ფონზე) ეს ინტონა-
ციები ხუსტდება ან სულ იკარგება.

მარატის ინტონაციების ზუსტად ვადმოტანა
კიდევ ერთი გარემოების გამოა დიდად მნი-
შვნელოვანი. საქმე ის არის, რომ პეტერ ვაი-
სი თავის ტენდენციას—ვის ემხრობა—მარატს-
თუ სადს — აშკარად არ გამოხატავს ავტო-
რის პოზიციის ერთ-ერთი გამამულავნებელი
თვით მარატის მეტყველების მანერაც არის.
იგრძნობა, რომ მარატ-სადის პოლემიკაში ავ-
ტორი პირველის მხარეზეა, დარწმუნებულია
მის შინაგან პათოსნებაში, მის მისწრაფებათა
სერიოზულობაში, მაგრამ მისი ტრაგედიის არ-
ხიც ბოლომდე აქვს გასიგრძეგანებული; იცის,
რომ მარატის კეთილშობილური იდეები უტო-
პიური იყო და ამიტომ მათი განხორციელები-
საკენ დაუოკებელი სწრაფვა ხშირად გაუთვა-
ლისწინებელ და საშინელ შედეგებს იწვევდა.
პიესის ბოლოსიტყვაობაში (რომელიც კარგი
იყო, თარგმანსაც დარღვოდა) პეტერ ვაისი

მარატის გამო წერს, რომ მის მოღვაწეობას მეცხრამეტე საუკუნის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია არასწორად, უაღრესად ტენდენტურად აფასებდა, და შემდეგ აღნიშნავს: „საფრანგეთის რევოლუციის თითქმის არც ერთი მოღვაწე არ დაუხატავს მეცხრამეტე საუკუნის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას ისეთ საშინელ და სისხლსმოწყურებულ პაროვნებად, როგორც მარატი, და ეს არც არის გასაკვირი, რადგან მარატის იდეებს პირდაპირი გზით მივყავართ მარქსიზმისაკენ“.

თარგმანში იშვიათი გამონაკლისის გარდა შესანიშნავად არის გადმოტანილი მარატის ტექსტი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ამ პერსონაჟის სახით საქმე გვაქვს სუბიექტურად მართალ, ტრაგიკული ხვედრის პიროვნებასთან. ვნახოთ მარატის მეტყველებების ერთი ნიმუში:

„მე მხოლოდ იმ საქმისა მჭერა, რომელსაც შენ ღალატობ (ხადს მიმართავს — ლ. ბ.). ჩვენ თავიდან მოვიცილეთ მძღვარა ბრბო, რომელიც გვბატონობდა. მრავალი გავუღიბეთ, მრავალმა თავს უშველა, მაგრამ ბევრს, რომელიც მხარში გვედგა, თვალი ისევ ძველი ფუფუნებისაკენ ეჭირა. ასე გამოვიდა, რომ რევოლუცია მხოლოდ ნაქრებისა და ჩარჩებისათვის მოხდა. ბურჟუაზია გაწყობილ სუფრას მიუჭდა, მაგრამ ღარიბთათვის შეგიდასთან ადგილი ადარ დარჩა.“

აქ შენიშვნა უნდა გავაკეთოთ ერთი ადგილის გაგების გამო.

რცლამეორე სურათში, ოთხი მომღერლის ტექსტში ვკითხულობთ: „საწყალო მარატ, შენ რისხულო, ვინაც წინათ შენ სტამბებს გირბევდა და შენს წიგნებს კრძალავდა მკაცრად, მოიდრიკები იმათ წინაშე, პატიებას თხოვ იმავე კაცთა“.

ძნელი წარმოსადგენია მოდრეკილი, პატიების მთხოვნელი მარატი. ეს მისი ხასიათის თვისება არ არის. დედანშია: „...შენ ისევ და ისევ იძულებული ხარ დაემალე მათ, ვინც სტამბებს ვინგრევს...“

მაშასადამე, არა — „მოიდრიკები... პატიებას თხოვ“, არამედ — „დაემალე“ ან „ემალეები“ (sich verziehen — დამალვა, გაქრობა, აორთქლება).

მარატის თანამებრძოლია, მისი აგიტატორი და რუმორია ყოფილი ბერი ეაკ რუ, ისტორიული პიროვნება, თავდადებული, ტემპერამენტიანი რევოლუციონერი. პიესაში იგი საქმად ექსცენტრიულად გამოიყურება, მაგრამ, ვფიქრობ, თარგმანში მისი ხასიათის ზოგიერთი შტრიხი შედმეტად გამოქდა. კერძოდ, მეცხრამეტე სცენაში ვკითხულობთ: „მან — ნახუ-

ცარმა, იცის ყველა ხერხი, ღანდები, უვიცი ხალხის კაზმულ სიტყვით თავგზისამხნევი. სამოთხე უნდა ავაშენოთ კაცთა სამოფელს, მაგრამ რა გზით და რა საშუალებით — ცოდნა არ ჰყოფნის, რადგანაც ვიცით, საქმის კეთება უფრო ძნელად უნდა იქნეს“.

დედანში ესა რუს დახასიათება ამ ადგილას ასე მკაცრი როდია. იქ ვკითხულობთ: „მას, როგორც მოქალაქეს, სიტყვა უჭრის და მსმენელები მთლიანად ხელში აჭყავს, ზეციურ მღელღებს სწრაფად გარდაქმნის მიწიერ ხურათებად, აქ უნდა იყოს სამოთხე, აქ უნდა ისერიწონ და წარმოუდგენლად ახალი წესრიგით იმოქმედონ (აღამიანებმა). მაგრამ ჭერ კიდევ არ იცის, როგორ მიადწიოს ამას, რადგან საქმე ძნელია და სიტყვა ადვილი“.

აქ ლაპარაკია ესა რუს დიდ ორატორულ ნიჭზე და მისი იდეების უტოპიურობაზე. დედანში იგი არ არის დახატული, როგორც „უვიცი ხალხის კაზმულ სიტყვით თავგზის ამხნევი“ შარლატანი. ბოლოსიტყვაობაში პეტერ ვაისი ესა რუს „რევოლუციის ერთ-ერთ ყველაზე მომხიბლავ პიროვნებათაგანს“ უწოდებს და ამბობს, რომ პიესაში მას აკისრია ფუნქცია მარატის „ალტერ ეგოსი“, რომელზეც მარატის თეზისები მოწმდება.

ამავე სცენის თარგმანში ვკითხულობთ: ესა რუ ქრისტეს წაგავს, ჭვარზე მიღურსმულსო. დედანში ეს მარატზეა ნათქვამი.

მარატთან ერთად პიესის მთავარი პერსონაჟია აგრეთვე მარკიზ დე ხადი. იგი არის ავტორი პ. ვაისის პიესაში „ჩადგმული“ პიესისა, რომელშიც თავისი თავიც ჰყავს გამოყვანილ ცხადია, ეს პ. ვაისის მიერ გამოყენებული ლიტერატურული მიხტიფიკაციის ხერხია, სინამდვილეში ასეთი პიესა ხადს არ დაუწერია, თუმცა კი იგი ცნობილი იყო, როგორც მწერალი, ავტორი ხადისტურა (ეს სიტყვა მისი გვარიდან მოდის) რომანებისა და პიესებისა, რომელთა შესახებ „მამაკაცსა და ქალში“ ვკითხულობთ: „სხვა იმდროინდელ პორნოგრაფიულ ნაწარმოებებთან შედარებით ხადის საზაგლობებს ყოველ შემთხვევაში ის უპირატესობა აქვთ, რომ ისინი აუტანელი საკითხავია და ამის გამო სრულიად მივიწყებულნი არიან“.

ხადისა და მარატის პოლემიკა პ. ვაისის ფანტაზიის ნაყოფია. პიესაში ხადი მარატს უპირისპირდება, როგორც უკიდურესი ინდივიდუალიზმის აპოლოგეტი. მისი მონოლოგები გამოირჩევა უდიდესი ცინიზმით, ამავე დროს, ეს გონებაშახვილი კაცის ცინიზმია, რის გამოც ერთიორად უფრო საშიშია. ყოველივე ეს შესანიშნავად აისახა თარგმანში. ვნახოთ ხაილუს-

ტრაციოდ ერთი ადგილი, სადაც სადი მარტს განუშარტავს, თუ რა არის, მისი აზრით, რევოლუცია:

„აი, რა არის რევოლუცია, მარტ! მათ კბილი სტკივით და კბილის ამოდება უნდათ, კერძი მიეწვათ და ადელვებულნი გემრიელ კერძს მოითხოვენ. ერთს დაბალი ქმარი ჰყავს და მაღალი უნდა. ერთს ფეხსაცმელი უჭერს, სხვის ფეხზე უფრო მორგებულს ხედავს. პოეტს შუზა არ მოხდის და სახიწარვეთილი ახალ აზრებს ეძებს. ერთი საათობით ჩასცქერის ანკებს და ბუზდუნებს, რატომ თევზი არ ეკარება მის ანკებს, და აი, ასე მოდიან ისინი რევოლუციასთან და მგონიათ, რომ რევოლუცია ყველაფერს მისცემს: თევზს, ფეხსაცმელს, ლექსს, ახალ ქმარს, ახალ ცოლს, ისინი იღუბენ ყველა ციხესამაგრეს, მაგრამ როდესაც უკან მოიხედავენ, მიხვდებიან, რომ არაფერი შეცვლილა. კერძი — მიმწვარია, ლექსი — გაფუჭებული, მეუღლე — აქოთებული და უძლური...“

ასევე შთამბეჭდავად გამოიყურებიან თარგმანში სხვა პერსონაჟებიც: დიუპრე, მარტის მეუღლე, კულმიე... ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხასიათები, ტემპერამენტები. შესანიშნავად არის თარგმნილი მეტად რთული სცენა „მარტის ბილგანი“.

ბოლოს კიდევ რამდენიმე შენიშვნა.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის დევიზი იყო „თავისუფლება, მშობა, თანასწორობა“ (ეგალიტე). ორიოდ შემთხვევაში „ეგალიტე“ (გერმანულად „გლაიჰჰაიტ“) თარგმნილია „ერთობად“ (გვ. 248, 282). საჭიროა აქაც იყოს „თანასწორობა“.

შეთორმეტე სცენაში სადი მარტს ეუბნება: „არა, მარტ, არა, არავითარი მდარე გრძნობები, შე ვიცი, რომ სულ სხვა რამ გვინდა (შე და შენ — ლ. ბ.). ჩვენთვის მხოლოდ უკიდურესობა არსებობს“. ამ ადგილის ზუსტად თარგმნას დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ სადი ცდილობს დაარწმუნოს მარტი, რომ მათ შორის არ არის არსებითი განსხვავება: ჩვენ ორკვე უკიდურესობას ველტვითო. ეს აზრი რომ უფრო ექსპრესიულად გადმოხცეს, აქ სადი ტავტოლოგიურ გამოთქმას ხმარობს: ჩვენთვის მხოლოდ „უკიდურესი ექსტრემიზმი“ არსებობსო. ვფიქრობ, თარგმანში უნდა დარჩეს ეს ტავტოლოგია. ამავე ციტატაში არის გამოთქმა „მდარე გრძნობები“, ორიგინალშია „წვრილმანი გრძნობები“. სადი ეუბნება მარტს: ნუ დაწვრილმანდები, ვიცი, რომ შენც ჩემნაირი ექსტრემისტი ხარო. ვფიქრობ, ნაცვლად თარგმანისხეული „არავითარი მდარე

გრძნობები“-სა, აჯობებს: „არა, მარტ, ნუ დაწვრილმანდები“ (ნაინ მარტ ქაინე ქლაინლიხენ გეფიულე). თანაც რემარკა „მარბითის ხმა“ უნდა არა ამ ციტატის შემოღობვას არამედ დასაწყისში.

„მარტის ბილგანი“

მეცამეტე სცენაში, კულმიეს ტექსტში ვკითხულობთ: „ხამღვდელთების ლოცვა-კურთხევის მაღლით მოხილა ჩვენი იმპერია“. „იმპერიის“ ნაცვლად უნდა იყოს „იმპერატორი“ („კაიზერ“).

ოცდამეხუთე სცენაში სადი ამბობს: „ჩვენი თავგანწირვის ფასი კაპიკია“. კაპიკი ფულის წმინდა რუსული ერთეულია, ამიტომ მსგავს შემთხვევებში, როგორც ცნობილი მთარგმნელი ნორა გალი გვიჩვენებს თავის წიგნში „სიტყვა ცოცხალი, სიტყვა მკვდარი“, უნდა გამოვიყენოთ გროში, რომელიც მრავალ ქვეყანაში იხმარება.

მეცამეტე სცენაში, რემარკაში ვკითხულობთ: „როსინიოლს ვარდების თაიგული უჭირავს“. „ვარდების თაიგულის“ ნაცვლად უნდა იყოს „კრილოხანი“ („როზენკრანც“).

ოცდამეექვსე სცენაში, მასწავლებლის სიტყვების წინ ასეთი რემარკაა: „მღერის წერიალა ხმაზე“. ორიგინალშია „ფისტელშტიმე“, რაც ფალცეტს ნიშნავს.

ოცდამეჩვიდე სცენაში სადი ამბობს: „ორმოცდაათმეტრიანი ქალაქის გრაგნილი...“, უნდა იყოს „ოცდაათმეტრიანი“.

„ეპილოგის“ თარგმანში სადის სიტყვები ასე უღერს: „აი, ასეთი გვექონდა განზრახვა: რადგანაც გვსურდა ჩაგვესახა თქვენში ექვები“. ეს ადგილი დაზუსტებას საჭიროებს. აქ ორიგინალშია: „...უმ დი შტენდიგენ ცვაიფელ ცუ ერბელლენ“ („ერბელლენ“ — შუქის მოფენა, განმარტება, ან გამოაშვარავება).

სადის ამ მონოლოგის ბოლოს აქვია ორი სტრიქონი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პერსონაჟის გაგებისათვის: აქ სადი აღიარებს, რომ მან ვერ გადაჭრა მის წინაშე დასმული ამოცანა.

მიესის ბოლოს კულმიე ამბობს:

გაუმარჯოს იმპერატორს, ფრანგ ერს!
გაუმარჯოს სამკურნალო „მარანტონს“!

ღედანში ეს სტრიქონები გართმულია მარტივი რითმით: ნაციონ — მარანტონ, თარგმანში თუ ადგილს შევუნაცვლებთ „ფრანგ ერსა“ და „იმპერატორს“. მარტივ რითმას აქაც მივიღებთ:

გაუმარჯოს ფრანგ ერს, იმპერატორს!
გაუმარჯოს სამკურნალო „მარანტონს“!



ლიტერატურულ ურთიერთობათა თეორიის ზოგიერთი საკითხი

ყოველმა ერმა შეიძლება ისწავლოს და
უნდა ისწავლოს კიდევ სხვა ერისაგან.

მარქსი

ლიტერატურათმცოდნეობიდან ლიტერატურულ ურთიერთობათა წინ წამოწევა და სიღრმისეული კვლევა დღევანდელი ეპოქითაა ნაკარნახევი. ესოდენ ინტენსიურ და მრავალფეროვან კონტაქტებს, როგორსაც ჩვენს სინამდვილეში ვხვდებით, არც ერთ ისტორიულ ეტაპზე არ ჰქონია ადგილი. ლიტერატურულ ურთიერთობათა მეცნიერული კვლევა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამ ურთიერთობათა დასაწყისს, ასე რომ, მკვლევარს შეუძლია თვალი მიადევნოს და გაანალიზოს მისი განვითარება ჩანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე.

ქართველი ხალხის ეროვნულ კულტურაში მისი განვითარების მრავალსაუკუნოვან გზაზე მხატვრულ ლიტერატურას წარმმართველი როლი ენიჭებოდა. ქართული მწერლობა ყოველთვის ხალხის მოწინავე იდეებს გამოხატავდა. ამასთანავე, ქართველები ოდითგანვე ცხოველ ინტერესს იჩენდნენ მსოფლიოს მოწინავე კულტურებთან ურთიერთობისადმი, თვალს ადევნებდნენ სხვა ქვეყნების ლიტერატურულ პროცესებს და საჭიროებისამებრ ითვისებდნენ მათ აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერდა: „ჩვენს ქვეყანას იზოლირებულად არასოდეს არ უცხოვრია. მას გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა სხვა მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებთან. მისი კულტურა და ლიტერატურა იმყოფებოდა მოწინავე ერთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთშემოქმედების სფეროში“¹. ამდენად, ქართული ლიტერატურა უმდიდრეს მასალს იძლევა ლიტერატურულ ურთიერთობათა თეორიის ნებისმიერი საკითხის გასაშუქებლად.

ლიტერატურულ ურთიერთობათა თეორიის საკითხზე, საგულისხმო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული ცნობილ სამჭოთა მკვლევარს ი. გ. ნეუპოკოევას. მან არაერთი ნაშრომი უქაღვანა ამ საკითხს. მასვე ეკუთვნის თვალსაზრისა

ლიტერატურული ურთიერთობების ორ ძირითად ტიპად დაყოფის შესახებ. მკვლევარს მიაჩნია, რომ ერებსა და ეროვნებებს შორის არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურულ ურთიერთობათაგან ორი ძირითადი ტიპი შეიძლება გამოიყოს: კონტაქტური და ლიტერატურული პროცესების ისტორიულად განსაზღვრულ მსგავსება?

ურთიერთობათა პირველ ტიპში ნეუპოკოევა რამდენიმე თავისთავადი მნიშვნელობის აქტუალურ საკითხს გამოყოფს: 1. ისტორიული ბედით ახლოს მყოფი ხალხების ლიტერატურული ურთიერთობები. 2. ლიტერატურული ურთიერთობები იმ ხალხებს შორის, რომლებიც მსგავს ისტორიულ პირობებში ვითარდებიან. 3. ლიტერატურული ურთიერთობები მსგავს ან ერთი და იგივე სალიტერატურო ენის მქონე ხალხებს შორის, 4. სხვადასხვა ისტორიულ პირობებში სხვადასხვა ეროვნულ მხატვრულ ტრადიციებზე ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ მიმდინარეობათა ურთიერთობები, რომელნიც ახლოს დგანან თავიანთი იდეურ-ესთეტიკური მიმართულებით. 5. ლიტერატურულ ურთიერთობათა როლი ახალგაზრდა ლიტერატურების ფორმირებისა და განვითარების საქმეში.

ლიტერატურულ ურთიერთობათა მეორე ტიპის შესახებ ნეუპოკოევა წერს, რომ სხვადასხვა ლიტერატურებში მსგავსი პროცესები, რომლებიც გამოწვეულნი არ არიან კონტაქტური კავშირებით, ზოგჯერ სინქრონულია, ზოგჯერ კი, ქვეყნების არათანაბარი ისტორიული განვითარების გამო, საუკუნეებითაც კი შორდებიან ერთმანეთს. ამავე დროს, სხვადასხვა ქვეყნების ისტორიულ-ლიტერატურული განვითარების მსგავსი პროცესები არასოდეს იგივეობრივი არ არის, ყველა ლიტერატურას შეაქვს რაღაც ახალი და ორიგინალური ისტორიულ-ლიტერატურულ პროცესში. ისტორიულ-ლიტერატურული გან-

ვითარება საერთო კანონზომიერებები მოცემული ლიტერატურების ეროვნული ფოკუსით ვლინდება.

«Разработка на конкретном историко-литературном материале этих проблем важна не только для понимания многих сложных процессов современной мировой литературы, но и для теории вопроса о литературных связях и взаимодействии».

ლიტერატურათა ურთიერთობა და ურთიერთ-ზემოქმედება ისტორიული კატეგორიაა და სხვადასხვა ისტორიულ პირობებში სხვადასხვა ინტენსივობით და ფორმებით ვლინდება.

ლიტერატურულ ურთიერთობათა წარმოშობას, ხარისხსა და ინტენსივობას ძირითადად ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა და გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს. ამ პირობებიდან ერთ-ერთი მაინც აუცილებელია დროის გარკვეულ მოხავევებში პერმანენტული ლიტერატურული ურთიერთობის არსებობისათვის. თუ ეს პირობები გამოირიცხა (ე. ი. თუ არ არსებობს ქვეყნებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობა და ტერიტორიულადც მოწყვეტილები არიან ერთმანეთს), ლიტერატურული კონტაქტები არასისტემატურ ხასიათს იძენს. ლიტერატურულ ურთიერთობათა ინტენსივობას ასევე მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის კულტურული განვითარების დონე. აქედან გამომდინარე ჩვენ მიგვაჩნია, რომ ლიტერატურულ ურთიერთობათა კონტაქტური ტიპიდან ორი ქვეტიპი შეიძლება გამოიყოს: პირობითად ვუწოდოთ მათ კანონზომიერი და სტიქიური.

რაც შეეხება ლიტერატურული პროცესების ისტორიულად განპირობებულ მსგავსებას, ვფიქრობთ, რომ იქიდანაც შეიძლება ორი ქვეტიპის გამოყოფა — 1. სხვადასხვა ქვეყნებში ერთი და იგივე ლიტერატურული მიმდინარეობების წარმოშობა და 2. სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებში მსგავსი თემატიკისა და მხატვრული ფორმების არსებობა. ჩვენ მიერ გამოყოფილი ქვეტიპები ლიტერატურულ ურთიერთობათა ყველა ფორმას მოიცავს, რომლებიც შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად — შემოქმედებითი, სამეცნიერო და სამეცნიერო-შემოქმედებითი დონეებზე.

თუ ამგვარად განვავრცობთ ნეუპოკოევას მიერ მოწოდებულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ტიპებს, მივიღებთ შემდეგნაირ სქემას.



ლიტერატურულ ურთიერთობათა კონტაქტური ტიპიდან აღნიშნული ორი ქვეტიპის ბევრთა გამოიყვნა შეუძლებელია. ისინი ეპოქის შესაბამისად მონაცვლეობენ. კანონზომიერი ურთიერთობანი შესაძლოა გადაიზარდოს სტიქიურში და პირიქით — სტიქიური ურთიერთობანი გარკვეულ ეტაპზე შეიძლება გახდეს კანონზომიერი, ორივე მათგანში არის აუცილებლობისა და შემთხვევითობის მომენტები (ერთი ეროვნების წარმომადგენელს გადმოაქვს სხვა ეროვნების ლიტერატურული ძეგლი გარკვეული მიზნით ან რაღაც შემთხვევით, სუბიექტური ინტერესისა თუ გემოვნების მიხედვით).

კანონზომიერი ლიტერატურული ურთიერთობანი მყარდება პოლიტიკურად და ეკონომიურად დაკავშირებულ, ან მეზობელ ქვეყნებს შორის. გეოგრაფიული ფაქტორი ერთგვარი კატალიზატორის როლს თამაშობს. სხვადასხვა შემთხვევაში ამ ფაქტორთაგან მხოლოდ ერთი, ორი ან სამივე ერთად უნდა ფიგურირებდეს ლიტერატურული ურთიერთობების დასამყარებლად.

ლიტერატურული კონტაქტებისათვის პოლიტიკური ერთობა ან კეთილგანწყობილი პოლიტიკა აუცილებელი არ არის. ქართველები საუკუნეთა მანძილზე მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ დამპყრობელ აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რაც ჩვენს ეროვნულ კულტურაში უცხოურ ელემენტთა შემოქრის საფუძველს წარმოადგენდა. ამასთანავე, დამპყრობელი და დაპყრობილი ქვეყნების ლიტერატურული ურთიერთობანი გარკვეულ შემთხვევებში ორმხრივ ხასიათს ატარებს. ამის საუკეთესო მაგალითია სპარსული და ქართული ლიტერატურების ურთიერთგამდიდრებისა და ურთიერთზემოქმედების პროცესში შექმნილი ქართული ეპოსის მნიშვნელოვანი ძეგლები (საგმირო რომანტიკული, დიდაქტიკური, საზღაპრო ეპოსის ნიმუშები), არაერთი ქართველი ფლობდა სპარსულ ენას, სპარსულად ქმნიდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს და ღირსეული ადგილიც ეჭირა სპარსული ლიტერატურის ისტორიაში (სოპრანა-

ბეგი, ქაიხოსრო ხანი, ნეინალ-ბეგი და სხვა საინტერესოა ის ფაქტი, რომ თუ დაპრობული ქვეყნის კულტურული დონე უსწრებდა დამპყრობელი ქვეყნის კულტურის განვითარებას, ზოგ შემთხვევაში ამ უკანასკნელის პოლიტიკურ-ეკონომიური და ფიზიკური ძლიერების მიუხედავად, იგი მაინც ექცეოდა დაპრობილი ქვეყნის კულტურის გავლენის ქვეშ. გავიხსენოთ ირანისა და არაბეთის ურთიერთობა. დაუსრულებელი ომებისაგან პოლიტიკურად და ეკონომიურად დაძაბული ირანი ხელს იგდო არაბებზე, რომელსაც ბრძოლებში უკვე მრავალი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული. „არაბებმა მალე განიცადეს ირანული კულტურის გავლენა. სასანელთა ეპოქის დიდი კულტურული შემოქმედება მათთვის გახდა ყურადღებისა და პატივისცემის ღირსი. იწყება საშუალო სპარსულზე შექმნილი ლიტერატურული ძეგლების თარგმნა არაბულად“⁴. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აბასიანთა სახალიფოში (750-1258) შეინიშნება ირანის კულტურული ტრადიციების გაძლიერება და საერთოდ მათი კულტურა ძველი ირანული კულტურის მემკვიდრეობას წარმოადგენს. ამდენად, არაბეთის მიერ დაპრობილი ირანი ერთგვარად თავად განაპირობებდა არაბული კულტურის განვითარებას გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე. ასე რომ, ლიტერატურათა ისტორია იცნობს სხვა ეროვნულ კულტურაში რაციონალური მარცვლის მოძებნისა და მისი ათვისების ტრადიციას. როგორც ლენინი მიუთითებს, ჯერჯერობით ნაციონალური კულტურა თვითველ ნაციონალურ კულტურაში“⁵ და მათში პროგრესულის დანახვა და გადმოღება, ცხადია, ამდიდრებს ნებისმიერ ნაციონალურ კულტურას. რაც უფრო მაღალია ერის კულტურული დონე, მით უფრო ფართო ლიტერატურულ კონტაქტებს ამყარებს იგი სხვა ქვეყნებთან.

ქართველი მოღვაწენი არასოდეს გაურბოდნენ სხვა ლიტერატურათა ნიმუშების გადმოღებას. ისინი უყურადღებოდ არ ტოვებდნენ და ითვისებდნენ ყოველივე რაციონალურს როგორც კეთილგანწყობილი, ასევე დამპყრობელი ქვეყნებისაგან, შემოჰქონდათ არა მარტო ერთმორწმუნე, არამედ რელიგიურად განსხვავებული ხალხების სულიერი სიმდიდრენი.

ქართულ კულტურაში უძველესი დროიდან ორი ნაკადის (აღმოსავლური და დასავლური) ისტორიულ თანაარსებობასთან გვაქვს საქმე. ეს არა ერთი მიზეზითაა გამოწვეული: უპირველესად უნდა აღინიშნოს ქართველთა ძლიერი ინტერესი ყოველივე საუკეთესოს, პროგრესულის შეთვისებისადმი, ამასთანავე არანაკლებ როლს თამაშობდა რომაელთა, სპარსთა და არაბთა პოლიტიკური გავლენა (რაც კულტურული ურთიერთობის გაფართოებას უწყობდა ხელს) და გეოგრაფიული არეალი — საქართველო თავისი ადგილმდებარეობის გამო ერთმანეთთან აკავშირებდა კონტინენტის ევროპულ და აზიურ ნაწილებს და განაპირობებდა ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. ცნობილია, რომ ინტენსიური მოღვაწეული საქონელი საქართველოს გავლით შედიოდა დასავლეთში. დასავლეთში კი ცივილიზაციის მნიშვნელოვან კერას საბერძნეთი წარმოადგენდა. „ელინიზმმა თვალაჩინო გავლენა მოახდინა საქართველოზეც. საქართველოს აღებ-მიცემა გარეშე ქვეყნებთან ახლა უფრო ცხოველი გახდა, ვაჭრობას კიდევ თან სდევდა კულტურულ მონაპოვართა და გამოცდილების განიარება. უფრო, ვიდრე ეს მანამდე იყო, გავრცელდა ჩვენში ბერძნული ენა და ბერძნული მწერლობა“⁶. ქართულ-ბერძნულ ლიტერატურულ ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია აქვს, ეს ურთიერთობანი კიდევ უფრო გაძლიერდა და ინტენსიური გახდა „ბიზანტიურ“ პერიოდში. ათონის სალიტერატურო სკოლაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა მათი განმტკიცების საქმეში, რამეთუ იქ ორიგინალურ მოღვაწეობასთან ერთად თრმზრივ მთარგმნელობით საქმიანობას ჰქონდა ადგილი.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ კონტაქტებს თანაბრად განაპირობებდა ჩვენ მიერ დასახელებული სამივე ფაქტორი და სწორედ მათმა ერთიანობამ ოდითგანვე განსაზღვრა ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული კონტაქტების ინტენსივობა და დაამკვიდრა მკვიდრო კულტურული ურთიერთობა ცივილიზებულ მსოფლიოსთან.

ლიტერატურულ ურთიერთობათა მეორე ქვეტიპს კი სტიქიური ურთიერთობანი განეკუთვნება. სტიქიურ ლიტერატურულ ურთიერთობებად ჩვენ მიგვაჩნია ის ტემპორალური კონტაქტები, რომლებიც შესაძლებელია დამყარდეს პოლიტიკურ-ეკონომიურად სუსტად დაკავშირებულ ან ამ თვალსაზრისით საერთოდ გათიშულ, ტერიტორიულად მახლობელსა თუ დაშორებულ ქვეყნებს შორის. ლიტერატურული ურთიერთობების ეს ქვეტიპი ისევე, როგორც საერთოდ ლიტერატურული ურთიერთობანი, შეიძლება განპირობებული იყოს ამა თუ იმ აუცილებლობით ან რაიმე შემთხვევითობით.

ისტორიულ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ქართველები და რუსები ისტორიულ ასპარეზზე ვერ კიდევ კიევის რუსეთის ეპოქაში შეხვდნენ ერთმანეთს. იმია გამო, რომ ისინი პოლიტიკურად, ეკონომიურად და გეოგრაფიულადაც დაშორებული იყვნენ, მათი ურთიერ-

თობები თავიდან არასისტემატური იყო. დროთა განმავლობაში ქართულ-რუსულმა ურთიერთობებმა მრავალმხრივი ხასიათი მიიღო და გაფართოვდა, ხოლო საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაიზარდა, გაღრმავდა, დიალექტიკურად განვითარდა და ისტორიული აუცილებლობით გახდა ნაკარნახევი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ასევე სტიქიურიდან ისტორიულად განპირობებულში გადაიზარდა საქართველოს ურთიერთობანი მოძმე რესპუბლიკებთან, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მათგანთან ეს ურთიერთობანი ძველთაგანვე ისტორიულად იყო განპირობებული (სომხეთი, აზერბაიჯანი, და სხვა), მოძმე ხალხთა ეროვნული ლიტერატურებით შეიქმნა მრავალფეროვანი საბჭოთა ლიტერატურა. „მაგრამ საბჭოთა ლიტერატურა ეროვნული ლიტერატურების უბრალო ჯამი არ არის, იგი ერთიანი და მთლიანია თავისი იდეურ-მხატვრული პრინციპებით, იგი ერთი, ამასთან ყველაზე მოწინავე მხატვრული მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ეპოქისეული წარმონაქმნია. სწორედ ამითაა გაპირობებული სოციალისტური ერების ლიტერატურათა შინაგანი სიხალადე“⁷ ერთიანმა პოლიტიკამ, ეკონომიკამ და იდეოლოგიამ გამოიწვია საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მხატვრულ ფასეულობათა ურთიერთგაზიარების აუცილებლობა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, XVII საუკუნიდან მოკიდებული დასავლეთ ევროპის ქვეყნები დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოსადმი. XVIII საუკუნიდან ქართველებმაც შესამჩნევად აიღეს გუზი დასავლეთზე და მიზნად დაისახეს ჩვენში ევროპული კულტურის შემოტანა, მაგრამ ეს ურთიერთობები თავდაპირველად პერიოდულად ხორციელდებოდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე საქართველოში აღმოსავლური ლიტერატურის თარგმანები სქარბობდა, რაც ისტორიულად განპირობებული ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან უფრო და უფრო გაძლიერდა ინტერესი დასავლეთ ევროპის კულტურისადმი. რუსეთთან შეერთების შემდეგ შეწყდა აღმოსავლეთის დამპყრობელი ქვეყნების გამუდმებული თარგმნი და დასრულდა მათი პოლიტიკურ-ეკონომიური გავლენა საქართველოზე. ამან განაპირობა ლიტერატურულ ურთიერთობათა შესუსტებაც, თუმცა საუკუნეთა მანძილზე განპირობებული ტრადიცია უკვალოდ არ დაკარგულა. იგი კვლავაც გრძელდება. ძველ პერიოდთან შედარებით ქართულ-აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობანი ნაკლებად ინ-

ტენსიურია, მაგრამ იმის გამო, რომ აღმოსავლური ლიტერატურა წარმოადგენს მდიდარ სულიერ საგანძურს, დღესაც ითარგმნება მისი უძველესი თუ თანამედროვე ქმედებები, საქართველოში არსებობს ურთიერთდახმობითი ძლიერი სკოლა, რომელიც იკვლევს აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურების საკითხებს და ქართულ ლიტერატურასთან მათი ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორიას.

სადღეისოდ მასშტაბურ ხასიათს ატარებს ქართულ-ევროპული ურთიერთობანი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი გაცილებით ინტენსიური გახდა. ეს მასშტაბურობა და ინტენსიურობა ჩვენმა სინამდვილემ განაპირობა. ვარდა იმისა, რომ ქართულად ითარგმნებოდა ევროპული ლიტერატურის ნიმუშები და პირიქით — ევროპულ ენებზე ქართული ლიტერატურა, გაღრმავდა ინტერესი ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიული განვითარების შესწავლისადმი.

გეოგრაფიული ფაქტორი ზოგ შემთხვევაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარების საქმეში, მხედველობაში გვაქვს ლათინური ამერიკის, აფრიკის, აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყანა... მათი ლიტერატურებისადმი ინტერესის გაღვივება და თარგმნა მხოლოდ ჩვენს დროში დაიწყო. ასევე დასაწყის სტადიაშია ამ ლიტერატურათა შეცნობიერებული კვლევა: ეს ურთიერთობები დღესდღეობით მხოლოდ სტიქიურ ხასიათს ატარებს.

ამგვარად, სხვა ქვეყნებთან ქართული ლიტერატურის ურთიერთობათა რამდენიმე მაგალითზე ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა კანონზომიერი და სტიქიური ურთიერთობები, მათი თანაარსებობა, მდგრადობა და მონაცვლეობა ეპოქის შესაბამისად. ნათელი გახდა, რომ ეს ქვეტიპები კონტაქტური ტიპის ერთნაირად მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენს და მათი თანაარსებობის გარეშე ლიტერატურული ურთიერთობების განვითარება წარმოუდგენელია.

ახლა კი მოკლედ შევჩერდებით ლიტერატურულ ურთიერთობათა მეორე ტიპში (ლიტერატურული პრინციპების ისტორიულად განპირობებული მსგავსება) ჩვენ მიერ გამოყოფილ ორ ქვეტიპზე. მათი კვლევა უშუალოდ ტიპოლოგიის სფეროს განეკუთვნება.

სხვადასხვა ქვეყანაში ერთი და იგივე ლიტერატურული მიმდინარეობის წარმოშობას, ცბადია, ძირითადად მსგავსი წინაპირობები, მსგავსი ბაზისი განსაზღვრავს. თუმცა მათი თანაფარდობა რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში განსხვავებულია საზოგადოებრივ-ეკონომიურა

და ისტორიულ-პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად.

ასე მაგალითად, რომანტიზმმა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს პროგრესული ლიტერატურები მოიცვა. იმის მიუხედავად, რომ ევროპული რომანტიზმის ნიმუშები ქართულად ითარგმნებოდა, ქართულმა რომანტიზმმა შეინარჩუნა ეროვნული თვითმყოფადობა, გამოიყენა ქართული პოეზიის მდიდარი ტრადიციები და არ განიცადა ევროპული რომანტიზმის მძაფრი და ზედმეტი გავლენა. ასევე, ძალიან ნაკლებად განიცადა სხვა ევროპული ქვეყნების რომანტიზმის გავლენა ინგლისურმა რომანტიზმმა. ქართულ და ინგლისურ რომანტიზმს საერთო ამოსავალი წერტილების გარდა, რაც საზოგადოდ რომანტიზმს გააჩნია, სპეციფიკური თავისებურებანიც ახასიათებს. რამდენადაც ქართველი პროგრესული საზოგადოებრიობის წინაშე ძირითადად ეროვნული საკითხი იდგა, ამდენად სწორედ იგი გახდა ქართული რომანტიკული სკოლის მამოძრავებელი ძეგლი. ინგლისურ რომანტიკულ პოეზიაში კი სოციალური საკითხები წინ წამოწეული, რაც ეპოქის გამოძახილს წარმოადგენდა.

„ქართულ და ინგლისურ რომანტიზმთა მშობლიურ ქვეყნებს დიდი მანძილი აცილებს ერთმანეთს. და მაინც ეპოქის მოწინავე იდეებმა, საოცარმა აღლომ პროგრესული იდეებისადმი, ეპოქის მთავარი გეზის დროის მაჯისკემის სათუთმა გრძნობამ განაპირობა ქართველი და ინგლისელი პროგრესული, რევოლუციური რომანტიკოსების შემოქმედების იდეური ნათესაობა.

უნობრივი, ენარტული, სიუჟეტური თუ თემატიკური ახვობების უკან იგრძნობა სულთა და იდეათა, განწყობილებათა და მიზანსწრაფვათა ნათესაობა.“²

ასევე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა ქართული და უკრაინული რომანტიზმი, მაგრამ მათი მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე მათგანში მაგისტრალურ ხაზს ეროვნული საკითხი წარმოადგენს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებით შეინარჩუნებულ უკრაინულ პროგრესულ რომანტიზმში საზოგადოებრივი განვითარების მოწინავე ტენდენციები აისახა. ასევე ეროვნულ-განმათავისუფლებელი საკითხია წინ წამოწეული იტალიურსა და უნგრულ რომანტიზმში, რაც მათი ეროვნული ტიპილებით იყო გამოწვეული, ხოლო რამდენადაც ინგლისისა და საფრანგეთისათვის ეროვნული საკითხი ძირითადი არ იყო, ამდენად მათი რომანტიზმის ყურადღების ცენტრში მწვავედ იდგა სოციალური პრობლემები. საქართველოსა და მისგან სოციალურ-

პოლიტიკურად დაცილებულ ქვეყნებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოცენებულ ერთსა და იმაზე ლიტერატურულ მიმდინარეობაში მსგავსი ისტორიული პრობლემების შესაბამისად ლიტერატურის ძირითად ქვეყნობედს ერთი და იგივე პრობლემა წინაშე იდგენს.

ლიტერატურულ ტრადიციებში სერიოზულ ნაკადს ქმნის სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებში მსგავსი თემატიკისა და მხატვრული ფორმების არსებობა; ეს კი იმით აიხსნება, რომ ყველა ეროვნულ ლიტერატურას განსაკუთრებულთან ერთად ზოგადი ნიშნებიც გააჩნია.

გავიხსენოთ მსოფლიო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული კავშირი მხატვრულ ლიტერატურასა და ხალხურ შემოქმედებას შორის. ცნობილი მწერლები არა მარტო ღრმად იცნობენ ფოლკლორულ მასალას, არამედ ფართოდ იყენებენ მას თავიანთ შემოქმედებაში. ვაჟა-ფშაველა, რომელმაც ხალხურ წყაროზე არაერთი ნაწარმოები აამეტყველა, წერდა: „...ყოველი დიდებული საკაცობრიო ნაწარმოები შექსპირისა, გოეტესი ხალხურ თქმულებათაზეა იმუნებული... ავტორები „ფაუსტს“ გოეტეს გარდა ასობითა ჰყვანდა, მაგრამ გოეტეს მეტმა ჩამდვილი „ფაუსტის“ დაწერა ევრაყინ შეძლო, რადგან საკუთარმა სულიერმა ქურამ სხვა მწერალთა ვერ შეძლო გადღუღება ხალხისაგან მოცემულის მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა. ასევე დაემართათ შექსპირის „ჰამლეტს“, „მეფე ლირს“, „რომეო და ჯულიეტას“ და სხვა. ასევე ითქმის დიდებულს შოთაზე და მის „ვეფხისტყაოსანზე“.³

გავიხსენოთ ორი სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი — ქართული კრიტიკული რეალიზმის ზემბერაზი ვაჟა-ფშაველა და ინგლისური წინარომანტიზმის თვალსაჩინო პოეტი რობერტ ბერნსი. მათ შემოქმედებას რამდენადმე მნიშვნელოვანი მომხენტი აახლოებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ ხალხურ პირველწყაროებს ორივე უზვად იყენებს — მათი არაერთი ნაწარმოები შექმნილია ფოლკლორულ ძირზე, ორივე თავთავიანთ დიალექტზე წერდა. ამასთან, ფშაველი დიალექტი არ წარმოადგენდა ვაჟასათვის თხრობის ერთადერთ საშუალებას, ისევე როგორც შოტლანდიურა დიალექტი ბერნსისათვის. ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველას პროული ნაწარმოებები და ბუბლიციისტური წერაები, ისევე, როგორც ბერნსის შემოქმედების ნაწილი, დაბვეწილი სალიტერატურო ენით იწერებოდა. ორთავენი, როგორც უბრალო ხალხის წიაღიდან გამოსული პოეტები, ხშირად ჩვეულებრივ ქუმბურთ, პატ-

როტული და ეროვნული სულიკვეთების რიგით აღამიანებს ხატავდნენ. ჩვენ არაფერს ვამბობთ ამ ორი მწერლის პოეტურ აზროვნებაში არსებულ მრავალრიცხოვანსა და მრავალმხრივ განსხვავებებზე. ურომლისოდაც წარმოუდგენელია ორი წიგნისმიერი მწერლის შემოქმედება.

რაც შეეხება მხატვრული ფორმების მსგავსებას, საერთოდ ხშირად შეიძლება მათი მოძებნა როგორც ერთი და იგივე, ასევე სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობის მწერალთა შემოქმედებაში. გავიხსენოთ „საშობაო მინიატურები“ და „საშობაო მოთხრობები“ ქართულსა და ინგლისურ ლიტერატურებში. ქართველმა იმპრესიონისტმა მწერალმა ნიკოლოზიძემ და ინგლისური კრიტიკული რეალიზმის დიდებულმა წარმომადგენელმა ჩარლზ დიკენსმა შობის დღესასწაულის ფონზე თავისი ეპოქის ღრმა ტკივილები აღწერეს. მათ ნაწარმოებში შობის დღესასწაული არის საერთო ფონი, რომელზეც ქართველმა მწერალმა ეროვნული, ხოლო ინგლისელმა — სოციალური ტრაგედია წარმოაჩინეს. ასევე შეიძლება სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა ძეგლებში მხატვრულ საშუალებათა, მხატვრულ სახეთა მსგავსება აღმოვაჩინოთ. სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა დროის განსხვავებული მიმდინარეობის ლიტერატურებში პარალელური თემატიკის, იდეებისა და მხატვრული ფორმების არსებობა ერთხელ კიდევ მეტყველებს იმაზე, რომ ესა თუ ის ეროვნული ლიტერატურა სხვა ლიტერატურებისაგან მოწყვეტილად არ არსებობს.

ჩვენ მიერ განხილული ქვეტიპები დღემდე არსებულ ლიტერატურულ ურთიერთობათა უველი ფორმის აერთიანებს. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მრავალჯერ შეიცვალა ცალკეულ ფორმათა მნიშვნელობა და ზვედრითი წონა, თუმცა თითოეულმა მათგანმა სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე თავისი როლი შეასრულა ერების სულიერი დაახლოებისა და ლიტერატურათა ურთიერთგამდიდრების კეთილშობილურ საქმეში.

„ლიტერატურულ ურთიერთობათა განხორციელება სხვადასხვა ფორმად ხდება. სამწუხაროდ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ფორმათა ნაირსახეობანი დღესდღეობით ჯერ კიდევ არ არის სათანადო სიზუსტით გამოყოფილი და კვალიფიცირებული“...¹⁰

სქემაშიც მივუთითეთ და კიდევ ვიმეორებთ, რომ ლიტერატურულ ურთიერთობათა ძირითადი ფორმები თავისი ხასიათის მიხედვით შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: შემოქმედებითი ხასიათის, სამეცნიერო ხასიათის და L-მეცნი-

ერო-შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებები.

პირველ ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს — თარგმანი, გადმოკეთება, მიბადება, საშუალების სესხება, გაელენა, ანალოგია, სტალიზაცია, ინონაციონალური თემატიკის მკვლევართობათა ის ფორმები რომლებიც მშობლიურ ენაზე შემოქმედებით ხასიათს ატარებს და უშუალოდ მხატვრულ ლიტერატურაში გლინდება.

სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმები მოიცავს სხვა ქვეყნებში ლიტერატურული ცხოვრების ამსახველ ხარკვევებასა თუ კრიტიკულ მიმოხილვას, ეცნობური კრიტიკული ლიტერატურის თარგმანებს, მონოგრაფიებს უცხოელ მწერლებზე. ფორმათა ეს ჯგუფი ლიტერატურათმცოდნეობის სფეროს განეკუთვნება.

სამეცნიერო-შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებებში შედის ერთობლივი სიმპოზიუმები, კონფერენციები, სემინარები, დისპუტები, თათბირები, საიუბილეო-შემოქმედებითი საღამოები და სხვა.

ზემოთდასახელებულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმები დაწვრილებითსა და ღრმა შესწავლას მოითხოვს, ისინი თანამედროვეობას უდიდეს ამოცანას — ერთა დაახლოებას ემსახურება. ლიტერატურულ ურთიერთობათა საბოლოო მიზანია ხალხთა ურთიერთდაახლოება და ურთიერთგამდიდრება. ვინაიდან ეს ურთიერთობებები სწრაფი ტემპით ვითარდება, ხულ უფრო ღრმავდება და ინტენსიური ხდება, ბუნებრივია, ჩქარდება ლიტერატურების ურთიერთგამდიდრების პროცესი, რაც საბოლოო ანგარიშში ერთა დაახლოებას უწყობს ხელს.

ამასთან დაკავშირებით წამოიჭრა ფრთად საგულასხმო პრობლემა. საითკენ მივყავართ ლიტერატურათა ურთიერთშემოქმედებისა და ურთიერთგამდიდრების ინტენსიურ პროცესს? ხომ არ გამოიწვევს ეს ეროვნული ხასიათისა და ფორმის კვდომას და ლიტერატურის ეროვნული ნიშნების წაშლას?

ლიტერატურათა ურთიერთდაახლოების პროცესი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარადიული დაახლოების პროცესია. გაძლიერებული კონტაქტების პირობებში ხდება ლიტერატურათა უსასრულო დაახლოება, მაგრამ ეს არ გულისხმობს ტოლობის ნიშნის დასმას ყველა ან ცალკეულ ლიტერატურებს შორის არც უახლოეს და არც შორეულ მომავალში. სანამ ერთი არსებობს, იარსებებს მისი ლიტერატურაც.

ეროვნული ფორმა და შინაარსი ლიტერატურაში ხანგრძლივი ისტორიული განვითარების მანძილზე ყალიბდება. მასზე მოქმედებს ერის ისტორიული ცხოვრება, ბუნებრივი თუ სოცი-

ალურ-ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, ეროვნული ნიშნები უცვლელ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ, გაყინულ ფენომენად არ გვევლინება. ბუნებაში არსებული ყველა მოვლენის მსგავსად ისიც იცვლება, იხვეწება, გარდაიქმნება და დიალექტიკურად ვითარდება ზემოთ დასახელებული მომენტების ცვლასა და განვითარებასთან ერთად. ამავდროს სხვადასხვა ლიტერატურებში მსგავსი, მონათესავე ან იდენტური ნიშნები ჩნდება.

სამართლიანად მიუთითებს აკად. გ. ლომიძე: „ნაციონალური ფორმა ბუნებაში დისტილირებული სახით არ არსებობს. ლიტერატურის ეროვნული ფორმა სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ამა თუ იმ ნაციონალური ფორმის ნიშანდობლივი თავისებურებები უკვე აღარსად მეორდება. ყოველ ეროვნულ ფორმაში არის აგრეთვე საყოველთაოც, ინტერნაციონალურიც. ამ საყოველთაოს გარეშე ერთი ეროვნების წარმომადგენლისათვის გაუგებარი იქნებოდა მეორე ეროვნების კულტურა და პირობით, მის გარეშე გაქრებოდა მხატვრული ტკბობის გრძნობაც.“¹¹

ლიტერატურათა ურთიერთდაახლოება და ურთიერთგამდიდრება არავითარ შემთხვევაში არ

გვევლინება ეროვნული ნიშნების კვდომის წინამორბედად. ლიტერატურულ ურთიერთობათა ასეთი გაგება არამეცნიერული და უკიდურესად ცალმხრივი პოზიციაა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს რეალობასთან.

ყოველ ეროვნულ ლიტერატურას თავისი სპეციფიკური ნიშნები გააჩნია, რაც მას გამოარჩევს სხვა ეროვნული ლიტერატურებისაგან. ეს კი სრულიად არ ნიშნავს, რომ მსოფლიო ლიტერატურული პროცესი დანაწევრებულია, ან სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურათა შექანიკურ ჯამს წარმოადგენს. ყოველ ეროვნულ ლიტერატურას სპეციფიკურთან ერთად ზოგადი ნიშნებიც გააჩნია, რაც მსოფლიო ლიტერატურას ერთგვარ შინაგან ბირთვს ქმნის. სწორედ ამდენადაა შეუძლებელი კონკრეტული ეროვნული ლიტერატურების კვლევა სხვა ლიტერატურებთან მიმართებას გარეშე. ყოველ ეროვნულ ლიტერატურას თავისი წვლილი შეაქვს ერთიანი მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში.

ლიტერატურულ ურთიერთობათა თეორიული საკითხების შესწავლა, ცალკეული ქვეყნების ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა მსოფლიო ლიტერატურული პროცესის სრულყოფილად წარმოჩენას ემსახურება.

ლიტერატურა.

1. ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 43.
2. Неупокоева И. Г. Некоторые вопросы изучения взаимосвязей и взаимодействия национальных литератур. М., 1960, ст. 14.
3. იქვე, გვ. 16.
4. კობიძე დ. — სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1975, გვ. 50.
5. ლენინი ვ. ი. — კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხებზე, თბ., ტ. 20, 1951, გვ. 21.
6. ჯავახიშვილი ივ., ბერძენიშვილი ნ., ჯანაშია ს. — საქართველოს ისტორია უძველეს დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, თბ., 1943, გვ. 52.
7. ციციშვილი გ. — ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი სხვა ერებთან და მათი შესწავლა ჩვენს დროში. ეპოქა და ლიტერატურა, თბ., 1981, გვ. 133.
8. ნუცუბიძე თ. — პარალელური თემები და იდეები ქართულ და ინგლისურ რომანტიკულ პოეზიაში. კრებული: ლიტერატურული ურთიერთობანი, VI, თბ., 1976, გვ. 192.
9. ვაჟა-ფშაველა, — კრიტიკა ბ. იბ. ვართაგავასი, IX, 1964, გვ. 382.
10. ციციშვილი გ. — ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი სხვა ერებთან და მათი შესწავლა ჩვენს დროში, გვ. 97.
11. ლომიძე გ. — თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის თეორიული პრობლემები თბ., 1977, გვ. 78.





ეშერის სამყარო

მორიც კორნელის ეშერი დაიბადა 1898 წლის 17 ივნისს ნიდერლანდებში, ფრისლანდიის პროვინციის დედაქალაქ ლეეჰარდენში. ურბობის წლები გაატარა არნჰემში გაატარა, სადაც დაამთავრა საშუალო სკოლა. ეშერი სკოლაშივე გაიტაცა ხატვამ. ხატვის მასწავლებელმა პაგენმა წახალისა უმწველი და ასწავლა ზოგიერთი გრაფიკის შესრულება. ამ გრაფიკების უმეტესობა ეშერმა ლინოლეუმზე ამოკვეთა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მამის რჩევით, ეშერი გაემგზავრა პარლემის არქიტექტურისა და დეკორაციული ხელოვნების სასწავლებელში არქიტექტურის შესასწავლად. აქაურ პროფესორთაგან ერთ-ერთი იყო პოლანდიელი მხატვარი სამუელ იესურენ დემესკიტა, რომელმაც ურადღებდა მიაცნია ეშერის ტალანტი გრაფიკაში. სწორედ მისი რჩევით, ეშერმა შეწყვიტა არქიტექტურის შესწავლა და 1919 წლიდან 1922 წლამდე მესკიტას ხელმძღვანელობით ოვალურ-ხაზოვან გრაფიკაში ოსტატდებოდა.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ეშერი ბევრს მოგზაურობს. 1922 წლის გაზაფხულზე იტალიაში გაემგზავრა. ამავე წლის შემოდგომაზე კი ესპანეთში იმოგზაურა. ესპანეთიდან მხატვარი ისევ იტალიაში დაბრუნდა, იტალიამ იმდენად მოხიბლა, რომ 1923 წელს გადავიდა რომში და 1935 წლამდე იქ ცხოვრობდა.

რომში ცხოვრების დროს, ყოველ გაზაფხულზე, ეშერი დიდი ხნით მიემგზავრებოდა იტალიის სხვადასხვა კუთხეში, ბევრს დადიოდა ფეხით. შეისწავლა ტევინის იმდროისათვის არაბთულარული და ძნელად მისადგომი სამხრეთი ნაწილი.

ძნელია ვალდაკვალ მივყვეთ ეშერის ადრეული წლების ადგილ-სამყოფელს. ცნობილია, რომ 1926 წელს იგი ვიტერბოს მიდამოებში იმყოფებოდა; 1927 წელს აბრუციის ჩრდილოეთ ნაწილში, 1928 წელს — კუნძულ კორსიკაზე; 1929 წელს — აბრუციის სამხრეთ ნაწილში, ხოლო 1930 წელს — კალაბრიის ნაევლებად ცნობილ ქალაქებში.

1931 წელს ეშერი ამაღუბის სანაპიროზეა; 1932 წელს ჯერ კარგინოში გაემგზავრა, მოგ-

ვიანებით კი ეტნის მთის მიდამოებსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ სიცილიაში.

1933 წელს მხატვარი კვლავ კორსიკას ეწვია; 1934 წელს ისევ ამაღუბის სანაპიროს, ხოლო 1935 წელს კი ერთხელ კიდევ იმოგზაურა სიცილიაში.

ამ მოგზაურობების დროს ეშერი ხატავდა ყველაფერს, რაც აინტერესებდა, ხოლო ზამთარში საუკეთესო ჩანახატებს დეტალურად ამუშავებდა გრაფიკებისათვის.

30-იან წლებში იტალიაში ფაშისტურა რეჟიმის დამყარებამ აუტანელი გახადა ეშერისათვის რომში ცხოვრება. ამიტომ 1935 წლის ივლისში იგი საცხოვრებლად შევიცარიაში გადავიდა, სადაც 1937 წლამდე დაჰყო. შემდეგ ცხოვრობდა იუკელაში, ბრიუსელის მახლობლად, ხოლო 1941 წელს დაბრუნდა სამშობლოში და დასახლდა ბარნში, სადაც 1970 წლამდე ცხოვრობდა. წლის ბოლოს საცხოვრებლად ლარენში გადავიდა და იქ გარდაიცვალა 1972 წლის 27 მარტს.

1937 წლიდან ეშერი იშვიათად იმოგზაურობდა, უმეტესად უცხოეთში მცხოვრებ შვილებს თუ მოინახულებდა. რამდენიმეჯერ იგი საერთაშორისო ხელოვნებაზე ლექციების წასაკითხად მიიწვიეს. ასე მოიარა მან ინგლისი, კანადა და შეერთებული შტატები. თუმცა ამ მოგზაურობებს ეშერის ხელოვნებისათვის აღარ მქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან იმავე 1937 წლიდან ძირეული ცვლილება მოხდა მის შემოქმედებაში. ამ პერიოდიდან მისი გრაფიკები აღარ ემყარება რეალურ სამყაროს და უმთავრესად მხატვრის შინაგანი ფანტაზიის, მისი მხედველობითი ფიქრის შედეგს წარმოადგენს.

ეშერის შემოქმედებაში მომხდარი ცვლილება იმდენად მკვეთრია, რომ მის შემოქმედებაში შეიძლება ორი პერიოდი გამოვყოთ. 1937 წლამდე და 1937 წლიდან სიკვდილამდე.

1937 წლამდე შესრულებული გრაფიკები ურადღებდას იბყრობს რეალური სინამდვილის, უმთავრესად იტალიის პეიზაჟებისა და დიდი და პატარა ქალაქების არქიტექტურული ნაგებობების თავისებური ასახვით. ამ გრაფიკებ-

ში ბუნების სურათი თუ არქიტექტურული შენობა გამოსახულია ზუსტად და რეალურად. ეს რეალიზმი გვიჩვენებს ეშერის მიერ საგნების აღქმის ნათელ და ამივე დროს ძალიან ინდივიდუალურ გზას, რომელიც გამოიხატება უჩვეულო და უსწორმასწორო კვადრების, მცენარეების, ღრუბლების ფორმებისა და არქიტექტურული დეტალების მიმართ განსაკუთრებულ აქცენტირებაში.

უნდა ითქვას, რომ 1937 წლამდე შესრულებულ ნამუშევრებშიც კი ეშერი არ ისახლვრებოდა მხოლოდ ხილვადი სამყაროს გამოსახვით, ამ პერიოდის რამდენიმე გრაფიურაში მან მოგვცა საკუთარი წარმოდგენით შექმნილი ფორმები, რომელთა რიცხვს განუკუთვნიან: „ციხესიმაგრე პაერში“ „ბაბილონის კოშკი“ და „ოცნება“. ამათგან პირველ ორ ნამუშევარში ჩვენ ვხვდებით სინაღლის, სივრცისა და სიღრმის საოცარ ურთიერთშერწყმას. რაც შეეხება „ოცნება“-ს ეს არის მაგალითი სინამდვილის სხვადასხვა ფაქტორების შეერთების მეორე გზისა, რომელიც ეშერმა რამდენიმეჯერ გამოიყენა ამ პერიოდში შექმნილ სხვა გრაფიურებშიც.

„ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტის, კერძოდ, ხეზე შესრულებულ გრაფიურებში სინათლიდან ჩრდილისაკენ თანდათანობითი გადასვლის ეშერისეული ცდა, აქ ჩრდილი არა თეთრისა და შავის არასტრუქტურული ნარევი, უფრო შავი და თეთრი ხაზების სერიებს წარმოადგენს. განათებული გამოსახულება თხელი შავი ხაზებისა და უფრო ფართო თეთრი ხაზების ურთიერთშერწყმით, მონაცვლეობით განისაზღვრება. გამოსახულების გაშუქება ხდება შავი ხაზების თანდათანობითი გაფართოებით და თეთრი ხაზების თანდათანობით შევიწროებით. ამ პრობლემასთან დაკავშირებული ეშერისეული ცდები განსაკუთრებით ცხადად ჩანს გრაფიურაში „ბაბილონის კოშკი“.

„ციხესიმაგრე პაერში“, „ბაბილონის კოშკი“ და „ოცნება“ ეშერისეულ ექსტრავაგანტურ სამყაროს გამოხატავენ.

უცნაური და ღრმად ინდივიდუალურია მხატვრის ფანტაზია გრაფიურაში „რვა თავი“. ეს არის მაგალითი ეშერის ხელოვნების იმ სტილისა, რომელმაც 1937 წლის ჩათვლით დაიკავა განცალკევებული და მეორეხარისხოვანი ადგილი მის შემოქმედებაში. საოცარი მაინც ის არის, რომ ამ ნამუშევრებშიც სინამდვილის სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთშერწყმა შეცვლილია უჩვეულო ორმაგი კონტურების გამოყენებით.

1929 წლამდე ეშერი მუშაობდა ხეზე შესრულებული გრაფიურისათვის საჭირო ტექნიკით.

შემდგომში მნიშვნელოვანი დრო ქვაზე ამოკვეთილ გრაფიურებს დაუთმო. 1931 წლიდან კი თავის შემოქმედებაში თანაბრად იყენებდა როგორც ქვის, ასევე ხის მასალას.

1935 წელს ეშერმა დატოვა იტალია და მცირე ხანს შვეიცარიაში და ბელგიაში ცხოვრობდა, ხოლო 1941 წელს ნიდერლანდებში გადასახლდა. ამ დროისთვის ბუნებამ და არქიტექტურულმა ნაგებობებმა დაკარგეს ეშერისათვის პირვანდელი მიმზიდველობა. მხატვარი ფანტაზიამ შთანთქა და სულ უფრო ნაკლებად აინტერესებდა ხილვადი, რეალური სამყაროს ასახვა.

1937 წლამდე შესრულებულ გრაფიურებში თანაბრად იგრძნობა როგორც ვარე სამყაროს მძაფრი აღქმა, ასევე საკუთარი ფანტაზიის გამოხატვის შესაშური უნარი.

ეშერის გრაფიურებში 1937 წლის შემდეგ ბატონობს გამომგონებლობითი, მხატვრის ფანტაზიით წარმოშობილი კომპოზიციები, ხოლო რეალური სამყაროს განჭვრეტა მხატვრისათვის ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდება.

ტრადიციული ხელოვნების სამყაროში ეშერის ნამუშევრებს ყოველთვის თავშეკავებით ხვდებოდნენ, 1951 წლამდე არ აფასებდნენ ღირსეულად. 1951 წლიდან კი მისი ნამუშევრები ფართოდ შეისწავლება და კოლექციონირდება. მათ იყენებენ პლაკატებისათვის, პოპულარული წიგნებისა და სპეციალური სამეცნიერო გამოცემების ილუსტრაციებისათვის.


„ტაიმს“-სა „ლაიფ“-ში გამოქვეყნებულმა წერილებმა ეშერს მსოფლიო სახელი მოუხვეჭეს მაგრამ საყოველთაო აღიარება მაინც 1954 წლის სექტემბერში ამსტერდამის სტედელიიკის მუზეუმში მოწყობილმა მისი ნამუშევრების გამოფენამ მოუტანა მხატვარს. ამ გამოფენას, რომელიც მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესთან დაკავშირებით მოაწყვეს, უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად. ამ დროიდან ეშერმა ურთიერთობა დაამყარა მრავალ მეცნიერთან და თეორეტიკოსთან.

1954 წლიდან ეშერს ხშირად იწვევდნენ საკუთარ შემოქმედებაზე ლექციების წასაკითხად.

მეცნიერები მოკადოებულნი არიან მისი გრაფიურებით, რადგან მათში შეიცნეს ყოველდღიური სამყაროც და მხატვრის თავისებური და ორიგინალური დამოკიდებულებაც იმავე სამყაროს მიმართ.


ის უცნაურობა ან აბსურდი, პირველი შეხედვით რომ გამოსკვივის მის გრაფიურებში, ძირეული ანალიზის წყალობით ბოლოს მაინც შეიძლება აიხსნას და განიმარტოს. სწორედ ამაშია ამ გრაფიურების მომაჯადოებელი ძალის საიდუმლოება.

ეშერის ნაწარმოებებში რეალურიცა და არარეალურიც ერთნაირად თვალწარმტაცი და შეცნობადია.



გორის კორნალის ეზარი. ცხვრების გილიგი

61/33



მორის კოჩინის ეზიანი. მებრუნის ჯანსა